დავითი კალანდაძე



ლიტერატურული ნაფიქრები

„მერანი", თბილისი. 1976

8 Г
899.962.09
კ 183

ავტორისაგან

ამ წიგნს შეადგენს ნაწილი იმ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა, მხატვრული შემოქმედების ზოგიერთ საკითხზე ნაფიქრ-ნააზრევისა და სახელდახელო ჩანაწერებისა, რაც დაახლოებით უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში მომიკრიბნახულებია. აქ არის ჩვენი დროის, უკეთ ვთქვათ, ჩვენი საუკუნის რამდენიმე ქართველი მწერლის ან მათი ცალკეული ნაწარმოებების მოკლე განხილვა-დახასიათება. აქვეა თანამედროვეობის ზოგიერთი მხატვრულ-ესთეტიკური საკითხის დაყენებისა და გაშუქების ცდა. წიგნში მცირეოდენი რამ, მაგრამ, ჩემი აზრით, რამდენიმედ განსხვავებულად არის თქმული ზოგიერთ ქართველ კლასიკოსზედაც, კერძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილიაზე, ვაჟაზე. საგულისხმოდ ვთვლი აგრეთვე გორკის შემოქმედების მომცრო ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევსაც. საჭიროდ ჩავთვალე წიგნში კვლავ შემეტანა ერთი რეცენზია წიგნზე, რომელშიაც არის გულმოდგინე ცდა ესთეტიკის საკითხების გაშუქებისა. წიგნში შესულია რამდენიმე მოკლე პუბლიცისტური ჩანაწერიც და ლიტერატურული დღიურიც. ეცადე წიგნში შესულ ნაფიქრს, ნაგრძნობს და ნააზრევს გაუჭირვებლად გაეკვლია გზა ჩემი მკითხველის გულისა და გონებისაკენ.

ამავე დროს, მე, რასაკვირველია, შორსა ვარ ილუზისაგან, რომ წიგნში ზოგი რამ სადავო არ იყოს.

ᲙᲐ 70203—16 / М6С4(08)—76 76

© გამომცემლობა „მერანი“ 1976

ბედთან მებრძოლი ტიტანი

განჯა, დიდუბე, მთაწმინდა — საფეხურებია უკვდავებისაკენ. რა სეკდის მომგვრელიც უნდა იყოს, ულმობელ ფაქტს ვერსად გაექცევით: ბარათაშვილის გაგების. აღიარების, დიდებისა და უკვდავების გზამ სამ საფლავში გაიარა. პოეტის გარდაცვალებიდან მხოლოდ ოციოდე წლის შემდეგ იფეთქა მისი დიდი პოეზიის თვალისმომჭრელმა სინათლემ, რომ მთელ ხალხს მოჰფენოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ერის დიდი მოჭირნახულე დიდი მგოსნის შემოქმედების მთელი ძალა და მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე ღრმად პირველად ერის ასევე დიდმა მოჭირნახულემ — ილია ჭავჭავაძემ იგრძნო.

ძნელი, შესაძლოა, შეუძლებელიცაა იპოვოთ რაოდენობითა და მოცულობით ისე მცირე, მაგრამ ისეთი დიდი, ისე ვრცელი პოეტური სამყაროს შემცველი და თავისი ეპოქის, თავისი ხალხის სულის ისე ღრმად, ისე სავსედ გამომხატველი მემკვიდრეობა, როგორიც ბარათაშვილის მემკვიდრეობაა.

თუ თვით ცოცხალმა პოეტმა ვერა და ვერ შესძლო, მისმა სულმა, განსახებულმა მის უკვდავ ქმნილებებში, შესძლო გადაელახა თავისი დროის საზღვარიც, თავისი ბედის საზღვარიც.

ხოლო თუ რა მწარე, რა ტრაგიკული იყო ბედი პოეტისა, დღეს ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. შეიძლება ითქვას, რომ სამშობლოს ბედი — ბედი ქართლისა არა მარტო პოეტის შემოქმედებაში, არამედ ერთგვარად მის პირად ბედშიც, მის ბიოგრაფიაშიც განსახიერდა.

შეუძლებელი იყო, რომ პოეტის ცხოვრების მრავალ სიდუხჭირეს, მის მიერ განცდილ მრავალ სიმწარეს მკვეთრი დაღი არ დაესვა მთელი მისი შემოქმედებისათვის; კერძოდ ტრაგიზმის ის უმძაფრესი გზძნობა, რაც თავიდან ბოლომდე გასდევს მის პოეზიას, რასაკვირველია, პოეტის პირადი ბედის ანარეკლიცაა. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიდიადე მის პირად ტრაგიკულ ბედში როდია.

შოთა რუსთაველის შემდეგ — თითქმის ექვსასი წლის განმავლობაში — ქართული პოეზია არავის არ აუყვანია ისეთ დიდ ეროვ-

ნულ და ამდენადვე ისეთ დიდ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სიმაღლემდე, როგორზედაც აიყვანა იგი ბარათაშვილმა; „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ბარათაშვილამდე სხვა უფრო დიდი პოეტური მწვერვალი არ აზიდულა, ვიდრე „მერანია“.

მით, რომ უმძაფრესად და უმშვენიერესად გამოხატა თავისი სულიერი მღელვარება, თავისი ფიქრები და მისწრაფებები, ბარათაშვილმა ყველაზე ღრმად აითვისა პოეტურად თავისი დრო, ყველაზე ღრმად ჩაწვდა შეპირვებული, დაღონებული და ჩაფიქრებული სამშობლოს სულს მისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ძნელბედობის ჟამს. წინა საუკუნის დამლევს განცდილი დიდი ეროვნული ტრაგედიის — აღა-მაჰმად-ხანის ურდოების შემოსევის მძიმე შედეგები პირგახსნილ ჭრილობად აჩნდა ქვეყანას. მართალია, რუსეთთან შეერთებით საქართველო გადაურჩა სრულ ფიზიკურ განადგურებას, მაგრამ მან პირველად მთელ თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაჰკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა და იქცა ორმაგი ჩაგვრის — ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ასპარეზად. ამას ცხადად მოწმობდნენ შინაგანი მღელვარებანი, გლეხთა აჯანყებანი, რასაც მთელი სისასტიკით აცხრობდა ცარიზმი. მარცხით დამთავრდა 1832 წლის შეთქმულებაც, რომელიც არსებითად მოკლებული იყო შინაგან მთლიანობასაც და რეალურ დასაყრდენ ძალებსაც. დაუძლურებული, შევიწროებული და შებორკილი, მაგრამ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და ისტორიულ-კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა, ბუნებრივია, ვერ ურიგდება თავის მწარე ხვედრს, ეძებდა სამომავლისო გზას, ეძებდა სახელმძღვანელო აზრს. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, ქვეყანა მძიმე ფიქრებს ეძლევა. და საქართველოც მტანჯველი ფიქრებით იყო შეპყრობილი. არსებული სინამდვილე ეროვნულ სულიერ ენერგიას წარმართავდა მაძიებელი აზრისაკენ. მშფოთვარე ფიქრებისაკენ. მაშინდელი მაღალი წრეების განათლებული წარმომადგენლები, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ბარათაშვილი, მოკლებული არ იყვნენ ცნობებს მსოფლიო სოციალ-პოლიტიკურ მოვლენათა და პროგრესულ მოძრაობათა შესახებ. მათთვის უცხო არ იყო არც ფრანგ განმანათლებელთა და არც რუს დეკაბრისტთა იდეები. მათ სულიერ წყობაში ერთგვარად, ზოგჯერ ძალიან წინააღმდეგობრივადაც, შეზავებული იყო რუსეთის მმართველობასთან შეგუების სურვილიც, ფიქრებიც საქართველოს მომავალზე, მის თავისუფლებაზე, დიდი სევდაც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, მოგონებანიც ძველი დიდებისა და ერთგვარი წინათგრძნობაც ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგის რყევისა.

ბარათაშვილის დროის საქართველოს სინამდვილე მიუღებელი იყო მოაზროვნე საქართველოსათვის. მას არ შეეძლო, შერიგებოდა სამშობლოს უკუღმართ ბედს, მაგრამ ბედის შეტრიალების ძალაც არ შესწევდა. ამიტომაც თვითდამკვიდრებისა და თავისუფლების მოპოვების წყურვილი მას მეტწილად სულიერ მისწრაფებათა და ოცნებათა სფეროში გადაჰქონდა. სწორედ ეს იყო ბარათაშვილის რომანტიზმის ეროვნული ნიადაგი. რასაკვირველია, ბარათაშვილი არ იყო მოწყვეტილი საერთოდ ეპოქის რომანტიკული სულისკვეთებისაგან. იგი უეჭველად იცნობდა რომანტიზმის უდიდეს წარმომადგენლებს, მათ შორის იცნობდა პუშკინისა და მიცკევიჩის, ბაირონისა და ლერმონტოვის რომანტიკულ მოტივებს. მაგრამ მთელი მისი შემოქმედების პირველსა და უშუალო წყაროს წარმოადგენს მისი ქვეყნის, მისი მშობელი ხალხის ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი და ქართული მხატვრული აზროვნების, პირველ ყოვლისა კი, რუსთაველის შემოქმედებითი ტრადიციები.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი დროის მოაზროვნე და მოფიქრალი საქართველოს პოეტური მწვერვალია. მთელი მისი შემოქმედება აღსავსეა ფიქრებით, მღელვარე ფიქრებით ქვეყნისა და კაცთა ბედის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ქვეყნიერებისა და ადამიანის დამოკიდებულების, სიყვარულისა და ზნეობის, სულისა და ხორცის, თავისუფლებისა და საქვეყნო მოვალეობის მწვავე საკითხებზე.

პოეტი უარყოფს ცრუ და მუხთალ სოფელს, მაგრამ არსებული სამყაროს გარდაქმნის შეუძლებლობის შეგნება პოეტში ბადებს მისწრაფებას, რომ მიეცეს მხოლოდ თავის ფიქრებსა და განცდებს, ეძებოს თავისი ამაღლებული პოეტური იდეალი არა მისთვის მტრულ და საზიზღარ გარემომცველ სინამდვილეში, არამედ თავისი სულის დაუცხრომელ სწრაფვაში. შებორკილი არსება ადამიანისა ელტვის შეუზღუდავ თავისუფლებას, მწვავე განხეთქილება არსებულ სინამდვილესთან ამძაფრებს სულიერი სიმარტოვისა და განკერძოების გრძნობას, პიროვნული, სუბიექტური ლამობს განმტკიცდეს გარემყარში.

ბარათაშვილი პოეზიიდან გამორიცხავს ყოველივე შემთხვევითს. მას არ იტაცებს არც შემთხვევითი აღტაცება, არც შემთხვევითი წუხილი. პოეზია მისთვის იმ სიღრმისეულ გრძნობათა სიბრძნეა, რომლებიც მოიცავენ ქვეყნიერების არსებით კავშირებს... ამ მხრივ იგი თავისი იმ დიდი წინაპრის კვალს ადგას, ვინაც თქვა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“.

ბარათაშვილი დიდი აზრისა და ღრმა დაფიქრების პოეტია. იგი

დაფიქრებული ხვდება გარემყარს და მხოლოდ თავისი ფიქრების მეშვეობით აღიქვამს მას. მისი პოეტური ხილვები ყოველთვის გამ-ძაფრებულია მისივე წინასწარი აზრებითა და ფიქრებით. მისი უშუა-ლო კონტაქტი გარემოსთან — მისი უშუალო გრძნობები ყოველ-თვის შერწყმული და გადაწნულია შემხვედრ შინაგან გრძნობებთან და აზრებთან.

ბუნებაშიც პოეტი, უპირველეს ყოვლისა, თავის სულს კითხუ-ლობს, თავის ფიქრებსა და განცდებს იკვლევს. შემოქმედებაშიც პოეტს იმდენად ბუნებისა და გარემომცველი ქვეყნიერების საღე-ბავები როდი გადმოაქვს, რამდენადაც იგი თვით ბუნებას და გარე-სამყაროს ღებავს და აფერადებს თავისი სულის ფერებით, ასურა-თებს თავისი ფიქრების მოძრაობით. აი, ჩვენს წინ არის 19 — 20 წლის პოეტის დიდებული ქმნილებანი — „შემოღამება მთაწმინდ:-ზე“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“ — უკვე აღბეჭდილნი ღრმა პოე-ტური სიბრძნით, პოეტური აზრის უმშვენიერესი ნაკვთიანობით. მთაწმინდის — გულდახურულთა ამ მეგობრის — დამაფიქრებელ, ვერან და უდაბურ ადგილებში, ბუნდოვანი კლდის არემარეზე და-სადგურებულ იდუმალებაში, ნაპრალთა მდუმარებით აღსავსე მაი-სის მწუხრში პოეტი ყურს უგდებს თავისი სულისა და გულის მოძ-რაობას, კითხულობს თავის ფიქრებს, ფიქრებს, რომლებიც ცისკენ მიისწრაფვიან, მაგრამ ცამდე ვერ აღწევენ და ჰაერშივე განიბნე-ვიან. პოეტის გულისთქმა ცის იქით ეძებს ზენაართ სამყოფს, რათა გაეცალოს ამქვეყნიურ ამაოებას... და აქ კი, ამ დიდებულ და ტრა-გიზმით სავსე შემოღამებაში, რაც ლექსის არა მარტო ნივთიერ ფაქ-ტურაში, არამედ მის მღელვარე რიტმსა და მუსიკაშიც შეიგრძნობა, ღრმად ინაკვთება პოეტის დიდ სევდად ქცეული ტკივილები ქვეყ-ნისა. მაგრამ მწუხარე პოეტს მაინც რჩება ნუგეში იმისა, „რომ გა-თენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

მტკვრის პირადაც პოეტი ისევე თავისი ნაღვლიანი ფიქრების სამკვიდრებელს ეძებს. აქაც მას ბუნება თავისი განცდებისა და აზ-რების ეკრანად ესახება. მან არ იცის რას ბუტბუტებს, ვისთვის რას იტყვის მრავალ დროების მოწამე, მაგრამ უტყვი მტკვარი. მაგრამ რაზედაც არ უნდა ბუტბუტებდეს, მას მხოლოდ ის ძალუძს, რომ თავშესაფარი მისცეს სევდას პოეტისას, ვისაც ცხოვრება ფუჭად და ამაოებად ესახება. კაცთა ყოფნა და წუთისოფელი კი — .აღუვსე-ბელ საწყაულად. თვით მოძალადე, დამპყრობი მეფენიც და კეთი-ლი მეფენიც ამაოების ტყვენი არიან... მაგრამ პოეტი არ მიდის ცხოვრების სრულ უარყოფამდე. იგი მაინც პოულობს მის უმაღ-ლეს აზრს სოფლისათვის ზრუნვასა და შრომაში.

ბუნება პოეტისათვის უწინარეს ყოვლისა სულიერი მისწრაფების გაცხადებისა და გრძნობების საყუდარი და სამკვიდრებელია. იგი უმალ იმას ელტვის, რომ თავისი შინაგანი სამყარო, თავისი ფიქრები და განცდები გადაიტანოს და დაამკვიდროს ბუნებაში, ვიდრე თვით ბუნების სახე გადმოიტანოს თავის შინაგან სამყაროში. მას უფრო ბუნების საიდუმლოებაში შეჭრა სწყურია, ვიდრე ბუნების უშუალო გარეგნული სურათების წარმოსახვა.

ამავე დროს პოეტის მსოფლშეგრძნებას, მის დამოკიდებულებას ბუნებისადმი უეჭველად ახასიათებს თავისებური პანთეიზმი.

ლექსში „ჩინარი", სადაც პოეტი ფრიალო კლდეზე აღმართულ ალვის ხისა და მის ძირას მიმდინარე მტკვრის იდუმალ კავშირში ტრფიალების წარმტაც დრამას სჭვრეტს, პირდაპირ ამბობს:

მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსასკოთაც და
უსულოთ შორის.
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა
მათი საუბრის.

მაშასადამე, პოეტს სწამს, რომ ბუნებაში განფენილია რაღაც გონიერებისა და მგრძნობელობის მაგვარი, რომ თვით უსულო და უსასკონიც კი მეტყველებენ თავიანთი საიდუმლო ენით. ხოლო ადამიანი თავისი წმინდა ჭეშმარიტი არსით, თავისი ტრფობის მადლით ღვთაებობის კერძოობაა. „და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა, რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?" — ამბობს პოეტი ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა. ბანოვანო, პირუმტკიცობას?", რომელიც მშვენიერ სულთა კავშირზე დამყარებული სიყვარულის პოეტური მტკიცებაა. აქ პოეტი განასხვავებს არსთა ორ საწყისს: ხორციელსა, როგორც წარმავალს, ცვალებადს, და სულიერს, როგორც უცვლელსა და უხრწნელს. შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდება სილამაზე და მშვენიერება. სილამაზე ხორციელების ნიშია მხოლოდ, იგი წარმავალია და ყვავილივით მალე დაჭკნება. მშვენიერება კი ნათელია, ზეცით მოსული, იგი უხრწნელი საწყისია არსისა, უზომო სიწმინდეა ბუნებისა. პოეტი შეტრფის ყოველივე სიწმინდესა და სიანკარეს, როგორც მარადიულისა და მშვენიერის გამოსხივებას. შეტრფის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს", რადგან იგი სამყაროს უხრწნელი საწყისის გამოკრთომაა. ბუნების უზადო სიწმინდის განფენილობაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების არცერთი მოტივი, როგორც უკვე ითქვა, არ არის შემთხვევითი სულიერი რეფლექსი. მისი სევდა, მისი იქვნეულობა, მისი სულით ობლობა მაღალი გო-

ნების, მგრძნობიარე გულისა და წმინდა სინიდისის შეურიგებლობაა ქვეყნის სიმუხთლესა და უკეღმართობასთან.

პოეტის სულიერი განწყობილების, მისი კითხვების, ფიქრებისა და მისწრაფებების მთავარი პირველადი სათავე და მიზეზთა მიზეზი ამოიცნობა პოემაში „ბედი ქართლისა". ეს პოემა არსებითად პოეტის მთელი შემოქმედების გასაღებია.

სახელწოდება პოემისა არ არის შემთხვევითი. ბედის საკითხი, საერთოდ, პოეტის მთელი შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი და მტანჯველი საკითხია. ბედი ქართლისა კი მთელი იმდროინდელი მოაზროვნე საქართველოს უმთავრესი და უმწვავესი საკითხი იყო. საკითხი ერის ყოფნა-არყოფნისა.

პოემა არ შეიცავს ისტორიული მოვლენებისა და ხალხის ცხოვრების ფართო ეპიკურ სურათებს. არსებითად იგი ერთგვარი ლირიკულ-რომანტიკული გააზრებაა სამშობლოს ისტორიული გზისა. ამიტომაც ეპიკურ ნაკადს მის კომპოზიციაში, თითქოს, მხოლოდ დამხმარე პოეტური ფუნქცია აკისრია. ეს ნაკადი ხშირად გადადის შთაგონებულ ლირიკულ აღსარებაში, რომლებშიაც მკაფიოდ მეღავნდება პოეტის სულისკვეთება, მისი იდეები და მისწრაფებანი.

პოემის ტრაგიკული სუნთქვა უკვე მის დასაწყისშივე იგრძნობა იმ მხურვალე ლოცვაში, რომლითაც ბრძოლის წინ მეფე ერეკლე შესთხოვს კეთილ მწყემსს სამშობლოს ხსნას. მტრის მოძალების, ჭირთა მოახლოებისა და ბედის მუქარის წინაშე დაუცავობის გაუმხელელი გრძნობით ეს მოკლე ლოცვა ჭეშმარიტ ადამიანურ ტრაგიზმამდე ადის. ქვეყნის საბედისწერო წუთის ღრმა განცდაა გაშოხატული მეფისავე მიმართვაშიც ქართველი ჯარისადმი:

ხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება,
თავისი ბედი და უბედობა!

თვით კრწანისის ბრძოლის სურათი კი ესკიზურია. იგი თითქოს ერთგვარი დრამატიული შემზადებაა იმისათვის, რომ შთაგონებული მწუხარე სადიდებელი ითქვას იმ ქართველ ვაჟკაცთა, ნუგეშთა ქართლის, რომელთაც თავი დასდეს მამულისათვის, დღეს კი მათი საფლავიც არსად ჩანს,

ჰაერში განქრა მათი სახელი
და ჟამს მოწამე სადმე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა,
დუმილნი ფარვენ ერთგულთა ძეთა!

მაგრამ პოეტს სწამს, რომ ერის უკვდავი გული — უკეთეს სულიერ ღირებულებათა ეს დიდი საგანძური — არ წაშლის მათ ღვაწლს. პოეტი ასე მიმართავს გმირთა აჩრდილებს:

> მაგრამ, ჰო, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
> თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
> რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების
> საშვილიშვილოდ გარდაეცემის!

შემდგომმა დრომ კიდევ უფრო ცხადჰყო პოეტური სიბრძნე ამ სიტყვებისა. კრწანისის გმირები, მათ შორის სამასი არაგველიც, ქართული ეროვნული თვითშემეცნების ნაწილად იქცნენ.

პოემის მთავარი კვანძი ანუ მისი თემატიკური შუაგული იწყება შესანიშნავი ჰიმნით სამშობლოს ბუნებისადმი და ქართველი კაცის ხასიათის ჩვენებით. თავისი ქვეყნის ბუნების უსაშველო რომანტიკოსი, ყოველი სილამაზის მგზნებარე მოთაყვანე ქართველი გულგრილად ვერ ჩაუვლის ბუნების წარმტაც სურათებს. მის სულში ყველაფერს სჭარბობს სილაღისა და გატაცების ძალა. იგი უმალ შეიძლება სილამაზემ შებორკოს და დაატყვევოს, ვიდრე სხვადასხვა სასიცოცხლო მოთხოვნილებებმა. სულიერი აღტაცებისა და სილამაზის განცდისათვის მას შეუძლია გაფლანგოს თავისთავიც, გაფლანგოს დროც, გაუსხლტეს საყოფაცხოვრებო პირობითობებს, არაგვის ნაპირების მშვენებას რომ იხილავს, ქართველს გული ვერ გაუძლებს, რომ მის ბუჩქებში არ ჩამოხდეს, რაგინდ გზასაც უნდა ეშურებოდეს:

> როგორ იქნება არ განისვენოს,
> სამჯერ ხომ მაინც გადაკრავს ღვინოს,
> ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
> გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
> ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
> არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,
> და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
> იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

თუ ამ ხასიათის სათავეებისაკენ წავალთ, შესაძლოა, სადღაც რუსთაველის გმირებთანაც კი მივიდეთ.

პოემის თემატიკური შუაგული კი ორი აზრის, ორი სულისკვეთების — ბედთან შერიგებისა და ბედთან შეურიგებლობის სულისკვეთების დრამატიული დაპირისპირებაა.

მთიულეთში, არაგვის ნაპირზე გადმომდგარ ძველ ჩარდახში გახიზნული მეფე ერეკლე და მისი მრჩეველი — სოლომონი ბჭობენ და კამათობენ, თუ რა გზა უნდა აირჩიოს მტრისაგან დარბეულ-

მა და შეიწროვებულმა საქართველომ — ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა თუ დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლის გაგრძელებისა.

მეფე ერეკლე ტრაგიკული პიროვნებაა. სწორედ იგი — ბედის ურჩი, უშიშარი მეომარი და სარდალი, ვინაც ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თითქმის ასამდე ომი გადაიხადა, იძულებულია ბედთან შერიგების გზა აირჩიოს. ეს შინაგანად ტანჯავს მას, მაგრამ იგი მაინც რეალისტურად აზროვნებს, იცის გათამამებული მოსისხლე მტერი — აღა-მაჰმად-ხანი ამიერიდან საქართველოს აღარ მოასვენებს, ამით ლეკებიც ისარგებლებენ, ოსმალოც დროს იხელთებს და ქვეყანას ყოველი მხრიდან მოესევიან მტრები, მით უმეტეს, რომ შიგნითაც მოძმენი „ურთიერთს ბძარვენ“. ამიტომაც მეფე ფიქრობს, რომ ერთმორმწუნე რუსთა ხელმწიფეს მისცეს მემკვიდრეობა, რათა „მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“.

მეფის მრჩეველი — სოლომონი კი სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. იგი სწორედ ბედთან შეურიგებლობის სულისკვეთებას ასახიერებს. მას ღრმად აშფოთებს მეფის განზრახვა. მისი აზრით, სჯულის ერთობა არას არგებს ქვეყანას, „ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“; რუსთა მეფობა ვერც გაიგებს, ვერც შეიწყნარებს ქართველობის ხასიათს, სურვილებსა და მისწრაფებებს, უცხოთა მფარველობის ქვეშ მოქცეულ ქართველ კაცს გულს მოუკლავს იდუმალი ტანჯვა. სოლომონი უდრეკი ხასიათისაა, იგი უფრო თავის გულის ხმას უგდებს ყურს, ვიდრე გარეშე მოვლენებს. ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვა მას ყველაზე დიდ უბედურებად მიაჩნია, მას სწამს, რომ ქართველებს „არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“. თავის უდრეკობაში მეფის ეს ერთგული ყმა მეფის განუსაზღვრელი ძალა-უფლების გმობამდეც კი მიდის; მას უკვირს და ეჩოთირება, რომ ერთი კაცი ისე განაგებს ქვეყნის ბედს, „ვითა ამღერდეს იგი კამათლებს“ და თავის ფიქრებში მკაცრადაც კი მიმართავს მეფეს:

> მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება,
> სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
> მისდევდე შენსა გულისკვეთებას
> და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

ეს არ ნიშნავდა, რასაკვირველია, რესპუბლიკელობას, მაგრამ თავისი გმირის ამ განწყობილებაში პოეტი მაინც ამჟღავნებდა გარკვეულ დემოკრატიულ მიდრეკილებას.

სოლომონის სრული თანამოაზრე აღმოჩნდება მისი მეუღლე სოფიოც. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ქართველი ქალი გამოხატავს პოემის ძირითად აზრს, მის ფილოსოფიას. მეფის განზრახვას რომ შეიტყობს, იგი შეშფოთებული ამბობს, რომ რა პატივიც არ უნდა დასდონ. სხვათა ქვეშევრდომობაში ადამიანის სული მაინც დაჩაგრული, უთვისო და დაობლებულია:

> რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
> გალიაშია დატყვევებული?
> და ველად იგი, ამხანაგთ შორის
> ჰირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
> ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
> თე მოაკლდება თავისუფლება?

უწინდელი ქართველი ქალის ამ უღრმესი პატრიოტიზმითა და შეუდრეკელი ბუნებით აღფრთოვანებული პოეტი კვლავ ერევა პოემის ამბავის მდინარებაში, იგი ასე მიმართავს გარდასულ დედათა აჩრდილებს:

> ბოი, დედანო, მარად ნეტარნო,
> კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
> რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
> სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
> ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
> მამულს ასული ახლა თქვენგვარი?

როგორც ვხედავთ, პოეტი გულდაკოდილია ზნეთა დაცემით, პატრიოტული შეგნების მოდუნებით, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი იმ იდუმალ ტანჯვათაგან, რასაც სოლომონი წინასწარმეტყველებდა.

იგივე იდუმალი ტანჯვა იგრძნობა პოემის ფინალის ნაღვლიან ინტონაციაშიც. აოხრებულ თბილისში დაბრუნებულმა ერეკლემ რამდენჯერმე წარმატებით გაიბრძოლა მტერთა წინააღმდეგ.

> მაგრამ ამაო იყო ყოველი:
> დიდი ხანია გულს ირაკლისა
> გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!

ეს იყო ბედი ბედის მორჩილებისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი კი ბედის ურჩობის პოეტია. მისთვის მიუღებელია ბედთან შერიგების ფილოსოფია. პოემაშიც შემთხვევით როდი გამოხატავს თავის აღფრთოვანებას სოლომონისა და სოფიოს ქედუხრელობით. ...და მიუხედავად ამისა. პოეტი მაინც

ამართლებს მეფე ერეკლეს მიერ გადადგმულ ისტორიულ ნაბიჯს — საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამ შეერთების დადებითი მნიშვნელობა პოეტმა მკაფიოდ გამოხატა ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა". პოეტი ადიდებს მეფის ნაანდერძევს, რომლის აღსრულებამაც კეთილი ნაყოფი გამოიღო: ყამთვითარებით გარდახვეწილ ქართველთ ჩრდილოეთიდან მამულში მოაქვთ განათლება, საქართველომ მოიპოვა მშვიდობა, აწ მას წალეკვით აღარ ემუქრება კასპიის ღელვა, შავი ზღვის ზვირთებსაც, ნაცვლად მოსისხლე მტერთა, ამიერიდან მოჰყვებიან მოძმენი ყოველი მხრიდან.

მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ პოეტი ურიგდებოდა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვას, ურიგდებოდა არსებულ სინამდვილეს. არც გაორებული იყო პოეტი თავის ამ თითქოს წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში ქვეყნის ბედისადმი, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ ხოლმე. არა, იგი სჭვრეტდა ერთგვარ წინააღმდეგობრივ სიბრძნეს და ერის ცხოვრების გარკვეულ ვითარებაში არ გამორიცხავდა ბედთან შეგუებას, როგორც ბედის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ გზას.

ერის ბედის საკითხი კაცთა ბედის საკითხს გადაეწასკვა პოეტის შემოქმედებაში. პოეტური აზრის ხვეული ახალ რკალს აკეთებს და იბადება „მერანი" — მთელი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ეს მარადგაუხუნარი მშვენება.

. ცდებოდნენ და ცდებიან ისინი, ვინაც ბარათაშვილის „მერანის" მხოლოდ ლიტერატურულ ანალოგიებს ან მის ლიტერატურულ წყაროებს ეძებენ და სრულებით ვერ ამჩნევენ ან გვერდს უვლიან იმას, რომ ეს ლექსი, როგორც მთა დედამიწის გულიდან, ამოზრდილი და ამოზიდულია პოეტის მთელი შემოქმედებიდან, რომ იგი არსებითად აგრძელებს და აღრმავებს პოეტის ადრინდელი ლექსებისა და კერძოდ კი პოემის „ბედი ქართლისა" მხატვრულ-იდეურ მოტივებს.

„მერანი" ბედთან ბრძოლის წარმტაცი პოეტური სიმფონიაა. იგი სულიერ მისწრაფებათა, მღელვარებათა და ტანჯვათა ბევრი ადამიანური გამოცდილების გონებრივ და ემოციურ ნაჟურს იტევს. იშვიათია, რომ გამოთქმულში ისეთი ძალით იგრძნობოდეს გამოთქმულიც და გამოუთქმელიც, როგორი ძალითაც ეს იგრძნობა „მერანში".

ლექსის დრამატულ ექსპრესიაში იკითხება მისწრაფება მეამბოხე სულისა — გასწყვიტოს ყველა კავშირი, რითაც არსებული სინამდვილის — ამ სიავით სავსე საწუთროს ბნელ ძალებს შეუბო-

ჰავს ადამიანი. ქვეყნის ბედიც და ადამიანის ბედიც ხომ ამ ბნელი ძალების საოცარი ხლართებია. ბედი ის არის, რასაც თავიდან ვერ აიცილებ, ხოლო ბედის შიგნით პოეტისათვის არ არსებობს არც ბედნიერება, არც თავისუფლება. თითქოს გამოსავალი არ ჩანს. მაგრამ არა, შეიძლება ბედთან ბრძოლა სწრაფვით, ქროლვით, მოძრაობით, მოქმედებით. შეიძლება გარდუვალობის ზღუდეთა გარღვევა მაღალი აზრით. შეტრიგებელი სულისკვეთებით, სულის სინათლემ უნდა შემუსროს გარდუვალობის წყვდიადი. პოეტი უნდოა არსებული ქვეყნის მიმართ, იგი ბედის მიღმა ჰვრეტს ხსვა ჰარმონიულ სამყაროს.

ბედის ურჩობას პოეტს ალბათ დიდი რუსთაველიც შთააგონებდა. „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია", — ამბობდა რუსთაველი და მისი ტარიელიც საწუთროს ბედის ურჩ გონებას აქებდა:

> მიმდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან.
> იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
> ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.

ბარათაშვილის „მერანიც" სწორედ ადამიანის ურჩი და უდრეკი სულის დიდებული რომანტიკული განსახეობაა. პოეტ-მხედარს, ვისაც უგზო-უკვლოდ მიაქროლებს თავისი მერანი, უკან მისჩხავის თვალბედითი შავი ყორანი. ეს ფანტასტიკურ-დრამატიული სურათი, რაც ლექსის პირველსავე სტრიქონებით იქმნება, ლექსის შემდგომი ზეიმავალი ტალღოვანი მოძრაობით ივსება ღრმა შინაარსით: ბედთან ბრძოლის გზა უიმედობის, მოქანცულობის, სიკვდილის შიშის დაძლევის, ეროვნულიდან საკაცობრიომდე, პიროვნულიდან საზოგადოებრივამდე ამაღლების გზაა. ეს ბუნებრივად მოჰყვება ლექსის დიდებულ რიტმულ მოძრაობას, მის ღრმა პოეტურ სუნთქვას, ყოველგვარი რიტორიკის გარეშე. მერანი უნდა გაჰქროლდეს ისე, რომ მოუთმენელ მხედარს შეუმოკლოს სავალნი დღენი, არ შეიბრალოს ის დაქანცულობით. ამ დაქანცულობიდან ძაფი ხომ ქვეყნის იმ დიდი დაქანცულობისაკენ მიდის, რასაც პოემაში „ბედი ქართლისა" მეფე ერეკლე ასახიერებს. განა მრავალ ჭირგადახდილი ქვეყნისა და მისი მეთაურის დიდი მოღლილობა არ იგრძნობა მის სიტყვებში: „შენი იმაკლი ის აღარა ვარ, პატარა კახად რაც გინახივარ"; „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა". პოემის შემდეგ პოეტმა მოქანცულობის ეს მოტივი კიდევ უფრო დიდი ლირიკული ძალით გამოხატა მშვენიერ ლექსში — „ჩემი ლოცვა". შესთხოვს რა ღმერთს, მოასვენოს ვნე-

ბათაგან ბოროტღელვილი და თვით დუმილიც მისდამი ლოცვად ჩაუთვალოს, მოქანცული სული ეძებს მყუდრო სადგურს:

> ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა წყალთაგან შენთა,
> დამნთქე მათში სალმობანი გულისა სენთა,
> არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
> არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

„მერანში“ კი დაქანცულობის მოტივი ღრმავდება მის უარყოფამდე. მისი გარდუვალი შედეგი — წყურვილი მოსვენებისა და მყუდრო სადგურისა — უკუგდებულია მოუსვენრობით, მერანის უსაზღვრო ქროლვით. ამ ქროლვამ, ამ ძლიერმა სულიერმა სწრაფვამ უნდა გაფანტოს პოეტის შავად მღელვარე ფიქრები, გააცილოს მის სულსა და გულს დროის სიავეთა მტვერი და ლაქები, ბოროტი და ბიწიერი ვნებანი, რადგან, როგორც „მერანის“ შექმნის 1842 წელსავე სწერდა ხოლმე პოეტი თავის მეგობარსა და ნათესავ ქალს — მაიკო ორბელიანს: „...ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან“, არის მხოლოდ „...მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა“, „სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!“

მხოლოდ დროის ბნელ დანალექთაგან გაწმენდილ სულსა და გულს შეუძლია ეზიაროს უმაღლეს ჰარმონიას — გაანდოს თავისი საიდუმლო თანამავალ ვარსკვლავებს. ამ ჰარმონიისაკენ მიმავალ გზაზე არ არის დასანანი არც მამულის, არც სწორებისა და მეგობრების, არც მშობელთა და არც ტკბილმოუბარ სატრფოს მოშორება. სამშობლოს ბედით გულდაისრული პოეტი თავის მძაფრ სულიერ ექსპრესიაში ეროვნულის მიღმაც სჭვრეტს ვრცელ ადამიანურ არეებს:

> საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
> მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

პოეტს სურს, რომ თავისი მერანის მშვენიერს, აღტაცებულს და გიჟურ ლტოლვას მისცეს კვნესაც გულისა — ნაშთი ტრფობისა. და ესეც დროის სიავის უკუგდებაა, რადგან ტრფობამ. რამაც პოეტს შთააგონა თავისი სატრფიალო ლირიკის მშვენიერი ქმნილებანი, ალბათ, მართლაც დაუტოვა კვნესა გულისა, როგორც გაწბილებულ გრძნობათა სიმწარე. ჩვენ არ ვიცით პოეტის ტრფიალების პერიპეტიები და შინაგანი დრამატიზმი, ვიცით მხოლოდ პოეტისა და მისი სატრფოს ცხოვრების გზათა მკვეთრი გაყრა. იმ დროს, როდესაც ცხოვრების სიდუხჭირემ პოეტი იძულებული გახადა უბრა-

ლო მოხელის სამსახურს შესდგომოდა, მისი სათაყვანო ეკატერინა სამეგრელოს მთავრის — დადიანის მეუღლე გახდა. და ვინ იცის, ბედნიერ განცხრომაში იყო თუ გული რაღაც ნაღვლიანს მაინც უგრძნობდა სამეგრელოს დედოფლად წოდებულ ლამაზ ბანოვანს იმ დროს, როდესაც მისი მიჯნური პოეტი, რომლის მშვენიერ ლექსთა ხელნაწერი კრებული უკვე თავის საქალწულო სახსოვართა ყუთში ედო, სადღაც შორს, მიწურ სახლში სიკვდილს ებრძოდა და საყურის ჩრდილში სუნთქვის მობრუნების აუხდენელ ოცნებას ბოდავდა...

თუმცა ერთი უიღბლო სიყვარულის ამბავი რა იქნებოდა, რომ მას არ წარმოეშვა სევდიანი სიმღერა გაწბილებული სიყვარულისა, რაც ყოველთვის შესძრავს ხოლმე ადამიანთა გულს. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ღრმა ადამიანურ სევდას, იმ ამაღელვებელ ადამიანურ ტრაგიზმს, რაც პოეტმა გამოხატა ლექსში — „ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“, საფუძვლად ედო პირადი გრძნობის დიდი დრამაც. ამ ლექსში გამოხატული სევდისა და მარტოობის გრძნობა პირდაპირ ენაკადება პოეტის სულიერ სწრაფვას, გაცხადებულს მერანის ქროლვაში, როგორც მისი შინაგანი იმპულსი. „მერანში“ პოეტი თითქოს კიდევ უფრო აღრმავებს მიუსაფრობის მოტივს. და ასე გამძაფრებული გრძნობა ტრაგიზმისა პოეტური აზრის მშვენიერი მოძრაობით განიმუხტება თავის სრულ წინააღმდეგობაში — ბედის მარწუხებიდან თავდაღწევის ბედნიერ გრძნობაში, მებრძოლი სულისკვეთების მაჟორულ ჟღერაში:

> გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
> თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ეს ხომ უკვე უარყოფა და უკუგდებაა ბედისწერის გარდუვალობისა. ადამიანს დაუცხრომელი სულიერი სწრაფვით ძალუძს გავიდეს გარდუვალობის წყვდიადიდან, რადგან თვით სწრაფვა, მოქმედება და მოძრაობა არის განუწყვეტელი, ყოველწუთიერი გასხლტომა ბედის ბრჭყალებიდან და პოეტ-მხედარს — ბედის მოსისხლე მტერს, ვინაც ჩაწვდა სწრაფვის ამ ცხოველმყოფელ აზრს, არ აშინებს ბედის მახვილი:

> დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
> ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

მაგრამ პოეტური აზრი აქ არ ჩერდება, იგი სხვა უფრო სიღრმისეულ კავშირებისაკენ მიიწევს: წარმავალი, ფუჭი და უმიზნო იქნება ბედის ძლევის მთელი ეს ტრაგიკული ეპოპეა, თუ იგი მხოლოდ ქვეყნის ჭირვარამთაგან განკერძოებული ერთი მოკვდავი ადა-

მიანის სულიერ ლტოლვად დარჩება, თუ ადამიანთა მთელი მოდგმის ისეთ სულიერ გამოცდილებად არ იქცევა, რაც მათ წინ სავალი გზის სიძნელეს გაუადვილებს. პოეტური აზრი პიროვნულიდან ადის საზოგადოებრივამდე, სწრაფვის პოეზია ივსება მოქალაქეობრივი შინაარსით:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება.
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება:
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

ეს იყო არსებითად განვითარება და გაღრმავება იმ მოტივისა, რაც პოეტმა აღძრა ჯერ კიდევ თავის ფიქრებში მტკვრის პირას და რაც შემდეგ ერთგვარ პანთეისტურ სამოსელში გახვეულ რომანტიკულ ოცნებად დასახა ლექსში „არ უკიჟინო, სატრფოო“:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო.
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.
მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი.
რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭკნარი.
რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს.
და, ერთად შესხივებულნი, შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს!

ამრიგად, „მერანი“ ერთგვარი სინთეზია ბარათაშვილის პოეზიისა. მერანის სრბოლას, მართალია, არ გადაუულახავს ყველა წინააღმდეგობა პოეტის მსოფლშეგრძნებისა, არ დაუძლევია მისი ინდივიდუალისტური და პესიმისტური განწყობილებანი. „მერანის“ შემდეგაც თავის უძლიერეს „სულო ბოროტოში“ პოეტმა უმძაფრესი სულიერი მღელვარებით გამოსახა უშუალო ყმაწვილურ ოცნებათა ჩაკვლა ინდივიდუალისტურ-სკეპტიკური სულისკვეთებით და მით წარმოშობილი გრძნობა სიმარტოვისა და უიმედობისა. არსებითად ეს იყო „მერანის“ პოეტური ექსპრესიის ერთ-ერთი ახალი რკალი, რაც ახალ სიღრმეებში შეკრას მოასწავებდა.

პოეტი ტიტანური ძალით მიიწევდა თავისი მეამბოხე სულისკვეთების გამძაფრებისაკენ, თავისი შემოქმედების ახალი მწვერვალებისაკენ.

მართლაც რომ უღვთო იყო მისი სიკვდილი!

1967

ჩამოასრჩვეთ ბოროტება და არა ადამიანი!

ვითომ პატარა ამბავია, „სარჩობელაზედ" (სხვათაშორის. ბიუ-ხედავად იმისა, რომ „სარჩობელაზედ" ილიას მართლწერაა. მე მაინც ვფიქრობ. - მეპატიოს კადნიერება. --- სჯობს დღეს დაიწეროს „სა-ხრჩობელაზე", ჩვენი ყურისთვის ეს უფრო დამაჯერებელი იქნება გამოთქმის მხრივ).

მოცულობით დიახაც პატარაა. მაგრამ კაცობრიული თვალსაზრი-სით მეტად ღრმა და დიდია.

საქმე ეხება არა რაიმე განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს. რო-გორც ვიცით, მოთხრობა დაწერილია უბრალოდ, სადად. მისი სუ-რათებიცა და სახეებიც უბრალონია. არც ძლიერი გრძნობათა მო-ჭარბებაა შიგ და არც თუ ისე ძლიერი ტრაგიკული განცდა. კაცის ჩამოხრჩობაც არ არის თითქოს აწეული რაიმე განსაკუთრებულ ტრაგიზმამდე. დამშვიდებულად მიჰყვებით თხრობის აუზვირთებელ მდინარებას და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველაფერს თავს მოუყ-რით და ჩაწვდებით იმ ღრმა ჰუმანიზმს, რაც ბუნებრივად არის აბო-ზრდილი თუ ამოზიდული მეტად უშუალო ხალხური ხასიათიდან. იგრძნობთ ნაწარმოების სიდიადეს. მერე გარეგნული უბრალოებაც თავის ადგილს იკავებს ამ სიდიადეში.

ხალხური ხასიათი არ არის. რასაკვირველია, რაღაც უცვლელი და უძრავი ფსიქოლოგიური კომპლექსი. ცვალებადია ყოველი სო-ციალური და ეროვნული გარემო, რაც ყოველგვარი ადამიანური ხა-სიათის ნიადაგს წარმოადგენს: სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაი-რია ხალხის ისტორიული გამოცდილების საერთო სულიერი შედე-გიც — ანუ ის გონებრივ-ზნეობრივი და გრძნობად-ესთეტიკური წარმოდგენები, რომლებიც აყალიბებენ ადამიანთა ხასიათებს. მაგ-რამ განვითარებაში რომ რაღაც უწყვეტი და მარადიული არ იყოს, მაშინ განვითარებაც აღარ იქნებოდა. ხალხის ხასიათშიც არის უეჭ-ველად უწყვეტი ძარღვი განვითარებისა.

პეტრე არსებითად პატრიარქალური სულიერი წყობის ქართვე-ლი გლეხია. მაგრამ ამავე დროს ეს ადამიანი ასახიერებს სწორედ

იმ უწყვეტსა და მარადიულს, რაც ხალხის ხასიათის განვითარებაში იმალება. იგი პირველქმნილი ხალხური ხასიათია.

თავისი უშუალო და პრიმიტიული ბუნებით პეტრე ძალიან ახლოს დგას ლევ ტოლსტოის პლატონ კარატაევთან. შეიძლება ითქვას, რომ ისე, როგორც კარატაევი პიერის წარმოდგენით იყო „მარადიული განსახიერება უბრალოებისა და სიმართლის სულისკვეთებისა“, „განსახიერება ყოველივე რუსულის, კეთილისა და დამრგვალებულისა“, პეტრეც უმზაკვრო სიმართლის, სიწრფელის და უშუალობის განსახიერებაა.

და ისე, როგორც დიდმა რუსულმა გენიამ თავისი მხატვრული აზრის დიდებულ შენობას ერთ-ერთ ბურჯად, ვითარცა მითოლოგიური ატლანტი, რუსი კაცის შუმი ბუნება შეუყენა, ქართველმა ბრძენებმაც თავისი მაღალი კაცობრიული აზრის საძირკვლად უბრალო ქართველი კაცის პირველნახადი ბუნება დასდეს.

რატომ მიმართეს მათ ამ უბირ ადამიანებს?

თუ ვიტყვით: იმიტომ, რომ ეჩვენებინათ თავისი ხალხის უღრმესი ქვედაფენების სული და გული, ფიქრი და აზრი, მისწრაფება და ხასიათი, — ეს იქნება უბრალოდ ფაქტის აღნიშვნა და სხვა არაფერი. ასევე არაფრის ამხსნელი არ იქნება ისიც, თუ ვიტყვით, რომ სინამდვილეში დაინახეს მათ ასეთი ადამიანები და როგორც დაინახეს, ისევე დაგვიხატეს. დაგვიხატეს ისე, როგორც ეხატებოდათ.

მიზანი?

ზნეობრივი თუ მხატვრული იდეალი მაინც საძიებელი და საფიქრალია.

მოდი, ვეძიოთ, მოდი, ვიფიქროთ!

ადამიანთა სიცოცხლე მოიცავს მათს როგორც ხორციელ, ისე სულიერ ცხოვრებას. არსებობ, მაშასადამე, ცხოვრობ სულიერად და ხორციელად. შენ ადამიანი ხარ და შენი არსებობა არ არის უბრალო ცხოველური არსებობა. არსებობენ კი ადამიანები მეტად უბრალო და მარტივი გრძნობებით, ნათელი და გარკვეული აზრებით. ადამიანური არსებობის პირველადი ჭეშმარიტებანი ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგებია. ბრძენი ხარ თუ არაბრძენი, სწავლული ხარ, თუ უსწავლელი, შენ კარგად იცი, იცი, როგორც გარდუვალი ჭეშმარიტებანი (ცხოველებმა ეს არ იციან, მათთვის ჭეშმარიტებანი არ არსებობს), რომ შენი არსებობისათვის საჭიროა მიზანდასახულად შრომობდე და მოქმედებდე; ხნავდე, თესდე და მკიდე, აზროვნებდე და მეტყველებდე, ჭამდე, სვამდე, იცმევდე და იხურავდე, ამყარებდე სხვადასხვა ურთიერთობასა და კავშირს ადამიანებთან, მეგობრობდე, მტრობდე, გიყვარდეს ან გძულდეს, იყოთებ-

დე თავშესაფარს, ინთებდე ცეცხლს, გაგყავდეს გზები, მდინარეებზე სდებდე ხიდებს, ფიქრობდე და განიცდიდე, იმორჩილებდე ბუნებასა და მის ნივთს, ზრუნავდე ცოლ-შვილზე, აგრძელებდე შთამომავლობას, არჩევდე სილამაზესა და სიმახინჯეს, სიკეთესა და ბოროტებას, შეგეძლოს სიხარულიცა და მოწყენაც, სიმღერაცა და კვნესაც, თხზავდე ან ისმენდე სხვათა შეთხზულ ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს... ერთი სიტყვით, როგორც უკვე ითქვა, ადამიანები ცხოვრობენ უბრალო აზრებითა და გრძნობებით, აზროვნებენ და მგრძნობიარობენ კი — დღითიდღე უფრო რთულად და რთულად. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ უბრალო პირველად აზრებსა და გრძნობებშია დამუხტული აზროვნებისა და მგრძნობიარობის მთელი შემდგომი განვითარებისა და გართულების — ყველა შემდგომი უმაღლესი ჰეშმარიტებისა და მშვენიერების მთელი სიბრძნე, მსგავსად იმისა, როგორც ნამცეცა ატომშია ხოლმე დამუხტული სამყაროს მთელი აგებულება. იქნებ სწორედ სამყაროსადმი ადამიანის პირველ უშუალო დამოკიდებულებაში — შრომის იარაღის პირველ გამოგონებაში, პირველ მითში, პირველ სიმღერაში, პირველ ხილვებში — იმალებოდა უკვე თანამედროვე ფიზიკისა და ქიმიის, კოსმონავტიკისა და კიბერნეტიკის ყველა ჩანასახი. იქნებ მაშინ დაიწყო გაფრენა კოსმოსში, როდესაც გამოქვაბულის ადამიანმა პირველი მითი შექმნა ცაში მფრინავ გონიერ არსებათა შესახებ. მაინც საიდან შეიჭრა ქართველი დედის ნანაში უცნაური კოსმოსური მოტივი?

ზეცას ვიყავ. ზეცა ვნახე.
ვარსკვლავებსაც დავენახე,
მთვარემ კაცი მოვიგზავნა,
თუ აქ იყავ, რად არ მნახე.

მთავარი კი სოციალური ჰარმონიის უმაღლესი იდეალის ძიებაა, რასაც კაცობრიობა დასაბამიდანვე ალევდა და დღესაც ალევს მთელ თავის ძალებს... და ხომ არ არის ამ იდეალის ყველაზე წმინდა და შეურყვნელი პირველსახე იმ პირველ უშუალო დამოკიდებულებაში, რასაც კაცი კაცთან ამყარებს თავისი კაცობის პირველ ბუნებრივ საფეხურზე? მაშინ, ალბათ, ადამიანის აზრის მთელი შემდგომი განვითარებისა და ყველა მოპოვებული ჰეშმარიტების უკეთილშობილესი ამოცანა ის იქნება, რომ გააფართოვოს და განამტკიცოს ყოფიერების პირველადი სიბრძნის საზღვრები. მაგრამ, ოი, განგებაო, სად არის ყოფიერების ეს დიდი პირველადი სიბრძნე თუ სიმართლე და ვინ დგას ამ სიმართლესთან ყველაზე ახლოს? ჩვენთვის ეს მწვავეზე მწვავე, მტანჯველზე მტანჯველი საკითხია. პეტ-

რესა და პლატონ კარატაევისებურ ადამიანებისათვის კი ეს საკითხი არ დგას. ჩვენ ჩვენს მიღმა, ჩვენს გარეშე ვეძებთ ყოფიერების სიბრძნეს. ამიტომ ჩვენ ყოფიერების გარეშე ვდგავართ, ყოველ შემთხვევაში ვცდილობთ დავდგეთ მის გარეშე, ვცდილობთ მოვწყდეთ ჩვენს ჭეშმარიტ არსებას, ისინი კი ყოფიერების შიგნით იმყოფებიან და შედუღებული არიან მის სიბრძნესთან და ამიტომ, შესაძლოა, ისინი — თავიანთი წმინდა ადამიანური შინაარსით — ყველაზე სრულყოფილად ასახიერებენ ამ სიბრძნესა და ყველაზე უკეთესი მოდელებიც არიან დიადი ჰარმონიისა.

მაგრამ არსებობს კი უბიწო, უზადო, უშენარევი და უდანალექო წმინდა ადამიანური შინაარსი? (სხვათაშორის, თანამედროვეობის ერთმა უდიდესმა ფრანგმა მწერალმა ანტუან დე სენტ ეგზიუპერიმ იგი თითქოს ადამიანთა ღიმილში შენიშნა) თუ იგი ისევე საძიებელია როგორც რომელიმე იშვიათი ნივთიერება, რომლის ერთი მისხალის მოსაპოვებლად საჭიროა მრავალი ასეული ტონა მადნეულის გადამუშავება! ყოველ შემთხვევაში, თუ სადმე არსებობს ეგ წმინდა, უშენარევი ადამიანური შინაარსი, უწინარეს ყოვლისა, იგი არსებობს ხალხის სულსა და გულში, მისი გრძნობების, აზრების, შეხედულებების, მისწრაფებებისა და ოცნებების ულევ მადნეულში, ხალხის ყოფიერებაში.

ბოლოს და ბოლოს, მთელი ამ მსჯელობის, უკეთ ვთქვათ, თქვენთან თუ თავისთავთან საუბრის მიზანი ის არის, რომ ვიკითხოთ: უმარტივეს ხალხურ ხასიათებში ხომ არ ეძებდნენ მხატვრული აზრის ტიტანები ცხოვრების ერთიანი სიბრძნის წყაროსთვალს?

ყველა ნიშნით ეს ასე იყო. მაგრამ ერთიანი სიბრძნე მაინც არ გამოვიდა. და კვლავ ვეხლებით ათასგვარ თავსატეხ ანუ წყეველაკრულვიან საკითხებს, როგორც ილია იტყოდა ხოლმე.

საქმე იმაშია, რომ პლატონ კარატაევი და პეტრე არა მარტო სხვადასხვა ხასიათებია, არმედ სხვადასხვანაირი სიბრძნის მიმდევრებიც არიან.

კარატაევი ყველაფერს განგების ძალას აწერს. „არა ჩვენი ჭკუით, არამედ ღვთის განგებითო“, — ამბობს იგი და არ ეურჩება არც სიკეთეს, არც ბოროტებას, არც სიცოცხლეს, არც სიკვდილს. მისთვის ქვეყნიერება განუყოფელია თავის ავსა და კარგში, თეთრსა და შავში. იგი ყოველ ვითარებაში შერიგებულია ცხოვრებასთან და ყოველ საგანსა თუ მოვლენას თავის აუცილებლობაში ხედავს. მისი სიბრძნე და მრწამსი თვინიერება, მოთმინება, მორჩილება და საყოველთაო სიყვარულია. მას ყველა უყვარს, მათ შორის რუსეთის ამწიოკებელი ფრანგებიც კი. მას ბოროტების გმობაც კი ღვთის

გმობად და ცოდვად მიაჩნია. მასში იქვნეულობის, სკეპტიციზმის ნატამალიც არ არის. იგი მთელი თავისი არსებით სტიქიისა და თვითდინების თანაზიარია. იგი წილია მთელის, განგების, ღმერთის და მის არსებაში არაფერია ისეთი, რაც არ იყოს ღმერთის წილი, ღმერთი მასშია.

„მისი ყოველი სიტყვა და ყოველი საქმე იყო გამოვლინება მისთვის ეცნობი მოქმედებისა, რასაც მისი სიცოცხლე წარმოადგენდა. მაგრამ მის სიცოცხლეს, როგორც იგი უყურებდა მას, აზრი არ ჰქონდა, როგორც ცალკე აღებულ სიცოცხლეს. მის სიცოცხლეს აზრი ჰქონდა როგორც მთლიანის ნაწილს, მთლიანისა, რასაც იგი გამუდმებით გრძნობდა. მისი სიტყვა და მოქმედება მოედინებოდა მისგან ისევე თანაბრად, ეცილობლად და უშუალოდ, როგორც სურნელი გამოეყოფა ხოლმე ყვავილს. მას არ შეეძლო, გაეგო ცალკე აღებული სიტყვისა თუ მოქმედების არც ფასი, არც მნიშვნელობა". კარატაევის რწმენით, სამყაროში ყველაფერს განგება აწესრიგებს, ისე როგორც საჭიროა. ადამიანური ნებისყოფა კი მხოლოდ იმისათვის არის მოწოდებული, რომ აღასრულოს განგების კარნახით დაბადებული.

ზემოთ ითქვა, რომ ტოლსტოიმ თავისი შემოქმედების დიდებულ შენობას, ვითარცა მითოლოგიური ატლანტი, ერთ-ერთ ბურჯად შუმი ხალხური ხასიათი შეუყენა. და მართლაც, კარატაევის სული მეტნაკლებად შეიძლება, ამოვიკითხოთ პიერ ბეზუხოვშიც, ანდრეი ბოლკონსკში, ნატაშა როსტოვაშიც და თვით კუტუზოვშიაც კი.

პეტრეს სიბრძნე კი სულ სხვა შედგენილობისაა და სხვა ფესვებზეა ამოსული. სულიერი სიუხვე და გულკეთილობა მას ხელს არ უშლის იყოს ცოტათი იქვნეულიცა და ცოტათი მეამბოხეც ამქვეყნიური უწესრიგობის წინააღმდეგ. იგი არ თვლის თავის ნებისყოფას გარდუვალი. ფატალური აუცილებლობის იარაღად. არც ქვეყნიერებაა მისთვის განუყოფლად მთლიანი. თავის გულუბრყვილობაში იგი საკმაოდ ანალიტიკური თვალისა და გრძნობის კაცია. თითქოს ამბობდეს, იმიტომ კი არ ვარ გაჩენილი ადამიანად, იმიტომ კი არა მაქვს მინიჭებული გონება და ნებისყოფა, რომ ყველაფერს შევეგრიგდე და ყველაფერი მივიღო ისე, როგორც არსებობს და მიედინებაო, არა, ადამიანი ბოროტებასაც უნდა ეურჩოს და სიკეთესაც. მთავარი სიბრძნე კი, რასაც მისი მარტივი სული ასხივებს, ადამიანისა და ბოროტების გაყოფაშია. პეტრეს ღმერთი სწამს, მაგრამ სწამს, როგორც მის გარეშე არსებული.

პეტრემ გულით მიინდო გაჭირვებაში ჩავარდნილი ორი ყმაწვილი, მიიხდო ეა მთელი თავისი მოყვასობა, გულუხვობა და გულ-

კეთილობა უჩვენა მათ. ამ გულკეთილობამ, როგორც შემდეგ ირკვევა, კინალამ ამოაგდო ბოროტების თესლი ადამიანის გულიდან. მაგრამ ყმაწვილებმა მძინარე პეტრე მაინც გაქურდეს. პეტრე შეძრწუნდა, შეძრწუნდა არა იმიტომ, რომ სამმანეთ-ნახევარი დაეკარგა, „აქ, შვილო, სავალალო ეგ კი არ არი, მაგას ვინა ჩივის“. პეტრე წუხს იმაზე, რომ სირცხვილი ჭამა, რომ თავისი უფხიზლობით გზა მისცა ბოროტებას — ქურდობას. „უსუსურმა ბავშვებმა გამქურდეს. ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ“. ქურდობა ბოროტებაა, მან კი გზა ვერ გადაუჭრა ამ ბოროტებას, — აი რა მიაჩნია სავალალოდ პეტრეს. „აი ტაი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც“.

რასაკვირველია, პეტრეს არა აქვს რაიმე ღრმა გონებრივი განსჯის შედეგად მიღებული გამოკვეთილი აზრი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა ადამიანსა და ბოროტებას შორის. ვინ იცის, რომ ეკითხათ, იქნებ კიდევაც ეთქვა, ადამიანი ის არის, როგორსაც ღმერთი აჩენს, ან ბოროტი ან კეთილიო. მაგრამ გულითა და ალღოთი იგი სხვა სიბრძნეს სწვდება: კაცი სხვაა, ბოროტება სხვაა. ბოროტებას, კერძოდ ქურდობას, იგი რასაკვირველია, ჰგმობს, მაგრამ ადამიანებს, თუნდაც იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს ბოროტება ჩაიდინეს. იცოდებს და იწყნარებს — „ღმერთმა იმათ კი შეარგოთო“. მაშასადამე, პეტრე გრძნობს, რომ ბოროტება ადამიანში სადღაც გარედან შედის, რომ იგი არ არის ადამიანის ბუნებრივი არსების თვისება. პეტრეს ალალი და სუფთა გული თითქოს უსიტყვოდ ამბობს: უნდა დაისაჯოს ბოროტება და არა ადამიანიო. ამიტომაც არის პეტრესათვის საოცრება ადამიანის დასჯა. არა და არა, ვერ იჯერებს იგი, რომ მახათას მთაზე მართლაც ჩამოახრჩობენ კაცს! „ეტა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო, რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია“. ვერ იჯერებს. მაშინაც კი, როდესაც საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გააყოფინა ჯალათმა კაცს თავი ყულფში, როგორ გამოაცალა კიბე და როგორ დაიწყო უბედურმა ქანაობა და ფართხალი სახრჩობელაზე. ყოველივე ეს პეტრეს თვალთმაქცობა ჰგონია!.. ყველაფერი მოთავდა, ერთი წუთის წინ სულგანაბული ხალხი მხიარულად ყაყანებდა და ლაზღანდარობდა. „ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ნახა... სარჩობელაზედ დარჩა უძრავად დაკიდებული ის უბედურისშვილი“. და პეტრეს მაინც არა სჯერა კაცის ჩამოხრჩობა. „ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, — ფიქრობს ივი.— ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთ ცვარ ცრემლს მაინც

ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთის-კერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი“.

რა იქვიანი, რა დაუჯერებელი ვინმეა ეს პეტრე! გულუბრყვილოც არის, საოცრად გულუბრყვილო! მაგრამ რა ანკარაა, რა ცვარივით წმინდა ადამიანურია ეს გულუბრყვილო დაუჯერებლობა. სხვა რამ, არა უშუალო ადამიანური, რაც შემდეგ და შემდეგ ერევა და ელექება ადამიანის ბუნებას, ერთი ბეწოც არ არის შიგ. ეს არის პირველქმნილი სიბრძნე ადამიანის არსებობისა! როგორ, ადამიანს ახრჩობენ და ქვეყნიერება არ ძრწის, არ შფოთავს? ადამიანის ჩამოხრჩობა, ადამიანის მოკვლა ეს ხომ ბუნების ყველა წესსა და კანონს ეწინააღმდეგება, ეს ხომ არსებითია და ყველა ამქვეყნიური კავშირის მოშლაა! ადამიანი მეორედ ხომ არ მოვა ამ ქვეყნად! ხომ არ განმეორდება ეს ერთი განუმეორებელი სიცოცხლე. სიკეთე განმეორდება, ბოროტებაც განმეორდება, მაგრამ ადამიანი არ განმეორდება. ადამიანი ერთხელ არის და მერე აღარასდროს აღარ იქნება. თქვენ გინდათ ბოროტება მოსპოთ და ბოროტებას ადამიანიც გადააყოლოთ? მაშინ თქვენ უფრო დიდ ბოროტებას სჩადიხართ ბოროტება ჩამოახრჩეთ, ადამიანს კი ნუ ჩამოახრჩობთ!

ყოველივე ეს პეტრეს გულუბრყვილო იქვნეულობაში ილანდება, ყოველივე ეს მის გულშია, მისი გულისხმაა, მისი გულის სიბრძნეა. რომ ჰკითხოთ, ვერაფერს ამგვარს ვერ გეტყვით. მან არც იცის, რომ მის გულში ასეთი რამ იმალება. მას უბრალოდ გული აქვს. წმინდა ადამიანური გული და არა სჯერა, რომ ადამიანს ასე თვალის სასეიროდ ჩამოახრჩობენ.

პეტრეს გულის სიბრძნე თვალაუხელელი სიბრძნეა. ამიტომაც წააშველა მას მწერალმა ჩამოხრჩობილის ძმა. ეს ნაბდიანი ვაჟკაცი თითქოს ქვეყნის დიდი ცოდვის მესაიდუმლედ გამოჩნდება მოთხრობაში. იგი ამ ცოდვის მსხვერპლიც არის და მხილებელიც. მისი წერილი პეტრესადმი არა მარტო მწარე აღსარებაა იმისა, თუ როგორ დათესა ბოროტება უსამართლო ქვეყანამ მისსა და მისი ძმის გულში, არამედ უმკაცრესი ბრალდებაც არის ამ ქვეყნის მიმართ. ცუდკაცობა არც მას, არც მის ძმას თავიდან არ დაჰყოლია. უსამართლო ქვეყანამ აუმღვრია მათ გული და სამუდამოდ გადაიმტერა. არა, მარტო მამინაცვალი ვერ დაჩაგრავდა მათ, რომ ცუდად მოწყობილ ქვეყანას არ მიეცა მისთვის ამის საშუალება. თვით მამინაცვლის ბოროტებაც — მისი გულქვაობაცა და მტაცებლობაც სამართალგამრუდებული ქვეყნის დანაშაულია.

მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანასა და მის აგებულებას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა ყოველი ადამიანის ბედისათვის, ყოველი

კეთილისა და ბოროტისათვის. ასეთია დასკვნა, რაც მთელი ულმობელობით. გამომდინარეობს წერილიდან, რომელმაც ასე შეაშფოთა და შეაშინა პეტრე.

კითხულობ ამ წერილს და შენც, მკითხველო, არ შეიძლება არ გაიფიქრო, რომ ბოროტება არ არის სავალდებულო თვისება ადამიანისა, რომ იგი მხოლოდ ავადმყოფობაა, სნეულებაა. და ცუდია ის მკურნალი, ვინც ავადმყოფობის მკურნალობას გადააყოლებს თვითონ ავადმყოფს.

ქვეყანავ ნუ იქნები ბოროტი, ადამიანის მიმართ, და ადამიანი არასდროს არ იქნება ბოროტი და უკეთური!

ეს ხომ არსებითად პეტრეს — ამ ქართველი უბირი გლეხის გულისთქმის გაგრძელებაა! მაგრამ არა! როგორც ვთქვით, პეტრეს სიბრძნე თვალაუხელელი სიბრძნეა. ეს კი დიდი ილიას თვალახელილი სიბრძნეა.

იმდენი მიწა სად არის...

(ფიქრები ვაჟაზე)

ამბობენ, ვაჟა მთის მგოსანიაო. მხოლოდ მცირეოდენი სიმარ-თლეა ამაში.

ვაჟა მართლაც საქართველოს ქედების ძუძუნაწოვებია, საქარ-თველოს მთების ღვიძლი შვილია. მაგრამ მთის ყოფით, მთის საკი-ცხებით არასდროს არ შემოზღუდულა მისი მოქალაქეობრივი და პოეტური თვალსაწიერი.

რასაკვირველია, როგორც ყოველ შემოქმედებას, ვაჟას შემო-ქმედებასაც აქვს თავისი გარკვეული ისტორიულ-ყოფითი და ბიო-გრაფიული სათავე. მაგრამ როგორც დიდი, წყალუხვი მდინარე არ არის თავისი სათავის უცვლელი გაგრძელება თუ განმეორება, ვა-ჟას შემოქმედებაც ასჯერ თუ ათასჯერ აჭარბებს თავის სათაველებს.

ვფიქრობ, ვაჟას გენიის სიდიადე კარგად და ლამაზად არის ნა-ვრძნობი მისი ვაჟის — ვახტანგის ნათქვამში, — იმდენი მიწა სად არის, რომ შენი გული დაფაროსო.

მით უკეთესი, რომ ეს ჰიპერბოლა ისევ ვაჟადან მოდის, რომ იგი ვაჟას გულისთქმის მონაშუქია. გაიხსენეთ, პოეტის ერთ-ერთი ადრინდელი ლექსი, „მწყემსი ქალი". რომელშიაც მკაფიოდ და შთამბეჭდავად არის გამოძერწილი სახიერება მკლავზე თავდადე-ბული, უდრტვინველად მბინარე, ლამაზ, ხუჭუჭთმიან ქალისა, ვი-საც ფეხთ ქალამანი და ტანთ გაცვეთილი კაბა აცვია. ზურგზე გუდა ჰკიდია, თავთან კომბალი უძევს. პოეტი მბურვალედ ეეედრება ზე-ცას, რომ მან კალთა აფაროს ამ „ტყის ანგელოზს". ლექსის გარე-გნულ უბრალოებაში იმალება მშვენიერი შინაგანი ფორმა, სადაც ყოველი ნაკვთი, ყოველი კავშირი აცოცხლებს ერთ მთლიან სუ-რათს, რასაც ამთავრებს მშვენიერი ლირიკული აღსარება და ვედ-რება:

თუ მის თვალები გაჰქრება
და სხივს არ მომაყრიანო,
გულის წყლულს არ მომირჩენენ,
ნისლებს არ გადმიყრიანო,
რაც ქვეყანაზე მიწაა
სულამც მე მომაყრიანო.
თქვენც გეხვეწებით, ხეებო,
და შენც, მდინარევ ხმიანო,
ე გოგო — ჩემი სიცოცხლე —
არაფრით დამიზიანო!

ამ აღსარება-ვედრებას რაღაც დიდ ადამიანურ განზომილებაში შევყავართ. იმდენად დიდია გრძნობა გულშემატკივრობისა და სიყვარულისა ამ მძინარე გოგონას მიმართ (მაშასადამე, ყოველი ასეთი უმწიკვლო არსების მიმართ) და იმდენად დიდი იქნება მისი დაღუპვით გამოწვეული მწუხარება, რომ ამ გრძნობებს ჩვეულებრივი სამარე როდი შეეზომება, — მთელი დედამიწა უნდა მესამაროსო („რაც ქვეყანაზე მიწაა, სულამც მე მომაყრიანო"). თავის მხრივ ამ თქმას ალბათ კავშირი აქვს ხალხურ ფრაზებთან („დედამიწამ პირი უყოს..."; „მიწავ, გაუღე კარია" და სხვ.), მაგრამ ვაჟას, როგორც ვხედავთ, პირველადი მასალა გარდაქმნილი აქვს პოეტური სურათის მშვენიერ ლირიკულ ნაკვთად, გრძნობათა დრამატულ ტოლფარდობად, რაშიაც გულშემატკივრობისა და სიყვარულის ღრმა კაცობრიული აზრი იმალება.

თავიდან ამ ლექსს მხოლოდ ერთი მაგალითისათვის მივმართე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ლექსმა სხვა მხრივაც შემიყოლია, შემიყოლია, რადგან აქ უკვე იგრძნობა პირველი თესლი ვაჟას დიდი ჰუმანიზმისა, რის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს სწორედ უშუალო, შეურყვნელი და პირველქმნილი ადამიანური საწყისის უღრმესი სიყვარული და ასევე ღრმა გულშემატკივრობა ყოველივე ცოცხალი არსებისადმი, რასაც კი ძალუძს იტანჯოს. კითხვას — „ვინ არის ნიჭიერი მწერალი?" — ვაჟამ შემთხვევით როდი უპასუხა: ის, „ვისაც დიდად უყვარს ადამიანი, დიდად მოწადინებულია გააბედნიეროს იგი, ვისაც დიდად უყვარს ცხოვრება და ენიაზება მისი გაუკეთესება. ამისთვის საჭიროა დიდი გრძნობა, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა და მისი ცხოვრებისა".

ვაჟამ, როგორც შემოქმედმა, როგორც მხატვარმა, თავის დროში წამოიწყო ჰუმანიზმის თავისებური ახალი თავი. ასე რომ არ ყოფილიყო, ვაჟა ვერც ჩადგებოდა დიდ და პირველხარისხოვან შემოქმედთა მწყობრში. ისე, როგორც ნამდვილი დიდი მეცნიერი არ შეიძლება ეწოდოს იმას, ვისაც თავისი დარგის არცერთი მოვლე-

ნის, არცერთი საგნის რაიმე ახალი კანონი, თუ სულ მცირეოდენი საიდუმლოებაც კი არ ამოუხსნია, დიდი პოეტი, დიდი შემოქმედი არ შეიძლება ეწოდოს იმას, ვისაც ადამიანის სულიერი ცხოვრების უსასრულოდ მრავალ კუთხეთაგან არცერთი კუთხე არ გაუნათებია ახალი შუქით.

ვაჟას პუბლიცისტიკა ყოველგვარ ეჭვს გარეშე გვიჩვენებს, რომ თავისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებით ვაჟა რევოლუციურ-დემოკრატთა პოზიციაზე იდგა. მაგრამ ამ მხრივ იგი არაფრით იყო ორიგინალური და განსხვავებული. საკუთრივ ვაჟა-ფშაველა იწყებს და უმაღლეს მწვერვალს აღწევს სწორედ თავის მხატვრულ შემოქმედებაში.

დროთა ვითარებაში ვაჟას მთელი პოეტური სამყარო სულ უფრო და უფრო გამობრწყინდება და საცნაური გახდება, ოღონდ იხაროს და იზარდოს ფესვებმა მისი სიტყვისა.

ვფიქრობ, ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება დღემდე დიდ ვალშია ამ ბუმბერაზი ქართველი შემოქმედის წინაშე. ვაჟა ჯერ კიდევ მოელის თავის ღრმა მკვლევარს. ეს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ ამცირებს იმ ლიტერატორთა დიდ ღვაწლს, ვაჟას სიდიადეს რომ ჩაწვდნენ და ჩვენც გვაგრძნობინეს იგი. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ პირველი ზარის ჩამორეკვა დიდ ილიას მიეწერება.

მართალია, დღეს ჩვენში არავინ ხდის საეჭვოდ ვაჟას გენიოსობასა და მისი შემოქმედების განუმეორებელ მომხიბვლელობას. მაგრამ ზოგიერთი ნარკვევისა თუ მოგონების წყალობით მისი სახელის ირგვლივ მაინც გროვდება ერთგვარი ჯანღი და ნისლი. მათ შორის, ჩემი აზრით, ფრიად ცუდია, როდესაც იმის ცდაში, რომ როგორმე ნათელჰყონ ვაჟას შემოქმედების ხალხურობა და გვიჩვენონ მისი ხალხური სათავეები, ნებით და უნებლიეთ გვერდს უვლიან, ან ჩრდილში ტოვებენ საკუთრივ ვაჟას დიდ პოეტურ ხელოვნებას. ამით კი არსებითად ხალხური პოეზიის დონემდე დაჰყავთ მისი შემოქმედება. ზოგჯერ თვით პოეტის პიროვნებასაც მეტისმეტად აეგზოტიურებენ და „ამიწიერებენ", მას რაღაცნაირ დეკაცად სახავენ, ვინაც ხან კარგ მოკრივესავით ამოქმედებს მუშტებს, ხან ხატობებში ღრეობს, ხმალ-ხანჯალსაც ატრიალებს, დროდადრო კი მხარზე ხურჯინგადაკიდებული მოაბოტებს თბილისისაკენ... ზოგიერთი ასეთი ფაქტი ემპირიულად, შესაძლოა, მართალიც არის, მაგრამ პოეტის ცხოვრების მთლიან სურათში მაინც არის შეპარული ლეგენდა. ლეგენდა, რაც ასე თუ ისე ყოველთვის აედევნება ხოლმე დიდი პიროვნების სახელს, მით უმეტეს, თუ ამას ხელს უწყობს ამ პიროვნების განსხვავებული ბიოგრაფიაც.

მართლაც, ვაჟას ყოფითმა ბიოგრაფიამ, კერძოდ იმან, რომ იგი მეტწილად მთის სოფელ ჩარგალში ცხოვრობდა, მწყემსობდა, გუთნისდედობდა, ნადირობდა და თანაც მთის ხალხური პოეზიის ანკარა წყაროს ეწაფებოდა. — ზოგიერთი შესანიშნავი მოაზროვნეც კი დააყენა ერთგვარი ბიოგრაფიზმის გზაზე პოეტის შემოქმედების შეფასებაში. ვაჟა ჩამორჩენილი და პრიმიტიულად მოაზროვნე პოეტი არისო. სხვათაშორის, ეს ჩვენებური ბიოგრაფიზმი არ იყო მოკლებული კრიტიკის ფრანგული სკოლის, კერძოდ სენტ-ბეკის ერთგვარ გავლენას. ერთ დროს ზოგიერთმა ლიტერატორმა ვაჟა თემურ-პატრიარქალური წყობილების იდეოლოგადაც კი დასახა, თემური წყობილებისა, რის გადმონაშთებიც მართლაც დიდხანს იყო შემორჩენილი საქართველოს მთიანეთში. ეჭვი არ არის, რომ პოეტის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების სხვადასხვა ფაქტების აღრევამ წარმოშვა ზოგიერთი მცდარი წარმოდგენა. ვაჟას დიდი მხატვრული მემკვიდრეობის — ამ დიდი ეროვნული საუნჯის გაგება. სამწუხაროდ, დღესაც არ არის მთლად თავისუფალი ბიოგრაფიზმის ზოგიერთი დანალექისაგან. ზოგჯერ დღესაც ჰგონიათ, რომ ვაჟა მხოლოდ მთის მგოსანია ანდა დიდად ნიჭიერი ხალხური პოეტია, რომელმაც მხოლოდ მთის ხალხური პოეზიის მარგალიტები შეკრიბა და მძივებად აასხა. მაგრამ გარეგნულად რა ეფექტურიც შეიძლება იყოს ასეთი წარმოდგენა, არსებითად იგი მცდარი წარმოდგენაა. ეს იმასა ჰგავს, რაც სხვადასხვა ფორმით კიდევაც თქმულა ხოლმე, — რომ თქვან, რაკი გოეთეს „ფაუსტს“ მრავალი ფოლკლორული წყარო გააჩნია, გოეთე დიდი ხალხური პოეტია, რომელმაც მხოლოდ ხალხური პოეზია აასხა მძივებადო.

უმართებულო იქნებოდა მეორე უკიდურესობაც. შევცდებოდით, თუ ვიფიქრებდით, თითქოს პოეტის ბიოგრაფიას არ ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ასევე დაგვაშორებდა სიმართლესა და სინამდვილეს პოეტის შემოქმედების ხალხური წყაროების უგულვებელყოფა.

არსებითად საკითხი ეხება იმას, თუ საიდან დავიწყოთ შემოქმედის ახსნა, შემოქმედის გაგება; რა რით გავანათოთ, ანუ უფრო მართებულად, რა რას ანათებს თავისთავად: ყოფითი ბიოგრაფია შემოქმედებას, თუ შემოქმედება ბიოგრაფიას? კაცმა რომ თქვას, განა თვით შემოქმედება არ არის ყველაზე დიდი და ყველაზე მართალი ბიოგრაფია შემოქმედისა? და ისე, როგორც ყოველი ადამიანი ყველაზე ნათლად და ყველაზე მკაფიოდ თავის საქმეებში მოჩანს, განა პოეტიც ყველაზე მეტად თავის ქმნილებებში არ მეღავნდება?

ბიოგრაფიზმის ცალმხრივობამ თავი იჩინა არა მარტო ვაჟას შემოქმედების, არამედ მისი პიროვნების მიმართაც. მაგალითად, ისიც ხომ ითქვა, რომ თითქოს ვაჟა მოკლებული იყო თავისი დროის ევროპული ფილოსოფიური აზრისა და მხატვრული კულტურის ცოდნას. ეს ლეგენდა დღეს სრულიად გაფანტულია. ვაჟას მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა თვალნათლივ მოწმობს, რომ ვაჟა არათუ იცნობდა მსოფლიო ფილოსოფიური და მხატვრული ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებს, არამედ კიდეც ეკამათებოდა ზოგიერთი მათგანის ამა თუ იმ დებულებას...

ზოგი იმასაც ფიქრობდა, რომ ვაჟა გულგრილად ეკიდებოდა თავისი დროის მწვავე საკითხებს, რომ იგი გვერდს უვლიდა ეპოქის სოციალურ წინააღმდეგობებს და სრულიად განმარტოებულად იდგა მთელ ქართულ ლიტერატურაში. ეს მოსაზრებაც ერთგვარი ლეგენდა იყო.

ერთი შეხედვით ვაჟას ნაწარმოებებს მართლაც არ ახასიათებთ ეპოქის გარეგნული ნიშნები, მისი გმირებიც არ არიან მკაფიოდ გარკვეული სოციალური წრის თვისებათა მატარებელნი; ისინი უბრალოდ თემის წევრები არიან და თითქოს მათ ფსიქოლოგიაშიც არ მოჩანს ეპოქის სულიერი გამოკვლილება. მაგრამ ვაჟა წმინდა მხატვრის თვალით ხედავს არსებული სოციალური წყობილების მთელ უკეთმართობას. იგი ძლიერ თავისებურად გამოხატავს თავისი დროის მშრომელი ადამიანის სოციალურ პროტესტსაც და მის მეამბოხე განწყობილებასაც. ბებერი ბერიკაული დიდი ხნის უხმარ და ჟანგით შეპმულ ხმალს ლესავს. ახალგაზრდები ეუბნებიან მას, ხმალს რად ლესავ, შენ ცულს ან ცელს უნდა ლესავდეო. ბერიკაული კი მას ასეთ პასუხს აძლევს:

ყარგახანს ვლესე ესინი,
ვიქნიე ცული, ცელია.
დაეღვარე ოფლი მრავალი.
მით მოვრწყე ტყე და ველია;
მათ სამსახურში დავლე
წუთისოფელი მთელია.
მაინც ვერ ამოვიყვანე
უბეს ნაჯდომი გველია.
ქერის პურს დანატრებულსა,
ვინ მომცა ლუკმა სველია?
საკმაო ხანი ვითმინე,
მოთმენა გამომელია.
ახლა ხმალს ვლესავ გორდასა,
გალესვა იმის ჯერია;
იქნება იმან მიშველოს
და მომაშოროს მტერია.

აქ პირდაპირ ნახსენები არ არის სოციალურად დაპირისპირებული ძალები, მაგრამ ჩაგრული მშრომელის მებრძოლი სულისკვეთება მკაფიოდ არის გამოთქმული. რა მძაფრ დრამატულ ენერგიას ანიჭებს ლექსს მითური სახე — „მაინც ვერ ამოვიყვანე უბეს ნაჯდომი გველია“, თითქოს უღრმესი სოციალური პროტესტის უმძაფრესი პოეტური ელერადობაა მიგნებული. საგულისხმოა, რომ ლექსი „ბერიკაული“ დაწერილია ბობოქარ 1905 წელს.

სოციალურ და ეროვნულ უკუღმართობათა წინააღმდეგ მებრძოლი სულისკვეთების გამოხატვის თვალსაზრისით კიდევ უფრო საგულისხმოა პოეტის ერთ-ერთი შედევრი — „კაი ყმა“, დაწერილი 1909 წელს, ლექსის ფაქტურაში აქაც არ ჩანს ეპოქის რაიმე გარეგნული ნიშანი. არც სოციალური და არც ეროვნული ძალების დაპირისპირება. აქ არის მხოლოდ ხალხი — თემ-სოფელი და მისი მტერი, არის დიდებული სურათი ბრძოლისა, რომელშიაც უნდა გამოიცადოს კაი ყმა.

მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს,
ფარების დადგეს ჯერდეები.
თვალები თვალებს სწველავდეს,
მოციქულობდნენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვეროვდეს;
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.

ეს არის დიდი სახალხო ბრძოლის სურათი, გადაყვანილი ისეთ პოეტურ ყოვლადობაში, რაც მას ანიჭებს დიდ განფენილობას დროსა და სივრცეში.

ასეთ ბრძოლაში კაი ყმა რისხვით უნდა ხვდებოდეს მტერს. „ტკივილს არ გამოიტყოდეს, თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს“, ბრძოლაში პირველი შედიოდეს და ყველაზე ბოლოს გამოდიოდეს:

დარაჯად ედგეს ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.

იქ იდგეს ხმალამოწედილი.
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს,
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი.
თავის გარჯასა ჰმალავდეს.

ძნრიგად. პოეტის იდეალია ყოველგვარი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. ასეთი გმირი. ვაჟას აზრით, მუდამ ღრმად ნიადაგობრივი და მთელი ერის უკეთესი ზნეობრივი თვისებების გამომხატველია.

ვაჟამ გამოხატა თავის ეპოქის სული და ამიტომაც შეეძლო ერთგვარად კიდევაც გაესწრო თავისი ეპოქისათვის.

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ თავისი მხატვრული შემოქმედებით ვაჟამ შორს გაუსწრო თავის საუკუნეს და გარკვეული მნიშვნელობით თავისთავსაც გადააჭარბა, თავისთავზე მაღლაც დადგა. ბევრი რამეთი ეხმაურება და ეთანაზიარება იგი ჩვენი ეპოქის მოწინავე აზრის მოძრაობას, განსაკუთრებით თავის ჰუმანისტურ, ზნეობრივ და პატრიოტულ იდეალებში. მარტო ის რად ღირს, რომ ვაჟამ პირდაპირ გენიალური მხატვრული ინტუიციით იწინასწარმეტყველა, რომ ადამიანთა მოდგმას კარგს არაფერს უქადის ბუნებისადმი შეუბრალებელი, ულმობელი, განურჩეველ-მტაცებლური დამოკიდებულება. დღეს იმ შესაძლებელ საშინელ კატასტროფაზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, მეცნიერება ხომ დაუფარავად სტეხს განგაშს...

განჭვრეტის დიდი ძალით იყო დამუხტული ვაჟას პოეტური სული.

მაგრამ ვაჟას ხმა დიდ ხანს იყო ჩამწყედეული ჩვენი მთის ვიწროებში, დიდ ხანს არ გასცილებია იგი საქართველოს საზღვრებს. ნამდვილად მხოლოდ ჩვენს დღეებში დაიწყო ვაჟა-ფშაველას გასვლა დიდ სამყაროში. მას, როგორც ჩაგრული ხალხის შვილს, ისე როგორც მთელ ქართულ ლიტერატურას, დიდ ხანს ჰქონდა გადაჭრილი მსოფლიო არენაზე გასასვლელი გზები. დამოუკიდებელი ქვეყნის შვილი რომ ყოფილიყო, განა ასე დიდ ხანს დარჩებოდა პოეზიის ეს გოლიათი ასე უცნობი მსოფლიოსათვის?

მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამს ჩვენს ხალხს.

ვაჟა შობილია სწორედ იმ ხალხის მიერ, ვისაც სწყუროდა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ოცნებობდა თავისუფლებაზე და

დღენიადაგ ღღვწოდა მისთვის. როგორც ჩანს, საჭირო იყო თავისი მგზნებარე გულის მთელი ძალით განეცადა სიმწარე თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისა, სიმწარე დაჭრილი არწივის ტრაგიკული ბედისა, საჭირო იყო თავის სამშობლოსთან ერთად, მსგავსად თავისსავე მინდიასი, ტყვედ ჰყოლოდათ ქაჯებს, რომ სემინარიელი ფშაველი — ლუკა რაზიკაშვილი პოეტ ვაჟა-ფშაველად ქცეულიყო.

შობილა კი ოდესმე დიად კაცობრიული რამ ფუფუნებისა და უდრტვინველობის წიაღში? შესაძლოა, ჩვენ — ადამიანები იმიტომაც ვიწოდებით წამებულებად, რომ ცხოვრებაში ყოველივე დიადსა და მშვენიერს უტკივილოდ და უტანჯველად დაბადება არ უწერია. თავად ვაჟამ ეს იცოდა ბრწყინვალედ, შეიძლება ითქვას, თუ ფილოსოფიურმა აზრმა სამყაროსა და სიცოცხლის უსასრულო მოძრაობასა და განვითარებაში ნივთიერების მუდმივი შემოქმედებითი ტანჯვა მიაკვლია, ვაჟას პოეტურმა გენიამ ეს შემოქმედებითი ტანჯვა უმშვენიერეს თვალდანახულ სურათებად გადაშალა.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე ითქვა, რომ ვაჟამ თავისი დიდი ჰუმანიზმის დროშა აღმართა სწორედ იმ დროს, როდესაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიტერატურაში ფეხს იკიდებდა საწინააღმდეგო ტენდენცია.

რასაკვირველია, ვაჟას ღრმა ჰუმანიზმი არც ციდან ჩამოვარდნილა მეტეორივით და არც მის გენიას მოჰყოლია, როგორც რაღაც თანდაყოლილი თვისება, ეს ჰუმანიზმი ქართველი ხალხის, კერძოდ კი მისი მშრომელი ქვედაფენების ისტორიულად გამომუძავებული სულისკვეთების აკუმულირებაა დიდ პოეტურ გენიაში.

ვინ იცის, იქნებ ღრმად კაცთმოყვარული იდეების წარმოშობისა და განვითარების ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგსაც სწორედ იმ ხალხთა ისტორიულ-სოციალური გამოცდილება წარმოადგენდეს, რომელთაც არაერთხელ უტარებიათ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მძიმე უღელი, დამპყრობთა ბევრი შემოსევა განუცდიათ, თავდასაცავად უბრძოლიათ და ამ ბრძოლაში შეუნარჩუნებიათ სულის სიმხნევე, შეუქმნიათ თავისი თვითმყოფადი კულტურა.

ძნელია იმის გარკვევა, როგორი ნიადაგი ჰქონდა და რა პირობებში დაიბადა, ვთქვათ, ისეთი გენიალური კაცთმოყვარული მითი, როგორიცაა მითი მიჯაჭვულ ამირანზე. მაგრამ ერთი რამ მაინც საგულისხმოა. ამ მითს ძლიერ ღრმად აქვს გადგმული ფესვები. კავკასიონისა და მისი შემოგარენის ტომთა შორის, იგი ჩართულია ამ ტომების მსოფლშეგრძნების პირველ სათავეებში. უნდა ვიფიქროთ, იმ ორ ნაკადთაგან, რაც ყოველი ხალხის კულტურაშია, ეს მი-

თი, ალბათ, პროგრესულ ნაკადს ერთვოდა. ბევრი საგულისხმო რამ გაირკვეოდა, თუ ამ კუთხით თვალს გავადევნებდით ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიას.

●

ვაჟა ქართული მითიერი მოდის ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრების სიღრმეებიდან. მისი ნიჭიერება, მისი აზროვნების წყობა და ხასიათი უაღრესად ხალხურია. ხალხური უშუალობისა და ბუნებრიობის ბეჭედი აზის მის სიტყვას, აზრსა და გრძნობას. ვაჟა არ არის სუბიექტივისტურ-ინდივიდუალისტური ტიპის შემოქმედი. მისთვის უცხოა სხვათათვის გაუგებარი და მიუწვდომელი თავნება ხილვა თუ წარმოსახვა, კარდახშული პიროვნული რეფლექსების ნაკადი, ხალხურად მოქნეული და ბუნებრივია მისი პოეტური სიტყვის აღნაგობაც და მიმოხვრაც. გავიხსენოთ შესანიშნავი ლექსი, ვაჟკაცურ სიმღერად გადაქცეული:

დამისხი, დამალევინე
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წალმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი:
ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია,
თვალწინ დამიდგეს ლამაზი,
ერეოლა მამკიდოს ტანშია,
ჯეზი ვკრა ჩემსა ღერჯასა.
გადავეჩეო ზღვაშია.
თქვენთან ვაღლერად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია:
ვერ მაგონებთ კარგ ყმასა.
რაც არ უჯდება ჭკვაშია.

ყოველი ფრაზა აქ ისეა ნათქვამი, როგორც ხალხი იტყოდა ხოლმე მთაში. მაგრამ მთლიანად ლექსი აწეულია დიდ პოეტურ სიმაღლეზე, მოფიქრებული და განცდილია ბრძნულად. ჩამოსხმულია მთლიან შინაგან ფორმაში. პოეტის ნიჭიერების ძალაც ამ მთლიანობის შექმნაშია. რა მკვეთრად, რა სხარტად არის ნათქვამი გმობა არსებული სინამდვილისა, — ეგება წალმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალიო. ნაგულისხმევში შერწყმულია დრამატიზმი და მწარე ირონია: მხოლოდ მთვრალს შეიძლება მომეჩვენოს წალმართად ეს უკუღმართი ქვეყანაო. ასევე მკვეთრად არის გამოხატული სულისკვეთება მეამბოხისა უკუღმართი სოფლის მესვეურთა წი-

ნააღმდეგ. — თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს ბრძოლაში, ცდაში სიკვდილი მიჯობსო. უკომპრომისოა პოეტი უსამართლობისა და ბოროტების მიმართ, — ვერ მააწონებთ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშიო. ვაჟა, რასაკვირველია ცარიზმის შავბნელ სინამდვილეს უმიზნებდა. მაგრამ მისი პოეტური სიტყვა შორს იტყორცნებოდა და ყოველგვარი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად და უპკნობ ესთეტიკურ ფაქტადაც რჩებოდა.

ვაჟა უღრმესი რეალისტია, მაგრამ განსხვავებული და თავისებურია; მისი რეალიზმი ენათესავება ხალხურ რეალიზმს.

ხალხური რეალიზმი! — არის კი ეს ცნება მართებული? შეესაბამება მას გარკვეული სოციალურ-ისტორიული შინაარსი? ჩემი აზრით, უეჭველად შეესაბამება.

ხალხი ასე თუ ისე ყოველთვის რეალისტია თავის დამოკიდებულებაში გარემყარისადმი. იგი სინამდვილეს არ ღალატობს მაშინაც კი, როცა მას ზღაპრულ და მითიურ სამოსელში ხვევს. ხალხის აზრი და გრძნობა, უწინარეს ყოვლისა, მუდამ შეწყვილებული და შეუღლებულია შრომასთან — მის ამ მუდმივ, აუცილებელ წილხვედრთან. შრომა კი, როგორც მიზანშეწონილი ურთიერთობა ბუნებასთან, თავისთავად უკვე რეალისტური დამოკიდებულება ქვეყნიერებისადმი. შრომა ცხადყოფს და ამკვიდრებს ცხოვრებას, ბუნებას სწორედ მით, რომ იმორჩილებს და ითვისებს მის ნივთს, მის საგანს. ხალხის, როგორც მშრომელის მსოფლშეგრძნების პირველ წყაროს წარმოადგენს პრაქტიკული ალღო იმისა, რომ თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებისათვის დაიმორჩილოს ბუნება და მიითვისოს მისი ნივთი. სულიერ ცხოვრებაშიაც ხალხი არსებითად აგრძელებს თავის შრომას, უკეთ ვთქვათ, სულიერ შემოქმედებაშიაც ხალხი უფრო თავის შრომას ბაძავს, ვიდრე ბუნებას. აქაც იგი ამკვიდრებს ცხოვრებასა და ბუნებას სწორედ მით, რომ ცდილობს საბე უკეალოს მათ თავისი მისწრაფებებისა და ინტერესების მიხედვით.

უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოვრებისა და ბუნების ძალთა პირველი სახეცვლა ხალხის სულიერ შემოქმედებაში არის მითი. შეიძლება ითქვას, რომ ხალხი სწორედ მითით იწყებს სამყაროს მხატვრულ ათვისებას. მითი სამყაროს პირველქმნილი მხატვრული სურათია. იგი ასახიერებს ხალხის დამოკიდებულებას ცხოვრებისა და ბუნების პროცესებისადმი, გამოხატავს ხალხის რწმენასა და სულისკვეთებას, ნატვრასა და ოცნებას, სიხარულსა და მწუხარებას.

თავის პირველ სათაეებშიც ხალხური რეალიზმი არსებითად

მითოლოგიური რეალიზმია. თავის შეუნელებელ სწრაფვაში — შეიცნოს ბუნების ჯერ კიდევ შეუცნობელი საიდუმლოებანი — ხალხი ყოველთვის იშველიებს თავის მძლავრ ფანტაზიას. ფანტაზიით „სწვდება“ და „იმორჩილებს“ იგი იმას, რასაც ჯერ კიდევ ვერ მიესწვდენია საქმით. პრაქტიკულად; ფანტაზიით ქმნის იგი ცხოვრების გაუცხოებულ სურათებს, ბუნების იდუმალი ძალების ფანტასტიკურ სახეებსა და სიმბოლოებს. სულს უდგამს უსულო საგნებს. ამეტყველებს უმეტყველო არსებებს, აცოცხლებს მთელ ბუნებას. იქნებ სულიერი შემოქმედების უნარიც შეუცნობელის შეცნობის დაუცხრომელმა წყურვილმა გააღვიძა პირველად ადამიანში.

ვაჟაც თავის შემოქმედებაში ხალხის პირველ გზაკვალს ადგას. მაგრამ იმ დიდი განსხვავებით, რომ, თუ ხალხური რეალიზმი გულუბრყვილო, გაუცნობიერებელი და სტიქიური რეალიზმია, ვაჟას რეალიზმი ღრმად გააზრებული მითოლოგიური რეალიზმია. ვაჟა შეგნებულად მიისწრაფვის შემოქმედების პირველქმნილი ფორმებისაკენ. შემოქმედებაც მისთვის, უწინარეს ყოვლისა, მითის დაბადებაა ადამიანის სულში; მითში ხედავს პოეტი სიტყვიერი ხელოვნების თავანკარა წყაროს. ამიტომაც თითქმის ყოველ მის ნაწარმოებში არის რაღაც მითიური ელემენტი. ვაჟა თავის ნაწარმოებებს ქმნის ცხოვრებისა და ბუნების მასალისაგან, მაგრამ იგი შორს არის ცხოვრებისა და ბუნების ყოველგვარი მიბაძვისაგან. პოეტი ღრმად იხედება სინამდვილის ყოველ მოვლენაში, მაგრამ არა იმისათვის, რომ ფოტოგრაფიულად გადმოიწეროს და გაიმეოროს იგი. არამედ იმისათვის, რომ მისი მასალისაგან შექმნას ახალი პოეტური სინამდვილე, ახალი პოეტური სახეები.

ვაჟა სამშობლოს ბუნების მგზნებარე მომღერალი და გასაოცარი მხატვარია. თუ სინამდვილეში შეეხედავთ იმ მთებს, იმ ტყეებს, იმ მდინარეებს, მთელ იმ ბუნებას, რაც პოეტის ქმნილებებში გვეშლება თვალწინ, უეჭველად განგვაცვიფრებს საოცარი მსგავსებაც და საოცარი განსხვავებაც ნახატისა და ნატურისა. და ჩვენ ვიგრძნობთ დიდი ხელოვნების სიმართლის ძალას. არსებითად პოეტი ბუნების არა მარტო დიდი მესაიდუმლე და მოამაგეა, არამედ მისი დიდი მეტოქეცაა. ვაჟა ეტოქება ბუნებას, ეტოქება მით, რომ იმ სილამაზისა და სიდიადის კვალდაკვალ, რასაც ბუნება სტიქიურად და ბრმად შობს, პოეტი ქმნის, ხატავს და ძერწავს ბუნების დიდებულ გაუცხოებულ სურათებს.

მართლაც, ვის უნახავს მდინარეზე ხელპირის დასაბანად ჩამოსული მთა, სუდარაჩაცმულნი მთანი, თვალებდახუჭული მთები; ვის უნახავს არაგვი, პირი რომ უცინის, ტანიც რომ შვენის ხმლიანი; ვის

უნახავს მტკვარი და არაგვი, ერთურთს რომ ხმლებს უქნევენ და ფარით იცავენ თავს... ვაჟა ხედავს მათ ამგვარად, უკეთ ვთქვათ, ხატავს, ქმნის მათ ამგვარად. ამაში კი არის დიდი სიმართლე პოეტის ხელოვნებისაც და მისი ქვეყნის ბუნებისაც. ვფიქრობ, ვაჟას ეგრეოწოდებელი პანთეიზმიც უმალ მისი პოეტური ხედვის ფენომენალური თავისებურებაა, ვიდრე მსოფლმხედველობა, ვაჟა ბრძენი მგოსანია, მაგრამ განყენებულად მოაზროვნე ფილოსოფოსი არ არის. იგი არასდროს არ ცდილობს გარედან შეღებოს, გარედან დაასურათოს რაიმე განყენებული ფილოსოფიური დებულება. ვაჟა ერთი წუთითაც არ არის მხატვარი-ილუსტრატორი. იგი ქმნის მშვენიერ, განუმეორებელ პოეტურ სამყაროს, რაშიაც მხოლოდ შემდეგ შეგიძლიათ ამოიკითხოთ ფილოსოფიური აზრი.

თავისი უჭკნობი ნაწარმოებების შესაქმნელად ვაჟამ შეგნებულად გადაადნო და გარდაქმნა თავისი მდიდარი ფანტაზიით ქართული მითები, ქართული თქმულებანი — ხალხის გენიის ეს შესანიშნავი ქმნილებანი. ამავე დროს პოეტი ძლიერ შორს არის იმისაგან, რომ ჰქონდეს მითიური სამყაროს რაიმე გულუბრყვილო რწმენა. მითი მისთვის, როგორც უკვე ითქვა, შემოქმედების პირველადი აქტია, ცხოვრებისა და ბუნების მოვლენათა პირველშობილი პოეტური სახეცვლა და გაუცხოებაა. სწორედ ცხოვრებისა და ბუნების ძალთა ასეთი წარმოსახვაა მთელი ვაჟასეული ფორმები და სახეები, ეს დევები და ქაჯები, ეს ძლიერი ვნებებით შეპყრობილი გმირები. მთელი ეს გაადამიანებული და ამეტყველებული ბუნება, კიდევაც რომ იტანჯება და კიდევაც რომ ხარობს. ვაჟა ყველაფერს სულს უდგამს, ყველაფერს აცოცხლებს, რადგან მისთვის ხელოვნებაში, ისე როგორც ცხოვრებაშიც, მშვენიერი და წარმტაცია მხოლოდ ის, რაც ცოცხლობს, მგრძნობიარობს, ფიქრობს და აზროვნებს. მშვენიერია შვლის ნუკრი, რომელიც ადამიანივით მოგვითხრობს თავის მწარე თავგადასავალს; მშვენიერია დაჭრილი არწივი, რომელიც მამაცი მეომარივით წამოდგომას ლამობს, რათა ეკვეთოს მტრებს; მშვენიერია უსაზღვროდ მომლოდინე მთები, რომელთა გულში სანთლები აინთებიან, როდესაც მათ არწივი გადაუფრენს თავზე; მშვენიერია ნისლი, რადგან იგი ფიქრია მთებისა...

●

ვაჟა შესტრფის და შეხარის ყოფიერების თავანკარა სათავეებს, ბუნების პირველად ფორმებს, არსთა და საგანთა პირველქმნილობას.

პირველქმნილობა, რასაკვირველია, პირველყოფილობა და ველურობა არ არის. იგი ყველაზე წმინდა, ყველაზე ხალასი ბუნებრი-

ვი ბუნებაა ყოველივესი, რაც კი იბადება, არსებობს და ვითარდება.

ვაჟა ანსხვავებს და ერთმანეთს უპირისპირებს არსთა და საგანთა ორ ბუნებას: პირველადს და მეორადს, ბუნებრივ ბუნებას და გარეშე პირობებით დანაშრევ ბუნებას. ადამიანი, როგორც ასეთი, როგორც გონიერი არსება, ჭეშმარიტად ადამიანურია მხოლოდ თავის პირველქმნილ არსებაში, თავის წმინდა, უზადო ადამიანურ დამოკიდებულებაში სამყაროსადმი. მაგრამ არსებობისათვის იგი აუცილებლად უნდა ჩაერთოს მრავალნაირ კავშირურთიერთობათა ერთობ დახლართულ ქსელში. ეს კავშირურთიერთობანი მთელი ბუნების, მთელი საზოგადოების ის სასიცოცხლო არტერიებია, რომელთა მეშვეობით ხდება ყოფიერების „ნივთიერებათა" განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა, განუწყვეტელი მოძრაობა და განვითარება. ამ მოძრაობასა და .განვითარებაში ყოველ პირველქმნილობას, ყოველ წმინდა ბუნებრივ ბუნებას, მათ შორის ადამიანის წმინდა ადამიანურ დედაარსს ფენა-ფენად ედება ყოფიერების „ნივთიერებათა" სხვადასხვა დანალექები. ამ დანალექთაგან ჩნდება ადამიანის მეორადი ბუნება, ჩნდება არსებობის პირობებით ნაკარნახევი და განსაზღვრული დამოკიდებულება სამყაროსადმი. მეორადი ბუნება კი ბოჭავს, ავიწროებს და ზოგჯერ კიდეეაც აქრობს პირველადს; მაგალითად, ცხოვრების დანალექისაგან წარმოშობილი და აღზრდილი სული მომხვეჭელისა თუ მტაცებლისა ყოველთვის ლამობს ჩაკლას ადამიანში წმინდა ადამიანური თვისებები. მაგრამ ყოველი ბუნებრივი ბუნება ცდილობს შეინარჩუნოს თავისი დედაარსი. მსგავსად ატომგულში დამწყვდეული ენერგიისა, ბუნებრივი ბუნება ილტვის გაუსხლტეს გარეშე პირობების მარწუხებს, გაარღვიოს, გახლიჩოს არსებობის შემონაგარსი და დაიცვას თავისი სიწმინდე, თავისი პირველქმნილობა. არსებითად ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინააღმდეგობა და ბრძოლა არსსა და მისი არსებობის ფორმებს შორის...

ვაჟა არა განყენებულად, არა გონებრივი მჭვრეტელობით, არამედ საგნობრივად, გრძნობად-პოეტური უშუალობით ხედავს და განიცდის ამ ბრძოლას. და არა მარტო ადამიანი, არამედ ყოველი.საგანი, ბუნების ყოველი ქმნილება ჩართულია ამ მწვავე ბრძოლაში. თვით მთაც, ხეეიც, მდინარეც, ნისლიც. ხეც. ყვავილიც. ბალახიც, ხმელი წიფელიცა და ქუჩიც. პირიმზეცა და იაც ილვწის თავისი ბუნებრივი ბუნების შესანარჩუნებლად: ყოველი სულიერი და უსულო ილტვის, იბრძვის თავისი პირველქმნილი დედაარსის გამოსახსნელად გარეშე პირობების დანალექთაგან, კავშირ-ურთიერთობათა რთული ხლართებისაგან.

არსებობის უმაღლეს აზრს ვაჟა ხედავს ყოველი არსების გაუწყვეტელ ლტოლვაში სრულყოფისაკენ. სრულყოფილი კი არსება იმდენად ხდება, რამდენადაც თავის მოძრაობასა და განვითარებაში იგი აღწევს თავისი ბუნებრივი ბუნების სისავსესა და სიწმინდეს.

პირველქმნილობის სიყვარულის ღრმა გრძნობაში სადღაც ერთმანეთს ხვდებიან დიდი ვაჟა და მისი დიდი წინაპარი — ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბარათაშვილიც შესტრფის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს“, როგორც სამყაროს უხრწნელი საწყისის გამოკრთომას. მაგრამ გენიოსი რომანტიკოსისათვის ეს პირველად ქმნილი ფერი ბუნების მიღმისეულია, არა ამქვეყნიურია. ვაჟასათვის კი ბუნების მიღმა არა არის რა, ბუნება ყოვლისმოქცველია, იგი თვით არის თავისივე აზრი, თავისივე მიზეზიცა და შედეგიც. ხოლო ადამიანი, როგორც ბუნების უმაღლესი ქმნილება, როგორც გონიერი არსება, ჭეშმარიტი ადამიანია არა თავის ხორციელ, ბიოლოგიურ, არამედ თავის სულიერ პირველქმნილობაში.

ადამიანისა და ადამიანობის საკითხის პოეტური გადაწყვეტის თვალსაზრისით განსაკუთრებით შინაარსეულია ვაჟას უკვდავი პოემა „გველის მჭამელი“.

მინდიას სიბრძნე — ადამიანის გონების ეს უდიდესი ზეიმი და ძლევამოსილება — ბუნების უწმინდესი ნაჟური. ეს სიბრძნე დიდი ტანჯვითა და წვალებით იბადება ბუნების იდუმალ ძალთაგან. მინდიას ხომ „გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუს, გაეხსნა“ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ქაჯების ტყვეობაში გაწამებულმა თავის მოკვლა გადაწყვიტა და გველი შეჭამა. და სანამ მინდია ერთგული რჩება თავისი წმინდა ადამიანური არსებისა, სანამ მისი კავშირი ბუნებასთან გონივრულ-სულიერი კავშირია. სანამ მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი ყოველგვარი გარეშე მინარევისა და დანაშრევებისაგან თავისუფალი დამოკიდებულებაა, გამომდინარე მისი ბუნებრივი ადამიანური ბუნებისაგან, — იგი ბრძენი კაცია. მას ესმის ბუნების ენა, გაგებული აქვს ბუნების ბევრი საიდუმლო, უძლეველი მეომარია, ადამიანთა მკურნალი და მასწავლებელია, ხალხის უცდომელი ბელადია, ქვეყნიერების ყველა სილამაზის, ყველა ადამიანური ღირებულების ნამდვილი მეუფენ და დამფასებელია. ქაჯებთან ვადატანილი ტანჯვით მინდიამ თავისი პირველქმნილი ადამიანური ბუნება, თავისი სულიერი არსება გაწმიხსნა თავისსავე ხორციელი არსების ტყვეობისაგან. იმ დღიდან მის სიცოცხლეს დიდი სულიერ-ზნეობრივი აზრი მიეცა: მან შეიძინა დიდი შინაგანი თავისუფლება; იგი უაღრესად თავისუფალი გახ-

და თავის არჩევანსა, მოქმედებასა და საქციელში: გულმოწყალეობს და სიბრალულს იჩენს იქ, სადაც ეს საჭიროა; შრომობს და ბუნების იმ დოვლათს ითვისებს, რის მითვისებაც ცოდვა-ბრალი არ არის; ებრძვის და ამარცხებს სამშობლოს მტრებს, რის გამოც „ვეღარავინ ბედავს რჩოლასა, მყუდროებაა ყველგანა...“ და მინდიასაც „მადლიერი ჰყავს ქვეყანა“. ასეც კი ჰგონიათ, რომ მინდია ღმერთთან ლაპარაკობს: — „ჩვენა გვწამ, შენც ხომ იცი, რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა“ — ეუბნება მას ხევისბერი ბერდია. მინდიას მართლაც აქვს კავშირი ღმერთთან. მაგრამ ეს ღმერთია ქვეყნიერების საფუძველში მდებარე სიბრძნე, ცოდვა-მადლის დიდი გამკითხავი აზრი. მინდიამ აუცილებლად თავისი ბუნებრივი ადამიანური ბუნების გზით უნდა იაროს, რათა შეინარჩუნოს თავისი სულიერი არსების ბრწყინვალება და შინაგანი თავისუფლება. მაგრამ მას წინ ეღობება ცხოვრების მეტად მკაცრი, შესაძლოა, უფრო ულმობელი აუცილებლობა — აუცილებლობა ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა. მინდიას ცოლი — მზია ქმრისაგან მოითხოვს კარგი საარსებო პირობების შექმნას. მოითხოვს შეშას, რომ ზამთარში ბავშვები არ დაუცივდეს, მოითხოვს ნანადირევს, რომ ბავშვებს მსუყე და ჯანისმომცემი საჭმელი ჰქონდეთ. თავისთავად ეს მოთხოვნა თითქოს ბუნებრივიცაა და კანონიერიც. მზია არც შედის და არც შეუძლია შევიდეს ამქვეყნიური ცოდვა-მადლის გარჩევაში; იგი მიაბჯარებლის თვალით შეჰყურებს ბუნებას და მოითხოვს მთელი ნისი დოვლათის გამოყენებას ხორციელ-საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მზიას კიდევაც უკვირს, რატომ მიაჩნია მის ქმარს ცოდვად და ბრალად ხეების მოჭრა, ნადირთა ხოცვა. მინდია კი სწორედ მომხმარებლის ამ სულისკვეთებას უთვლის ბრალად და სულიერ მანკიერებად თავის უდანაშაულოდ „დამნაშავე“ ცოლს:

> არ იცი, არა, ჭკვა-თხელო,
> ყბედო, ზეზერე მგრძნობარეო,
> თავისა სასიამოვნოდ
> წუთისოფლისა მცნობარეო!

გზათა გასაყარიც აქ არის. მინდიასათვის მთავარია ქვეყნიერების ვაგება სიყვარულისა და სიბრალულის, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და სიკეთის გამრავლების თვალსაზრისით. მისი ცხოვრების დიდი მიზანია ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთება. ბოლოს მისი სატანჯველიც ხომ ის არის: „რითიღა ვარგო ქვეყანას“ ან „ვეღარას ვარგებ ქვეყანასო“. მზიას კი წუთისოფელი მხოლოდ თავის სასიამოვნო სამყოფელად მიაჩნია; მისი დამოკიდებულება ბუ-

ნებისადმი მომხმარებლის დამოკიდებულებაა; მას მხოლოდ მომხმარებლის თვალსაზრისით შეუძლია შეაფასოს ყველა და ყოველგვარი ღირებულება ამქვეყნად. ამიტომაც არქმევს მას მინდია „ზეზერე მგრძნობარეს“.

ამრიგად, ერთმანეთს ეჯახება ორი აუცილებლობა, ორი გზა ცხოვრებისა, ორი სულისკვეთება — სულისკვეთება წმინდა ადამიანური სულიერობისა და სულისკვეთება ხორციელობისა. ამ შეჯახებაში, როგორც ვიცით, ხორციელ-ცხოველური სძალავს სულიერ-გონივრულს. მართალია, პირველადი ანუ მთავარი თვისობრივი განმსაზღვრელი ადამიანში წმინდა ადამიანური სულიერობაა, წინაღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ცხოველი იქნებოდა და არა ადამიანი. მაგრამ ვაჟა რეალისტია და იგი ხედავს, რომ ადამიანებში ჯერ კიდევ უფრო ძალმოცემულია მომხმარებლის ანუ ხორციელ-ცხოველური სულისკვეთება, ვიდრე სულიერ-ზნეობრივი სულისკვეთება. ხევსურთა კრებამაც ჩალხიას მეთაურობით შემთხვევით როდი უარყო მინდიას გულმოწყალება ბუნებისადმი. ბოლოს, ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით თვით მინდიაშიც ხომ ბუნების მომხმარებელი სჯობნის ბუნების დიდ მესაიდუმლეს. მინდიას პირველქმნილ წმინდა ადამიანურ არსებას, თანდათან ედება წვრილმან სურვილთა და ვნებათა ჟანგი მისი სულიერ-გონივრული დამოკიდებულება ბუნებისადმი თანდათან იცვლება მომხმარებლის ხორციელ-ცხოველური დამოკიდებულებით. ამიტომ ქრება, ისპობა მისი ჰარმონიული კავშირი ბუნებასთან, იგი ყრუ და ბრმა ხდება ბუნების მიმართ, იფერფლება და იშრიტება მისი სიბრძნე. ასე იბადება მინდიას დიდი ტრაგედია — ტრაგედია ადამიანის ჭეშმარიტი სულიერი არსის რღვევისა და შინაგანი თავისუფლების დაკარგვისა. თვითმკვლელობა კი ამ ტრაგედიის ბუნებრივი დასასრულია.

რა ბრძნული და პოეტურად რა ჟღერადია სურათი იმისა, რომ ბუნება ერთობ გულგრილია მინდიას მწარე ბედის მიმართ:

ნიავიც მიდ-მოდიოდა
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შაღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა,
და გათამაშდის მწუანეზე
ლაღად, მოლხენით სტვენითა.

თითქოს ამ უმონაწილეობასა და გულგრილობაში არეკლილად მოჩანს და იკითხება:

ის, ვინც თავისი კაცობრიული სულიერობის სიმაღლიდან ეშვება ცხოველურ-მომხმარებლურ თავკერძობამდე, ღალატობს თავის ჭეშმარიტ კაცურ არსს და ამით აუფასურებს თავისთავს ბუნების წინაშე, ქვეყნის წინაშე...

სიტყვას თუ გავათანამედროვებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომხვეჭელ-მომხმარებლის დამოკიდებულება ქვეყნისადმი, მეშჩანური და ინდივიდუალისტურ-ეგოისტური მისწრაფებები ადამიანებს ნამდვილად უკარგავთ ქვეყნიერების ყველა ძვირფასი ღირებულების, ბუნებისა და ხელოვნების ყველა სიმშვენიერის ჭეშმარიტ-ადამიანური აღქმის უნარს. ხორცისა და ნივთის მონას სულიერ სილამაზეთა კარები დახშული აქვს.

ვაჟა თავის მგზნებარე ლირიკაშიაც აგრძელებს „გველის მჭამელის“ იდეურ მოტივს. თავის „კაფიებს“, დაწერილს 1903 წელს, პოეტი ასე იწყებს:

ჩონგურს სიმები მოვუწყე
და ზედ დავმღერი ამასა:
როგორ მიყენდოთ ცხოველებრ
მარტო სმასა და ჭამასა?

ხოლო თავის შესანიშნავ „კაი ყმას“ (1909), ამაღლებული რაინდული ზნეობრივობით გამსჭვალულს, ვაჟა ამთავრებს თავკერძა ადამიანების მინდიასებური გმობით:

თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა;
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ
ღეში ალაღოთ, ჭყვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა
გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩამაჭლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჭკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არც იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჭკვდებითა.

უფრო ადრე კი, ჯერ კიდევ „გველის მჭამელის“ დაწერამდე, პოეტმა თქვა ადამიანის ამაღლებული სულიერი არსების სადიდებელი ლირიკული სიმღერა — „ხორცო, დაჰნელდი“ (1896):

ხორცო, დაჰნელდი, დამჭლეედი,
სულო, იხარე, ჰლაღობდე,
ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას
სიტყვის შნოსათვის ვამბობდე.

ხორცი რას მიშველს მარტოკა,
თუ სულით არა ვგალობდე.
სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,
დაე, ლეშითა ვწვალობდე.

პოროტების წყაროდ ადამიანთა ცხოვრებაში ვაჟას ესახება ის ძალები — იქნება ეს სოციალური თუ ეროვნული უთანასწორობანი, ბნელი ადათები თუ ზნე-ჩვეულებანი, ცხოველური ინსტინქტები თუ ცრუ წარმოდგენები — რომლებიც ბორკავენ და არღვევენ ადამიანთა ბუნებრივ ბუნებას, მათ პირველქმნილ სულიერ არსებას. არსებითად სწორედ ამ ბნელი ძალების წინააღმდეგ ილაშქრებენ ვაჟას ვაჟკაცური და მთლიანი ხასიათის გმირები. მათ თავდაუზოგებით უყვართ სამშობლო, უყვართ თვისტომნი და ყოველ წუთს მზად არიან შეეწირონ მათ. მაგრამ ისინი ამავე დროს შორს არიან ყოველგვარი ტომობრივ-ეროვნული შეზღუდულობისაგან, ყალბი ტომობრივი წარმოდგენებისაგან, რაც აფერხებს და არღვევს სხვადასხვა ტომის ადამიანთა ბუნებრივ კავშირს. ეს გმირები თავგადებით იბრძვიან თავიანთი შინაგანი თავისუფლებისათვის, იბრძვიან იმისათვის, რათა გულსა და გონებას აჰყარონ ველურ ვნებათა, ბნელ ზნე-ჩვეულებათა და სხვადასხვა ცრუ წარმოდგენათა ბორკილები. ეს ბრძოლა მკაფიოდ და ცხოვლად არის წარმოსახული ისეთ დიდებულ ეპიკურ ქმნილებებში, როგორიცაა „გოგოთურ და ეფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვ.

გოგოთურსაც. ალუდა ქეთელაურსაც, ჯოყოლასაც, ალაზასაც. ზვიადაურსაც და პოეტის ბევრ სხვა გმირს სწყურია ენდოს და ყური მიუგდოს მხოლოდ თავისი წმინდა ადამიანური არსების. თავისი გულისა და გონების ხმას, იმოქმედოს მათი უშუალო კარნახით. ამ გმირებს სძულთ თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის მტრები და მუდამ შემართული არიან, რათა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლონ მტრებს, მოჰკლან, მოსპონ, გაანადგურონ ისინი. მაგრამ მათ უყვართ ადამიანი, როგორც ბუნების უდიდესი და უგონიერესი შვილი, უყვართ და ამის გამო თვით მტერშიაც კი აფასებენ ეა პატივს სდებენ ადამიანს, მის კაცურ ღირსებებს. ისინი თითქოს გუმანით, იდუმალი შინაგანი გრძნობითა და პირველქმნილი სულიერი არსებით იმეცნებენ, რომ თავიანთ წმინდა კაცურ გამოვლინებაში ადამიანები არ უნდა იყვნენ ერთმანეთის მტრები, არ უნდა ჩაგრავდნენ ერთმანეთს. სწორედ ამ გუმანს, ამ შინაგან გრძნობას მიჰყვება ჯოყოლაც და ალაზაც სხვა ტომის ვაჟკაცთან — ზვიადაურთან დამოკიდებულებაში. მაგრამ ამ წმინდა, თავისუფალი ადამიანური სულისკვეთების გამოვლენისათვის მათ თავს ატყდებათ

სხვადასხვა ცრუ წარმოდგენებითა და ადათებით შეპყრობილი თემის რისხვა. ეს წარმოდგენები და ადათები კი, რაც წლობით გამომუშავებული და შთანერგილია ადამიანებში ცხოვრების პირობებით, საზოგადოებრივი ყოფით, შეადგენენ ადამიანთა არა პირველადსა და უშუალო, არამედ მეორად ბუნებას, სხვადასხვა ურთიერთობათა დანაშრევებსა და შემონაგარსს.

გმირები იღუპებიან ერთი მხრივ — თავისუფალი სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანებსა და მეორე მხრივ — ადათების დამცველ თემს შორის ატეხილ ბრძოლაში, რის სიღრმეშიც არსებითად ჩამალულია წინააღმდეგობა ადამიანთა პირველადს ბუნებასა და მეორად ბუნებას შორის; იღუპებიან, მაგრამ თავიანთი სიკვდილითაც ეს გმირები ამკვიდრებენ ამაღლებული რაინდული ზნეობის, მამაცობისა და შეუდრეკლობის იდეალს, როგორც ადამიანის თავისუფალი სულის უმაღლეს გამოხატულებას.

ვაჟა ბუნებასთან უშუალო სიახლოვის, მასთან ჰარმონიული ზეწყობისა და შეგუების მგზნებარე ქომაგია. ბუნებრივი ყოფა, ლაღი და თავისუფალი ცხოვრება ბუნების წიაღში მას არსებობის ყველაზე სავსე და შინაარსეულ ფორმად ესახება. ვაჟა ვერ ჭგუობს ვერაფერს ნაძალადევსა და ხელოვნურს, არაბუნებრივსა და შერყვნილს. ჯერ კიდევ თავის „მესტვირის ანდერძში", რომელიც 1890 წელს არის დაწერილი, ვაჟა გადმოსცემდა თავის ზნეობრივსა და ესთეტიკურ მრწამსს, თავის მსოფლმხედველობას. ამ ლექსში პოეტი პირდაპირ ამბობს: ტანჯვა-ვაება ჩემს წადილს გზას ვერ აურევს და ქვეყნის ბომონის წინაშე ქედს ვერ მომახრევინებსო; ზოგმა თუ პირადი ბედნიერება არ დავსთმეთ, სოფელს ბნელი დაფარავს და არსებობა გაუჭირდებაო: კარგების ხვედრია რომ ცხოვრების გაუკეთესებისათვის თვითონ შვება და სიამე მოიკლონო; ნუგეშად მეკმარების ჩემი სტვირი, რომლის ყღერა, ვგონებ. ამაოდ არ ჩაივლისო; ღუმცა ზოგს არ მოსწონს „ჩემის სტვირის ველური ყღერა", მაგრამ ჩემი ანდერძი ბევრის გულს დაეწერაო. ამ ზნეობრივ მოტივებს ლექსში მოსდევს პოეტის ესთეტიკური კრედო: ვარდი ვარდია, მაგრამ იმას მაინც ტყეში მოსული ია მირჩევნია, ალვას — წალკოტის მეფეს — კლდეზე გაბარდნილი ღვია მიჯობს და თავმომწონე ეიფელის კოშკს — შავი ლოდები მირჩევნია, კლდეთა ძირს რომ ყრიანო. პოეტი ასკვნის:

ყველა ის მიყვარს, სადაც სიბრიყვემ
სწავლის სახელით არ მიაღწია
და ბუნებრივი წმინდა ქმნილება
ცოდვილის ხელით არ მიარღვია.

აი, სწორედ ამ „ბუნებრივ წმინდა ქმნილების“ იდეაა ვაჟას მსოფლმხედველობის შუაგული.

ეჭვი არ არის, ვაჟა იცნობდა რუსოს მოძღვრებას და ზოგიერთი თავისი შეხედულებით კიდევაც უახლოვდებოდა მას. მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვაჟა რასმეს პირდაპირ დაესესხა ამ მოძღვრებას. ვაჟა უაღრესად თვითმყობადია. მისი მსოფლმხედველობა, უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხის საუკუნეობრივი სულიერი გამოცდილების სიღრმიდან ამოდის, იგი მინდიას ფიქრებიდან არის გამოდნობილი და წარმოშობილი.

რაც შეეხება ხალთქმნილისა და ხელთუქმნელის, ხელოვნურისა და ბუნებრივის, ეიფელის კოშკისა და კლდეთა შავი ლოდების ვაჟასეულ დაპირისპირებას, იგი მეტად ღრმაშინაარსიანი დაპირისპირებაა. ამ დაპირისპირებაში ერთი წამითაც არ შეიძლება ღავინახოთ ცივილიზაციისა და ისტორიულ-კულტურული პროგრესის უარყოფის იოტისოდენა ნიშანიც კი, პირიქით, ვაჟა მთელი თავისი შემოქმედებით ამკვიდრებს ცივილიზაციისა და პროგრესის იდეალს, პროგრესისას, არა როგორც რღვევასა და შერყვნას „ბუნებრივი წმინდა ქმნილებისა“, არამედ როგორც მის გამოხსნას ვარეშე დანაშრევებისაგან, მას აღდგენას, განმტკიცებას და განვითარებას ადამიანის სულშიც და მთელ ნივთიერ გარემოშიც. განვითარებისა და წინსვლის გზა, ვაჟას გაგებით, სწორედ „ბუნებრივი წმინდა ქმნილებისაკენ“ მიმავალი გზაა.

პოეტი ჰგმობს და უარყოფს არა კულტურასა და პროგრესს, არამედ კულტურითა და სწავლით შენიღბულ კაცთმოძულებას, უანგარობით შენიღბულ ანგარებას...

შეიძლება, ითქვას, რომ ვაჟა თავისი შემოქმედებით თავისებურად ეხმაურება და უზიარდება თანამედროვე იდეას ადამიანის სულიერი გაწმენდის, განახლებისა და გაადამიანების პროცესის შესახებ, რაც უნდა მოჰყვეს ღრმა სოციალურ პროგრესს, საზოგადოების ასვლას განვითარების ახალ უმაღლეს საფეხურზე.

შეგნებული სწრაფვა ცხოვრებისა ბუნების ისეთი სახეებისა და ფორმებისაკენ, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ პირველქმნილი სასიცოცხლო ძალა და სურნელება, ვაჟამ გამოხატა იმდენად არა იმით, რომ მეტწილად მთაში ცხოვრობდა და უკანასკნელი სულისხდომის დროსაც მთიდან მოტანილი ფოთლები და ყვავილები დაიყარა გულზე, რამდენადაც იმით, რომ მან, ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე მცოდნემ, თავისი პოემებისა და ლექსებისათვის აირჩია დედაენის ფშავურ-ხევსურული კილოკავი. ამან კი, როგორც ვიცით, მის პოეტურ შემოქმედებას მიანიჭა გამომსახვე-

ლობის უჩვეულო ძალა, განუმეორებელი თავისებურება და მომხიბვლელობა, განსაკუთრებული სიცხოველე და სურნელება.

ვაჟა ღრმად ინტელექტუალური შემოქმედია. მისი ესთეტიკა არა მარტო უღრმეს გრძნობათა, არამედ აზრისა და სიბრძნის ესთეტიკაცაა. ამ მხრივ იგი დიდი რუსთაველის პირდაპირი მემკვიდრეა.

ვაჟას შემოქმედება არ არის მოკლებული შესანიშნავ ფერწერულ სურათებს, მაგრამ იგი უმალ პოეტი-მოქანდაკე, პოეტი-ხუროთმოძღვარია. იგი არა მარტო ფერებში ხედავს, არამედ უფრო მეტად ძერწავს და ჰკვეთს გასაოცარ მონუმენტურ სკულპტურულ ფორმებს. გაიხსენეთ, მაგალითად, უდიდესი მხატვრული ძალით შესრულებული დიდებული მონუმენტური სურათი „ბახტრიონის“ ბოლო თავიდან — დაჭრილ ლუხუმს ულრან ტყეში ჯაგარ-აშლილი გველი რომ მკურნალობს! განა ეს არ არის ხელოვნების მარადიული ძალითა და მომხიბვლელობით აღბეჭდილი სკულპტურული სურათი? თანაც სამშობლოს ისტორიული ბედის რა ღრმა პოეტური წარმოსახვაა ამ სურათში! თქმულება — მითი ღრმა რეალისტური შინაარსით ივსება.

გაიხსენეთ, ტრაგიზმით აღსავსე ჯგუფური სკულპტურული სურათი პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალიდან... ო, რამდენის გახსენება შეიძლება.

მართალი იყო ტიციან ტაბიძე, ვინაც ვაჟას შემოქმედებაში მისი მშობელი ხალხის სულის სიჭაბუკის გამჟღავნება დაინახა.

ვაჟას მთელი შემოქმედება უცილობელი პოეტური გამართლებაა საქართველოსა, ხელოვნებისა, ადამიანისა.

ვაჟას მიმართ თამამად შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც ცნობილმა რუსმა მწერალმა — ლეონიდ ლეონოვმა თქვა ტოლსტოის შესახებ: „ასეთი ადამიანების დგომა ეროვნული აზრის კაპიტანის ბოგირზე თანამედროვეებს უნერგავს ნდობას აწმყოსადმი და უშიშროებას მომავლისადმი“.

ვაჟას მხატვრული მემკვიდრეობა გვინერგავს ნდობას ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოსადმი, რწმენას მისი მომავლისადმი.

1961 — 1969

მცირე სიტყვა დიდ მწერალზე

სიცილის უნარი მხოლოდ ადამიანებს აქვთ. მორწმუნენი ამ თვისებას ღმერთებსაც მიაწერდნენ. არ იცინიან, თუ ვერ იცინიან ცხოველები, ნადირები, ტყიურები.

აი, ხარხარებს ნამდვილი, შუმი ეპიკურელი, თუმცა ეპიკურეზე მას წარმოდგენაც არა აქვს. „სადაც სიამეა და მოლხენა, იქ ჩვენც ვართ, ასე მოგვდგამს გვაროვნობით!.. აბა, შენი ჭირიმე, ორიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავიკლო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა? შენც არ მომიკვდე... მაგაზე მეტი სისულელე იქნება? კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვე და სხვასაც იამება შენი შეხედვა“.

ვითარებაც შესანიშნავად არის შექმნილი სახარხაროდ. შვილი მამის საცოლოდ ორნაქმარევსა და უშვილო ქვრივს დაეძებს. „ხა, ხა, ხა, ხა! აი, და ბეკინა!.. აი და შენი ჭირიმე!.. შენ გენაცვალე შენს ლამაზ წვერებში! ხა, ხა, ხა, ხა! შერცხვენილი ვიყვე, თუ სანაქებოდ არ მოვულხინო“.

ეპიკურული მსოფლმხედველობა შორს არის ჩვენგან. მაგრამ მშვენიერია ეს გოლიათური ხარხარი, შესანიშნავად გამოძერწილი ხასიათშიც და ვითარებაშიც. და განა იგი მხოლოდ „იმერელია“, ან გაფუქსავატებული იმერელი აზნაურის ნიშანია? არა, იგი დიდ ადამიანურ სივრცეშიც არის გატყორცნილი. პირადად მე ეს ხარხარი უზომოდ მაყვარებს ადამიანს, მაყვარებს კირილე მიმინოშვილს, როგორც დიდებულ მხატვრულ სახეს; და მე ვფიქრობ: ადამიანის რაოდენი სიყვარული უნდა ჩაეღვარა თვითონ მხატვარს თავის ქმნილებაში, რომ ესოდენ დიდი გადამდები ძალა მიეცა ამ სიყვარულისათვის!

მწერალს ძალუძს ერთი უბრალო ფრაზის უკანაც კი დააყენოს დიდი ადამიანური შუქი. სიცოცხლის რა მოძალებული ტრფიალი და რა ნათელი იუმორია თუნდაც სიძის შორეულ მიალერსებაში საცოლოდ შეღერებულ ხანდაზმულ სიმამრისადმი: „აი და შენი ჭირიმე!.. შენ გენაცვალე შენს ლამაზ წვერებში!“

ბეკინაც როდია მარტო იმერული ხასიათი. ისიც ფართო ადამიანურ თარგზე აჭრილი ტიპია. ულოგიკო ასოციაცია არ იქნება, თუ გავიხსენებთ მარად ზოგადადამიანურის დამტევ გენიალურ სტრიქონს: „სიყვარულს ყველა ასაკი მორჩილებს". იმერული სამოსელის შიგნით ბეკინას ტრაგიკომედიაც ღრმა ადამიანური ტრაგიკომედიაა, ბეკინა გვახარებს თავისი ძალუმი სასიცოცხლო ენერგიით, გვაცინებს თავისი უკუდო ამპარტავნობით, ახირებული და უდარდელი ხასიათით, გვაღონებს მით, რომ მოდუნებული აქვს გულშემატკივრობისა და რეალობის გრძნობა. საერთოდ, რეალობის გრძნობის მოდუნება მწერლის თითქმის ყველა გმირის საერთო ტკივილია. და ესეც ზოგადადამიანური მოტივია, განუმეორებლად თავისებურ კონკრეტობაში გადაწყვეტილი მწერლის მიერ. პლატონი? მარტო იმ ნიშნით, რომ ორნაქმარევ და უშვილო სადედინაცვლოს მჭმუნვარე მძებნელია. იგი ღიმილია იმისა, რომ უკეთეს ტრაგი-კომიკურ სახეთა შორის ჩადგეს. იგი გვაცინებს თავისი საოცრად ულნაური თავგადასავლით, გვაღონებს და თანაგრძნობის ნაპერწკალსაც კი გვიღვივებს გულში თავისი მწარე დარდითა და ბოღნით, გვაშფოთებს თავისი გამხეცებით...

რა არის ეს, მხილება და დაცინვა?

ნუთუ მხილება და დაცინვაა, მაგალითად, დაუვიწყარი სახე მომტყუებელი და მოტყუებული ღატაკი აზნაურის ყოლომონ მორბელაძისა, რომლის გული ბოლოს „სიბრალულით აივსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი" და რომელმაც სასოწარკვეთით ამოიკვნესა: „საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს"; ან კიდევ სახე თითქმის დამუნჯებული ლევან ქამუშაძისა, რომლის ცხოვრების ტრაგიზმით სავსე სურათს გვიშლის თვალწინ მწერალი?

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თავის ფრიად საყურადღებო მონოგრაფიაში დავით კლდიაშვილზე ა. გაწერელიას ძალიან კარგად აქვს შენიშნული მწერლის ერთ-ერთი შესანიშნავი კონტრასტული ხერხი ხასიათთა გადასაწყვეტად მათი სიტყვაძვირობისა (უკეთ ვთქვათ, ენაჩავარდნილობისა) და სიტყვამრავლობის მიხედვით; თუმცა, არა გვგონია, რომ ამ სიჩუმისა თუ უსიტყვობის იქით სიცარიელე იყოს, პირიქით, მის იქით ადამიანური მწუხარების მთელი უკუნეთია, იგი დამუხტულია უმძაფრესი საყვედურით მოუწესრიგებელი ქვეყნიერების მიმართ.

ს. ჭილაიამაც, ჩემი აზრით, დავით კლდიაშვილის შემოქმედების სწორი გასაღები მოიმარჯვა, როდესაც თავისი წერილი დაიწყო მწერლის სიტყვებით: მე არასდროს არავისთვის არ დამიცინიაო...

თვალწინ გვიდგება უდიდესი კაცთმოყვარე შემოქმედი!

მეტი რომ არა ვთქვათ, საკმაოდ გაცვეთილი შეხედულების იუ-რცია იქნებოდა იმის ჩიჩინი, რომ დავით კლდიაშვილმა ამხილა ი	რეთის წვრილფეხა აზნაურობა, გვიჩვენა მათი უნიადაგობა, ისტორიული განწირულება, დასცინა და ნაღვლიანი ღიმილით უთხრა უბადრუკ. დაკნინებულ, მაგრამ მაინც კუდაბზიკა და მკვეხარა ადამიანებს. ინგრევა თქვენი სამყარო, ესვენება თქვენი მზეო.

დიდი ამბავი, წყალწაღებულს უთხრა, წყალწაღებული ხარო, ამხილო და დასცინო იმას, ვინც უკვე აშკარად მხილებული და ნიადაგგამოცლილია თავის ცხოვრების მიერ!

ეს რომ იყოს მთავარი დავით კლდიაშვილის ქმნილებებში, მაშინ იგი. ჩემი აზრით, ერთობ ლოკალური მნიშვნელობისა და მეტად ვიწრო თვალსაწიერის მწერალი იქნებოდა. დიდად საბედნიეროდ, ეს ასე არ არის, არა, მას არ შეუსხამს გაძვალტყავებულ ჯორებსა და ცხენებზე ადგილობრივი და სადღეისო კარიკატურები, როგორც ეს ეჩვენებათ ზოგჯერ, და მათი წარმავალი დოღი არ გაუმართავს.

დიდი ჰუმანისტისა და განუმეორებლად თავისებური მწერლის დავით კლდიაშვილის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მან დუხჭირი ცხოვრების წიაღში აღმოაჩინა სისხლსავსე ადამიანური ხასიათები ღრმა გრძნობებით, დიდი ტკივილებით, მწვავე საკითხებით და გამოკვეთა მათი დაუვიწყარი სახეები. მწერალმა ამხილა არა ეს ადამიანები, არამედ მათი მწარე ხვედრის მეშვეობით — სწორედ ის სინამდვილე, არსებულიც და შესაძლებელიც, რომელიც აჩანაგებს ადამიანებს.

ქართველი სერვანტესი, (ვგონებ, პირველად ეს გ. ნატროშვილმა თქვა) მართებული მიმსგავსებაა და ჩვენი მწერლის შემოქმედების გაგების სწორ გეზს იძლევა. მაგრამ ნათესაობა საძებარია არა მარტო გარეგნულში, ვთქვათ, იმაში, რომ ჩვენი მწერლის გმირებიც ხშირად მიაჩაქჩაქებენ გაბეხრეკებულ ჯორებსა და ცხენებს, არამედ უფრო მეტად გმირების ხასიათის შინაგან უსწორმასწორობაში, მათ ადამიანურ მისწრაფებათა და მათ ადამიანურ შესაძლებლობათა გათიშულობაში, რეალობის გრძნობის მოდუნებაში.

ადამიანის სიყვარული და გულშემატკივრობა ადამიანის მიმართ — მთავარია დავით კლდიაშვილის დამოკიდებულებაში გარემომცველ სინამდვილისადმი. მწერალმა გაუსწრო თავის დროს იმის გააზრებაშიც, რომ თვით უმაღლესი კაცთმოყვარული იდეებიც კი თავისსავე წინააღმდეგ შებრუნდებიან, თუ საამისო გრძნობებიც არ ღვივის გულში, თუ მათ არ ახლავთ ღრმა ადამიანური გულშემატკივრობა.

შემთხვევით როდი აქვს ჩაწერილი დიდ მწერალს თავის მოგონებებში შემდეგი სიტყვები:

„ნაშრომს კი ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა“.

„ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა“.

„ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დამკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია“.

სიყვარული და გულშემატკივრობა — ესაა ქვაკუთხედი ნამდვილი ადამიანურობისა!

ო, როგორ საჭიროა ყოველივე ეს დღესაც. ხვალაც, ზეგაც.

გალაკტიონი

მცირე მოგონება

გალაკტიონი ქართული პოეზიის მთელი ეპოქაა.

ვიხსენებ პოეტთან პირადი შეხვედრის წუთებს... ჩემი დაკვირვებით, გალაკტიონი ერთობ რთული და მრავალწახნაგოვანი პიროვნება იყო, ძნელად გამოსაცნობი, ძნელად მისაწვდომი, ხან დიდი ბავშვივით უშუალო, ყურადღების მოყვარული, ხან პირქუში, მეფისტოფელივით სარკასტული, ხან თითქოს ძლიერ გულღია, ხან კი ასკეცად გულჩახვეული; უაღრესად განათლებული და უხვად ინფორმირებული ცოდნის ბევრ დარგში, განსაკუთრებით ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ზოგჯერ, ჩემი შეტყობით, პოეტი ჩვეულ ადამიანურ ნიღბად იკეთებდა ხოლმე მოჩვენებით მიამიტობას, მიამიტურ გაოცებას. და ეს თითქოს კიდევაც შვენოდა მას. ერთი სიტყვით, გალაკტიონი, როგორც პიროვნებაც, მის უკეთესი ლექსებივით განუმეორებელი იყო.

ერთხელ, ვგონებ უნებლიეთ, ვაწყენინე პოეტს და პოეტმაც მაწყენინა.

1941 წლის ზაფხულში, ომის გაცხარებულ დღეებში, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ, სადაც იმ დროს მეც ვმუშაობდი, გადაწყვიტა ფრონტისათვის დროდადრო გამოეცა ახალი პატრიოტულ-საბრძოლო ლექსების პატარ-პატარა კრებულები. ვთხოვეთ პოეტებს მოეწოდებინათ ახალი ლექსები.

— პირველი კრებული თქვენი ლექსით უნდა გაიხსნას, — ვუთხარით გალაკტიონს. ეს ესიამოვნა პოეტს და მან, მართლაც, თითქმის ყველაზე ადრე დაგვიწერა ლექსი; მესამე თუ მეოთხე დღეს ჩვენ უკვე ხელთ გვქონდა საკმაოდ მოზრდილი და შემდეგ უკვე საკმაოდ ცნობილი ლექსი გალაკტიონისა — „სამშობლოსათვის“, რომელშიაც ბევრი ისტორიულ-პოეტური წიაღსვლაა, ვთქვათ, ისეთი, როგორიცაა:

> რა შეემთხვა ერთ კართაგანს,
> უაღრესად მძლავრს და ზვიადს,
> რომთან ქიშპში მყოფ კართაგენს,
> თვით იმ რომს და ბიზანტიას?

მართალია, ეს ლექსი ერთობ ხმიერი საბრძოლო მოწოდებით მთავრდებოდა, მაგრამ მთლიანად იგი მაინც რთული პოეტური ნაჭედობისა იყო და არცთუ მკვეთრად თვალშისაცემი... გადაწყდა კრებულის ორად გაყოფა, რომ ერთი კრებული დაპირებისამებრ გალაკტიონის ლექსით, ხოლო მეორე უფრო პირდაპირი მოწოდებითი ლექსით გახსნილიყო. მოხდა ისე, რომ ეს მეორე კრებული პირველ კრებულზე რამდენიმე დღით ადრე გამოვიდა. გალაკტიონმა ნახა და სანამ თავისი ლექსის ამბავს იკითხავდა, მე დავასწარი:

— პატივცემულო გალაკტიონ, ხვალ-ზეგ გამოვა ის კრებულიც, რომელიც თქვენი ლექსით იხსნება...

პოეტს არაფერი უთქვამს, იგი ცივად გავიდა გამომცემლობიდან. რამდენიმე დღის შემდეგ მას საგანგებოდ გავუგზავნეთ კრებული, რომელიც მისი ლექსით იხსნებოდა.

შემდეგი კრებულისათვის ისევ მივმართეთ გალაკტიონს.

— ჰო, ჰო, გასაგებია. — თქვა პოეტმა, — ალბათ, ახლაც პირველ კრებულს სცემთ და ჩემი ლექსით გინდათ გახსნათ! — ჩაიცინა და მერე თითქოს ნერვულად დაუმატა, — არ მიყვარს ეშმაკობა, არ მიყვარს ყალთაბანდობა... რა იქნება, რომ არ დაგიწეროთ ლექსი?

მეწყინა.

— როგორც გენებოთ, ბატონო გალაკტიონ! თქვენი ლექსები ჩვენ უფრო დიდი მიზნებისა და გრძნობებისათვის გვესაჭიროება. ვიდრე რაიმე წვრილმანი გრძნობაა...

გრძელი დიალოგი არ გამართულა.

მეორე დღეს პოეტმა გამომცემლობაში მოიტანა ხელნაწერი და გამომცემლობის სანდომიან მემანქანეს თვითონ უკარნახა ლექსი „კავშირი გულთა შორის“.

— ამ გოგონას. როგორც ჩანს, ძალიან მოეწონა „კავშირი გულთა შორის, კავშირი გულთა შორის“. — ჩვეული მთრთოლვარებით თქვა პოეტმა და ეშმაკური ღიმილით გადახედა ართცუ მთლად გოგონა გოგონას.

ამრიგად ორი აღნიშნული ლექსი გალაკტიონმა დაწერა გამომცემლობის დაკვეთით. ამაში, რასაკვირველია, საეჭვმანო არაფერია: ხელოვნების ბევრი უკვდავი შედევრი შექმნილა დაკვეთით.

ჩემს სამიმოხილვო წერილში — „სამამულო ომი და ქართული საბჭოთა პოეზია“, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ 1942 წლის № 2-ში დაიბეჭდა, მიმოხილვას სწორედ გალაკტიონის აღნიშნული ლექსებით ვიწყებდი. ზარბაზნების ქუხილში უკვე აღარ სდუმან მუზები: ზიზღი და მრისხანება ფაშისტი კანიბალების მიმართ

თითქოს ახალ, მუქ, დრამატულ საღებავებად შეემატა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ფერადებს, — ვამბობდი მე, — შთაგონებული ისტორიული წიაღსვლებითა და პარალელებით პოეტი მხატვრულად ასაბუთებს საბჭოეთის გამარჯვების გარდუვალობას-მეთქი; ბრძნულ, პოეტურ წინასწარმეტყველურად მივიჩნევდი პოეტის სიტყვებს:

ჩვენს სამშობლოში
წყდება ბედი
კაცობრიობის.

შეხვედრის ძვირფასი წუთების იმ შინაგან ხატთა და მოძრაობათა სათვალავს თუ შევუდექით, რომელთაც ველარასოდეს ვერ გავაცოცხლებთ, სევდა დაგვახრჩობს. ბევრჯერ წარმომიდგება თვალწინ ცოცხალი პოეტი. მკაფიოდ მახსოვს იგი მოსკოვში, მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე. .1954 წელს. აქ პოეტი თითქოს ჩრდილში იყო; ჩრდილში ყოფნას კი ჩრდილების მოტრფიალე მგოსანი ვერ იტანდა (ვინ გაექცევა თავის ადამიანურ სისუსტეს?); ეკლებგამოსხმული ჩანდა; ენაკვიმატობდა ზოგთა და ზოგთა მიმართ. მისი შესაფერი სახელოვნება რომ აკლდა საერთოდ მის სახელს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც იყო და არის, რომ მისი ლექსები ძნელად ითარგმნება რუსულ თუ სხვა ენებზე. მაგონდება ვიღაცის თქმული: პოეზია ის არის, რაც თარგმნის დროს იკარგებაო. იქნებ, ამ ნათქვამში, რაღაც სიმართლეც იყოს, განსაკუთრებით, ენის მუსიკაში ჩაძირული პოეტების მიმართ. გალაკტიონი ხომ ქართული ენის ჯადოქრული ამუსიკებაა.

რატომღაც პოეტისეული კარალეთის დღეების მოგონებათა შუქის მოფენას ვგრძნობ, როდესაც ვიგონებ გალაკტიონის მოგზაურობას თავის სამშობლო კუთხეში — ვანის რაიონში, — 1955 წლის ივლისის პირველ რიცხვებში. თბილისიდან ამ მოგზაურობაში პოეტს ვახლდით: პოეტი ანდრო თევზაძე — წრფელი კაცი, მთელი არსებით მგრძნობელი პოეტური სიტყვისა, შესანიშნავი დეკლამატორი; მასწავლებელი ფატი ნიშნიანიძე — თავდავიწყებული მოყვარული გალაკტიონის ლექსებისა (ფ. ნიშნიანიძემ კიდევაც გამოსცა მოგონებები გალაკტიონის მოგზაურობაზე); კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი — ვახტანგ გურგენიძე და მე. თბილისის სადგურზე, ღამით ვაგონში რომ მოვიყარეთ თავი, მე მომეჩვენა, რომ მგზავრობის პირობები ვერ იყო მთლად სასურველი და ერთგვარი საყვედური გამოვთქვი მგზავრობის მომწყობთა მისამართით. გალაკტიონმა უმალვე მომიჭრა სიტყვა: „რა დააშავა ახლა ასე-

თი ამ ხალხმა, ჩემო ძამიკო“. გავჩუმდი. მხოლოდ გავიფიქრე. არ კი მითქვამს: „თქვენზე ვწუხვარ, თორემ მე რა...“

ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონმა თვალი შეგვავლო და თქვა:

— ჩავალთ ახლა ჩვენ იქ, ჩემს სოფელში, და დიდ კოცონს ავაგიზგიზებთ, არა?.. ჩვენთან ერთად ჩვენი ბესიაც რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა. მაგრამ არა უშავს, ჩვენც ხომ ოქროპირები ვართ

პოეტს მხედველობაში ჰყავდა ბესო ქოღენტი.

იმაზე, თუ როგორ აღფრთოვანებით შეხვდნენ პოეტს თანამემამულეები, სიტყვას არ გავაგრძელებ. მე უფრო პოეტის პიროვნების გამოვლინებას ვიხსენებ.

ჩემი შთაბეჭდილებით, თავის სამშობლო კუთხის მიწაზე რომ დადგა ფეხი, პოეტმა თითქოს მოიწყინა. ვინ იცის, გარდასულ სახეთა და სურათთა რაოდენი ლაშქარი შეესია მის მგრძნობიარე სულს და რანაირი ფიქრები აღუძრა მას. სიტყვაძუნწობდა, იშვიათად თუ გაიღიმებდა. მახსოვს, მხოლოდ რამდენიმე ხანდაზმულ ნაცნობს გაუცინა. ხელი ჩამოართვა და ზოგიერთი, ვგონებ, კიდევაც მოიკითხა. კარგი იყო პოეტის შეხვედრა თავის ბიძაშვილთან — სვიმონ ტაბიძესთან — ტიციან ტაბიძის ძმასთან. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და მე მომეჩვენა, თუ მართლაც ასე იყო. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, — ორთავეს თვალებში თითქმის ცრემლამდე მისული სიხარული შევნიშნე.

ვანელებმა რამდენიმე წვეულება მოაწყეს გალაკტიონის პატივსაცემად. იქ არსად პოეტს წვეთი ღვინო არ დაულევია. ბინად ვანის სასტუმროში ვიყავით. ერთი ღამის გათევა პოეტსა და მე ერთ ოთახში მოგვიხდა. რალაცნაირი იდუმალებით აღსავსე ეს ღამე ჩემთვის დაუვიწყარია. შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც ძილში მძიმე ოხვრა ჩამესმა. გამეღვიძა. თვალი გალაკტიონის საწოლისაკენ გავაპარე. პოეტი თითქოს ღამის ლანდებს ეჩურჩულებოდა, ფანჯარას მისჩერებოდა, თვალები ფოსფორულად უკიაფობდნენ, დროდადრო ოხრავდა. შევეცადე, რომ პოეტს არ გაეგო ჩემი მღვიძრობა, უეჭველად ფრიად განსხვავებული სულიერი აღნაგობის ადამიანი იყო გალაკტიონი. ჩანს, ზოგჯერ მას ძლიერი ღამეული ხილვები ჰქონდა. დილით პოეტს თითქოს სრულიად უადგილოდ და უკავშიროდ ვუთხარი:

— რაშია საქმე, ვერ გამიგია! ასე მეჩვენება, რომ აქაურ ღამეში თითქოს შავი გედები დასცურავენ.

პოეტი, მგონი, მიმიხვდა, რომ ღამის სიუჟეტის განვითარება მსურდა, რათა მისი შემოქმედებითი ფსიქოლოგია მეგრძნო; შეფარული ირონიით მიპასუხა:

— ნუ გეჩვენება! რა უნდა შავ გედებს ამ ჩვენს მხარეში!

იმ დღეს რაიონის ცენტრს აუარებელი ხალხი მოაწყდა: მოსწავლეები, ინტელიგენცია, კოლმეურნეები. საგანგებოდ გამართულ ტრიბუნაზე მასპინძელთა შორის მტკიცე ბურჯივით იდგა ქალწვეროსანი ჭარმაგი კაცი — გალაკტიონ ტაბიძე. თვითეული ჩვენთაგანი ცდილობდა თავისი საუკეთესო სიტყვა ეთქვა დიდ პოეტზე. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ჩემი სიტყვის კმაყოფილი ვერ დავრჩი. მახსოვს, შეკრებილთ მივმართე: „თქვენი დიდებული თანამემამულე საქართველოს სახალხო პოეტი — გალაკტიონ ტაბიძე თანამედროვე ქართული პოეზიის დიდი დედაბოძია. იგი ისევე უსწორებს მხარს ჩვენი დროის პოეტური კულტურის მსოფლიო მწვერვალებს, როგორც თავიანთ ეპოქაში მსოფლიო პოეზიის მწვერვალებს მხარს უსწორებდნენ შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“..

სხვებთან ერთად მეც შევეცადე მსმენელთათვის მეგრძნობინებინა გალაკტიონის შემოქმედების სიდიადე და სიმშვენიერე... მაგრამ, მოგეხსენებათ, მიტინგს თავისი განსხვავებული გარეგანი სმენა აქვს. გალაკტიონის პოეზიაში ჩასაწვდომად კი, ისე როგორც ყოველ დიდ პოეზიაში ჩასაწვდომად, შინაგანი სმენის განსაკუთრებული გამახვილებაა საჭირო...

შესანიშნავი იყო დიდი წვეულება ღამით, ტოტებგაშლილი უზარმაზარი ჭადრის ქვეშ — სოფელ სალხინოში — ლორთქიფანიძის კარმიდამოში. შესაძლოა, სადღაც აქ გალაკტიონისეული ატმის ყვავილების ან დაბინდული ქლიავის ფერებიც გაგხსენებოდათ. გალაკტიონი აქაც რატომღაც მჭმუნვარე და მდუმარე იყო. შედარებით ხალისიანად გამოიყურებოდა იგი ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას; აქა-იქ მოსაწვლეთა ჯგუფებს რამდენჯერმე ხელიც გადახვია.

სოფელი ჭყვიში. პოეტის მამაპაპეული კარმიდამო რიონის პირად, მისი მამაპაპისეული სახლი-დარბაზი, დაბლა დადგმული უბოკონო. აქ პოეტი უჩვეულოდ შემოკრებილი და შეუდარებელი იყო. თითქოს მთელი ეს დღეები იგი შინაგანად ემზადებოდა, რომ აქ აფეთქებულიყო, დიდებულად აფეთქებულიყო. თავის ძველ სახლში, ორმწკრივად გაშლილ სუფრაზე, რომელსაც იქით-აქეთ ესხდნენ პოეტის თანასოფლელები, კოლმეურნეები, მასწავლებლები, შინაური და გარეშენი, პოეტმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა ფორმითაც და შინაარსითაც. ეს იყო მხურვალე აღსარება, შთაგონებული მონოლოგი, გულწარმტაცი ქადაგება. ბევრი კინო და ფოტოაპარატის ნაცვლად საქართველოს კინომუშაკებს ერთი მაგნიტოფონი

რომ წამოეღოთ და პოეტის ეს სიტყვა ჩაეწერათ, შთამომავლობას პოეტის ბრწყინვალე ნააზრევს შეუნახავდნენ. მე, რასაკვირველია, არ ძალმიძს იმ სიტყვის მიახლოებითი აღდგენაც კი, მხოლოდ ზოგ რამეს თუ გავიხსენებ ძლიერ მკრთალად, ძლიერ შორეულად.

— მოკეთეებო, მეზობლებო, მეგობრებო! — მიმართა ხალხს პოეტმა, — მე მოვედი აქ ჩემს ძველ კარმიდამოზე, ჩემი რიონის პირად, მოვედი ჩემი ბავშვობის, ჩემი ყმაწვილკაცობის გადაკარგულ დღეებთან, მოვედი თქვენთან, რომ ერთხელ კიდევ განვამტკიცო ბედნიერი შეგნება იმისა, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. რომ ჩემი ყოველი ღირსება და ყოველი ნიჭი თქვენებურია, თქვენი ზიარია, ჩვენებურია... მოვედი თქვენთან, ჩემს მეზობლებთან, ჩემს მოყვრებთან, რათა კვლავ და კვლავ გავიხსენო, რომ ჩემმა წინაპრებმა, თქვენმა წინაპრებმა, აქაურმა მიწის მუშამ, აქაურმა მებაღემ მასწავლეს მე გულისხმიერება ყოველივე სულდგმულის მიმართ, ყოველივე იმის მიმართ, რაც კი ქვეყნად არსებობს. გულისხმიერება ნიშნავს იმას, რომ შეგეძლოს ყური დაუგდო მთელი ქვეყნის ხმას, მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამს, ყური დაუგდო ყოველი არსების ხმას, ამ ცის, ამ მიწის, ამ ხის, ამ მდინარის ხმას და შენი ხმა, შენი გულისცემა შეუწყო ამ ხმებს... მე აქაური მებაღისაგან გამიგონია, დედაჩემისაგან გამიგონია, რომ არის ერთი მწვანა ჩიტი, რომელსაც თავისი ხმის გარდა არაფერი არ ესმის. ამიტომაც ამ მწვანა ჩიტის ხმა შესაზარია. იადონი კი მუდამ ყურს უგდებს ბუნების ხმას, ბუნების გალობას და თავისი ჰანგებით ეხმაურება მას. ამიტომაც არის იადონის გალობა ასეთი მშვენიერი და მომხიბლავი... ასეთი უნდა იყოს პოეტიც...

გალაკტიონმა დიდხანს ილაპარაკა გულისხმიერებაზე, როგორც ყველაზე დიდ სიკეთეზე, რაც კი შეიძლება ჰქონდეს მომადლებული ადამიანს; ილაპარაკა იმაზე, რომ გულისხმიერებით შეიძლება შემუსროთ თვით ბოროტებაც კი; ილაპარაკა შრომის წარმტაც სილამაზეზე, მის დიდ ზნეობრივ ძალაზე, ილაპარაკა სამშობლოს სიყვარულზეც...

პოეტის სიტყვას ყურს რომ ვუგდებდი, გზადაგზა, ასოციაციით, მისი ზოგიერთი ლექსის სტრიქონები მახსენდებოდა. ბუნების მუსიკისათვის ყურის დაგდებასთან დაკავშირებით გამახსენდა:

მოგონებებმა შენს ჩრდილში ნახა
მზე გამქვირვალე, როგორც თივთიკი,
ვესაუბრები შენს ჩრდილს — რაა, რომ
მე პოეტი ვარ, შენ — ევკალიპტი?

ვწუხდი და აქამდე ვწუხვარ, რომ ვერც პოეტის სიცოცხლეში და ვერც მას შემდეგ მომიხერხდა დამეწერა მისი შემოქმედების შესახებ ვრცელი და საფუძვლიანი რამ, გარდა ორიოდე რეცენზიისა და რამდენიმე სახელდახელო დახასიათებისა, რაც ზოგიერთ წერილსა თუ ზეპირ სიტყვაში გამომითქვამს.

მცირე წერილი, „გალაკტიონი", დაიწერა და დაიბეჭდა („ლიტერატურული გაზეთი", 1959 წელი, 21 მარტი, № 12) პოეტის სამგლოვიარო დღეებში, როდესაც ქართველი ხალხისა და ქართული მწერლობის მწუხარება მოულოდნელი დიდი დანაკლისის გამო პირგახსნილ ჭრილობას ჰგავდა, რომლის ტკივილი ჯერ კიდევ ვერ ჩამდგარიყო თავის ფოსოში.

რეცენზიას კი „გალაკტიონის რჩეულის გამო", რაც გაზეთ „კომუნისტის" 1955 წლის 14 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, საკმაოდ პრეტენციოზული სათაურით — „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია", სულ სხვა „ბიოგრაფია" აქვს. ეს რეცენზია დაიწერა რედაქციის დაკვეთით და ვიცი, რომ იგი ნამდვილად წაიკითხა პოეტმა. მოხდა ისე, რომ წინადღით, ე. ი. 13 აგვისტოს გალაკტიონმა მითანამგზავრა თავის „პობედაში". იმ დღეს ვაჟას საღამოს დავესწარით დუშეთში, მეორე დღეს კი — დიდ შეკრებილობას ჩარგალში — ვაჟას კარმიდამოზე. გალაკტიონმა, რასაკვირველია, არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ მისი რჩეულის გამო დაწერილი მქონდა ცოტა რამ და არც ველოდი, რომ იგი იმ დღეს დაიბეჭდებოდა. მაგრამ რედაქციის მუშაკისაგან ჩარგალშივე გავიგე, რომ რეცენზია დაბეჭდილიყო. მალე გაზეთებიც მოიტანეს. შევწუხდი, ვაითუ პოეტმა ჩვეული შემპარავი ირონიით დამსეტყვოს-მეთქი. გაზეთი რომ უჩვენეს, თითქოს გაიკვირვაო, თვალებში რაღაც ძნელად გამოსაცნობი ციაგი ჩაუდგა, ჩაათვალიერა გაზეთი, ირიბულად გადმომხედა და წამოიძახა: „აბა ჰე, აბა ჰე... გავახაროთ...", მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: „ხალხი, ძამიკო, ხალხი!.. აბა, ვინ? აბა, ვნახოთ!.." და თითქოს ნაძალადევად გაიცინა. ღმერთმა უწყის, რა გაიფიქრა მაშინ პოეტმა.

ჩარგალში მიტინგის დამთავრების შემდეგ, ფშავის არაგვის პირას, მურყნიანში, მწვანეზე დიდი სუფრა გაიშალა. ვაჟასა და სხვა დიდი ქართველი კლასიკოსების მოსაგონარის შემდეგ თამადამ — გიორგი ლეონიძემ გულხმიერად და ალერსიანად ადღეგრძელა გალაკტიონი, უფროსი ძმა და ამჟამინდელი საქართველოს პირველი პოეტი უწოდა. გალაკტიონი რატომღაც მაინც მოწყენილად გამოიყურებოდა; სუფრაც ადრე დატოვა... თბილისში რომ ვბრუნდებოდით, იგი შოფრის გვერდით იჯდა და სულ ფიქრებში იყო წასული.

მოეღ გსაზე, როგორც მახსოვს, მხოლოდ ორხელ თუ სამხელ დასძრა სიტყვა და ისიც უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა: „ხალხი, ჩვენი ხალხი...“

სხვა შეხვედრათაგან მეხსიერებაში განსაკუთრებით ცხოვლად ჩამრჩა ერთი შეხვედრა. ეს იყო რამდენიმე თვით ადრე პოეტის დაღუპვამდე. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის შენობის შესასვლელთან იდგა. იქვე სხვებიც იყვნენ, — მათ შორის ნადირობის გატაცებით მოტრფიალე მწერალი ანდრო ლომიძე. ანდრომ მკითხა, დავდივარ თუ არა სანადიროდ. ამას ყური რომ მოჰკრა, გალაკტიონი მომიბრუნდა და მითხრა:

— თოფ-იარაღი აისხი და ჩემთან ამოდი წყნეთში. პირდაპირ საარაკოდ ვინადირებთ!

— კი, მაგრამ წყნეთში რა არის სანადირო, ბატონო გალაკტიონ?

— ვეფხი, ძამიკო, ვეფხი!.. აბა, ვეფხზე ნაკლები რა უნდა მოკლან ჩვენისთანა ვეფხებმა?

ეს იყო ჩემს მიერ გაგონილი უკანასკნელი ხუმრობა გალაკტიონისა.

1960

აკაკი და გალაკტიონი

ასეა ხოლმე:

დიდი ხელოვანები იმდენად სრულყოფენ თავიანთ ხელოვნებას, იმ სიმაღლეზე ასწევენ მას, რომ თითქოს მთელ მის შესაძლებლობას ამოსწურავენ. ასე გგონიათ, რომ მომდევნოებს ხელოვნების ამ დარგში საკეთებელიც აღარაფერი რჩებათ: უკეთეს შემთხვევაში, ნიჭიერ მიმბაძველებად უნდა გალიონ თავიანთი ღღე და მოსწრება... ან არადა ახალი გზები უნდა გაკვალონ.

აქ ილუზია და ნამდვილობა გადაწნულია ერთმანეთში.

მართლაც, უკვდავი რუსთველის შემდეგ ხომ ბევრი ნიჭიერი ქართველი შეეჭიდა ქართულ პოეტურ სიტყვას, მაგრამ არსებითად ვერც ერთი „ვეფხისტყაოსნის“ დიდ ჩრდილს ვერ გასცდა. სანამ გურამიშვილმა ამ ჩრდილში საჭიატოს არ მიაგნო და ქართულ ლექსს ახალი სასუნთქავი არე არ გაუჩინა. მერე ის იყო, რომ „მერანის“ ჭაბუკმა, მაგრამ ბედუკუღმართმა ავტორმა ქართულ მუზას უძლიერესი და უმშვენიერესი ფრთები შეასხა და ახალ მწვერვალზე ატყორცნა. ეს მწვერვალი შემდეგ ახალ მწვერვალებად გაზიდეს ილიამ, აკაკი, ვაჟამ და ქართული ლექსის ნექტარი თითქოს სულ მთლად ამოსწოვეს. იმას, რაც მათ იმღერეს და როგორადაც იმღერეს, უკეთესად ვეღარავინ იმღერებდა. საეჭვო იყო, რომ გაუნედლებლად ქართული პოეზიის ხეს კვლავინდებურად მოესხა ნაყოფნი მშვენიერნი. ლექსის დაწერა შეიძლება ყველამ მოახერხოს, მაგრამ ახალი პოეტური სამყაროს აღმოჩენა რჩეულთა ხვედრია.

პირველი კი იმათ შორის, რომელთაც წილად ხვდათ ქართული ლექსის განედლება-განახლება, უეჭველად იყო გალაკტიონი. რასაკვირველია, ამისათვის მომწიფებული იყო ობიექტური ნიადაგიც, რომლის გარეშე ვერც ერთი გენიოსი ვერ მოახდენს რაიმე საგულისხმო ძვრას საერთოდ კულტურის, კერძოდ, კი პოეტური კულტურის სფეროში.

გალაკტიონმა წიწამურის ტრაგედიას ქართული პოეზიის ერთი დიდი ეპოქის დასასრული უწოდა:

წიწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.

მართალია, ამის შემდეგაც ქართული პოეზიის ორი ტიტანი — აკაკი და ვაჟა რამდენიმე წელს კვლავ ამდიდრებდნენ ერის საგანძურს ბვირფასი თვალ-მარგალიტებით, მაგრამ მათი პოეზიის მწვერვალი უკვე ადრევე იყო მათ მიერ დაპყრობილი. და სწორედ იმიტომ, რომ ეპოქის ინტელექტუალური და ემოციური შინაარსი მომწიფებული იყო ამისათვის, გალაკტიონმა ქართული პოეტური ხელოვნების საძირე ნერგებს ევროპულ-რუსული პოეზიის სიახლენიც დაამყნა და ქართული ლექსის ჯიში განაახლა. ამ განახლების ერთ-ერთი არსებითი ნიშანი მდგომარეობდა იმაშიც, რომ, თუ აქამდე ქართული ლექსი დამყარებული იყო სიტყვის, ფრაზის, სახისა და სურათის ზუსტსა და პირდაპირ მნიშვნელობაზე და ამ მნიშვნელობასთან შეთანხმებულ მუსიკალობაზე, გალაკტიონმა სიტყვას, ფრაზას, სახესა და სურათს ერთგვარად მოხსნა ლოგიკური სიმკაცრე და ლექსი უმთავრესად მის ასოციაციურ-ემოციურ კავშირებზე, მის მელოდიურ ეღერადობაზე დაამყარა. ადრინდელი ლექსისათვის, მაგალითად, სრულიად უცხო იქნებოდა ამგვარი პოეტური ასოციაციები და კავშირები:

შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სიცოცხლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.

აკუვ კიბეებს — სადაც სფინქსი ქვებს ეფარება,
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება,—
ოჰ! რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!
და ვან-დეიკის ღანდებივით მწვანდება ღამე...
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე.
სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი,

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა ცივი სისოველის
და სიყვარულის ასე მოთმენა.

რა იყო ეს? ეს ხომ არ ნიშნავდა აკაკის პოეზიის რეალისტური ტრადიციების უარყოფას? არავითარ შემთხვევაში! მართალია, გა-

ლაკტიონი ნაყოფიერად დაესესხა სიმბოლისტურ პოეტიკას, მაგრამ აკაკის ესთეტიკური პროგრამაც მისთვის ყოველთვის სისხლხორცეული იყო. ამ პოეტური ნაკადების განვითარებით და გაღრმავებით გალაკტიონმა უეჭველად გააფართოვა ქართული ლექსის მელოდიურ-ემოციური საზღვრები, გაამდიდრა პოეტური მეტყველება, გააძლიერა მოულოდნელობის ელემენტი პოეზიაში.

საერთოდ, ჩემი აზრით, ესა თუ ის ლიტერატურული მიმართულება ერთგვარი პირობითი ჩარჩოა, რომელსაც ძნელად თუ შეუძლია დაიტიოს დიდი პოეტური შემოქმედების მთელი სიმდიდრე.

ქართულ საძირე ნერგთაგან თავის პოეზიაში გალაკტიონს ყველაზე მეტი აკაკის პოეტური ბაღნარიდან აქვს მოტანილი. მის ბევრ მშვენიერ ლექსში ახლებურად ჟღერენ აკაკისეული მელოდიები, რომლებიც თავის მხრივ ქართველი ხალხის საჭირვარამო სიმღერების სულიდან არის ამოტაცებული. გავიხსენოთ თუნდაც, რა თავისებურ პოეტურ ექსპრესშია გადაყვანილი აკაკის „საიდუმლო ბარათი"-ს რიტმი ისეთ სრულიად განსხვავებულ ლექსში, როგორიცაა „ლურჯა ცხენები".

მაგრამ საკითხი, თუ როგორ განვითარდა გალაკტიონის შემოქმედებაში აკაკის პოეზიის ტრადიციები, სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. აქ კი მე მსურს, შევეხო მხოლოდ აკაკის თემას გალაკტიონის პოეზიაში.

ეს თემა გალაკტიონისათვის ერთობ ორგანულია. მას უაღრესად და უგულწრფელესად უყვარს აკაკი და განუმეორებელი პოეტური სიმძაფრით განიცდის მის სიდიადეს, მისი პოეზიის ჩაუქრობელ ნათელს. მთაწმინდის სავანეში, ალბათ, აკაკის სამარის მიწაც კი არ იყო გამშრალი, როდესაც დაახლოებით 23 წლის გალაკტიონმა უძლიერესი პოეტური წარმოსახვით საყვარელი მგოსნის დიდებული ლანდი გამოიწვია და მის უკვდავ სახელს მშვენიერი ლექსი აუნთო. ამ ნაღვლიანი, მაგრამ ამაღლებული სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსს შევყავართ რაღაც მაღალადამიანური განცდების, სისპეტაკისა და სიდიადის ხელთუქმნელ სამყაროში. არა მგონია, ვინმეს — პოეზიის მოყვარულს — დაჰზარდეს მისი გახსენება:

მდუმარე მხარეს შორი მთებისას
დაჰხარის ღამე და ანდამატი,
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა,
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!
თეთრი ჭაღარით მოსილი თმები
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით
და მოხიბლული იყო მთიები

დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.
მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა
ნელინელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი
და მოძრაობდა ღამის მწათობთა
აღელვებული ელიზიუმი.
გრძნობდა თანაბარ მოახლოებას
განცვიფრებული და დიდი მთები,
შეუცნობ — ხშირი შრიალით შეკრთა
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.
მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,
შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა, —
მხოლოდ გრაალმა გზა მრავალფერი
ნაპერწკლის დროშით აელფერა.
და საიდუმლო შუქით შემოსა
მიწყნარებული გზა იშვიათი: —
ჩუმად, დაღლილი სანთლებით მოდის
მწუხარე ლანდი.... მაღალი ლანდი.
ოჰ! ასეთია დღეს განსაცდელი
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,
რომ არ აანთოს ისევ სანთელი
დავიწყებული ხატის მახლობლად.
იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად —
ჩვენი სიზმრების სიდიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავ-ქარად.
მადლს არ მოგვაკლებს და შუქს უსიტყვოს
მისი, პოეტის, მაღლით ანთება.
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება.

დიდი მგოსნის სახიერება ერწყმის მშვენიერების გრძნობას, რასაც უეჭველად იწვევს ლექსის ეტყუარი შინაგანი მუსიკა და ესოდენ დიდებული, ესოდენ მრავალმეტყველი სანახაობა — საიდუმლო შუქით შემოსილი იშვიათი გზით და დაღლილი სანთლებით რომ მოდის მწუხარე ლანდი დიდებული მოხუცისა. ეს თითქოს ილიას აჩრდილის მსგავსად საქართველოს მარად და ყველგან თანამდევი სულის ამაღლებული სახეებია. ეს განცვიფრებული მთებიც, შეუცნობი ხშირი შრიალით შემკრთალი ტყის მწვანე ზვირთებიც, ბავშვივით მიჩუმებული შქერიც, მდინარეთა შემწყდარი სიმღერაც და ციაგის ნაპერწკლებით აელფერებული გზაც — ბუნების ეს საოცარი განაბვა და გულისცემა, როგორც წარმტაცი პოეტური სურათი, განა როგორღაც არ გვაგონებს ბუნების იმ დაძაბულ მიყუჩებას, როდესაც ავთანდილის სიმღერის სმენად მხეცნიც მოვიდნიან და წყალთაგან ქვანიც გამოსხდიან?

მე ვიტყოდი: პოეტურ ხილვათა ასეთი ნათესაური თანაზიარობა სავსებით ბუნებრივია პოეტისათვის, ვინც ასე ღრმად განიცდის მტკიცე მემკვიდრეობითს კავშირს დიდ წინაპართან.

> გრიგალია თუ სეტყვაა,
> არ მეშინია მე სხვისა;
> ქართველში გამოხედვაა
> იმ ერთი ვინმე მესხისა.

„აკაკის ლანდი“ — ეს შესანიშნავი პოეტური ხილვა ცივი გონებით არ წაიკითხება. იგი გულით უნდა მოისმინოთ და იხილოთ, რომ ნამდვილად ჩაწვდეთ იმ პოეტის მაღალი არსების ღრმეს პოეტურ განცდას, ვინაც თქვა — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“ და ვინც განსაცდელის ჟამს ობლად არ დაგვტოვებს და ყოველთვის აანთებს თავის პოეზიის კაშკაშა სანთელს ამ ხატის წინაშე. ამიტომაც იგი „იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში, იქნება ჩვენთან მარად და მარად“. ლექსის ამაღლებულ სულისკვეთებას კიდევ უფრო აძლიერებს ძველი ქართული სამკვიდრებელი: „კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს ეს მოლანდება“.

ლექსი „აკაკის ლანდი“ — დიდი მგოსნის ბრწყინვალე პოეტური ძეგლია, რომლის ემოციურმა ენერგიამ, შესაძლოა, უფრო მეტად გვაგრძნობინოს აკაკის პოეზია, ვიდრე ცივი გონების ბევრმა ნაყოფმა.

ამ ლექსის დაწერის დროიდან დაახლოებით ოცდახუთი წლის შემდეგ გალაკტიონი კვლავ დაუბრუნდა აკაკის თემას უფრო ვრცელი მასშტაბით.

მართალია, პოემა „აკაკი წერეთელი“ პოეტური ძალით გალაკტიონის ლირიკულ შედევრებთან ვერას გზით ვერ მივა; აქ, როგორც ჩანს, მათი ჰარმონიული შერწყმის ნაცვლად, გონებისმიერმა რამდენადმე დაჩრდილა გულისმიერი, თანაც, უნდა ვიფიქროთ, ჟანრიც ვერ მოჰყვა კარგად ხელში პოეტს, რადგან გალაკტიონი უწინარეს ყოვლისა, მთის მდინარესავით მოვარდნილი ლირიკოსია. მაგრამ პოემა მაინც ფრიად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია, რომელშიაც იგრძნობა ღრმესი სიყვარული დიდი პოეტისადმი. ეს თავისებური პოეტური მონოგრაფია საკმაოდ ცხოვლად წარმოგვიდგენს აკაკის შემოქმედებითს პორტრეტს და მისი პოეზიის გაგებაში, შეიძლება ითქვას, თამამად დაუდგება წინ სქელტანიან მონოგრაფიებსაც კი. გარდა იმისა, რომ პოემის ცალკეული ადგილები ძლიერი პოეტური შთაგონებით არის შესრულებული, ფრიად საყურადღებოა მისი ისტორიულ-სოციალური და ეთიკურ-ესთეტიკური კონცეფციაც.

პოემის ზნეობრივ-ესთეტიკური საფუძველი შეიძლება ასე გამო-

ითქვას: ისე როგორც ადამიანი სრული, სრულფასოვანი და ღირსეული შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მთელი არსებით ეძლევა თავის საქმეს, როდესაც მას გააჩნია ისეთი კაცობრიული მიზანი, რაც მთელი მისი ადამიანური ძალების ამოქმედებასა და ხარჯვას მოითხოვს, პოეტიც. შემოქმედიც მხოლოდ მაშინ ქმნის გარდუვალ სულიერ ღირებულებას, როდესაც უანგაროდ და მთლიანად ეწირება შემოქმედებას, როდესაც მისი ფანტაზია, მისი ნიჭიერება, მთელი მისი ადამიანური ძალები მოქმედებაში მოჰყავს დიდ საზოგადოებრივ მიზანს, ნათელ ზნეობრივ და ესთეტიკურ იდეალს. დიდი შემოქმედება დიდი თავდადებაცაა. ასეთი შემოქმედი იყო აკაკი.

პოემის შესავალში მოცემულია აკაკის ზოგადი პოეტური დახასიათება. მის უმაღლეს იდეალს შეადგენდა მშობელი ქვეყნისა და მშობელი ხალხის თავისუფლება. ამ იდეალმა და მისთვის უანგარო თავდადების გრძნობამ გაანაყოფიერა აკაკის პოეტური გენია. პოეტმა, რომელმაც „მთები დასდგა მარგალიტების“ და რომლის ჰანგებშიც დრტვინავს „კაცის თრგუნვილი სული“. ადამიანურ უფლებათა ამაყი შეგნება „შურისძიებად გადაქცეული“.

ხალხი აირჩია წმინდათა-წმინდათ.
მასში წრფელ გრძნებებს აგზნევდა დიდათ,
მან უმაღლესი მისწრაფებანი
გასდო მომავლის გზადა და ხიდათ.

აკაკის პოეზია მარადისობის თანაზიარია, მის სიმღერებში ჩქეფს „მარადისი ახალგაზრდობა“. ამიტომ ეს სიმღერა უქრობი შუქივით გაჰყვება ქვეყნისა და ხალხის მომავალს.

წარელიან წელნი. მოვა სხვა ხანა
და იმ სიმღერით. იმ გმირთა თანა
იბრძვის. წინ იწევს და ძლიერდება
ზეშთაგონებით სავსე ქვეყანა.

საკუთრივ პოემა ჩაფიქრებულია ორიგინალურად. პოეტი ისწრაფვის სურათებით, პოეტური ჩანახატებით, ლირიკული აღსარებებით, პოეტური თხრობით გვიჩვენოს და გვაგრძნობინოს ის გარე თუ შინა სამყარო, რომელმაც აწრთო და აღზარდა დიდი მგოსნის გული, გონება და ზნეობა, რადგან დიდი პოეზია, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის დიდი გონებრივი, ზნეობრივი და ემოციური ძალების ნაყოფია.

და აი, პოემაც „საქართველოს გზათა თანა“ მისდევს ერთ ცხენოსანს, რომელიც ზმანებაში მოევლინა პოეტს. ცხენოსანის კვალდაკვალ ვხედავთ, ვგრძნობთ, განვიცდით საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს — ისტორიასა და

ბუნებას, ყოფა-ცხოვრებასა და სულიერ განწყობილებას, ხალხის შრომასა და ბრძოლას, მწუხარებასა და სიხარულს, სიყვარულსა და სიძულვილს, ენასა და სიტყვას, როგორც სულში ვადატანილ სამშობლოს, ოცნებასა და მისწრაფებებს, იმედსა და უიმედობას — და ყოველივე ამას ექსოვება, როგორც სამშობლოს ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, აკაკის მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პიროგრაფია. პოეტი იბადება და ცოცხლობს სამშობლო ქვეყნის ჭირსა და ლხინში, მის გულისცემასა და სუნთქვაში, აი, ესეც ხომ ქვეყნის ერთი სუნთქვაა, ფესვმაგარ მუხას რომ მიმართავს ცხენოსანი:

რაღაც ერცელი, იდუმალი
შენ გმსახურებს ძალთა ძალი.
უხილავი უკედავება,
შეუფება მრავალთვალი:
როგორა სცნოს კაცის სისხლმა,
აქ ქვა-ქვას რომ დაადგა,
რა დიდება იგულისხმა?
ბითხარ, მუხა, დიდო მუხა!
ბსველელობათა დიდთა მჩენი
ბიდიოდნენ დღენი, თვენი;
ვამ გაკრა, კაცნი წაყვნენ...
სად? ვერა სცნობს დანარჩენნი.
ბევრი ბოდგმა გადაშენდა
ლანგრეველი, ვინდა, ბშენი,
მაგრამ ვანა მტერთა შენთა
საიდუმლო უთხრან შენი:

შემოსილო ერთ დროს ღრუბლით,
ეეხვეოდა ბარაც მუბლი;
იარებით დაიფარა
შენი მკერდი, შენი შუბლი.

ქვეყნის ისტორიის ეს დრამატიული განცდა თითქოს ერთგვაროვ პოეტური ორეულია ხალხური სიმღერისა „მუმლი მუხასა“, რომელშიაც ქართველმა ხალხმა მრავალჭირნაცადი სამშობლოს სული გაამჟღავნა.

ყამი დიდი ბედუკუღმართობისა სამშობლოს გულმხურვალე შვილთა გულში მწარე ნაღველს აგუბებს. ესეც ხომ სამშობლოს სუნთქვაა:

იყო სამინელი წამი,
ვამყინველი, როგორც შხამი,
როცა სული უდაბნოა
და არა ჩანს ზეცის ნამი.

არ არსებობს გალიმება
არც ჩემდამი. არც თქვენდამი...
ო. სიმებო! ო. სიმებო!
ხომ გიგრძნიათ თქვენ ეს წამი.

მაგრამ პოეზია, რა ნაღვლიანი და სევდიანიც არ უნდა იყოს ის, თუ ეს სევდა და ნაღველი ხალხის ცხოვრების წიაღშია დაბადებული, მაინც ხალხის სიცოცხლისა და მისი სულიერი სიმშვენიერის მაღწყებელია:

იგი გზაა და ცოცხალი —
და მის ქნარზე ბევრი სიმი
სიცოცხლეა. თუ არ გაწყდა
ტლანქი ხელით დანაბიმი.

ჭეშმარიტი პოეზია აფხიზლებს და აცისკროვნებს ხალხის სულს და ამ სულითვე სულდგმულობს; იგი ტკივილებითვე მკურნალობს ქვეყნის ტკივილებს; იგი სამშობლოს ძველი და ახალი იარების გამხნაცაა და მოშუშებაც.

ჭე ვიგონებ გარდამავალს
ამ ლამეებს ბრავალთ ბრავალს.
როცა მტერი მოგვისპობდა
ყოველნაირ გამოსავალს.
მაგრამ შენ რას გაუკვირდენ.
ან რა შეელას. ანე რა ვალს?
ჭიხეს მეხს და ჭკოთხე ბრიგალს.
შენს მწარე ოვგადასავალს.
შენ ნუ გინდა. არ გაგონებ
ეგზოობას. მწარე დარებს.
ლიდი ხნიდან შენზე ლაჭრი
ამ არეზე დანატარებს.
ბშრომელად ბჭენი. ბედროშედ ბჭენის
და შემოჭრილს დაბადარებს,
არ გადამბეხს. არ გადბისვრის.
ბევრჯერ გაბიდარსდარებს.

ამ აღსარებაშიაც ილანდება აკაკის პოეზიის ეროვნული ფესვები.

პუნება? ბუნების მუსიკა, მისი სახე და მისი მოძრაობა ხომ მართლაც დაულეველი სუნთქვა და გულისცემაა ქვეყნისა. ცხენოსანიც მიიჩქარის და თითქოს მას თან მისდევს საქართველოს ბუნების ფერების, ბგერების, ნაკვთების, ხვეულებისა და ხაზების ნიაღვარი.

და ლითონის ციცი ბზინვით,
აბრეშუმის ქსოვილივით
სივრცე გადაჭიმულია
სახნავ-სათეს ველთ ლიელივით

და გზის ყოველ ხვეულებით,
თითქოს რაღაც გრძნეულებით
შეიცვლება სახეობა
ხედით, ნაკვთით, ხვეულებით.

და იცვლება, და იცვლება,
რისი ცვლაც კი შეიძლება:
არემარე, გარეგნობა,
ფონათება, შენისლება,
თვითეული ჯაჭვი მთისა,
წვეტი ყოველ ნწვერვალისა,
თვითეული გამოჩენა
ბორცვისა და გორაკისა —
თვით ხეობა, თვითონ ველი,
ხე ყოველი, ტყე ყოველი
აჩვენებს, თუ რანაირად
უხეია და ულეველი,
რა ერცელია და ძლიერი,
დიდებული, მშვენიერი,
უბოლოო, მრავალფერი,
გათენება და ელფერი.
ისინი ხან უზარმაზარს
მოჩვენებით ჰგვანან ტაძარს;
როცა მილულებულ შუქში
მოიკიდებს ცეცხლი ნაცარს.
ისინი ხან ზვინებია,
ქარს რომ მიუძინებია,
ოქროს ნისლში უხვეია
და ქედს მიუცილებია,
ისინი მზეს სწყურდებიან,
ჩუმად გამოცურდებიან,
შეთბებიან, გზას იცვლიან
და ქედს დაუბრუნდებიან.
ზოგი, როცა მზით ღვივდება,
შორით ამოტივტივდება,
ეენთება, გაბრწყინდება
და სადღაც შორს გაცივდება.
ერავალნი გზის პირებიან
ნისლში ჩაიძირებიან,
ინთქმებიან თითქოს სადღაც
და კვლავ მოიმზირებიან.
ანდა, ახლა, მზად არიან.
რომ ღველფიან-ღადარიან
ჰაეროვან ბურუსებში
ელვარება გადარიონ;
მზად არიან შუქი ანთონ,

მიიფანტონ, მოიფანტონ,
მზის ჩასვლაში შეერიონ,
მტრედისფერად გაილანდონ.
ხან იიან-ვარდებიან
გზებით მიიმართებიან,
ცაში კლდოვან მწვერვალებად.
გლეტჩერებად მყარდებიან.

რა ძვირფასი ფერებია.
რა ნარნარი ჩქერებია.
მოძრაობენ იმნაირად.
თითქო სულიერებია.

რა სინაზით ელავს ეელად
ლილისფერი მაჩიტელა,
დაუხრია კლდისკენ თავი
და სიზმრებში შედის ნელა.

ფოთოლთ ფღერა. წამთაქერა.
თითქოს სჯერა და არც სჯერა.
ყვავილობის აღტაცებას
მისცემია ფერა-ფერა.

იმისათვის, რომ მშვენიერი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ამოემღერა, პოეტის გენიას უნდა შეეწოვა არა მარტო ერის ცხოვრებისა და ერისათვის თავდადებულ ქართველთა გრძელი მატიანე, არამედ მშობელი ქვეყნის ბუნების ულევი ნაირფერობაც.

ცხენოსანი გადადის დროთა მიჯნებსაც. იგი შემოდის ჩვენს დროშიაც. აქ მან ნახა

სულ სხვა მხარე. სულ სხვა ჰუნე,
სულ სხვაგვარი საეკუნე,
სულ სხვა ხანა წუთისოფლის.
ახლის გრძნობით მოღუღუნე.

და განახლებული ქვეყნის სუნთქვასა და გულისცემაშიაც ჩართულია აკაკის დიდი პოეზია. მშვენიერი სიმღერა გადადის ცოცხალი სახის მოძრაობაში: „ვიღაც დადის, თვალს აცეცებს და საყვარლის საფლავს ეძებს“. მართალია, სიმღერაში ისმის „ძველი დარდი და ნაღველი“, „გატეხილი გულის ოხვრა“, მაგრამ

მასში თრთის და ცამდე ადის
მოწყურება სიდიადის,
რაღაც დიდის და მაღალის,
რაღაც კარგის, იშვიათის.

რა მართლად არის ნაგრძნობი ნამდვილი პოეზია. მუდამ რომ გაწყურებს დიადსა და ამაღლებულს, ნათელსა და იშვიათს, რაც ყო-

ველთვის სახელდებული როდია, მაგრამ ადამიანის ზნეობრივ ძალებს ყოველთვის ამაღლებს და აფაქიზებს. ეს ესთეტიკური მრწამსიცაა — აკაკისაც და გალაკტიონისაც.

სადღაც ჩონგური წკრიალებს... და ჩვენი დროის ადამიანის სულსაც ფრთებს ასხამს მშვენიერი „თავო ჩემო", მიუხედავად იმისა, რომ იგი ეარდასული დროიდან მოარხევს

...ესაზღვრო მწუხარებას,
ულევ ცრემლთა მდუღარებას,

. .

ვარამს რასმეს და გულსაკლავს,
ფერმოღრუბლულ ბედის ვარსკვლავს,
წუხილს უბედურებისას,
ნაღველსა და ვაი-ვაგლახს.

სიმღერა, რომელიც ასე შეიტკბო და შეითვისა ხალხმა,

მთელი ცაა, მთელი ზღვაა.
მაგრამ მეტად მეტისმეტად
ნაღვლიანი სიმღერაა.

ეს ნაღველი კი დაბადებულია ქართველი ხალხის გულში იმ დროს, როდესაც იგი გმინავდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ორმაგი უღლის ქვეშ. ლექსიც „გახდა ხალხის კუთვნილება... რადგან სწორად გამოხატავს მისი გულის მოძრაობას". აქ პოეტი იწყებს მსჯელობას, მსჯელობა, რასაკვირველია, არ არის პოეზიის ორგანული თვისება. თუმცა გაჩნია, სად და როდის. დიდი ოსტატი მას ზოგჯერ შესანიშნავ პოეტურ განათებად აქცევს.

რისთვის. მაინც, გვჭირდება ჩვენ
იმ წარსულის მწუხარება?

და იქვე პასუხობს:

ის გვჭირდება მის მიხედვით,
თუ რა გრძნობას გამოხატავს
თავის დარდით, თავის სევდით.
მას შეგნება უნდა მტკიცედ
მომავალის ხმით და ფიცით.
ფასი თანადროულობის
ჩვენ წარსულის ცოდნით ვიცით.

ეჭვი არ არის, რომ ეს მსჯელობაა, მაგრამ ფრიად საგულისხმო. პოეტის აზრი საკმაოდ ნაყოფიერია. შესაძლოა, მან მიგვიყვანოს საინტერესო დასკვნამდე პოეზიის ისტორიული არსის შესახებ და თვით გალაკტიონის ადრინდელი სევდიანი ლექსების გასაღებიც გვიჩვენოს.

ადამიანებს თავისთავად მწუხარება და ნაღველი არც ძველისძველი და არც ახალი არ სჭირდებათ. მაგრამ მათ მუდამ სჭირდებათ ადამიანობა და ადამიანური გრძნობები ანუ ყოველივე ის, რაც ადამიანურია. თავისი კონკრეტულ-ისტორიული შედგენილობით ჩვენი ეპოქის ადამიანისათვის უცხოა, მაგალითად, ბედისწერის მწარე განკვეთიც ოიდიპოსის მიმართ, შუშანიკის წამებაც, ტარიელისა და ავთანდილის დიდი თავგადასავალიც, ჰამლეტისა და ოტელოს ტრაგედიებიც. ანა კარენინას სულიერი დრამაც, მაგრამ ყოველივე ეს ადამიანებისათვის მუდამ საჭირო, ახლობელი და მიმზიდველი იქნება თავისი ადამიანური შინაარსით. ხელოვნებაც, პოეზიაა იგი თუ მხატვრობა, მუსიკა თუ სახიობა, სხვას არაფერს შეიძლება ემყარებოდეს, თუ არა ადამიანურობის მარადიულ საწყისებს. მხოლოდ ხელოვნება ინახავს ყოველივე ადამიანურს თავის განუმეორებელ კონკრეტულ-ინდივიდუალურ სახიერებაში. და სწორედ ადამიანურობის მარადიული საწყისები ანიჭებენ ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებებს საუკუნეობრივ სიცოცხლეს. ხელოვნების მშვენიერებაც მარადიულ-ადამიანურის განსახებაა შინაარსისა და ფორმის ერთიანობაში. იგი დამოკიდებულიც არის ყოველ ცალკეულ ნაწარმოებში, მაგრამ ამავე დროს მრავალწახნაგოვანი და უწყვეტი ისტორიული პროცესიცაა. ამიტომ ხელოვნების წარსული სრულუფლებიანად მონაწილეობს მის აწმყოსა და მომავალში. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებას აქვს გრძელი ისტორია, მაგრამ არა აქვს წარსული, სამუდამოდ გარდასული და დაკარგული.

დიდი პოეზია, გარდა იმისა, რომ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, თავისი დროის ადამიანური შინაარსის ცოდნასაც გვაძლევს. წარსულის ცოდნა კი, პოეტის საკუთარი მართებული აზრით, აუცილებელია იმისათვის, რომ თანადროულობა გავიგოთ და შევაფასოთ.

აკაკიმ. პოემის მიხედვით, ყველაზე სავსედ. ყველაზე მრავალმხრივად გამოხატა თავისი დროის საქართველოს ადამიანური შინაარსი. ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ტკივილები, მისი ზნეობრივი იდეალები.

პოემის ავტორის ფართო ისტორიულ ერუდიციას მოწმობს პოემის ის საკმაოდ ვრცელი ნაწილი, რომელშიაც დახასიათებულია საქართველოს მდგომარეობა იმ დროს, როდესაც იგი მეფის რუსეთის კოლონიად ანუ „ერთ საცოდავ პროვინციად გადაიქცა“, როდესაც მეფის მოხელეთა განუკითხავი ძალადობა, შეერთებული ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ასევე განუკითხავ ბატონობასთან, აუტანელი ვადასახადები, შიმშილი და სიღატაკე, ეროვნუ-

ლობის ყოველივე გამოვლენისა და „საყვარელი დედაენის“ დევნა იწვევდა ქართველი ხალხის, ქართველი გლეხობის აჯანყებებს, რასაც თვითმპყრობელობა სისხლის ტბორში ახრჩობდა. ქართველი ხალხის ბევრი სისხლი, ცრემლი და ენერგია შეიწირა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის — ამ დიდი ბედუკუღმართობის დრომ. მაგრამ, ბოლოს, მეფის მთავრობა თითქოს მიხვდა, ანუ პოემის სიტყვებით რომ ვთქვათ:

როგორც იქნა, მიხვდა მძორი,
რომ კვლა, დასჯა და ტერორი
სახელმწიფოს მართვისათვის
გზა ვერ არის სწორზე სწორი.

მიხვდა, რომ

საჭიროა გზა მელური,
მგლური, თითქოს მეზობლური.

და აი, ვორონცოვმა „შეუძახა მისიანებს“... მცირედი დათმობებით, კარიერებითა და ჩინებით დაიწყო ქართველი თავადაზნაურობისა და მისი ინტელიგენციის „მოთაფვლა“. და ამათმა უმეტესობამაც ადვილად იცვალა ფერი: ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური კეთილდღეობისათვის ბრძოლასა და თავდადებას მათ არჩიეს „სატანასთან მეგობრობა“. ეს იყო ჟამი სინიდისის დიდი განსაცდელისა. როცა

პატიოსან კაცად ყოფნა
ხომ ძნელია და ძნელია.

ო, რა მწარე განსაცდელია. ეს ხომ საშინელი ტკივილი და წყლულია ყველა იმ დროისა და ვითარებისა, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლები იმდენად მოშლილი და შერყეულია, რომ დიდი სულიერი რაინდობაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა ადამიანობა შეინარჩუნოს. ეს ხომ ადამიანის ამაღლებული სულის კვნესაა იმ დროს, როდესაც ზნეობისა და სინიდისის ხმას ეგოიზმისა და პირადი განდიდების ხახადაღებული ვეშაპი ნთქავს.

განა აკაკისა და ილიას არ შეეძლოთ, ქედი მოეხარათ გაბატონებულთა წინაშე, ჩინ-მედლები მიეღოთ, გაქსუებულ მოხელეთა საკარძლებში ჩამჯდარიყვნენ და ეცხოვრათ „მხიარულად, თავადურად, ხელგაშლილად“.

მაგრამ არა. სწორედ ამ დროს აკაკი წერეთელი — შვილი „იმერეთ მეფის შთამომავლის... ძველისძველი ფეოდალის“, მაგრამ ხალხის წიაღში აღზრდილი გენია —

ილიასთან ერთად. მხლებლად,
გამოვიდა თავის კლასის
პრალმდებლად და მამხილებლად.

პოემა უმღერის დიდი მგოსნის ამ სულიერ რაინდობას, მისი „ბოუსყიდველი ჩანგის" სიწრფელეს, ჩანგისას, რომელიც მხოლოდ სიმართლეს მსახურებდა და სიმართლით იმარჯვებდა.

საყურადღებოა პოემის ერთ-ერთი მოტივი იმის შესახებ, რომ აკაკი ქართველი ხალხის დემოკრატიული ფენების, კერძოდ კი გლეხობის სულისკვეთების გამომხატველი იყო არა მხოლოდ იდეურად, შეგნებით, არამედ ემოციურადაც, გრძნობათა წყობითაც, მეტყველებითაც. და სწორედ ამიტომ გახდა იგი მთელი საქართველოს გულის უღრმესი მესაიდუმლე, რომ იგი თანაბრად ახლობელი და გასაგებია ქართველთა ყველა ტომისათვის, რომ მისი პოეზია უალრესად ხალხურია. შემთხვევითი არ იყო, რომ „ერთ მშვენიერ ხალხურ ლექსზე", მესტვირე რომ მღეროდა, აკაკიმ თქვა: არამც თუ „მე, უბრალო მოშაირე", არამედ თვით რუსთველი მოაწერდა ამაზ ხელსო. ამ დეტალით პოემა გამოხატავს იმას, რომ აკაკის პოეზიის თავანკარა წყაროს ხალხური შემოქმედება, ქართველი ხალხის უმდიდრესი ზეპირსიტყვაობა წარმოადგენდა.

პოემა თავისებურად გადმოსცემს აკაკის მსოფლმხედველობის სათავეებს, მის შინაარსს!

როგორ მოვიქცეთ, რა ვაკეთოთ? — ეს დიდი და მწვავე საკითხი იდგა ილიას, აკაკის და მათი ქართველი თანამოაზრეების წინაშეც ისე, როგორც იგი იდგა ჩერნიშევსკისა და მისი მიმდევრების წინაშე.

რა ვაკეთოთ? — ეს საკითხი
აკაკის წინ ბევრჯერ იდგა.

მაგრამ, თუ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისათვის ამ საკითხს მხოლოდ სოციალური შინაარსი ჰქონდა, ე. ი. საქმე ეხებოდა მოქმედების სოციალ-პოლიტიკურ პროგრამას, აკაკისა და ილიასათვის იგი მწვავე ეროვნული ტკივილების მკურნალობის საკითხიც იყო. ამიტომ იყო, რომ აკაკის მხურვალე პატრიოტულ გულისფეთქვას ასე ესალბუნებოდა ბრძოლა დიდი გარიბალდისა, ვინც „კეთილშობილ ძლიერებას, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირის განსახიერებას" წარმოადგენდა.

აკაკის მსოფლმხედველობაც ამ ორი ნაკადის — რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამის სინთეზში, მათს შერწყმაში მდგომარეობდა.

აკაკის კარგად ესმოდა, რომ საქართველო თავს ვერ დაიხსნიდა რუსეთის თვითმპყრობელობის — ამ სისხლისმწოვი ურჩხულის ბრჭყალებიდან, თუ ამ ურჩხულს თავს არ მოჰკვეთდა რევოლუციური ძალა. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნდა ეროვნული თვითშეგნებისა და სოციალური სამართლიანობის გრძნობის გაღვივებით ქართველი ხალხის მთელი ძალების დარაზმვა და მათი მიქცევა დიდი რევოლუციური მოქმედების სადინარში. ამიტომ მოითხოვდა იგი საქართველოს სიმბოლოს — ჩონგურის სიმების შეხმატკბილებულ ყღერას. საგულისხმოა ის შეფასება, რომელსაც ამასთან დაკავშირებით გალაკტიონი აძლევს აკაკის უკვდავ პოემას — „თორნიკე ერისთავს".

დიდმა პოეტმა „ფერგადასულ წარსულს" მიმართა არა იმიტომ, რომ უბრალოდ, დამტკბარიყო იმ სურნელებითა და რომანტიკით, რაც ყოველთვის ახლავს ხოლმე ძველ ამბავს, არამედ იმიტომ, რომ „მომავლის გზა და ხიდი" ეჩვენებინა. პოეტმა გამოკვეთა სახე დიდი მამულიშვილისა, როგორც ეროვნული თვითშეგნების, მოქალაქეობრივ-ზნეობრივი მოვალეობის მაგალითი და იდეალი. მან ყოველივე ამქვეყნიური სიტკბოება დასთმო ზეცისადმი სამსახურის გამო, მისთვის სულის ამ უმაღლესი ნეტარების გამო. მაგრამ სულის ეს უმაღლესი ნეტარებაც უკუაგდო, როდესაც სამშობლომ სამსახური მოსთხოვა.

ადამიანისა და ერის ზნეობის საფუძველთა საფუძველის — სამშობლო ქვეყნისათვის თავდადების გრძნობის აღზრდას ისახავს მიზნად აკაკი თავის „თორნიკე ერისთავში".

> იგი არის მოწოდება.
> ქადაგება უმძაფრესი.
> ძახილია პოეტისა,
> ძმებისათვის, სხვებისათვის,
> მთელი საქართველოს მკვიდრთა
> გაერთიანებისათვის.

არაო, ამბობს გალაკტიონი, აკაკი არ იყო მხოლოდ თანდაყოლილი ინსტინქტებით აგალობებული ბულბული საქართველოსი, უდარდელი და გულგრილი გენია, რომელმაც უბრალოდ „მიილოცა, მოილოცა" და მხოლოდ ტკბილი ჰანგები მოჰფინა ქვეყანას. არა, მისი ანკარა, წკრიალა და ძალდაუტანებელი ლექსები მშობელი ხალხის ტკივილებით გაწამებული და დიდი ფიქრებით აღსავსე მაღალი სულის მშვენიერი გამოსხივებანია. თუ, ერთი მხრივ, აკაკი თავის ნარნარი და ტკბილი ჰანგებით წარმტაც ადამიანურ სილამაზესა და სიმშვენიერეს, „სულის მაღალ ზნეობასა და სისპეტა-

კეს“ ამკვიდრებდა, მეორე მხრივ, თავისი მწარე და გესლიანი სიტყვით ხალხის მტარვალებს, გადაგვარებულ და ზნეობრივად დაცემულ კაცუნებს ჰგმირავდა. ამ ცის, ამ მიწის, სიყვარულისა და სათნოების, გლეხისა და მუშის შრომის, ქართული აკვნისა და ქართული გაზაფხულის მშვენიერ საგალობლებს რომ ამბობდა, იმავე დროს მწარედ დასცინოდა „აპელაციის მცოდნეს“ და რაც მთავარია, ხანჯლის წვერს მტრის გულთან მოციქულობას შესთხოვდა. გალაკტიონმა კარგად გამოხატა აკაკის პოეტური გენიის ბუნება, რომ იგი თავისთავში ერთებდა „მომღერალსა და უარმყოფელს... ორთეოსს და მეფისტოფელს“.

თავის დროს პოეტს გული წეთწვეთად ატკესო ნეღველისა. და შეიძლება, ისე ვით საუკუნეები სხვადასხვა მრავალ წამითა. მაგრამ ბრძოლის ცეცხლი და ყინი მას არასდროს არ განელებია და როდესაც სამშობლოს სული ჰგვრნავდა:

წყვდიადია. ცივა. ბნელა.
სადა უნდა იყოს შველა?
წინაფგრძნობამ პოეტისამ
იგრძნო შორი ცისარტყელა.

გალაკტიონს აკაკის პოეზია გაზრდებული აქვს, როგორც მთელი ქართველი ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ძალების, მისი პროგრესიულ-რევოლუციური პოტენციის ულრმესი გამოხატულება.

აკაკიმ მთელი საქართველო ამოიმღერა. სამშობლოს თავისუფლებისათვის

მან გულწრფელად. ეაკაკერად.
გაალვიეა ბრძოლის ქერა.
ძალებს რევოლუციისას
მკვეთრი სიტყვით ემსახურა.

გალაკტიონს ასე სჯერა: მეცხრამეტე საუკუნემ ბევრი პოეტი მოგვცა. მაგრამ პოეტი, როგორც პოეტი.

ვინც მთლიანად ასახავდა
თავისთავს და თავის დროსა.
ვინც გაფრენა იყო ქნარის...
ვინმე მსგავსი — აკაკისა
არ ყოფილა და არ არის.

და, მხოლოდ განსაკუთრებული სიყვარულის გამო იყოს თქმული ეს სიტყვები. მაგრამ ეს განსაკუთრებული სიყვარულიც, დაბადებული დიდი პოეტის გულში, ხომ სიმართლეა თავისებური..

„კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს“... ქნართა უკვდავთა მარადი ყღერა!

1960

გალაკტიონის ერთი რჩეულის გამო

სიყვარულით ვფურცლავთ წიგნს პოეტისას, რომლის მშვენიერი ლექსები — ლექსები „დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით“ — ნამდვილად იქცნენ ჩვენი სულიერი ბიოგრაფიის სისხლხორცეულ ნაწილად. იშვიათი დღე იქნება, რომ ქართველმა მკითხველმა თავისი ფიქრებისა და გრძნობების მოძრაობას ერთხელ მაინც არ შეაშველოს გულში ჩამწვდომი მელოდიები, სტროფები, სტრიქონები პოეტის ძველი თუ ახალი ლექსებიდან. ვინ იცის, სად, როგორ, რა ფიქრებისა და რა გრძნობების გამოსახატავად გახსენებენ „წინ, მეეტლევ! ეგ ცხენები გააქანე, გააქანე, მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე“, ან „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა... დროშები ჩქარა“; —„რად აშრიალდა ჩემი ოცნება, როგორც გაფრენილ არწივის ფრთები“, ან „მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ“; „რტოებში ავობს ბებერი ქარი, ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს“, ან „სიცოცხლეო, მამულო, მძაფრი, არა ფარული, შვილთა შენთა ხმამაღლა თქვან შენი სიყვარული“; „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული“, ან „ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე, ჯერ მზე და მერე ლექსები“; „შეხედეთ, რა ცაა, ესაა რაცაა“, ან „მიათოვოს, მოათოვოს კედელს ფარშავანგები“ და მრავალ სხვასა და სხვას.

და განა ყოველივე ეს ქართული პოეტური კულტურის უკეთეს საუნჯეთა რიცხვში არ შედის?

თუ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე გრძნობათა და ფიქრთა მოძრაობა საქართველოში უძლიერესად აისახა რომელიმე პოეტის შემოქმედებაში, იგი ყველაზე ღრმად, ყველაზე მძაფრად და ყველა თავის წინააღმდეგობრივი მიხვევ-მოხვევებით აისახა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. ამ პოეზიას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ლირიკული მატიანე.

პირველი რევოლუციის რომანტიკა, პოეტის პირველ ლექსებში რომ სხივოსნობდა, შენელდა, მაგრამ არ გამქრალა პოეტის იმ პერიოდის შემოქმედებაშიც. როცა იგი ხარკს უხდიდა უიმედობას,

იდეალიზაციურ განდგომილებას. იკვნეულობას. მაგრამ ისე როგორც ყოველი დიდი და ჭეშმარიტი ხელოვნება, გალაკტიონის ამ დროის შემოქმედებაც არ ეტევა სიმბოლიზმის ვიწრო ჩარჩოებში. საქმე ის კი არ არის, რომ პოეტს მოვარგოთ ამა თუ იმ მიმართულების ყალიბი. მთავარია, გავიგოთ პოეტის შემოქმედება თავისსავე განსაზღვრულ თავისებურებაში და აქ ვიპოვოთ მისი პოეზიის გასაღებიც.

სინამდვილე, რომელიც შეხვდა პოეტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის მომწიფებულ ცნობიერებას პოეტისას, იყო მძიმე და შავბნელი. რეაქციის სუსხი ძალობდა. არსებული სოციალური უკუღმართობა პოეტის შემეცნებაში ადამიანის ბედის საკითხად გამოინასკვა. ქვეყანა ადამიანის შებორკილი და შეკვეცილი ძალების საუფლოდ, ხოლო ადამიანი შინაგანი გათიშულობის, სიკვდილის, წარმავლობის, უერთგულო სიყვარულის, გაცრუებული იმედებისა და განუხორციელებელი ოცნებების წამებულ ტყვედ შეიგრძნო პოეტმა. ეს იყო მიჯაჭვული ამირანის სახება, რომლის ძლიერი ტრადიცია იმთავითვე მოსდევდა ქართულ ლიტერატურას. ადამიანის აღზევებისა და თავისუფლებისათვის წამებულ ამ გოლიათის სული, რასაკვირველია, სხვადასხვა კონკრეტულ-ისტორიული შინაარსით ტრიალებდა ქართული კლასიკური ლიტერატურის თითქმის ყველა დიდ ქმნილებაში: უკვდავ „ვეფხისტყაოსანშიც“, გურამიშვილის „დავითიანსა“ და „ქართლის ჭირშიც“, ბარათაშვილის „მერანსა“ და „ბედი ქართლისაშიც“, ილიას „აჩრდილშიც“, აკაკის „თორნიკე ერისთავშიც“, ვაჟას პოემებსა და „დაჭრილ არწივშიც“.

გალაკტიონი თავისებურად აგრძელებს ამ ტრადიციას. მის ლექსებშიც აბორგდა და აკვნესდა თავისი დროის წამებული ადამიანი — მიჯაჭვული ამირანი.

შეხავსებია კლდეები კლდეებს.
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს.

და ტყე გუგუნებს „ამირანია!“
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს.
ის გული ისევ ჩემი გულია...

„დაკარგულია“? — მივმართე ტყეებს
და ტყე გუგუნებს „დაკარგულია“.

ისე, როგორც თავის დროზე მწარე ხვედრთან შეურიგებლობამ ბარათაშვილი მისცა თავისი „მერანის“ თავაწყვეტილ ქროლვას. სხვა სოციალურ ვითარებაში შებორკილი ადამიანის წვალებამ.

„სინამდვილით მოკლულმა გრძნობამ“ გალაკტიონი თითქოს აღსნელი საიდუმლოების, გამოუცნობი ქიმერების, დაბინდული ჩრდილების ირეალურ სამყაროში გაინაპირა... საოცრად მგრძნობიარე სულში დაიბადა მიდრეკილება შემოდგომის მოწყენილი ფერებისაკენ, სიმარტოვისაკენ. სწორედ ამ დროს განიცადა პოეტმა სიმბოლისტური პოეტიკის საკმაოდ ძლიერი გავლენა. მაგრამ პოეტი არც თავისი სულის წყობით, არც თავისი პოეტური ლექსიკით, არც თავისი განსხვავებული დამოკიდებულებით ქვეყნიერებისადმი, არ მოსწყვეტია მშობლიურ ნიადაგს.

მარტო ვარო, როგორც მთის ეკლესია, — ირწმუნებოდა პოეტი. თუგინდ ჭკვარს ეცვი, საშველი არ არისო, — ჩიოდა იგი. მზეთის ამირანი მარად წამებულ არსებად რჩებოდა. მაგრამ სამშობლო ქვეყნის უმძაფრესი სიყვარული, სამშობლოს ბუნების, მისი ფერმენების, მისი ფერების, მისი სიმღერების ულრმესი განცდა ანელებდა, ზოგჯერ თითქოს კიდეც აქრობდა მოძალებულ სევდასა და ნაღველს. კითხულობთ წარმტაცი მელოდიური ჰანგებით სავსეს. ნაზი და ხალასი ფერებით შესრულებულს „გურიის მთებს“, „მთაწმინდის მთვარეს“, „მე და ღამეს“, „ვერხვებს“, „მერის“, „პოეტის ლანდს“, „აკვარის მოლოდინს“, „თოვლს“, „შემოდგომის ფრაგმენტს“ და მრავალ სხვას, ხედავთ, უსმენთ, განიცდით მთაწმინდის მკრთალ შუქში მსუბუქ სიზმარივით გახვეულ მტკვარსა და მიტეხს, ლავიწყებულ ქიშურის კარებზე ხავსს, ყავრებს, წვიმის წვეთებს, ბაბლრა მჭრას, ეზოში რომ ყეფს, ყირაფიერით აკრელებულ მთებს, ვერხვების მუსიკას, ცვრიანი ბალახის ბიბინს ეზოში, სადაც სასხლავით ხელში დადის მოხუცი ქართველი მამა, ნაზ და კდემამოსილ ქართველ ქალებს, ლერწამქალწულებს და თქვენ თითქოს ულრმ მეტად ფერთა და ბგერათა მუსიკა გიპყრობთ, ნშვენიერების გრძნობა გეუფლებათ. ეიდრე პოეტის დაყინებული სევდა.

პოეტის ლექსებში წუხდა, ეზინავდა, ბობოქრობდა თავისუფლებას, ბედნიერებას, სილამაზეს მოწყურებული ადამიანის სული. მას ზოგჯერ სამყარო სხეულთა, საგანთა, წარმოდგენათა უწესრიგო გროვად ესახებოდა. მაგრამ დროდადრო შავნაღვლიანობის ბურუსს პოეტის შემოქმედებაში ელვასავით გაჰკვეთდა სოციალური პროგრესის რწმენა, ოპტიმიზმისა და რევოლუციური სულისკვეთების ელვარე ნაპერწკალი. 1916 წელს ერთ თავის ლექსში პოეტი წერდა:

> პო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით,
> ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება!
> ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები!
> განა არ არის საშინელი საცოდაობა,

ბეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა,
რევოლუციას არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ეულანიური ორკესტრიით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი.

ეს უკვე უაღრესად ნათელი სტრიქონებია — ნათელი მისწრაფებებით. დამახასიათებელია. რომ გ. ტაბიძის თვით უაღრესად მწუხარე ლექსიც კი ხშირად აგებულია ერთ რომელიმე ნათელ აზრსა და გრძნობაზე, ერთ რომელიმე ნათელ და რეალისტურ სტრიქონსა თუ სტროფზე... და ლექსის მთელი პოეტური ენერგიაც ამ წერტილში იყრის თავს.

თავისი სოციალური მიდრეკილებით, პოეტური მსოფლმხედველობის რეალისტური ნაკადით გ. ტაბიძე შინაგანად უეჭველად შემზადებული იყო რევოლუციური ქარტეხილების პოეზიისათვის, იმისათვის, რომ თვითმყურობელობის დანგრევისთანავე ეშლერა ბგზნებარე ჰიმნი თავისუფლებისა — „დროშები ჩქარა“. რომ ღიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალოდ დამსწრეს. საქართველოში მოეტანა „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“, რომ გაბედულად ეთქვა: „ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს, ჩვენ. პოეტები საქართველოსი“.

და პოეტმა. რომელსაც წინათ ფლობდა გრძნობა ძალთა. განთა, ადამიანთა ღრმა გათიშულობისა. სოციალისტური რევოლუცია ვანიცადა არა მარტო ძველი ქვეყნის ღრეევად, არამედ ცხოვრების ახალ, ბედიერ და მთლიან ფორმათა შესაქმედებად. „მსოფლიო ორკესტრად“, მილიონთა კოლექტიური აზრისა და ნებისყოფის დიდებულ მოქმედებად.

ქვეყნის რევოლუციური განახლების პათოსით არის განსჭვალული პოეტის პოემები და ლექსების ციკლი: „ჯონ რიდი“, „ეპოქა“. „პაციფიზმი“, „პრესა“, „რევოლუციურ საქართველოს“. ამიერიდან პოეტისათვის ინდივიდუალიზმი შეუთავსებელი ხდება მშვენიერების, როგორც ცხოვრების ჰარმონიულობისა და სისავსის. მართალ გრძნობასთან.

მოსპო რა ადამიანზე ადამიანის ბატონობის ყველა საფუძველი, რევოლუციამ მოხსნა ადამიანის ბედის ტრაგიკულობა. ჩვენმა პოეტმაც. ღრმად შეიცნო ადამიანის ტრაგიკული ბედის საზღვრების გადალახვა, მან რევოლუციაში დაინახა ახსნილი ამირანი.

გადაილახა მიუდგომი საზღვრები ბედის,
ქაცობრიობის ცხოვრებაში სიცოცხლე შედის
ჯანსაღ, მშვენიერ, სრულყოფილი ადამიანის.

პოეტს უკვე ღრმად სწამს, რომ რევოლუცია აწესრიგებს ადამიანთა მოქმედებას და სწორედ ეს წესრიგი აჩვევს ადამიანებს იმ ნათელ ურთიერთობასა და დამოკიდებულებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს თავისუფლად დაამკვიდრონ თავიანთი ჭეშმარიტი ადამიანური ძალები ცხოვრებისა და ბუნების ახალ ფორმებში. და პოეტსაც სამშობლო ქვეყნის ბუნების წიაღში ახლა უკვე მიჯაჭვული ამირანის გოდება კი აღარ ესმის, არამედ ხედავს, რომ აქ „სხივმოსილი და მოლექსე დამკვიდრდა ადამიანი", რომ მილიონთა შეგნებაში მტკიცედ იკიდებს ფეხს შემოქმედებითი შრომის, სიცოცხლის დამკვიდრებისა და სოციალური ოპტიმიზმის სულისკვეთება.

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე, ახლა რაოდენია.

პოეტი ადამიანის ტრაგიკული ბედის პოეტური მსოფლშეგრძნებიდან რადიკალურად გადავიდა გამარჯვებული ადამიანის — გათავისუფლებული ამირანის პათოსზე. ეს პათოსი ფეთქავს მის ახალ ლექსებში.

ზოგი ფიქრობს, რომ პოეტის ორგანული სამყარო მხოლოდ მის „ატმის ყვავილებსა" და მის „ვერხვებშია". მაგრამ ამ შეხედულების სრულ უსაფუძვლობას ცხადყოფენ გალაკტიონის ახალი ლირიკული შედევრები, სავსენი ჩვენი ეპოქის ძლიერი სუნთქვით.

მაინც რაშია პოეტის ადრინდელი ლექსების ძალა?

წარსულის ყველა საზოგადოებრივი ფორმაცია სოციალურ უთანასწორობაზე იყო დამყარებული. ამიტომ ადამიანის ტრაგიკულ გრძნობებს კაცობრიობის წარსულში განუზომლად უფრო ერცელი და ხანგრძლივი ისტორია აქვთ, ვიდრე სოციალური ჰარმონიისა და ბედნიერების გრძნობებს... და გასაგებია, რომ დიდი ტალანტის პოეტმა ისეთ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დროს, როდესაც ადამიანის ტრაგიკული გრძნობების განსაკუთრებული გამძაფრება მოხდა, დიდი პოეტური ძალით გამოხატა ეს გრძნობები.

იმ ახალი სოციალური გრძნობების სფეროში კი, რომლებიც სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში ვითარდებიან, ადამიანთა გამოცდილებაც და ემოციური შრეებიც საკმაოდ ახალი წარმოშობისანი არიან. მიუხედავად ამისა, გალაკტიონ ტაბიძე უდიდესი პოეტური ძალითა და გულწრფელობით გამოხატავს საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ჰუმანიზმისა და კოლექტივიზმის ამაღლებულ გრძნობებს, აქაც ხშირად პოეტი გვან-

ცვიფრებს თავისი ვირტუოზული ლექსით, მოულოდნელი და ტევადი პოეტური სახეებით.

გალაკტიონის ლექსებში ყოველ საგანს, ყოველ თქმას თავისი განუმეორებელი მელოდია ახასიათებს. ამაშია გრძნობათა და განწყობილებათა გამოხატვის იმ უძლიერესი ოსტატობის ერთი საიდუმლოებაც, რაც გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს უჭკნობი მშვენებით ავსებს. თუ პოეზიას საერთოდ, კერძოდ კი ლირიკულ პოეზიას, შეგვიძლია ვუწოდოთ გრძნობათა მეცნიერება, გ. ტაბიძის პოეზია ამ მეცნიერების ერთი უბრწყინვალესი მიღწევაა.

ზოგჯერ ჩვენ ვერ გავიზიარებთ პოეტის ადრინდელ გრძნობებსა და განწყობილებებს, კიდევაც უარვყოფთ და უკუვაგდებთ მათ, მაგრამ შეუძლებელია არ მოგვხიბლოს ამ გრძნობათა გამოხატვის უდიდესმა პოეტურმა ძალამ.

ჩვენ არ შეგვიძლია არ უარვყოთ სევდის, უიმედობის, საზოგადოებრივი აპატიის განწყობილება, გამოხატული ლექსში „თოვლი“, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვიგრძნოთ პოეტური მუსიკის, პოეტური ფერწერისა და პლასტიკის შესანიშნავი შერწყმა ამ განწყობილების გამოსახატავად:

ძვირფასო. ვხედავ... ვხედავ, შენს ხელებს,
ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იღვენს, ქრება და კვლავ იღვენს
შენი მანდილი ამ უდაბნოში.

თითქოს გავყურებთ თოვლიან უდაბნოს, რომლის უდაბურებას აძლიერებს საოცარი პოეტური ფაქტურა — მანდილი, ხან რომ გამოჩნდება და ხან რომ ქრება... მწუხარებისა და მარტოობის რა ღრმა მიწვდომაა ამ ლაქაში.

თავისი პოეტიკის მდიდარ არსენალს, ნაცად პოეტურ ხერხებს პოეტი კარგად იყენებს საბჭოთა ადამიანების გრძნობათა ორგანიზაციისათვის.

რა ღრმად და რა მოულოდნელი პოეტური ხერხებით გადმოგვცა პოეტმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დიდი სიხარული პატარა ლექსში „ღრუბლები ძაუგთან“.

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა, თერგის ხმაურის
ეუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს —
აგუგუნება კაიშაურის.
. . . . . .
იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო,
უნდა აღვმართო წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

აქ თითქოს გამარჯვების ვითარების ხელთუქმნელი მელოდიაა დაჭერილი. ტალანტის ერთი შესანიშნავი თვისება ისიც არის, რომ იგი უაღრესად ამცირებს მანძილს სათქმელსა და თქმას შორის.

ათასი რიტორიკული მტკიცება სამშობლო კუთხის სიყვარულისა, ათასი პათეტიკური აღწერა სამშობლოს თვალწარმტაცი მთებისა და ტყეების, მდინარეებისა და მინდორ-ველების იმ ღრმა ადამიანური გრძნობის მეათასედსაც ვერ დაიტევდა, რაც გ. ტაბიძის თუნდაც ერთ პატარა მეტად პოპულარულ ლექსშია გამოხატული:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო.
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ უთხრა კი — ვისი.
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

აქ პოეზია მეტყველებს თავისი საკუთარი ენით, ვითარებად, სურათად, მოქმედებად ქცეულ გრძნობათა ენით. მაგრამ აქ გრძნობა და აზრი გამოსახვის საშუალებებზე კი არ არის მორგებული, არამედ გამოსახვის საშუალებები შერწყმულია გრძნობასა და აზრთან.

თითქოს ჩვენი სულის სიღრმიდან ამოუზიდავს პოეტს საბჭოთა პატრიოტიზმის მგზნებარე გრძნობა და მშვენიერ, ნათელ ლექსში გაუმჟღავნებია. ამიტომ გვაღელვებს და გვხიბლავს იგი:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

მკითხველს სავსებით სამართლიანად სურს, რომ ხელმისაწვდომად ჰქონდეს გალაკტიონის მშვენიერი ლექსები.

და აი, ჩვენ წინ გვიდევს „გალაკტიონ ტაბიძის რჩეული", ტექნიკურად საკმაოდ კარგად გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1954 წელს. ჩანს, შემდგენელს ბ. ჩიქობავას სიყვარულით უშრომია, განსაკუთრებით ლექსების დათარიღების მხრივ. ეს ძლიერ კარგი საქმეა, რადგან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს პოეტისათვის, რომელიც მტკიცედ მოითხოვს, „ნუ მიატოვებთ ლექსს უთვისტომოდ", მიაწერეთ ლექსს თარიღიო, — თვით მისი ლექსების დათარიღება არც თუ კარგად არის მოგვარებული. ვიმეორებთ, ამ მხრივ ეს „რჩეული" გამოირჩევა. მაგრამ ჩვენ მაინც ბევრი რამ

გვაქვს საგულნაკლულო წიგნის მიმართ. შეიძლებოდა დაგვესახელებინა პოეტის ბევრი ლექსი. ძველი და ახალი. რომლებიც აუცილებლად უნდა შეტანილიყო რჩეულში, მაგრამ არ შეუტანიათ. მაგალითად, გაუგებარია რა მოსაზრებით არ არის შეტანილი რჩეულში „რომელი საათია“, „შემოდგომის ფრაგმენტი“. ან პირიქით, ვიტყვით პირდაპირ: ლექსი, რომლითაც რჩეული იხსნება, სრულიადაც არ ეკუთვნის გალაკტიონის რჩეულ ლექსთა რიცხვს. მაგრამ სუბიექტურ გემოვნებას აქ ფრთა უნდა შეეკვეცოს. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია უკვე იმ სიმაღლეზეა ასული და უკვე ჩვენი ხალხის ისეთ კუთვნილებას შეადგენს, რომ მას ნამდვილად ძლიერი კოლექტივის მზრუნველი ხელი სჭირდება.

უკეთეს შემთხვევაში წინამდებარე რჩეული. ისე როგორც 1944 წელს გამოცემული კრებული. შეიძლება მიჩნეულ იქნას მოსამზადებელ საფეხურად გალაკტიონის ნამდვილი რჩეულისათვის.

1955

დიდი პოეტის პატარა კრებული

წიგნების თაროზე რა მეტად ჩვეულებრივი და ყოველდღიურია იგი დღეს. ახლა იგი თითქმის ყველა ბინაში, ყველა ოჯახში არის, არსად მას მოულოდნელობის ნატამალიც არ ახასიათებს. მაგრამ რა დიდებული და ძვირფასი რამ არის იგი ნივთთა შორის. რამდენი ფიქრისა და აზრის, რამდენი ვნებათაღელვისა და გრძნობათა ფორიაქის, სიცოცხლისა და სიკვდილის, სიხარულისა და მწუხარების, სიყვარულისა და მძულვარების, რამდენი სახისა და ფერის, რამდენი გრიგალისა და მეხთატეხის საბუდარია თითქოს უსულო წიგნების ეს დამტვერილი ქორედები. ყოველივე ის, რაც უწვავი, უჭკნობი, უძლეველი და უკვდავია კაცობრიობაში, შეხიზნებია ქაღალდის ამ გახუნებულ ფურცლებს, რომელთაც საკმარისია მცირე ალი წაელამუნოს, რომ ფერფლად იქცეს...

მერე რა საამო სასმენი და წარმტაცია ძახილი თუ ჩურჩული წიგნების თაროდან, ხან ერთი სტრიქონი დაგიძახებს, ხან მეორე, ხან ერთი გმირი გაგეხმაურება, ხან მეორე, ხან ლექსი, ხან ნოველა, ხან მოთხრობა, ხან რომანი... და ვინ მოთვლის, რამდენი ვინ და რამდენი რა.

პირადად მე ასე მგონია, არასდროს სულიერად ისე ამაღლებული არა ვარ, როგორც იმ დროს, როდესაც წიგნის თაროს სხვადასხვა კუნჭულიდან მეხმის ავთანდილის სიმღერა-ვედრება ან ნესტანის უსტარი, ბედის საზღვარს იქით მისწრაფული მერანის თქარუნი ან ბუნების ტრაგიკული მესაიდუმლის — მინდიას ჩივილი, ნადირობის სცენის ხმაური უკვდავი რომანიდან ან დროთა დარღვეული კავშირით შეძრწუნებული ჭაბუკის მონოლოგი, დონელი ბობოქარი კაზაკის ომახიანი ხმა ან წყვდიადთან და ქარიშხალთან შელეწილი მფრინავის — ფაბიენის გულისძგერა...

რამდენი ვინ და რამდენი რა!

რა სასიამოვნო და სასიხარულოა, როდესაც ყურით კი არა, სულით ან გულით ისმენთ წიგნების უხმო ძახილს, წიგნების ჩურჩულს. და რა კარგია, როდესაც ამ წიგნებს ემატება ახალი, სასურველი და წარმტაცი წიგნი.

ქართველი მკითხველი გაახარა გალაკტიონის მომცრო კრებულმა, ამას წინათ „საბლიტგამმა“ რომ გამოსცა და „ასი ლექსი“ ეწოდება. გადაშლით და პირველი გვერდიდანვე რაღაც განუმეორებლად წარმტაცი სიმღერისა და სილამაზის ვერცხლის ძაფს იპერთ და გინდათ დაუსრულებლივ მიჰყვეთ მას.

კრებული შედგენილია სიყვარულით და იმ მიზნით, რომ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს სახელდახელოდ იპოვოს პოეტის ლირიკული შედევრების ნიმუშები, ისეთები, მაგალითად, როგორიცაა „მთაწმინდის მთვარე“, „ატმის ყვავილები“, „თოვლი“, „მამული“, „ვერხვები“, „მშობლიური ეფემერა“, „ლურჯა ცხენები“, „სალაქვარდე ანუ სილაში ვარდი“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „ცამეტი წლის ხარ“, „მე და ღამე“, „მერი“, „გურიის მთები“, „რომელი საათია?“, „დროშები ჩქარა“, „განახლდა გული“, „გემი დალანდი“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ჩემი ქუთაისი“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგოო“, „ჩემი სიმღერა“ და სხვა.

მაგრამ კრებული უნაკლოდ შედგენილი როდია. გული გეთანაღრებათ, რომ აქ ვერ პოულობთ მთელ რიგ მშვენიერ ლექსებს, გასხივოსნებულთ ნამდვილი დიდი პოეზიით. გაუგებარია, მაგალითად, რატომ არ შევიდა კრებულში ცნობილი ლექსი „აკაკის ლანდი“ ანდა „საღამო“ ან კიდევ საუცხოო ლირიკული ქმნილება „დაბრუნება“, რომლის ცნობილ სტროფში სამშობლო მთების ფერთა ისეთი ჟღერადობაა მიგნებული, რომ სამშობლო ქვეყნის უმძაფრეს გრძნობას აღვიძებს.

საღამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის.
მიდამოს სდებია.
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია.

ასეთი საყვედურები კრებულის მიმართ შეიძლება განვაგრძოთ... და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რიცხვი „ასი“ სრულიადაც არ არის საკმაო დიდი პოეტის მემკვიდრეობის ყველა პოეტური თვალმარგალიტის დასატევად.

სავსებით მართალია ირაკლი აბაშიძე, როდესაც კრებულის მოკლე წინასიტყვაობაში წერს: .....გალაკტიონ ტაბიძეს ბევრი რამ ანათესავებს ნიკოლოზ ბარათაშვილთან... თუ ნიკოლოზ ბარათაშვილმა მეცხრამეტე საუკუნეში ქართული პოეზია აღმოსავლური მუხამბაზების გავლენას ვამოსტაცა, გალაკტიონ ტაბიძემ მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი პროვინციული შეზღუდულობის, დაკნინების,

იდეური და ფორმალური დაცემის გზას ააცდინა და მოწინავე ევროპული და რუსული თანამედროვე ახალი პოეზიის სიმაღლეზე ასწია.

მეცხრამეტე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაუდო. მეოცე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე გალაკტიონ ტაბიძემ დაუდო".

სხვადასხვა ეპოქის ამ ორ დიდ პოეტს ანათესავებს მძაფრი დრამატული გრძნობა სამყაროსადმი დამოკიდებულებაში.

გავიხსენოთ თუნდაც სულ მცირე მაგალითი მათი პოეტური სიახლოვისა.

ორი მთაწმინდის მთვარე, ორი პოეტური ხილვა, რა დიდად განსხვავებული და რა საოცრად ნათესაური.

„გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მოქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული".

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი, შეღამების ქნარი,
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს,
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს".

უდავოა, რომ გალაკტიონ ტაბიძე — უმძაფრესი გრძნობებისა და უდიდესი, განუმეორებელი ნიჭის პოეტი — ასრულებდა უპირველეს როლს ქართული პოეზიის განვითარებაში საუკუნის დამდეგიდან ჩვენს დღეებამდე. მისი პოეზიის სათავეები დადებულია ქართველი ხალხის 1905 — 1907 წლების პროგრესულ-რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მხრივ დამახასიათებელია პოეტის განწყობილება, გამოხატული ერთ-ერთ მის ადრინდელ ბრწყინვალე ლექსში — „გურიის მთები". პოეტი შეჰყურებს ამ მთებს, მათ შორის ცნობილ ნასაკირალს, შეჰყურებს „განახლების თვალით მზირალ" სოფლებსა და იხიბლება მათი სიმღერის ძალით, მათი ბრძოლის ჟინით.

ჩემად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში!
არსად ასე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,
არსად. არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი.

აი, სწორედ ეს უკმარობის გრძნობაა ყველაზე ორგანული პოეტისათვის. იგი სისავსისა და სრულყოფილების მაძიებელი პოეტია და მუდამ იტანჯება ყოველივე ნაკლულობით. ეს გრძნობა განაწყობდა მის სულს იმისათვის, რომ განსაკუთრებული სიმძაფრით განეცადა ეპოქის ტკივილები. პირქუში სინამდვილის ღრმა წინააღმდეგობათა დაწოლით პოეტის მგზნებარე სული ეძლეოდა სევდასა და ნაღველს იმის გამო, რომ უკმარი იყო თავისუფლება, ბედნი-

ერება, მშვენიერება და ჰარმონია ცხოვრებისა. და იბადება სიმღერები მიჯაჭვული ამირანის კვნესასა და ტანჯვაზე, მთაწმინდის მთვარესა, სევდიან გედსა და ოცნებათა ლურჯ იალქნებზე, ქარით გაწამებულ ატმის ყვავილებზე, მამულზე, სადაც წინაპართა აჩრდილები მწუხარებით და სინანულით ავსებენ სულს, სატრფოს უბედურ ჯვარისწერაზე, მიუწვდომელ სინათლეზე, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქრის უშორეს ზღაპრად შრიალზე, ქარზე, რომელიც არ ჩანს, მაგრამ მაინც ედება მწვერვალებს, მუხაზე, რომელიც პირველი ხვდება ალიონს, ლურჯა ცხენებზე, უსულგულო დღეების ორომტრიალში რომ მიჰქრიან უსასრულეთში, ბედთან შეურიგებლობაზე, ღამეებთან რჩოლაზე... იბადებოდა მშფოთვარე და ტკივილებით სავსე სიმღერები, ხშირად მეტად სევდიანი და მწუხარენი. მაგრამ მშვენიერნი გრძნობათა გამოხატვის სრულყოფილებით, ემოციური დაძაბულობით, წარმტაცი შინაგანი მელოდიურობით. ამ მშვენიერი ქმნილებებით პოეტი თითქოს ახშობდა იმ პირგახსნილ უფსკრულთა გრძნობას, როელთაც იგი ხედავდა არსებულ სამყაროში.

ეჭვი არ არის, რომ გალაკტიონის ადრინდელ შემოქმედებაში საკმაოდ ძლიერი იყო სიმბოლისტური პოეტიკის ნაკადი. მაგრამ, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, გალაკტიონი მიდიოდა თავისი საკუთარი და განუმეორებელი გზით. არსებითად მისი შემოქმედება იმთავითვე შორს იდგა დეკადენსისათვის დამახასიათებელ საშინელ და შემაძრწუნებელ ხილვებისაგან, სიმახინჯის პოეზიისაგან, დაშლისა და დარღვევის გრძნობათაგან, პორნოგრაფიისაგან... თავისი განწყობილებით თვით უაღრესად სევდიან და იმედწარკვეთილ ლექსებშიც კი გალაკტიონი პოეტური ნივთის ისეთ ნათელ ქსოვილებს აკეთებს, ფერთა და მელოდიათა ისეთ ნატიფ შეზავებას ქმნის. რომ ლექსი მთლიანად, როგორც მშვენიერი ქმნილება, ჩრდილავს თავისსავე განწყობილებას.

ძვირფასო! სული ვევსება თოვლით.
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.

პო, ასეთია ჩემი ცხოვრება.
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები.
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით თეთრი ხელები.

ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...

სატრფიალო ლირიკაში მთელს ქართულ პოეზიაში ბევრი არ შეიძლება მოიძებნოს ქალისადმი ისეთი რომანტიკულად ამაღლებული, ფაქიზი, წმინდა და კდემამოსილი დამოკიდებულების მაგალითი, როგორიცაა გალაკტიონის პოეზიაში. თვით „მესაფლავეში" — პოეტის ამ ერთ-ერთ ადრინდელ მწუხარე ლირიკულ ამბავში — სიყვარულის წარმავლობის შესახებ, არაფერია უხეში და ქვეწადიერი, რამაც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ქალის ადამიანურ ღირსებას.

გალაკტიონი ყოველთვის ისწრაფვის ლექსის ფორმალურ სრულყოფისაკენ, მაგრამ ფორმალისტური მის პოეზიაში არარა არის. ხელოვნებაში ყოველგვარი ფორმალიზმი არსებითად ხომ გამოდის არა უშუალო გრძნობათა და აზრთაგან, არამედ რაიმე წინასწარ აღებული ფორმალური სქემისაგან. პოეტი კი, რომელიც წერდა სისხლის წვეთით, წერდა სასოებით, სულ ერთთავად უშუალო, მოულოდნელი და ღრმად ემოციურია.

გალაკტიონი შეურიგებელ წინააღმდეგობაში იყო ძველ ქვეყანასთან და ხშირად მას აღმოხდებოდა ხოლმე გარემონცველი წყვდიადით გაწამებული სულის კვნესა.

ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი
თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!
რომელი საათია? რომელი საათია?

მართალია, პოეტს ზოგჯერ ეგონა, რომ „საშველი არ არის", მაგრამ მას არასდროს არ დაბადებია იმ სინამდვილესთან შემარიგებელი და დამამშვიდებელი სულიერი კავშირის გრძნობა. ძველ ქვეყანაში პოეტს არაფერი გააჩნდა ისეთი, რასაც იგი ვერ დასთმობდა და ზურგს ვერ შეაქცევდა. და ამიტომაც იგი ასე გაბედულად, ასე უყოყმანოდ —თავისი განსაკუთრებული პოეტური გზით მივიდა ახალ ქვეყანასთან და გახდა მისი მომღერალი. ამ ახალ ქვეყანას პოეტი განიცდის არა მარტო როგორც ადამიანთა საზოგადოების გათავისუფლებას საუკუნეობრივ სოციალურ ბოროტებათაგან, არამედ საზოგადოების იმ ძალთა გათავისუფლებადაც, რომლებმაც უნდა იმუშაონ საერთოდ ადამიანთა ყოფიერებისა და მთელ სამყაროში არსებულ უსრულობათა ამოსავსებად, გამოსასწორებლად. პოეტი ხარობს მით, რომ ხედავს თავისუფალ ადამიანს — აშვებულ, ჯაჭვებშემომსხვრეულ ამირანს და სიხარულის ამ გრძნობას ერთგვარი პოეტური ჰიპერბოლითაც გამოხატავს — „სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი, შეხედეთ ახლა რაოდენია"-ო. მაგრამ უკმარისო-

ბის გრძნობა პოეტს მუდამ წვავს. არასდროს არ ნელდება მისი წყურვილი სისავსისა, სრულყოფილებისა.

ცხადია, ბევრი რამ იმ სამყაროდან, იმ განწყობილებიდან, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში აისახა. წარსულში გადავიდა და გადავა, მაგრამ ის, რაც პოეტმა შექმნა, საუკუნეებში იცოცხლებს. მარტოოდენ პურით როდი არსებობს ადამიანი. მის სულს, არანაკლებ ვიდრე მის სხეულს, ესაჭიროება საზრდო. მშვენიერების განცდა სულის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილებაა.

გალაკტიონის ლექსებში ადამიანის სულის მოძრაობის იმდენი სიმართლე, სილამაზე და სინატიფეა, რომ გჯერათ ამ სიმართლის, სილამაზისა და სინატიფის და არ გჯერათ ადამიანის სიცოცხლის უმიზნობის მოტივისა, რაც აქა-იქ გაისმის ხოლმე პოეტის ადრინდელ ლექსებში; ანდა როგორ უნდა დაიჯეროთ უმიზნობა ადამიანის სიცოცხლისა, რომელსაც ძალუძს შექმნას ისეთი გარდაუვალი ღირებულებანი, როგორიცაა თუნდაც თვით პოეტის მშვენიერი ლექსები.

ისე, როგორც ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები, გალაკტიონის უკეთესი ლირიკული ქმნილებანი, უკვე იმ მოვლენებისა და განწყობილებებისაგან დამოუკიდებლად, რომლებმაც წარმოშვეს ისინი, — იქცნენ წარუხოცელ მხატვრულ-ესთეტიკურ ფაქტებად.

გალაკტიონი არასდროს არ მოსწყვეტია მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის უკეთეს ტრადიციებს. იგი გაბედულად აგრძელებდა და ავითარებდა მათ. მაგრამ ამავე დროს პოეტი უხვად ამდიდრებდა თავის შემოქმედებას ევროპული და რუსული პოეზიის გამოცდილებით. ეს კი არამც თუ არ ანელებდა მისი პოეზიის ეროვნულობას, არამედ, პირიქით, აღრმავებდა და აფართოებდა მას. ნამდვილად კი სწორედ ეროვნული შეზღუდულობა. რაც კულტურათა ურთიერთგამდიდრებას გამოთიშავს, აღარიბებს და ნამდვილ ეროვნულ თვითმყოფობას უკარგავს მხატვრულ შემოქმედებას.

მარტო ის, რომ გალაკტიონი ასე კარგად, ასე ძლიერ გრძნობს ქართული ენის ყველა ხაუნჯეს. გრძნობს მთელ მის ემოციურ-გამომსახველობით ძალას და შეუძლია ეს ძალა შესანიშნავად გამოიყენოს, — მოწმობს პოეტის მტკიცე ნიადაგობრივობა.

ბევრი რამ არის ნოვატორული გალაკტიონის პოეზიაში, მაგრამ მათი გარკვევა სპეციალური გამოკვლევის საქმეა. საერთოდ პოეტის მდიდარი მემკვიდრეობა მოელის საფუძვლიან, ყოველმხრივ განხილვას, ღრმა იდეურ-ესთეტიკურ ანალიზს. ვითუმეტეს, რომ ამ მემკვიდრეობის ღრმა ემოციურობისა და მოვზიბველი ოსტატუ-

-რობის გამო ახალგაზრდობა ხალისით სწავლობს საყვარელი პოეტისაგან... დიახ, მისგან უნდა ვისწავლოთ, — ეს უეჭველად სასარგებლო იქნება, მაგრამ ვისწავლოთ არა ყველაფერი, არა სულ სხვა დროითა და პირობებით გამოწვეული განწყობილებანი, არამედ ვისწავლოთ წერა სისხლის წვეთით, წერა სასოებით, ვისწავლოთ შექმნის ოსტატობა და ქმნილებაში მთელი გულის ჩადება.

ჩვენს ხალხს უყვარს პოეტის ლექსები. ისინი ახარებენ, ახალისებენ და პოეტური შემოქმედების სიმშვენიერეს აზიარებენ მას.

მკითხველებს სრული უფლება აქვთ მოელოდნენ ჩვენი გამომცემლობებისაგან პოეტის რჩეული ლექსების როგორც უფრო ვრცელ კრებულებს. ისე მეცნიერულად დამუშავებულ თხზულებათა სრულ კრებულს. „ასი ლექსი" პირველი კარგი ნაბიჯია ამ მხრივ.

1960

გალაკტიონი

წავიდა ჩვენგან დიდი პოეტი.

ვაჟას შემდეგ ესოდენ კაშკაშა მნათობი არ მოსწყვეტია ქართული პოეზიის ცას.

იმთავითვე ორ დიდ საგანს ეწირებოდა იგი, როგორც პოეტი, როგორც კაცი.

საქართველო, უწინარეს ყოვლისა;

პოეზია, უწინარეს ყოვლისა.

უეცარი ტრაგიკული წერტილი დაესვა მშვენიერ პოეტურ სიცოცხლეს და დამთავრდა ძვირფასი წიგნიც, განუმეორებელი და უკვდავი წიგნი. ამიერიდან სულ მეტი და მეტი ძალით ვიგრძნობთ ამ წიგნის სიმშვენიერეს. ოდითგანვე ასეთი ყოფილა ჭეშმარიტი პოეზიის ბედი.

გალაკტიონი პოეზიისათვის იყო დაბადებული და მისი პოეტური მემკვიდრეობა მართლაც შლის საზღვარს მის სიცოცხლესა და მის უკვდავებას შორის. სიკვდილი აქ სახსენებელი არ არის.

დროშები ჩქარა!

გალაკტიონს თამამად შეიძლება ეწოდოს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მგრძნობიარე გულის დიდი მესაიდუმლე, მის შემოქმედებას კი — გრძნობათა მშვენიერი მეცნიერება.

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი!

ქართველი ხალხიც თავის უძვირფასეს სახსოვართა შორის მუდამ სასოებით შეინახავს გალაკტიონის ბევრ ხელიხელ საგოგმანებელ ლექსს.

ვერ ვინმე მესხი მელექსე.
რაც კი მივლია მე გზები.
ჯერ ლექსი მწვავდა. მერე ძზე.
ჯერ ძზე და მერე ლექსები.

ამ დღეებში, ალბათ, ყველას გულში გვიჟღერს გალაკტიონის ლექსების მუსიკა, დაგვსდევენ და ფუტკარივით გვეხვევიან მისი შესანიშნავი სტრიქონები.

ატმის ხე. იდგა თაიგულივით...

გალაკტიონის გენია ჩვენი საუკუნის დამდეგის რევოლუციურმა რომანტიკამ გააღვიძა. იმ დღიდან პოეტის მშფოთვარე გული ეპოქის ბევრმა ნაპრალმა გაბზარა და მის სულში ბევრი ერუანტელი, ბევრი იმედიცა და უიმედობაც, ბევრი ტკივილიცა და სიხარულიც დააგუბა.

გალაკტიონის დიდი პოეზია ორ პოლარულ პათოსს შორის არის გაშლილი: მიჯაჭვული ამირანის მწუხარე და უიმედო გოდებიდან („აღარ გათენდება ღამე საზიზღარი! რომელი საათია, რომელი საათია?") ახსნილი და ჯაჭვებდალეწილი ამირანის სიხარულამდე („სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი, შეხედე ახლა რაოდენია"; „აგერ მძლავრი და ტიტანი, მოსჩანს კავკასიის ტანი, მიჯაჭვული აქ იყო და აქ აეშვა ამირანი").

პოეტის მშვენიერი ლექსები მუდამ ფრთას გასხამთ, სასიცოცხლო ენერგიას გმატებთ, რადგან გრძნობთ უდიდეს პოეტურ ენერგიას, გრძნობათა დიდ ადამიანურ სიღრმესა და სისავსეს.

ოჰ! ეს ფოთლები, ფენილი ქარით,
ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?

არა, ასეთი პოეტური ხილვები კი არ შლიან და არღვევენ ჩვენს სულს, არამედ ამთლიანებენ და აფართოებენ ემოციურად, ესთეტიკურად. დეკადანსის საბედისწერო რუბიკონი გალაკტიონმა თითქმის იმთავითვე გადალახა თავისი დიდი პოეტური ტალანტით... გალაკტიონის მთავარი მემკვიდრეობითი ძარღვი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის და ვაჟას პოეტური სამყაროდან მოდის... და ისიც მათ მწკრივშია ჩამდგარი.

მართალია, გალაკტიონმა თითქოს უცხოური მოტივებიც შემოიტანა ქართულ პოეზიაში, მაგრამ იგი მაინც უაღრესად ქართველი ეროვნული პოეტია, არა იმდენად გარეგნული ნიშნებით, რამდენადაც თავისი სულის თვისებებით, პოეტური აზროვნების ხასიათით. სწორედ იმიტომ შესძლო გალაკტიონმა ქართული ლექსის უღრმესი და უდიდესი განახლება, რომ იგი ყველა ფესვით შეჭრილი იყო დიდ ქართულ პოეტურ მემკვიდრეობაში, რომ უბრწყინვალესად ფლობდა ქართული ენის სტიქიას. პოეტი საოცარი ძალით გრძნობს ქართული სიტყვის სურნელებას, მუსიკას, ფერს, შინაგან ნახატს. იქნებ ამიტომაც ითარგმნება იგი ასე ძნელად სხვა ენებზე.

მთები აკრელდა, როგორც ყირაფი,
მატარებელი მიჰქრის, ბინდდება,
ახლა იწყება წიფის გვირაბი,
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

რა შესანიშნავად არის მოქნეული ქართული სიტყვა!

დღეს გალაკტიონის ცხედარს მიიბარებს მთაწმინდა, თბილისს, ქუთაისს, მთელ საქართველოს მოაკლდება პოეტის ცოცხალი სახიერება, მაგრამ ქართველი ხალხი სასოებით მოუვლის მის შესანიშნავ პოეზიას — ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის სულიერ და ესთეტიკური გრძნობების აღზრდის ამ ანკარა წყაროს.

1959

პოეზია — გულის სიბრძნე

გაუმარჯოს პოეზიას! განა მარტო ლექსებში? ყველგან, სადაც არის იგი — სიტყვების, ბგერების, ფერების, ნაკვთებისა და ხაზების სტიქიაში — რომანში თუ ქანდაკებაში, მუსიკაში თუ ნახატში.

დე, დაიპყროს პოეზიამ ადამიანი მთლიანად! შესანიშნავი იქნებოდა ეს, რადგან დიდია პოეზიის არა მარტო ესთეტიკური, არამედ ზნეობრივი ძალაც... და, შესაძლოა, დღეს ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროებს ადამიანი ამ ძალის ზემოქმედებას. რასაკვირველია, პოეზია არ არის ზნეობრივი მოძღვრება, მაგრამ თვით სილამაზისა და ჰარმონიის გრძნობა მუდამ არის დამუხტული ზნეობრივი ენერგიით.

გაუდაბურდებოდა, გავერანდებოდა ადამიანის სული, მას რომ პოეზიის მადლი არ ჰქონდეს მინიჭებული.

ცისქვეშეთში არც დაბადებულა, არც გამოგონილა ისეთი რამ, რასაც შეეძლოს ადამიანთა გულების ისე დაახლოება და დამეგობრება, როგორც ეს შეუძლია პოეზიას, ხელოვნებას საერთოდ. ადამიანიდან ადამიანში, ხალხიდან ხალხში, ქვეყნიდან ქვეყანაში, საუკუნიდან საუკუნეში გადააქვს მას ადამინთა გულისძგერა, უთვალავი ფიქრი და აზრი, გრძნობა და ვნება... და ქმნის გულთა კავშირის უმშვენიერესსა და უსასრულო სიმფონიას.

არის კი რამ ამაზე უფრო ადამიანური? პოეზია ცოცხლობს და მარად იცოცხლებს ადამიანთა გულის დაუსრულებელი ფეთქვით, ადამიანურობის სულ ახალი და ახალი იდეებით. ჭკუათამყოფელი აბა ვინ იფიქრებს, რომ რომელიმე ფორმულებით შეიძლება ამოიწურაოს ადამიანის საკითხები, გადაიჭრას ჰუმანიზმის პრობლემები, საბოლოო ზღვარი დაიდოს სიკეთესა და ბოროტებას შორის? ეპოპეა ადამიანისა, მით უმეტეს ეპოპეა ადამიანის გულისა, — უსასრულოა როგორც სამყარო.

რასაკვირველია, პოეზია (ხელოვნება საერთოდ) ყოველგვარ საზოგადოებრივ ფუნქციას დაჰკარგავდა, მოკვდებოდა, რომ მას მუ-

დამ ერთი და იგივე აზრი, გრძნობა, განცდა და იდეა ჰქონდეს გადასატანი გულიდან გულში, პიროვნებიდან ხალხში, დროიდან დროში. იგი მუდამ კვალში უნდა ედგეს ცხოვრების განვითარებას და მუდამ უნდა მიიკვლევდეს გზას ადამიანთა სულისა და გულის კოსმოსური სიღრმეებისაკენ, როგორც ადამიანურისა და ადამიანურობის მუდმივი გამოვლინება. ამიტომაც სიახლე, ნოვატორობა პოეზიაში, მხატვრულ შემოქმედებაში საერთოდ, უმალ დაკავშირებულია ახალი ადამიანური ფენის გახსნასთან, ჰუმანიზმის ახალი იდეის წამოჭრასთან, ვიდრე რაიმე ახალი გამომსახველობითი საშუალების გამოყენებასთან. არა! ახალ მხატვრულ საშუალებათა აღმოჩენაც არსებითად ადამიანურის სამყაროში შეღწევაა უფრო ღრმად, უფრო ძალუმად.

პოეზია ამავე დროს მარადიული სიუაბუკეც არის ადამიანის სულისა, მას მუდამ თან ახლავს პირველი ხილვის სინედლეც. სილამაზის გრძნობის პირველქმნილობაც. განა არ არის მრავლისმეტყველი ის ფაქტი, რომ ადამიანის პირველი შეხვედრა კოსმოსთან პოეტური იყო? „ო, რა სილამაზეაო", — წამოიძახა ჩვენი საუკუნის კაცმა, ვინც პირველი გაიჭრა კოსმოსში და იქედან პირველად მოავლო თვალი სამყაროს.

პოეზია დროთა უმშვენიერესი კავშირიცაა.

ჩემს სულში ცოცხლობს ამირანის მითიც და „ვეფხისტყაოსანიც", „დავითიანიც" და „მერანიც". „აჩრდილიც" და „განთიადიც". „გველის მჭამელიც" და „მთაწმინდის მთვარეც". „ნინოწმინდის ღამეც" და „ლექსი მეწყერიც". ბევრი სხვა ქმნილებაც ადამიანის მხატვრული გენიისა — შინაურიც და უცხოურიც. ახალიც. ძველიც და ძველისძველიც. ასე იყრიან თავს ჩემს სულიერ არსებაში სხვადასხვა დროის, სხვადასხვა საუკუნის უმშვენიერესი ადამიანური განცდები. მე მოკვდავი ვარ, მაგრამ ეს განცდები როდი არიან მოკვდავნი. დე, პოეტური პარადოქსი იყოს, მაგრამ მაინც ღრმა. მაინც დიდებული თქმაა: თუმც არ არის ადამიანი მარადიული, მაგრამ ის რაც მარადიულია, ადამიანურიაო.

განცდა, როგორც ადამიანის სულის რთული რეაქცია გარე მოვლენებზე, როგორც გრძნობად-ემოციური კავშირი ქვეყნიერებასთან, სამყაროს ეგრეთწოდებული მხატვრული ათვისების მთავარი არხი, მთავარი საშუალებაა. პოეზიისა და მით უმეტეს ლირიკული პოეზიის სათავე ხომ განცდა და განცდაა. მაგრამ ყოველი განცდა როდი შეიძლება ამაღლდეს ხოლმე პოეზიამდე. მხოლოდ ის განცდა, მხოლოდ ის გრძნობა ბადებს ჭეშმარიტ პოეზიას, რომელიც თავისი დროის ღრმა ქვეყნიურ და ადამიანურ კავშირთა სიმებს არ-

ხევს, ადამიანის სულის მთელემარე ძალებს აღვიძებს და შორს მიმავალ ასოციაციებს იწვევს. ასეთი განცდები სიტყვებში (მით უმეტეს, სიტყვათა „კისრისტეხაში“) როდი თავდებიან (შესაძლოა, ვერც თავსდებიან), არამედ ტალღისებურად ვრცელდებიან სიტყვებიდან სახეებში, სახეებიდან მუსიკაში, მუსიკიდან აზრთა და გრძნობათა დიდ მოძრაობაში.

პისარევის ჭარბი უტილიტარული დამოკიდებულება პოეზიისადმი, რა საკვირველია, მიუღებელია, მაგრამ ფრიად საგულისხმოა მისი აზრი ლირიკოსების შესახებ. მხოლოდ პირველხარისხოვან გენიოსებს აქვთ უფლება იყვნენ ლირიკოსებიო, — ფიქრობდა იგი, — რადგან თავისი პირადი სულიერი ცხოვრების ჩვენებით მხოლოდ კოლოსალურ პიროვნებას შეუძლია მოუტანოს სარგებლობა საზოგადოებასო.

მეტისმეტია, არა?

ჩემი აზრით, ჰოც და არაც!

ამ აბსოლუტური საზომით, რა თქმა უნდა, კატასტროფულად შემცირდებოდნენ ლირიკოსები. და ვინ იცის, რამდენ ხანს უნდა გველოდინა „ცის გახსნისათვის“. მით უმეტეს, რომ, რაც დრო მოდის, ადამიანთა თაობები სულიერი კულტურის სულ ახალ-ახალ სიმაღლეებზე ადიან და ერთეულთათვის სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება ასცილდნენ ამ სიმაღლეებს. მიუხედავად ამისა, — კოლოსალურისა რა მოგახსენოთ, — მაგრამ თავისი ნიჭიერებითა და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით საკმაოდ მნიშვნელოვანი პიროვნება მაინც უნდა იყოს ის, ვინც ხალხის გასაგონად მღერის თავის განცდებს...

პოეზია გრძნობათა სიბრძნეა, განცდათა სიბრძნეა, თუ ყოველგვარ სიბრძნეზე აღმატებული არა, ყოველ შემთხვევაში, მათი უეჭველი და უდავო ტოლფარდი მაინც ყველგან და ყოველთვის. სიბრძნე კი ბრძნულ დამოკიდებულებას საჭიროებს... და არაფერია ისე არაპოეტური და პოეზიისათვის საზიანო, როდესაც მას მეტად „ძმაბიჭურად“ და ფამილარულად ეპყრობიან, როდესაც გარითმული ნამცეცა გრძნობებით პარნასზე ასვლას ლამობენ.

მე ვთქვი, პოეზია გრძნობათა სიბრძნეა-მეთქი. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს თავისთავად პოეტური სიბრძნე, მხატვრული სიბრძნე და არავითარ შემთხვევაში ამა თუ იმ ფილოსოფიურ-მეცნიერული მოძღვრების ილუსტრირება, როგორც ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე.

არა ცივი და განყენებული ზნეობრივი კონცეფციით გვხიბლავს ჩვენ, მაგალითად, „კაი ყმა“, არამედ სწორედ პოეტური განცდის

სიბრძნითა და სიღრმით. ამ განცდის ძალა შემოდის ჩემში, როდესაც ვკითხულობ:

იქ იდგეს ხმალამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულ სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს,
სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს...

. . . . .

სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამოეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგ ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა,
ანგელოზები ხარობდენ.
ალქაჯნი იყვნენ წყენითა.

ზნეობრივი იდეალიზმი. რაც დღესაც ნაკლებად როდი გვჭირდება ჩვენ, აქ პირდაპირ ამოხეთქილია პოეტური განცდის სიღრმიდან და არა პირიქით.

ან კიდევ: რა უბრალო, რა ლაკონური საშუალებით არის დაგზნებული პოეზიის უშრეტი ცეცხლი თამარისადმი მიმართვაში:

ქალო, ქართველთა სულის დგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა გხედაო.

. . . .

გულში გვინთიხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ჰქრებაო.
შენს და შოთაის მარჯვენას
ვემთხვიე ზედი-ზედაო.
შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თავი არ მომიკვდებაო!
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო!

სწორედ პოეტის გულის მღელვარების უღრმესი სიბრძნე ანიჭებს ამ „უბრალო“ ლექსს განუმეორებელ მომხიბვლელობას.

უკვდავ მშვენიერებად სახლდება სულში „ჩვენო ლამაზო დედაო!“ და გრძნობათა მთელ ლაშქარს რაზმავს.

მე არ მინახავს ნიკორწმინდა, მაგრამ მე ვიცი მისი უპკნობი პოეზია ასევე უპკნობი პოეზიის საშუალებით.

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება.
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო...

. . .

გრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო...

. . .

ნეტა ვინ მოჰქარგა
და როცა მოჰქარგა.
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა
გზნება — ნიკორწმინდა!
მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება
არის ამოდქმნილი —
ნატვრის ასრულება...

. . .

მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდა!
შენ, ფრთამოღუღუნეს
ყამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი:
ძლაერი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

თითქოს ვაზის ლერწებივით არის აქ გადაწნული ერთმანეთში ნატიფად შესრულებული რომანტიკული სახეები, მთრთოლვარე რიტმი, ნაზი და მსუბუქი მელოდია. ლექსში წყაროსთვალივით მოჩანს

უმძაფრესი პოეტური გრძნობა ხალხის ხელოვნების უკვდავებისა.

ახლა ერთი „პატარა“ თემა. „პატარა“ ინტიმიც — სიბრძნე ქალის გულისა, უნაზეს პოეზიად გაცხადებული.

> რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
> რა ჩურჩული! — ...დამდაგველი, მწველი.
> ლამის სახლში შემოვიდეს თეთა,
> ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

ეს ჰიმნია იდუმალებით სავსე მარადიული ქალურობისა. სიყვარულის მარადიული წყურვილისა. სადღაც თითქოს რაღაც ჯოკონდას ღიმილისებური მიინიშნება შესანიშნავ პოეტურ განსახებაში. მზად ხარ ადიდო სიცოცხლის ეს მშვენიერი ძალა!..

ო, რამდენი ხელიხელ საგოგმანები მარგალიტი ბრწყინავს ქართული პოეზიის დიდ საგანძურში. და გვიხარია. უზომოდ გვიხარია. რომ დღევანდელი ქართული პოეზია უხვად ამრავლებს ამ მარგალიტებს. მეგობრებმა უკვე კარგად შენიშნეს. რომ კავკასიონის გადმოღმა ცოცხლობს და ვითარდება დიდი. თავისებური პოეზია. ალბათ, მომავალში კიდევ უფრო მკაფიოდ დაინახავენ იმ განსხვავებულსა და თვითმყოფადს, რაც ქართულ პოეზიას შეაქვს მსოფლიო ხალხთა პოეტურ კულტურაში. თუ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს დიდმა ფრანგმა მწერალმა — რომენ როლანმა განსხვავებულობა და თვითმყოფობა შესანიშნავად დაინახა ხელოვნების ისეთ დარგში, როგორიც მუსიკაა. პოეზიაში თვითმყოფობა ხომ უფრო მკვეთრი და. მაშასადამე, უფრო ადვილი შესამჩნევიცაა (1906 წელს პარიზში როლანის ინიციატივით გამართულა სომხური. ქართული, რუსული და სპარსული მუსიკის კონცერტი, რის შესახებაც იმავე წელს როლანი სწერს ერთ თავის კორესპონდენტ ქალს: „მუსიკაში მკაფიოდ გამოჩნდა ეროვნული განსხვავება: სომეხი ღრმა, ტრაგიკული და ვაჟკაცურია თვით თავის მეოცნებობაშიაც კი; ქართველი ნათელი და მზიურია. თითქმის იტალიელია; რუსი დინამიკური, ცვალებადი და ლბილია“. («Иностранная Литература», 1963 წ.. № 3. გვ. 223).

პოეზია, მათ შორის ლირიკა, ადამიანის გულის მუდმივი თანამგზავრია. კარგად, აზრიანად, მღელვარებით წერს ამის შესახებ ერთ-ერთ თავის უახლეს ლექსში ცნობილი რუსი პოეტი ალექსი სურკოვი.

> Все мы люди, все мы человеки,
> В космос огненным взлетаем змеем,
> Плавим сталь, обуздываем реки,
> Только с сердцем сладить не умеем.

Сердце шутит шутки с нашим братом,
Разностями разными волнует.
Гений, смело расщепивший атом,
Женщину к ничтожеству ревнует.

То терзает нас слепая ярость,
То тоска ночная душу гложет.
Даже оптимист, почуяв старость,
Хочет улыбнуться и не может.

А любви неразделыной пытки?
А разящий сердце нож разлуки?
Ну, а если сбросим «пережитки» —
Не прокиснем ли совсем от скуки?

Мысли обступают нас, тревожа
Нашу беспокойную природу.
Неужели будет жизнь похожа
На дистиллированную воду?

Будет душу грызть проблема эта,
Будет тонкой сеткой ткать морщины,
На нее не получить ответа
У кибернетической машины.

Думается мне, что с нашим схоже
Будет сердце нового героя,
Значит, и при коммунизме тоже
Лирику не выведут из строя.

ლექსი, როგორც ვხედავთ, არ არის მოკლებული ერთგვარ ადამიანურ შეშფოთებასაც...

სანამ გული საჭირო იქნება ადამიანისათვის, არ მოიშლება მისი სიცოცხლეც — პოეზიის ღვთიური ცეცხლი.

დე, ყოველი დღე იქცეს პოეზიის დღედ ხალხისათვის!

1963

პოეზია სათავიდან

— მიყვარს წყაროს თვალი, მიყვარს სათავე, საიდანაც ანკარა, აუმღვრეველი წვეთები მოწანწკარებს. იგი ყოველთვის მაგონებს საყვარელ პოეტურ ქმნილებებს, მაგონებს პოეზიას. პოეზია კი, უწინარეს ყოვლისა, მიტაცებს თავისი უზარმაზარი ზნეობრივი ენერგიის გამო, — მეუბნებოდა ხოლმე ჩემი ერთი მეგობარი, კარგი მეგობარი, კარგი, თუნდაც იმიტომ, რომ უყვარდა რაღაც გულუბრყვილო, უვნებელი წაფილოსოფოსება, იგი ომში დაიკარგა და მე დამრჩა მისი ერთი ჩანაწერი, აი, ეს ჩანაწერიც:

„იმისათვის, რომ იარსებოს, რასაკვირველია, ადამიანმა უნდა მოიპოვოს და მოიხმაროს პური არსობისა, უნდა დაიკმაყოფილოს საარსებო მოთხოვნილებანი. ამ მხრივ ადამიანი მომხმარებელია და, კაცმა რომ თქვას, როგორც მომხმარებელი იგი დიდად არაფრით განსხვავდება სხვა ასეთივე მომხმარებელ სულდგმულთაგან. მომხმარებლის დამოკიდებულება სამყაროსადმი, თუნდაც ფრიად განვითარებული, გაფაქიზებული და დახვეწილი, არსებითად მაინც ცხოველური დამოკიდებულებაა. ამ დამოკიდებულებით ადამიანის ზნეობრივი არსება შორს ვერც წავიდოდა და ვერც წავა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანს დასჭირდა გაეკეთებინა იარაღი. და სწორედ ამან ასაწვლა მას კეთება, შენება, შექმნა, ასწავლა არა მარტო ნივთიერ, არამედ სულიერ ღირებულებათა შექმნაც. საკუთრივ ადამიანის ადამიანობა მაშინ დაიწყო რა დესაც მომხმარებელში შემქნელიც წარმოიშვა და განვითარდა.

ადამიანში, ამრიგად, მომხმარებელიც ზის და შემქმნელიც. მომხმარებელი სწორედ იმიტომ არის მომხმარებელი, რომ იგი არავის არაფერს აძლევს, ყველაფერს თავისთვის იხმარს, ყველაფერს თავისკენ მიითრევს, ყველაფერს იხვეჭს და ითვისებს, რაც კი საჭიროდ მიაჩნია თავისი არსებობისათვის. შემქმნელი კი სულ სხვაა. იგი თავის ძალას, თავის აზრსა და გრძნობას, თავისი გულისა და სულის ნაწილს აძლევს მას, რასაც აკეთებს, რასაც ქმნის. შემქმნელის დამოკიდებულება სამყაროსადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულებაა. შემოქმედება, ამრიგად, გაცემაა და არა მოხვეჭა: იგი

თავისთავის ხარჯვაა გარკვეულ ადამიანურ ღირებულებათა შესაქმნელად. თავისთავის გატანა, გარდაქმნა და გაცხადებაა ამ ღირებულებებში. შემოქმედება თავისი ბუნებით იმთავითვე რაღაც დიდი ზნეობრივი აქციაა.

მომხმარებელი და შემოქმედი!

ამ ორი საწყისის დავა და ბრძოლა ადამიანშიც, ადამიანთა საზოგადოებაშიც ათასნაირ კვანძებად იხლართება ისტორიულადაც, სოციალურადაც, ფსიქოლოგიურადაც...

განა უბრალო საკითხია, თუ ვინ ვის გადასძლევს ადამიანში — მომხმარებელი თუ შემოქმედი?

ეს რომ დიდი, ღრმა და ფრიად მწვალებელი საკითხია. იქედანაც ჩანს, რომ ამ საკითხს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მოეკიდა ჩვენი ბრძენი პოეტიც — ვაჟა-ფშაველაც. მისი მინდიას დიდი ტრაგედია არსებითად ხომ იმისგან წარმოსდგა, რომ იგი შეეცადა დაეკაბნა. დაეძლია ადამიანში მომხმარებელ-მიმთვისებელი, რათა სრული თავისუფლება მინიჭებოდა შემოქმედს. სიკეთის მთესველს, ვინაც თავისთავს მხოლოდ ამაღლებულ ადამიანურ ღირებულებათა შექმნისათვის ხარჯავს. მინდია, რასაკვირველია, შორს არის სულისათვის ხორცის გვემის რელიგიური რწმენისაგან. მინდია სრულიადაც არ უარყოფს ადამიანის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობას, იგი უარყოფს და ჰგმობს მხოლოდ ულმობელ ცხოველურ-მომხმარებლურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი: მას სწყურია დაამკვიდროს თანაზიარ-თანამგრძნობელი შემოქმედებითი დამოკიდებულება ყოველივე არსებულისადმი, რათა ამ გზით მისწვდეს და ეზიაროს ცხოვრების დიდ ჰარმონიას. მაგრამ მას წინაღუდგა ოჯახი, წინაღუდგა ცხოვრების მკაცრი ყოველდღიურობა თავისი ძლიერი სამომხმარებლო ინტერესებითა და საზრუნავით. მომხმარებელმა მინდიაში მოჰკლა შემოქმედი და მას ისღა დარჩენოდა რომ თავი მოეკლა. მისთვის ეს გარდუვალი იყო, რადგან უმაღლეს სიბრძნეს ზიარებულმა კარგად უწყოდა, რომ ადამიანში შემოქმედის ჩაქრობა და მომხმარებლის სრული გაბატონება მოასწავებდა ადამიანის დაქვეითებას ცხოველამდე.

ბოლოს და ბოლოს ადამიანში მაინც შემოქმედმა უნდა გაიმარჯვოს. რათა მთელი მისი სულიერი ძალები, მთელი მისი გრძნობები, აზრები და მისწრაფებები ნამდვილად გაადამიანურდეს...

პოეზია კი შემოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმაა, იგი ადამიანის აზრთა და გრძნობათა გაადამიანურების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალებაა და მას თვალი ყოველთვის სათავიდან უნდა გავადევნოთ“.

იქნებ უცნაურიცაა, რომ რატომღაც სურვილი დამებადა ორიოდე სიტყვა პოეზიაზე დამეწყო სწორედ ამ საკმაოდ ზოგადი და, შესაძლოა, არც თუ მთლად კარგად გამართული ჩანაწერით.

რა გაეწყობა! დე, იყოს ეს ერთგვარი კამერტონი, რაც, ალბათ, მარტო მუსიკოსს როდი სჭირდება.

უპოეზიოდ. მართლაც, ძნელი და ბნელი იქნებოდა კაცის ცხოვრება. სანამ ადამიანს ექნება სრულქმნილი სიტყვის სიმშვენიერისა, სიბრძნისა და სიკეთის წყურვილი, მანამ პოეზია ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი და უწყვეტი ნაკადი იქნება.

უდიდესი და უღრმესია პოეზიის არა მარტო ესთეტიკური, არამედ ზნეობრივი ზემოქმედების ძალაც.

არსებობს აზრი, რომ პოეზია ხელმისაწვდომია მხოლოდ რჩეულთათვის, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთათვის. ერთხელ ერთმა ცნობილმა პოეტმა ნაღვლიანად თქვა, ო, რა ცოტანი არიან ქვეყნად, წარმოიდგინეთ, თვით პოეტთა შორისაც კი, პოეზიის ნამდვილი მოყვარულნი და გამგებნი.

მართლაც ასეა?

ამ საკითხს ბევრი ასპექტი აქვს.

ვფიქრობ, ლექსის წერა, ისე როგორც ხატვა, სიმღერა, ნოტების კითხვა, ან რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა მეტად თუ ნაკლებად ყველას შეუძლია ისწავლოს, მაგრამ ჭეშმარიტად პოეტურ ღირებულებათა შექმნა ანუ სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირათა ძალუძს მხოლოდ ტალანტებს, ისე როგორც წარმტაცად შეუძლიათ იმღერონ მხოლოდ განსაკუთრებული ხმით, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები მოკლებული ვიყოთ პოეზიის აღქმისა და პოეზიით აღფრთოვანების უნარს. შშვენიერების განცდისა და ესთეტიკური ტკბობის უნარი, ისე როგორც საერთოდ აზროვნებისა და შგრძნობელობის უნარი, ადამიანთა საყოველთაო თვისებაა. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ განსაკუთრებულ ნიჭსაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაგრამ პირველადი უნარი ჯერ მხოლოდ შესაძლებლობაა და არა მოქმედი. აქტიური სულიერი ძალა. განუკითარებლად იგი მუდამ ბრმა, თვალაუხელელ ბავშვს ემგვანება, იმის გამო, რომ მე, როგორც ადამიანს, აზროვნების უნარი მაქვს, განუსწავლელად როდი შემიძლია ამოვხსნა რთული მათემატიკური ფორმულა, ჩავწვდე აინშტაინის თეორიას, გავიგო თანამედროვე ფილოსოფია. ასევე. ის. რომ მე მაქვს ესთეტიკური განცდის უნარი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ესთეტიკური კულტურის ამაღ-

ლების გარეშე შემიძლია ღრმად ჩავწვდე ხელოვნების, მათ შორის პოეზიის ჭეშმარიტ ქმნილებათა მთელ პოეტურ სიბრძნესა და სიმშვენიერეს. ამ პარალელის უფლებამოსილებას, ჩემი აზრით, ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება ის, რომ პოეზიის, ისე როგორც მუსიკის, ფერწერის და ხელოვნების ყველა სხვა დარგის ზემოქმედება ადამიანზე გაცილებით უფრო უშუალოა, ვიდრე ვთქვათ, მეცნიერებისა.

კიდევ მეტი: შესაძლებელია პარალელის გაგრძელებაც: ისევე, როგორც მეცნიერული ცოდნის განუწყვეტელი დაუფლების გარეშე შეუძლებელია კვალდაკვალ მიჰყვეთ თანამედროვე მეცნიერების განვითარებას, ესთეტიკური კულტურის განუწყვეტელი ამაღლების გარეშე შეუძლებელია კვალდაკვალ მიჰყვეთ თანამედროვე ხელოვნების, თანამედროვე პოეზიის განვითარებას.

პოეზიის ხალხურობა, რაც თანამედროვეობის მოწინავე ესთეტიკური აზრის ერთ-ერთ არსებით მოთხოვნას წარმოადგენს, არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს პოეტური შემოქმედების გამარტივებას და პოეზიის დაყვანას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მასობრივი გემოვნების დონემდე. პირიქით, ხალხის უკეთეს გრძნობებს, აზრებს, მისწრაფებებს შეესაბამება პოეზიის განუწყვეტელი გაუხვება ახალი პოეტური იდეებით, გამომსახველობის ახალი საშუალებებით, მშვენიერებისა და სიკეთის ახალი ამაღლებული იდეალებით.

მიუხედავად ამისა, საკმაოდ ძველი და გარკვეული მნიშვნელობით მართებულია დებულება, რომ პოეზია (საერთოდ მწერლობა) კი არ უნდა დავიყვანოთ ხალხამდე, არამედ ხალხი უნდა ავამაღლოთ პოეზიამდე, რასაც სხვადასხვა ვარიაციებით და სხვადასხვა შემთხვევისათვის დღესაც საკმაოდ ხშირად იმეორებენ, — რამდენიმედ ცალმხრივი და არასრულია. განსაკუთრებით ჩვენს დროში, როდესაც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა სხვა ხარისხშია გადასული. ჩემი აზრით, უფრო მართებული იქნება ვთქვათ: ხალხი უნდა ამაღლდეს დიდ პოეზიამდე, მაგრამ პოეზიასაც არა ნაკლებ მართებს ამაღლდეს ხალხამდე, ხალხის სულიერ მოთხოვნებამდე. მით უმეტეს, რომ ხალხი ყოველთვის ყველა ცალკეულ გენიოსზე გაცილებით უფრო დიდი გენიოსია და პოეზიის მთელი ოქროს მადანიც მის წიაღშია გაფანტული, ყველა უკეთესი პოეტური ქმნილებაც ყოველ დროში მისი გულიდან არის მოკვეთილი. საბოლოო ანგარიშით — დღეს არა, ხვალ — ხალხი მაინც პოეზიის ყველაზე დიდი მოყვარული და გამგებია.

დღეს ჩვენი დიდი სულიერი ხაუნჯის — ქართული პოეზიის დღეა.

ქართული პოეზიის დიდი გზა კი ყოველთვის ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების, მისი ჭირ-ვარამის, მისი საარსებო საკითხების შუაგულში გადიოდა და თავის უკეთეს ნაწილში ყოველთვის ასახიერებდა ხალხის სიბრძნეს, მის სამოქალაქო, ეროვნულ, ზნეობრივ და ესთეტიკურ მისწრაფებებს. შოთას ნაანდერძევი სიბრძნის ეს ერთი დარგი გურამიშვილმა ქართლის ჭირის გასახსნელად მოიმარჯვა, ბარათაშვილმა ქართლის ბედის გასააზრებლად, მოძმეთათვის გზის სიძნელის გასაადვილებლად, ილიამ ერის წყლულის სამკურნალოდ, აკაკიმ ხალხის ცხოვრების სარკედ, ვაჟამ ერის ზნეობის ასამაღლებლად, ღმერთთან სალაპარაკოდ.

ეს დიდი სამოქალაქო და ეროვნული ტრადიცია ღირსეულად განაგრძო და განავითარა ახალმა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ. და ეს პოეზია დღეს თავისი მხატვრულ-იდეური ღირსებით, თავისი მრავალხმოვანი ჟღერადობით, თავისი ეროვნული თვითმყოფადობითა და განუმეორებელი მრავალფერადოვანი პალიტრით ყურადღებას იქცევს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს იქითაც. მაგრამ, მოდი, ამას ნუ გამოვედევნებით. მით უმეტეს, რომ პოეზია სახელის განთქმისათვის კი არ არის გაჩენილი, არამედ მაღალი პოეტური ღირებულების შექმნისათვის. მთავარი ის არის, რომ ქართული საბჭოთა პოეზია დღეს კარგად ასრულებს ჩვენი ხალხის იდეური, მხატვრული, ზნეობრივი და ეროვნული თვითცნობიერების ერთ-ერთი მთავარი ბერჯის როლს.

1967

ბრძნობათა გამო

1. პირიმზე

ეს მოხდა ნადირობის დროს. ხუთნი ვიყავით. ვისვენებდით მდინარის პირას. ერთმა თქვა: — მირჩევნია ერთი დღე შეტი ვიცოცხლო. ვიდრე სიკვდილის შემდეგ ასი ძეგლი დამედგასო.

ოთხივენი შევედავეთ. ცხოველური, ეგოისტური მორალიაო, ვუმტკიცებდით; ასეთი მორალის კაცი ცხოვრებაში ვერ გამოიჩენს ვერავითარ ზნეობრივ სისპეტაკეს, ვერც რაიმე გმირობასა და თავდადებას. მაგრამ მოხდა საოცრება. სწორედ ეს კაცი გამოგვეყო ელვის სისწრაფით და თავგანწირვით გადაეშვა გადარეულ მდინარეში, რომელსაც სახედაკაწრული დედაკაცი მოჰკიოდა. ჩვენმა თანამონადირემ დახრჩობას გადაარჩინა ბავშვი, ვისაც მაღალ ნაპირთან თვალი აპრელებოდა და წყალში გადავარდნილიყო.

რთულია ადამიანი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, საქმეა და არა სიტყვა.

უნდა გამოგიტყდეთ: გამიძნელდა იმ საკითხების მისადგომის მოძებნა, რომლებზედაც მინდა გასაგონად ვიფიქრო. ამიტომაც გავიხსენე ეს ამბავი და ავირჩიე საყოველთაო მისადგომი — სიცოცხლე. სიცოცხლე. მართლაც. მშვენიერებაა, თუ ვინმე ან რამე არ გიმწარებს ან თვითონ შენ არ აფუჭებ მას...

ცოცხლობდე — ეს იმას ნიშნავს, რომ ჰქმნიდე რაიმე საზოგადოებრივ ღირებულებას, ჰქმნიდე კი იმას ნიშნავს, რომ არ კვდებოდე. ილტვოდე უკვდავებისაკენ.

მაგრამ, ვთქვი თუ არა ეს, უმალვე გამახსენდა: ვაითუ ვინმე წამომიხტეს და წინ წამომიდოს ერთი დიდი მოაზროვნის ნათქვამი: ცოცხლობდე — ეს იმას ნიშნავს, რომ კვდებოდეო. მაშასადამე, გამოდის, რომ სიცოცხლე არ არის მხოლოდ სიცოცხლე, იგი სიკვდილიცაა, სიკვდილიც არ არის მხოლოდ სიკვდილი, იგი სიცოცხლეცაა.

რას იზამ! დიალექტიკაა. დიალექტიკა კი სამყაროს შეუვალი

ეანონზომიერებაა. არ ერწმუნო ამ კანონზომიერებას, ეს იმას ნიშ
ნავს, არ ერწმუნო მეცნიერებას. მეცნიერების შემეცნებითი შესაძ-
ლებლობა კი განუსაზღვრელია. თუმცა არის დარგი, სადაც მეც-
ნიერული შემეცნება არცთუ ისე უფლებამოსილია. ეს არის შემოქ-
მედების. მხატვრული აზროვნების დარგი. ყოველგვარი გაუგებრო-
ბის თავიდან ასაცილებლად ვიჩქარი ვთქვა: რასაკვირველია, მეცნი-
ერებას შეუძლია შეისწავლოს და მისხლიან-მისხლამდე გამოიკ-
ვლიოს მხატვრული შემოქმედების ყოველი მხარე, ყოველი კანონ-
ზომიერება. მაგრამ მას არ შეუძლია არ იყოს ის, რაც არის, ე. ი. სა-
ნამ მეცნიერება მეცნიერულ შემეცნებად რჩება, მას არ ძალუძს
შეიმცნოს და აითვისოს სამყარო მხატვრულად. პოეტურად. მუსი-
კალურად. ეს მხოლოდ ხელოვნებისა და შემოქმედების საქმეა. მე-
ცნიერება ეძებს საგანთა და მოვლენათა საერთო და საყოველთაო
სათავეს. იგი საგანთა სტიქიას იმორჩილებს მათ ერთიანობაში, მათ
არსში. ამიტომ მეცნიერება რამდენიმედ გულგრილია საგანთა გა-
ნუმეორებელი პიროვნული ნიშნების მიმართ, მხატვრული შემოქ-
მედება კი სწორედ მათს განუმეორებელ პიროვნულობაში შეიმეც-
ნებს ხოლმე საგნებსა და მოვლენებს. მეცნიერება ზეიმობს იქ, სა-
დაც საგანთა პიროვნული ნიშნები ითქვიფება და ინთქება საგანთა
საწყისში, მათ არსში. ხელოვნება კი ცოცხლობს საგანთა მრავალ-
სახოვნებით და კვდება იქ, სადაც ქრება და იკარგება საგანთა განუ-
მეორებელი პიროვნული ნიშნები.

რა ცვლილებაც არ უნდა გამოიწვიოს ადამიანთა ტვინში კა-
ცობრიობის შემდგომმა პროგრესმა, მეცნიერებისა და ტექნიკის
განვითარებამ, მათ შორის, თუ გნებავთ, ახალ საგყაროთა აღმოჩე-
ნამ მომავალ კოსმოსურ მფრინავთა მიერ, საგყაროს მხატვრული
ათვისება — იქნება ის პოეზია, მუსიკა თუ მხატვრობა — მეცნიე-
რული შემეცნების გვერდით — მუდამ დარჩება ადამიანის სული-
ერი ცხოვრების სრულფასებიან წევრად. ფიზიკასა და ლირიკას
საადავო არაფერი აქვთ და ერთი მეორეს ვერც წაშლის, ვერც გა-
ამაბათილებს. პირიქით, ვფიქრობ, ერთი უმეოროდ ვერ იქნება. რად-
გან აულესავი გონება ბუნების ვერც ერთ საიდუმლოებას ვერ ამო-
ხსნის. და მათ სხვა დანიშნულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, არ არ-
სებობს გონების იმაზე უკეთ ამლესავი, ვიდრე პოეზია, მუსიკა და
მხატვრობაა. მე ასე მგონია: პოეზიის გრძნობის უქონლობა ისეთი-
ვე დიდი ადამიანური ნაკლია, როგორც მუსიკის გრძნობის ან ფე-
რების, ხაზების, პლასტიკური ფორმების გრძნობათა უქონ-
ლობა.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, სიტყვამ მოიტანა, თორემ მე

იმის თქმა მინდოდა, რომ შემოქმედება ბრძოლაა უკვდავებისათვის. შემოქმედება ებრძვის ფორმულას: ცოცხლობდე — ეს ნიშნავს, რომ კვდებოდეო. შემოქმედება ყოველთვის ცდილობს წარმავლობას გამოსტაცოს საგანი, დაიჭიროს დროის სული, დროის რიტმი, შეაჩეროს თვით დრო და ყოველივე ეს ჩაკეტოს თავის ქმნილებაში.

ვთქვათ, იყო თუ არა იყო, მაინც იყო იმ დროის ადამიანურ შინაარსში რაღაც, რაც შეიძლებოდა ასე დასახულიყო: ოდესღაც ვიღაც დაკარგულ სატრფოს დაეძებდა, იტანჯებოდა (ეს შეიძლება ცხოვრების ვითარებათა ათასნაირ ხლართებად წარმოვიდგინოთ), გავიდოდა დრო, იპოვიდა თუ ვერ იპოვიდა სანატრელს, ადრე თუ გვიან მაინც მოკვდებოდა ის ვიღაც, მოკვდებოდა მისი სატრფოც, ბოლო მოეღებოდა მათ ტანჯვასა და სიხარულს, მათ ვნებასა და ფიქრებს. ყველაფერი გადავიოდა უსასრულო სიცარიელეში. მაგრამ შემოქმედმა დროს გამოსტაცა ეს კონკრეტული ადამიანური შინაარსი და თავის უკვდავ ქმნილებაში — „ვეფხისტყაოსანში" გაამარადისა.

გამარადიულება არის შემოქმედების დაუცხრომელი წყურვილი.

წიგნს „მანონ ლესკო" გალაკტიონმა წააწერა მშვენიერი ლექსი, რომელშიც არის ასეთი სტროფები:

ყველაფერი იგი გაქრა,
ვით სიზმარი გვიანი;
დრომ ახალი ძალით დაჰკრა;
სხვაა ადამიანი.

. . . .

მაგრამ წიგნი მაინც დარჩა
ვაჟისა და ასულის,
როგორც სარკე. როგორც ფარჩა
დროის ფერგადასულის.

შემოქმედება არის ერთადერთი თავშესაფარი, სადაც ადამიანი ემალება მადევარ სიკვდილს. პატარა თუ დიდი შემოქმედი ყოველ ადამიანში ზის. შემოქმედება მომავლის დაპყრობის, მომავალში დამკვიდრებისა და განმტკიცების მუდმივი ქინი და წყურვილია.

„ხელოვნება თავად უკვდავებაა,
მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი...

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი". ასე ფიქრობს ერთგან ხუროთმოძღვარი არსაკი-

ძე, კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი გმირი. შემდეგ იგი ასე ავითარებს ამ აზრს: „მართლაც და სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მარადჟამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამ ქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლთან?“

ჩემი აზრით, ამ სიტყვებში არის შემოქმედების ბუნების, მისი უცვლელი ფსიქოლოგიური საფუძვლის ღრმა გაგება, გაგება იმისა, რომ შემოქმედი თავის ქმნილებაში ყოველთვის აქსოვს უკვდავებისა და მარადისობის გრძნობას.

პირადად მე მართებულად არ მიმაჩნია ქართულ კრიტიკაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს მწერალმა შორეული წარსულის შემოქმედს გადასცა ჩვენი დროის მხატვრული აზროვნების დონე და ამით გმირი რამდენადმე მოსწყვიტა თავის ეპოქას. არა, ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისეთი ძეგლის შემქმნელს, როგორიცაა სვეტიცხოველი, უეჭველად შეიძლებოდა, ჰქონოდა შემოქმედების ბუნების ამგვარი გაგება. საერთოდ კი, რომანში. ცხადია, თანამედროვეობიდან დანახული წარსულია წარმოდგენილი. სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ძველი საქართველოს ღირსსახსოვარი სახეა, ჩვენი დროის შემოქმედის მიერ ამოტაცებული წარმავლობისა და გარდასულობის უკუნეთიდან. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეს ქმნილება მთელი ქართული ლიტერატურის იმ დიდ წრეში შედის, რომელიც ჰქმნის ჩვენი ეროვნული მხატვრული კულტურის სახეს და ამკვიდრებს მის საფუძვლებს. მიუხედავად იმისა, რომ რომანის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გიორგი მეფის ცხოვრებასა და თავგადასავალს უჭირავს, მისი მთავარი მხატვრული ძარღვი და მთავარი იდეა ობიექტურად მაინც ქართული ხელოვნების შესანიშნავი ქმნილების — სვეტიცხოვლის, დიდი ქართული ხელოვანის — კონსტანტინე არსაკიძისა და მშვენიერი ქართველი ქალიშვილის — შორენას ბედშია გამოსახული.

გვიდავია და, შესაძლოა, ჯერავაც ვედავოთ ზოგ რამეში მწერლის ენობრივ პოზიციასაც. მის ისტორიულ თვალსაზრისსაც. მაგრამ ერთი რამ უდავოა: რომანის მთელი მხატვრულ-ენობრივი სისხლ-ხორცი კარგად ამჟღავნებს ქართული ენის ჯავარიანობასა და მის განუსაზღვრელ გამომსახველობითს შესაძლებლობას. გვახარებს, რომ ქართულმა სიტყვამ ძლევამოსილად გააჩერა სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან მცხეთის ლაჟვარდში შეცურებული სვეტიცხოველი, მკლავმოკვეთილი ქართველი ხელოვანის ბორგვა და ქარაფიდან უფსკრულში გადაფრენილი ქართველი ქალის ტრაგიკული სახიერება. „დიდოსტატის მარჯვენა“ ძველი საქართველოს

თვალსაჩინო მონუმენტია, ახალ საქართველოში გამოძერწილი მარადისობისა და უკვდავების გრძნობით.

ჰაუ, რა შორიდან ვუვლი.

აი, კვლავ ამოცურდა მეხსიერებაში ჩვენი დროის დიდი ქართველი პოეტის — გალაკტიონის ერთი ლექსიც:

პირიმზე, რისთვის ჩაფიქრებულხარ,
პირიმზე, ჩრდილი რაზე გფენია?
მტკვარო, შენ მაინც მითხარ, რას სწუხარ,
შენ მაინც რაზე მოგიწყენია?
ნუთუ გგონია, რომ ჩემი გული
ახლა საკუსა მწამელელ გრძნობებით,
რომ ვერასდროს კვლავ ვეღარ გიხილავთ
და სამუდამოდ გემშვიდობებით?
დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა,
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს,
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა?

არა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ლექსი გალაკტიონის საუკეთესო ქმნილებებს უტოლდებოდეს. მაგრამ იგი მაინც მაღელვებს, მაღელვებს მისი პოეტური სიბრძნე. შესაძლოა, ლექსის უშუალო საბაბი სრულიად შემთხვევითი რამ იყო. იქნებ ლექსი, მით უმეტეს, ლირიკული ლექსი მეტწილად სწორედ შემთხვევით იბადება. მაგრამ დაბადება უკვე შემთხვევითობისაგან თავდახსნაა. და ლექსიც მხოლოდ მაშინ იქცევა ნამდვილ პოეზიად, როდესაც იგი შემთხვევითის მიჯნებს გაარღვევს და წარმოსახვის უამრავი მოულოდნელი ძაფით დაგვაკავშირებს ქვეყნიერებასთან, მანამდე უცნობ კუთხეშიაც შეგვაჭვრეტინებს. კაცმა რომ თქვას, პოეზია და ხელოვნება საერთოდ საგანთა ერთგვარი გამოხსნაც არის შემთხვევითობათა დაბურდული აბლაბუდისაგან.

პოეზია რომ მხოლოდ თავისთავის გამოსახვა იყოს პოეტის მიერ, როგორც ამას ზოგი ფიქრობს ხოლმე, მაშინ იგი სხვებისათვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა, რადგან მას არ ექნებოდა საგანი თავის გარეშე. უსაგნოდ კი არც გრძნობაა და არც აზრი. ერთი ადამიანი მეორე ადამიანის აზრებსა და გრძნობებს მხოლოდ იმ საგნების მეშვეობით ხვდება, რომელთა გამოხატულებასაც წარმოადგენენ ეს აზრები და გრძნობები. ყოველი შემოქმედი, რასაკვირველია, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საგნებისადმი. მაგრამ შემოქმედს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადაგვდოს თავისი განცდა და მღელვარება, თუ მისი დამოკიდებულების საგანი ჩვენი და-

მოკიდებულების საგანიც არის და თუ ამ საგანს ახალი სიღრმით გვიჩვენებს, ახალი ძალით განგვაცდევინებს.

მივუბრუნდეთ გალაკტიონის ლექსს. ვის ან რას შეარქვა ჩვენმა პოეტმა ეს ლამაზი სახელი — პირიმზე? პირიმზე ქალის სახელია, პირიმზე მთის ყვავილიცაა. ამ ორფესვიან ქართულ სიტყვას თითქოს განსაკუთრებული პოეტური ბიოგრაფიაც და რაღაც განსაკუთრებული პოეტური სახოვნებაც გააჩნია. იქნებ ამის გამოც შეიყვარა პოეტმა ეს სიტყვა იმდენად, რომ ბევრ თავის ლექსში გაახმიანა. იქნებ, აკაკის სულიკოს დარად ამ სიტყვაშიაც დიდი და მრავალმეტყველი სიყვარულის საგანია ნაგულისხმევი? იქნებ, პირდაპირი მისამართიც აქვს ვინმე გულმიმტაცი არსებისა? იქნებ სხვა სახელია მერისა, ვისი ტრფიალების ტრაგიკული ამბავი ასე მწუხარედ ამოიმღერა პოეტმა? იქნებ, ის ტყისპირელი დებია, პოეტს რომ ვარდებს თავაზობდნენ და ეუბნებოდნენ: „თქვენ ისეთი კარგი ხართ, თქვენ პოეტი ბრძანდებით“? იქნებ... იქნებ... მაგრამ განა მარტო ქალია, განა მარტო სიყვარულია? „პირიმზე“ ქვია პოეტის მეორე ცნობილ ლექსსაც. მართალია, ამ ლექსშიაც გაიელვებენ ქალები — „ამოდის მთვარე და სამაიით ფერმკრთალ ქალების მიმოდის წყება“, მაგრამ აქაც პირიმზე უპირატესად სხვა ფერებსა და სახეებშია გამჟღავნებული: „დავიწყებული ჭიშკრის კარებზე ხავსი, ყავრები და წვიმის წვეთი“ (საიდან სად არ გატყორცნის ფიქრსა და გრძნობას ეს საოცრად მშობლიური და საოცრად მეტყველი ნახატი), ჟამთასვლით გამჭრალი „ათჯერ თეთრი დარბაზი“, ბედად გადარჩენილი „ცამეტი სვეტი“, „მოხუცი ბალი“, ძმებმა რომ გაიყვეს, სამშობლო ქვეყნის წარმტაცი ზღაპრები, „მთები, სიზმრები და წინაპრები“, სადაც დიდ სიმშვიდეში რომ უხმობენ ათრთოლებულ სულს (ლექსი პირთამდეა დამუხტული უმძაფრეს პოეტურ შეცნაურებაში გარდამავალი განწყობილებით).. და რატომაც არ უნდა ვიგრძნოთ, რომ პირიმზედ შეიძლება ჩათქმული იყოს ბევრი, ძალიან ბევრი რამ, რაც პოეტის გულში სიმღერად და სილამაზედ აფეთქებულა თუ აფეთქდება. ვთქვათ, მამული, სადაც ულრმეს პოეტურ განცდად არის შენივთებული ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა, წინაპართა აჩრდილები, სხვა ხალხის ურიამული, მოგონება მოხუცი მამისა, რომელიც აქ ოდესღაც სასხლავით ხელში დადიოდა ვენახში, და საოცრად ღრმა, საოცრად მართალი ადამიანური სინანული და წუხილი; ან გმინვა ამირანისა, ერთმანეთთან შეხავსებულ კლდეებთან რომ გაისმის... და ტყეც რომ გუგუნებს „ამირანია“; ან თავისუფლება, სულს ისე რომ მოსწყურდა, „ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა“; ან საქართვე-

ლოში მოტანილი „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა"; ან განახლებული მშობლიური მიწა, რასაც ურღვევი ფიცით ეკვრის ხოლმე პოეტი; ან ტიტანი კავკასიონი, სადაც მიჯაჭვული იყო და სადაც აეშვა ამირანი; ან ნიკორწმინდა, რომელიც „ნეტავ ვინ მოჰქარგა, და როცა მოჰქარგა, შიგ მიჰკარ-მოჰკარგა გზნება—ნიკორწმინდა"; ან კიდევ თუნდაც სრულიად უბრალო რამ: ყვავის ბახალა, ქარმა რომ ხეებს გადაახალა, ეზოში რომ ჰყეფს „ბამბურა მურა"... და ვინ მოთვლის, რამდენი რა — სამშობლოს მუსიკიდან, სამშობლოს ფერებიდან, ერთი სიტყვით, პირიმზე პოეტის შთაგონების დიდი წყაროა, თავანყარა წყარო უმძაფრეს გრძნობათა, რასაც ეს ცა, ეს მიწა, ეს ხალხი, ეს ცხოვრება და ეს ენა ბადებს. არა, პირიმზე არ არის სამშობლოს უბრალო, პირდაპირი სიმბოლო. იგი სამშობლოა, მაგრამ ტანკენარი და სახეშეზიური ქალიც არის, ვნებათა დიდი შედეგია. მერე, როგორ ჰგავს ერთმანეთს სამშობლოს სიყვარული და ქალ-ვაჟის სიყვარული (ალექსანდრე ბლოკმაც იმღერა ეს ერთხელ სულ სხვანაირად); ისინი ერთნაირ სითბოსა და სიტკბოს, სიხარულსა და ნაღველს, შვებასა და ტკივილს აგუბებენ გულში. თუ ოდნავ მაინც არ გიგრძვნია მსგავსი რამ, გაგიძნელდებათ პოეტის გრძნობის გაგება. საერთოდ პოეზიის სულს მაშინ ჩაწვდებით მხოლოდ, თუ მსგავს რამეს, უმცირეს ნასახად მაინც, საკუთარ სულიერ გამოცდილებაშიაც პოულობთ ხოლმე.

მაინც რისთვის ჩაფიქრებულა პირიმზე? ან მტკვარს რაზედ მოუწყენია? მეტისმეტად კადნიერი ხომ არ არის პოეტი, მათი დარდისა და წუხილის მიზეზს იმაში რომ ხედავს, თითქოს ჰგონიათ, რომ პოეტი მათ ვეღარასოდეს ვეღარ იხილავს და სამუდამოდ ემშვიდობება? იქნებ, მართლაც, გაგვიელვოს კითხვამ, ერთი კაცისთვის, თუნდაც დიდი პოეტისათვის, ასე მწარედ რად უნდა დანაღვლიანდესო მთელი სამშობლო? მაგრამ არა, არავითარი კადნიერება აქ არ არის. ჰარმონიის დიდი გრძნობაა, სიბრძნეში გარდამავალი. რატომაც არ უნდა ედარდოს და ენაღვლოს სამშობლოს არამცთუ დიდი პოეტის, არამედ თუნდაც ერთი პატარა და უბრალო შვილის დაკარგვა: გულქვაობა და გულგრილობა ყოველთვის არღვევს სანატრელ ჰარმონიას. არა, არამცთუ სამშობლოს, როგორც ცოცხალ საზოგადოებრივ ორგანიზმს, რასაც გულიც აქვს და სულიც, არამედ მთასაც, მთასაც კი, რომელიც მე შემიყვარებია და შემიტკბია და რომლის ხატებაც გულით მიტარებია, უნდა ენაღვლოს ჩემი ნაღველი, უნდა ემწუხროს ჩემი სიკვდილი. მთას, ცხადია, არ შეუძლია იცოდეს. მაგრამ პირიმზემ, ჩემმა სანუკვარმა პირიმზემ უნდა იცოდეს, რომ ჩემსა და ჩემისთანების გარეშე მისი პი-

რიმზეობა უაზრო. უმეტესველო მდუმარება იქნება: პირიმზემ უნდა იცოდეს, რომ მისი მომხიბვლელობა მხოლოდ იმიტომ არის მომხიბვლელობა, რომ მე მხიბლავს, რომ ჩემს სიყვარულში მეღაენდება. და თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი თავისი განუმეორებელი პიროვნებით, თავისი განუმეორებელი ემოციური კუთხით განიცდის და ანამდვილებს ქვეყნის ავკარგს, მის ჩრდილსა და ნათელს, მის სილამაზეს, ქვეყანას უნდა სტკიოდეს ყოველი ადამიანის ტკივილი. საქმე ეხება არა მარტო ჰუმანიზმის ღრმა გრძნობას, არამედ სიცოცხლის დიდ მთლიანობასაც, ურომლისოდაც სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

განა მხოლოდ პოეტს? განა მხოლოდ ეგრეთწოდებულ რჩეულებს? ყველას. ყველას აქვს (თუ უნდა ჰქონდეს?) უფლება უთხრას სამშობლოს: — მე, როგორც შვილი შენი, მოვალე ვარ მიყვარდე უმხურვალესად. მაგრამ შენც მოვალე ხარ გიყვარდე, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ შემეძლოს შენი სიყვარული, შემეძლოს შენთვის თავდადება!

არ იფიქროთ, რომ რაიმე ზნეობრივ ნორმებს ვქადაგებდე, მხოლოდ ვცდილობ, გამოვარკვიო პოეტის გრძნობათა ანატომია, მივყვე მათ ასოციაციურ ქსელებს. და თუ სადმე პოეზია და ზნეობა, სილამაზე და სიკეთე ერთმანეთში გადადის, ეს მათი ბუნების საქმეა და არა ჩემი ცდისა.

მე მესმის და მაფრთოვანებს სილამაზე, სიღრმე და სიბრძნე პოეტის გრძნობისა, რადგან პირადადაც ასე მგონია, ასე მჯერა: თუ მე ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ, ვთქვათ, ჩემთვის ბავშვობიდანვე საყვარელ გიუმაყ მდინარეს — გუბაზოულს, რომლის ჩქერებიდან მე კალმახების გალობაც კი შემომსმენია, მას — ამ მდინარეს უეჭველად მოაკლდება რაღაც, ჩაუქრება ერთი პაწაწა შუქი, უმეტესველო გახდება მისი სილამაზის ის ნაწილი, თუნდაც ერთი ნამცეცი, რაც მე მივაკვლიე და რასაც ჩემი პიროვნების განუმეორებელი დაღი დავასვი.

არა. ნურავინ წაეტანება აქ სუბიექტივიზმს! იგი აქ არ არის! აქ გააზრებული გრძნობაა სიცოცხლისა და ქვეყნიერების ერთიანობისა.

განა თქვენ არ დაფიქრებულხართ: ქვეყნის რამდენი უთქმელი სილამაზე თან წაუღიათ ადამიანთა გარდასულ თაობებს და ამის გამო რამდენი სილამაზე დაჰკლებია თვით ქვეყანას? ან რამდენი სილამაზე დააკლდებოდა, ვთქვათ, საქართველოს (და არა მარტო საქართველოს), რომ თუნდაც მარტო ერთ ვაჟა-ფშაველას ვერ ეთქვა თავისი სათქმელი? ეს ხომ შესაძლებელი იყო? და როგორ

არ უნდა გვაფრთოვანებდეს და გვახარებდეს სიბრძნე იმ ეპოქისა, რომელიც ყველა პირობას შეუქმნის ადამიანს, რათა მას უთქველი არ დარჩეს თავისი სათქმელი და ქვეყანას თავისი წილი სილამაზე შეჰმატოს, რათა ყოველმა ხალხმა, ყოველმა ერმა თავისუფლად ამოიმღეროს თავისი სიმღერა.

დიდ პოეზიას დიდი ასოციაციური არე აქვს — მონათესავე ფიქრთა, აზრთა და გრძნობათა გამოწვევის თვალსაზრისით. და მე არ გამკვირვებია, როდესაც ჩემმა ერთმა მეგობარმა გალაკტიონის ლექსზე საუბრის დროს ასეთი პათეტიკური მონოლოგი წარმოსთქვა: — მართალია, ადამიანთა გამთიშავ ძალებს — მტრობასა და ბოროტებას — ქვეყანა ბევრი სისხლითა და ცრემლით, ჭუჭყითა და ტალახით გაუსვრია, მაგრამ ქვეყანა მაინც უფრო მეტად მშვენიერებათა ულასრულო მუზეუმია, ვიდრე სისაძაგლეთა და საშინელებათა ბნელი საწყობი. ადამიანები სიკვდილს დასძლევენ, როდესაც ცხოვრება ისე მოეწყობა, რომ ყოველი კაცი თავს მოვალედ ჩათვლის, სუფთა გულით შემოვიდეს ამ მუზეუმში, ჭუჭყი და ტალახი კი არ შემოიტანოს, არამედ სადმე მის ერთ წერტილს მაინც თავისი სუფთა საღებავი დაადოს. გალაკტიონმა ხომ კარგად მოხატა თავისი კუთხე?

როგორც ვთქვი, ამ სენტენციას ძველებური, პათეტიკური მონოლოგის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ მე იგი მაინც მომეწონა, და აი, რატომ:

იქვე არ არის, რომ პოეტს თავის ზემოთ მოტანილ ლექსში გამოხატული აქვს მტკივნეული გრძნობა პირიმზესთან სამუდამო განშორებისა. ლექსს შემთხვევით არ ეწოდება „გამოსალმება". და დღეს, როდესაც ვიცით პოეტის ტრაგიკული ნახტომი, შესაძლოა, უფრო მეტი ძალით განვიცდიდეთ ამ გრძნობის მთელ სიწრფელესაც და იმ სრული პოეტური თავგამეტების ძალასაც, რაც ყოველ დიდ მხატვრულ ქმნილებაში სუფევს. ეს რთული გრძნობა პოეტმა კიდევ უფრო ღრმად და რელიეფურად გამოხატა თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში.

მიდიხარ...
ისე მიგაქვს წვალება
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე.
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.

მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.
მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს,
ბშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს —
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

მე ასე ვფიქრობ: შეცდება ის, ვინც ამ ლექსში სიცოცხლის უარყოფისა და განწირულების პოეზიას ამოიკითხავს. პირიქით იქ არის სიკვდილის საზღვრებს იქით სიცოცხლისა და უკვდავების ძიების, სიკვდილის უარყოფისა და მისი დათრგუნვის საოცარი გრძნობა. ეს გრძნობა კი იმდენად ღრმა, იმდენად ძლიერი და იმდენად გავარვარებულია, რომ როგორც ყოველი უაღრესი გავარვარება, სადღაც, რაიმე უეცარი წუთის გამო კატასტროფული აფეთქების შესაძლებლობასაც შეიცავს. მაგრამ შესაძლებლობა შესაძლებლობაა, იგი შეიძლება მხოლოდ ლექსის გარეთ და ლექსის მიღმა აღსრულდეს, ან არ აღსრულდეს. ლექსში კი, როგორც უძლიერეს პოეტურ ნაწარმოებში, რჩება მხოლოდ ეს დიდი, ცეცხლოვანი გრძნობა — ადამიანის სულის შემმართებელი ძალოვნების მაჩვენებელი. და ამიტომაც პირადად მე, როდესაც ამ ლექსის სიღრმეში ვიხედები, ასჯერ და ათასჯერ მეტად მინდა ვიცოცხლო და ვიმოქმედო, ვიდრე მაშინ, როდესაც სიცოცხლის პირდაპირ გარითმულ ქებათა-ქებას ვისმენ.

სიკვდილის გრძნობით არაფერიც არ იქმნება. მხოლოდ სიცოცხლისა და უკვდავების დიდი წყურვილი ბადებს ყოველ დიდ ქმნილებას. გალაკტიონის მოტანილი ლექსებიც სწორედ სამშობლოს უზომო სიყვარულისა და უკვდავების ძალუმი გრძნობით არის ნაშობი და ნაწრთობი, ამის პირდაპირი დადასტურებაც გვაქვს პირველ ლექსში: მე არ ვიქნებიო (იგულისხმება), — მიმართავს პოეტი პირიმზესა და მტკვარს, — მაგრამ.

დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა,
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს.
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა?

ამრიგად, პოეტს სწამს უკვდავება თავისი უსაყვარლესი პირიმზესიც და თავისი სიმღერისაც, პირიმზეს რომ სძღვნის სამარადისოდ. და უკვდავებაც სწორედ უკვდავების ამ გრძნობაშია.

ვითომ ილუზიაა? ვითომ ეს გრძნობაც, ეს რწმენაც თავის მო-

ტყუებაა. რადგან ჟამთა ვითარებაში შეიძლება პირიმზეც მოკვდეს, სიმღერაც გაქრეს? არა, არ არის ილუზია. ხალხი უკვდავია, ქვეყანა უკვდავია და შენ, როგორც მათ ნაწილს, წილი გიდევს მათ უკვდავებაში. შენშიც არის თესლი მარადისობისა, მით უმეტეს, თუ შენი ადამიანური არსება გააზრებული გაქვს ხალხთან, ქვეყანასთან განუყრელ ერთიანობაში.

მაგრამ, ვთქვათ, რომ ყოველივე ეს მართლაც ილუზია და ცდუნებაა. მერე რა? სხვა რაღა გვრჩება? მაშასადამე, ცდუნებაც რომ იყოს ეს გრძნობა, ეს რწმენა ადამიანისათვის აუცილებელია, რადგან უმისოდ არც არაფერი შეიქმნებოდა კაცთა მიერ. არსებითი სწორედ ის არის, რომ ქმნა, კეთება, ამღერება მუდამ სიცოცხლისა და უკვდავების გრძნობასთან არის დაკავშირებული. შეცნებულად თუ შეუცნობლად ამ გრძნობით რომ არ ხელმძღვანელობდეს, ეს გრძნობა რომ არ შეჰქონდეს თავის ქმნილებაში, ადამიანი ხელსაც ვერ გაანძრევდა, ვერაფერს ვერ შეჰქმნიდა. თვით უკიდურესი პესიმისტებიც კი, როდესაც ხელოვნების რაიმე ნაწარმოებს ქმნიან, თუნდაც ისეთს, რომელშიაც უღრმეს უიმედობასა და სასოწარკვეთილებას გამოხატავენ, ჰქმნიან მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლისა და მარადისობის შეცნობილი თუ შეუცნობელი გრძნობით, და ამის გამო ღრმა წინააღმდეგობაშიაც ვარდებიან თავისსავე მსოფლმხედველობასთან.

კეთება მარადისობისათვის — ეს ყოველთვის ყოფილა ყველა დიდბუნებოვანი ადამიანის უმაღლესი მისწრაფება. გაიხსენეთ გერცენიდან უკეთილშობილესი წუხილი ჭაბუკისა: — უკვე ოცდაოთხი წლისა ვარ და მარადისობისათვის ჯერ კიდევ არაფერი გამიკეთებიაო.

ყოველივე ზემოთქმულით მე ჩემებურად უკვე შევამზადე სარბიელი იმისათვის, რომ შემეძლოს განვაგრძო ხმამაღალი ფიქრი სხვა სასიცოცხლო გრძნობებზეც, კერძოდ ენის გრძნობაზეც.

2. ბუტბუტებს მტკვარი

ტრიბუნაზე იდგა ახალგაზრდა ქალი. ფიზიკას ასწავლის საშუალო სკოლაშიო, მითხრეს. ლაპარაკობდა შთაგონებულად, თავისუფლად, ენაწყლიანად და, რაც მთავარია, შესანიშნავი ქართულით. ჩემს გვერდით იჯდა დარბაისელი კაცი, იმ რაიონის ერთ-ერთი დიდი საწარმოს მთავარი ინჟინერი. მასწავლებელმა ქალმა სიტყვა რომ დაამთავრა, ინჟინერი მომიბრუნდა და მითხრა:

— რაცა ვართ, დედაენითა ვართ! ვენაცვალე ქართულ ენას! რა სილამაზეა, რა მშვენიერება! — წამით სიტყვა გაწყვიტა და უმალვე დაუმატა, — რასაკვირველია, მარტო ქართული კი არა, ყველა ენა მშვენიერია.

ისე გულწრფელი აღტაცებით იყო ეს ნათქვამი, რომ გულში ღრმად ჩამეჭრა. თუმცა დამატება ზედმეტად მომეჩვენა. გუნებაში გავივლე, რად იფიქრა, რომ ცალკერძობას შევწამებდი, ან უშუალო განცდა რად გაბზარა თითქოსდა სავალდებულო დასკვნით, განა შეიძლება ვინმეს ცოდვად ჩაეთვალოს თავისი ენის განსაკუთრებული სიყვარული?

ასე იყო თუ ისე, იმ საღამოს რაღაც არაჩვეულებრივად ძლიერი სინათლე მოეფინა ჩემს შეგნებაში აზრს იმის შესახებ, რომ ენა არა მარტო ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა, არამედ მშვენიერებაცაა, სასიამოვნო განცდის საგანიც არის. ანუ, უფრო სწავლულად რომ ვთქვათ, ენა ესთეტიკური ფენომენიცაა.

მე არც ენათმეცნიერი და არც ფილოსოფოს-ესთეტიკოსი გახლავართ, მაგრამ მაინც მსურს, გამოვთქვა ხმამაღლა ზოგიერთი ჩემი ფიქრი ენის ბუნებაზე საერთოდ, კერძოდ კი ქართულ ენაზე. ახლა ამის პირდაპირი საბაბიც არსებობს. რა გასაკვირია, რომ ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის დღეებში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში — ქართველ კაცს გულისყური თავის ენისაკენაც გაექცეს. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ ენამ მიიტანა და მიაქვს ქართველი ხალხის გულთან ჩვენი ეპოქის ყველაზე მაღალი იდეები.

მართლაც, საოცარი რამ არის სიტყვა. რომ უკვირდები, მას თითქოს განსაკუთრებული ფერიც აქვს, განსაკუთრებული სურნელებაც, ხოლო განსაკუთრებული ელერადობა ხომ აქვს და აქვს. სიტყვა საოცრად ერთადერთი და განუმეორებელია, როგორც ფორმა, და საოცრად ზოგადია, როგორც ცნება, როგორც შინაარსი. აიღეთ რომელიც გნებავთ სიტყვა, მაგალითად, „ლაჟვარდი". როგორც სიტყვა, იგი ერთადერთია მთელ ქვეყანაზე და, შესაძლოა, სწორედ ამ ერთადერთობაშია მისი სიმშვენიერეც, მაგრამ როგორც ცნება, იგი ამავე დროს ფრიად ზოგადია და ზოგადს კი სახე არა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვის განცდა, როგორც მშვენიერებისა, ანუ სიტყვის ესთეტიკური განცდა, დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, მის განუმეორებელ ფორმასთან.

„ვინ იცის, მტკვარო, რას პუტბუტებ, ვისთვის რას იტევი,
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი."

ჩვენ გვხიბლავს ამ პოეტური განცდის სიღრმე და სიწრფელე მთლიანად, მაგრამ აქ ყოველ სიტყვასაც თავისი საკუთარი ესთეტიკური გამოსხივებაც აქვს. ბუტბუტებს მტკვარი და ეს „ბუტბუტიც“, ეს „მტკვარიც“ რაღაც შეუნაცვლებელ შუქსაც გამოსცემს.

საგულისხმოა სიტყვის სხვა განზომილებაც.

აბა, ჩაიხედეთ თუნდაც ერთი ქართული სიტყვის — „წუთისოფლის“ სიღრმეში და ქართველი ხალხის რა გრძელ თავგადასავალს, მის რაოდენ ფიქრსა და განცდას ამოიკითხავთ შიგ. რა მართალი იყო ანატოლ ფრანსი, როცა ამბობდა, გარკვეული ცოდნის მეშვეობით ფრანგული ენის სიტყვარში შეიძლება, საფრანგეთის მთელი ისტორია წაიკითხოთო.

ენა რომ მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ურთიერთობის საშუალება იყოს და სხვა არაფერი, მაშინ ყოველ ასოკირკიტა დოგმატიკოსს მართლაც ექნებოდა გზა ხსნილი ენათა სანგრევად. მაგრამ, საბედნიეროდ, ენა გაცილებით უფრო დიდი რამ არის, ვიდრე უბრალო საკომუნიკაციო საშუალება. ენა უმაღლესი ესთეტიკური ფენომენიცაა, ესთეტიკური განცდის საგანიცაა, როგორც ვთქვით, და ადამიანის სულიერ არსებაში გადატანილი სამშობლოც არის. გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ძახილი“, რომელიც მწერლის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

მოთხრობის გმირი — ანდრო კაიშაური ცხრა-ათი წლისა იქნებოდა, როდესაც მისი მშობლები ანანურიდან მოზდოკში გადასახლდნენ. ანდრო რუსეთში დავაჟკაცდა და იქვე ჩაება ნაროდნიკულ-რევოლუციურ მოძრაობაში. მალე იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. დამკვიდრდა საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. კოსმოპოლიტურად განწყობილ ახალგაზრდას სრულებით გადააავიწყდა ქართული ენაც, საქართველოც, მთელი თავისი წარსული, დედისა და მამის სახელებიც კი. ფრანგული ენა იქცა მის დედაენად, თვითონაც ანდრე კაშორი გახდა, ფრანგული ოჯახი შექმნა, ფრანგი შვილები და შვილიშვილები დაზარდა. და აი, თითქმის ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ ღრმა მოხუცს შემთხვევით ქართველი კაცი გადაეყარა, რაღაც-რაღაცები შეახსენა. მოხუცის ჩაშრეტილ მეხსიერებაში პირველი დედაენის ბგერები გაკრთნენ, ამას დაკარგული სამშობლოს ლანდებიც მოჰყვა. მერე უეცარი გარდაქმნა: კაიშაური წმინდა ქართულ ენაზე ამეტყველდა; დედაენის ბგერებმა ბავშვობაში დანახული საქართველოს სურათებიც აღუდგინეს. კაცს სამშობლომ დაეძახა და იგი სამშობლოში დაბრუნების დაუცხრო-

მელმა სურვილმა შეიპყრო. პირველმა დედაენამ შეჰკრა და შეადუღა კაცის სიცოცხლის დასაწყისი და გასათავი.

მე არ ვიცი, დაადასტურებს თუ არა მეცნიერება მეხსიერების ასეთი მიმოქცევის შესაძლებლობას. მაგრამ მთავარი და არსებითი აქ იმდენად ფაქტის სისწორე როდია, რამდენადაც თვით მწერლის, თვით შემოქმედის გრძნობისა და განცდის სიმართლე. მწერალი დედაენას განიცდის, როგორც ადამიანის სულიერ არსებაში ჩაწნულ სამშობლოს. მთავარი სწორედ ეს არის.

მართლაც, დიდი მტკიცება ხომ არ სჭირდება იმას, რომ დედაენის გრძნობა მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი მუდმივ მოქმედი საფუძველია. მწერლისათვის, მაგალითად, ენა არა მარტო მასალაა, ვთქვათ. ისეთივე მასალა, როგორც ქვა მოქანდაკისათვის (სამწუხაროდ, ზოგ ვინმეს მართლაც აქვს წარმოდგენილი ენა ასე მკვდარ მასალად), და არა მარტო ის სიტყვიერი მადანია, რომელიც ტონობით უნდა გადაამუშაოს, რომ რამდენიმე გრამი ძვირფასი პოეტური კრისტალი მიიღოს, არამედ შთაგონებისა და შემოქმედებითი ფანტაზიის წყაროც არის, როგორც სულში ჩახატული სამშობლო.

მე ვერას ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორია ენის როლი მხატვრული შემოქმედების ისეთ „უსიტყვო“ დარგებში, როგორიცაა მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება და ხუროთმოძღვრება. მაგრამ თუ ეგრეთწოდებული „უსიტყვო“ ხელოვანი — ადამიანი, მართლაც იმით განსხვავდება ისეთი „ხელოვანებისაგან“, როგორიცაა ბულბული, ფუტკარი, ობობა და სხვა ამისთანანი, რომ მისი შემოქმედება აზროვნებითი შემოქმედებაა, მაშინ შეუძლებელია რაღაცნაირად მაინც არ გადაეცეს მის შემოქმედებას იმ ენის გრძნობა, რომლის მეშვეობითაც იგი აზროვნებს. მაგრამ ეს ალბათ შემოქმედების ფსიქოლოგიის ისეთი თვალჩაუწვდენელი სიღრმის მოვლენაა, რომ განსაკუთრებულ რთულ გამოკვლევას მოითხოვს.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია:

მწერალი და მწერლობა იწყება დედაენის გრძნობით. დედაენის გრძნობისა და პოეტური აზროვნების განუყოფელობაზე ჯერ კიდევ დიდი შოთა უბნობდა:

> მაშინღა ნახეთ შელექსე და მისი მოშაირობა,
> რომ ვეღარ მიხვდეს ქართელსა, და უწყოს ლექსმან ძვირობა,
> არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა მეირობა,
> ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

ყოველი ნამდვილი შემოქმედი, მათ შორის მთელი ხალხიც, როგორც დიდი ერთობლივი შემოქმედი, არ შეიძლება, გულგრილი

იყოს თავისი ენის ისტორიული ბედის მიმართ. მას არ შეუძლია, შეურიგდეს აზრს დედაენის შესაძლებელი სიკვდილის შესახებ, რადგან სიკვდილის გრძნობით არაფერიც არ შეიძლება შეიქმნას.

მაგრამ ცხოვრებაში ბევრი უცნაური რამ ხდება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ „ლიტერატურნაია გაზეტაში" წერდა ერთი კრიტიკოსი ოსეთიდან, მე სრულიადაც არ მაწუხებს, თუ რა ბედი ეწევა მომავალში ჩემს ენასო. ცნობილი საბჭოთა პოეტი — დაღესტნელი რასულ გამზათოვი კი, პირიქით, თავის ერთ-ერთ მგზნებარე ლექსში ამბობს თუ ჩემს ენას ხვალ სიკვდილი მოელის, მე მზად ვარ, დღეს სული ამომხდესო.

ძნელია ედავო ან ერთს ან მეორეს, რადგან ორივე გრძნობათა სფეროში რჩება. პირველის აღიარება იმასა ჰგავს, რომ კაცი ამბობდეს, მე დედა არ მიყვარს და ფეხებზე მკიდია მოკვდება თუ არაო, მეორესი კი — იმას, რომ კაცი ამბობდეს, მე დედა მიყვარს და მინდა მუდამ იცოცხლოსო. რას იზამთ, ერთს დედა არ უყვარს, მეორეს კი უყვარს. პირადად მე, რასაკვირველია, სიყვარულს ვემხრობი, სიყვარულში მეტ სიმართლეს ვხედავ, ვიდრე უსიყვარულობაში, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ხალხი მღერის: „წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია სიყვარულს უშენებია".

მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სიყვარულსა თუ უსიყვარულობაში როდია. მთავარია, გავითვალისწინოთ დედაენის როლი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ხალხის კულტურის, კერძოდ, მხატვრული შემოქმედების განვითარებაში.

„ენა — კულტურის საფუძველია" — წერდა ამას წინათ იგივე „ლიტერატურნაია გაზეტა". რასაკვირველია, ეს დებულება არავითარ ახალ აღმოჩენას არ შეიცავს. მაგრამ იგი მიუთითებს მუდმივმოქმედ ძალასა და კანონს, და ამდენად მუდმივი მნიშვნელობის დებულებაა. ენა — კულტურის საფუძველია. ცხადია, იგულისხმება არა რომელიმე ერთი ხალხის ენა, არამედ ყველა ენა საერთოდ. აბა, ხომ სისულელე იქნება, მაგალითად, სიცოცხლის ნიშნად რომ მხოლოდ ერთი ვინმეს სუნთქვა ვიგულისხმოთ და სხვებისა კი არა. სუნთქვა სუნთქვაა, ვინც უნდა სუნთქავდეს. ხალხის ენაც ხალხის სასიცოცხლო სუნთქვაა. ამის შესახებ ძალიან კარგად თქვა ჯერ კიდევ ასი წლის წინათ დიდმა რუსმა პედაგოგმა კ. დ. უშინსკიმ თავის შესანიშნავ წერილში — „დედაენა":

„ხალხის ენა არის მთელი მისი სულიერი ცხოვრების საუკეთესო, მარად უმკნობი ყვავილი, მუდამ ახლად რომ იფურჩქნება, ყვავილი იმ სულიერი ცხოვრებისა, რაც შორს, ისტორიის საზღვრებს იქით

იწყება. ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო; ენაში ხალხის სულის შემოქმედი ძალით აზრად, სურათად და ბგერად აისახება სამშობლოს ცა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები, მისი ჰავა, მისი ველები, მთები და ხეობები, მისი ტყეები და მდინარეები, მისი ქარიშხლები და ჭექა-ქუხილი — მშობლიური ბუნების მთელი ის ღრმა აზრითა და გრძნობით აღსავსე ხმა, რომელიც ასე ძალუმად მეტყველებს იმ სიყვარულზე, რაც ადამიანს აქვს თავის ზოგჯერ მკაცრ სამშობლოსადმი, ხმა, რომელიც ასე ნათლად გამოითქმის მშობლიურ სიმღერაში, მშობლიურ ჰანგებში და სახალხო პოეტების ლექსებში. მაგრამ ხალხის ენის ნათელ და გამჭვირვალე სიღრმეში აირეკლება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორიაც. ხალხის თაობანი ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ თითოეული თაობის ცხოვრების შედეგები რჩება ენაში შთამომავლობათა მემკვიდრეობად. დედაენის საგანძურში თაობანი ერთმანეთზე ალაგებენ ღრმა გულისძგერის ნაყოფთ, ისტორიულ მოვლენათა, რწმენათა და შეხედულებათა ნაყოფთ, განცდილი ჭირისა და ლხინის კვალს,—ერთი სიტყვით, მთელი თავისი სულიერი ცხოვრების კვალს ხალხი გულმოდგინედ ინახავს ხალხის სიტყვაში. ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე უხვი და მტკიცე კავშირი, რაც ერთ დიად ისტორიულ ცოცხალ მთლიანობად აერთიანებს ხალხის გარდასულ, ცოცხალ და მომავალ თაობებს. ენა არა მარტო გამოხატავს ხალხის სიცოცხლის ძალას, არამედ იგი თვით არის ეს სიცოცხლე. როდესაც ქრება ხალხის ენა, თვით ხალხიც აღარ არსებობს! აი, რატომაა, მაგალითად, რომ ჩვენმა დასავლეთელმა ძმებმა გადაიტანეს უცხო ტომთა ყველა შესაძლებელი ძალადობა, მაგრამ როდესაც ეს ძალადობა ენას შეეხო, მაშინ მათ გაიგეს, რომ ახლა უკვე საქმე ეხებოდა თვით ხალხის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხს. სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც. და არ არსებობს უფრო აუტანელი ძალადობა, ვიდრე ის, როდესაც სურთ ხალხს წაართვან გარდასულ წინაპართა უამრავი თაობების მიერ შექმნილი მემკვიდრეობა. წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი. მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ვერასოდეს ვეღარ შექმნის მას; ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, მაგრამ ენისა კი — არასოდეს; მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც. მაგრამ თუ ადამიანის სული შეძრწუნდება ერთი მომაკვდავი ადამიანის მკვლელობის გამო, რაღა უნდა იგრძნოს ადამიანის სულმა მაშინ, როდესაც ხელყოფენ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პიროვნების სიცოცხლეს“.

კარგად ვიცი, გრძელი ამონაწერი ზოგჯერ საკუთარ აზრში ვაკუმის ამოსავსებად ხდება საჭირო. მაგრამ კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, ამ შემთხვევაში ამას ვერ დავწამებ თავისთავს.

განა განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ზემოთ მოტანილი სიტყვები ეკუთვნის დიდი რუსი ხალხის ჭკვიან შვილს, ხალხისა, რომლის ენას თითქმის არასდროს არ შექმნია ისეთი საფრთხე. როგორიც ექმნება ხოლმე მცირერიცხოვანი ერების ენებს. და ამიტომ ეს სიტყვები იმას მოწმობენ, რომ თვით რუსი ხალხი (ვისთანაც საუკუნეების მანძილზე ერთად უფიქრია და უოცნებია ქართველ ხალხს მომავალზე, თავისუფლებაზე, სიკეთეზე, და სილამაზეზე) და მისი საუკეთესო შვილები ყოველთვის ჩაგრულ ერთა ქომაგნი ყოფილან.

ცხადია, ენა, როგორც იტყვიან ხოლმე, ისტორიული მოვლენაა, ისტორიული განვითარების შედეგია. მაგრამ მას სიცოცხლისა და განვითარების თავისი განსხვავებული შინაგანი კანონიც აქვს. თუ საერთოდ მართალია ჰეგელის დებულება, რომ რაკი მოვლენა წარმოიშვა, მას განვითარების თავისი განსხვავებული შინაგანი კანონიც უჩნდება, მაშინ ეს დებულება ორმაგად მართალია ენის მიმართ.

ენის სიცოცხლე, და ისტორიული განვითარება, რა თქმა უნდა, სისხლხორცეულად არის გადაწნული ხალხის ცხოვრებასა და ისტორიულ განვითარებასთან. მაგრამ, როგორც ჩანს, თავის განვითარებაში ენა არ განიცდის ისეთ გარდატეხასა და ნახტომებს, როგორიც ხდება ხოლმე ხალხის სოციალურ-ისტორიულ განვითარებაში. ენის განვითარება უწყვეტი ნაკადია, თუ, რასაკვირველია, რაიმე გარეშე ძალა ძალადობით არ შესწყვეტს მის დინებას.

ენა ხალხის დაუცხრომელი შემოქმედების უდიდესი და უმშვენიერესი ნაყოფია. ხალხი — ხელოვანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჰქმნის თავის ენასა და მის ყოველ სიტყვას, როგორც თავისებური ხელოვნების ნაწარმოებს, რათა რაც შეიძლება ცხოველად, საგნობრივად, შთამბეჭდავად და ლამაზად გამოხატოს ყველაფერი ის, რასაც ხედავს და განიცდის, ჰქმნის სილამაზის კანონის მიხედვითაც, სიტყვა ხელოვნების ნაწარმოებიცაა ერთგვარად. რით არ არის, ვთქვათ, სიტყვა სიხარული ან სევდა, ყვავილი ან ფიქრი — ხელოვნებით შესრულებული სურათი ან სახე იმისა, რასაც გამოხატავს. ყოველი სიტყვიდან ხალხის გენია იცქირება.

გვაქვს ჩვენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის უკვნობი ქმნილებანი, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი და ყველაზე მშვენიერი ქმნილებაა თვით ქართული ენა.

ყველაზე მეტად სწორედ ენაში ინახება და იკვერება ფენა-ფენად

ხალხის მთელი ისტორიული ცხოვრების ყველა მხარე, ყველა საფეხური. ენაა სიცოცხლისა და უკვდავების გრძნობის ყველაზე დიდი და მტკიცე საბუდარი. მხოლოდ ენის მეშვეობით იღებს ხალხი სულიერ მემკვიდრეობას წარსულიდან და ენის მეშვეობითვე გადასცემს მომავალ თაობებს გაზრდილ და გამრავლებულ სულიერ საუნჯეებს. ენა უწყვეტი ცოცხალი ნერვია, ხალხის ყველა თაობის სულიერ ორგანიზმში გაქსელილი და გატარებული. ზოგჯერ ასე გგონია, სიტყვას რომ ამბობ, მისი თრთოლვა მთელ ნერვს გადაეცემა და შორეულ წინაპართა გულისფეთქვასაც კი აღვიძებს.

აი, ახლაც მახსენდება სტრიქონები სიმონ ჩიქოვანის ლექსიდან „სერაფიტას გამოხმობა“:

ახლა შეგხვდი, მოშრიალდი ყალომდი,
ყვლავ მიმღერე, რასაც ძველად გალობდი.
უხსოვარ დროს რომ ვგალობდით მე და შენ,
ორ მდინარედ შემოსული მცხეთაში.
. . . . . .
შენი ხმები შენახულა ჰაერში.
გარინდული. შესუდრული ყაეშნით!
მე შევარხევ. შენი ტკბილი ღეღენი
განმეორდეს, გაარღვიოს უკუნი.

აბა, თვალი გააყოლეთ: თითქოს ჰაერში მართლაც შეირხა გარინდული ხმა და ქართულმა სიტყვამ გაარღვია უკუნი. იმ დროს, იმ უხსოვარ დროში გალობდა ის მშვენიერი ქალიშვილი. ვინ იცის, რას გალობდა. გალობდა ალბათ სიყვარულზე. თავის ქალურ სევდასა თუ სიხარულზე, ცასა და ვარსკვლავებზე, მტკვარსა და არაგვზე. გალობდა ქართულს, ძველქართულს. და იყო იმ გალობაში ქართული ბგერები, ქართული სიტყვები: სიყვარული თუ ავბედობა, გვემა თუ ნეტარება, წამი თუ წამწამი, ვედრება თუ ზვარაკი, მზეკაბუკი თუ ირემი, ცრემლი თუ ვაზი, არაგვი თუ არმაზი... და ქართულმა სიტყვებმა წამოიღეს მომავლისაკენ იმ გალობაში გახვეული გულისცემა, მოიტანეს ჩვენამდე. აბა, რა საშინელი ამოუსებელი სიცარიელე, რა სულშემხუთავი წყვდიადი იქნებოდა იქიდან აქამდე, სერაფიტიდან — ნატო ვაჩნაძემდე, ნატო ვაჩნაძიდან — პატარა ცირამდე, თამრიკომდე, ნანამდე და ამის გამო, რა საშინელი სიცარიელე იქნებოდა ჩვენს სულშიაც, რომ ენას (ამ შემთხვევაში, ქართულ ენას) არ გაება ცოცხალი, უწყვეტი კავშირი ჩვენს წარსულსა და მომავალს შორის. თუ ეს კავშირი არა, განა შესძლებდა პოეტი ისე მიახლოებოდა ღუშორეს, უუწინაპრეს, არმაზისდროინდელ თვისტომ

ქალიშვილს, რომ საოცარი გრძნობით ეთქვა, „უხსოვარ დროს რომ ვგალობდით მე და შენო“?

ენა აზრის სინამდვილეა. ეს მეტად ღრმა და მართალი ჩაწვდომაა ენის ბუნებისა. მართლაც, არაფერშიც არ შეიძლება იყოს ისე განამდვილებული ხალხის აზრი და გრძნობა, ხალხის მთელი სულიერი ცხოვრება, როგორც ენაში.

რა თქმა უნდა, წარმოშობის, აღზრდის, წრისა და ცხოვრების სხვა პირობების შესაბამისად ყოველ ადამიანს ენიჭება ბუნებრივი არჩევანი დედაენისა. მაგრამ დედაენის გრძნობა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სასიცოცხლო გრძნობაა ადამიანისა. და იგი, ვისაც ეს გრძნობა დაჩლუნგებული აქვს, მე ასე ვფიქრობ, მეტი რომ არ ვთქვათ, სულდაშრეტილი კაცია.

გადავაჩვიოთ ფიქრი ჩონჩხებს, ჩარჩოებს!

მოდი, ამიტომ აქ ფიქრს ცოტათი შევუნთოთ ქართული სიტყვით დაკვესილი ცეცხლი, თორემ შეიძლება გაცივდეს იგი.

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა, ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე პგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა ედემს ხებული,
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული,
მერე წამოჯდა წარბშერეკმით, გამწყრალი, გარისხებული.

ვითა დავღამდი, ისე გავთენდი.

სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას.

აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები
მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.

ნისლი ფიქრია მთებისა,
მათი კაცობის გვირგვინი.

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს?
ჩუში შრიალი საიდან არი?
ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს,
მაინც მწვერვალებს ედება ქარი.

დათბა. განვაგრძოთ.

მაგრამ ვგრძნობ, ვიღაც მებღვირება. სჯობს კი, ნუ მებღვირება. თორემ იმ ორივე ფეხით კოჭლ ხარაზს მოვაგონებ, რომელიც შვილს ჩასჩიჩინებდა, ბიჭო, ჩემსავით სწორად გაიარეო.

...ჰოდა არსებობს ყოველი ენის არსებობის ერთადერთი უმაღლესი ბუნებრივი კანონი — სიცოცხლე ხალხისა. ხალხი ცოცხლობს და სანამ ცოცხლობს მას არ შეიძლება, არ წყუროდეს, უზომოდ არ წყუროდეს სიცოცხლე იმ ენისა, რომლითაც აზროვნებს, მეტყველებს და რომელიც თავის უმშვენიერეს ქმნილებად მიაჩნია.

ცოცხლობს ხალხი, ცოცხლობს მისი ენაც. ენათა ისტორიული ბედი განუყრელია ხალხთა ისტორიულ ბედთან.

ხალხები კი ერთმანეთს უახლოვდებიან. ჩვენს თვალწინ ინგრევა და იშლება ადამიანთა და ხალხთა გამთიშავი ზღუდეები. მიჯნები, ნაპრალები. ადამიანთა და ხალხთა ძმობის სულისკვეთება დღეს ღრმად იდგამს ფესვებს კაცობრიობაში. ეს არის ჩვენი დროის უდიდესი მოძრაობაც. უღრმესი სიბრძნეც. ეს არის ყველაზე დიდი სიკეთე, რაც ისტორიულ პროგრესს მოაქვს ადამიანებისათვის, რადგან ყოველი საზოგადოებრივი თუ პიროვნული უბედურების სათავე არსებითად ყოველთვის იმ მიზეზებში დადებულა, რომლებიც იწვევენ ადამიანების, ხალხების, ქვეყნების გათიშვასა და დაპირისპირებას.

და რა ძლიერი გრძნობაც არ უნდა გვიდუღდეს გულში, ნუ შევდრკებით, პირდაპირ დავაყენოთ საკითხი: ხომ არ ეკუთვნის ენათა სხვადასხვაობა ადამიანთა და ხალხთა გამთიშავ მიზეზების რიცხვს?

სხვადასხვა ცალკეულ ენათა არსებობა დაახლოებით ისეთივე მოვლენაა, როგორც, მაგალითად, სხვადასხვა ცალკეულ ხალხთა და ცალკეულ პიროვნებათა არსებობა, მაგრამ თავისთავად ეს სხვადასხვაობა რომ იწვევდეს ადამიანთა და ხალხთა გათიშულობას, მაშინ საერთოდ გათიშულობის მოსპობა შეუძლებელი იქნებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, მის აღმოსაფხვრელად საჭირო იქნებოდა ენათა, ხალხთა, პიროვნებათა სრული წაშლა და გადაშენება, მათი დაყვანა ერთ სახემდე, რაც წარმოდგენაშიაც კი შემზარავია.

მტრობასა და გათიშულობას ბადებს არა ენათა, ადამიანთა და ხალხთა სხვადასხვაობა, არამედ უსამართლო სოციალური წყობილებანი, ის ქვეყანა და ის საზოგადოება, სადაც არსებობენ გაბატონებული და დაჩაგრული კლასები, გაბატონებული და ჩაგრული ერები.

შორს წასვლა არ გვჭირდება.

მართალია, რუსული ენა და რუსული კულტურა უდიდეს ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა რუსეთის ყოფილ იმპერიაში მოსახლე დაჩაგრული ერების სულიერი კულტურის განვითარებაზე, მაგრამ ეს ხდებოდა გაბატონებული კლასებისა და მმართველი რეაქცი-

ული წრეების მიღმა და მათი სურვილების წინააღმდეგ. თვით ეს გაბატონებული წრეები კი მაინცდამაინც საიდუმლოდ არ ინახავდნენ იმას, რომ მათ ხელში რუსული ენა წარმოადგენდა არარუსი ხალხების ჩაგვრის ერთ-ერთ იარაღს, რეაქციული კოლონიზატორული პოლიტიკის იარაღს; თვით ენათა და ხალხთა სხვადასხვაობას ისინი იყენებდნენ იმისათვის, რომ ეროვნული შუღლი და დაქსაქსულობა შეეტანათ იმ ძალებში, რომლებიც არსებული უკუღმართი წყობილების დასანგრევად ირაზმებოდნენ.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ ამოკვეთა ძირშივე ხალხთა და ენათა ჩაგვრის, მათი გათიშულობისა და გადაშენების ყველა მიზეზი, ყველა ტენდენცია. პირველად კაცობრიობის მთელ ისტორიაში პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ ხალხთა და ენათა სხვადასხვაობა არამცთუ ხელს არ უშლის ადამიანებისა და ხალხების ძმური ინტერნაციონალური კავშირის გაძლიერებას და გაღრმავებას, არამედ, პირიქით, სწორედ ეს სხვადასხვაობა აძლევს დიდ აზრსა და დიდ შინაარსს ამ კავშირს.

ხალხებს, ადამიანებს აახლოებს და აძმობილებს საერთო სასიცოცხლო ინტერესები, თავისუფლების, დამოუკიდებლობის, თანასწორობის, მშვიდობისა და მეგობრობის იდეალები. ამაზე კარგად ამბობს ირაკლი აბაშიძე აღმოსავლეთის პოეტებისადმი მიმართულ ლექსში:

ასი ენა გვაქვს ხატად, საფიცრად
სულში, სხეულში ფესვებგადგმული,
თავისუფლება მკერდით დავიცვათ —
ას ენაზე გვაქვს ერთად დათქმული.

დიახ, საერთო საკაცობრიო მიზნებსა და იდეალებს ყოველი ხალხი. ყოველი პიროვნება ყველაზე უკეთ და ღრმად სწორედ თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული პიროვნული არსებისა და უწინარეს ყოვლისა, თავისი დედაენის მეშვეობით ითვისებს. თუ მე მოკლებული ვიქნები ჩემს განსხვავებულ ადამიანურ შინაარსს, ჩემს პიროვნულობას, ჩემს განსხვავებულ ემოციურ სამყაროს, მაშინ მე ისეთივე გულგრილი, უმეტყველო, უსახო და უმოქმედო ამრეკლავი ვიქნები პროგრესის და ჰუმანიზმის იდეებისა, როგორც ლოდი ხოლმე მზის სხივების უგონო ამრეკლავი.

სწორედ დედაენას და, უწინარეს ყოვლისა, დედაენას მიაქვს ყოველი ხალხის გულთან ის იდეები, რომლებიც საფუძვლად ედებიან ხალხთა ძმობასა და მეგობრობას.

თავისუფალი, უკლასო სოციალისტური საზოგადოების ბუნებისათვის უცხოა, სრულიად უცხოა ერთი ენის მიერ მეორე ენის ჩაგვ-

რა, ერთის მიერ მეორის მოკვლა და საერთოდ ყოველგვარი ძალადობა ენათა მიმართ, ძალადობა, რაც არსებითად უდრის ძალადობას ხალხთა მიმართ.

რასაკვირველია. ხალხის ენა, ისე. როგორც ხალხის ყოველი განმასხვავებელი თვისება, განვითარების შედეგია, ისტორიული მოვლენაა და, როგორც ასეთი, განუწყვეტლივ ვითარდება და იცვლება. მაგრამ თავისუფალ და ბუნებრივ განვითარებას არავითარ შემთხვევაში არ მივყავართ გათქვეფისა და გაუსახურებისაკენ.

კიდევ ერთი გრძელი ამონაწერი.

1960 წლის 17 ნოემბერს, უკრაინული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში — მოსკოვში, „ლიტერატურნაია გაზეტამ" დაბეჭდა ცნობილი უკრაინელი პოეტის — ვლადიმერ სოსიურას წერილი, სადაც ნათქვამია:

„მთელი ქვეყნიერებისათვის ცნობილია გიგანტური როლი დედაენის პოპულარიზაციაში. მისი ძალისა და სილამაზის დამკვიდრებაში ისეთი ბეშმარიტი ეროვნული პოეტებისა, როგორიცაა პუშკინი, შევჩენკო, მიცკევიჩი. მათ ხალხისაგან შეიწოვეს დიდებული, ბარაქიანი ენა და დაუბრუნეს იგი ხალხს კიდევ უფრო დახვეწილი, გამდიდრებული. მათი შემოქმედების მეოხებით დედამიწის ზურგზე მოსახლე ხალხებმა ისწავლეს ერთმანეთის უკეთ გაგება, ერთმანეთის პატივისცემა და დაფასება.

მაგრამ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მისცა უკრაინელ ხალხს იმის შესაძლებლობა. რომ მთელი ხმით ამეტყველებულიყო თავის დედაენაზე. და მას შემდეგ უკრაინული ენა განუწყვეტლივ ძლიერდება და მდიდრდება. მილიონების ნებისყოფის ამსახველ და გამომხატველ პოეტებზე, მათ აქტივობაზე დიდად არის დამოკიდებული ის, რომ თავიანთი ეროვნული ენა აამაღლონ ზოგადკაცობრიულის მოელვარე მწვერვალებამდე. მე ენების ბუნებრივი ურთიერთგამსჭვალვისა და ურთიერთგამდიდრების მომხრე ვარ. აქ კი საქმე ეხება არა ცალკე სიტყვებისა და სპეციფიკური გამოთქმების უბრალოდ სესხებას. მე ვფიქრობ, რომ შორეულ და ბრწყინვალე მომავალში ყველა ეროვნული ენისაგან მათი თანასწორობისა და ძმობის საფუძველზე წარმოიშვება ახალი, საერთო, საკაცობრიო ენა, რომელზედაც ილაპარაკებენ ჩვენი შთამომავალნი — კომუნისტური საზოგადოების ადამიანები. მაგრამ ეს მოხდება არა ენების ნივილირების გზით, არა ერთი ენის მეორე ენისადმი დამორჩილების გზით. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ თვითეული ეროვნული ენის სრული და ყოველმხრივი განვითარების პირობებში. პოეტი რასულ გამზათოვის ლექსის ცნობილი სტრიქონები:

და თუ ხვალ ჩემი ენა მოისპობა,
მაშინ მე მზად ვარ დღესვე მოვკვდე. —

წარმოადგენენ პოეტურ ჰიპერბოლას, დედაენის სიყვარულის უდიდესი ძალის გამომხატველს, სიყვარულისა, რაც ასე გვესალმუნება ჩვენ ყველას". პოეტის ამ სიტყვებში გამოხატული აზრიც, გრძნობაც საგულისხმო და ნაყოფიერია. ჩვენ — საბჭოთა ადამიანებს — არ შეიძლება უმხურვალესად არ გვიყვარდეს დედაენა. მაგრამ ეს სიყვარული სრულიად გამორიცხავს არამცთუ მტრულ, არამედ უბრალო, გულგრილ დამოკიდებულებასაც კი სხვა ენებისადმი. ჩვენი უზომო სიყვარული დედაენისა გაცისკროვნებულია ყველა ენის თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით.

შორეული მომავალი კი იქნება, ცხადია, უფრო ბრწყინვალე, უფრო მშვენიერი, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია დღეს წარმოვიდგინოთ ან ვიწინასწარმეტყველოთ. ვინ იცის, რა ცვლილებებსა და კორექტივებს შეიტანს განვითარება ყოველ ჩვენს წინასწარმეტყველებაში — მათი სრულყოფისა და გამშვენიერების თვალსაზრისით. მაგრამ ერთი რამ ცხადია: თანასწორი, თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარების პირობებში ყოველი ხალხი და ყოველი ენა იმ ბრწყინვალე მომავალში შევა მთელი თავისი მოპოვებული საუნჯეებით, მთელი თავისი სულიერი სიმდიდრით.

ჰო, მართალია, ენათა სხვადასხვაობა დღეს ქმნის ერთგვარ უხერხულობას სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა პრაქტიკულ ურთიერთობაში, მაგრამ ამ უხერხულობას ასკეცად და ათასკეცად ანაზღაურებს ყოველი ხალხის დედაენის განუზომლად დიდი როლი სულიერი კულტურის ღირებულებათა შექმნაში. ამავე დროს ამ უხერხულობას თანდათან ამცირებს და სპობს, ერთი მხრივ, თარგმანის ხელოვნებისა და თარგმანის ტექნიკის განვითარება, მეორეს მხრივ კი, ადამიანთა ინტერნაციონალური შეგნების ზრდა. ეს შეგნება დროთა ვითარებაში ალბათ, ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად და სასიამოვნო განცდადაც კი აქცევს იმ ხალხის ენის შესწავლას, რომლის ქვეყანაშიაც მოუხდება ხოლმე მას ხანგრძლივად ყოფნა. მართლაც, თუ მე არაგარეგნულად, არამედ სისხლხორციელად მექნება შეთვისებული ხალხთა ძმობის იდეა, იმდენად მაინც როგორ არ შევისწავლი იმ ხალხის ენას, რომლის ქვეყანაშიაც მიხდება, ვთქვათ, 5—10 წლის, და ზოგჯერ მთელი ცხოვრების გატარება, რომ შევძლო უშუალოდ გამოველაპარაკო მას? თარგმანის ტექნიკის განვითარების მხრივაც, გამორიცხული ხომ არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ გამოგონილ იქნას ისეთი აპარატიც კი, რომელიც

ერთ ენობრივ ფორმებთან დაკავშირებულ ცნებებსა და ცნებათა კავშირებს გარკვეული იმპულსების მეშვეობით ზუსტად აღძრავს ხოლმე სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებში. ვინ იცის, მომავალმა კოსმოსურმა მოგზაურმა ამგვარი აპარატით ისიც კი შესძლოს, რომ პირველ შეხვედრისთანავე თავისუფლად გამოელაპარაკოს რომელიმე სხვა სამყაროს მოაზროვნე არსებას.

ენათა ისტორიული ბედის საკითხმა, როგორც ხედავთ, ძალიან შორს გაგვიტყუა, ფანტაზიაშიც გადაგვაგდო. მაგრამ, ვფიქრობ, ყოველივე ეს საპატიებელია, რადგან დედაენის გრძნობა მოდის სიღრმიდან, მტკვრის, არაგვის, რიონის, ალაზნის თავბრუდამხვევად წარმტაცი ბუტბუტიდან.

ფიქრიანი სტრიქონები

მინდა, ყოველივე ეს იყოს ჩემთვის უძვირფასესი მოსაგონარი და, თუ შესაძლებელია, ამ მოსაგონარში შემიზიარდეს მკითხველიც.

მთელი ამბავი დაახლოებით ორ თვეში დატრიალდა.

საავადმყოფოში იმთავითვე გავიცანი ურაინდესი და უფაქიზესი სულის ადამიანი ანდრო გაბუნია. რა გასაკვირია, რომ იგი ღირსეულად ჰყავს მოხსენებული პაუსტოვსკის თავის წიგნში კოლხეთის შესახებ.

ანდრო და მე ერთ დღეს გამოვეწერეთ საავადმყოფოდან და რამდენიმე დღის შემდეგ მას საგანგებოდ მოეძებნა ჩემი ტელეფონის ნომერი და დამირეკა, მომიკითხა... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ანდრო გაბუნია — შესანიშნავი ინჟინერი, წყალთა მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტი — ეკუთვნოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც ქვეყნის სუფთა ზნეობრივ ხერხემალს ქმნიან და რომელთა გამო შილერის კარლ მორს შეეძლო ეთქვა, მომეცით ათიოდე ასეთი ვაჟკაცი და ქვეყანას სრულიად განვაახლებო.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე საავადმყოფოში, ჩემს მეზობელ პალატაში დააწვინეს ქართული ინტელიგენციის დიდი თავკაცი, ქართული მპევრმეტყველების ჯადოქარი — შალვა ნუცუბიძე. მე შემიძლია, ვიამაყო, რომ ერთ ჩემს პატარა წერილზე არსებობს მისი გამოხმაურება. შეიძლება ზოგიერთ რამეში ეკამათოთ მას, მაგრამ უდავოა, რომ ქვეყნის სულიერი ცხოვრების დიდ ისტორიას ქმნიან შალვა ნუცუბიძეები და მხოლოდ შალვა ნუცუბიძეები.

ამავე ხანებში ამავე საავადმყოფოში მკურნალობდა პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური. მის ლექსებში მის გალეულ სახესა და საოცრად მეტყველ თვალებში ამოვიკითხე ხევსურეთის განუმეორებელი მთების ეპოპეა.

მეოთხეს კი, ვისი მოსაგონარიც მინდა იყოს აგრეთვე ეს სტრიქონები, გავეცნობით ქვემორე სტრიქონებში.

●

თითქმის ბავშვობიდანვე თანშეზრდილ მეგობართა შორის იგი ყველაზე ლაღი, მხიარული და თავისებური იყო. ო, რა ძნელია

წარსულ დროში მოიხსენიო უახლოესი ადამიანი, ვისთანაც სულ ახლახან ყველაზე სასიამოვნო შეხვედრას მოელოდი. ერთ დროს იგი დიდად იყო გატაცებული ლიტერატურული შემოქმედებით: გვარიან ლექსებს, მოთხრობებსა და ნარკვევებს წერდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ასე თუ ისე ცნობილი ლიტერატორი მას კარგ სამწერლო მომავალს უწინასწარმეტყველებდა. მეც მეგონა, რომ იგი ქართულ ლიტერატურაში თავის განსხვავებულ სიტყვას იტყოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იტყვიან ხოლმე, მან გადაჭრით აიღო ხელი კალამზე. მერე მხოლოდ ჩემთან მოწერილ წერილებში თუ გაეთამაშებოდა ხანდახან ლიტერატურულ საკითხებს ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, პრაქტიკული და არა თეორიული ესთეტიკის საკითხებს. კარგა ხანია ეს ჩემი მეგობარი სოფლად მასწავლებლობდა. შრომობდა პატიოსნად, ცხოვრობდა თითქმის უშფოთველად — გენიოსობის ყოველგვარი მწვალებელი სურვილების გარეშე. თან ახლდა უმცროსი და, გაუთხოვარი, საკმაოდ განათლებული. იყო ბუნების თავდავიწყებული მოტრფიალე და შესანიშნავი, გულზე ცეცხლწაკიდებული მონადირე. ჩვენი მტკიცე მეგობრობის ერთ-ერთი საძირკველი ესეც გახლდათ. მართალია, საკუთარ ლიტერატურულ შემოქმედებას ველარ უხსენებდით, მაგრამ ლიტერატურის უსაზღვრო მოყვარული და დაუღალავი, თავდადებული მკითხველი იყო. მისი ბიბლიოთეკა ბევრს შეშურდებოდა. რამდენიმე ხნის წინათ მისგან წერილი მივიღე.

„როგორც ჩანს, — მწერდა იგი, — ისევ მაგრად გიტევს ავადმყოფობა. კვლავ მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ არ მომიხერხდა. იქნებ, ასე სჯობს: დაგიცადო, სანამ აქ მესტუმრებოდე. გული არ გაიტეხო, დარდს არ მიეცე! იცოდე, გულგატეხილობა ნამდვილად დაგაძაბუნებს! იქამც იყოს! არყოფნა მხოლოდ სულიერად არაქათგამოცლილ ადამიანს შეუძლია მიიჩნიოს ყველაზე ნეტარ, მშვიდ და წყნარ მდგომარეობად. არა, ძმაო, სიცოცხლე, რანაირიც უნდა იყოს, მაინც ღირს იმად, ბეწვისოდენაც რომ გქონდეს შერჩენილი, კბილით და ფრჩხილით უნდა ჩაებღაუჯო! შენ ჩაუბღაუჯებლადაც იოლად გახვალ, თუ სულის ძალას გამოიჩენ. იფიქრე: ერთხელ კიდევ ხომ მაინც უნდა ავუარ-ჩავუაროთ წყალგაღმა ჭალებს. იქ ისევ არის ჩაგუბებული გაუთავებლად ფართქალა სინათლე, როგორც ჩვენი ჭაბუკობის ჟამს...

სხვა რა? ისევ ჩვენს თავსამტერევ საგანს მივუბრუნდები. მოგეხსენება, რომ ლიტერატურას, განსაკუთრებით ქართულ ლიტერატურას, ისევ თავგადაკლული ვადევნებ თვალს, როგორც ყოველთვის. იცი, რა გითხრა? ბევრი რამ მახარებს, მაგრამ ბევრი რამ კი-

დევაც მაწუხებს, ძალიან მაწუხებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. მაწუხებს ის, რომ ზოგჯერ შეინიშნება რაღაცნაირი უდარდელობა: ვიღაც-ვიღაცეებისთვის თითქოს სულერთია გვექნება თუ არ გვექნება დიდი ქართული ლიტერატურა. იქნებ, მე ვცდები, იქნებ, ასე ეჩვენებოდათ ყოველთვის! ღმერთმა ქნას, რომ მე ვცდებოდე!.. მახარებს სულ მცირეოდენი გაელვებაც კი.

ღვთით, როგორც ძველად იტყოდნენ ხოლმე, ლიტერატურა ჩვენი წინ მიდის. ამ წინსვლაში ყველა თაობას შეაქვს თავისი წვლილი. ახალგაზრდობა კიდევაც ბობოქრობს და კიდევაც უხვობს. ძველებიც ფარხმალს არ ყრიან. ვიმეორებ, მე, როგორც გარედან მაყურებელს, ბევრი რამ მახარებს და ბევრი რამ მაფიქრებს: თითქოს სადღაც ჩვენი ლიტერატურის ღრმა წიაღში მწიფდებოდეს რაღაც საგანგაშო და შესაშფოთებელიც... განა მარტო უდარდელობის ნიშანი?

ასე მწამს და პირდაპირ უნდა ვთქვა: ქართული ლიტერატურა რომ არ ყოფილიყო, საქართველო აქამდე ვერ მოაღწევდა (არავითარი იდეალიზმი ამაში არ არის და შენ ნუ დამიწყებ შენებურად ბაიათებს სოციალურ-ისტორიული ფაქტორების შესახებ). ამიტომ ასევე პირდაპირ მინდა ვიკითხო: როგორი პირი უჩნს ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას დღეს ქვეყნის მომავალი ბედის გამოჭედვაში? მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, ჩვენ კარგად ვიცით, საით მიდის ეს გზა (თუნდაც გზა პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და ტექნიკური განვითარებისა), თქვენ ის გვითხარით, საით მიდის თაობათა ცვლისა და ქვეყნის არსებობის დიდი გზა? სხვათა შორის, გალაკტიონმა შეუცნობი გზებით სიარულის გარდუვალობა ამოიმღერა:

ვთქვი: ჩიტსაც კი აქვს თავისი ზღუდე,
მე კი — მოხეტემ კიდითი კიდის —
არ ვიცი, ეს გზა საითკენ მიდის
და მაინც უნდა ამ გზებს გავუდგე.

ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ: შორიდან ვხედავ შენს იჭვნეულად შეჭმუხვნილ სახეს და დამცინავ გამომეტყველებას, აქაო და რა უსუსურ საკითხებს აყენებსო. რაც გინდა ის იფიქრე და ის შემარქვი, მე მაინც ჯიუტად გავიძახი: ქართული მწერლობისა და ყოველი ქართული მწერლის პასუხისმგებლობა სადღაც აქედან, ამ საკითხებიდან უნდა მოდიოდეს.

და როცა ამ თვალსაზრისით შევყურებ დღევანდელ ქართულ სიტყვას, სადღაც გული მტკივა ამ სიტყვისადმი ზოგჯერ ერთობ გაიოლებული, შინაურულ-ძმაბიჭური დამოკიდებულების გამო. „მე,

მე და მხოლოდ მე“ ძალიან ხშირად, ზოგჯერ ძალიან გაზვიადებულად და მოსაბეზრებლად გაისმის. რასაკვირველია, სისულელე იქნებოდა იმის თქმა, რომ დღევანდელი ჩვენი ლიტერატურა თითქოს არ ეჭიდებოდეს დიდ საკითხებს, დღევანდელობის დიდ პრობლემებს. მაგრამ შეშფოთების გრძნობა, უწინარეს ყოვლისა, მაინც დიდი და ნწვავე საკითხების ხიმცირეს უკავშირდება. თავგამეტებული გულწრფელობით თუ სჭვრეტ, ზოგჯერ ისიც გეჩვენება, თითქოს ჩვენი ქვეყნის წინაშე, ქართველი კაცის წინაშე დღეს ძალიან ცოტა იყოს დიდი და მწვალებელი საკითხები. სულო ცოდვილო, ზოგჯერ ისიც კი გეჩვენება, რომ ზოგიერთი მწერლისათვის თითქოს ყველაზე დიდი საკითხი იყოს პირადი განდიდების, უკეთეს შემთხვევაში. ცალკეული რჩეულების ბედის საკითხი. ამაზე კი კვლავ ჩემი „უსუსური“ მოსაზრება უნდა მოგახსენო: თუ ქვეყანა მხოლოდ რჩეულების საამებლად იქნება განწესებული, ასეთი ქვეყანა ეშმაკსაც წაუღია; ადამიანებიც ადვილად გაიმეტებენ მას ეშმაკისათვის. აქ რომ საქმე ცალკეულ პიროვნებების სურვილებსა და ხასიათს ეხებოდეს. ეშმაკისთვის გასამეტებელიც არაფერი იქნება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ სუბიექტური მიდრეკილებების უკან დგას რაღაც პირქუში მოვლენა. განა თვითონ შენ ვერ ამჩნევ, რომ კიდევაც გამომუშავდა ტიპი ისეთი „შემოქმედისა“, რომლის შემოქმედებაში შემოქმედება სანთლით არის საძებარი, მაგრამ უკვე აღიარებულია, რადგან „რაღაც მანქანებით“ მოხსენებულ იქნა რჩეულთა შორის. აქედან ზოგიერთი პირის მისწრაფებაც გასაგებია: რადაც უნდა დაუჯდეს მოიხვეჭოს რჩეულობა. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს: იყოს, ბატონო, რჩეული, გაიხაროს კაცმა! კაცის გახარებას რა სჯობს! რჩეულობის მაძიებლობაში, რასაკვირველია, ცუდი არაფერი იქნებოდა, რომ იგი აზნაურობის მაძიებლობას არ ჰგავდეს, რომ ამ მისწრაფებაში სხვებზე გაბატონების ჟინი არ იმალებოდეს. იყავ, ჩემო კარგო, რჩეული, ოღონდ ნუ შეეცდები მე ფეხი დამადგ... ყოველივე ეს სიტყვას მოჰყვა, თორემ ასეთ წვრილმანებზე წერა სრულიადაც არ მსურდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს საკითხები არსებითად პრაქტიკული ესთეტიკის საკითხებია... საზოგადოებრივ აზრს დიდი გასაქანი ესაჭიროება.

...ამ დღეებში გალაკტიონს ვათვალიერებდი. მე მას ხშირად ვფურცლავ. გალაკტიონმა ქართული ლიტერატურის დიდი თავი დახურა, ისე როგორც თავის დროზე ბარათაშვილმა, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, მოგვიანებით კი გასაოცარმა დავით კლდიაშვილმა... ამასთან დაკავშირებით რაღაც ფიქრები აღმეძრა და მინდა გაგიზიარო. დეე, ეს ფიქრები გულუბრყვილო იყოს. გალაკტიონი საოცრებაა. სამ-

წუხაროდ, იგი ჯერჯერობით ვერ გასცდა საქართველოს ფარგლებს. მასთან შედარებით ქონდრის პოეტებიც კი უფრო ცნობილები არიან. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, საოცრად პარადოქსალურია. ენობრივად გალაკტიონი ფრიად ეროვნული, ფრიად ქართულია და მისი გადატანა სხვა ენაზე უაღრესად ძნელია; მოტივებით კი იგი უაღრესად საყოველთაო, უაღრესად უნივერსალურია. ამ უნივერსალური მოტივებით იგი ვერ ანცვიფრებს განათლებულ უცხოელებს, მისი ჭეშმარიტი პოეზია კი, ე. ი. მისი განუმეორებელი თქმა ანუ მისი განუმეორებელი ენობრივი სტიქია არ ესმით. აქ იბადება გაუგებრობის ტრაგედია. ნამდვილად კი ბარათაშვილისა და ვაჟას შემდეგ გალაკტიონი ქართულ ლიტერატურაში უბადლოა როგორც უხინჯო, სუფთა შემოქმედი, ხელოვნების (პოეზიის) აბსოლუტური გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი. ეს გრძნობა, ისე როგორც მუსიკის აბსოლუტური გრძნობა, ხელოვნების ერთ-ერთი მარადიული თვისებაა. მე მხედველობაში მაქვს შემოქმედების გვარეობითი სრულყოფა თუ გვარეობითი განუმეორებლობა. მაგალითად, არ შეიძლება წარმოიდგინოთ „მერანის "ან, თუ გნებავთ, „ჰამლეტის" ან „ანა კარენინას" სხვა ფორმა. კარგი და სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები ის არის, რომელზედაც ვერ იტყვით, ეს სხვა ფორმაშიც იქნებოდა შესაძლებელიო. გალაკტიონის შედევრები მხოლოდ იმ სისხლსა და ხორცშია შესაძლებელი, რითაც ისინი არიან ხორცშესხმული, სხვა რამეს მათ ვერ მიუსადაგებთ. აბა, სცადეთ სხვა ფორმაში წარმოიდგინოთ ისეთი „პაწია რამეც" კი, როგორიცაა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო", რომ ლექსი უმალვე საპნის ბუშტივით გაქრეს. ამ ცოტა ხნის წინათ მე წაკითხე ერთი ფრიად ცნობილი ქართველი პოეტის რამდენიმე ლექსი. ამ ლექსებს. რასაკვირველია, შენც წაიკითხავდი, უეჭველად აზრიანი, ჭკვიანური ლექსებია. ლექსების გონივრული ენერგია კიდევაც გაღელვებს. მაგრამ ერთი-ორი პატარა ლექსის გამოკლებით ამ ლექსებში ნამდვილი პოეზია არ არის. კიდევაც გაიფიქრებთ, ზოგიერთი მათგანი რატომ დაწერა პოეტმა ლექსად, როცა შეეძლო, იმავე თემებზე გაცილებით უფრო შთამბეჭდავი მოგონების ფურცელი ან რაღაც ესეისტური ეპიზოდი დაეწერა. ერთი სიტყვით, ზოგჯერ ცნობილ პოეტსაც უჩლუნგდება ხოლმე პოეზიის გრძნობა.

ამას წინათ ერთ სახელოვან პოეტთან მომივიდა შეჯახება. მან გალაკტიონის ერთ მშვენიერ ლექსზე თქვა „არა უშავს, წაიკითხავს კაცი, მაგრამ ახალი პოეტიკისა და ვერსიფიკაციის თვალსაზრისით ძალიან სუსტიაო". ეს ლექსი შენ ალბათ კარგად იცი, მით უმეტეს ახლა, გულმა საქმის გაჭირვება რომ დაგიწყო. აი, ეს ცნობილი ლექ-

სი — პირთამდე სავსე წარმავლობის განწყობილებით. ლექსი, მართლაც, გულგასახეთქია თავისი უსაშველო გრძნობით, მაგრამ უმშვენიერესია თავისი პოეტური სისავსით.

რისთვის მაგონებ, ვაზზე
მიმობნეულო ნამო,
ცრემლებს, დადენილს მძაფრი
ახალგაზრდობის გამო?

აქ თითქოს ყველაფერი მარტივი და უბრალოა, სიტყვებიც, მათი წყობაც, რიტმიც, რითმაც. მაგრამ ეს უბრალო ლექსი სავსეა პოეზიის უჩვეულო ენერგიით, მოვლენებისა და საგნების რაღაც საოცარი კავშირით! განა არ გაგონებს ბევრ რამეს განვლილი ცხოვრებიდან, განა არ გაღელვებს ვაზზე მიმობნეული ნამი და ისიც ამ უბრალო, მაგრამ უმძაფრეს მსგავსებაში? ნუთუ უთვალავი ცოცხალი ძაფით არ გაკავშირებს ქვეყნიერებასთან, წარსულთან, მომავალთან ეს ვაზი, ვაზზე მიმობნეული ნამი, ცრემლები, ცრემლები (ხომ ვიცი, რომ შენ დაგდენია ასეთი ცრემლები), დადენილი მძაფრი ახალგაზრდობის გამო? „მძაფრი ახალგაზრდობაც“ რა ზუსტი თქმაა. ბარემ ბოლომდე გავიხსენოთ ლექსი:

მზემ ამოაშრო ნამი
და შლის საღამო ამო
ცთომებს, ჩადენილთ როსმე,
ახალგაზრდობის გამო!
მუტყვით: ეს იყო სრული
და მშვენიერი რამო,
რაც თავს გადაგუხდა მხოლოდ
ახალგაზრდობის გამო.
ის გაზაფხული გაქრა,
მეგი, იარე, წამო!
აქ ხმაურობდა ტალღა
ახალგაზრდობის გამო...

აქ არ არის არავითარი დებულება, არავითარი ფორმულა, ყველაფერი ნექტარივით არის ამოწოვილი ცხოვრებისაგან. აქ ყოველი სიტყვა სავსეა განსაკუთრებული პოეტური აზრით, განსაკუთრებული ნერვული თრთოლვით. და სწორედ ამით არის დაძლეული სიტყვიერი მასალის წინააღმდეგობაც და სწორედ ამ წინააღმდეგობის დაძლევით არის გადაქცეული სიტყვა პოეზიად. პოეზიის არცთუ ისე მახვილი გრძნობაა საჭირო, რომ ჩაწვდე ამ მშვენიერ გოდებას დაკარგული, დაუბრუნებელი ახალგაზრდობის გამო. ვეღარასოდეს ვერ დაიბრუნებ გარბენილ ნეტარ წუთებს, „ის გაზაფხული გაქრა“... მე არ ვკისრულობ შევიდე იმის გარჩევაში, როგორია ეს ლექსი ზემოთ

ნახსენები „სახელოვანი“ პოეტის მიერ წამოყენებული ნიშნებით, ისე როგორც არ ვაპირებ შევიდე იმის გარჩევაში, თუ როგორია იაპონური ლექსის ფორმალური ნიშნებით მე-18 საუკუნის იაპონელი პოეტი ქალის გასაოცარი პოეზიით აღსავსე სამსტრიქონიანი ლექსი:

На смерть маленького сына

О мой лавец стрекоз!
Куда в неведомой стране
Ты нынче забежал!

ვიცი მხოლოდ, რომ როგორც გალაკტიონის, ისე ტიიო-ნის ლექსი უმაღლესი ხარისხის ლექსებია, ორთავე გულგასახეთქი და მშვენიერი საკითხავია: რა რას გადასძალავს ჩვენს სულში: უსაშველო ნაღველი თუ სიმშვენიერე? ფიქრობენ, რომ ხელოვნების მშვენიერება ყოველთვის სძლევს საშინელ ნაღველსაც კი! თუ ასეა. — ეს ბედნიერებაა. მაშინ ყველაზე ხევდიანი ნაწარმოებიც კი, თუ იგი მშვენივრად არის შესრულებული, სიხარულს მოგვგვრის! ტენდენციური სიხარულითა და აღტაცებით სავსე ნაწარმოები თითქმის ყოველთვის მოსაწყენია. ყოველ შემთხვევაში, ბევრი მათგანი გულს არ ეკარება. რატომღაც გულს უფრო ტრაგიკული და დრამატული ესალბუნება. მაგრამ ადამიანის ბედის ტრაგიკულობის უთვალავმა ხლართებმაც გული გადაგვილიეს. ყელთამდე ამოვიდა იმის მხატვრული თუ კიდე სხვა რამენაირი მტკიცებაც, რომ ადამიანი ტრაგიკული არსებაა. ამ მხრივ შემაზრზენად კაცობრიობას დოსტოევსკიც კი ეყოფოდა. მაგრამ ახლა, რაკი შორეულით და უცხოურით კოპწიაობაა მიღებული, მეც წავიკოპწიავებ: კაფკასაც შეუძლია ჩვენი სულის საოცარი ატკივება; ფრანგი კამიუც, იაპონელი კაბო აბეც და ბევრი მისთანანიც შესძლებენ ჩვენს შეშფოთებას. ერთი სიტყვით, ძალიან დიდი ვინმე უნდა იყოს ნიჭითაც და ცოდნითაც. რომ ჩვენს სულიერ ტრაგიზმს რაღაც ისეთი ახალი რამ მიუმატოს, რომ ახალ ხხატვრულ აღმოჩენად ჩაითვალოს. ან კი საჭიროა ტრაგიკულის გაძლიერება? რასაკვირველია, ცხოვრება ტრაგიკულსაც და დრამატულსაც აძლიერებს, იბადება ახალი პრობლემები, იხლართება ახალი კვანძები ტკივილიანი საკითხებისა... მე იგიც მინდა გკითხო: როგორ ფიქრობ, ტექნიკური პროგრესი დიდ სიკეთეს აყრის კაცობრიობას? ყოველ შემთხვევაში, ადამიანისა და ადამიანურობის დიდი გამაწესრიგებელი სიყვარულის ჩარევაა საჭირო, რომ ორთქლით, ელექტრონით ან ატომის ენერგიით ამოძრავებულმა რკინამ ადამიანის კეთილდღეობაში რაიმე, თუნდაც ერთი ციცქნა წილი

მაინც დაიდოს. სხვაფრივ, იქნებ, ტექნიკურ პროგრესს ადამიანის გამარტოვების მეტი არაფერი მოაქვს. ერთი სიტყვით ყველა გზა რომში კი არა, აი... იქ მიდის... ვიცით, ვიცით, ბატონო, რომ ადამიანი ტრაგიკული, წამებული არსებაა... მერე რა? რატომ მიაჩვია აქამომდელმა ხელოვნებამ (თუ ცხოვრებამ) ადამიანი ტკბობას ტრაგიზმით, ტკბობას ტკივილებით? ჩვენ გატაცებით ვკითხულობთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიაც ადამიანების ტანჯვა და წამებაა ასახული. ამის სათავე თითქოს ადამიანის სულშია თავიდანვე დადებული. რომში დიდი სიამოვნებით უყურებდნენ, თუ როგორ კლავდნენ გლადიატორები ერთმანეთს. დღესაც ესპანეთში (ამბობენ, მექსიკაშიც) ხალხი აღტაცებით შეჰყურებს გავეშებული ხარის რქაზე წამოგებულ ტორეადორს. ჩვენც ხომ აღტაცებაში მოვდივართ, როცა ერთი ეკუნთმავარი ბოქსიორი ისე მიალასლასებს მეორეს, რომ იგი გონებაშეხდილი ეცემა ძირს? რა ბადებს ჩვენში ამ ველურ გრძნობას? უბედურება იმაშია, რომ ჩვენდა შეუმჩნევლად ეს ველური გრძნობა თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთერთი მასაზრდოებელია ჩვენი აქამომდელი ესთეტიკური განცდისა. ამ მხრივ ფრიად სიპტომატურია დოსტოევსკის ერთი გმირის განცხადება, ყველაზე დიდი სიამოვნება სხვისი უბედურების შეტყობააო. მაგრამ ტკბობაა კი ეს? ამბობენ, გოეთეს ვერტერმა თავის დროზე ბევრ ახალგაზრდას გაახვრეტინა ტყვიით შუბლი თუ მკერდი. მე ხელთ არა მაქვს ინფორმაცია. თუ რა წაჰკიდა ადამიანებს ბევრმა კარგად დაწერილმა, მაგრამ წამების სულისკვეთებით გამსჭვალულმა წიგნმა. ვფიქრობ (და ამ ფიქრში შესაძლოა, მარტო არ ვიყო): მომავალმა ხელოვნებამ, ახალ სოციალურ ბაზაზე აგებულმა ქვეყნის წარმოშობილმა, ადამიანები უნდა გადააჩვიოს წამებითა და ტკივილებით ტკბობას.

თუ ხელოვნება (პროზა, პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა) შემეცნებასთან დაკავშირებული ესთეტიკური ტკბობაა, მაშინ იგი მართლაც ცხოვრების სისავსით, ე. ი. მშვენიერებით ტკბობა უნდა იყოს და არა ტკბობა ტკივილებით, ტკბობა სიკვდილით. ყოველ შემთხვევაში, ხელოვნება (პროზა, პოეზია, მხატვრობა, მუსიკა) ადამიანის სულიერ თუ ხორციელ ჭრილობებში ხელის რევა არ უნდა იყოს, ხელის რევა იმისათვის, რათა ეს ჭრილობები კიდევ უფრო გაამტკივნოს.

მითხარი, პირდაპირ მითხარი, დიდ უცნაურობას ვიტყვი, თუ ვიტყვი, რომ ხელოვნება — პოეზია, უწინარეს ყოვლისა, ადამიანური ტკივილების დაამებას უნდა ისახავდეს მიზნად? ადამიანიც, როგორც ტრაგიკული არსება, შეცნეულად თუ შეუცნევლად სწორედ

სიხარულს, სწორედ ტკივილების დაყუჩებას მოელის ხელოვნებისაგან.

ამიტომ, ჩემი აზრით, ბევრ წვრილმანშიაც რომ ცდებოდეს, საბოლოოდ დიდი სიღრმეში მაინც დიდად მართალი იყო და არის ლიფშიცი თავის გალაშქრებაში მოდერნიზმის (არსებითად დეკადანსის) წინააღმდეგ.

თანამედროვე ადამიანის სულიერი არსება უკვე მომწიფებულია იმისათვის, რომ ყველაზე მეტად ინტროს ხელოვნება, როგორც სულიერი ტკივილების დაამების საშუალება. ადამიანი არსებითად ელოდება ისეთ გენიოსებს, რომლებიც სულიერი სიამის მიმართულებით წარმართავენ ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალ განვითარებას. ამისათვის სწორედ სრულიად ახალი თვისებებით დაჯილდოებული გენიოსებია საჭირო. ო, რაოდენი ძალაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანები გადააჩვიოთ წამებით ტკბობას, სიკვდილით ტკბობას. არა, არა, არ იფიქროთ, რომ გორკის ლუკას მანუგეშებელი სიცრუის პოზიციაზე ვდგებოდე ან ბერანჟეს „გიჟების" იდეას ვიზიარებდე:

Господа! Если к правде святой
Мир дорогу найти не умеет.
Честь безумцу, который навеет
Человечеству сон золотой.

(გორკის არტისტი ფიქრობს, რომ ლუკა და ბერანჟე ერთ პოზიციაზე დგანან).

მე კი არსებითად ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი, მალალი დანიშნულების საკითხს მივადექი, მათი დიდი მანუგეშებელი სიმართლის საკითხს შევეხე.

მგონია, რომ ეს გაცილებით უფრო აქტიური ესთეტიკური დანიშნულებაა, ვიდრე აქამდე ჰქონდა ლიტერატურას და ხელოვნებას. კერძოდ, ამსახველობა შედარებით გაცილებით უფრო დუნე და პასიური აქტია, ვიდრე მანუგეშებელი სიმართლის გამომგონებლობა, გამოკვლევა და შექმნა. იმისათვის, რომ ძლიერი ტრაგიკული სურათი დახატოთ, ალბათ, საკმაოა ნიჭივრულად და დაკვირვებული თვალით ასახოთ (გადმოწეროთ) სინამდვილის რომელიმე შესატყვისი მოვლენა, მაგრამ იმისათვის, რომ რაიმე საზოგადოებრივი ან პიროვნული სულიერი ტკივილის დაამების საშუალება შექმნათ, მარტო ამსახველობა არ კმარა. ჩვენს დროში ამსახველობის როლის შესუსტების სხვა მხარეც არსებობს. წინათ, როცა ცოდნის სხვადასხვა დარგი ქვეყნისა და დროის შესახებ შედარებით ნაკლებ ინ-

ფორმაციას იძლეოდა, ლიტერატურასა და ხელოვნებას ბევრი რამ ჰქონდა ასასახავი და გამოსახატავი (რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ თითქოს ახლა ლიტერატურასა და ხელოვნებას ასასახავი და გამოსახატავი არაფერი ჰქონდეს). მაგრამ დღეს ყოველმხრივი ინფორმაციის სიუხვის პირობებში განუზომლად იზრდება ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამომგონებლობისა და მხატვრული გამოკვლევის როლი. თანამედროვე მკითხველთა გათვითცნობიერებულ წრეებსაც დღეს მოვლენათა აზრისა და არსის გახსნა უფრო იტაცებთ, ვიდრე მათი აღწერა. პირადად მეც, როგორც თანამედროვე მკითხველს, მაგალითად, თანამედროვე თბილისის ან თბილისელი კაცის სულის სიღრმისეული მხატვრული გამოკვლევა უფრო მაღელვებს და მაფიქრებს, ვიდრე მათი გამოხატვა და აღწერა (თუმცა, ვითომდა რა ახალ ამბავს ვამბობ; როდის არ ყოფილა დიდი ლიტერატურის დამახასიათებელი დიდი საარსებო საკითხების წამოჭრა და გამოკვლევა?) ერთი სიტყვით, მე ის მინდა მოგახსენო, რომ დღეს ტიპის (გინდა კაცის, გინდა მოვლენის) დახატვა თუ ასახვა დიდ მხატვრულ მიღწევად ვერ ჩაითვლება, თუ იგი ცხოვრების აზრის დიდ ძიებაში არ არის ჩართული, თუ მას ცოტაოდნად მაინც ადამიანის სულიერი ჭრილობების მოშუშება არ ძალუძს. სადღაც ამოვიკითხე: ხელოვნების უპირველესი დანიშნულებაა ადამიანში ადამიანურის დაგროვება და განმტკიცებაო. დიდებული ფორმულაა, მშვენიერი დებულებაა.

ვგრძნობ, დებულებისა და ფორმულის ხსენებაზე შენ როგორ უსიამოდ გეღმიჭება სახე. მეც მგონია, რომ ფორმულებმა სული ამოიღეს. განსაკუთრებით აუტანელია იმ ლიტერატორთა ეგრეთწოდებული კრიტიკული ფორმულები. რომლებიც ჭკუის მასწავლებლობას ჩემულობენ. მაგრამ რა გაეწყობა, უდებულებოდ, უფორმულოდ ბიჯსაც ვერ გადადგამ არამცთუ მეცნიერებაში, არამედ ლიტერატურაშიც, ხელოვნებაშიც... უფორმულოდ, რასაკვირველია, კოსმოსური ხომალდი ასე ზუსტად ვერ შემოუვლიდა ირგვლივ მთვარეს და ასე ზუსტად ვერ დაეშვებოდა დედამიწაზე...

მხატვრულ სიტყვაში, ჩემი აზრით, დასაბამიდან ეჯიბრება და ხშირად კიდევაც ერწყმის ერთმანეთს ფორმულა და ნექტარი. მაგალითად, მე ვფიქრობ, ნიკოლოზ ბარათაშვილი უმშვენიერესი შერწყმაა ნექტარისა და ფორმულის. ილია და აკაკი ამ ორი საწყისის მძაფრი შეჯიბრების მაგალითს წარმოადგენენ. ვაჟაც მათი დიდებული შერწყმის ნიმუშია, თუმცა ნექტარის უპირატესობით. გალაკტიონი წმინდა ნექტაროსანია. პროზაშიც, რასაკვირველია, ამ ორი საწყისის რთულ დიალექტიკასთან გვაქვს საქმე (წარმოდგენი-

ლი მაქვს, როგორ გელიმება ამ ჩემი „თეორიის“ გამო; ისე კი სჯობს კოზმა პრუტკოვს დაუჯერო და ფესვებში ღრმად ჩაიხედო). ამ შემთხვევაში, როცა ფორმულაზე ან ნექტარზეა ლაპარაკი, სრულიადაც არ იგულისხმება ცივი, მშრალი ან ჩატკბილულ-ჩაშაქრული სტილი. საქმე ეხება შენების, კეთების, შექმნისა და ფიქრის ორ სხვადასხვა ხასიათს. ზოგი წინასწარ დამზადებული ჩონჩხის გარეშე ვერაფერს ააგებს. ფიქრს ვერ გაიბამს, ზოგი კი ფუტკარივითაა...

დაფრინავს ფუტკარი, ყვავილიდან ყვავილზე გადადის, ნესტარით თუ ხორთუმით წუწნის ყვავილების გულში მიცვარულ ნექტარს და პირში იგუბებს, ფეხებზე კი ყვავილების წებოვან ფიფქს იკრავს, რომ თავისი მშვენიერი ნაგებობის მასალა დააგროვოს. დაახლოებით ეს არის ფუტკრის საქმიანობის ფორმულა. მაგრამ იგი ფორმულით არ მოქმედებს. ფორმულით რომ იმოქმედოს, იქნებ, სულ სხვა მხარეს გაფრინდეს, ღალა სულაც ვერ იშოვოს, ან იმდენი იშოვოს, რომ სკაშიც ვეღარ დაბრუნდეს...

კარგად დამიგდე ყური! თუ საკითხი დაისმება: ფორმულა თუ ნექტარი, პირადად მე, რასაკვირველია, მუდამ ნექტარის მხარეზე ვიქნები! ფორმულამ, დებულებამ, შესაძლოა, ყველაზე სავსედ და ყველაზე ზუსტად გამოსახოს აზრი და გრძნობა („ღმერთი“, სუბსტანცია), სხვანაირად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება და მშვენიერება, მაგრამ დებულება (ფორმულა) ვერასდროს ვერ იქნება თვით ცოცხალი, ხორცშესხმული აზრი და გრძნობა. ნექტარი კი შეიძლება იყოს მხოლოდ თვით სუბსტანცია, თვით ცოცხალი აზრი და გრძნობა...

რა გასაკვირია, რომ შენ იცინი, ერთობ გაფილოსოფოსებული გგონივარ. რით გადაგარწმუნო? შენ კი არა, თვითონ მე არ მესმის ზოგჯერ ჩემი ნაფიქრალის ასავალ-დასავალი. მაგრამ იმას მაინც უნდა მიხვდე, რომ რაღაც დიდი ფიქრი მაწევს გულზე. მოდი და ნუ იფიქრებ რაღაცნაირი დაკნინებისა და დაჩიავების საშიშროებაზე, რაღაცნაირი გადაგვარების საშიშროებაზე, როცა... მაგრამ წვრილმანებზე ლაპარაკი არ ღირს. მე მინდა ისევ დაბეჯითებით გავიმეორო, რომ საქართველოს აქამდე ქართულმა ხელოვნებამ, უწინარეს ყოვლისა, ქართულმა ლიტერატურამ მოაღწევინა, მისი მომავალიც ქართული სიტყვის მომავალ ბედზეა დამოკიდებული.

მე ვიცი, შენ მზადა ხარ დამარქვა ცენტერაძის მონაზონი, ქვეყნის სატირალს რომ ტიროდა. არა, ძმაო, მართალია, მე. პატარა კაცი ვარ, მაგრამ ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობა მეც მაკისრია. ყოველ შემთხვევაში, იდუმალი გულისწყრომის გამოთქმის

უფლება მაინც მაქვს, როცა, ვთქვათ, შემოქმედებითი უანგარობის შებღალვას ვამჩნევ. შემთხვევით არ წამომცდენია შემოქმედებითი უანგარობა. მე იგი ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი ნაწარმოების შექმნის ერთ-ერთ არსებით ობიექტურ პირობად მიმაჩნია. ბარათაშვილის „მერანი“ ან „ჩემი ლოცვა“ ან „სულო ბოროტო“ ან „შემოღამება მთაწმინდაზე“ იმისთვის არ დაუწერია, ქება-დიდებას შემასხამენო, არც აკაკის დაუწერია ამისათვის თავისი „განთიადი“ ან „თორნიკე ერისთავი“, არც ილიას — თავისი „განდეგილი“, „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“, არც ვაჟას — თავისი „გველის მჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ ან „კაი ყმა“... შემოქმედებითი დაკნინების პირველი ნიშანი, ჩემი აზრით, სწორედ შემოქმედებითი უანგარობის მოშლაა...

ღმერთო ჩემო! ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ჩემი ქადაგებით შენს ან ვინმეს მოთვინიერებას ვლამობ; არა, მინდა, ძალიან მინდა, რომ ამ წერილში აღძრულ საკითხებზე შენ აზრი გამოთქვა, წერილი მოგწერო. თუ შენ არ შეგიძლია, ვინმეს უკარნახე, ვინმეს დაავალე, რომ მომწეროს შენი შეხედულებანი.

ალბათ მიხვდი და სამალავიც არაფერი მაქვს: ყველაფერი შენს თავშესაქცევად მოვიგონე. მაგრამ პასუხი აუცილებლად უნდა მომწერო. მართალია, ეს საკითხები შენს გასართობად არის წამოჭრილი, მაგრამ მაინც საკითხებია. ახლა მე რამდენიმედ იმ მოლას ვგევარ, ხმა რომ გააგდო, ფლავს არიგებენო, და მერე თვითონაც რომ გაიქცა ფლავის მისაღებად.

თუ ერთხელ მაინც კარგად ჩაგაფიქრე, მე უკვე გამარჯვებული ვარ. შენი ეგრეთ წოდებული შავნაღვლიანობა მე ძალიან არ მომწონს. თუ ძმა ხარ, გამხიარულდი, რანაირი ტკივილებიც არ უნდა გქონდეს. სიცოცხლე რაღაც მეტია და მას რაღაც მეტი აზრი აქვს, ვიდრე საათითაოდ თვითეულ ჩვენგანს შეიძლება, მოეჩვენოს. შენ უკეთ იცი, თუ ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი დასაშვებიაო, — ფიქრობდა ერთი წამებული გენიოსი. კიდევ მეტი: თუ სიცოცხლის მთელი შინაარსი ის არის, რაც დაბადებასა და სიკვდილს შუა მდებარეობს, მაშინ... „ჩიტი ბდღვნად არ ღირს“. მაგრამ სიცოცხლის უმაღლესი აზრი, ჩემი ფიქრით, სწორედ ამ უსაშველო, შეუვალი და გადაულახავი „ჭეშმარიტების“ გადალახვის ცდაშია — გადალახვისა სინდისით, სხვათათვის თავდადებით, დაუოკებელი სწრაფვით. „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“. აი, გასაღები უსაშველობის საშველისა. ერთი სიტყვით, უნდა აჯობო, უნდა მოერიო ავადმყოფობასაც და თუ საჭირო გახდა უფრო მეტ რამესაც.

ველი პასუხს და გელოდები გამოჯანმრთელებულს, გულგამაგრებულს“.

●

პასუხისათვის ვემზადებოდი ჩვეულებრივი ზოზინით. მაგრამ ამასობაში თავზარდამცემი ამბავი შემატყობინა ჩემი მეგობრის დამ: „იმ დღეს, თქვენ რომ წერილი გამოგიგზავნათ, ცოტა ხანს კიდევ უჯდა თავის საწერ მაგიდას და რაღაცას წერდა. მერე ადგა და შეღამების ხანს სახლიდან გავიდა, თითქოს საკმაოდ მხიარულ გუნებაზე იყო და არც კი მიკითხავს, სად მიდიხარ-მეთქი. იმ ღამიდან აღარ დაბრუნებულა. ცა და მიწა შევაჯერეთ და მისი ასავალ-დასავალი ვერაფრით ვერ გავიგეთ. მის მაგიდაზე დატოვებულ ქაღალდებზე ხშირად არის დაწერილი მისი ხელით თქვენი სახელი. ერთგან თქვენს სახელს მიწერილი აქვს: „გამაგრდი, ბიჭო!“ მერე ცოტაოდენი ინტერვალის შემდეგ წერია: „ვერა, ვერ ამოვხსენი, რით უნდა ანუგეშოს ხელოვნებამ, ლიტერატურამ ადამიანი. თავი უნდა ვიმტვრიო და ამოვხსნა, უეჭველად უნდა ამოვხსნა! ცხოვრება მაინც არის მშვენიერი თამაში მარადისობასთან, უკვდავებასთან:

На песчаном белом берегу
Островка
В Восточном океане
Я, не отирая влажных глаз,
С маленьким играю крабом.

მაგრამ ეს მაინც ლირიკაა და არა ამოხსნა, არა ფორმულა. მე კი ამჟამად სწორედ ფორმულა მესაჭიროება. რაიმეს მიშველის გალაკტიონის ლექსი, შეშხუნა როგორც ჩხავერი?

რამდენიმე დღე მივდივარ,
ქვეშ ბალახი მეგება,
ჩემს ძახილზე: „მასპინძელო!“
ქალი გამომეგება.
თავსაფარი გაისწორა,
სახლში შემიპატიჟა,
ჩანს, რომ ძველი მეგობრობა
სიშორემ ვერ გათიშა.
— ჩემი ქმარი შინ არ არის.
შემობრძანდით ოჯახად.
სადაც არის გეახლებათ,
მოითმინეთ ცოტა ხანს.
იდგნენ ცაცხვი და მუხები
უმაღლესი წვეროთი,

მე მაღალი აივნიდან
შავ ზღვას გადავცქეროდი.
აგე, მოდის მეგობარიც
შედგა, სადაც ვერხვია.
მერე მოსწყდა,
სიხარულით
შემხვდა გადამეხვია.
აკაშკაშდა ცაზე მთვარე.
სუფრა... რა დარებია...
ბევრი, ბევრი, ძმავ, კარგი დრო
ერთად გვიტარებია!
მოგონებათ ნაკადები
სიხარულის მფენია:
სიყმაწვილე, მეგობრები,
ლექსი, შოთას გენია!"

ამის შემდეგ მსხვილი ასოებით წერია: „სად ხართ ახლა ტოლებო — გოგოებო, ბიჭებო? სად ხართ დღეებო, მზისა და თაფლის დღეებო?.. შენ ერთი შემრჩი, ვისთანაც სულს მოვიოხებ და შენც გული გღალატობს... რა ვქნა, ჩემი ქვეყნის დაუსრულებელო სიტურფევ!"

„რა მოხდა არ ვიცი, — განაგრძობს წერილში ჩემი მეგობრის და, — ამ დროულ კაცს განა შეეძლო თავისთავისთვის რამე აეტეხა? არაფერი არ აკლდა: არც დაფასება, არც პატივისცემა; თვითონაც ყოველთვის მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდა, ყოველთვის მხიარულ გუნებაზე იყო. მხოლოდ თქვენი ავადმყოფობა აწუხებდა. სამტროც მასთან არავის არაფერი ჰქონდა. ყველაფერი აუხსნელი და გაუგებარია..."

ოღონდაც, ოღონდაც!

მაგრამ იქნებ, საიდანმე დაბრუნდეს ჩემი საყვარელი მეგობარი? ხომ ბრუნდებიან დაკარგულები? მაშინ ვეტყვი მისივე სიტყვებს: „...სიცოცხლე, რანაირიც უნდა იყოს, მაინც ღირს იმად, ბეწვისოდენაც რომ გქონდეს შერჩენილი, კბილით და ფრჩხილით ჩაებღაუჭო"..

მზეშეფრქვეული პოეტი

ალბათ არყოფნის უსასრულო ბნელეთს ეომებოდა პოეტის შთაგონება, როდესაც თხზავდა სევდიან სანუგეშოს — „არ დაიდარდო, დედაო". ასე მგონია, თუ ასეც არის: იმ შთაგონების ნათელიდან იმზირება დღესაც მოხდენილი, ახოვანი მგოსანი თავისი ჭკვიანური, ფიქრმორეული ცისფერი თვალებით. იგი ხომ ყოველ ქართველ კაცს ჰგავდა და არავისაც არ ჰგავდა. ათასში გამოარჩევდით... და არა მარტო თავისი ფერებმოჭარბებული ქართულით, არამედ თავისი თვალადობითაც.

ჯერ ადრევე, როდესაც მას მხოლოდ შორიდან ვიცნობდი, ქართული ცის რაღაც საოცარი სინატიფისა და სიანკარის უთქმელ გრძნობას მიღვიძებდა მისი „ხაზარეთისკენ მისცურავს წერო", მომწონდა ყურღანებიდან გაფრენილი გნოლის პოეტური ნახაზები, საუკუნეთა სიღრმიდან გამოხმობილი პაემანის განსაცვიფრებელი ლირიკული ხვეულები, მაფრთოვანებდა გაჩაღებულ სასანთლესავით წარმოსახული სამშობლო — ივრის ვაზები, ვხედავდი ყივჩაღური ღამის დევურნაკეთებიან სურათებს, თითქოს მესმოდა თავქვეშ თექალთოებამოდებულ და შავ ყურღანებში მიძინებულ მხედართა ველური ფშვინვა, საქართველოს ლექსის მეხანძრეთა ძმობის, სიყვარულის, პირშეუშრობელი იარისა და ქართული ისტორიული ძეგლის შეუმუსრავი სილამაზის ალმურს მკიდებდა „ნინოწმინდის ღამე"; ვგრძნობდი მგოსნის სიტყვის განსაკუთრებულ სილაღესა და სიმსუყეს, მისი პოეტური სახეების გასაოცარ ხორცოვანებას, თითქოს იგი იმთავითვე ამზადებდა ღაჟღაჟა ფერებით სავსე პალიტრას ახალი საქართველოსა და თავისი მღელვარე მამულიშვილური გრძნობების გამოსახატავად.

მერე ახლოს გაცნობა და მრავალი შეხვედრა. მათგან ახლა მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს ვიხსენებ.

ეს იყო ერთი წლით ადრე მეორე მსოფლიო ომამდე. ვინ რა იცოდა, რომ ქვეყანა კვლავ საარაკო თავზარცემათა წინაშე იდგა...

მე მოწმე გავხდი პოეტის შებმისა ერთ ფრიად განათლებულ და

ენაკვიმატ კაცთან — სახელმწიფო გამომცემლობის ერთ-ერთ კაბინეტში. ის კაცი ერთი ცნობილი ქართველი მწერლის პარადოქსებს იშველიებდა და გაცხარებით ამტკიცებდა, რომ პატარა ერებს მომავალი აღარ აქვთ, ისინი განწირულნი არიან, რომ ამიერიდან ქართველად დაბადება დიდი უბედურებაა...

დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ერთ რასმეს გეტყვით, — თქვა პოეტმა, — ესენინთან მე ცოტა წანაჩხუბარი ვიყავი, მაგრამ ძალიან მიყვარდა და ძლიერ მიყვარს. როგორც შესანიშნავი პოეტი, უფრო მეტად კი იმიტომ, თუ სიმართლე გინდათ, რომ ხშირად ამბობდა: ჩემი ერთადერთი ბედნიერება ის არის, რომ რუსად ვარ გაჩენილი და რუსი დედის შვილი ვარო. ასევე ერთი დიდად ნიჭიერი სომეხი პოეტი ამბობდა, სომხობა ჩემი კაცობის ყველაზე დიდი ნიშანიაო. ვადიდებ მათ და ვიცი, ამ გრძნობაში მე მათ წინ თუ ვუსწრებ, თორემ არაფრით არ ჩამოვრჩები. განწირულების ვერავითარი მუქარა წარმოშობის ბედნიერ გრძნობას ვერ მომისპობს...

— მაგრამ ნუ დაივიწყებთ, პატივცემულო პოეტო, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ემოციაა და სხვა არაფერი, — ცივად უთხრა პოეტს მოკამათემ.

— აბა სხვა რა გინდათ რომ იყოს? — აბობოქრდა პოეტი. — ცუდი რა არის ამ ემოციაში? ხალხები და პოეტები ემოციებით ცოცხლობენ... რევოლუციებსაც არსებითად ემოციები ახდენენ... მაგრამ განა მხოლოდ ემოციაა ის, რომ კაცი თავის ვინაობას აღიარებდეს, რომ მას თავისი დედა სწამდეს? არა, ის, ვინც ერის დაშრეტას ჩხავის, მე ასე მგონია, თვითონ არის დაშრეტილი უსაშველოდ.

კამათმა საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. მაგრამ მთელი მისი დრამატიზმის შუაგული, ჩემი აზრით, პოეტის ეს რეპლიკა იყო. კამათის სხვა დეტალების მოგონება საჭიროც აღარ არის.

სხვათაშორის, მაშინ პოეტს შევეკითხე, ვინ იყო ის სომეხი პოეტი, ვინაც თავისი კაცობა თავის სომხობას დაუკავშირა-მეთქი. შეკითხვა თითქოს არც კი გაეგონოს, გიორგიმ მაშინ არ მიპასუხა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როდესაც მისი ლექსების კრებულს ვრედაქტორობდი, მარტო რომ დავრჩით, პოეტმა მითხრა, რომ მაშინ მხედველობაში ჰყავდა ეღიშე ჩარენცი.

გიორგი ლეონიძის ლექსების კრებულს კი ვრედაქტორობდი ომის მეტად მკაცრ დღეებში — 1942 წლის მიწურულში. პოეტს ხშირად ვხვდებოდი. იგი ჩვეულებრივ ყოველთვის მჩქეფარე და ბობოქარი იყო, ჩაფიქრებულიც, შეშფოთებულიც ქვეყნის დიდი ჭირ-ვარამით; სამშობლოს მძიმე განსაცდელით. მაგრამ, ამავე დროს,

ივი მუდამ სავსე იყო გამარჯვების იმედით, მტრის ძლევის რწმენით.

მისი ლექსების კრებულზე მუშაობის დროს ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ გიორგი ლეონიძის პოეზიის ყველა მოტივი, ყველა თემა უაღრესად ორგანული იყო მისთვის, მე არც ერთ მის ამონამღერში არ მიგრძვნია ძალდატანებული თუ მერყეევი ბგერა, პოეტი ბოლომდე ერთგული დარჩა ყველა თავისი გრძნობისა (რაკი სიტყვამ მოიტანა, მახსენდება, რომ უკვე 50-იანი წლების პირველ ხანებში გიორგიმ აღტაცებით მიამბო, თუ როგორ გაუგზავნა ცნობილმა აზერბაიჯანელმა პოეტმა — სამედ ვურღუნმა მადლობის დეპეშა «за верность чувству» პოეტ ტვარდოვსკის, როცა ამ უკანასკნელმა იმ დროის თავისი ერთ-ერთი გახმაურებული ლექსი გამოაქვეყნა).

გიორგი ლეონიძეს უეჭველად ღრმად უყვარდა თავისი შთაგონების ერთ-ერთი მთავარი საგანი — მთავარი გმირი, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ამ გმირის ორთოდოქსალური მიმდევარი შინაგანად იგი არასდროს არ ყოფილა. პოეტს ჭირის დღესავით ეჯავრებოდა გაუკეთხავი სიმკაცრე და ულმობელობა ადამიანების მიმართ, ეჯავრებოდა ყოველგვარი ტირანია და თავნებობა. გარდა ამისა. ქვეყნიერების აღქმის ყველა თვალსაზრისზე მაღლა პოეტი აყენებდა ეროვნულ თვალსაზრისს. თავისი შთაგონების ყოველ საგანსა და ყოველ მოვლენას იგი, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული კუთხით შეჰყურებდა, ეროვნული გზნებით განიცდიდა. ეს კი გარკვეული ორთოდოქსიის ჩარჩოებში არ თავსდებოდა.

ერთხელ პოეტმა დაახლოებით ასეთი რამ თქვა:

ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა პოეტი ვყოფილიყავი, რომ ქართველი არ ვყოფილიყავი, ივრის წყალი არ მესვა და პატარძეულის ყვავილების ბურუსი არ მესუნთქოს.

თავის ხელნაწერებში პოეტს თითქოს ერთგვარი ლირიკული არეულობა თუ დაუდევრობა სჩვეოდა. მაგრამ ასე მხოლოდ გარეგნულად სჩანდა, ნამდვილად კი იგი ყოველ თავის სტრიქონს შვილივით ელოლიავებოდა. როგორც მახსოვს, ერთხელ კიდევაც თქვა, ჩემი სტრიქონები, ჩემი თინათინები და ჩემი ნესტანებია, მე მათ თვალისჩინივით ვუფრთხილდებიო.

მეც დიდი მოკრძალებით და მზრუნველობით ვეკიდებოდი ყოველ მის სიტყვას. ალბათ, სწორედ ამიტომაც, როგორც რედაქტორმა, ზოგი რამ ვერჩიე პოეტს. რჩევა შორს არ დაუჭერია. მას შეეძლო სხვებისთვის ყურის დაგდება. მაგრამ ბესო ჟღენტთან ხუმრობით მაინც დაეჩივლა, ნამეტანი ჩაკირკიტებული რედაქტორი აღმო-

მაჩნდაო. ეს ბესომ მითხრა, მე კი პოეტს „ვუსაყვედურე“, რად მიჩივლე-მეთქი.

— მა რა მექნა, — გაიღიმა პოეტმა, — კრიტიკოსს კრიტიკოსების პატრიარქთან ვუჩივლე...

გიორგი ლეონიძეს საერთოდ კრიტიკის დიდ სიყვარელს ვერ დავწამებდით (თუმცა ბევრ ვინმეს შეგვიძლია, დავწამოთ ის?). ერთ თავის ბოლო ანეკდოტში კი პოეტმა თითქმის სულ მოუთავა ხელი ქართულ კრიტიკას. მაგრამ საოცრებაა, ამავე დროს ნას ახლო მეგობრობა აკავშირებდა ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ბევრ წარმომადგენელთან. თვითონაც ხომ ლიტერატურის შესანიშნავი მკვლევარი იყო. მე ვიცი, რომ მას გულწრფელად უყვარდა გერონტი ქიქოძე და პავლე ინგოროყვა, ლევან ასათიანი და ბესო ყლენტი, შალვა აფხაიძე და გიორგი ნატროშვილი, გიორგი მარკველაშვილი და სერგი ჭილაია. კერძოდ, პოეტი უეჭველად დიდად აფასებდა ბესო ყლენტის ენამეცნიერებისა და პოლემიკური უნარის ძალას. მახსოვს, ერთხელ, როდესაც მცირე უთანხმოების გამო ბესო ყლენტთან შეპაექრებას ვაპირებდი, გოგლა ჩემსკენ გადმოიხარა და ყურში წამჩურჩულა. უფრთხილდი. ბესოს მარწუხებში არ ვოექცეო...

ერთხელ პოეტს კეთხარი, მართალია, თქვენი მუზა უფრო კახეთისა და ქართლის სანახებზეა შეყვარებული, სურამის ულელტეხილს იქით შედარებით ნაკლებად იხედება. მაგრამ თქვენს უკეთეს ლექსებს მაინც მთელი საქართველო ამოუდგება მხარში-მეთქი.

— მაშა, მაშა, — მიპასუხა პოეტმა. — საქართველო ხომ ერთი. და განუყოფელია... ოღონდ თქვენებურ საციას ვერასგზით ვერ შევეწყე...

როგორც ჩანს, ცხარე საველებლები არ მოსწონდა პოეტს, შესაძლოა, ამას მის შემოქმედებითს ბუნებასთანაც ჰქონდა რაიმე კავშირი.

მინდა აღვნიშნო ერთი ნიშნეული კაცური თვისება პოეტისა. პირადად მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ გიორგის აგვად ეხსენებინოს რომელიმე თანამოკალმე, რომელიმე ქართველი მწერალი. პირიქით, ხშირად მომისმენია მისი გამოქომაგება მავანისა და მავანის მიმართ.

გიორგი სიცოცხლის დიდად მოტრფიალე და ხალისიანი ბუნების კაცი იყო. ჩემი აზრით, იგი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა ჯიშს, რომლებთან შეხვედრაც ყოველთვის ახალ სასიცოცხლო ძალას გმატებთ, ცხოვრებას რაღაც ახალი რიტმით გიმდიდრებთ. ძნელად წარმოიდგენთ მათ დაღონებულთ და სასოწარკვეთილთ, მით უფრო

თვალში გეცემათ მათი დადარდიანება და დამწუხრება. მე რამდენიმეჯერ ვნახე დამწუხრებული პოეტი. ერთხელ, ომის დროს, ფერი ძლივს ედო. შინაგან თრთოლვას აეტანა, თითქოს ფარული ვაჟკაცური ცრემლი ჩაგუბებოდა არსებაში. მალიმალ ეწოდა პაპიროსს, ის-ის იყო გაეგო ნიკოლოზ შენგელაიას მოულოდნელი გარდაცვალება კახეთის გზაზე. მეორეჯერ მისი წუხილი სხვაგვარი მეჩვენა, უფრო დაოკებული, უფრო ნასათუთევი. ალბათ იმიტომ, რომ შესანიშნავი ქართველი მწერლის — ქეთევან ირემაძის სიკვდილი არცთუ მოულოდნელი იყო. ახლა, როდესაც ამ სიკვდილით გულშეძრული პოეტის სახეს ვიგონებ, ასოციაციურად რატომღაც ყოველთვის მახსენდება მისივე სიტყვები: „ეს რა ცეცხლი დამახალა ცისფერთვალა ფორთოხალამ?“ და თვალწინ მიდგება თვითონ პოეტი, ვინაც ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ მოცეკვავე ლეილა თათეიშვილის ქართული კაბის კალთას ეამბორა. ეს ალბათ ქართველი დედის თაყვანისცემა იყო. მესანეჯერ პოეტის მჭმუნვარება, გამოწვეული გერონტი ქიქოძის გარდაცვალებით, კიდევ უფრო სხვაგვარი მეჩვენა, ეროვნული სიმძიმილისა და წუთისოფლის გარდუვალი სიმუხთლის ბრძნული ფიქრით შეფერილი. უპრიანი იქნებოდაო, — თქვა პოეტმა გერონტის ერთ გახსენებაზე, — იგივე მეთქვა მასზე, რაც სოლომონ ლეონიძეზე მითქვამს — „ბრძენო, ენამზე, დიდო ქართველო, სამშობლოს აზრის გამომკვართველო“.

მე ვიცი. რომ გერონტი ქიქოძეს ძლიერ უყვარდა გიორგი ლეონიძე. — ჩვენი გოგლა, — იტყოდა ხოლმე, — ბიოლოგიურადაც კი ნამდვილი ქართველიაო.

მათ შორის სუფევდა, ალბათ, სიყვარული სიყვარულის წილ!

იმ ხანებში, როდესაც გიორგი ლეონიძემ სტალინური პრემია მიიღო, ჟურნალ „მნათობში“ დავბეჭდე წერილი მისი ორი პოემის გამო. პოეტთან შეხვედრამდე და მის ღიმილიან საუბრამდე მე თვითონვე ვგრძნობდი, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ პოემებზე ჩემი სათქმელი ადრე მეთქვა. იმაშიაც ცამდე მართალი იყო პოეტი, რომ უპირატესად თემატური განხილვა ნაწარმოებისა ფრიად უკმარია. აქ პოეტმა თავისი შემოქმედების ერთი პრინციპიც გამოთქვა: სიტყვებში დამალული სილამაზის გამომჟღავნებაც და სიტყვებით ახალი სილამაზის გამოძერწვაც.

მაგალითი გნებავთ? აი, თუნდაც რამდენიმე ტაეპი ლექსიდან „იორის ღამე“:

მთვარე შრიალებს ფიქვიანით
დაუსრულებელ ოხვრაში,
ამოდის კოხტა ბიკვეით
ცისკარი ახალ ჩოხაში.

. . . . .

შენ დამირწეე, ეორო,
მაჩქეფე თავზე მირონი;
დალაგდა ლექსის ჯიქნებად
ეგ შენი სანაპირონი —
შენი ჩანჩქრები, სანური
აბრეშუმისა ბადითა,
შენს ვენახებში სუფრები
ჩონგურითა და მწვადითა;
შენი ბდღვრიალა კალმახი,
აცვია თითქოს ჩითები;
დილა. რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები...
და უწმინდესი ტაძარი,
არხზე წისქვილი პატარა;
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა!

ფერების შეზავება კი სად არ შეიძლება ისწავლოთ საქართველოში, თვით ქართულ ბაზრებშიაც კი. ასეთი იყო პოეტის აზრი.

გიორგი ლეონიძის უგულითადესი მეგობრის — შალვა აფხაიძისაგან გამიგონია ხოლმე: გოგლას ორი ძლიერი სპორტული გატაცება აქვს, თევზაობა და ბაზრებში ხეტიალი.

პოეტის თევზაობა არ მინახავს და ამაზე ვერას ვიტყვი. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში კი ხშირად გამიდევნებია თვალი პოეტისათვის. ხან საქმიანად მიარღვევდა ხალხის ტალღას. ხან რომელიმე გამყიდველთან ხელჩართულ საუბარს ვართავდა, ხან დახლებზე დალაგებულ ხილულსა და მწვანილეულს ქორედებს ათვალიერებდა, იქნებ, მართლაც სწავლობდა ბობოქარ ფერთა შეზავებას! ეს ერთობ მიწიერი პოეტი ხომ ყველგან და ყველაფერში გულმხურვალე პოეტად რჩებოდა.

1955 წლის ზაფხული. ვაჟას დღე ჩარგალში. გალაკტიონმა ამიმგზავრა თავის „პობედაში". გოგლაც ამოგრიალდა.

აქ შეგეძლოთ გენახათ და გაგერჩიათ ორი დიდი პოეტის სხვადასხვა ხასიათი, ორი სხვადასხვა პოეტური სტიქია.

გალაკტიონი გულჩათხრობილი სტუმარია ვაჟას კარმიდამოზე, გოგლა კი მასპინძელი და შინაური კაცი.

გალაკტიონი გარედან ადევნებს თვალს საგნების, მოვლენების, ადამიანების მოძრაობას, გოგლა კი მოძრაობისა და ვითარების დაპატრონებას ლამობს, თავკაცობს.

გალაკტიონი ისე შეჰყურებს ამ ცას, ამ მიწას, ამ ხალხს, თითქოს რაღაც ჯრუანტელისმომგვრელ იდუმალ მუსიკას უგდებს ყურსო. გოგლა კი ხარობს ცხოვრებით, ხარობს ამ ცით, ამ მიწით, ამ ხალხით, თითქოს ფერთა ლიკლივა წვიმას ისხურებს თავზე.

გალაკტიონი ნაცრისფერი კოსტუმით არის შემოსილი და წვერმოშვებული, ბიბლიურ წმინდანს გაგონებთ. გოგლას კი ფერადოვნად აცვია და ჯერ კიდევ ქართული ზღაპრიდან მოსულ მზეჭაბუკს ჰგავს.

გალაკტიონი დაბინდულია, გოგლა მზეშეფრქვეული.

აქვთ ერთი საერთო შტრიხი: ერთიც და მეორეც რაღაცაში დიდ ბავშვს გაგონებთ.

ჩარგალში გამართული მიტინგის შემდეგ არაგვის პირად, მურყნიანში, მწვანეზე სუფრა გაშალეს, ნადიმობის დაწყებამდე აქ გალაკტიონი და გოგლა ერთმანეთს დიდიხნით დაშორებულ ძმებივით მიესალმნენ. ვგონებ, მათ აქ ხელჩამორთმეულთ რამდენჯერმე სურათიც კი გადაუღეს. გოგლა კეთილი, ლამაზი ღიმილით შეჰყურებდა გალაკტიონს.

ნადიმს გოგლა თამადობდა. მთელი საქართველოსა და მისი დიდებული კლასიკოსების სადღეგრძელოები რომ მოათავა, მერე პირველად გალაკტიონი ადღეგრძელა, უფროსი ძმა და დღევანდელი საქართველოს პირველი პოეტი უწოდა.

მერე?

„არ დაიდარდო, დედაო", მაგრამ გიორგი ლეონიძეს, როგორც დიდ მამულიშვილსა და შესანიშნავ ქართველ პოეტს, არ შეეძლო, არ დაედარდა ტრაგიკული დასასრული მთაწმინდის გედისა (ვგონებ, ასე უწოდა მან გალაკტიონს თავის გამოსათხოვარ სიტყვაში).

მახსოვს, გალაკტიონის დაკრძალვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგიმ შემოიარა რუსულ გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკას" შენობის მეოთხე სართულზე. იქ გაგვიზიარა მან თავისი შემოქმედებითი გეგმა, რომანის დაწერა მაქვს განზრახულიო. სხვათაშორის, პოეტმა იქვე ნაბიჯი გადადგა რკინის აივნისაკენ. რუსთაველის პროსპექტს რომ გადაჰყურებს. მაგრამ უმალვე უკან შემობრუნდა, ნერვიულიად შეაერეოლა, თქვა, გალაკტიონის შემდეგ სიმაღლის უსიამო შეგრძნება დამჩემდაო.

მე ასე მეგონა, რომ გიორგი ლეონიძე თავის ახალგაზრდობას ყოველთვის წინ მიირეკდა, წინ მიირეკდა და ლამობდა დასწეოდა,

როგორც ბავშვი ლამობს დაეწიოს მაქციერა ჩიტს... დასწეოდა და ვადაესწრო.

ჩქარა!
მინდა ვუყელო.
თოფი ვტყორცნო ხმიანი,
ჩქარა, ზარით მარხილი
ოქროსჩარდახიანი!
ორმა გუნდმა კიდეეაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა.
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

ერთხელ მზეშეფრქვეულმა პოეტმა საბედისწეროდ გადაუსწრო თავის ახალგაზრდობას!

1970

ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘ

გაგონდებათ?

თბილისიდან მცხეთისაკენ — საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი მთავარი შუაგულისაკენ — ახალგაზრდა მხედარი მიაგელვებს მშვენიერ ბედაურს — დარდიმანდს, სრბოლის ჟინით ატანილი, გაფიცხებული ბედაური დროდადრო ფრთხება და თავს ართმევს მხედარს. მაგრამ ნაცადი მხედარი არ დრკება; ეს დაუოკებელი ნავარდი და ქროლვა კიდევაც ესალბუნება მის მღელვარე გულსა და აბობოქრებულ სულს.

დაახლოებით ასეთი ექსპრესიული სურათით იწყება „დიდოსტატის მარჯვენა". მხედარი ამ ბრწყინვალე ნაწარმოების ავტორია. განა რასმეს გაურბის იგი? არა. ეს არის, ასე ვთქვათ, ერთგვარი რომანტიკული გაჭრა დღევანდელობიდან ისტორიისაკენ, გაჭრა იმისათვის, რომ წარსულის გმირული და ტრაგიკული სული შემოიყვანოს დღევანდელობაში. ხალხის ისტორია ხომ ცოცხალი ეროვნული არსების განუკვეთელი ნაწილია და მის მოწყვეტას ერის დღევანდელობისაგან, ალბათ, ამ არსების რაღაცნაირ დახეიბრებად მიიჩნევდა დიდი მწერალი.

ასე მგონია, იმ ბედაურის თავგამეტებული ჭენება სიმბოლურად ქართველი კაცის სულის სწრაფვასაც ასახიერებს და რაღაცათი თვით მხედრის — კონსტანტინე გამსახურდიას დიდ შემოქმედებითს შემართებასაც მოგვაგონებს.

დიდი მხატვრული ტალანტი, რასაკვირველია, იშვიათობაა, უნიკალური მოვლენაა. მაგრამ იგი, როგორც თვით კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა ხოლმე, წილნაყარია თავისი ხალხის უკვდავ სულთან. თავისი ხალხისათვის საამაყოც სწორედ მით არის, რომ იგი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ბუნებაში ბევრი რამ არის დიდებული და უნიკალური, მაგრამ ისინი არავის არ შეიძლება, ეამაყებოდეს. მაგალითად შესატყვის გეოგრაფიულ ზონებში მოსახლე ადამიანთა ტომებს არავითარი საფუძველი არა აქვთ იამაყონ, ვთქვათ ევერესტით, ალპებით ან კავკასიონის მწვერ-

ვალებით, ეს მწვერვალები ბუნების სტიქიური ძალების ნახელავია და მათს დიდებულებაში ადამიანებს წილი არ უდევთ. ადამიანებს კი გვეამაყება ის სიკეთე, რაშიაც წილი გვიძევს და რაშიაც ჩვენი სულის ნაწილია გადასული.

ქართველ ხალხს მის სხვა სახელოვან შვილებთან ერთად ეამაყება კონსტანტინე გამსახურდიაც, რადგან მის დიდ ტალანტში, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენივთებულია ქართველი ხალხის სულიერი გენები...

სწორედ თავისი ეროვნული გზნებითა და ტემპერამენტით, თავისი დიდი შემოქმედებითი ღონითა და ფრთაასხმული ფანტაზიით შეიჭრა იგი ისტორიული მასალების, ისტორიული გადმოცემებისა და ლეგენდების სიღრმეში, რათა დიადი წარსულის სული გამოეხმო და შეექმნა თავისი უჭკნობი „დიდოსტატის მარჯვენა“ — ნაწარმოები, რომელიც, როგორც სიტყვიერი ხელოვნების შესანიშნავი ქმნილება, გარკვეული მნიშვნელობით გვერდში ამოუდგა თვით დიდებულ სვეტიცხოველს. იგი ისევ გაუძლებს და შეეტოქება ჟამთასვლას, როგორც სვეტიცხოველი ეტოქებოდა და ეტოქება მას საუკუნეების მანძილზე (მწერალიც ხომ ცამდე მართალია, უკვდავების საუფლოდ რომ შემოქმედებას და მხოლოდ შემოქმედებას მიიჩნევს).

ამ ისტორიული რომანის ძირითადი თემა — თემა შემოქმედისა და შემოქმედებითი შრომის ბედისა სოციალური ძალმომრეობისა და ტირანიის პირობებში — მხოლოდ შორეულ წარსულს როდი განეკუთვნება.

თავის უკეთეს გრძნობებსა და განზრახვებში შებორკილი და შეურაცხყოფილი ხელოვანის ტანჯვა რომანში უმაღლეს კაცობრიულ ტრაგიზმამდეა აყვანილი, რაც შეიძლება ყველა დროისა და ეპოქის შემოქმედებითი სულისა და ტირანიის შეუთავსებლობასა და შეურიგებლობას შეესაბამოს. ამ დიდი მხატვრული განზოგადების წინაშე, რასაკვირველია, აზრის უსუსურობა და ხელოვნების არსის შეუგნებლობა იქნებოდა საკითხის დასმა: შეესაბამება თუ არა მხატვრული ფაქტი ისტორიულ სინამდვილეს; მართლაც მოჰკვეთეს ხელი სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს და ეს მოკვეთილი ხელი მართლაც გამოსახეს ქრისტიანული ტაძრის კედელზე?

ძველი, გაუცვეთელი ჭეშმარიტებაა: მხატვრული ლიტერატურის დიდი ნაწარმოები უმალ შესაძლებელის აღმოჩენაა, ვიდრე მომხდარი ფაქტის პირდაპირი გადმოწერა.

ეჭვი არ არის, რომ „დიდოსტატის“ ბედს გაიზიარებს მწერლის სხვა ნაწარმოებებიც — „მთვარის მოტაცებაც“, „დავით აღმაშენებელიც“, „ხოგაის მინდიაც“ და ბევრი შესანიშნავი ნოველაც, ეს ნა-

წარმოებები, როგორც იტყვიან ხოლმე, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში შედის. მათ დიდად, ძალიან დიდად გაამდიდრეს ქართული ლიტერატურის ესთეტიკურ-ინტელექტუალური თვალსაწიერი, აამაღლეს ქართული მხატვრული აზრის დონე. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მწერლის ვრცელსა და ნაყოფიერ შემოქმედებაში ყველაფერი თანაბარი ძალისა და თანაბარი ბრწყინვალებისაა. მეტნაკლები შემოქმედებითი აღმართ-დაღმართი. როგორც ჩანს, არც დიდი მხატვრისათვის არის უცხო, თანაც ცნობილია, რომ მწერალმა ცხოვრებისა და შემოქმედების ერთობ რთული, ძნელი და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. მაგრამ პედთან და სიტყვასთან ჭიდილში მწერალს ყოველთვის ახასიათებდა ნამდვილი რაინდული სულიერი სტოიციზმი.

კონსტანტინე გამსახურდია მძაფრი რეალისტური ხედვისა და გზნების შემოქმედია. მის ეპოქალურ ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში" ვრცლად და ცხოველად აისახა ჩვენი საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების საქართველოს სინამდვილეში მომხდარი საზოგადოებრივი ძვრები და წინააღმდეგობანი. უდიდეს მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებთან ერთად ამ ნაწარმოებს საკმაოდ დიდი შემეცნებითი ღირებულებაც აქვს. ნამდვილ ესთეტიკურ კმაყოფილებასთან ერთად მკითხველს ამ ნაწარმოებში ყოველთვის შეუძლია ამოიკითხოს თვით ეპოქა, მიიღოს საკმაოდ უხვი ინფორმაცია ამ ეპოქის მოვლენების შესახებ. ნაწარმოები მკითხველის სულსა და გულს იპყრობს უცდომელი დაკვირვებით აღმოჩენილი და შესანიშნავი ოსტატობით გამოძერწილი ტიპიური მხატვრული სახეებით. ნაწარმოებში, ამრიგად, საქმე გვაქვს არა მარტო შემოქმედის განწყობილების, მისი სუბიექტური მიდრეკილებისა და მისწრაფებების მხატვრულ განსხეულებასთან, არამედ უმთავრესად თვით გარემომცველი სინამდვილის მართალ და დიდებულ სურათებთან. განსაცვიფრებელია ამ სურათების შესრულების ოსტატობა. ამავე დროს მწერლის შემოქმედებაში ძლიერია თავისებური რომანტიკული ნაკადიც — შემოქმედის მდიდარი შინაგანი სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური უკუფენა. თითქმის ყოველთვის დიდი ემოციური ენერგიითაა დამუხტული მწერლის ხილვები და წარმოსახვები, სენტენციები და ლირიკული აღსარებები. ზოგჯერ მწერალი პირდაპირ და გამომჟღავნებულადაც კი ერევა თავისი ნაწარმოებების მოქმედებაში, თავისი პერსონაჟების ურთიერთობაში. გაიხსენეთ მისი შეხვედრა თავისავე პერსონაჟებთან „მთვარის მოტაცებასა" და „ვაზის ყვავილობაში". ამ საგულისხმო მხატვრული ხერხით, რაც ამბავთა ლაღ, ეპიურ მდინარებას ნაკლებად არღვევს, მწერალს განსაკუთრებული ინტი-

ბერი სითბო და ლირიკული მღელვარება შეაქვს თავის ქმნილებებში. ამავე დროს ამით იგი თითქოს ცხადჰყოფს და ადასტურებს თავის სისხლხორცეულ კავშირს იმ ცხოვრებასთან, იმ ბუნებასთან, იმ ადამიანებთან, რომელთაც ხატავს.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შექმნილ სახეებსა და სურათებს თვალნათლივ ხედავთ. გრძნობთ მათ საგნობრიობას, ხორციელობას, ყოლერადობას. გზიბლავთ მათი სკულპტურული გამოკვეთილობა. გაოცებთ მათი ფერწერულობა. მწერალს თითქმის ერთნაირი ძალით ემარჯვება თავისი უამრავი პერსონაჟის როგორც სახობრივი, ისე ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვა, ბუნების წარმტაცი სურათების გამოსახვა მეტყველი ინტენსიური ფერებით.

იმ უმდიდრეს პალიტრაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც მწერალს თავისი მამაკაცი-პერსონაჟების უაღრესად ინდივიდუალიზირებული სახეების დასახატავად გააჩნია, იგი ქალის ბუნების, უკეთ ვთქვათ, ქალური სამყაროს ულრმესი მცოდნე და მესაიდუმლეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ შექმნილი ქალთა უკეთესი სახეები— შორენა, დედისმედი, თამარ შერვაშიძე და ბევრი სხვა — თავიანთი ვომხიბვლელი მარადიული ქალურობითა და განუმეორებელი მშვენიერებით — ღირსეულად ამოუდგებიან გვერდში ქალთა დასამახსოვრებელ სახეებს მთელს თანამედროვე ლიტერატურაში.

ო, როგორ ვისურვებდით, რომ ჯერ კიდევ შეუსრულებელი რომანი „თამარ“ ჩვეული ოსტატობით შესრულდებოდეს და მხატვრულად ხორცშესხმული, ხელოვნებით უკვდავქმნილი „ქართველთა დედა“ დაამშვენებდეს მწერლის შესანიშნავ ქალთა კრებულს.

რა ვუყოთ, რომ მწერალს 80 წელი შეუსრულდა. ეს ხომ თვალის ერთი დაფახულებაა მისი ქმნილებების დღეგრძელობასთან შედარებით... მაინც, რა საოცარი გათიშულობაა ხელოვანის სიცოცხლესა და ხელოვნების დღეგრძელობას შორის!..

შესაძლოა, მხცოვანი მწერალი კვლავინდებურად ვეღარ ამხედრდეს ფეხმარდ ბედაურზე. — წლებს თავისი მიაქვს. მაგრამ თავისი „ვოლგით“ მაინც შესძლებს გავარდეს გზებზე. გაიკრას ბუნებაში, რათა ახალახალი შთაბეჭდილებები დააგროვოს.

საქართველოს სჭირდებოდა და კვლავაც სჭირდება მისი სიცოცხლეც, მისი მოუღლელი კალამიც და მისი სახელიც.

დიდი შემოქმედის სახელიც კარგად „მუშაობს“.

ამას წინათ სომხეთში მითანამგზავრა ერთმა ჩემმა ახლობელმა კაცმა. იქ რამდენიმე სომეხ ქალსა და კაცს შევხვდი. ისინი არც მწერლები იყვნენ, არც მხატვრები, არც მსახიობები. უბრალოდ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ: საბჭოთა მუშაკები, დიასახლისები,

სტუდენტები, კარგად გვიმასპინძლეს, საუბარში ისინი ხშირად იხსენიებდნენ ჩვენს დიდ ადამიანებს, დიდ მწერლებს, მათ შორის, რასაკვირველია, გამსახურდიას. ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა გამსახურდიას გმირებზედაც კი ჩამოგვიგდო სიტყვა; ბოლოს სთქვა: — ეს მწერალი ჩვენ ძალიან გვიყვარსო.

ვატყობდი, ამით მასპინძლებს ჩვენი გულების უფრო მეტი დაძმობილება სწადდათ.

სახელი — გამსახურდია — გულთა კავშირის სიმბოლოდ ეღერდა იქ ჩვენს შორის.

მრავალჟამიერ დიდოსტატის დიდოსტატს!

1971

ქართული სიტყვის დიდოსტატი

(კ. გამსახურდიას დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო).

მის მკაცრ, ენერგიულ სახეზე მუდამ არის აღბეჭდილი გონების დაძაბული მუშაობის, უძილო ღამეებისა და შემოქმედებითი წვის ნაკვალევი.

ახლაც, როდესაც იგი უკვე 70 წლის არის, ვერ იტყვით, რომ მოხუცია. შემოქმედების გაუტეხავ ნებისყოფას ახალგაზრდობა თითქოს მაინც დაუტყვევებია სადღაც მის არსებაში.

ხშირად უთქვამს და ხშირად დაუწერია კონსტანტინე გამსახურდიას, მწერლობა დიდი ტანჯვა არისო. არა, როგორ შეიძლება არ დავუჯეროთ ეს იმ კაცს, ვისაც დიდი შემოქმედებითი შრომის ნახევარი საუკუნე აწევს მხრებზე.

კაცმა რომ თქვას, არც არის რაიმე სადავო იმაში, რომ მწერლობა ტანჯვაა. იგი ალბათ, მართლაც დიდი ტანჯვაა, რადგან ბევრ მსხვერპლს, ბევრ ადამიანურ სიამეთა დათმობას, უდიდესი სულიერი და ფიზიკური ენერგიის ხარჯვას მოითხოვს. ნამდვილი მწერლები, ნამდვილი შემოქმედები მართლაც დიდი ტანჯვითა და შრომით ქმნიან თავიანთ სახეებს, თავიანთ გმირებს, თავიანთ იმ განუმეორებელ მხატვრულ სამყაროებს, რომლებმაც სხვა ადამიანები უნდა გაახარონ, დაატკბონ, ააღელვონ, მშვენიერებასა და ჭეშმარიტებას აზიარონ. სწორედ ამიტომაც ვფიქრობ, რომ თუ მწერლობა მართლაც დიდი ტანჯვაა, იგი კიდევ უფრო დიდი სიხარული და ბედნიერებაა. არა მგონია ადამიანისათვის არსებობდეს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ შეგეძლოს მიანიჭო ადამიანებს სიხარული, თუნდაც ერთი ბეწო ბედნიერებაც კი.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება დიდ სიხარულს ანიჭებს ადამიანს.

დიდი მწერლობა დიდი გულთამხილაობაა. ნამდვილ მწერალს იმითაც გრძნობთ, რომ როცა მის ნაწარმოებს კითხულობთ, ასე

გგონიათ, რომ მისგან თქვენ ვერაფერს დამალავთ, რომ თქვენ ყველ მოძრაობაში, თქვენს ოდნავ ღიმილსა თუ წარბის შეხრაში კი ივი უტყუარად ამოიკითხავს თქვენს ფიქრებს, ზრახვებს, ტკივილებსა თუ სიხარულს, რომ მას შეუძლია თქვენზე უფრო ღრმად ჩაწვდეს თქვენივე სულის მოძრაობას, მის ყველა საიდუმლოს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში კარგად იგრძნობა გულთამხილაობის ეს ძალა. იგი ადამიანურ ვნებათა გულმოდგინე მკვლევარია. ამაშია მისი რეალიზმის ძალაც. მაგრამ იგი რომანტიკოსიც არის, მას უყვარს უჩვეულო ვითარებანიც, უჩვეულო ადამიანებიც. რომანტიკული ხილვებიც. არც ფერადოვან დეკორაციებსა და ეგზოტიკურ სანახაობებს ეკრძალება, არც მოუსვენარ ეროსს ივიწყებს, ნადირობის ტრფიალი ხომ არის და არის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პროზაში ინტელექტუალურობის ისეთი ძლიერი ნაკადი არავის შემოუტანია, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ შემოიტანა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ იგი ასე დიდი ქომაგი და პატივისმცემელია თომას მანისა — უაღრესად ინტელექტუალური მწერლისა. მწერლის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ადამიანის ინტელექტუალური არსება. მის სრულიად უბრალო და უბირ პერსონაჟებსაც კი თავიანთი სიბრძნე და თავიანთი ფილოსოფია გააჩნიათ. ავტორთან და მის მთავარ გმირებთან ერთად ისინიც ხშირად წარმოთქვამენ ხოლმე სხვადასხვა სენტენციებს, აფორიზმებს, ფრთიან სიტყვებს, პარადოქსალურ მოსაზრებებს. მწერალი არ უჩლექს ხოლმე ენას თავის გმირებს, ის მათ მთელი მათი გონებრივი შესაძლებლობებით ამეტყველებს.

ძნელი, რთული, ბობოქარი და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებისა და შემოქმედების გზა განვლო მწერალმა. ეს გზა ვრცელი სპეციალური გამოკვლევის საგანია. მაგრამ ახლა ამ გამოკვლევის გარეშეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება ქართული ლიტერატურის განვითარების დიდ წრეში შედის. იგი ჩვენი ეროვნული კულტურის ძვირფას საუნჯეთა რიცხვს ეკუთვნის. მაგრამ მე ვიცი, რომ პირმოთნეობა დიდად სძაგს ჩვენს საყვარელ მწერალს და ამიტომაც ვამბობ:

სწორედ პირმოთნეობა იქნებოდა თქმა იმისა, რომ თითქოს მის შემოქმედებაში ყველაფერი განურჩევლად მოსაწონი იყოს. არა, მისი ზოგიერთი სუსტი ნაწარმოები იმ დიდი წრის მიღმა რჩება, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ნამდვილი დიდი ხელოვნება არ არსებობს ადამიანის დიდი რწმენის, მისდამი დიდი სიყვარულისა და დიდი პატივისცემის გარეშე. კონსტანტინე გამსახურდიას დიდი ხელოვნებაც სწორედ ადა-

მიანის სიდიადის იმ ფერებს რუსეთაში იღებს სათაგეს, რაც ბის შესანიშნავ ესთეტიკურ მრწამსში გამოიხატა: „მწერლობა გმირობის გაგოსარჩლებაა მხოლოდ, მიჩქმალული გმირობის ქოძაგიცაა მწერალი“.

კონსტანტინე გამსახურდიამ კარგად იცის და თავის შესანიშნავ წიგნებში კარგადაც გამოხატა ის, რომ ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაა ადამიანთა კონკრეტული გმირობის შინაარსი, მაგრამ ამ გმირობათა განუწყვეტელი ისტორიული ჯაჭვი შეადგენს ისტორიის ცოცხალ შემოქმედებითს სულს, რასაც სიკეთის, სილამაზის, თავისუფლების სრულყოფისაკენ მივყავართ. სწორედ ისტორიის ეს სულია გამოსახული მწერლის უკეთეს წიგნებში — თავის მძაფრ დრამატულსა და ტრაგიკულ გამოვლინებებში.

ფრიად ვრცელია მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო. იგი სავსეა ბრავალი აძაღლეებელი ბედით, შესანიშნავი სახეებით, ცხოვრებისა და ბუნების წარმტაცი სურათებით. შესაძლოა, ყველაფერი ერთნაირად არ გვიზიდავდეს ამ სამყაროში, მაგრამ სიტყვიერი სელოვნების მშვენიერ ქმნილებებად მუდამ დარჩებიან დაუვიწყარი სახეები — დიდი შემოქმედის — კონსტანტინე არსაკიძისა, მშვენიერი შორენასი, გიორგი მეფის, ფარსმან სპარსის, ქართული სუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლის — სვეტიცხოვლისა („დიდოსტატის მარჯვენიდან“), ძველი საქართველოს ბრძენი მოღვაწის — დავით აღმაშენებლისა და გულწარმტაცი დედისიმედისა („დავით აღმაშენებლიდან“), თარაშ ეიხვარის, თაპარ შერვაშიძის, არზაყან ზვამბაიას, ლუკაია ლაბახუას და სხვათა („მთვარის მოტაცებიდან“) მრავალთა.

ეს სახეები გვახარებენ, გვანაღვლიანებენ, გვაღელვებენ, ფრთას გვასხამენ და როგორც ძველი ისე ახალი საქართველოს ცხოვრებისა და ბრძოლის სილამაზესა და პოეზიას გვაზიარებენ.

ქართველი ხალხი მადლიერია თავისი დიდი მწერლისა.

1961

ლეო ქიაჩელი

„იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ღირსეულად ატარებდეს მწერლის წოდებას; იმ გარემოებამ, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე მწერალია სამშობლოში და მის გარეთ, რომ მის ნაწერებს თბილისშიც კითხულობენ და ერევანშიც, მოსკოვშიც და კიევშიც, სიდნეიშიც და ბუენოს-აირესშიც, მისთვის არასდროს წონასწორობის გრძნობა არ დაუკარგვინებია. მისი დევიზია ჰორაციუსის სიტყვები: Nit admirali—ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს, ის მხოლოდ ხშირად სინანულს გამოთქვამს, რომ იმდენი ვერ გააკეთა, რამდენის გაკეთებაც შეეძლო“.

ამას წერდა ჩვენი სასიქადულო გერონტი ქიქოძე თავის გულითად მეგობარზე, — ჩვენს ასევე სასიქადულო ლეო ქიაჩელზე, — მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

გულს გული იცნობს... თავმდაბლობა მართლაც ისე ამშვენებდა ორთავეს, როგორც კავკასიონის მწვერვალებს ქათქათა თოვლი. ორთავე კი მე-20 საუკუნის ათეული წლების მანძილზე თითქოს შეწყვილებულად იყო შებმული ქართული მხატვრული კულტურის დიდ უღელში. და თუ ვინმე ეწეოდა ამ უღელს დიდი ძალით, ეწეოდა ეს ორი უმწიკვლო რაინდიც. ამიერიდან მათ ჩაწყვეტილ აპეურებში ქედმაგარი ახალგაზრდობა უნდა შეებას და გასწიოს წინ ის უღელი, სწორედ ის უღელი, რომელიც ჩვენი დიდი წინაპრების ქედიდან ქედზე გადმოდიოდა. ასეთია ცხოვრების გარდუვალი კანონი, ამას მოითხოვს ქართული კულტურის სასიცოცხლო ინტერესები.

ლეო ქიაჩელი. რა ახლობელი, რა ღვიძლია ეს სახელი!

ლეოს ძლიერ უყვარდა ჰადრაკის თამაში. მე მქონდა ბედნიერება ხშირად ვყოფილიყავი მისი მოქიშპე ამ სპორტში, მხოლოდ ამ სპორტში. ერთ დროს პირდაპირ დაბარებულივით მოვიდოდა მწერალთა კავშირში, სადაც მე ვმუშაობდი, და თვალს ჩამიკრავდა, ერთი ხელი ვითამაშოთო. ო, რა გამომეტყველი, რა ადამიანური იყო ეს თვალის ჩაკვრა, სავსე რაღაც უთქმელი ეშმაკური სხივით, ჭკუით, იუმორით. ჰადრაკით განსაკუთრებით ვიჯერეთ გული ორ

ზაფხულს, როდესაც ერთად ვისვენებდით ქვიშხეთში. ლეოს საოცრად სწყინდა წაგება, მოგება კი ნამდვილად ფრთას ასხამდა. თუ მეტოქეს დააშამათებდა, სარკასტულად ჩაიცინებდა და რაღაც გამოგონილ უცნაურ ფრაზას დააყოლებდა: „მატიკუს-მურმულიკუს“. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ძლიერი მოჭადრაკე იყო. თუმცა არც პარტნიორები ვყავდით დიდი გარდაქმნანები. მაგრამ, ჩემი აზრით, ძეტად საგულისხმო და თავისებური იყო სტილი ლეოს თამაშისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომლოდინე-კომბინაციური სტილი. იგი თითქმის არასდროს არ თამაშობდა ფართო, გაშლილ ფრონტით, ყველა უბნის მეთოდური ამოქმედებით. პირიქით, ყოველთვის თამაშის რომელიმე ერთ ნასკვს, ხშირად საკმაოდ გონებამახვილურს, ჩაიფიქრებდა ხოლმე წინასწარ და ცდილობდა ამ ნასკვში მოექცია თამაშის მთელი მსვლელობა, გულმოდგინედ უდარაჯებდა ასევე წინასწარ მონიშნულ შეცდომას პარტნიორისას, რომ როგორმე დაგებულ მახეში შეეტყუებინა... და თუ შეიტყუებდა, ერთს ვითომდა დარდიანად ამოიხვნეშებდა, შთაგონებულ სახეზე შეკავებულ ღიმილს დაიყენებდა და დინჯად, აუჩქარებლად ვანაგრძობდა მარყუჟის მოკვრას. ამ ნიშნებით მეტოქეს უკვე შეეძლო ეგრძნო, რომ მის პარტიას მძიმე ხიფათი ემუქრებოდა...

თითქოს უცნაურობაა: იმ დროს, როდესაც შესანიშნავი მწერლისა და შესანიშნავი ადამიანის გარდაცვალების გამო, დიდი პოეტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ. გულში მწუხარება ჯერ ისევ ღამეს ათევს, — იგონებდე მწერლის ადამიანური ხასიათის თითქოს სრულიად უმნიშვნელო შტრიხს. მაგრამ არა. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ მისი თამაშის სტილი, საერთოდ მისი ადამიანური სტილი, მე მგონი, ძალიან ჰგავს მის შემოქმედებითს სტილს, მის კომპოზიციურ ხერხებს, კერძოდ მის ჟანრობრივ მიდრეკილებას.

მართლაც, ლეო ქიაჩელი უპირატესად ნოველისტია, ბრწყინვალე ნოველისტი. შემთხვევით როდი წერდა გერონტი ქიქოძე, „მან ეს ჟანრი კლასიკურ სიმაღლეზე აიყვანაო“. ლეო ქიაჩელის რომანებიც არსებითად ნოველისტური აღნაგობისაა. მწერალს ემარჯვება გასაოცარი ოსტატობით მოუყაროს თავი რომელიმე ერთ მხატვრულ ნასკვში, თუ ერთ დრამატულ ვითარებაში უმძაფრეს ადამიანურ განცდებსა და ვნებებს, დროისა და სივრცის სულ მცირე მონაკვეთში ჩატიოს ცხოვრების უმდიდრესი მასალა, ერთი კუთხიდან გაანათოს სოციალური ყოფის საკმაოდ დიდი არე.

არაერთხელ თქმულა და ახლაც შეგვიძლია გავიმეოროთ, როგორც უდავო ფაქტი, რომ ლეო ქიაჩელი მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის დიდი რეალისტური ტრადიციების ერთ-

ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამცველი და გამგრძელებელია, რომ იგი მე-20 საუკუნის სამი რევოლუციის ქარცეცხლში განოვლილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული მემატიანეა, რომ მან მართლად ასახა ჩვენი ეპოქის მთავარი სოციალური ტენდენციები. ეს ასეა. მაგრამ ლეო ქიაჩელი, ისე როგორც ყოველი ჭეშმარიტი მხატვარი, ძვირფასია ჩვენთვის არა მარტო მით, რომ მან, როგორც სარკემ, აირეკლა თავისი დროის გამოსახულება, არამედ მითაც და უფრო მეტად მითაც, რომ მან თავის სულში გამოძერწა ეპოქის განუმეორებელი სურათები, შექმნა თავისი განუმეორებელი მხატვრული სამყარო. არა ცხოვრებისა და ბუნების არეკლილი განმეორებით, არა მათი ასლის გადმოღებით გვხიბლავს ჩვენ შემოქმედი, არამედ ჯერ კიდევ უკვლევის მხატვრული მიკვლევით ანუ სწორედ მით, რასაც იგი უმატებს ჩვენს წარმოდგენას ბუნებასა და ცხოვრებაზე. ნამდვილი შემოქმედი კი არ იმეორებს ქვეყანას, არამედ ამდიდრებს, — ახალ სახეებს, ახალ ფერებს, ახალ ხაზებსა და ბგერებს მატებს მას.

ლეო ქიაჩელმა დადგა განსხვავებული მხატვრული ნაგებობანი. სწორედ თავიანთი განსხვავებული მხატვრული ნაკეთობით, თავიანთი განსხვავებული სკულპტურული ჩამოსხმულობით გვხიბლავენ ჩვენ ტარიელ გოლუა, ალმასგირ კიბულან და ბათაყვა, თავადის ქალი მაია და ჰაკი აძბა, გვადი ბიგვა და ბათუ ქარდუა. მთავარი სიძნელეც, ჩემი აზრით, მწერლის განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობის მიწვდომაში, ანუ იმის მიკვლევაშია, თუ როგორ ატარებს და ძერწავს იგი თავის სულში ქვეყნიერებას, და არა მისი ზოგად-თემატიკური მასალის მოხაზვაში. ლეო ქიაჩელის ლიტერატურული მემკვიდრეობის მომავალ მკვლევარებს ამ მხრივ ბევრი რამ ექნებათ გასაკეთებელი.

ლეო ქიაჩელის, როგორც მხატვრის, სტიქია უმალ სამყაროს მძაფრი ხილვადი აღქმაა, ვიდრე ლაპიდარული, დახვეწილი სიტყვის ძიება. იგი ჯადოქრული თვალით ხედავს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს, როგორც მთლიანობაში, ისე დეტალებში. გაიხსენეთ, თუნდაც ფეთქებადი დრამატიზმით სავსე ეპიზოდი, როდესაც გვადი ბიგვა გადაჭრით ემიჯნება ბოროტმზრახველ ფორიას. „გვადის ყოვლად უძრავი, შეუვალად ჩამოხურული სახიდან ორი პატარა მოჭუტული თვალი ყინულის ნამსხვრევებივით ცივად გამოაშუქებდნენ“. აი, ამ მცირე დეტალშიაც თითქოს სიტყვას საოცრად მკვეთრი ნახატი სჭარბობს.

ლეო ქიაჩელი უღრმესი ჰუმანისტია ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ადამიანისა და სოციალური პროგრესის, ცხოვრების სიდი-

ადისა და მისი ძლევამოსილი წინსვლის რწმენა მწერლის მთელ შემოქმედებაში დაკავშირებულია მშვენიერების, სრულყოფილების, სიცოცხლის სისავსის ნათელ განცდასთან. ადამიანის ყოველ ზნეობრივ გმირობაში, საერთოდ ადამიანის სასიცოცხლო ძალების ყოველ დიდ დაძაბვაში მწერალი ხედავს წარმტაც სილამაზეს. თვით ისტორიულად განწირული თავადის ქალის ვნებათა გაავებულ აფორიაქებაშიც კი მოჩანს რაღაც ტრაგიკული სილამაზე. გვადი ბიგვას განკაცების, წარსულის სულიერი ტყვეობიდან მისი თავდახსნის პროცესი ხომ იმ ადამიანურ სილამაზედ არის წარმოდგენილი, მწვავე ტკივილებით რომ იბადება.

თუ იკითხავდნენ, რით არის შენივთებული ლეო ქიაჩელის მხატვრული სამყარო, — მე ვუპასუხებდი, მისი გულის დიდი მხურვალებით-მეთქი, ადამიანის უღრმესი სიყვარულით და ასევე უღრმესი სიძულვილით ყოველივე იმისადმი, რასაც შეუძლია ადამიანს ადამიანური სახე დაუკარგოს. სადღაც მწერალს ცხოვრებისა დ ადამიანთა არსებობის რაღაც ჯერ კიდევ შეუცნობი ტრაგიკული სათავის გრძნობაც გამოჰკრავს. გაიხსენეთ, მის დევკაცურ და მეტწილად ტრაგიკულ მამებს ზოგჯერ ავი სიზმრებიც აწვალებენ... ლეო ქიაჩელის მთელი შემოქმედება ცხადყოფს, რომ მას ყველაზე უმაღლეს ადამიანურ გრძნობად ადამიანთა ჭირთმოზიარობის გრძნობა ძიაჩნია. ამიტომაც არის თვითონ ადამიანთა მგზნებარე ჭირთმოზიარე მწერალი. ვის გულს არ შეძრავს ღრმა ადამიანური ტკივილით მისი გვადის შეყვირება: „სისხლიანი ვარ, მარიამ... არ მომეკარო!“, გვადისავე გაფრთხილება, რომ მისი შვილების თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ. მხოლოდ ქვაგულში შეიძლება არ გაღვიძოს ადამიანთა ჭირთმოზიარობის დიდი გრძნობა იმ დაუსრულებლად ზოგადადამიანურმა ტკივილმა, რასაც ბადებს ენგურის ღმუილში შერეული ძახილი ალმასგირ კიბულანისა: „გიყვერგილ, იმე ხარი?“

ერთხელ ლეოს მოკრძალებით ვუთხარი, უცნაური კაცია თქვენი გვადი ბიგვა-მეთქი. ლეომ თავისი ჭკვიანი თვალები ღიმილით შემომანათა და თქვა:

— ოჰ, დიდად უცნაური, ღვთისპირიდან გადავარდნილი. მეც არ ვიცი, რა კაცია იგი. — მერე ცოტათი ჩაფიქრდა და დაუმატა, — მაგრამ დიდად მოსიყვარულე მამაა. ამიტომაც მიყვარს ეგ შეჩვენებული!

თითქოს რაღაც ფარდა გაიხსნა და მე დავინახე მწერლის მშვენიერი სულიერი ბაღნარი. მართლაც, ბევრი როდი მოიძებნება ისეთი მწერალი, ვისაც ასეთი ძალით, ასეთი შთაგონებით ეჩვენებინოს სი-

დიადე და სილამაზე მამაშვილური სიყვარულისა, სიბრძნე და სილამაზე იმ მაღალი გმირულ-ზნეობრივი მემკვიდრეობისა, რომელიც მამებისგან შვილებს გადაეცემა.

ლეო ქიაჩელის ძთელი შემოქმედება თითქოს გეუბნება: ქვეყანაც, ადამიანიც წინ მიდის; მომავალში ადამიანი უკეთესი, უფრო სრულყოფილი იქნება, მაგრამ ამის გამო ადამიანის სიყვარული სახვალიოდ არ უნდა გადაიდოს. ადამიანს ერთხელ ეძლევა სიცოცხლე და ამ ერთ სიცოცხლეშიც იგი ღირსია სიკეთისა, სიყვარულისა. ვისაც გული სიყვარულად, თვალი ხედვად და ყური სმენად აქვს შებმული, მას არ ძუძლია არ დაინახოს სილამაზე და სიდიადე მის ირგვლივ მყოფ ადამიანებშიც, რომელთაც რასაკვირველია, თავისი ჩრდილ-სინათლეც გააჩნიათ. აი, დაინახეთ, დაინახეთ, რა დიდებულია ეს ცხოვასხეთელი. თუნდაც რამდენადმე ეამგადასული დეკანოზი — ბათაყვა, რაღაცნაირი გრიგალივით რომ შემოჭრილა ქალაქის ოლიმპიალში და თავისი უზადო გულით ამაყად დააქეს შვილს დიდი სიყვარული, მამათა გმირული და მაღალ-ზნეობრივი ტრადიცია.

ლეო ქიაჩელი დაიფერფლა სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარულში. მას მოუსავლეთში არაფერი წაუღია, რადგან იცოდა, შესანიშნავად იცოდა, რომ ადამიანი მხოლოდ ის არის, ანუ უკეთ ეთქვათ, ადამიანში მხოლოდ ის არის ღირებული, რასაც იგი ქვეყნისთვის, ხალხისთვის აკეთებს. რასაც იგი ამქვეყნად ტოვებს.

ლეომ კარგი, ძვირფასი მემკვიდრეობა გვისახსოვრა!

1966

გიორგი ჭუჩიშვილი

ადამიანის გარეგნობასა და ქცევაში არის რაღაც მინიშნება შინაგან სამყაროსაკენ. გვაგონდება ცოცხალი პოეტი:

მის ძლიერ გამხდარ, შავგვრემანსა და მჭმუნვარე სახეს, მის წრისებურად მოხაზულ შუბლს ყოველთვის აჩნდა მღელვარე ფიქრების ნაკვალევი. განუმეორებლად თავისებური შორისდებულებით წყვეტდა იგი თავის ფრაზებს, როცა გესაუბრებოდათ, და ყოველთვის ფიქრობდით, რომ ამ შორისდებულებით იგი როგორღაც აწესრიგებდა გრძნობათა შინაგან მოზღვავებას. ტრიბუნიდან მის მშვენიერ ხმასა და თავისებურად მეტყველ პაუზებს მკაფიოდ მიჰქონდა მსმენელამდე ყოველი მისი სტრიქონის აზრი. იყო რაღაც უბრალო და კარგი არტისტიზმი მის კითხვაში.

გიორგი ჭუჩიშვილმა მტკიცედ დაიმკვიდრა საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი ჩვენი დროის ერთ-ერთი უპოპულარესი პოეტია. მაგრამ ყოველი პოპულარობა როდია ამა თუ იმ შემოქმედის ღირსების მაჩვენებელი. კარგი და ნამდვილი პოპულარობა მხოლოდ ის არის, რომელიც დაკავშირებულია ხალხის უკეთეს იდეალებთან და მაღალ ზნეობრივ თვისებებთან. გ. ჭუჩიძვილი ამ სფეროშია.

მწერლის ბიოგრაფიას, რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობის შემუშავებაში. მაგრამ შემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია და იგი ყოველთვის შორს სცილდება კერძო ბიოგრაფიის ფარგლებს. მაგალითად, ჭუჩიშვილის ბიოგრაფიის ვერც ერთ ცალკე მომენტს ვერ მივიჩნევდით იმ განწყობილების მთავარ წყაროდ, რომელიც გადმოცემულია თუნდაც ისეთ ლირიკულ ლექსში, როგორიცაა „შემოღამება“. აქ საქმე საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო დიდ არესთან გვაქვს. ამ თავის ადრინდელ ლექსში პოეტი მღერის თავის მღელვარე ფიქრებზე, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევენ. ეს ფიქრები შუაღამეშიც ამაყენებენ, გამომიყვანენ, დამატარებენ მშობელ მხარეში, აივსებიან ქვეყნის დარდითა და ვარამით

და „ჩემთან ერთად ატირდებიანო“, — ამბობს პოეტი, და მართლაც, თვითმპყრობელობის შავბნელ დროს ქვეყნის დარდითა და ვარამით სავსე მღელვარე ფიქრები პოეტს მუდამ თან დასდევდნენ, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი სტიროდნენ. პირიქით, პოეტი მეტწილად ბობოქრობდა, მხნეობდა, ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ვიდრე სტიროდა უსასოოდ. მართალია, პოეტის გზა ყოველთვის შეუეჭვებელი არ ყოფილა, მაგრამ მისი ფიქრები არასდროს არ ჩაკეტილან ინდივიდუალიზმის ვიწრო ნაჭუჭში. მათი საგანი ყოველთვის იყო ჩაგრული მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამი.

პოეტი საკწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც ქალაქის მშრომელი ელემენტების მომღერალი, პირველ ყოვლისა კი, როგორც მუშათა კლასის მომღერალი. იგი თავიდანვე გამსჭვალული იყო მშრომელი ადამიანის რევოლუციური ძალებისა და კაცობრიობის ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენით. ლექსსაც პოეტი იმთავითვე უფრო საბრძოლო-მოძწოდებელ მიზნებს უსახავდა, ვიდრე ცალმხრივ ესთეტიკურს. ამის გამო, შესაძლოა, ვინმე მას წმინდა პარნასელად არ თვლიდა. მაგრამ განა ათას „წმინდა ესთეტიზმით“ ნაცოდვილარ სტრიქონს არ გააფასებს თუნდაც ერთი ასეთი ლაღი პოეტური ამოძახილი:

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.

სიტყვის ასეთი მოქნევა მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეეძლო. და რამდენი ასე ღრმა პოეტური გრძნობით სავსე სტრიქონებია ქუჩიშვილის ლექსებში! ეს არის მხოლოდ, რომ მას მშვენიერისა და ამაღლებულის განსაკუთრებული სფერო იზიდავდა. იგი უმაღლეს პოეზიას მშრომელი ხალხის შრომასა და ბრძოლაში, მისი სასიცოცხლო ძალების დამკვიდრებაში ხედავდა.

გ. ქუჩიშვილმა თავისი პოეტური კრედო თავიდანვე გაბედულად დაუპირისპირა ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ესთეტიზმს:

მე „ბრბოს“ შვილი ვარ!
„ბრბოს“ ვუმღერი ქებათა-ქებას!
მისგან მოვალი ჩემს რჩეულებს,
ჩემს მეუფებას!
ვინც „ბრბოს“ უწოდებს
უგუნურს და გულგამხეცებულს,
ის ნამდვილ ბრბოზე უგუნური,

I.

თავხედი არი,
რადგან ვერ ხედავს მის სიღრმეში,
მის სალაროში,
თუ რაოდენი სიმდიდრე და
საუნჯე არი.
„ბრბო“ მესიაა,
ეს ქვეყანა „ბრბომ“ უნდა იხსნას.

ცხადია, ამ „ბრბოში“ პოეტი გულისხმობდა მშრომელ მასებს, უწინარეს ყოვლისა კი — რევოლუციურ მუშათა კლასს. და მაშინ, როცა „ჭმინდა ხელოვნების“ მოტრფიალე ბურჟუაზიული ინტელიგენცია გაჰკიოდა მასების უხეშ მატერიალურ ინტერესებსა და ინსტინქტებზე, გ. ქუჩიშვილმა თავისებურად და გაბედულად ამოიმღერა ამ „ბრბოს“ შრომისა და ბრძოლის პოეზია. პოეტი კარგად ხედავდა, რომ ის, ვინც „მარადიული“ ეთიკურ-ესთეტიკური იდეალების საბურველით გამოდიოდა, სინამდვილეში ჩაფლული იყო ანგარების, ეგოიზმისა და ათასგვარი ბიწიერების წუმპეში. შრომა, მხოლოდ შრომა მიაჩნდა პოეტს ადამიანის მაღალი ზნეობრივი თვისებების წყაროდ. ამიტომაც არის ასე ძლიერი ქუჩიშვილის პოეზიაში მშრომელი ადამიანის ზნეობრივი სიფაქიზის გრძნობა.

პოეტმა ქალაქის ქუჩითა და ღარიბ-ღატაკთა უბნით დაიწყო. აქ ნათლად მოჩანდა ძველი ცხოვრების პირგახსნილი წყლულები — უმუშევრები, მაწანწალები, მათხოვრები, მეძავი ქალები, უპატრონო ბავშვები. ცხოვრების ამ გერებს — „ქუჩის ძმობილებსა და დობილებს“ უმღერდა პოეტი მხნე სიმღერებს. კაპიტალისტური ქუჩის შეურიგებელი კონტრასტები, ცხოვრებისა და ადამიანების რღვევის შემზარავი სურათები იქცევდა პოეტის ყურადღებას. მაგრამ იგი არასოროს არ ცდილა შეექმნა ქუჩის სიმახინჯეთა ავადმყოფური პოეზია. გაეიდეალებინა „ცხოვრების ფსკერი“. მან მხოლოდ მიუთითა ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული საზოგადოების ამ გასისხლიანებულ სხეულს — ქუჩას — და შესძახა ამ საზოგადოების მესვეურთ — აი, თქვენი სინამდვილე! თქვენ უნდა დაიღუპოთ! თქვენივე ქუჩით მოდის თქვენი მესაფლავე!

ეს იყო გაფიცვების, დემონსტრაციების, ბარიკადების ქუჩა. აი, ამ რევოლუციურ ქუჩას გულისხმობდა პოეტი, როცა წერდა:

ქუჩიშვილებს ქუჩა გვიყვარს,
ქუჩა არის დედა ჩვენი,
მომავლისკენ ის წაგვიყვანს.
რომ ვიხილოთ მზე სხივმფენი.

შემთხვევითი არ არის, რომ, როცა პოეტი ეხება მუშათა შრომასა და ბრძოლას, მის სიტყვას ცეცხლი ემატება, მის ლექსს — ენერ-

გული ხმოვანება. პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა მუშათა კლასს:

შენზე ძლიერ და მტკიცედ
არავინ მყვარებია,
შენი პირი და ლხინი
ებით მიტარებია.

და სწორედ იმიტომ, რომ ქუჩიშვილის პოეზიას იმთავითვე საფუძვლად ედო მშრომელი ხალხის ჯანსაღი სოციალური გრძნობები, მას ბრძოლის დროშა არ დაუხრია შავბნელი რეაქციის წლებშიაც კი. სევდისა და უიმედობის კილო, რომელიც იშვიათად მაინც შეიპარებოდა ხოლმე პოეტის ხმაში, მხოლოდ სუსტი ბინდი იყო მის ოპტიმისტურ განწყობილებაში. ეგ „ღამეა ვრცელი, სულსა ფლობს ჭმუნვა, სულსა ჰკლავს გლოვა“, მხოლოდ დისონანსად გაისმოდა „მომავალი ქარიშხლის წინამორბედ პოეტის“ შემოქმედებაში. პირველი რევოლუციის დროს მას ხელი არ ჩაუქნევია მარცხით დამთავრებულ ბრძოლაზე და ერთი წამითაც არ სწვევია შავბნელ სინამდვილესთან შერიგების განწყობილება. იგი კვლავინდებურად მხნეობისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა რევოლუციურ ძალებს:

ნუ მიეცეშით სასოწარკვეთას
ჯალათთა ხელით დახოცილ ძმებზე;
სიმხნე, სიმტკიცე ვიდოდეს თქვენთან
ციხე-ციმბირში, კატორღის გზებზე.
და თუ უკაცურ ტიალ ზამთარში
ვინმე თქვენგანი გზად გაითოშა, —
ვინც გადარჩებით, გასწით თოვლ-ქარში!
გწამდეთ: დროებით დაეშვა დროშა.

ამრიგად, გადახდილ ბრძოლას პოეტი არსებითად მომავალი სოციალური რევოლუციის საფეხურად მიიჩნევდა და ბრძოლის ცეცხლს უღვივებდა „რწმენა-იმედ დაკარგულებს“.

დიდმა პროლეტარულმა მწერალმა გორკიმ გვიჩვენა, თუ როგორ არღვევს ადამიანის ძალებს, ადამიანის პიროვნებას კაპიტალიზმი თავისი განუყრელი თვისებებით — მომხვეჭელობის ველური ეინით, ინდივიდუალიზმით, ეგოიზმით, ნივთების ფეტიშიზმით; თუ როგორ შეაქვს ადამიანის სულში სკეპტიციზმისა და დეკადენტიზმის შხამი იმ ბრმა სტიქიურ ძალებს, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში მოქმედებენ. ადამიანის დარღვეული პიროვნების გამთლიანების ერთადერთ საშუალებად დიდ მწერალს მიაჩნდა თავისუფალი შრომა, რომლის სუფევა მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი.

გორკის სოციალურმა მოტივებმა ძლიერი გამოხმაურება ჰპოვეს გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაში.

თავისი რევოლუციური ოპტიმიზმი და იმის ღრმა რწმენა, რომ მხოლოდ შრომასა და მშრომელებს შეუძლიათ, შეაერთონ და გაანთლიანონ დაშლილი სასიცოცხლო ძაფები, პოეტმა კარგად გამოხატა თავის ცნობილ ლექსში „მუშათა სიმღერა“:

სისხლითა და ოფლითა ვრწყავთ
შავ ჯურღმულებს, ბნელ სარდაფებს,
იქა ვქსოვთ და იქ ვაერთებთ
სასიცოცხლო დაშლილ ძაფებს!
მოვა დრო და ჩვენი წყრომა
გადიქცევა ძლავრ ღვართქაფად
და ქვეყანას მოედება
ყოვნის ხმად, ბრძოლის დაფად.

ასეთი იდეური მიდრეკილებისა და განწყობილების პოეტს არ შეეძლო რევოლუციური პროტესტით არ შეხვედროდა პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს. პოეტის სულს ზარავდა ომის საშინელებათა ქაოსი; იგი მოუხმობდა იმ ძალებს, რომლებიც იარაღს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ მიაბრუნებდნენ:

ბაუ! სადა ხარ, სად ბანაკობ,
ჩემო ლაშქარო!
ველად გაჭრილი შენ გაყივნ
შენი მხედარი!

. .

რად არ იღვიძებ ძილქეშისგან,
მუშათა ჯარო!

მეფის ცენზურის მიერ აკრძალულ ლექსში პოეტი პირდაპირ მოუწოდებდა ხალხს იარაღისაკენ მეომარ იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ:

ამარა! აივსო ფიალა
ზღვა ცრემლებით და თმენით!
ბრძოლით ვუწალოთ იარაღს,
ჩვენსკენ, ვინც არის ჩვენი!
მოძმენო! ხელი იარაღს!
დავსცეთ მოძალადენი!

რასაკვირველია, აქ პოეტის სიტყვა უნდა შეფასდეს არა რაფინირებული პოეტური ფორმის თვალსაზრისით, არამედ მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით. თვით მხატვრული სიტყვის გენიოსებიც კი დიდი სოციალური ძვრების პირობებში უყოყმანოდ მიმარ-

თავდნენ ლექსს-მოწოდებას, ლექსს-ლოზუნგს. ამ დროს პუბლიცისტური პათოსი მხატვრული სიტყვის ღირსებაა და არა ნაკლი.

„ჩემი სული ქალაქის სულიაო", ამბობდა გ. ქუჩიშვილი და მართლაც, მისი შემოქმედების ძირითადი თემატური მასალა ქალაქის ცხოვრებიდან არის აღებული.

სოფელი პოეტის ადრინდელ შემოქმედებაში უმთავრესად ბუნების განცდასთან არის დაკავშირებული. ბუნება კი პოეტს უსაზღვროდ უყვარს, იგი მას ადამიანთა ცხოვრების გულგრილ ჩარჩოდ კი არ მიაჩნია, არამედ ცხოვრების ცოცხალ ქსოვილად, შესაძლოა, ბუნების ასეთ შეგრძნებასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ პოეტი უფრო ბუნებით აღძრული გრძნობების მხატვარია, ვიდრე თვით ბუნების ფერადოვანი სურათებისა. პოეტისათვის ბუნება არის მისი ოპტიმისტური მსოფლშეგრძნების უშრეტი წყარო:

ვიშ, ბუნების სიდიადეს,
ვიშ, სიცოცხლის უშრეტ წყაროს!
რომ შემეძლოს ხელს მოვხვევდი,
დავკოცნიდი მთელ სამყაროს.

პოეტს ხიბლავს ბუნების დიადი ჰარმონია და მას შეუძლია თავისი აღტაცების გრძნობა გადმოგვცეს სადა, გულწრფელი და გამჭვირვალე ლექსით:

აი, დაპბერა ნიავმა,
ტყემ ნაზად დაიშრიალა,
დაირაკრაკა ტოროლამ,
ღრუბლებში შეისრიალა.
ბულბულმა ჩანგი მომართა,
ქედანმაც დაიფრთხიალა
აყღერდა ცა და ხმელეთი,
როგორც ფანდური წკრიალა.

უეჭველად მოხდენილი პოეტური სახეა წკრიალა ფანდურივით აყღერებული ცა და ხმელეთი. არის ამაში ბუნების ხელთუქმნელი მუსიკის ნათელი პოეტური ხილვა.

მაგრამ პოეტი ზოგჯერ გულუბრყვილო შეხედულებამდე მიდის ბუნებისა და ადამიანის დაპირისპირებაში. ერთგან იგი ადამიანს ბუნების „ერთ კვნიწა" უსასო არსებად სახავს. ნამდვილად კი ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება არამცთუ ბუნების უმაღლესი და უმშვენიერესი ქმნილებაა, არამედ უმშვენიერესი ბუნების შემქმნელიცაა, როგორც მისი გონივრული ფენომენი.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედების ძირითადი ჟანრი სოციალურ-პოლიტიკური ლირიკაა. მაგრამ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი

ადგილი უჭირავს აგრეთვე ეპიკურ ჟანრსაც — პოემებსა და პროზას. წარსულ რევოლუციურ ბრძოლებს ასახავენ პოემები: „შავი სამეფო“, „9 იანვარი“, „პროლეტარიატი“, „ოქტომბერი“ და სხვ. პატიმარი რევოლუციონერის წამებას აღწერს პოეტი პოემა „მეტეხში“; მეფის ჯარებთან დევნილი რევოლუციონერის შეტაკება და დაღუპვაა აღწერილი პოემაში — „რისთვის“. თავის დროზე ეს ნაწარმოებნი აღვიძებდნენ მშრომელი მასების რევოლუციურ შეგნებას, ამხილებდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის შავბნელ სინამდვილეს, ხალხის მტარვალთა მხეცურ სახეს. მათ დღესაც არ დაუკარგავთ გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს პოემა-ლეგენდა „ჯაჭვის ხიდი“, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის საყურადღებო ნიმუში. იგი შესრულებულია ღრმა ლირიკული უშუალობით. აქ არის საქართველოს ბუნებისა და ისტორიის მძაფრი გრძნობა; მსუბუქი და ძალდაუტანებელი ლექსით მოთხრობილ დრამატულ ამბავში ჩაქსოვილია ნაზი ჰუმორი. აქ არ არის პოეტური საღებავების სიუხვე, მაგრამ მკითხველი ნათლად ხედავს ლეგენდის პერსონაჟებსა და ნივთიერ გარემოს—ჯვარის მონასტერს, ჯაჭვის ხიდს, მღელვარე არაგვს, ხიდზე მიმავალ ბერსა და არაგვის ტალღებში მობანავე ქალს. ლევენლის ტრაგიკულ ფინალში გამოსახულია სიცოცხლის გამარჯვება, სიცოცხლის ძალთა ზეიმი. „ჯაჭვის ხიდი“ ეხმაურება ილიას „განდევილს“.

თავის პროზაშიაც ქუჩიშვილი თავს დასტრიალებდა ღარიბ-ღატაკთა უბნებს, ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს. მაგრამ ქუჩიშვილი-პროზაიკოსი ფართო ტილოებისა და დიდი ხასიათების მხატვარი არ არის. მისი პატარ-პატარა მოთხრობები არსებითად პოეტური დღიურებია, რომლებშიაც უფრო იმდროინდელი ცხოვრების ტიპიური ამბებია აღწერილი, ვიდრე ცოცხალი ხასიათები.

ცხოვრების სახსარს მოკლებული ახალგაზრდა ქალი ღამით ეთხოვება თავის პაწია შვილს და თავს იხრჩობს მტკვარში („უსახელო“); აგურის მზიდველ მუშას ფეხი დაუცდა მოლიპულ ხარაჩოზე და ტვინი მიწას დაანთხია. „შენობა აშენდა... დიდებული ლხინი გაიმართა: იცლებოდა სახლის პატრონის სადღეგრძელოდ ძვირფასი სასმელებით სავსე აზარფეშები, ხოლო აგურის მზიდველის სახელი კი, რომლის სისხლით და ტვინით აშენდა სახლი, არავის გახსენებია“ („აგურის მზიდველი“); მაღარო ჩაინგრა, მრავალი მუშა მოჰყვა შიგ, „ათასი კუბო დაღუპულ ძმების... ათასი ზარი გულმკვდარ დედების... მაღაროს პატრონი კი განმარტოებით იდგა და „სინდისდამშვიდებული“ ზარალის ერთიორად ანაზღაურებაზე ოც-

ნებობდა...“ („მაღაროში“); მანქანამ მუშას ხელები წააგლიჯა და უპატრონოდ, ულუკმაპუროდ დარჩა მუშის ოჯახი („ხელები“) და სხვ.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში დღეს ძველი წიგნებიღა თუ მოგვაგონებს ასეთ ამბებს. კაპიტალისტური ქვეყნების სინამდვილე კი ყოველთვის სავსეა ასეთი შემზარავი ამბებით. კაპიტალიზმის ანტიჰუმანური ბუნება ყველგან ერთია, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს ის. მაგრამ ასევე ყველგან გარდაუვალია მისი დაღუპვაც.

გარკვეულ ისტორიულ ინტერესს არ არიან მოკლებულნი ქუჩიშვილის ის მოთხრობებიც („წითელი თოვლი“, „წითელი დროშის ქვეშ“, „ივანე“ და სხვ.), რომლებიც წარსულ რევოლუციურ ბრძოლებს ასახავენ.

იყო ქუჩიშვილის შემოქმედებაში წინააღმდეგობანი.

მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ცხოველმყოფელმა ძალამ გააცოცხლა პოეტში მისი შემოქმედების პროგრესულ-რევოლუციური ნაკადი. ამაღლდა და გაფართოვდა პოეტის მსატვრულ-იდეური სამყარო. მის პოეზიაში ძალოვნად გახმაურდა საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივი.

პოეტის მგზნებარე სიყვარული სამშობლოსადმი ადრეეეც არ ყოფილა უსაგნო და ეფემერული. „უმამულოს მემამულეზე მეტად მიყვარს მამულიო“, — ამბობდა წინათ პოეტი. მაგრამ ეს არ იყო სამშობლოს მაშინდელი სინამდვილის მიღება. პოეტს უყვარდა სამშობლო სწორედ იმიტომ, რომ უყვარდა მშრომელი ხალხი, სწამდა მისი მომავალი და ხედავდა იმ ძალებს, რომლებიც დაამსხვრევდნენ ჩაგვრისა და მონობის ბორკილებს და სახეს უცვლიდნენ სამშობლოს. პოეტი კარგად გრძნობდა, რომ ის, ვინც გვერდს უვლიდა ქვეყნის სოციალურ შინაარსს და სამშობლოს სიყვარულზე მღეროდა უსაგნოდ, განყენებულად, — არსებითად მოკლებული იყო ნამდვილ პატრიოტულ გრძნობას.

პოეტის პატრიოტული შეგნების ეს ნათელი ნაკადი ბუნებრივად შეერწყო სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე სიყვარულს. სამშობლოს ცნება გაივსო ახალი შინაარსით. ახლა პოეტისათვის არ არსებობდა სამშობლო მისი სოციალისტური შინაარსის გარეშე. სოციალისტური სამშობლო — ეს არის ლენინის იდეათა გადაქცევა სინამდვილედ, ეს არის გამარჯვებული მშრომელი ხალხი, ხალხთა შეგობრობა, თავისუფალი შრომის სუფევა, სოციალისტური ქარხნები და ფაბრიკები, საკოლმეურნეო მინდვრები და ბაღები, გმირული საბჭოთა არმია და ყოველივე ის, რაც კომუნიზმის მშენებელი ქვე-

ყნის მჩქეფარე სინამდვილეს შეადგენს. ქუჩიშვილიც ამ სამშობლოს ძლიერებასა და სილამაზეს უთხზავდა ჰიმნებს:

ვიდრე ესულდგმულობ დედამიწაზე,
ჩემო სამშობლო, გწამდეს, იცოდე:
შენს ძლიერებას და სილამაზეს
შევუქმნი შენებრ მშვენიერ ოდებს.
და თუ არსებობს ისეთი ხელი,
შენზე აღმართვა რომ დააპიროს, —
მყის მოკვეთს ჩემი მახვილი მჭრელი,
რომ შენი გული არ გაიგმიროს.

პოეტ-ტრიბუნის, პოეტ საბჭოთა მოქალაქის შესანიშნავი სახე ნათლად დაგვიდგა თვალწინ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში.

აი, დიდი ადამიანური და პოეტური ბიოგრაფიის საგულისხმო ფაქტი:

1942 წლის მძიმე განსაცდელის დღეები. ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის კარიბჭეების შემოლეწვას ლამობდნენ. საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ქართული ნაწილი ბაქსანის ხეობაში ებრძოდა მტერს. და ამ დროს თითქმის სამოც წელს მიღწეული პოეტი მიდის ბრძოლის ველზე და იქ სანგრებში მგზნებარედ მოუწოდებს საბჭოთა მეომრებს:

ელვა-ჯეკით გამოზრდილნო,
არ დაზოგოთ მტერი არსად,
თავს დაატყდით ყველგან მეხად
საზიზღარზე საზიზღარსა.

პოეტმა თვითონ მიიტანა თავისი ლექსი ბრძოლის მოწინავე ხაზზე და უშუალოდ ჩაბა დიდ ბრძოლაში. სკოლის სკამიდანვე ნაცნობი პოეტის ხმა, ცხადია, განსაკუთრებული ძალით აგზნებდა ქართველი საბჭოთა მებრძოლების გულს.

გ. ქუჩიშვილისათვის იმთავითვე უცხო იყო ნაციონალური შეზღუდულობა. მისი პატრიოტული გულისცემა ყოველთვის დაკავშირებული და შეწყობილია ხალხთა მეგობრობისა და მსოფლიოს ყველა კუთხის მშრომელი მასების ინტერნაციონალური ერთიანობის დიდ გრძნობასთან. თვალი გადაავლეთ პოეტის კრებულებს და თქვენ იქ იპოვით მრავალ ლექსს, რომლებითაც პოეტი ეხმაურება სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს.

საბჭოთა პერიოდში ქუჩიშვილის პოეზიის ძირითადი მოტივია სოციალისტური შრომის მოტივი. თავისუფალ შრომაში ხედავს პო-

ეტი სიცოცხლის უმაღლეს აზრსა და სილამაზეს; „შრომაში ვპოვე ბე სილამაზეო“, — აცხადებს იგი, და ამ სილამაზის უმაღლეს გაბოხატულებად მიიჩნევს იმას, რომ სოციალისტური შრომა ჰქმნის ყველაზე უძვირფასეს საუნჯეს — ადამიანის ახალ ბუნებას, მის მაღალ მორალურ თვისებებს, კოლექტივიზმის ცხოველმყოფელ გრძნობებს. პოეტი სამართლიანად ანათესავებს შრომას, მუსიკასა და პოეზიას. მას ხიბლავს სოციალისტური შრომის რიტმი და ამ რიტმთან შეწყობილი მოძრაობა ადამიანთა სულისა სოციალისტურ ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

როგორც ყოველი საბჭოთა პოეტისათვის, ქუჩიშვილისათვისაც შთაგონების უდიდეს საგანს წარმოადგენენ რევოლუციის გენიოსი ბელადები. ამ შთაგონების სათავე იმთავითვე იყო დადებული პოეტის მსოფლმხედველობაში: იგი ხომ თავის რჩეულებს მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოელოდა. პოეტის გული თავიდანვე ზრდიდა წრფელ სიყვარულს ამ რჩეულთადმი. და მისი ყოველი სტრიქონი ამ თემაზე გამსჭვალულია წრფელი გრძნობით. პოეტი ხარობს და ამაყობს იმით, რომ სწორედ მუშათა კლასის რევოლუციურმა ენერგიამ, მისმა სულიერმა ძალებმა წარმოშვეს ადამიანის უმაღლესი ტიპები — პროგრესული კაცობრიობის უბადლო გენიოსები.

მრავალმხრივი იყო ქუჩიშვილის შემოქმედება საბჭოთა პერიოდში. პოეტი მგზნებარედ ეხმაურებოდა ჩვენი დიადი ეპოქის ყოველ მოვლენას, იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ჩვენი ცხოვრების სწრაფ სრბოლას.

პოეტის ლექსებში ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ უმძაფრესი ლირიკა და ორატორული სიტყვა, გულში ჩამწვდომი შთაგონებული სიმღერა და პუბლიცისტური ლოზუნგები. მაგრამ პოეტის ლექსი არასდროს არ ყოფილა ნაწვალები, მას ყოველთვის თავისუფალი და ძლიერი სუნთქვა მოჰყვებოდა. პოეტურ სახეთა ბუნდოვანება ორგანულად უცხოა ქუჩიშვილის შემოქმედებისათვის.

ჩვენმა სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თავის უახლოეს ძეგობარ პოეტს — გიორგი ქუჩიშვილს მოუწონა ჩანგის სიწმინდე, გულის სიწრფელე.

ხალხი კი მუდამ სათუთად ინახავს წრფელი გულის პოეზიას.

1949

ნათელი სტილის ნათელი პიროვნება

(გერონტი ქიქოძის დაბადების 75 წლის გამო)

მაღალი სულის მწერალი და ადამიანი იყო გერონტი ქიქოძე — ბრძენი კაცი, ბევრის მცოდნე, ბევრის მნახველი, მუდამ ჭირთმოზიარედ და ალერსიანად რომ შეჰყურებდა ადამიანებს, ქვეყნიერებას და თვალი კი ყოველთვის სიკეთისა და სილამაზისაკენ ეჭირა. მოკრძალებული, თავმდაბალი, უპრეტენზიო, არასოდეს ამაყობდა თავის განათლებით, თავისი ინტელექტუალური ღირსებებით. იგი ეკუთვნოდა ისეთ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც შეჰყურებ, გულდაჯერებულად ფიქრობ, რომ შენი ქვეყნის, შენი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების საქმეს საიმედო ძალები ჰყვანან.

გერონტი ქიქოძე შვენოდა საქართველოს, შვენოდა თბილისს. იგი მუდამ დაამშვენებს ქართული ლიტერატურის ისტორიას.

თუ სერთოდ ადამიანის პიროვნების, მისი ხასიათისა და ტემპერამენტის განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება მოიძებნოს რომელიმე ერთი ძლიერი გრძნობისა თუ ვნების სიჭარბეში, მაშინ გერონტის პიროვნების უპირველეს თვისებად უეჭველად სილამაზისა და სიმშვენიერის განსაკუთრებით გამახვილებული გრძნობა უნდა მივიჩნიოთ. ეს წარმოსადეგი, შუბლმაღალი კაცი ყოველთვის მზად იყო მუხლი მოეყარა ბუნების ხელთუქმნელი თუ ადამიანის ხელთქმნილი სიმშვენიერის წინაშე. ამაში მეღავნდებოდა არა მარტო მისი ნამდვილი პოეტური ბუნების სტიქია, არამედ მისი გააზრებული სულიერი მიდრეკილებაც, ადამიანური კონცეფციაც. სიმშვენიერეთა შორის კი უმაღლეს სიმშვენიერედ მას ადამიანის ზნეობრივი არსების უზადობა, ხოლო ზნეობრივი ენერგიის პირველწყაროდ ბუნება და ბუნებასთან შრომითი ურთიერთობა მიაჩნდა. ამიტომაც უყვარდა უზომოდ ბუნება. ბუნებაში გასვლა მისი უდიდესი სიხარული იყო. ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველი მნიშვნელოვანი ქმნილება მისთვის, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივი ძალის შენივთებას და სასწაულებრივ გამეღავნებას წარმოადგენდა.

კერძოდ. ქართული ლიტერატურისა და ქართული ხელოვნების ყოველ ძველსა თუ ახალ ძეგლებში იგი ქართველი ხალხის ზნეობრივი ენერგიის უმაღლეს გაცხადებას ხედავდა. მახსოვს, ბოლნისის სიონის კართან, რომლის თავზე შენახულია ცნობილი ისტორიული წარწერა. გერონტიმ თქვა: თლილი ლოდების ამ დიდებულ ანსამბლში ქართველი ხალხის შეუმუსრავი ზნეობრივი ძალაა ჩაბუდებული.

როგორც ვიცით, გერონტი ქიქოძეს არ ჰქონია სპეციალური შრომა ესთეტიკისა და მხატვრული შემოქმედების ზოგად თეორიულ პრობლემებზე. მაგრამ ყოველ მის წერილს, ნარკვევს, ისტორიულ-ლიტერატურულ შრომას და თუნდაც მის ბრწყინვალე თარგმანებსაც კი ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული პოეტური სილამაზისა და ხატოვნობის ატმოსფეროში შევყავართ. ამ ატმოსფეროს ქმნის არა მარტო მისი უაღრესად ნათელი და გამჭვირვალე სტილი, შესრულების შესანიშნავი ოსტატობა, არამედ მხატვრულ-ესთეტიკურ იდეათა საოცარი სიუხვეც, გონებრივი თვალსაწიერის დიდი სიფართოვე. გერონტის სტრიქონი, მისი ფრაზა, მისი აზრის ბოძრაობა და მისი სიტყვის ბადლი თითქმის ყოველთვის გაქეზებთ ეძიოთ რაღაც ახალი სილამაზე, ეზიაროთ ახალ ესთეტიკურ და ზნეობრივ იდეებს. განუზომლად დიდია გერონტი ქიქოძის როლი საქართველოში ესთეტიკური კულტურის დანერგვასა და ამაღლებაში. ამ მხრივ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდხანს შეინარჩუნებს წყაროსთვალის სიანკარესა და სინედლეს.

გერონტი ქიქოძე დიდი შინაგანი თავისუფლების ადამიანი იყო. ორგანულად ეზიზღებოდა ყოველგვარი ტირანია ადამიანების მიმართ, მათ შორის ავტორიტეტების ერთგვარი ინტელექტუალური ტირანიაც. არასდროს ენთქმევინებოდა გარეშე ძალებს, გარეშე მოვლენებს, რაგინდ გრანდიოზულნიც და თავბრუდამხვევნიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი. გერონტი ყველგან და ყველაფერში, ყოველი ფაქტისა და მოვლენის მიმართ მტკიცედ ინარჩუნებდა თავის ადამიანურ პოზიციებს, თავის დამოკიდებულებას. შემთხვევითი როდი იყო ის განსაკუთრებული სიმპათია და სიყვარული, რაც ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებისადმი ჰქონდა. მის სულს, ალბათ, ახლოს ეხმიანებოდა ამ შესანიშნავი მწერლის გმირების სულიერი რაინდობა, მათი ხასიათის მთლიანობა, მათი უანგარო ნდობა ნიაღვარივით მოვარდნილი გულისთქმისადმი.

გერონტი ქიქოძე უაღრესად თანამედროვე ტიპის ადამიანი იყო როგორც თავისი იტელექტუალური შინაარსით, ისე ზნეობრივი და ჰუმანისტური იდეალებით.

მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად გერონტი ქიქოძის ნათელი პიროვნებაც, მისი პოეტური და რაინდული სულიც ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების დიდ მატიანეში შედის.

ჩვენს ახალგაზრდობას კი თამამად შეუძლია თავის სულიერ ბიოგრაფიაში ბევრი რამ გადმოიწეროს გერონტი ქიქოძისაგან.

1962

დაუვიწყარი სახელი

ერთ საუბარში გიორგი ლეონიძემ დიდი ქართველი მამულიშვილი უწოდა გერონტი ქიქოძეს. პოეტი ცამდე მართალი იყო, თუმცა, ვფიქრობ, თვითონ გერონტი არც დიდობისა და არც დიდების მოტრფიალე ადამიანი არ ყოფილა. უბრალოდ, ის იყო ნათელი, უმზაკვრო კაცი, ვისაც თავისი კარგი გულისა და მდიდარი პოეტური სულის ყველა კარი მუდამ ღია ჰქონდა სილამაზისა, სიმართლისა, სინათლისა და სიკეთისათვის. ალბათ თავისდა შეუმჩნევლად ავიდა იგი თავის კუთვნილ სიმაღლეზე. არსებობს უტყუარი მოწმობა იმისა, რომ გერონტი ქიქოძეს შეეძლო, პირადად დიდად ესარგებლა ერთი ფრიად დიდი ნაცნობობით, კეთილგანწყობილი და თითქმის მეგობრობამდე მისული ნაცნობობით. მაგრამ მას ამ ნაცნობობით სარგებლობა გუნებაშიც კი არ გაუვლია.

გერონტი ქიქოძე ქართული კულტურის დიდ მოღვაწეთა კრებულს ეკუთვნის. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც დიდ ეროვნულ საგანძურში შედის.

გონებაგახსნილი და გემოვნებიანი ქართველი მკითხველი ყოველთვის გატაცებით დაეწაფება გერონტი ქიქოძის შესანიშნავ მონოგრაფიებს, ლიტერატურულ-ისტორიულსა და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ნარკვევებს, საგულისხმო ლიტერატურულ პორტრეტებს. მწერლის მადლიანი კალამი ეხება კლასიკასაც და თანამედროვეობასაც, — საკმაოა თვალი მოვავლოთ მის ვრცელ თემატიკურ არეს, რომ თვალწინ დაგვიდგეს დიდი ერუდიციისა და ფართო გონებრივი ჰორიზონტის მწერლის ნათელი სახე. გ. ქიქოძის თითქმის ყოველ ნაწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, ცხოვლად და მკვეთრად გრძნობთ დიდი ჰუმანისტურ-პროგრესული აზრისა და ღრმა ეროვნული გრძნობის ძალუმ ფეთქვას, მუშაობასა და მოძრაობას. ეს ნაწარმოებები მკითხველის ცნობიერებას ამდიდრებენ, აუხვებენ და ამაღლებენ არა მარტო თავიანთი უშუალო შინაარსით, თავიანთი უშუალო მასალი-

თა და ინფორმაციის სიუხვით, არამედ ვრცელი ინტელექტუალურ-ემოციური განფენილობითაც, პოტენციური აზრობრივი დიაპაზონითაც.

ისტორიული გამოცდისა და კრიტიკული აზრის რა მკაცრ წნეხშიც უნდა გატარდეს, ვთქვათ, ეროვნული ენერგიისა თუ ეროვნული სუბსტანციის ის გაგება, რაც გერონტი ქიქოძის ნაწერებშია გამოხატული, იგი მაინც ყოველთვის ინარჩუნებს ძლიერ რაციონალურ ბირთვს ჭეშმარიტების შემდგომი ნაყოფიერი ძიებისათვის. თვით გერონტი ქიქოძეც ხომ ჭეშმარიტებისა და მშვენიერების დაუცხრომელი მაძიებელი იყო.

ნაფიქრის, ნაანრევის, განცდილისა და ნახულის გადმოცემის ის უბადლო ოსტატობა — სიზუსტე, სიცხადე, ბუნებრივობა, სილაღე და სისადავე — რაც გერონტი ქიქოძეს ახასიათებს, ზოგჯერ სრულყოფილობის იდეალსაც კი უახლოვდება, სტილში მეღავნდება პიროვნება. არავითარი ზიზილ-პიპილები, არავითარი ჭყეტელა საღებავები. მას ჭირისდღესავით ეჯავრებოდა ყოველგვარი მანერულობა, ხელოვნური ლამაზსიტყვაობა, პრანჭვა-გრეხა, სიტყვიერი ჯამბაზობა, მანერულობა სიცარიელის სამოსელიაო, — იტყოდა ხოლმე.

გერონტი ქიქოძე უაღრესად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი, ზნეობრივად გაუბზარავი, თბილი და მიმზიდველი პიროვნება იყო. მას ორგანულად ეჯავრებოდა ყოველგვარი თვითგანდიდება, ყოყოჩობა და გაზვიადებული წარმოდგენა თავის თავზე.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ მისი ერთი სარკაზმი—ერთი ნიშანი ხასიათისა, ერთხელ, ერთი ორატორის მოსმენის შემდეგ, ვის სიტყვაშიაც საკმაოდ დიდი დოზით იყო წარმოდგენილი თავის ქებაც, ყოყოჩობაც და გაზვიადებაც თავისი დამსახურებისა, გერონტი ღიმილით შემეკითხა:

— გურულო, შენ თუ იცი, რა არის მაფხაჭუნა?

— როგორ არა, — ვუპასუხე, — ჩემს სოფელში მაფხაჭუნას ხეზე მცოცავ პატარა ჩიტს ვეძახით. კოდალას მოდგმისაა.

— ჰოდა, — განაგრძო გერონტიმ, — აფრიკის დიდ ტყეებშიაც ყოფილა ერთი ჯიშის მაფხაჭუნა, წონით ათი გრამიც არ იქნება. მიაჯდება თურმე უზარმაზარ ხეს, ათი ვაჟკაცი გაშლილ მკლავებს რომ ვერ შემოაწვდენს, დასცხებს, დასცხებს ერთი ციცქნა ნისკარტს და მერე უცბად სასწრაფოდ გადაცოცდება ხის მეორე მხარეზე და დახედავს, გავხვრიტე თუ არა ეს გოლიათიო... რა ვქნათ, ზოგიერთს მართლაც ჰგონია, რომ მაფხაჭუნას შეუძლია უზარმაზარი ხის გახვრეტა...

გერონტის უკომპრომისო სიმართლის გრძნობა ახასიათებდა.

შეიძლება ითქვას, რომ იგი საკუთარ წარმოდგენასაც არ შეიწყნარებდა, თუკი იოტისოდენა სიყალბეს შენიშნავდა. მას ყველაზე დიდ სიკეთედ ამქვეყნად თავისუფლება და ყველაზე დიდ ბედნიერებად ის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური თვითგაუკეთესება მიაჩნდა, რასაც ადამიანი დიადი საზოგადოებრივი მიზნისათვის შრომასა და ბრძოლაში აღწევს. შემთხვევით რთდი ხიბლავდა მას იულიუს ფუჩიკის ზნეობრივი სტოიციზმი და უსაზღვრო ერთგულება თავისი სოციალური იდეალებისადმი. იგი ასე ახასიათებს ამ უბადლო მებრძოლს: „მის ნაწერებს გატაცებით კითხულობდნენ და წაიკითხავენ ყველგან, სადაც ადამიანის გული თავისუფლების სიყვარულისათვის ძგერს. ესაა გამანადგურებელი საბრალმდებლო ოქმი ყოველივე ძალმომრეობის წინააღმდეგ. კიდევ უფრო დიდ მოკრძალებას იწვევს მისი პიროვნება... ეს იყო საოცრად ჰარმონიული პიროვნება, აქტიური პოლიტიკური მოღვაწე და მეოცნებე პოეტი, რევოლუციის რომანტიკოსი და ფხიზლად მოაზროვნე რეალისტი ერთსა და იმავე დროს... მას სიკვდილი არ მიაჩნდა უდიდეს უბედურებად; ის ამბობს, რომ ადამიანი არ პატარავდება იმის გამო, რომ თავს ჰკვეთენ, უდიდეს უბედურებად მას უღირსი საქციელის ჩადენა მიაჩნდა“.

ამ სტრიქონებში გამოხატული სულიერი სამყარო უეჭველად ახლოს ენათესავება თვით ამ სტრიქონების ავტორის სულიერ სამყაროს.

გერონტი ხშირად იხსენებდა ცნობილ ლათინურ აფორიზმს: „ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის.“ მართლაც, მას არც ერთი ადამიანური ვნება არ ეუცხოვებოდა, მაგრამ თავკერძობას, ადამიანებისადმი ბატონკაცურ დამოკიდებულებასა და ეგოცენტრიზმს მთელი არსებით ჰგმობდა. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია მისი თუნდაც ერთი ფრაზა, რომელსაც გიორგი ქუჩიშვილის დასახასიათებლად ამბობს: „იგი იმ ვაჟკაცური და სულდიდი ადამიანების მოდგმას ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი სიკვდილი არ მიაჩნიათ სამყაროს კატასტროფად“.

აქაც არ შემიძლია, არ გავიხსენო გერონტის ერთი ადამიანური თვისება. ერთხელ მიამბო, როგორ გაუცივდა გული სამუდამოდ ერთ ახლო მეგობარზე, ოღონდ მისი სახელი არ გაუმხელია:

— ერთ საღამოს დიდხანს ვისეირნეთ რუსთაველის პროსპექტზე. დიდხანს ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, საქართველოზე, მოგვმივდა. გადავწყვიტეთ რესტორან „ორიანტში“ შევსულიყავით. გვიანი იყო. დარბაზს უკვე ალაგებდნენ. ერთ მაგიდას მაინც მივუჯექით და ოფიციანტს ვთხოვეთ ვევახშმებინეთ. იგი შუახნის კაცი იყო. მან მთელი გულით მოინდომა ჩვენი პატივისცემა, —

რას გვაჭმევ, ძმობილო? — შეეკითხა მას ჩემი თანამეინახე. — თქვენთვის, ბატონო, ყველაფერს გავაჩენთ, რასაც ინებებთ, — თქვა ოფიციანტმა და ნებით თუ უნებლიეთ ჩემს მეგობარს მხარზე ხელი ‘შეახო. ეს იყო და ეს, ჩემმა თანამესუფრემ თვალები გადმოკაკლა:— რა შენი ტოლი მნახე, შე მუტრუკოო, და საშინელი მეხი დაატეხა გაოგნებულ ოფიციანტს, გაშრა, გაფითრდა, დაირღვა საწყალი კაცი, აღარ იცოდა რა ექნა, ბოდიშის მოხდას შეეცადა, მაგრამ ვინ აცალა... ‘ძე კი მიწა გამხეთქოდა ის მერჩივნა, ვიდრე კაცის ასეთ დამცირებასა და გათელვას შეესწრებოდი. ენა მუცელში ჩამივარდა, აღარც მახსოვს, მერე რა ვქენით, როგორ მივლასლასდი ბინამდე. ის დღე იყო და ჩვენი ‘ძეგობრობა უთქმელად შეწყდა, მხოლოდ ცივად თუ დავუქნევდით თავს ერთმანეთს. გონს რომ ‘ვოვედი. სიმართლე გითხრა, იმ ოფიციანტზე უფრო ჩემი ძმაკაცი დამენანა. ვთქვი, თავისთავად ადამიანი ისეთი დიდებული ფენომენია, რომ არსებითად პირწავარდნილი ეგოცენტრიზმი და ბატონკაცურობა საშინლად აკნინებს, აპატარავებს, პირუტყვს ამსგავსებს მას. ადამიანი მხოლოდ ადამიანის დაფასებითა და სიყვარულით იქცევა სრულფასოვან ადამიანად, მაღალ არსებად.

ვერ ვიტყვი, რომ გერონტის ნაამბობის გადმოცემაში შევძელი მისი უბადლო სტილის დაცვა. მაგრამ ნაამბობის შინაარსი ზუსტად მაქვს აქ მოტანილი.

თავის მოგონებებში — „განთიადიდან შუადღემდე“ —თავისი სულიერი მომწიფების ერთ ადრინდელ პერიოდს ასე ახასიათებს გერონტი ქიქოძე: „მე ვფიქრობდი, რომ დაკარგული დოგმატების სანაზღაურო აღმოვაჩინე ჩემი სამ‘ძობლოს აღორძინების იდეაში. მე არ ვახდენდი ქართველი ერის იდეალიზაციას: უკვე გამოსული ვიყავი იმ ასაკიდან, როდესაც შეყვარებულნი ნეტარი აღტაცებით შესცქერიან თავიანთი ტრფიალის საგანს. იმ ლაქებს, იმ მანკს, რო‘ძელნიც ქართველ ერს ჩაგვრისა და მონობის საუკუნეებმა დაუტოვეს, მეც ვხედავდი ჩემში, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ძველი იბერული და კოლხური ტომების ჩამომავლებს ჯანსაღი ფესვები ჰქონდათ და ბებერი მუხის ტოტებს, მრავალჯერ გასხეპილთ ‘ბტრების მიერ, ახალი ნორჩი ყლორტების გამოღება შეეძლოთ“

ამ აღსარებაში მწერლის უმთავრესი გულისნადებიც არის ნაგულისხმევი. სამშობლოს აღორძინების იდეა მას მთელი ცხოვრების გზას მიუნათებდა. ეს სინათლე ჩაუქრობელია.

1971

წიგნი და ავტორი[1]

(ფიქრები რუსთველოლოგიის საკითხებზე)

ისტორიის მეცნიერებასა თუ ლიტერატურის ისტორიაში არის საკითხები, პრობლემები, რომელთაც საკვანძო, პრინციპული და გადამწყვეტი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებათ, არა მარტო ამა თუ იმ ხალხის წარსულის შესწავლის, არამედ მისი კულტურის აწმყოსა და მომავლის განვითარების თვალსაზრისითაც. ასეთი საკითხები, ჩვეულებისამებრ, ლიტერატურიდან, წმინდა ფილოლოგიური სფეროდან გადაიზრდებიან ხოლმე დიდ ცხოვრებისეულ პრობლემებად და მათს გადაჭრაზე ბევრით არის დამოკიდებული ის, თუ როგორ უნდა აიგოს ხალხის ისტორიული და კულტურული განვითარების მთელი კონცეფცია. ქართული ლიტერატურისათვის ასეთი საკითხი იყო და არის „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის საკითხი. ერთი შეხედვით, რა არის აქ ისეთი, რომ სპეციალისტი ფილოლოგის კაბინეტის კედლებს სცილდებოდეს, მთელი კულტურის განვითარების ბედზე გავლენას ახდენდეს და ამიტომ ესოდენ მღელვარე, დაუცხრომელი პაექრობისა და დავის საგნად იყოს ქცეული? მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელმა საუკუნეებმა, საქართველოს ისტორიის თავისებურებამ აქცია იგი საკვანძო საკითხად, მთავარი ძარღვისა, მთავარი არტერიის მოძებნად და დადგენად, ვინაიდან რა იყო საქართველოს ისტორია ასეული კი არა, ათასეული წლების მანძილზე, თუ არა ბრძოლა თვითმყოფობისათვის, თავის გადარჩენისათვის, მზის ქვეშ თავისი ადგილის შენარჩუნებისათვის მარტო ირანის კი არა, მთელი აღმოსავლეთის მოწოლისაგან თავის დასახსნელად ჯერ მაზდეანური და შემდეგ მუსლიმანური ირანის მიერ პოლიტიკური და კულტურული შთანთქმისაგან. საქართველოს ისტორიის აზრი და გამართლება ის არის, რომ ეს შთანთქმა არ მოხდა, არც პოლიტიკური და არც კულტურის ისტორიის აზრით. ეს ვერ მოახერხა ვერც აქემენიდური ირანის მსოფლიო

[1] წერილი დაწერილია გ. ნატროშვილის თანაავტორობით.

იმპერიამ ორი ათას ხუთასი წლის წინათ, ვერც სასანიდების ირანმა ახალი წელთაღრიცხვის მე-3-7 საუკუნეებში, ვერც სეფიანთა ირანმა, მე-16-ე საუკუნის პირველი წლებიდან მე-18 საუკუნის დასაწყისამდე თავზარს რომ სცემდა ახლო აღმოსავლეთს, ვერც სეფიანთა შემდეგ აღზევებულმა ნადირ-შაჰმა აფშართა ყიზილბაშური ტომიდან, ვერც ყაჯართა დინასტიის დამწყებმა აღა-მაჰმად ხანმა, რომელმაც მართალია კრწანისის ბრძოლა მოიგო, მაგრამ წააგო ისტორიული ომი, ოცდახუთი საუკუნე რომ გრძელდებოდა.

„იბერები არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და მაკედონელთა უღელიც აიცილეს", — წერდა ბერძენთა დიდი ისტორიკოსი პლუტარქე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში; მომდევნო საუკუნეთა მემატიანეებს ეს სია თუ ჩამოთვლა შეეძლოთ შეევსოთ (და ასეც გააკეთეს) ბიზანტიელებით, არაბებით, მონგოლებით, თურქ-სელჯუკებითა და ოსმალებით... ბევრზე ბევრი მოსულა აქ. ბევრჯერ კარგა ხნითაც მოურთხამს ფეხი და დამკვიდრებულა, მაგრამ საბოლოოდ საქართველო მაინც საქართველოდ დარჩენილა, ქართველს ისევ აუნთია თავისი ჩამქრალი კერა, ხელახლა აუგია დანგრეული ტაძარი, ხელახლა დაუწყია თავისი ისტორია...

საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა „ვეფხისტყაოსანი" „ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები", ჩვენს შეგნებაში უნებურად გადაეწვნის ამბავთა და პრობლემათა იმ წრეს, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით და ეს სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. აბა ჩავუფიქრდეთ: თუ მართლაც ყველაზე მაღალი და სრულყოფილი გამოვლენა ქართული სულისა, მისი გენიალური ქმნილება, აკაკის სიტყვით სახარების ადგილი რომ ეჭირა ძველ საქართველოში, ე. ი. მარტო პოეზია კი არა, რელიგიაცა და მორალური კოდექსიც იყო, თუ ეს წიგნი, თუნდაც ამბის, ფაბულის, სიუჟეტის სახით წამოღებულია ირანულიდან, მაშინ ჩვენი კულტურის ისტორიას აზრი კი არ ეკარგება, მაგრამ იმხელა ჩრდილი ადგება, ისეთ ბურუსში ეხვევა, რომ აქ ძნელი ხდება იმის გარკვევა, თუ სადღაა და რაშია ქართული კულტურის თვითმყოფობა. ხშირად უკვირთ ხოლმე: რატომ განვიცდით ასე მწვავედ ამ წმინდა ფილოლოგიურ პაექრობას, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, გერმანელები სულაც არ წუხან იმის გამო, რომ ინგლისელმა ქრისტეფორე მარლომ „ფაუსტი" გოეთეზე ორი საუკუნით ადრე დაწერაო. მაგრამ ამის მთქმელი, ეტყობა, არ დაჰკვირვებია ისტორიის სპეციფიკურ კანონზომიერებას. „ფაუსტის" ამბავი არაფერს არ ცვლის გერმანიის ლიტერატურის ისტორიაში, „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის ვითომ სპარსულობა კი ყირაზე აყენებს ქართული ლიტერატურის ისტორიას. რატომ ხდება ეს?

იმიტომ რომ პოეტი ხალხის სულიერი წინამძღოლი იყო, და რუსთაველზე კარგად არავის უსწავლებია ქართველისათვის „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა“... ურუსთაველოდ გაუგებარი ხდება უთვალავ თაობათა შრომა, ღვაწლი, ბრძოლა, სისხლი, ტანჯვა და წამება ქვეყნის გადასარჩენად... „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა“... საქართველოს დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა საწამლავი დალია ატენის ციხეში, როცა ეს ციხე შაჰ-თამაზმა აიღო, რა ჩამოთვლის აქ რჯულისა და სამშობლოსათვის ყველა წამებულთა სახელებს, მთელი „ქართლის ცხოვრება“ არის უზარმაზარი მარტიროლოგი, მეტყველი საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე, რომ როგორმე გადაურჩეს საქართველო ოსმალურ-ყიზილბაშურ უღელს.

აქ ერთი აუცილებელი შენიშვნაა საჭირო: ცხადია, გაუვალი უფსკრულია ერთი მხრით დიდ ჰუმანისტებს (ფირდოუსი, საადი, ჰაფიზი) და მეორე მხრით, ირანელ დამპყრობელთა შორის სეფიანთა თუ ყაჯართა დინასტიიდან. ირანის დიდ კულტურასაც ისე როგორც ბერძნულს, ბევრი რამ მიუცია საქართველოსათვის, მაგრამ ეს არ შეხებია იმ ფუძისეულს, იმ ნიშატსა თუ დვრიტას, რომელიც ეროვნული კულტურის თვითმყოფობას განაპირობებს. ისე კი მსოფლიოში არ არსებობს ხალხი, მეზობლისაგან რომ არაფერი ესწავლოს. არც საქართველო აქ გამონაკლისი არ შეიძლება იყოს, მაგრამ აქ ამაზე როდი ვლაპარაკობთ. აქ საქმე ეხება სასიცოცხლო ფესვებს, რომლებიც მუხას მუხისა აქვს, ხოლო ჭადარს — ჭადრისა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგები ხდება ისტორიული მნიშვნელობა იმ ამბისა, რომ პავლე ინგოროყვამ თავის ახალ ნაშრომში „ვეფხისტყოსანის“ შესავალი და ბოლოთქმა“ (ტექსტოლოგიური ნარკვევი) დამაჯერებლად და საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სტროფი, რომელიც უკვდავი პოემის მიმართ საუკუნეთა მანძილზე ბევრ ცდომილ აზრსა და გაუგებრობას ბადებდა, ეკუთვნის არა რუსთაველს, არამედ ყალბისმქმნელს; იგულისხმება სტროფი „ესე ამბავი სპარსული“... „ეს სტროფი, — წერს მკვლევარი, — არ ყოფილა არქეტიპში, საიდანაც მომდინარეობენ მთელი რიგი ხელნაწერები: IV—I, V—ОГКJ, VI—ა. უფრო გვიან, როდესაც ეს სტროფი შეუტანიათ არქეტიპში ხელნაწერისა VI—I, იგი ჩაუწერიათ არა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში („ამბავისა დასაწყისი პირველი“), არამედ სრულიად უადგილოდ მოუთავსებიათ თვით პოემის ტექსტში (კარში: „ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა“).

ხელნაწერთა ამ ჩვენების შემდეგ მკვლევარი დაწვრილებით გაეხიხილავს სტროფის პოეტიკას და ლექსიკას, დამაჯერებელი ლოგიკური ვარაუდებით ადგენს ამ სტროფის კავშირს სხვა ყალბ სტროფებთან და ცხადყოფს პოემისათვის მის ხორცშეტულ ხასიათს.

პავლე ინგოროყვამ ნათელყო ამ სტროფის სიყალბე და აქედან ლოგიკური დასკვნაც გააკეთა — ამოიღო ეს სტროფი პოემის ტექსტიდან. ამრიგად, დღეს ჩვენ პირველად ხელთ გვაქვს „ვეფხისტყაოსხის“ გამოცემა, რომელიც თავისუფალია ინტერპოლატორთა ნაყალბევისაგან.

ეს არის ქართული საბჭოთა ფილოლოგიის საგულისხმო წარმატება.

უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც პავლე ინგოროყვა დაუღალავად და შეუნელებელი გულისყურით სწავლობს, იკვლევს და აშუქებს ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, კერძოდ კი რუსთველოლოგიის არსებით საკითხებს. თავის ამ დაუცხრომელ ძიებაში იგი, რასაკვირველია, არ ეკრძალება ზოგიერთი თავისი ადრინდელი დასკვნის გადალახვასაც კი და დიდი შინაგანი შემართებით იკრება საკვლევი საკითხებისა და მოვლენების ახალ-ახალ სიღრმეებში. მკვლევარი პირდაპირ იწვის საქართველოსათვის, იწვის რუსთაველისათვის. და მხოლოდ სკეპტიკოსებს თუ შეუძლიათ ჯეროვნად არ შეაფასონ მგზნებარე მკვლევარის ფრიადი ღვაწლი.

პავლე ინგოროყვას შრომებში ვერ იპოვნით ციცი კალმის ნაკვალევს. მისთვის უცხოა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველგვარი აკადემიური გულცივობა. იგი ყოველთვის ისწრაფვის საქმეში ჩააბას მკითხველის არა მარტო ანალიტიკური გონება, არამედ მისი მოქალაქეობრივი ფიქრებიც, პატრიოტული გრძნობებიც... ეს კი ჩვენი აზრით, უეჭველად ღირსებაა და ოდნავაც არ ვნებს ჭეშმარიტების საქმეს.

მკვლევარს ახასიათებს გულმხურვალე შემოქმედებითი დამოკიდებულება მასალისადმი, გაბედული ჭიდილი მასალასთან. და ეს არის აუცილებელი თვისება არა მარტო ხელოვანისა, არამედ მეცნიერისაც.

რასაკვირველია, ფაქტი (საბუთი, ცნობა), როგორც იტყვიან ხოლმე ერთობ ჯიუტი რამ არის, მას ვერსად გაექცევით, იგი ჭეშმარიტების საშენი მასალაა. მაგრამ ის, ვინც ფაქტის (საბუთისა თუ ცნობის) გულგრილი, პასიური ამთვისებელი ანუ ყურმოჭრილი მონა ხდება, ჭეშმარიტების ძიების ისეთსავე მარცხიან გზას ადგება, როგორც ის, ვინც ფაქტს გვერდს უქცევს ან ამახინჯებს და აყალბებს მას. თავისთავად აღებული, საერთო კავშირებიდან და პროცესებიდან გამოთიშული ფაქტი (საბუთი, ცნობა) ერთობ უძრავი და შეზღუდული რამ არის. ნამდვილი სიმართლე მოვლენისა თუ საგნისა კი ამ უძრავობასა და შეზღუდულობაში როდია, არამედ ის

რთულ და ცოცხალ კავშირშია, რასაც ფაქტების ერთობლივობა ქმნის. ეს ცოცხალი კავშირი კი განსაკვლევია. იგი ზედაპირული და ხელშესახები არ არის.

ისტორიული ფაქტებისა და საბუთების, ცნობებისა და ჩვენებების რთულ ხლართებსა და კავშირებში გარკვევისათვის, რასაკვირველია, არ კმარა მარტო მათი ცოდნა, ამისათვის საჭიროა შემოქმედებითი განკვრეტის უნარი, ცხოველმყოფელი სულიერი ალღო და თუ გნებავთ, ერთობ ცხოველმყოფელი ფანტაზიაც. საერთოდ აღიარებულია და, ვგონებ, დღესაც არავინ უარყოფს, რომ ალღო და ფანტაზია საჭიროა თვით უაღრესად ზუსტ მეცნიერებაშიც კი, ვფიქრობთ, მკვლევარს, ვისაც ეშინია გასცდეს თვალდანახულისა და ხელშესახების საზღვრებს, დიდი არაფერი მოჰყვება ხელში, ყოველ შემთხვევაში, ამოხსნისა და აღმოჩენის სიხარულს იგი ძნელად თუ ეზიარება.

პავლე ინგოროყვას კი ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული მასალის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად ამოხსნისა და აღმოჩენის ერთობ მძაფრი გზნება აქვს.

აი, ახლა ქართველ მკითხველს განზრახული ორი წიგნიდან ხელთ აქვს პირველი წიგნი — პავლე ინგოროყვას მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ჩვენი უდიადესი ეროვნული საუნჯის — „ვეფხისტყაოსნისა", რომელსაც თან ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევა-მონოგრაფია „შოთა რუსთაველი" და ტექსტოლოგიური ნარკვევი — „ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლოთქმა".

წიგნი უეჭველად ფრიად მნიშვნელოვანი და საგულისხმო მოვლენაა მთელ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთგვარად აჯამებს და აგვირგვინებს თვით პავლე ინგოროყვას თითქმის საუკუნეზე დაძაბულ ნაშრომს, ნაღვაწს, ნააზრევს რუსთველოლოგიაში, ამიტომაც ალბათ ყველაზე მართებული იქნება ეს წიგნი გავიაზროთ პავლე ინგოროყვას ყველა სხვა შრომასთან კავშირსა და მთლიანობაში.

მსგავსად იმისა, როგორც ხელოვანი ხუროთმოძღვარი სხვადასხვა საშენი მასალისაგან ცდილობს ააგოს დიდებული შენობა, ჩვენი მკვლევარიც მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული მასალისაგან ცდილობს აღადგინოს და წარმოგვისახოს არა მარტო შოთა რუსთაველის ბიოგრაფია, არამედ შოთასდროინდელი და მისი წინარე საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ისტორია... და თუ თავის მთლიანობაში ხუროთმოძღვრის ქმნილება გვაჯერებს და გვაღელვებს, გვმართებს ნაწილს მთელი არ დავაჩრდილვინოთ იმის გამო, რომ შენობის ზოგიერთი ცალკეული ნაკე-

თისა და პროპორციის გადაწყვეტაში, შესაძლოა, ვერ დავეთანხმოთ ხელოვანს, ასევე, შესაძლებელია, ზოგიერთ წერილმანში არ დავეთანხმოთ მკვლევარს, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფცია თავის მთლიანობაში დასაბუთებული და დამაჯერებელია.

ჩვენს წინაშეა დიდი ისტორიული სიმართლე.

პირველ ყოვლისა, ეს არის მტკიცება იმისა, რომ საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა, შემავალი ევროპის კულტურულ წრეში, რომელმაც ჯერ კიდევ ადრევე დასავლეთის ტრადიციებთან ერთად შეითვისა აგრეთვე აღმოსავლეთის ტრადიციებიც; „ხოლო მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, თამარის ეპოქაში, საქართველო წარმოადგენს ევროპის ცივილიზაციის დიდ სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე. საქართველომ დაიჭირა ბიზანტიის ადგილი“ (გვ. 17) ...და მართლაც, მდიდარი საზოგადოებრივ-კულტურული ნიადაგისა და დიდი ისტორიული შემზადების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მხატვრულ-ფილოსოფიური აზრის ისეთი ამწვერვალება, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“. ავიღოთ ამ ქმნილების თუნდაც მარტო ენობრივი ფენომენი. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უმდიდრესი და უბრწყინვალესი ქართულით არის გამოთქმული მისი დროის გარესამყაროს ყველა ვითარება, კაცობრიული აზრის, გრძნობისა თუ ვნების ყველა შესაძლებელი მიმოხვრა, ყველა შესაძლებელი ნიუანსი. ამ დროისათვის ქართულ ენას გამოვლილი აქვს განვითარების დიდი გზა, იგი უაღრესად განვითარებული და დახვეწილი საურთიერთობო საშუალებაა, ერთობ განვითარებული აზრის სინაძდვილეა. ასეთი სიმდიდრისათვის კი ენას არ შეეძლო მიეღწია, რომ მას გამოვლილი არ ჰქონოდა ხალხის ცხოვრების საკმაოდ რთული ფორმები — სიტყვამბადი საკომუნიკაციო ვითარებანი, კავშირები და ურთიერთობანი. ეჭვი არ არის, რომ რუსთაველის ენაში დაგროვილი და დაკვერილი იყო ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიულ-საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი გამოცდილება.

მაგრამ განა მარტო ენა გვიმოწმებს ამას?

პავლე ინგოროყვას თხზულებებს, მათ შორის მის რუსთაველოლოგიურ შრომებს, დაბეჯითებით შევყავართ დიდ ისტორიულ-ლიტერატურულ სამყაროში. აქ კი თითქოს ყველაფერი ცოცხლობს, ყველაფერი სუნთქავს. ხალხის ისტორიის ყოველი ნაკვთი განცდილი და ათვისებულია ცოცხალ უჯრედად, რომლის ერთი ძარღვის ფეთქვაც კი მთელ ეროვნულ ორგანიზმს გადაეცემა.

მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ ასაბუთებს და ცხადყოფს, რომ კაცობრიობის მხატვრული აზრის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნი-

ლება—„ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად და განუყოფლად ამოზიდული და აღმოცენებულია ქართულ ეროვნულ ნიადაგზე და რომ მისი გენიალური ავტორი არის ქართველი ხალხის ხორცი ხორცთაგანი, სისხლი სისხლთაგანი, სული სულთაგანი.

ეს არის, ასე ვთქვათ, მთავარი მეცნიერული დასკვნა, რომლის წინაშეც ყველა დანარჩენი უეჭველად ფერმკრთალდება.

როგორც ცნობილია, წინააღმდეგ ამ დასკვნისა, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის მიმართ არა ერთი და ორი შემცდარი აზრი გამოთქმულა, მათ შორის აზრი პოემის სიუჟეტის თუ ფაბულის უცხოური წარმომავლობის შესახებ. და ეს იმ დროს, როდესაც თვით რუსთაველის ეპოქის საქართველოს სინამდვილე — თამარის გამეფებისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების სახით — ამ ფაბულის ყველაზე რეალურ და ხელშესახებ წყაროს შეიცავდა.

თავის მონოგრაფიაში პავლე ინგოროყვას კარგად აქვს ამოშიფრული პოემის ფაბულაც და პოემის სულიც თვით ეპოქის მოვლენებსა და საერთო სულიერ ატმოსფეროში.

მონოგრაფიაში ფრიად საგულისხმო ისტორიულ-ლიტერატურულ ძიებანი ილვასთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსთაველის ვინაობის ამოცნობისა და მისი ბიოგრაფიის საკითხებს. როგორც ვიცით, დაახლოებით ამ ორმოცდაათი წლის წინათ პავლე ინგოროყვას პირველი რუსთველოლოგიური შრომის — „რუსთაველიანას“ გამოქვეყნებამ დიდი ყურადღება მიიქცია და აზრთა ცხოველი ამოძრავება გამოიწვია არა მარტო სპეციალისტთა შორის, არამედ მკითხველთა ფართო წრეებშიც. მას შემდეგ პავლე ინგოროყვას ნაკვლევი ცოცხლობდა და ცოცხლობს როგორც დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა რუსთველოლოგიაში, ცოცხლობდა თუნდაც იმითაც კი, რომ წლების მანძილზე მის მიმართ გამოითქვა არა ერთი და ორი როგორც დადებითი ისე კრიტიკული მოსაზრება, არსებითად იგი ზოგიერთთა ახალი შრომების საბაბიც კი გახდა. ამრიგად, თუნდაც მარტო მათ მიერ აღძრული საკითხებისა და მოსაზრებების კვალობაზე პავლე ინგოროყვას შრომებს რუსთველოლოგიური კვლევა არსებითად ახალ დიდ წრეზე გაჰყავდა, თანაც ეს შრომები „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თარიღისა და მისი ავტორის ბიოგრაფიის თითქმის ყველაზე ვრცელ პოზიტიურ მასალასა და დასკვნებს შეიცავდნენ. და თუ ყოველი მეცნიერული კვლევის საბოლოო მიზანი სწორედ საკვლევი საგნის რაობის დადგენა ანუ პოზიტიური შედეგია, მაშინ საგნის რაობის არათუ ამომწურავი დადგენა, არამედ ამ მხრივ ყოველი სერიოზული ცდაც კი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ უვალ და ძნელ გზაზე მისასალმებელია.

რასაკვირველია, ამა თუ იმ პოზიტიური დასკვნის მიმართ შეიძლება წამოვაყენოთ და განვავითაროთ უარმყოფელი მოსაზრება, მაგრამ მხოლოდ ნეგატიური მსჯელობით დიდს ვერაფერს მოვიპოვებთ, თუ თვით საგნის არსებითი შინაარსის აღმოჩენის გაბედულება არ გამოვიჩინეთ. დაე ამ გაბედულების თუნდაც ერთი წილი გამართლდეს!

როგორც ვთქვით, სწორედ საგნის არსებითი შინაარსისაკენ სწრაფვის ძლიერი გზნებით არის აღბეჭდილი პავლე ინგოროყვას ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევები.

რუსთველოლოგია ვითარდება და წინ მიიწევს. ბევრი ლიტერატორი, ბევრი მეცნიერი ეჭიდებოდა და ეჭიდება მის პრობლემებს. ვინმესთვის მონოპოლიური უფლების მინიჭება ამ დარგში შეუძლებელიც არის და დიდად მავნებელიც იქნებოდა.

უეჭველად დიდი და მნიშვნელოვანია პავლე ინგოროყვას ღვაწლი იმ წარმატებებში, რაც დღეს რუსთველოლოგიას აქვს. ათეული წლების მანძილზე მკვლევარი უდიდესი თავგამეტებითა და ერთგულებით დასტრიალებს თავს რუსთაველის თემას მის ახლო თუ შორეულ მისადგომებზე, ვამბობთ, ახლო თუ შორეულ მისადგომებზე, რადგან, ვფიქრობთ, ეს თემა ამ ცნების ფართო ეროვნულ ისტორიულ-ლიტერატურული გაგებით — მკვლევარის მთელი მოღვაწეობის მთავარ შინაარსს შეადგენდა და შეადგენს; ყველა მისი შრომა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ თემის რკალში შედიოდა და მისი ნამდვილი გასაღების ძიებას წარმოადგენდა. სწორედ ამ შრომების ბაზაზეა შექმნილი მონოგრაფია „შოთა რუსთაველი", რომელიც დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის" ახალ გამოცემას.

რაა მთავარი ამ ნაშრომში?

მას, მსგავსად დიდი საოკეანო გემისა, აქვს თავისი წყალზედა ნაწილიც და წყალქვეშა ნაწილიც. თავისი ზედაპირი და თავისი სიღრმე.

აქ, უწინარეს ყოვლისა, თვალში საცემია რუსთაველის ვინაობის, მისი ბიოგრაფიისა და მისი მსოფლმხედველობის გარკვევის გულმოდგინე ცდა. მართლაც, მთელი წარმოდგენილი მასალა ამ საკითხების გაშუქებისაკენ არის მიმართული. მკვლევარი ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული საბუთებისა და წყაროების მოშველიებით არკვევს რუსთაველის ვინაობას, იძლევა მის ისეთ ვრცელ და მწყობრ ბიოგრაფიას, როგორიც დღემდე არავის წარმოუდგენია... მაგრამ მთავარი აქ ცალკეული ბიოგრაფიული დეტალების სიზუსტე თუ სისწორე როდია, არამედ იმის დამაჯერებელი მტკიცება, რომ გენიოსი პოეტი იმავე დროს იყო თავისი ეპოქის უდიდესი სახელ-

მწიფო მოღვაწე, სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი, ერის სულიერი მამა. მონოგრაფიაში ჩვენ ვხედავთ და განვიცდით ასეთ რუსთაველს; მის სიღრმეში კი ვგრძნობთ და ვიჯერებთ იმ დიდ ნიადაგს, იმ ისტორიულ გარემოს, იმ ძალებს, რომელთაც შეეძლოთ წარმოეშვათ დიდი ეროვნული გენია და ჩვენი ხალხი ტოლფასოვან წევრად შეეყვანათ ცივილიზებული კაცობრიობის დიდ წრეში. აი სწორედ ჩვენი ხალხის ამ დიდი ისტორიული ცხოვრებისა და ნიადაგის ჩვენებას ისახავს მიზნად პავლე ინგოროყვას გამოკვლევები. ამაშია მათი მთავარი პათოსი.

რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსანი" რომ ერთბაშად ციდან არ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო, რომ იგი ხალხის დიდი სოციალურ-ისტორიული გამოცდილების, მისი დაძაბული სულიერი ცხოვრებისა და სულიერი ენერგიის უდიდესი აკუმულაციაა, — ეს ცხადი ხდება ყველასათვის, ვინც კი ამ დიდებული ქმნილების სულს ეზიარება. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ ყველა მტერმოყვარის გასაგონად, რომ ხალხს, ვინც ნიადაგი მოუმზადა „ვეფხისტყაოსანს", არ შეიძლებოდა, არ ეცხოვრა დიდი თვითმყოფი ისტორიული ცხოვრებით, რომ ის, ვინაც ეს ნაწარმოები შექმნა, არ შეიძლებოდა სისხლხორცეულად არ ყოფილიყო დაკავშირებული ამ ცხოვრებასთან და არ ყოფილიყო გამომხატველი თავისი ხალხის უკეთესი თვისებებისა და იდეალებისა.

აი ამ აზრების, ამ ფიქრების მტკიცე რეალურ საყრდენებსა და საფუძვლებს ვპოულობთ ჩვენ პავლე ინგოროყვას გამოკვლევებში. და ეს გვახარებს ჩვენ, გვახარებს, რადგან არა გვსურს, ვეკუთვნოდეთ იმ ჯიშის სულდგმულთ, რომელთაც თავისი მოდგმა და ნათესაობა არ ახსოვთ.

პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ თავის ლექსში პაოლო იაშვილი ამბობდა: „და გულში გივლის მტკივან ალივით შენ რუსთაველის მერიდიანი"! და მართლაც, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მკვლევარის ერთობ მახვილი გრძნობა პოეზიისა, მისი ერთობ მახვილი სმენა პოეზიის მიმართ, ვგულისხმობთ პოეტური სიტყვის არა მარტო ტექნიკური კომპონენტების ღრმა ცოდნას, არამედ პოეზიის არსის, პოეტური ფენომენის წვდომის უნარს. ხოლო ეს თვისება, ჩვენი აზრით, უეჭველად სავალდებულოა ყველასათვის, ვინც კი ხელს ჰკიდებს პოეტური ქმნილების გამოკვლევას, მით უმეტეს ისეთი დიდებული და უბადლო ქმნილებისა, როგორიც — „ვეფხისტყაოსანია".

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის" პოეტურ არსში ჩაწვდომისა და მისი შინაგანი მუსიკის ათვისების მხრივ პავლე

ინგოროყვას გარდა მათი პირდაპირი ამოცანების გადაწყვეტისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ საერთო ჩვენი მხატვრულ-ესთეტიკური კულტურის ამაღლებაშიც.

ტექსტოლოგიური ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლოთქმა“ ბევრ გონებამახვილურ და გაბედულ დაკვირვებასა და მიგნებას შეიცავს: (გაადევნეთ თვალი თუნდაც ერთი სარითმო სიტყვის დადგენას: „საკამათებლად“, „მოსახმარებლად“, „საქებარებლად“).

აი, კიდევ ერთი მაგალითი. მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის დიამეტრალურად საწინააღმდეგო იდეებს პოულობს „მიჯნურობის კარის“ მის მიერ ჩანართად მიჩნეულ სამ სტროფში, კერძოდ სტროფში:

> მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
> ენა დაშერების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
> ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან,
> მართ მასვე ბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგნი ამ სტროფში რაღაც განსაკუთრებულ ღრმა შინაარსს პოულობენ და მას შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საქვაკუთხედო დებულებადაც კი მიიჩნევენ, მკვლევარის მიერ ამ სტროფის უკუგდება სამართლიანად და დასაბუთებულად მიგვაჩნია.

ჯერ ერთი, ჩვენი აზრით, უეჭველად მცდარი და არამართებული, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სტროფებში ეძებენ ამა თუ იმ ფილოსოფიური დებულების ან რომელიმე რელიგიური დოგმის გალექსვასა თუ ილუსტრაციას. ხელოვნების როგორც ყოველი დიდი და ჭეშმარიტი ქმნილება, „ვეფხისტყაოსანიც“ ისეთივე მნათობია, რომელიც ანათებს საკუთარი და არა ნასესხები სხივით. ძოემა მთლიანადაც და მისი ცალკეული ნაწილებიც თვითონ არის სამყაროს თავისთავადი პოეტურ-ფილოსოფიური აღქმა და არა რომელიმე წინასწარ აღებული ფილოსოფიური თუ რელიგიური მოძღვრების ლექსად გამოხატვა თუ გადამღერება (უნდა შევნიშნოთ: ამ თვალსაზრისით ეპვს იწვევს თვით ჩვენი მკვლევარის პარალელიც რუსთაველის სტროფისა ემპედოკლესთან).

ვიმეორებთ, უკუგდება სტროფისა „მას ერთსა მიჯნურობასა...“ სავსებით მართებულია. არ ‘ძეიძლება ამ სტროფში ამოვიკითხოო სხვა რამ გარდა იმისა, რაც მასში პირდაპირ მოჩანს. პირდაპირ კი მოჩანს ხორციელი შორიდან ბნედითი ბაძვა სიძვისა... ასეთი რამ კი რუსთაველს არ შეეძლო მიჯნურობის კარისათვის მიეკუთვნებინა. უეჭველად დამაჯერებელია როგორც საბუთიანობის, ისე მაღალ

პოეზიის თვალსაზრისით, მკვლევარის დასკვნა, რომ ესა და სხვა ამ-დაგვარი სტროფები რუსთაველისადმი მტრულად განწყობილი იმ ყალბისმქმნელების ნახელავია, რომელთაც სურდათ „შიგნიდან“ გა-ეტეხათ და გაეშავებინათ თავისი დროის ღრმა ჰუმანისტური და თა-ვისუფალი მოაზროვნეობის სულისკვეთებით გამსჭვალული გენია-ლური პოემა.

პავლე ინგოროყვას ახალი წიგნი ფრიად საგულისხმო წინგადად-გმული ნაბიჯია „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საქმეში. ეს, რასაკვირ-ველია, იმას არ ნიშნავს, რომ მკვლევარის ტექსტოლოგიურ დასკვ-ნებში არაფერი იყოს პრობლემატური და საკამათო. მით უმეტეს იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ფართოდ გავრცელებულ და ქართველი მკითხველის შემეცნებაში დიდი ხანია ფეხმოკიდებულ და მტკიცედ შთანერგილ სტროფებს, ზოგჯერ აფორიზმებსაც კი. მაგრამ მკვლევარის დაკვირვებები და დასკვნები თვით ასეთი სტრო-ფების მიმართაც კი, მიუხედავად მათი პრობლემატურობისა, ფრიად ნაყოფიერია კვლევითი აზრის გაცხოველების თვალსაზრისით.

1971

ხასიათები და გარემოებანი

მინდა, სიტყვა ჩამოვაგდო თანამედროვე ქართული პროზის რამდენიმე ნიმუშზე, უკეთ ვთქვათ, იმ საკითხებზე, რომელთა საბაბს ისინი იძლევიან. მაგრამ სიტყვის დასაწყისში საჭიროდ მიმაჩნია გავიხსენო ერთი. პატარა, მაგრამ საგულისხმო პოეტური გაპაექრება, რომელიც დაიწყო და დამთავრდა „ლიტერატურული გაზეთის“ 1959 წლის ორი ნომრის (15 და 16) ფურცლებზე. კონსტანტინე ჭიქინაძემ შემდეგი ლექსით მიმართა კონსტანტინე გამსახურდიას:

ლექსს ნუ აიგდებ, მეგობარო, ეგრე აბეჩად!
ის კაცთა მოდგმის ნეგვში და სიხარულია,
უხსოვარ დროში დაეიწყებას რაც კი გადერჩა,
სულ მის წიაღში ჩამჯდარი და შეხიზნულია.
მასში სიკეთემ თესლი თვისი გულუხვად სთესა,
ის ბოროტებას წინ ხვდებოდა, როგორც სამანი;
შერთვია ბევრი აღტაცება, ცრემლი და კვნესა,
გადაჰფენია ვარდები და იასამანი.
აჩქარებია მისი კითხვით რამდენ გულს ძგერა,
რამდენი სული აგზნებულა გაოცებული,
მოცლილთა საქმე არ გეგონოს ლექსების წერა,
არა, არასდროს არ ჩაქრება მისი სანთელი!
რა ეუყოთ, ბევრი გარეშე თუ შემოესია,
არ საწამებელს ნუ იწამებ და პოეზიად
ნუ მიგაჩნია შენ სიტყვების კორიანტელი.

ჯ. გამსახურდიამ ლექსითვე უპასუხა:

არ მესმის რად ეძალები
ღია კარების დეირეთა,
მე ვგულისხმობდი ნიადაგ
ხოცვას ნადირთა მცირეთა...
ნუ ნაღვლობ, ჯერ კიდევ ვარჩევ
ნაძვისგან მელაკუდასა,
თუ ღვინო გამოლეული
ამაოდ ბერავთ გუდასა.
არც აშრეია არასდროს

თავთუხი და ტყის ავშანი,
მხოლოდ ზეაღმტაც იდეას
ამშვენებს რითმის ჯავშანი.
ვისაც ენებოს, გამკიცხოს.
მე ახლაც ასე მგონია,
ჩვენ პოეზიად ვერ ჩავთვლით.
გარითმულ კაკოფონიას.

როგორც ვხედავთ, უთანხმოება არც ისე ღრმა და მწვავეა. ორივე მხარე არსებითად ლექსის მაღალი ხარისხისათვის იღვწის. მაგრამ ამ გაპაექრებაში არის რაღაც ობიექტური კანონზომიერებაც და ყურადსაღები ობიექტური აზრიც.

ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დღეს ჩვენში ლექსის მეტისმეტად „ჭარბი წარმოებაა" და არც „სიტყვების კორიანტელი", არც გარითმული კაკოფონია სანთლით საძებარი არა გვაქვს. ამიტომ ამ დარგში საკმაოდ თვალნათლივ არის შესული ძალაში „ოდეს ტურფა გაიაფდეს".. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ ლექსი, როგორც პოეტური ფორმა, რაიმე შინაგან კრიზისს განიცდიდეს (თანაც ლაპარაკია ლექსზე და არა საერთოდ პოეზიაზე. რაც მარტო ლექსის კუთვნილება არასდროს არ ყოფილა); მაგრამ ფაქტის წინაშე თვალს დავხუჭავდით და სიმართლეს გვერდს ავუქცევდით, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ლექსის მნიშვნელობის ისტორიულ ევოლუციას, მისი საზღვრების გადანაცვლებასა და მიწევ-მოწევას. „ვეფხისტყაოსანი" მთელი საუკუნეების მანძილზე ეწეოდა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის დიდ ჭაპანს. გურამიშვილის „დავითიანისა" და მით უმეტეს ბარათაშვილის „მერანსა" და „ბედი ქართლისას" შეეძლოთ შესჭიდებოდნენ ამ ჭაპანს. ისინი არსებითად სინთეზურ ფორმებს წარმოადგენდნენ და ეროვნული ინტელექტუალური ცხოვრების თითქმის მთელ სფეროს მოიცავდნენ, რომანის ფუნქციასაც ითავსებდნენ. აკაკის, ილიას, ვაჟას ლექსი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სინთეზურ ხასიათს. მაგრამ განვითარებამ ალბათ ფორმათა დანაწევრება მოითხოვა და იმ დროიდან, რა დროიდანაც პროზა, ასე ვთქვათ, თავის სრულ უფლებებში შევიდა, ეროვნული ლიტერატურის განვითარება მეტად ცალმხრივი და ღარიბი იქნებოდა რომანის, მოთხრობის, ნოველისა და დრამატურგიული ნაწარმოების გარეშე.

ერთი სიტყვით, როგორიც უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურის განვლილი გზა, დღეს აშკარაა, რომ მარტო ლექსები, თუნდაც განუმეორებელი შედევრები, თანამედროვე ეროვნული ლიტერატურის დიდ ტვირთს ვეღარ აწევენ. ამ საქმეს სხვა ჟანრებისა და, უწინარეს

ყოველისა, პროზის ძალოვანი მხრები ესაჭიროება. ლექსს კი თავისი სპეციფიკური სფერო რჩება. აქ, ცხადია, ლაპარაკი არ შეიძლება რაიმე სუბიექტურ ჟანრობრივ მიკერძოებაზე. საქმე ეხება მხატვრულ ფორმათა განვითარების ობიექტურ ტენდენციებს, რაც დღეს მარტო ჩვენში როდი შეინიშნება.

ეს დიდი საკითხია და მისი გაშუქება დიდ გამოკვლევას მოითხოვს. მე მხოლოდ მეტად ზოგადი დაკვირვების საფუძველზე აღვძარი აქ ეს საკითხი და მიმაჩნია, რომ აწინდელი დიდი ქართული ლიტერატურა წარმოუდგენელია დიდი პროზის გარეშე. ამ საკითხს. ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენში. საქართველოში, სადაც ერთ დროს კიდევაც გავრცელებული იყო შეხედულება, რომ თითქოს საქართველო მხოლოდ პოეტების ქვეყანაა. რომ ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის არც თუ ისე ორგანულია ღრმა, ძირდამდგარი ეპიკური აზროვნება. ეს შეხედულება, ცხადია, ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული.

თანამედროვე ქართული პროზა მეტად საიმედოდ იმაგრებს მუხლს და დიდ გზაზე გამოდის. განა დიდად სასიხარულო არ არის, რომ მისი ზოგიერთი ნიმუში უკვე საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქითაც გავიდა.

აქ მე მინდა შევეხო უკანასკნელი დროის ქართული პროზის ზოგიერთ ნიმუშს და ისიც ზოგიერთი საერთო პრინციპული საკითხის წამოჭრის თვალსაზრისით. ამ ნიმუშების შესახებ უკვე ბევრი რამ ითქვა, მაგრამ მსჯელობის გაგრძელება სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა განათებით საქმეს არ ავნებს. ჩვენ, მაგალითად, კმაყოფილებით ვხვდებით წარსულის ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის ყოველ ახალ საფუძვლიან ანალიზსა და გამოკვლევას. ასეთი გამოკვლევები ხელს უწყობენ იმას, რომ ლიტერატურული მემკვიდრეობის მდიდარი გამოცდილება გადმოეცეს თანამედროვეობას და ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში ჩაერთოს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთ ადგილზე გაიყინებოდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთ მოჯადოებულ წრეში იტრიალებდა, თუ ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებს მოწყდებოდა და ამ პროცესების წარმართვაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

ამბობენ, რომ დღეს ქართულ პროზას ახასიათებს ჩვენი დროის ადამიანის მორალური ბუნების გამოკვლევისა და გამოხატვის განსაკუთრებული მიდრეკილება. ჩემი აზრით, ეს სწორი დაკვირვებაა. რასაკვირველია, ადამიანის ზნეობრივი არსება არასოდეს არ ყოფილა ლიტერატურის პერიფერიული საგანი, იგი ყოველთვის „აწვალებდა“ მწერლობას და ყოველთვის იდგა, თუ შეიძლება ასე ითქვას,

ლიტერატურის ყურადღების ცენტრში. მაგრამ ლაპარაკია განსაკუთრებით გაძლიერებულ ინტერესზე და ამაში უეჭველად არის ერთგვარი კანონზომიერებაც, სიახლეც და შესაბამისობაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებულ ამოცანებთან.

ჩვენმა საზოგადოებამ უკვე გაიარა ღრმა სტრუქტურული ცვლილებების ის პერიოდი, როდესაც პირველ ადგილზე ყოველთვის წამოწეულია საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის მკვეთრად გამიჯნული, ძაგრამ შედარებით დაუნაწევრებელი ფორმები, როდესაც სიკეთისა და ბოროტების უპირატეს საზომს შეადგენს ადამიანთა მკვეთრად დაპირისპირებული დამოკიდებულებანი და ურთიერთობანი.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სინამდვილეში კი საზოგადოებრივი ყოფიერების მთელი შინაარსი, ახალი ადამიანის ფორმირების ამოცანები, რაც მთელი ძველი წარმოდგენების, შეხედულებების, გრძნობებისა და ინსტინქტების გარდაქმნასა და გადაახლებას მოითხოვს, ჩვენს ლიტერატურას გეზს აძლევს ადამიანების ზნეობრივი ბუნების უღრმესი და უფაქიზესი ქსოვილებისაკენ. ახლა ისე როგორც არასდროს, სიკეთე და ბოროტება საკვლევია ადამიანის სულის მიკროსკოპიულ კუნჭულებშიც, მთელ მის ინტელიქტუალურ და ემოციურ შედგენილობაში.

ჩვენი დროის ამ „მიწისქვეშა“ ბიძგს ადამიანთა ზნეობრივი არსების სიღრმეებისაკენ მეტნაკლები ძალით ჩვენ ვგრძნობთ ქართული პროზის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებში; თანაც, როგორც ჩანს, მხატვრული აზრი ახლა გეზს იღებს ჩვენი დროის სულიერი განვითარების ერთ-ერთი შესანიშნავი ნაკადისაკენ — სიკეთისა და სიმშვენიერის ორგანიული დაახლოებისა თუ შერწყმისაკენ.

ბრძოლა ნამდვილი განძისათვის

დემნა შენგელაიას „განძი“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. ბევრი რამ არის ამ ნაწარმოებში ისეთი, რაზედაც შეიძლება გაიმართოს დიდი მსჯელობა სინამდვილისადმი გარკვეულ იდეურ-ესთეტიკური დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ნაწარმოების მთელი ამბავი დატრიალებულია წმინდა შემთხვევის ირგვლივ ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, ნაწარმოების ფაბულას საფუძვლად უდევს უეცარი შემთხვევა. ეს მხატვრული ხერხი — სიუჟეტის აგება შემთხვევითობაზე — რამდენადმე ახალია დ. შენგელაიასათვის. რადგან იგი, უპირატესად, ხასიათების ბუნებრივ მოძრაობისა და განვითარების მიმყოლი მწერალია. მისი სიუჟეტები ძეტწილად თვით პერსონაჟთა ხასიათების ბუნებრივ მოძრაობას მისდევენ, მისი ამბებიც და ვითარებებიც ხასიათთა ურთიერთობის ნასკვებს წარმოადგენენ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ „ბათა ქექიას“, „შთაგონებას“, „წითელ ყაყაჩოს“ და თუნდაც მწერლის ადრინდელი ნაწარმოების — „სანავარდოს“ მხატვრულ აღნაგობას.

„განძი“ კი სხვაგვარი აღნაგობისაა. ერთმა უბრალო ქართველმა კაცმა — მშრომელმა, პატიოსანმა კოლმეურნემ — საულიამ ჩაის პლანტაციაში მუშაობის დროს შემთხვევით იპოვა მიწაში ჩაფლული განძი — ოქროს ფულებით სავსე დერგი. ამ შემთხვევამ ერთბაშად შეატრიალა საულიას ბედი, იგი დადგა მწვავე ზნეობრივი გამოცდის წინაშე, რაც უმალვე მძიმე დრამად განვითარდა.

როგორც ვთქვით, აქ საქმე გვაქვს წმინდა შემთხვევითობასთან, რადგან მიწაში ჩაფლული ოქროს პოვნას უშუალო და პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არა აქვს არც გარემო პირობებთან, არც არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან. არც თვით პერსონაჟის მიზანსწრაფულ მოქმედებასა თუ ქცევასთან. დერგი თავისთვის იყო მიწაში, საულიაც თავისთვის მუშაობდა პლანტაციაში, მათი გზები მხოლოდ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. მაშასადამე, ეს შემთხვევა არ არის ტიპიური, რადგან ასეთი რამ ძლიერ იშვიათად,

ათასში ერთხელ ხდება ხოლმე. მაგრამ თუ შემთხვევითობას დავარქმევთ ისეთ მოვლენასაც, რომელსაც უშუალო და პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი აქვს წინარე მდგომარეობასა თუ მოქმედებასთან და რომელიც ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელი არ არის, მაშინ ასეთი შემთხვევითობა ტიპიურია. მაგალითად, მ. შოლოხოვის „ადამიანის ბედის“ ამბავში ბევრი რამ არის შემთხვევითი: სოკოლოვის ტყვედ ჩავარდნა, მისი ცოლშვილის დაღუპვა, უდედმამო ბავშვთან შეხვედრა და სხვ. მაგრამ ყველა ეს შემთხვევა ტიპიურობას არ არის მოკლებული. ვთქვათ, არც დიდი თევზის დაჭერის შემთხვევაც ჰემინგუეის „მოხუცსა და ზღვაში“, რადგან ყოველთვის შესაძლებელია მეთევზემ დაიჭიროს დიდი თევზი. ასევეა სტეინბეკის „მარგალიტშიც“ — ბავშვს რომ მორიელმა უკბინა, კი-ნომ რომ დიდი მარგალიტი იპოვა, რადგან ყოველთვის შესაძლებელია ღარიბულ ფაცხაში დაიბუდოს მორიელმა, ყოველმა მარგალიტის მაძიებელმა იპოვოს დიდი მარგალიტი. არსებითად ასეთი შემთხვევები ის ერთეულობანია, რომელთაც ჰეგელი ზოგადის გამოხატულებად თვლიდა მხატვრულ მოქმედებაში.

ამრიგად, ტიპიური შემთხვევები თავისთავად შეიცავენ ბუნებრივ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიურ ნიშნებს, მაგრამ ისეთ შემთხვევას, როგორიცაა მიწაში ჩაფლული ოქროს პოვნა, თავისთავად ტიპიურობის რაიმე არსებითი ნიშანი არ გააჩნია. ასეთ შემთხვევას, ისე, როგორც, ვთქვათ, ცოდან ჩამოვარდნილ მეტეორს, შეუძლია მხოლოდ შეგვაკრთოს ან გაგვანცვიფროს, აღგვაფრთოვანოს ან თავზარი დაგვცეს თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით. კერძოდ, დ. შენგელაიას „განძში“ ოქროს პოვნის შემთხვევა ნაწარმოების მხატვრული ფორმის ისეთი ელემენტია, რომელიც მხოლოდ მოქმედი პირის ზნეობრივი ბუნების გამოსაცდელად არის შექმნილი. როგორც ვთქვით, ფორმის ეს კომპონენტი თავისთავად რაიმე ტიპიურ ნიშანს არ შეიცავს, მაგრამ ამის გამო, არ შეიძლება იგი გავიტანოთ აქტიური მხატვრული ფორმის გარეთ. გარდა იმისა, რომ ასეთი ხერხები თუ ფორმები საკმაოდ ხშირად და ეფექტურად არის გამოყენებული წარსულის ბევრ მხატვრულ ქმნილებაში, თვით მხატვრული შემოქმედების ბუნება გულისხმობს საგანთა უაღრეს ინდივიდუალიზაციას და მას შეუძლია სრულიად განსაკუთრებული ხერხებითა და საშუალებებით გადმოგვცეს გარკვეული ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მისწვდეს სინამდვილის არსებით ნიშნებს და შექმნას ტიპიური სახეები. მაშასადამე, მთავარია ის, თუ როგორ აქცევს შემოქმედი თავისი ფანტაზიით მიკვლეულ ფორმას სინამდვილის მხატვრული ათვისების საშუალებად, როგორ და-

ეუფლება სინამდვილეს და რამდენად მართალ, დამაჯერებელ და წარმტაც სურათს გადაგვიშლის თვალწინ.

მხატვრული ხერხებისა და ფორმების შეზღუდვა და დაკანონება არსებითად მხატვრული შემოქმედების აღკვეთა იქნებოდა, რადგან იგი სწორედ ფორმათა მუდმივი ძიება და აღმოჩენაა. ხოლო ფორმათა უშრეტ წყაროს შეადგენს, ერთი მხრივ, თვით სინამდვილის უსასრულო მრავალფეროვნება და უწყვეტი განვითარება. მეორე მხრივ კი, სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ინდივიდუალურ კომპლექსთა ულევი ნაირსახეობა. ამას ერთვის ადამიანთა შემოქმედებითი აზრის დიდი ნამოღვაწარიც — ტრადიციული ფორმების მემკვიდრეობითი ნაკადიც. ზღაპარი რაა, ზღაპარიც კი, როგორც ფორმა, შესაბამისი ისტორიული სახეცვლილებით დღესაც ხომ ინარჩუნებს სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გამოხატვის ერთგვარ უნარს. ლოცვა, ფიცი, ღაღადისი თითქოს სამუდამოდ უნდა გადაჰყოლოდნენ თავიანთ ვითომდა პირველსათავეს — რელიგიურ წარმოდგენათა სამყაროს. მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაში ამ ფორმების გამოყენების უბრწყინვალეს მაგალითებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათ ძალა არ დაუკარგავთ ისეთ დარგშიც კი, როგორიცაა პოლიტიკურ-პუბლიცისტური აზროვნება.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ერთი კერძო კამათიც უნდა გავიხსენო. ერთ ამხანაგურ საუბარში რამდენიმე კაცი ამტკიცებდა, გოტიკა, როგორც არქიტექტურული ფორმა, მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობის ნაყოფი და ქრისტიანულ-რელიგიური მისწრაფებების გამოხატულება არისო. ჩემი აზრით, ეს საფუძველშივე მცდარი შეხედულებაა. ეს იმასა ჰგავს რომ ვთქვათ, რაკი არსებობდა საეკლესიო გალობა, თვით გალობასაც მხოლოდ ეკლესიური შინაარსი ჰქონდაო. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის: გალობა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა მუსიკალური გენიის ნაყოფია... ასევეა გოტიკაც. იგი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ეპოქის გარკვეულ სოციალურ-ეროვნული ფენის ადამიანთა არქიტექტურული გენიის ნაყოფია და როგორც ასეთი, ალბათ, თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთი სამემკვიდრო საფეხურიცაა. ეჭვი არ არის, რომ ქრისტიანულმა წარმოდგენებმა გარკვეული ფაქტორის როლი შეასრულეს გოტიკური ფორმების განვითარებაში. მაგრამ თუ ეს ფორმები მომწიფებული არ იქნებოდა მთელი წინა პერიოდების არქიტექტურის განვითარებით, რასაც, ცხადია, მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა, ვერავითარი ქრისტიანობა ვერ წარმოშობდა მათ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დაახლოებით ასეთივე კანონზომიერება მოქმედებს სხვადასხვა მხატვრული ფორმების განვითარებაშიც.

ყოველივე ეს იმას მოვაყოლეთ, რომ შემთხვევითობა, რაც „განძის“ სიუჟეტურ ღერძს შეადგენს, სრულიად უფლებამოსილი მხატვრული ხერხია. ახლა ვნახოთ, რამდენად გამოიყენა მწერალმა ეს ხერხი სოციალური ხასიათის სიმართლის მისაგნებად.

კოლხეთის ბუნების ძუნწად, მაგრამ მკაფიოდ შესრულებული სურათების ფონზე გვაცნობს მწერალი თავისი ამბის გმირებს. უკეთ ვთქვათ, პეიზაჟური სურათები აქ ჩაწერილია ადამიანების შრომასა და განცდებში. დ. შენგელაიას სიტყვიერი ფერწერა ძლიერია. საულია „ჩას“ ბარავს ნადარბაზევთან და მისი შრომის მსვლელობაში თანდათან თვალწინ გვეშლება ამ ადგილ-გარემოს სურათი, თითქოს ამობრუნებული ნოტიო მიწის მსუყე სუნიც გვცემს. იქვე საულიას ახალგაზრდა ცოლი, თასმასავით ტანმოქნილი ფუნდუ ჩაის დუყებს ჰკრეფს, ორივე ხელს წამოფოთლილ ჩაის სიხშოში აფათურებს და ჩვენ ვხედავთ, ჩაის ხუჭუჭა ბუჩქების ჩამუქებულ მწკრივებს. ქვემოთ გადაშლილია თვალშეუდგამი ვაკე, ხვატში გატრუნული სიმინდის ყანებით, პალიასტომის ნოყოები და ჭაობები; იქით კიდევ ბარისპირივით მოლაპლაპე მდორე რიონი მოჩანს. ყანას თეთრი ნაჭრებით თავწაკრული კოლმეურნეები შესევიან და „ოდოიას“ აგუგუნებენ. ეს გუგუნი გვალვის გუგუნს უერთდება. თითქოს ყოველივე ეს თვით კოლხეთის ღადღადა ფერადებით არის დაწერილიო.

შრომობს ხალისით და იმედებით სავსე კაცი. მაგრამ საღამო ჟამს მას ბოროტ ბედისწერასავით გადაუჭრა გზა სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ. ნადარბაზევის ანწლმოდებულ კუთხეში საულია წააწყდა მიწაში ჩაფლულ დერგს, სავსეს ოქროს ფულებით. მთელი ეს ეპიზოდი დაწერილია დ. შენგელაიასათვის დამახასიათებელი სიმძაფრით. იგი სავსეა რაღაც ტრაგიკული და შემაზრზენი სიმბოლიკით. ჭაბე, ცივი და რამდენიმედ მისტიკურად შეფერილი დეტალებით. სვრელის თავის ჩამოსასწორებლად საულიამ ბარი რომ დაჰკრა, ქვესკნელიდან ყრუ ბუბუნი შემოესმა. ეს თითქოს ქვესკნელის ძალების ავისმაუწყებელი ხმა არის. მიწამ პირი შავად რომ მოიღო, „ღრადომ თუ სორომ თვალებში რისხვით შემოაბნელა“. საულიამ სოროდან ნოტიო მიწის ამოყრა დაიწყო, „მიწასთან ერთად თითქოს სიბნელეც ამოჰქონდა... ხვრელში თანდათან თენდებოდა და მერე რაღაც ყვითელი შუქი ცივად, უსიცოცხლოდ აკიაფდა“. შემდეგ ის იყო, რომ ხვრელის წკვარამ წყვდიადში, რაშიაც საულია ხელს აფათურებდა, რაღაც შემზარავად ასისინდა და „ზამთრის ძილისაგან ნაგვიანევად გაღვიძებული მაისის გველი ორკაპიან ნესტრის სანსაღით ხვრელიდან ზარდამცემად წამოიმართა“.

წარმოიდგინეთ, მთვარის ციცი, უსიცოცხლო შუქით განათებული ყრუ ადგილი და განმარტოებული ადამიანი, რომელიც ზარდაცემული შესცქერის ქვესკნელის სიბნელიდან ამოკლაკნილ წითელ გველს, თავს იქეთ-აქეთ რომ ასხმარტალებს. ეს მართლაც სულისგამყინავი სურათი თითქოს სიხარბისა და თავკერძობის იმ ბნელი ინსტინქტების თავისებური ესთეტიკური დახასიათება-შეფასებაა, რომლებიც შემთხვევით ნაპოვნმა განძმა გააღვიძა საულიას სულში.

საულიამ ვერ ჩააბარა გამოცდა. ოქროს პირველშეხებისთანავე დაირღვა, დაიშალა მისი ზნეობრივი არსება. იგი ცდილობს მიითვისოს ნაპოვნი განძი, დაუმალოს ქვეყანას: საყვარელ ცოლსაც დიდი გვემისა და ძრწოლის შემდეგ გაუმხელს საიდუმლოს. მაგრამ როცა ცოლის მხრივ გამხელის საშიშროებას იგრძნობს, გამხეცებული მივარდება და ფეხმძიმე ქალს მუცელში წიხლს ჩასცხებს, რასაც. როგორც ვიცით, ცოლის დაღუპვა მოჰყვება. ამრიგად, როგორც მწერალი გვარწმუნებს, „იმ სისხლიანმა ბნელმა წარსულმა და გარდასულმა ჟამთა სიავემ თავისი სიხარბით, ბოროტებითა და ძარცვა-გლეჯით თითქოს იქიდან ცაცი გადმოჰყო და ბრჭყალები ყელში ჩაუჭირა საულიას", წარუკვეთა ნებისყოფა, მოუკლა საზოგადოებრივი გრძნობა, ჩაუქრო შრომის ხალისი. დაუბრმავა სულის ყველაზე ფაქიზი, ყველაზე მგრძნობიარე და ყველაზე მხედველი თვალი — თვალი სიყვარულისა. ერთი სიტყვით, „ნახე, თუ ოქრო რასა იქნს. კვერთხი ეშმაკთა ძირისა". ეს ხომ ჯერ კიდევ შოთამ თქვა, თქვა და შესანიშნავადაც ჩაგვახედა ოქროს მოყვასთა სულში:

ვა, ოქრო მისთა მოყვასთა
აროდეს მისცემს ლხენასა.
დღედ სიკვდილამდე სიხარბე
შეამქნევს კპილთა ღრჭენასა;
შესდის და გასდის, აკლია,
ემდურების ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაებამს,
დაუშლის აღმაფრენასა.

შოთამ, ცხადია, ეს თქვა სულ სხვა დროისა და სულ სხვა სულიერი კონსტიტუციის ოქროს მოყვარეებზე. მაგრამ ოქრომ საულიასაც ხომ დაუბა სული, დაუშალა აღმაფრენა. რაშია საქმე? გვაჯერებს თუ არა საულია თავის საქციელში? არის თუ არა ამ საქციელში ჩვენი დროის სოციალური ხასიათის სიმართლე? რატომ გაიღვიძა საულიას სულში ასეთმა სიხარბემ და გამდიდრების ყოვლისჩამთქმელმა ენებამ? იქნებ, ყოველი და ყველა დროის ადამიანი ასეთია, ე. ი. იქნება სიხარბე, მომხვეჭელობა, ეგოიზმი, ოქროსმოყვარე-

ობა და ანგარება, ადამიანის ბუნების მარადიული თვისებებია და მათი ამოძირკვა ადამიანთა ფსიქოლოგიიდან არავითარ ძალას, არავითარ სოციალურ პროგრესს არ ძალუძს? აი, კითხვები, რომლებიც ბუნებრივად გვებადება საულიას თავგადასავლის გამო.

თავის დროზე დიდი რუსი მწერალი — დოსტოევსკი ფიქრობდა, რომ „ბოროტება კაცობრიობაში სუფევს უფრო ღრმად, ვიდრე ფიქრობენ მკურნალი სოციალისტები, რომ საზოგადოების ვერც ერთ წყობაში ვერ აიცილებთ ბოროტებას, რადგან ადამიანის სული იგივე დარჩება, რომ არანორმალობა და ცოდვა მომდინარეობს თვით ამ სულიდან“... ამიტომ, მისი აზრით, არცერთ ადამიანს არ შეუძლია იყოს მსაჯული დამნაშავისა და ბრალეულის, რადგან „თვით ადამიანის მსაჯულმა უნდა იცოდეს თავისთავის შესახებ, რომ იგი საბოლოო მსაჯული არ არის, რადგან თვით იგიც ცოდვილია და სასწორი და საზომი მის ხელში სისულელე იქნება, თუ თვითონ... ქედს არ მოიხრის ჯერ კიდევ აუხსნელი საიდუმლოების კანონის წინაშე და არ მიმართავს ერთადერთ გამოსავალს — ლმობიერებასა და სიყვარულს“.

ამრიგად, ამ თვალსაზრისით ბოროტებასა და უსამართლობას ახსნა და გამართლება თვით ადამიანის ცოდვილ ბუნებაში აქვს. ამიტომ ადამიანებმა ფარხმალი უნდა დაჰყარონ ყოველგვარი ბოროტებისა და უსამართლობის წინაშე და, მსგავსად ალიოშა კარამაზოვისა, მიმართონ მხოლოდ ლმობიერებასა და სიყვარულს, მიენდონ თავისი ცოდვილი სულის შინაგან, იმანენტურ კანონებს.

დოსტოევსკიმ თავისი დროის რუსეთის სინამდვილეში გენიალური მხატვრის თვალით დაინახა ბევრი ბოროტება, ბევრი სულიერი მანკიერება, რაც საუკუნეობრივი სოციალური უკუღმართობით იყო გამომუშავებული და ჩაკვერილი ადამიანთა ფსიქოლოგიაში. ჯადოქარმა მხატვარმა ეს ფსიქოლოგია უდიდესი ძალით გამოხატა თავის დიდებულ მხატვრულ ქმნილებებში. მაგრამ სულიერი მანკიერებანი, რაც ასე ღრმად იყო ფესვგამდგარი მის დროინდელ საზოგადოებაში, მან ყველა დროისა და ყველა წრის ადამიანების თვისებად მიიჩნია. ადამიანის სულის იმანენტურ კანონად სცნო. ეს იყო დიდი მხატვრის მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობისა და წინააღმდეგობრიობის გამოხატულება.

ადამიანი თავისთავად, დამოკიდებულებათა და მიმართებათა გარეშე არ შეიძლება იყოს არც კეთილი და არც ბოროტი. მე ცუდი ან კარგი, კეთილშობილი ან ბოროტი, ხარბი ან გულუხვი შეიძლება ვიყო მხოლოდ სხვებთან — ადამიანებთან, საგნებთან და მოვლენებთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში. მაშასადამე, ჩემს ადა-

მიანურ ბუნებას განსაზღვრავს ის, თუ როგორია ჩემი დამოკიდებულება და ურთიერთობა საზოგადოებასთან, ქვეყნიერებასთან, საგნებთან და მოვლენებთან. ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი არსება, სწორედ ამ უამრავ დამოკიდებულებათა და მიმართებათა რთული ქსოვილია.

მაგრამ ჩემს დამოკიდებულებასა და მიმართებას საგანთან განსაზღვრავს არა მარტო ის, თუ როგორი ვარ მე ამ შემთხვევაში, არამედ ისიც, თუ როგორია ჩემი დამოკიდებულების საგანი. საბოლოო ანგარიშში კი ადამიანის ყველა დამოკიდებულების და მიმართების ხასიათი და შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აგებული ის ქვეყანა, ის საზოგადოება, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. ყოველი ადამიანი თავისი ეპოქისა და თავისი სოციალური წრის შვილია. იგი მთელი თავისი სულიერი ავლადიდებით იმ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა ნაყოფია, რომლებიც დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის. საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლისა და განვითარების შესაბამისად იცვლება და ვითარდება ადამიანის ბუნებაც, მისი ფსიქოლოგია. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ შეცვლილ საზოგადოებრივ ვითარებაში ადამიანი მეტნაკლები ხანგრძლიობით არ ინარჩუნებდეს მთელი წინა თაობებიდან მემკვიდრეობად გადმოცემულ თვისებებს.

შოთას ზემოთ მოყვანილ სტროფს თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ პოეტი ოქროსმოყვარეობასა და სიხარბეს ადამიანის ბუნების რაღაც თანდაყოლილ თვისებად კი არ მიიჩნევს, არამედ მხოლოდ იმ ადამიანების თვისებად თვლის, რომლებიც რაღაც მიზნთა გამო ოქროს მოყვარენი გამხდარან. ოქრო მხოლოდ „მისთა მოყვასთა“ შეჰყრის სიხარბის კბილთა ღრჭენას, დაუბამს სულს და დაუშლის აღმაფრენას. ამრიგად, დიდი პოეტი ჯერ კიდევ XII საუკუნეში სჭვრეტს ადამიანის ბუნების უმჭიდროეს კავშირს მისი ცხოვრების პირობებთან.

ეჭვი არ არის, რომ ადამიანთა ბუნებაში ბევრი რამ არის ფესვგამდგარი საუკუნეობრივად, მაგრამ ადამიანის ბუნების შინაარსი არ არის მარადიული და უცვლელი. მაგალითად, ხარბი და ოქროსმოყვარე, ისე როგორც გულუხვი და უანგარო, შეიძლება გახდეს ყველა ადამიანი. მაგრამ ერთია ადამიანის ბუნების შესაძლებლობანი და მეორეა ადამიანის ბუნება თავისთავად. ფოლადისაგან შეიძლება დამზადდეს საქსოვი დაზგაც და ქვემეხიც, გუთანიც და მახვილიც, მაგრამ ფოლადი თავისთავად არც დაზგაა და არც ქვემეხი, არც გუთანი და არც მახვილი; იგი მხოლოდ ამა თუ იმ ხარისხის ფოლადია. დაახლოებით ასევეა ადამიანიც. თუ რა შესაძლებლობანი იქცევიან

მისი ბუნების რეალურ თვისებებად, ანუ როგორი გრძნობები და ვნებები, მისწრაფებანი და შეხედულებანი მოიკიდებენ ფეხს ადამიანის ბუნებაში, საკუთრივ დამოკიდებულია მისი ცხოვრების პირობებზე, მის აღზრდაზე და იმაზე, თუ რა სულიერ თვისებათა მემკვიდრეობითი ტვირთი მოჰყვება.

ხოლო თუ ადამიანის ბუნების საყოველთაო თვისებებზე ვილაპარაკებთ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მთავარ ასეთ თვისებას, გარდა მეტნაკლებად მყარი სასიცოცხლო ბიოლოგიური ინსტინქტებისა, შეადგენს გონივრული ამთვისებლობისა და მიზანმისწრაფული მოქმედების მეტნაკლები უნარი, ანუ ის, რომ ყველა ადამიანი გონებით აღიქვამს და ითვისებს გარე სამყაროს, ყველა ადამიანი მიზანსწრაფულად ერევა გარესამყაროს პროცესებში და ცდილობს მათ დაუფლებას. მაგრამ ამ უაღრესად ზოგად ადამიანურ თვისებათა განვითარებასაც, მათ შორის თანდაყოლილ ბიოლოგიურ ინსტინქტების განვითარებასაც, განსაზღვრავს და განაპირობებს ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერება. ავიღოთ თუნდაც ყველაზე მყარი ბიოლოგიური ინსტინქტი — გამრავლების ინსტინქტი, თუ თვალს გავადევნებთ მისი განვითარების გრძელ გზას ადამიანთა საზოგადოებაში, დავინახავთ, რომ იგი ჯერ კიდევ უხსოვარ დროში გარდაიქმნა მარტივი ბიოლოგიური ფორმიდან გარკვეულ ადამიანურ საზოგადოებრივ დამოკიდებულებად — ქალ-ვაჟის სიყვარულის სოციალურ გრძნობად, რომლის ბიოლოგიურ ბირთვს უკვე ფენა-ფენად აქვს შემოგარსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების თითქმის მთელი ისტორია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ თვით ეს გრძნობა, თვით ეს დამოკიდებულება, მართალია, ძლიერ ნელა, თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც იცვლება და ვითარდება ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების შესაბამისად.

ამრიგად, ჩვენ მივადექით არაერთგზის დადასტურებულ ჭეშმარიტებას, რომ სიკეთე და ბოროტება, დადებითი და უარყოფითი, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ცალკეული ადამიანების ხასიათში, სრულად კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის მოვლენებია და არა ადამიანის ბუნების რაღაც მარადიული და უცვლელი საწყისები. ამ დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც მრავალი მაგალითი იმისა, რომ ის, რაც ერთ დროსა და ერთს გარემოში ან ერთი წრის ადამიანებისათვის შეიძლება სიკეთე იყოს, სხვა დროსა და სხვა გარემოში, ან სხვა წრის ადამიანებისათვის ბოროტებად იქცეს.

როგორც ვხედავთ, საულიას თავგადასავლის ახსნა ბევრ რთულ საკითხთან არის დაკავშირებული, ამ თავგადასავლის გამო ჩვენს

კრიტიკაში გამოითქვა სხვადასხვა აზრი. ზოგს ჰგონია, რომ საულიას საქციელი მისი ცხოვრების რაიმე კონკრეტული პირობებით, ან კერძოდ მის პიროვნებაში შემორჩენილი რაიმე განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მიდრეკილებით კი არ არის გამოწვეული, არამედ მით, რომ საერთოდ ადამიანის ბუნებაა ასეთი, რომ ადამიანის ესა თუ ის ქცევა მომდინარეობს დამოუკიდებელი თვისებებიდან. მართალია, დ. შენგელაიამ თავისი გმირების მდიდარი სოციალური გარემო დაგვიხატაო. — გვარწმუნებს ერთი კრიტიკოსი, — მაგრამ მისი დიდი მხატვრული გამარჯვება ის არის, რომ გვიჩვენა ადამიანის ზნეობრივი ბუნების მოძრაობა ამ გარემოსაგან დამოუკიდებლადო. ეს აზრი განვითარებული და „დასაბუთებულია“ შემდეგნაირად:

„მწერლის აზრით, ადამიანის ბუნება საესეა კონფლიქტებით, მაღალი გრძნობებით და მასთან ერთად მიუტევებელი სუსტი მხარეებით; ადამიანში ბუდობს ბევრი ქვენა ინსტინქტი და პიროვნება იმარჯვებს მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ნამდვილად შეებრძოლება მათ. მწერლის თანახმად, არ არსებობს ცალკე დადებითი და ცალკე უარყოფითი თვისებები; ისინი ერთ მთლიანს წარმოადგენენ ადამიანის მდიდარ, დაუშრეტელ, ზნეობრივ სამყაროში. არსებობს მხოლოდ დიდი, გაუთავებელი, ამაღლებული და კეთილშობილი ბრძოლა ადამიანის შიდაბუნებაში და ეს ბრძოლა არის ერთადერთი საწინდარი ადამიანის მაღალი სულიერი საწყისებისა. ამგვარია, ჩვენი აზრით, დემნა შენგელაიას მოთხრობის „განძის“ ჩანაფიქრის ერთ-ერთი მხარე.

ადამიანი არ არის ანგელოზი. თითქოს გვამცნობს ავტორი, ადამიანი არც ნახევრად პირუტყვია, როგორც ამას ამტკიცებს ბევრი თანამედროვე საზღვარგარეთელი ავტორი. ადამიანი, დ. შენგელაიას მოთხრობის მიხედვით, არსებაა, რომელიც ებრძვის საკუთარ უარყოფით თვისებებს. იზრდება, ვითარდება და ერთგვარად აღემატება საკუთარ პიროვნებას. ჩვენ ვართ ის, რასაც ბრძოლით, ნებისყოფით, პიროვნების სიმტკიცით მოვიპოვებთ, ასეთია ავტორის რწმენა. მოთხრობის დიდ მხატვრულ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში არ არიან „უარყოფითი“ და „დადებითი“ გმირები, ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის მისაღები და მიუღებელი ტიპები. ამ მხრივ, დ. შენგელაია შეუდარებლად მაღალ გემოვნებას და ადამიანის ბუნების დახვეწილ ცოდნას ამჟღავნებს“.

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია არა რომელიმე კონკრეტული დროისა და გარემოების ადამიანის ზნეობრივ ბუნებაზე, არამედ საერთოდ ადამიანზე, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ეპოქას ან რომელ საზოგადოებრივ ფენას ეკუთვნის იგი. გამოდის, რომ ადამიანის

ზნეობრივი ბუნების განვითარება და მოძრაობა დროსა და გარემოზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თვით ადამიანის შიდაბუნებაში (!) წარმოებულ გაუთავებელ ბრძოლაზე მაღალ გრძნობებსა და მიუტევებლად სუსტ მხარეებს შორის. მაშასადამე, ადამიანის კარგი თუ ცუდი ყოფაქცევა განისაზღვრება არა დროისა და გარემოების ამა თუ იმ კონკრეტული პირობებით ან ცალკეულ ადამიანებში შემორჩენილი რაიმე გარკვეული სულიერი მიდრეკილებით, არამედ საერთოდ ადამიანის ბუნებით. ამავე დროს, დადებითი და უარყოფითი თურმე ერთი მთლიანი და განუყოფელი ყოფილა ადამიანის ზნეობრივ ბუნებაში.

მაშინ, საკითხავია, როგორღა არჩევს ან რა ნიშნით გამოყოფს თავის ბუნებაში ავსა და კარგს ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის სუბიექტურ სამყაროში ყოფილა ჩაკეტილი და მთელი მისი განვითარება მხოლოდ მის პიროვნებაზე ყოფილა დამყარებული?

ერთი შეხედვით, თითქოს ცუდი არაფერია იმაში, რომ ადამიანი ყოფილა ისეთი არსება, „რომელიც ებრძვის საკუთარ უარყოფით თვისებებს, იზრდება, ვითარდება და ერთგვარად აღემატება საკუთარ პიროვნებას". მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანი ებრძოდეს საკუთარ უარყოფით თვისებებს, მას ხელთ უნდა ჰქონდეს რაიმე საზომი, რაიმე კრიტერიუმი, რომ უარყოფითი და დადებითი გაარჩიოს. ამავე დროს, პიროვნული, სუბიექტური საზომი აქ ნაკლებად გამოდგება, რადგან ერთმა შეიძლება სწორედ ის თვისება მიიჩნიოს უარყოფითად, რაც მეორეს დადებითად მიაჩნია.

ერთი სიტყვით, კრიტიკოსი დ. შენგელაიას მიაწერს მეტად გულუბრყვილო და შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე სუბიექტივიზმს და ეს მიაჩნია მის დიდ მხატვრულ გამარჯვებად.

როგორც ზემოთ ვთქვით, ადამიანის ბუნებაში, ცხადია, ბევრი ავი და კარგია ჩათესილი და ჩაკვერილი საუკუნეობრივად. მათგან ბევრი რამ ჩვენი დროის ადამიანებშიაც არის შემორჩენილი და შემონახული, ზოგი რამ ალბათ მომავალშიც კარგა ხანს შეინახავს თავს, აქა-იქ. მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველ ისტორიულ ეპოქაში, ყოველი სოციალური ფენის ფსიქოლოგიაში ყოველ ავსა და კარგს უაღრესად კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი აქვს, თვალნათლივ მოწმობს, რომ ეს ავი და კარგი ადამიანის ბუნების რაღაც მარადიული თვისებებისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერების კონკრეტული პირობებისაგან. ადამიანთა საზოგადოების განვითარება ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს, რომ ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, ამაღლებს ან აქვეითებს, აკეთილშობილებს ან აფუჭებს რაღაც ისეთი რამ, რაც მისი ბუნებრივ-

ვი ბუნების გარეშე დგას. ამიტომაც სწამს მოწინავე კაცობრიობას, რომ თუ იმ „რაღაც ისეთ რამეს“ მოვსპობთ, ან უკეთ ვთქვათ, გარდავქმნით, თუ ადამიანის ფსიქოლოგიას გავათავისუფლებთ საუკუნეობრივი ნალექებისაგან, ადამიანი, როგორც ბუნების უბრწყინვალესი ფენომენი, წარმოსდგება მთელი თავისი სიდიადითა და სიმშვენიერით. ადამიანის შესახებ შეიძლება იგივე ითქვას, რაც შესანიშნავმა რუსმა პოეტმა ბლოკმა თქვა ქვეყნიერების შესახებ:

«Сотри случайные черты
и ты увидишь: мир прекрасен».

ბოლო თუ იმ ზნეობრივ და ესთეტიკურ კონცეფციას გავყვებით, რასაც დ. შენგელაიას კონცეფციად გვთავაზობენ, მაშინ, მართლაც, ხელიდან უნდა გავაგდოთ ყოველგვარი სასწორი და საზომი, ხელი უნდა ავიღოთ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაზე და მივენდოთ ადამიანის ბუნების სტიქიას, ვუყუროთ, როგორ ებრძვის ადამიანი საკუთარ უარყოფით თვისებებს და როგორ იზრდება და ვითარება იგი საკუთარი პიროვნების ჩარჩოში.

მართლაც, თუ დადებითი და უარყოფითი თვისებები „ერთ მთლიანს წარმოადგენენ“ და ერთი სულიერი „ნივთიერებიდან“, ერთი წყაროდან, ე. ი. ჩვენივე ბუნებიდან მომდინარეობენ, მაშინ როგორღა შეგვიძლია ჩვენ აღვიჭურვოთ შემოქმედებითი მრისხანებით საუკუნეობრივად დალექილ სისაძაგლეთა და საშინელებათა წინააღმდეგ, რასაც გორკი მოგვიწოდებდა, და ვებრძოლოთ კაცისმკვლელებს, ქურდებს, მექრთამეებს, ბიუროკრატებს, სახალხო ქონების დამტაცებლებს, მლიქვნელებს, ბატონკაცობის მოყვარულებს და სხვადასხვა ჯურის მეთავისეებს, რომლებიც, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ბოლომდე არ გადაშენებულან? თუ ყველა დროსა და ყველა პიროვებებში ადამიანი ცოდვილია და მისი ზნეობრივი განვითარება მხოლოდ მის შიდაბუნებაში წარმოებულ გაუთავებელ ბრძოლაზეა დამყარებული, მაშინ თვითეულ ჩვენგანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დაჰგმოს სხვისი საქციელი, თუ მგლის „მორალს“ გაჰყვება: როცა სხვას სჭამს — ეს კარგია, როცა მას სჭამენ — ეს ცუდია.

თუკი „არ არსებობს ცალკე დადებითი და ცალკე უარყოფითი თვისებები“ და თუ „ისინი ერთ მთლიანს წარმოადგენენ ადამიანის... ზნეობრივ სამყაროში“, მაშინ არსებითად წაშლილია საზღვარი უანგარობასა და ანგარებას, გულკეთილობასა და გულღვარძლიანობას, სიუხვესა და სიხარბეს, კაცთმოყვარეობასა და კაცთმოძულეობასა და სხვა მისთანათა შორის!

ვგონებ, არც ერთ დიალექტიკას დღემდე შეურიგებელთა ასეთი

შერიგება არ მოუხდენია. როდესაც საქმე გვაქვს დაპირისპირებული მოვლენების, — ვთქვათ, ბუნებაში — სინათლისა და სიბნელის, სითბოსა და სიცივის, საზოგადოებაში — შრომისა და კაპიტალის, ერთი ფორმაციის გაბატონებული და დაჩაგრული კლასების, ფსიქოლოგიაში — სიყვარულისა და სიძულვილის — ერთიანობასა და ბრძოლასთან, იგულისხმება, რომ ისინი რაღაც ერთ მთლიანს კი არ წარმოადგენენ, არამედ ერთიანი პროცესის ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეებს, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთში იჭრებიან და ერთმანეთს გამორიცხავენ.

მაგრამ იმას, ვისაც ნებსით თუ უნებლიეთ დადებითსა და უარყოფითს, სიკეთესა და ბოროტების კატეგორიები კონკრეტულ ისტორიულ-საზოგადოებრივ სფეროდან გადააქვს განყენებული სუბიექტურობის სფეროში, ყოველთვის ადვილად ეკარგება საზღვარი მათ შორის.

მტკიცება, რომ თითქოს „განძის“ „დიდ მხატვრულ ღირსებას“ ისიც წარმოადგენს, რომ მასში არ არიან „უარყოფითი“ და „დადებითი“ გმირები და რომ „ამ მხრივ დ. შენგელაია შეუდარებლად მაღალ გემოვნებასა და ადამიანის ბუნების დახვეწილ ცოდნას ამჟღავნებს“, — მეტი რომ არ ვთქვათ, — მეტად უსუსურია, როგორც ესთეტიკური პრინციპი, და უსაფუძვლოა ფაქტიურად. არ არის სწორი, თითქოს „განძში “არ იყოს დადებითი სახეები (სხვა საქმეა, რა საკვირველია, თუ რამდენად სრულყოფილნი არიან ისინი). მაშ ვინ არის მოხუცი ოტია (იქნებ, ამიტომაც თვლის ზოგიერთი ამ პერსონაჟს ზედმეტად ნაწარმოებში) ან მომხდარი დრამის მთავარი მსხვერპლი — ფუნდუ, ან კიდევ მთელი ჯგუფი კოლმეურნეებისა, რომელთა სულის დაბმა ვერ შესძლო ოქრომ?

მაგრამ მთავარი სადავო ამ შემთხვევაში ის კი არ არის, არიან თუ არა „განძში“ დადებითი და უარყოფითი სახეები, არამედ ის ესთეტიკური პრინციპი, რომელიც წამოყენებულია ამასთან დაკავშირებით და რომლითაც თითქოს ერთი ხელისმოსმით მოხსნილია ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა — დადებითი და უარყოფითი სახეების პრობლემა. ნუთუ კრიტიკოსი სერიოზულად ფიქრობს, რომ საკმაოა ჩვენმა მწერლებმა თავიანთი პერსონაჟები არ გაჰყონ დადებით და უარყოფით სახეებად და ყველაფერი რიგზე იქნება — დიდ მხატვრულ ღირსებასაც მიაღწევენ, მაღალ გემოვნებასაც და ადამიანთა ბუნების დახვეწილ (!) ცოდნასაც გამოამჟღავნებენ“?

მაგრამ მაშინ, რანაირი გემოვნება და ადამიანის ბუნების როგორი ცოდნა ჰქონია შექსპირს, რომელმაც შეჰქმნა ერთი მხრივ სუ-

ლით ხორცამდე უარყოფითი სახეები — იაგო, დანიის ხელმწიფე კლავდიუსი, გონერილა, რეგანა და სხვ. მეორეს მხრივ კი უაღრესად კეთილშობილი გმირები — ოტელო, ჰამლეტი, კორდელია და სხვ. მაგრამ მოვიდეთ უფრო ახლოს. რა ვთქვათ შოლოხოვზე, რომელმაც დადებითი გმირის ისეთი სახე დაგვიხატა, როგორიც არის სოკოლოვი, და ამავე დროს, ეპიზოდურად, მაგრამ მაინც გვიჩვენა უარყოფითი სახე სამშობლოს საზიზღარი მოღალატისა? მოვიდეთ კიდევ უფრო ახლოს. რანაირი გემოვნება მივაწეროთ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც თავის „ვაზის ყვავილობაში" დახატა ერთის მხრივ ნუნუ უჯირაულისა და გოდერძი ელანიძის დადებითი სახეები, მეორეს მხრივ კი აკმია უჯირაულის, კანკრეს და სხვათა უარყოფითი სახეები?

დადებითი და უარყოფითი სახეების საკითხი რთული საკითხია. შეიძლება ითქვას, რომ წარსულის მთელი დიდი ლიტერატურის, კერძოდ კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურის ერთი მთავარი საერთო პათოსი სწორედ დადებითი გმირის ძიების პათოსი იყო. დღესაც არსებითად დადებითი გმირის დაუცხრომელ ძიებაშია უცხოეთის თანამედროვე პროგრესული ლიტერატურა.

მაგრამ დადებითი გმირის სახეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ლიტერატურისათვის, იმ ლიტერატურისათვის, რომლის საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი როლი განუზომლად გაზრდილია, რადგან ახალი ადამიანის ფორმირება მოითხოვს საუკუნეობრივად განმტკიცებული ვნებების, ინსტინქტების, ემოციების, შეხედულებებისა და წარმოდგენების გარდაქმნასა და განახლებას. სწორედ ამიტომ შეადგენს ჩვენი ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნასა და ძირითად პრინციპს ჩვენი დროის ადამიანების სულიერი სილამაზის, მათი მაღალი მორალური თვისებების მართლად და შთამბეჭდავად ჩვენება, დადებითი სახეების შექმნა, რათა ისინი მისაბაძ მაგალითად იქცნენ ხალხისათვის.

ამრიგად, ამ ესთეტიკურ პრინციპს უშუალო კავშირი აქვს ჩვენი ლიტერატურის ნოვატორულ ბუნებასთან და იგი არ არის შემთხვევით მოგონილი ვიღაცების მიერ, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენება. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ამ საკითხის გაშუქებაში არ იყო დაშვებული ზოგიერთი შეცდომა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკასა და ლიტერატურის თეორიაში. ჩემი აზრით, უეჭველად ცალმხრივი და მცდარი იყო ე. წ. „იდეალური გმირის" თეორია. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აბა რომელი ახალი საკითხი გადაჭრილა ცხოვრებაში ერთბაშად, უშეცდომოდ და უდავიდარაბოდ. თვით ლიტერატურაშიც ხომ გვხვდებოდა და ახლაც გვხვდება ხოლ-

მე ცოცხალ ადამიანურ ვნებებსა და გრძნობებს მოკლებული „დადებითი“ გმირი, რომელიც მხოლოდ სასურველი კარგი თვისებების უბრალო ჯამს წარმოადგენს და არა სისხლსავსე მხატვრულ სახეს. ასეთი სახე, ცხადია, ვერც გვაჯერებს და ვერც გვაღელვებს. მაგრამ არის, მეორეს მხრივ იმის მაგალითებიც, როდესაც, ვითომდა ყველა ამქვეყნიური ვნებებისა და ინსტინქტების მართალი ჩვენების მიზნით, ხატავენ ისეთ დაშლილ და გაჩანაგებულ სახეებს, რომლებიც შესაძლოა, ზოგჯერ კიდევაც გვაჯერებენ თავიანთი წვრილმანი და ზედაპირული სიმართლით, მაგრამ ფრთას ვერ გვასხამენ, ვერავითარ ზნეობრივ და ესთეტიკურ იდეალს ვერ გვისახავენ. უიდეალო ლიტერატურა კი, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ უსარგებლო ანუ მსმენელთათვის არამარგი ლიტერატურაა.

ორივე შემთხვევაში შებღალულია მხატვრული შემოქმედების ბუნებაც, რადგან სამყაროს მხატვრული ათვისება არც უკვე ათვისებულის სხვადასხვა ფერადებით შეღებვას ნიშნავს და არც საგანთა ზედაპირული ნიშნების პირდაპირ და განურჩეველ გადმოწერას.

დ. შენგელაია შორსაა იმისაგან, რომ ყველაფერს თვისობრივ განუყოფლობაში ხედავდეს და განურჩეველად ეკიდებოდეს დადებითსა და უარყოფითს ადამიანებში და ადამიანებს შორის. თავის საკმაოდ რთულ მხატვრულ წარმოსახვებსა და ხილვებში მწერალი არ გაურბის მსჯავრისდადებას. „განძიც“ გარკვეული მსჯავრდადებაა.

მაგრამ „განძის“ ჩანაფიქრი არაა ვითომდა ადამიანის ბუნების მარადიული სისუსტისა და გაორების ჩვენება. ყველა აშკარა ნიშნით „განძში“ მწერლის მიზანია გვიჩვენოს, თუ რაოდენ მავნე და, თუ გნებავთ, რაოდენ პათოლოგიურიცაა ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში სიხარბე, ოქროსმოყვარეობა და პარაზიტული კეთილდღეობისაკენ მისწრაფება. მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელებისას, ჩემი აზრით, მწერალს სწორედ საულიას სახის გამოძერწვაში რამდენადმე დაერღვა მხატვრული ზომა, სადღაც დაკლდა საჭირო საღებავი. ასე გვგონია, რომ საულია უმალ თავს გვაჩვენებს ოქროთი გაგიჟებულ კაცად, ვიდრე ნამდვილად არის, თითქოს როლს ასრულებს და ეს როლი მისი როლი არ არისო. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ თითქოს ჩვენს დროში, ჩვენს საზოგადოებაში არ შეიძლება იყვნენ ხარბნი და ოქროსმოყვარენი. ასეთი წარმოდგენა თავის მოტყუება და ნეტარმორწმუნეობრივი სიყეყეჩე იქნებოდა. ჯერ ერთი, ისეთი ადამიანური ვნებები, როგორიცაა სიხარბე, ოქროსმოყვარეობა, შური, ეგოიზმი და სხვა მისთანანი, იმდენად მჭიდე ინსტინქტებისაგან არიან ნაკეთები, რომ მათი აღმოფხვრა არც თუ ისე ადვილი საქმეა. მეორეც, ცნობილია, რომ

ჩვენს საზოგადოებაში ჯერჯერობით საარსებო საშუალებების განაწილება ხდება შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და, მაშასადამე, ადამიანთა ნივთიერი კეთილდღეობა არ არის თანაბარი და ერთნაირი. მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ მტკნარი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნივთიერი კეთილდღეობის ამ უთანაბრობას არ გააჩნდეს ისეთი ნაოჭები თუ ნაკეცები, რომლებშიც არ შეეძლოს გაღვივება სხვადასხვა ეგოისტურ ვნებებს, მათ შორის სიხარბისა და ოქროსმოყვარეობის დახანებულ თესლს. სწორედ ამგვარ ნაკეცში ვერ მოაქცია მწერალმა საულია და, მაშასადამე, მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს მოაკლო მხატვრული კონკრეტულობა; სწორედ ამან აფიქრებინა ზოგიერთს, რომ მწერალი თითქოს საერთოდ ადამიანის ბუნების რაღაც მარადიულ გაორებას გვიხატავს სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ერთი სიტყვით, საულიას ხასიათი ვერ არის საკმაოდ შემზადებული თავისი თავგადასავლისათვის. სანამ ოქროს იპოვნიდეს, იგი მორალურად მთლიანი და თანამედროვე სულისკვეთების პიროვნებაა. როგორც ჩანს მწერალმა იგრძნო, რომ ასეთი ხასიათი მთლად ბუნებრივად ვერ მიდიოდა თავისი შესაძლებელი გამოვლენისაკენ და ამიტომ შეიტანა მის ბიოგრაფიაში საგულისხმო დეტალი. ოდესღაც საულიას ერთი მტკაველი მიწის გამო მეზობლისათვის წალდი მოუქნევია და კინაღამ მოუკლავს. ამის შემდეგ იგი განრიდებია მოსისხლეებს და სვანეთიდან კოლხეთში გადმოხვეწილა. ეს, რასაკვირველია, მეტყველებს საულიას გარკვეულ მესაკუთრულ მიდრეკილებაზე, მაგრამ მას შემდეგ საულიას ცხოვრებისა და შრომის კარგი სკოლა გაუვლია. ახლა იგი ამ შემთხვევის მოგონებაზე ხომ ისე ოხრავს, რომ თითქოს გულსაც თან ატანსო. მაშ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი წარსული ცოდვისაგან განწმენდილი ადამიანია. რაც შეეხება სათნო მოხუცის — რკინიგზის დარაჯის — ოტიას გულარძნილებას საულიას მიმართ, რომ მას „ბალღობიდანვე მისგან ნანებიერები და ასე ნაზი, უთქმელი ქალი“ — ფუნდუ — რატომღაც არ ემეტებოდა საულიასათვის, „სულ ეშინოდა. ამ ბრგე ვაჟკაცის უხეშობამ და გულფიცხობამ საწყალი გოგო არ დამიჩაგროსო“ — ეს ხომ მხოლოდ გუმანია. დ. შენგელაიას მეტად მახვილი სმენა აქვს ადამიანთა ფსიქოლოგიის ასეთი ყრუ ტონების მიმართ, მაგრამ თავისთავად ეს გუმანი ღრმა მხატვრულ მოტივად მაინც ვერ არის ვადაქცეული.

საულია „ერთი მშრომელი, ხელმართალი და ჭირსა და ლხინში ღმერთმა შოგცესო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ყაზახი იყო. შენ ჩემობა და წუწურაქობა ჭირივით სძულდა და საერთო საქმე თავის

პირად საქმედ მიაჩნდა". კოლექტივში შრომასაც ისე შეჩვეოდა, რომ გული სულ იქით მიუწევდა. იგი ნივთიერადაც წელმომაგრებული კაცია. მართალია, ჯერ მხოლოდ პატარა ქოხი უდგას. მაგრამ უკვე ყველა შესაძლებლობა აქვს განახორციელოს გულისწადილი, აიშენოს ახალი სახლი, გამართოს ოჯახი, წაიყვანოს ქალაქში თავისი საყვარელი მეუღლე და იქ კარგ ექიმებთან უმკურნალოს, რომ უძეოდ არ დარჩენენ, ბევრი წარმტაცი სანახაობა უჩვენოს, გაახაროს და გაახალისოს. არ ჩანს, რომ საულიას შურდეს რომელიმე მეზობლის კეთილდღეობა, ან ეხარბებოდეს ვინმეს მიერ უპატიოსნო გზით მოხვეჭილი სიმდიდრე, ან კიდევ ვინმე მას ავიწროვებდეს და აბოროტებდეს; საულიას წინ უდევს პატიოსანი მშრომელი კოლმეურნის, მოსიყვარულე ქმრისა და კარგი მოქალაქის გზა. მას არაფერი უშლის ხელს, რომ ამ გზას გულდანდობილად გაჰყვეს, ერთი სიტყვით, არც გარემო ეითარები: რაიმე კონკრეტულ კოლიზიაში, არც თვით მისი ხასიათის ემოციურ და ინტელექტუალურ შედგენილობაში არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელ შემთხვევაში ოქრო დაიპყრობს მის სულს, დაშლის მის ზნეობრივ არსებას.

და აი ასეთ კაცს ნაპოვნი ოქროს დანახვისთანავე იმდენად შეიპყრობს სიხარბე და პარაზიტული ცხოვრების წყურვილი, რომ რეალობის გრძნობასაც კი ჰკარგავს. საულიამ იცის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი კანონის მიხედვით, მას არა აქვს უფლება მიითვისოს ნაპოვნი ოქრო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქურდულად მაინც მიითვისებს, მას შეუძლია იფიქროს მხოლოდ იმაზე, რომ რაღაც ბნელი გზებით, დასჯისა და განკიცხვის მუდმივი შიშის ქვეშ, ოქრო აქციოს უშრომელი შემოსავლის წყაროდ. მაგრამ, რასაკვირველია, იგი ვერც საკუთარ ქარხნებსა და ფაბრიკებს აიშენებს, ვერც საკუთარ ადგილ-მამულებს შეიძენს. ერთი სიტყვით, მან იცის, რომ იმ საზოგადოებაში, რომელშიც იგი ცხოვრობს და რომლის კარგი და ერთგული წევრი იყო აქამდე, ოქროს უკვე დიდი ხანია აღარ აქვს ის ფუნქცია, რაც მას აქვს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, ოქროს იგი მაინც ისე ებღაუჭება, როგორც ვთქვათ მას ჩაებღაუჭებოდა გამდიდრებაზე მეოცნებე კაცი სულ სხვა დროსა და სულ სხვა საზოგადოებაში. საულია საშინლად იტანჯება, საშინლად წვალობს, მთელ მის არსებას აჩანაგებს და აფორიაქებს მეტად მწვავე ბრძოლა, რომელიც ოქროს პოვნისთანავე ატყდა მის სულში, მის ვნებებსა და შეგნებას შორის, მის ემოციურ და ინტელექტუალურ საწყისებს შორის. მწერალი უეჭველად ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლის გზაზე დგას, როდესაც გვიჩვენებს, რომ ვნებები, ინსტინქტები, ემოციები, ადამიანში გაცილებით უფრო კონსერვა-

ტიული და „უძრავი "არიან, ვიდრე შეგნება. მაგრამ, ვფიქრობ, მხატვრული სიმართლე იბღალება მით, რომ საულიას ვნებებსა და ემოციებს არ აზის მისი ცხოვრების პირობების შესაბამისი განსაკუთრებული დაღი, არა აქვს კონკრეტული შინაარსი, თუ კონკრეტული მისამართი.

ერთი სახელდახელო პარალელი.

სტეინბეკის კინომაც იპოვა დიდი მარგალიტი. იქ, რასაკვირველია, სულ სხვა სოციალური გარემოა და მარგალიტსაც სულ სხვა ფუნქცია აქვს. კინოც სულ სხვა სულიერი კონსტიტუციის ადამიანია. მისი ბედის მსგავსება საულიას ბედთან მხოლოდ იმაშია, რომ მის სულსაც იპყრობს და აფორიაქებს მარგალიტი, ისიც გააფთრებით ებღაუჭება ამ ძვირადღირებულ ნივთს, ისიც სცემს ერთგულ ცოლს, როდესაც ეს უკანასკნელი ცდილობს ისევ ზღვაში გადააგდოს მარგალიტი, რადგან იგი უბედურების ბომბად მავნე საგნად მიაჩნია. მაგრამ კინოს სულში აღძრულ ყველა ემოციას, ყველა ვნებას აზის მისი ცხოვრების პირობების შესაბამისი დაღი და აქვს კონკრეტული მისამართი. კინო ოცნებობს იმაზე, რომ მარგალიტში აღებული ფულებით გამდიდრდება. ახალ ხელსაწყოებსაც შეიძენს, თვითონაც გამოეწყობა, ცოლსაც და უსაყვარლეს შვილსაც კარგად გამოაწყობს და, რაც მთავარია, შვილს სკოლაში შეიყვანს, სადაც იგი ისწავლის წერას და ნაწერის წაკითხვას. ისწავლის ციფრებს, გაიგებს ნამდვილ სიმართლეს, თუ რატომ იჩაგრება მისი თვისტომი ხალხი, და ამის მეოხებით ისინი გახდებიან თავისუფალი ადამიანები.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პერსონაჟის გრძნობები და ვნებები ნაწრთობია მისი ცხოვრების კონკრეტული ვითარებით, დამუხტულია დროისა და გარემოს სულით. ეს არის მხატვრული კონკრეტულობა.

ასეა სინამდვილეშიც, ცხოვრებაშიც: ყოველი ადამიანური ვნება და გრძნობა — სიყვარული იქნება იგი თუ სიძულვილი, გულუხვობა თუ სიხარბე, შური თუ ეჭვი — ყოველთვის დროისა და გარემოების თარგზეა აჭრილი. მათ ყოველთვის აქვთ გარკვეული ეპოქისა და გარკვეული სოციალურ-ეროვნული წრისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული წრთობა, განსაკუთრებული ჯავრი.

საულიას სიხარბესა და ოქროსმოყვარეობას კი, როგორც ვთქვით, აკლია სწორედ ეს განსაკუთრებული წრთობა მისი ცხოვრების რაიმე განსაკუთრებული ვითარებით ან მის ფსიქოლოგიაში შემორჩენილ რაიმე განსაკუთრებული მიდრეკილებით. საულიას სულში აღძრული ვნება თითქოს უთარგო და უმისამართოა. მისი სიხარბე არის საერთოდ სიხარბე, ნაკლებ განსხვავებული და ნაკლებ ინდივიდუა-

ლიზირებული. ამიტომაც გამოიყურება მისი საქციელი ანუ მისი ხასიათის ასე მკვეთრი შებრუნება რამდენადმე არაბუნებრივ მოულოდნელობად. ლაპარაკია სწორედ არაბუნებრივ მოულოდნელობაზე და არა ისეთ მხატვრულ მოულოდნელობაზე, რაც არსებითად თვით ხასიათთა და საგანთა ახალი მხარეების მიკვლევასა და ჩვენებას ნიშნავს. ბევრ კარგ მხატვრულ მოულოდნელობას ვიპოვით ჩვენ თვით დ. შენგელაიას ნაწარმოებებში. მაგრამ აქ მაინც სჯობს გავიხსენოთ უბრწყინვალესი და საყოველთაოდ ცნობილი ნიმუში. ხასიათის ერთობ მკვეთრი შებრუნება და დიდებული მხატვრული მოულოდნელობაა იმაში, რომ ფრიად კეთილშობილი ბუნებისა და კრისტალურად წმინდა სინდისის გმირს ისეთი შემმუსვრელი ეკვიანობა შეიპყრობს, რომ უსაყვარლეს არსებას ახრჩობს. ამაღლებული გრძნობებითა და უფაქიზესი სიყვარულით სავსე ადამიანი შებრუნდება ჩვენს თვალწინ და ველურ ვნებათა საშინელ მოვარდნას გვიჩვენებს. მაგრამ რა მტკიცე შინაგანი ლოგიკა და რა დიდი ბუნებრივობაა ამ მოულოდნელობაში, რა გენიალურად არის შემზადებული ხასიათი თავის ამ უმძაფრესი გამოვლენისათვის. ის არის მრავალჭირნაცადი, დიდსულოვანი და მამაცი მეომარი, მაგრამ შავკანიანი ქედმაღალ და დაუნდობელ თეთრკანიანთა შორის. და მისი დიდი ადამიანური ვნებაც სწორედ იმიტომ არის ესოდენ ზოგადკაცობრიული, რომ იგი აღძრული და ნაწრთობია მისივე მკაფიოდ გამოკვეთილი პიროვნული ბედით, დროისა და გარემოების კონკრეტული ვითარებით.

ზოგჯერ ხასიათის მკვეთრი და მოულოდნელი შებრუნება ამა თუ იმ სოციალური ტიპის მხილების ხერხიცაა. გგონია, რომ თქვენს წინ დგას შესანიშნავი ადამიანი, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რომელიმე ახალ ვითარებასა და ურთიერთობაში უეცრად აღმოჩნდება, რომ ნამდვილად იგი სულმდაბალი და ბიწიერია, ანდა პირიქით. მაგრამ ხასიათის ყოველი ასეთი მკვეთრი შებრუნება მხოლოდ მაშინ არის დამაჯერებელი და მხატვრული სიმართლის შემცველი, თუ იგი პერსონაჟის ფსიქოლოგიური წყობის შინაგანი წინააღმდეგობის, ან რაიმე სულიერი თვალთმაქცობის გამჟღავნებაა და არა ხასიათის ლოგიკის დარღვევა. მაგალითად, გორკის შემოქმედებაში ხასიათთა ყოველი მოულოდნელი გამოვლინება არსებითად ყოველივის ამა თუ იმ სოციალური ტიპის გამომჟღავნებაა (მოვიგონოთ მაწანწალა ჩელკაში, გლეხი გაბრიელი და სხვ). თანამედროვე უცხოელ მწერალთა შორის, რამდენადაც მე ვიცი, გრეჰემ გრინი ხშირად გვიჩვენებს ხასიათთა მოულოდნელ, თითქმის ალოგიურ სახეცვლილებას. მწერლისათვის ეს ხასიათის გამჟღავნების ხერხია. ზოგჯერ

გრჩებათ. შთაბეჭდილება, რომ მწერალი თითქოს ნიღაბს ხდის საერთოდ ადამიანს. მისი ბუნების რაღაც მარადიულ საწყისებს. სუბიექტურად, მწერლის მსოფლმხედველობის მიხედვით, შესაძლოა, ნაწილობრივ ეს ასეც არის. მაგრამ ობიექტურად მწერლის სახეთა მოძრაობასა და განვითარებაში მაინც ჩანს თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს სოციალური ტიპების ბუნება, ერთგვარი სოციალური მიმიკრიის ლოგიკა.

საულიას თავგადასავალი არ არის ნიღაბის ახდა, იგი უმალ ზნეობრივი ნორმის მტკიცებაა. მართალია, მწერალმა, ბოლომდე ვერ აქცია შემთხვევითობა ტიპიური ინდივიდუალიზაციის საშუალებად, მაგრამ ხასიათი მაინც ისე წარმართა, რომ გვიჩვენა სიხარბისა და ოქროსმოყვარეობის შეუთავსებლობა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ კოდექსთან. საულიას სულში ბოლოს მაინც იმარჯვებს ზნეობრივი შეგნება. „განძში" არის ერთგვარი მინიშნება იმისა, რომ ნამდვილი განძი ნაპოვნი ოქრო კი არ არის, არამედ გარდუვალი ზნეობრივი ღირებულება, რასაც მხოლოდ შრომა ქმნის და რაც პიროვნების მთლიანობაში პოულობს გამოხატულებას (ოტია და ფუნდუ როგორც მთლიანი პიროვნებანი უპირისპირდებიან საულიას); სამწუხაროდ, ეს მოტივი სრულ მხატვრულ გადაწყვეტას ვერ პოულობს ნაწარმოებში.

ზოგიერთ შენიშვნას იწვევს საულია აგრეთვე როგორც ეროვნული ხასიათი. ქართველი კაცის ხასიათში საკმაოდ მტკიცედ არის შემონახული ბევრი რამ ქალის კულტისა თუ ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების საუკუნეობრივი ტრადიციიდან. ქალის მანდილი სასიკვდილოდ შერკინებულ მოსისხლე მტრებსაც კი აგებინებდა ქარქაშში მახვილს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ქალურ საწყისს ქართული ენის აღნაგობაშიც პირველი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენ ვამბობთ: დედამიწა, დედაბოძი, დედ-მამა, ქალ-ვაჟი, და-ძმა, ადგილის დედა და სხვ. მართალია, ქალისადმი უხეში დამოკიდებულების მხრივ საულიას ქართულ ლიტერატურაში ჰყავს თითო-ოროლა წინამორბედი. მაგრამ, ჩემი აზრით, ის ერთგვარად მაინც ამრუდებს ეროვნულ ხასიათს, როდესაც ფუნდუს მუცელში წიხლს ჩასცემს.

ფუნდუ გვაჯერებს თავისი ქალური გულით. ზნეობრივი სიფაქიზით, გვაღელვებს თავისი ტრაგიკული ბედით. ფუნდუს ვერ დაუბა სული ოქრომ, მან უარყო იგი, მან გაჰკიცხა ოქროს ციებ-ცხელებით შეპყრობილი ქმარი. ეს კი დაუჯერებლად და ფსიქოლოგიურ ასიყალბედ მიაჩნია სწორედ იმ კრიტიკოსს, ვინც საულიას საქციელს ადამიანის ბუნების რაღაც მუდმივი იმანენტური კანონებით ხსნის.

ფუნდუს მიმართ კი იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება და სულ გვერდს უვლის ქალის ბუნებას, როგორც ასეთს. მისი აზრით, რაკი ფუნდუ სიობლესა და სიღარიბეში იყო გაზრდილი, ოქროს დანახვაზე მას ელეთ-მელეთი უნდა მოსვლოდა და თვალები სიხარულით გაფართოებოდა.

მართალია, ფუნდუ სიობლეში იყო გაზრდილი, მაგრამ ისეთ საზოგადოებრივ ვითარებასა და ატმოსფეროში, სადაც არ შეიძლებოდა გაღვივებოდა „გაუთავებელი, მაგრამ მაინც ადამიანური წადილი სიმდიდრის ზრდისა, უზრუნველი, მფლანგველური ცხოვრებისა", რაც კრიტიკოსს საერთოდ ყოველი ადამიანის თვისებად მიაჩნია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფუნდუ სულით და ხორცით ჯანსაღი ახალგაზრდა ქალია და, როგორც ყოველი ჯანსაღი ბუნების ახალგაზრდა ქალი, ისიც ხარბია სიყვარულისადმი. ხარბია საყვარელი მამაკაცის სითბოსა და ალერსისადმი. ეს არის მშვენიერი სიხარბე. საულიას და ფუნდუს უყვართ ერთმანეთი და არ შეიძლება ეს სიყვარული ფუნდუს უდიდეს ბედნიერებად არ მიაჩნდეს. ახალგაზრდა ქალი ამ სიყვარულს ვერაფერზე ვერ გასცვლის, ვერ გასცვლის, როგორც იტყვიან ხოლმე, ვერც მის წონა ოქროზე. ფუნდუს ოქრო უნდა უარეყო თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ქალს არ შეიძლება არ შეზიზღდეს ის, რაც მას საყვარელი მამაკაცის გულს წაართმევს. და რა არის დაუჯერებელი იმაში, რომ ფუნდუმ დაჰგმო ქმრის საქციელი და უარყო ოქრო, რამაც შებღალა და შეურაცხყო მისი უწმინდესი გრძნობები ქალისა და მშრომელისა.

ასე წავიკითხე მე ლამაზად და მღელვარედ მოთხრობილი ამბავი „განძი".

1959

დემნა შენგელაია

(დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)

დემნა შენგელაიას ნაწარმოებებს როცა ვკითხულობთ, თვალწინ გვეშლება ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის სურათები. სხვადასხვაგვარ ადამიანთა სახეები. შესრულებული სხვადასხვა მანერით და სტილით. თუ ერთ კუთხეში შეკამჩნევთ ბისტიკისა და ეროსის ქაოსურ ქიმერებს ან ქალაქის ცხოვრების ნატურალისტურად გაშიშვლებულ ფორმებს. მეორე — უფრო ვრცელ მხარეზე დაკინახავთ ადამიანთა ცოცხალ რეალისტურ სახეებს. ჩვენი ხალხის ყოფისა და ჩვენი ქვეყნის ბუნების თვალწარმტაც სურათებს. მიუხედავად ამ კონტრასტული სხვაობისა, რაღაც ნათელ გამაერთიანებელ ტონს მაინც ვიგრძნობთ და ინტერესით მოვაკლებთ თვალს სურათებისა და სახეების მთელ კრებულს.

დემნა შენგელაიას შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ბიოგრაფია მჭიდროდ არის გადაწნული ქართული ლიტერატურის განვითარებასთან ოციანი წლებიდან მოყოლებული. ამ განვითარების ყველა დამახასიათებელი წინააღმდეგობა თავისებურად აირეკლება მწერლის მთელ შემოქმედებაში. ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველი დღიდანვე დემნა შენგელაია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს როგორც თავისი მხატვრული შემოქმედებითი, ისე თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით.

დემნა შენგელაიას მთელი შემოქმედების მაგისტრალურ პენქტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მისი ნაწარმოებები: „სანავარდო“, „ბათა ქექია“, „შთაგონება“ და „წითელი ყაყაჩო“. შუალედი ნაწარმოებები კი პირველთა ან მომდევნოთა ირგვლივ ჯგუფდებიან.

„სანავარდოში“ მწერალი ჯერ კიდევ მოწყვეტილია რეალისტური კლასიკის დიდ ტრადიციებს. აქ მას ერთგვარ ესთეტიკურ ხარისხში აჰყავს თავისი სუბიექტური წარმოდგენა სამყაროს ქაოსურობაზე. მას იტაცებს დაშლილი და დარღვეული ნივთები. იდეები და ინსტინქტები, რაც ფეოდალური არისტოკრატიის დეგრადაციისა-

და აუცილებელი განწირულების ფსიქოლოგიური უკუფენა იყო. არის ამ ნაწარმოებში ტრაგიკული განცდაც იმისა, რომ წარმავალსა და განწირულს თითქოს თან მიჰქონდა რაღაც განუმეორებელი სილამაზე. ამავე დროს „სანავარდო" უხვად შეიცავდა ქართულ ეროვნულ კოლორიტს და ეს რამდენადმე აკავშირებდა მას ეროვნულ ნიადაგთან.

„ბათა ქექია" და მისი ჯგუფის ნაწარმოებები კი უკვე სულ სხვა პოლუსზე დგას. „ბათა ქექია" — ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო რომანი მწერლის მთელ შემოქმედებაში — უკვე ნათელი რეალისტური სწრაფვაა ქვეყნიერების დიდი წესრიგისა და ჰარმონიისაკენ. ამ რომანში ყველაზე მკაფიოდ გამომჟღავნდა, რომ დემნა შენგელაია თავის ბუნებით, თავისი ნიჭის მიდრეკილებით ნათელი გახწყობილებისა და რეალისტური ხედვის მწერალია.

„ეჰ, ნეტამც არ მენახე. რა გინდოდა, შე ოხერო დედაბერო, რას მერჩოდი, რომ მოხველ და ეგრე უმოწყალოდ მოკალი იგი, ჩემ-ოცნებად ქცეული ნამდვილი სიდუ?"

თავისი ადრინდელი მიჯნურისადმი, ახლა უკვე ჩიფჩიფა დედაბრისადმი მიმართული ამ სიტყვებით ამთავრებს თავის გრძელ ამბავს. ჭკვიანი და ენამახვილი, მხიარული და გულგაუტეხელი ქართველი ვლეხკაცი — ბათა ქექია. ამ სიტყვებში ნაღველნარევი იუმორიც არის, დანაკლისის ტრაგიკული განცდაც და სიცოცხლის წარმტაცი მშვენიერების დიდი წყურვილიც.

ამაში თვითონ მწერლის მსოფლშეგრძნების ნაწილიც არის, მისთვის ხომ დამახასიათებელია ერთგვარი შფოთვა ადამიანის ბედის გამო, იმ სილამაზისა და სიკეთის შებღალვის გამო, რაც არის და რაც შეიძლება იყოს ადამიანებში.

ბათა ქექიას მთელი ამბავი, რომელშიც გამოსახულია ქართველი გლეხობის განმათავისუფლებელი მოძრაობის ნახევარი საუკუნის ისტორია — 1905 წლის რევოლუციის ჩათვლით, სავსეა ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის დრამატული სურათებით. მრავალპირნაცადი, მაგრამ მხნე და გულგაუტეხელი ბათა ქექია კარგად განასახიერებს ხალხის ნათელ ბუნებას, მის ჩაუქრობელ ოპტიმიზმსა და დაუცხრომელ მისწრაფებას ცხოვრების გაუმჯობესებისა და გარდაქმნისაკენ.

მთელი თავისი სულიერი წყობით ბათა ქექია ნამდვილი ქართველი კაცია. ეს ჩანს მის ერთ ღრმა ფსიქოლოგიურ თვისებაშიც. მწერალთან ერთად მას სიკვდილის მეტად ტრაგიკული განცდა ახასიათებს. მაგრამ ამაში უიმედობისა და განწირულების სულისკვეთების ნატამალიც არ არის. პირიქით, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარუ-

ლია. შესაძლოა, თავისი ერის მცირერიცხოვნობის ან კიდევ სხვა რაიმე ისტორიული პირობების გამო გამომუშავდა ქართველ კაცში, ერთი მხრივ, ყოველგვარი გულგრილობის გამომთიშავი წყურვილი სიცოცხლისა და, მეორე მხრივ, სიკვდილის საშინელების შეგრძნება. გავიხსენოთ, რა ღრმა ტრაგიკული გრძნობითა და რა პლასტიკური სიცხადით ჰყვება ბათა ქექია პატარა წითელრაზმელის, დედისერთა ჯოგოს შემთხვევითი სიკვდილის ამბავს.

„ბათა ქექია“ მწერლის დიდი ტრამპლინი იყო საბჭოთა საქართველოს ახალი სოციალისტური ყოფის ნათელი რეალისტური სურათებისა და ახალი ადამიანების ცოცხალი, განუმეორებლად თავისებური სახეების შექმნისაკენ.

შემთხვევითი არ არის, რომ თავის რომანს ახალი თბილისის თემაზე მწერალმა „შთაგონება“ უწოდა. მართლაც, აქ საქართველოს მუშათა კლასის ძველი და ახალი თაობის შრომა და ბრძოლა ცხოვრების ახალი სოციალისტური ფორმების დასამკვიდრებლად, საბჭოთა ინტელიგენციის საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააზრებულია როგორც შთაგონებული შემოქმედება, რაც არა მარტო ნივთიერ, არამედ უდიდეს ზნეობრივ და ესთეტიკურ ღირებულებებსაც ქმნის.

მწერალს ხიბლავს ადამიანის გამოსვლა ბნელი და გაუცნობიერებელი ინსტინქტების ტყვეობიდან. ადამიანის ინტელექტუალური ინტერესებისა და თვითცნობიერების ზრდა, რაც დაკავშირებულია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებასთან.

ერთხელ თავის გამოსვლაში დემნა შენგელაიამ თქვა, ჰუმანიზმის გარეშე არავითარი მწერლობა არ არსებობსო. ეს მართალი აზრი მისი შემოქმედებითი პროგრამაც არის. ყველა მის რომანსა და მოთხრობაში იგრძნობა შფოთვა და წუხილი ადამიანის ბედზე, მის სიკვდილ-სიცოცხლეზე.

ღრმა ჰუმანისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული დემნა შენგელაიას ნაწარმოები სამამულო ომის თემაზე „წითელი ყაყაჩო“. ეს ნაწარმოები მოგვითხრობს იმაზე, რომ ომმა, რომელშიც საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი მორალური თვისებები და უღრმესი პატრიოტული შეგნება გამომჟღავნდა, მრავალი ადამიანის ბედი გააუკულმართა და უმოწყალოდ დაამსხვრია. სოციალისტურმა სამშობლომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო თავისი შესანიშნავი შვილების სასით. და მხოლოდ ფაშიზმის ბნელ ძალებზე გამარჯვებით იქნა ანაზღაურებული ეს უდიდესი დანაკლისი. ამ გამარჯვების დიდ ნათელ პოეზიასთან ერთად „წითელ ყაყაჩოში“ არის ღრმა წუხილიც დაღერილ სისხლზე, ადამიანთა დამსხვრეულ ბედზე. ეს კეთილშობილუ-

რი წუხილი კი გზას აძლევს დიდ ოცნებას ჰარმონიულად მოწესრიგებულ ქვეყნიერებაზე, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების საყოველთაო გამარჯვებაზე, რასაც ემსახურება ჩვენი მწერალი თავისი შემოქმედებით.

დემნა შენგელაია სულით ისევ ახალგაზრდაა და მისგან, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატისაგან, მკითხველი ჯერ კიდევ ბევრს მოელის.

1956

სიტყვა სახელოვან მწერალზე

თავისი ბიოგრაფიითაც და თავისი შემოქმედებითაც გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერალი — ალექსანდრე ქუთათელი კვალში უდგას ჩვენი საუკუნის ყველაზე დრამატულ მონაკვეთებსა და პერიოდებს. ბობოქარმა წლებმა ვერ გატეხეს იგი ვერც ფიზიკურად და მით უმეტეს ვერც სულიერად. მას 75 წელი შეუსრულდა, მაგრამ ახლაც ახალგაზრდულ, სპორტულ ფორმაშია... და რაც მთავარია, გაცვეთა და დაუანგება არ დასტყობია მის კალამს, რული არ მორევია მის მხატვრულ ფანტაზიას. პირიქით, მწერლის ბოლოდროინდელ ლექსებს, მოთხრობებს და რომანს („სათვალთვალო") ახალგაზრდული გზნება ატყვია, თანაც მათ მწერლისათვის იმთავითვე დამახასიათებელი ეპიკური სიმშვიდე ახასიათებთ.

ალექსანდრე ქუთათელი დაიბადა 1898 წელს ქალაქ ქუთაისში, ინტელიგენტის ოჯახში — მამა მოსამართლე იყო, დედა კი საშუალო განათლების მქონე, თავისი დროისათვის ფრიად განათლებული ქალი. ისინი მოწინავე და სპეტაკი ადამიანები იყვნენ. ალექსანდრე მათი უკანასკნელი მეცხრე შვილი იყო. მომავალმა მწერალმა ბავშვობა ქუთაისში გაატარა. ათი წლის ალექსანდრე 1908 წელს მისმა უფროსმა ძმამ ნიკომ (იმჟამად რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, შემდეგ კი პროფესორმა) თბილისში წამოიყვანა და კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა. მომავალი მწერლის მეორე ძმაც — დავითი პროფესორი იყო (ზოოლოგი), ხოლო მესამე ძმა — გიორგი გამოჩენილი მხედართმთავარი წითელი არმიის ქართული დივიზიის მეთაური გახლდათ. დაახლოებით 1927 თუ 1928 წელი იყო, მე, როგორც ახალბედა წითელარმიელი, პრესის მუშაკი პირდაპირ მოხიბლული ვიყავი ამ შესანიშნავი მხედრული წრთობის, ახოვანი, მტკიცე ნებისყოფის მეთაურით და უნდა გამოვტყდე, მით უფრო მეტი ინტერესითა და გულისხმიერებით გავიცანი იმავე წელს მისი უმცროსი ძმა ალექსანდრე ქუთათელი, რომლის ერთი იმდროინდელი ლექსის რამდენიმე სტრიქონი აქამდე ჩამრჩა მეხსიერებაში: „ლეღვის ღეროდან გაიმღეროდნენ ფრთამოქარგული მოლაღურები"... ამ დღი-

დან ჩვენი გულითადი მეგობრობის დულაბი არ გაბზარულა, არ დარღვეულა. მეპატიოს ეს მცირე პირადულ-ინტიმური გადახვევა...

1916-1918 წლებში ალ. ქუთათელი კიევის უნივერსიტეტის საბაკურნალო ფაკულტეტის სტუდენტია. 1918 წლის ზაფხულში იგი საქართველოში ბრუნდება და იმჟამად თბილისში დაარსებული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე შედის. აქ იგი გულმხურვალედ გაიტაცა ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის, დიდი მეცნიერის, ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილისა და კლასიკური ფილოლოგიის დოქტორის, იმჟამად პეტროგრადიდან ჩამოსული გრიგოლ წერეთლის ლექციებმა. ცნობილია, რომ გრიგოლ წერეთელს ეგვიპტეში ნაპოვნ პაპირუსებზე დაწერილი ბერძენი დრამატურგის მენანდრეს კომედიების გაშიფვრამ მსოფლიო მეცნიერის სახელი მოუპოვა. ეს მეცნიერი სტუდენტ ალ. ქუთათელს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა და განზრახული ჰქონდა მისი დატოვება ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.

აღსანიშნავია, რომ ალ. ქუთათელმა 1923 წელს დაწერა ბერძნულ მითზე აგებული დრამა „ქრისე“ და იგი თავის საყვარელ პროფესორს — გრიგოლ წერეთელს მიუძღვნა. ეს დრამა ავტორმა წარადგინა ქართული თეატრის არსებობის სამოცდათხუთმეტი წლისთავის აღსანიშნავ კონკურსზე. დრამამ პრემია დაიმსახურა და დაიბეჭდა იმ დროს სპეციალურად გამოსულ ჟურნალ „სახიობაში“. — ასე გამოჩნდა პირველად სამწერლო ასპარეზზე ალექსანდრე ქუთათელი. აღსანიშნავია, რომ ანტიკური სამყაროსა და კლასიკური ფილოლოგიის ცოდნის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ანარეკლი ხშირად იგრძნობა მწერლის შემოქმედებაში. ამავე დროს მწერლის გააზრებაში ყოფითი დეტალებიც კი ხშირად თავისებურ ფილოსოფიურ განზოგადებამდეც კი მაღლდება.

ა. ქუთათელის შემოქმედების თემატური არე ერთობ ფართოა: ძველი და ახალი სოფელი, გლეხკაცობა და მისი ცხოვრება, ძველი და ახალი ქალაქი, ინტელიგენცია და მისი ძიებანი. საკმაოა გავიხსენოთ ლექსები — „ალისმერეთი“, „შემოდგომა“, „ნაცნობი ბალი“, მრავალი მოთხრობა, მათ შორის შესანიშნავი „აბესალომ და ეთერი“, „იონა და მანანა“, რომანი „სათვალთვალო“, და განსაკუთრებით კი ოთხტომიანი ეპოპეა „პირისპირ“, რომ ნათლად ვიგრძნოთ მწერლის ფრიად ვრცელი თემატიკური დიაპაზონი.

თავისი განსაკუთრებული მხატვრული ენერგიით მკითხველს ხიბლავს ლირიკული მოთხრობა „აბესალომ და ეთერი“, რომელშიაც მხატვრულად სახეცვლილი თუ გარდაქმნილია „საქართველოს ბულბულად“ მიჩნეული ვანო სარაჯიშვილის ცხოვრება და შემოქმედება.

ამ მოთხრობის მხატვრულ ქსოვილში ორგანულად არის ჩაწნული ხალხური „ეთერიანის“ გზნება და სურნელი. ამავე დროს მოთხრობა ეხება ხელოვნებისა და სინამდვილის ზღვარისა თუ მიჯნის საკითხს.

ომისშემდგომდროინდელი სოფლის ცხოვრებას ეხება მოთხრობა „იონა და მანანა“. საქართველოს წარსული და მომავალი ირეკლება სიმბოლურად ამ მოთხრობის პერსონაჟთა ბედში, ალ. ქუთათელს ძნელად უპოვით ისეთ ნაწარმოებს, რომელიც გზადაგზა რაიმე ფილოსოფიურ თუ ეთიკურ-ესთეტიკურ პრობლემას არ ეხებოდეს. ამ მხრივ საგულისხმოა ამ ბოლო დროს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი ფსიქოლოგიური რომანი „სათვალთვალო“. რომანი ეხება ინტელიგენციის ცხოვრებისა და რუსი და ქართველი ხალხის ძმური ურთიერთობის თემას.

ალ. ქუთათელის შემოქმედების მთავარ ფაქტად მაინც მისი ერცელი რომანი „პირისპირ“ რჩება. ამ რომანზე ავტორმა მეოთხედი საუკუნე იმუშავა. ეს არის რომანი ახალი სოციალური სამყაროს აღმოცენებისა და დამკვიდრების შესახებ.

რასაკვირველია, ძნელია მიაკვლიო ნაწარმოების ყველა იმ გენეტიური ნაკადის სათავე, რომელთა ორგანულობა-ერთიანობამ განაპირობა რომანის მხატვრული აღნაგობის თავისებურება, მაგრამ ხელთა გვაქვს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის ერთი მთავარი ძირითადი გეზი.

ალ. ქუთათელის რომანი „პირისპირ“ სოციალისტური რეალიზმის პრინციპით აგებული ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებში მოცემულია თავისი დროის მკვეთრი სოციალური დახასიათება. ავტორი თვალწინ გვიყენებს იმ დროის სხვადასხვა საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელთა ცოცხალ, შთამბეჭდავ სახეებს. ეს რომანი მწერლის ღრმა შთაგონებით, დიდი შრომითა და დიდი ცოდნით შექმნილი ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებში მოვლენები და სახეები არა მარტო დანახული და განცდილია ემოციურად, არამედ ღრმად გააზრებულიცაა გარკვეული იდეური თვალსაზრისით.

ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ღრმა ცოდნამ გაამდიდრა და უხვი გახადა მწერლის გამომსახველობითი საშუალებანი, გააფართოვა მისი მხატვრული თვალსაწიერი. ალ. ქუთათელი თავისი ნაწარმოების პერსონაჟებს ცალმხრივად კი არ ხატავს. არამედ სოციალური გამოცდილების მრავალმხრივობითა და მრავალწახნაგოვნებით გვიჩვენებს.

რასაკვირველია, რომან „პირისპირში“ დახატული სურათები შორს დგანან დღევანდელი საქართველოს სინამდვილისაგან, მაგრამ ისინი კვლავ და კვლავ ინარჩუნებენ გაუხუნარ ელვარებას. დაუვი-

წყარ და საგულისხმო მხატვრულ ფაქტად რჩება იმ დროს გადახდილი ბრძოლების მნახველისა და მონაწილის — რომანის მთავარი გმირის, ქართველი ინტელიგენტის — კორნელი მხეიძის სახე. მისი სულიერი ზრდისა და დავაჟკაცების ისტორიაც. სწორედ ამის გამო შედის ალ. ქუთათელის ისტორიულ-რევოლუციური რომანი „პირისპირ“ ახალი ქვეყნის დამკვიდრების სულისკვეთებით გამსჭვალულ ცნობილ დიდ ნაწარმოებთა რიცხვში.

ამრიგად, ალ. ქუთათელის რომანი „პირისპირ“ ეძღვნება დიდ ისტორიულ ფაქტს საქართველოში — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ნაწარმოებში შთამბეჭდავად არის გამოხატული თუ როგორ მიმდინარეობდა რევოლუციური მოვლენების გავლენით რომანის მთავარი გმირის, ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტის — კორნელი მხეიძის სულიერი ჩამოყალიბება. ამ პერსონაჟის ბედი მჭიდროდ არის გადანასკვული რეალური ისტორიული პირების — ს. კიროვის, ს. ორჯონიკიძის, ს. ქავთარაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. ცოცხლად, შთამბეჭდავად და ჭეშმარიტი ოსტატის ხელით არის დახატული რომანში ამ რევოლუციურ მოღვაწეთა პორტრეტები.

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ იუბილარს დღეგრძელობა და ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებანი!

1973

გიორგი ნატროშვილი

„ოთახში ბნელოდა, ფარდები აწეული იყო და სადღაც ახლოს მაშხალებს რომ ისროდნენ, იმის შუქი შემოანათებდა ხოლმე ფანჯარაში, ეს იყო რაღაც შიშისმომგვრელი სინათლე, მზის შუქზე უფრო თეთრი და თანაც მკრთალი, თითქოს არა ამქვეყნიური. როცა ის მოეფინებოდა მიდამოს, მაშინ ფანჯარაში ჩანდა, რომ გარეთ ხშირი თოვლი იყო, ნელ-ნელა ეშვებოდნენ ფანტელები ციდან, როგორც ფარვანები, ისე ეხვეოდნენ სინათლეს; ნელ-ნელა ეშვებოდნენ, თითქოს ეზარებოდათ ჩამოსვლა დაღლილ, ნაჭრილობევ და შეწუხებულ მიწაზე, სოფლის ატალახებულ ქუჩაში, თითქოს არ უნდოდათო ამ წმინდა, მდუმარე და პატარა ვარსკვლავების ყოფნა ქვეყნად, სადაც ამდენი შფოთი და ვაი-ვაგლახი იყო.

როცა შუქი ჩაქრებოდა, ბნელოდა ისე, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა ადამიანი.

ბავშვი დაწყნარებულიყო, შემდეგ კი ისევ გაისმა მისი ხმა:

— დედა, ილაპარაკე... როცა შენ ლაპარაკობ, ოთახში აღარა ბნელა“.

ამ პატარა, მაგრამ საკმაოდ მეტყველ სურათში, ყოველგვარი ჭარბი ფერადოვნების გარეშე რომ არის შესრულებული, კარგად იგრძნობა მწერლის ხელწერის თავისებურება — მისწრაფება ბუნებრივობისა და სიცხადისაკენ, უწვალებელი და ტევადი სიტყვისაკენ. სურათს, როგორც ვხედავთ, განსაკუთრებულ ტრაგიკულ ელერადობას აძლევს ბავშვის თხოვნა, მისი საოცარი წარმოდგენა, რომ დედის ხმა ფანტავს სიბნელეს. რა მართალი ჩახედვაა ბავშვია სულში! (და განა მარტო ბავშვის სულში?). ფსიქოლოგიურად რა ზუსტი და რა ღრმაა ეს გრძნობა, თანაც რაოდენი გულუბრყვილო სიანკარე და, თუ გნებავთ, რაოდენი სიბრძნეც არის შიგ. თითქოს ამ უბრალო რეპლიკაში თავი მოუყრია ქვეყნის მთელ ტკივილსო. აქ ილანდება არა მარტო უმანკო სულის შეშფოთება ომის საშინელებებით, დიდი ნდობა დედისადმი, არამედ ადამიანურ კავშირთა ცხოველმყოფელობის უღრმესი შეგრძნებაც. ალბათ, საერთოდ ლიტე-

რატურაში ბევრიც მოიძებნება მსგავსი ნახატი გრძნობისა, მაგრამ აქ, ამ სურათში იმდენად უშუალო და ორგანულია, რომ იგი არ შეიძლება არ იყოს მწერლის საკუთარი მიგნება, საკუთარი დაკვირ-ვება და უფრო მეტიც — საკუთარი დამოკიდებულება სამყაროსად-მი. იქნებ მწერლის მთელი სათქმელის თავიდათავიც ეს იყო. ამ გრძნობის შინაგანი ენერგია ისე დიდია, რომ იგი შეიძლება სულში თანაგრძნობის, გულშემატკივრობის, სიყვარულის უზარმაზარ ხან-ძრად აფეთქდეს და ანაზდად წამოიძახო: „ადამიანო, იფხიზლე, ილაპარაკე... როცა შენ ფხიზლობ და ლაპარაკობ, ქვეყნად სიბნელე ქრება“.

არაა საჭირო მხატვრული ოსტატობის მოსაწყენი გაკვეთილები... წერა შეიძლება კაცმა ისწავლოს, მაგრამ გულში ჩამწვდომი სიტყვის აღმოჩენას ნიჭი სჭირდება.

გიორგი ნატროშვილს ძალუძს ასეთი სიტყვების მიკვლევა. ზე-მოთმოტანილი ეპიზოდიც ამოღებულია მისი ერთი პატარა მოთხრო-ბიდან „ბავშვი“, რომელიც ომის თემაზეა დაწერილი.

გიორგი ნატროშვილი საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა ლიტე-რატორი — კრიტიკოსი იყო, როცა ომში წავიდა. ომიდან მან მძიმე ჭრილობა და თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი თავიც ძოიტანა; იგი იქ გამოირკვა როგორც პროზაიკოსი. მოულოდნელი არ ყოფილა მისი გადასვლა ამ ჟანრზე. იგი თავის კრიტიკულ-ლიტე-რატურულ წერილებშიაც ადრევე ამჟღავნებდა მიდრეკილებას სი-ტყვიერი მხატვრობისადმი. ახლა იგი უკვე ორჟანროვანი მწერალია. თავისი პროზა მან ომის შთაბეჭდილებებით დაიწყო, მაგრამ ომის თემამ მტკიცედ მაინც ვერ მოიკიდა ფეხი მის შემოქმედებაში. პირ-იქით, ამ შთაბეჭდილებებმა მწერალში თითქოს გაამძაფრეს ბავშვო-ბიდანვე შესისხლხორცებული სამყაროს — თავის ქვეყნისა და თავი-სი ხალხის ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის უნარი. ერთის შე-ხედვით, თითქოს უცნაურია, რომ ომში უამრავი სიკვდილის მნახ-ველმა, ყველაზე უკეთ მაინც მშვიდობიანი „უდარდელი კაცის სი-კვდილი“ დახატა, ჯარისკაცთა ბევრი გმირობისა და ტანჯვა-წვალე-ბის მოწმემ, ყველაზე უკეთ მაინც მშვიდობიანი კაცის შრომის პოე-ზია გამოსახა. ომში მრავალი შიშნაპამი ადამიანის დამნახავმა, ყვე-ლაზე უკეთ მაინც იმ ავკაცი ბობოლას დრტვინვა და შიში გვიჩვენა, ვინაც შურისძიების მოლოდინში გუთანს ჩაბღაუჭებია და გამწარე-ბული ბღავის: „ბიჭო მიხავ! გაგიხმეს ეგ მარჯვენა, გუთნისდედისა-თვის თოფი ვის დაუკრავს... — ბღავის ცხოველურად და მცირე იმედს ეპოტინება, — არ გაგონილა, რომ ვინმეს შირაქში, მთელ სა-ქართველოში გუთანი სისხლით შეეღებოს!“

აქ რაიმე ზოგადი კანონზომიერების ძებნა ამაო იქნება. ეს მწერლის შინაგანი ბუნებით. მისი ნიჭისა და ხასიათის თავისებურებით უნდა აიხსნას. ყოველ ნიჭს ალბათ თავისი მთავარი არჩევანი აქვს მოვლენათა სამყაროში, დროსა და გარემოში.

უნდა ვიფიქროთ, ომის შემზარავმა სინამდვილემ, სადაც ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის თითქმის წაშლილია, სადაც სრულიად უსაიდუმლო სიკვდილი ნიღაბახდილი დაგელაობს და ღიმილისათვის, იუმორისათვის ადგილს არ ტოვებს, მწერალს წინააღმდეგობისა თუ კონტრასტის ძალით განსაკუთრებული სიმკვეთრით აგრძნობინა მშობლიური გარემო, როგორც ომში დანახული და განცდილი ქვეყნიერების სრული წინააღმდეგობა.

გიორგი ნატროშვილი უაღრესად ნიადაგობრივი მწერალია. არა მარტო თავისი კარგი და ძარღვიანი ქართულით, არამედ თავისი გმირებითაც. მათი გრძნობებისა და აზრების წყობითაც, საღებავებითაც და მხატვრული მასალითაც. მას თითქოს ადგილის დედის თვალი აქვს აყოლილი, მისი მოთხრობების ამბები უმთავრესად კახეთის სანახებში ტრიალებს, აქვე არიან შობილნი და აღზრდილნი ის ადამიანებიც. რომელთა სახეებისა და ხასიათების გამოძერწვაც იტაცებს მას. აქ მას მხატვრული ფანტაზიაც და სიტყვაც დიდებულად უჭრის. მკითხველი გიორგი ნატროშვილის მოთხრობების ვერც სიუჟეტურ მოტივებში, ვერც ხასიათებისა და სურათების ხატვის ხერხებში ვერ იპოვის ვერავითარ მყვირალა, მოდურ სიახლეებს. მაგრამ ეს მოთხრობები უაღრესად თანამედროვე და ახალია სწორედ თანამედროვეობის უმძაფრესი გრძნობით, ღრმა ჰუმანისტური სულისკვეთებით. იდეურ-ზნეობრივი მოტივებით, განუმეორებელი მხატვრული სახიერებით, თავისებური ნათელი იუმორით.

აქ სანიმუშოდ გიორგი ნატროშვილის მხოლოდ ერთ მოთხრობაზე შევჩერდებით. ეს მოთხრობა, ჩემი აზრით, მრავალმხრივ ახასიათებს მწერლის შემოქმედებით თავისებურებასაც, მის ინდივიდუალურ ხელწერასაც და ფრიად საყურადღებო და საგულისხმოა თავისი ზნეობრივ-ესთეტიკური კონცეფციით, მხატვრულ-იდეური მოტივებით. ეს არის მოთხრობა ერთი მოხუცი კახელი მეცხვარე კოლმეურნის თავგადასავალზე — „ისევ გაზაფხული იყო იორზე“.

ქართულ ლიტერატურაში მოხუცი ადამიანების ბევრი შესანიშნავი სახეა შექმნილი. ბევრს რომ არ გამოვედევნოთ, გავიხსენოთ თუნდაც ტარიელ გოლუა, ალმასგირ კიბულანი, ბათუ ქარდუა, ბათაყვა და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელმა შექმნა მეოცე საუკუნის ქართველი მოხუცი კაცის შთაგონებული მხატვრული მა-

ტიანე, რითაც გვიჩვენა იმ მემკვიდრეობითი სულიერ-ზნეობრივი ძალების სიდიადე და სილამაზე, რომლებიც ქმნიან დროთა და თაობათა უწყვეტ კავშირს. მოხუცი კაცის რამდენიმე საყურადღებო სახე შეიქმნა ქართულ ლიტერატურაში ამ უკანასკნელ წლებშიაც. დამახასიათებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში ისინი გამოხატავენ შრომის, ვაჟკაცობის, სულიერი სიმტკიცისა და ზნეობრივი სიფაქიზის ტრადიციათა ძალას.

გ. ნატროშვილის მოთხრობის გმირი — მოხუცი მშრომელი კაცის ეს ახალი სახე — თავისებურად აგრძელებს ქართველი მოხუცი კაცის დაწყებულ მხატვრულ მატიანეს. იგი ბებერია, მაგრამ საკმაოდ სადღეისო და საჭირბოროტოა თავისი საზოგადოებრივ-ადამიანური მოტივებით. დიახ, იგი სრულიად უბრალო ადამიანია, მაგრამ რას ნიშნავს უბრალო ადამიანი? რას ემყარება ჩვენს დროში ადამიანების დაყოფა უბრალოებად და არა უბრალოებად? თუ უბრალოება ღარიბ სულს, პრიმიტიულ აზრებს, წვრილმან გრძნობებსა და მდაბალ ვნებებს გულისხმობს, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტი იქნება უბრალო ადამიანის ამაღლებულ სულიერ თვისებებზე, მის კეთილშობილ ბუნებაზე. მაგრამ არ შეიძლება, რასაკვირველია, უბრალო ადამიანი გავაიგივეოთ კაცუნასთან, სულმდაბალ პატარა კაცთან. უბრალო ადამიანობა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იქნება ყოველი ადამიანისათვის, თუ იგი გამოხატავს ყალბ წარმოდგენას რაღაც გარდუვალი თვისობრივი ზღვარის შესახებ უბრალოებასა და არა უბრალოებას შორის, თუ იგი ერთს უფლებას მისცემს მაღლიდან დაბლა დაჰყურებდეს მეორეს.

მაგრამ ამა თუ იმ მაღალი მდგომარეობის ადამიანს ზოგჯერ იპყრობს ხოლმე ყალბი ილუზია, მსგავსი შექსპირის ლირის ილუზიისა, როდესაც თავის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას მიაწერს თავის მოჩვენებითს ადამიანურ განსაკუთრებულობას. ასეთ ილუზიებს ჩვენი ეპოქა თანდათან აცლის ნიადაგს.

კითხულობთ მოთხრობას „ისევ გაზაფხული იყო იორზე“ და ხედავთ, რომ თვით ყველაზე უბრალო მშრომელი ადამიანი არცთუ ისე უბრალოა, როგორც ეს შეიძლება გარედან მოჩანდეს ან ეჩვენებოდეს ვინმეს — მაღლიდან დაბლა დამყურეს. ეცნობით მოხუც იორამს და გინდათ განაგრძოთ იგი, გინდათ თქვათ, ხმამაღლა თქვათ: — ეი, თქვენ ადამიანებო, უკუაგდეთ სამარცხვინო ჩვეულება, ნუ უყურებთ ადამიანებს, როგორც ვეება საზოგადოებრივი მანქანის უმნიშვნელო ნაწილაკებს, ადამიანები სამყაროებია, მთელი სამყაროები.

არ შეიძლება ითქვას, რომ იორამი თავისთავად ახალი ადამია-

ნი იყოს, მაგრამ იგი სწორედ ის ხალი და ნაცადი ადამიანური მასალაა, რომელიც დროთა და თაობათა კავშირს ქმნის.

კარგია, როცა მხატვრული სახე ისე ახლოს მოდის შენს გულთან და ისე ახლობელი ხდება, რომ რაღაც ძლიერ განცდილსა და ახლობელს ვინმეს გაგონებს. მოხუცი იორამი მაგონებს მე ერთ ჩემს ახლობელ კაცს, მის უკანასკნელ წუთებს. იგი სოფლის შესანიშნავი ხურო და კარგი მიწის მუშაც იყო, მეტად მართალი, პატიოსანი და მთლიანი პიროვნება. ღრმამოხუცებამდე ისე მივიდა, რომ არც შალაშინი და არც თოხი ხელიდან არ გაუგდია. ჯანმრთელიც იყო და ღონიერიც. ჩემს დღეში სურდოს გარდა არაფერი შემყრიაო. იტყოდა ხოლმე. მაგრამ ერთხელ რომ წაიქცა, წაიქცა და აღარ წამომდგარა. ივანობისთვეში გარდაიცვალა. მშვენიერი დღე იდგა. გამიგონია, ასეთი დღის გამო იტყოდნენ წინათ გურიაში, ცას მირონი ჩამოსტირისო. მართლაც, იმ დღეს ცა ისე კრიალა, ისე სასურველი და ერუანტელის მომგვრელი იყო, რომ მხოლოდ ასეთი ცის შეყურეს მოგაწვებოდათ გულზე გალაკტიონისეული სევდა, თუ ოდესმე მოგწოლიათ გულზე სევდა იმის გამო, რომ ფრთა არ გასხიათ და არ შეგიძლიათ აფრინდეთ მაღლა, შეუერთდეთ რაღაც დაუღლეველ სილამაზეს. ქვეყნიერება სავსე იყო მზით და ჰაერით, მოხუცს კი არც მზე ჰყოფნიდა და არც ჰაერი. ხუთ დღეს უკონოდ იყო. სიკვდილის წინ კი რამდენიმე წუთით გონს მოვიდა; ღია კარებიდან ეზოში გაიხედა, სადაც ახალგამოროდებული სიმინდის ყანა ღაღანებდა. როგორც ჩანს, თვალის ერთი მოვლებით შენიშნა ერთ ადგილას შეჯგუფული რამდენიმე ძირი სიმინდი. შვილიშვილს ანიშნა, ახლოს მოდიო. და სულისღაფვაში წარმოთქმულ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერებით ძლივს გააგებინა, რომ იმ ადგილას სიმინდი კარგად არ იყო გამეჩხერებული, გაამეჩხერეთ, თორემ ვერცერთი ვერ იხეირებსო. ეს იყო და ეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მოხუცი გათავდა. როგორც ხედავთ, გასაოცარი არაფერი მომხდარა. მაგრამ ამ წუთებში საოცარი ძალით ვიგრძენი ადამიანის შემოქმედი სულის სიმშვენიერე და უბერებლობა. რამდენი მსგავსი რამ გამიგონია. რამდენი მსგავსი რამ დაუხატავთ და აუწერიათ უფრო დრამატულსა და ძლიერ ფორმებში. მაგრამ უშუალოდ ნახული და განცდილი სულ სხვაა. სულ რამდენიმე წუთი გამოსტაცა მოხუცმა სიკვდილს. მაგრამ ისიც საქმეს მოახმარა; კაცი კვდებოდა, მაგრამ თავისი წილი წესრიგი მაინც შეჰქონდა ბუნებაში, ცხოვრებაში. მოდით და ნუ ვიიმეორებთ ერთი დიდი მწერლის სიტყვებს:

Хоть не вечен человек,
но, что вечно, человечно.

მოთხრობა „ისევ გაზაფხული იყო იორზე“ სწორედ ადამიანის შემოქმედი სულის უხრწნელობის, შრომისა და სინდის-ნამუსის კაცის საადიდებელი პოემაა. დე, ეს ადამიანური თვისებები არც თუ ისე ახალი იყოს, კიდევ მეტი, თუნდაც ძველი იყოს, ისე, როგორც ქვეყნიერება (სხვათა შორის, ძალიან ბევრ ახალ თვისებებს ხომ არ ვეხოვთ ჩვენ ადამიანებს, მაშინ, როდესაც ახალი ადამიანური თვისებები არც თუ ისე სწრაფად იბადებიან). მაგრამ სიახლე აქ თვით ამ ადამიანურ თვისებებში კი არ არის საძებარი, არამედ იმ ადგილში, რომელსაც ისინი იკავებენ ჩვენი დროის ადამიანთა ურთიერთობაში, ჩვენს იდეურ, ესთეტიკურ და ზნეობრივ შეხედულებებში.

ძველი, ნაცადი მეცხვარე ოდესღაც უბადლო სარქალი და კარგი ბინისთავი — მოხუცი იორამი არ არის რთული ადამიანური ხასიათი. პირიქით, მის ბუნებას თითქოს ერთგვარი პირველადი თუ წარმართული სინედლეც კი შერჩენია: შეუძლია ძილბურანში წარმოიდგინოს, რომ მგელი მგელს კაციერთ ესაუბრება, მგელი ძაღლს კაციერთ ედავება და ემუქრება. მაგრამ იგი შრომისა და სინდის-ნამუსის კაცია, ზნეობრივად გაუბზარავი, საქმისა და მეგობრობისათვის თავდადებული. ერთ დროს თურმე თავსაც კი იკლავდა იმის გამო, რომ ზავამ ცხვარიცა და მოძმე მწყემსი ბიჭებიც ალაზანში დაეხრჩო. ახლა იორამი ღრმა მოხუცია. მის სახეს, მის ადამიანურ არსებას ჩვენ ვხედავთ ორ წინააღმდეგობაში. ერთი წინააღმდეგობა, უფრო შინაგანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური წინააღმდეგობაა: შრომის კაცს სწყურია ბოლომდე აკეთოს თავისი საყვარელი საქმე, მაგრამ ძალა არ შესწევს, მის არსებაში ერთმანეთს დასჭიდებია სხეულის სიძაბუნე და სულის უცხრობი სიჭაბუკე; მეორე წინააღმდეგობა უფრო საზოგადოებრივ-ურთიერთობითი წინააღმდეგობაა: ამ სინდის-ნამუსის კაცს, ხალხის საქმისა და სახალხო ქონების უანგარო გულშემატკივარს, ცუდი ადამიანების მეოხებით, ქურდობაში დასდებენ ბრალს და დამნაშავის სკამზე დასვამენ.

ორთავე წინააღმდეგობა, როგორც ვხედავთ, სრულიად შესაძლებელი და, მაშასადამე, ცხოვრებისეულია.

მივყვეთ, როგორ ვითარდება და როგორ იხსნება ორთავე წინააღმდეგობა მოთხრობაში.

მოხუც იორამს გული ერჩის და ღონე არ მოსდევს, შრომაში დაბერებულს შრომა სწყურია, მაგრამ — შრომა უკვე აღარ შეგიძლია და დაისვენეო — ეუბნებიან. აბა ცუდი რა არის იმაში, რომ სურთ პატივი დასდონ ადამიანის ღვაწლმოსილებას; კოლმეურნეობის ხელმძღვანელებსაც, ვაჟიშვილსაც, რძალსაც, შვილიშვილებსაც სიკეთე

უნდათ იორამისათვის, არც ზრუნვას მოაკლებენ, არც პატივისცემას. ამ მხრივ მოხუცს განა რაიმე სამდურავი ეთქმის? ერთ დროს ქალაქშიაც ხომ წაიყვანა ვაჟიშვილმა საცხოვრებლად, მაგრამ მოხუცმა აქაც ვერ გასძლო უსაქმოდ და ის იყო, რომ ფეხსაცმელების ფაბრიკაში მოეწყო დარაჯად. აქ მან თავისი მართალი გულისა და წმინდა სინდისის თვალით შეხედა ადამიანებს. მაგრამ ადამიანი, ვინც უნდა იყოს ის, უეჭველად ცდება, როდესაც ყველას თავისი საზომით ზომავს და ყველას თავის ზნეობრივ თვისებებს მიაწერს. ეს შესაძლებელი ადამიანური შეცდომაა. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ზნეობრივი ადამიანის ასეთი შეცდომა უფრო მეტი ბოროტების მომტანია, ვიდრე არამზადასი, რადგან, როცა პატიოსანს უპატიოსნოც პატიოსანი ჰგონია, უპატიოსნობა დაუსჯელი რჩება და პატიოსნებასაც ჩირქი ეცხება. ასეთი იყო იორამის უნებლიე შეცდომაც. იგი თავისი ნაცადი საზომით ზომავდა ადამიანებს, „სინდის-ნამუსზე ენდობოდა ყველას, როგორც მთელ თავის გრძელ სიცოცხლეში იყო მიჩვეული". ამას კი მოჰყვა ერთ-ერთი ყველაზე ტკივილიანი, ყველაზე მწვავე ვითარება, რაც კი ადამიანთა ურთიერთობაში შეიქმნება. როცა მართალი კაცი თაღლითი ადამიანების ხლართებში გაებმება და უმართებულოდ დაისჯება. საქმე ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში კაიკაცობა უფრო დაუცველია, ვიდრე ცუდკაცობა, რადგან სიმართლეს, პატიოსნებას, ერთგულებას ნიღაბი არ სჭირდებათ, ისინი უნიღბოდ დადიან; ცუდკაცობა და მანკიერება კი მუდამ ნიღაბაფარებულია. ფაბრიკაში ტყავი დაიკარგა, ქურდი ვერ იპოვეს, დარაჯი იორამი ქურდების ხელისშემწყობად მიიჩნიეს და სამართალში მისცეს. სასამართლოსკენ რომ მიჰყავდათ, გაოგნებულ მოხუცს ფეხებში ვიღაც ბიჭები წამოედვნენ. ისინი „ერთმანეთს ერქინებოდნენ და სულაც არ ედარდებოდათ, რომ ახლა, ამ წუთში მთელ კახეთს თავი ეპრეზოდა". ეს ერთი პატარა დეტალი — და მთელი ვითარება ნათლად იხატება. კარგად ვგრძნობთ ალალმართალი მოხუცის დიდ სულიერ ტკივილსაც და ვხედავთ იმასაც, რომ მისი ზნეობრივი ღირსება, მისი სინდის-ნამუსი მთელი კახეთის, მთელი ხალხის სინდის-ნამუსია. მართლაც, არსებობს კი რაიმე ზნეობრივი ღირებულება, რომელიც ხალხის გულში არ იყოს დაბადებული და ხალხს არ ეკუთვნოდეს? იორამიც ხომ ხალხის ზნეობრივმა ძალამ იხსნა შერცხვენისა, დამცირებისა და დაჩაგვრისაგან.

კარგად, ძლიერად არის შესრულებული სასამართლოს ეპიზოდი, არა იმდენად თავისი დრამატული დაძაბულობით, რამდენადაც თავისი აზრობრივი დატვირთვით. მეტად საგულისხმო და მრავლისმეტყველია განსაკუთრებით ორი კახელი მწყემსის შემთხვევი-

თი დასწრება სასამართლო პროცესზე. თითქოს სწორედ მათ თავიანთი უშუალობითა და გულალალობით შემოიტანეს ამ დარბაზში ხალხის სინდის-ნამუსის ძალა და შუქი, „იორამს მოსამართლისა აღარა ესმის რა, ყური იმ მწყემსისაკენ უჭირავს, თითქოს მისი ბედი ამათ აბარიათო, თითქოს უკუნ წყვდიადში რაღაც შუქი გამოჩნდაო". მწყემსებმა იცნეს მოხუცი და კიდევაც გაუკვირდათ, იორამს აქ რა უნდაო, იცნეს სასამართლოს თავმჯდომარეც — მათივე წრიდან გამოსული ქალი — „ძიძილაანთ მიხაკოს გოგო" და კიდევაც გააგონეს: „მერე და, ეგ მიწადასაყრელი, ლასტის ქოხში არ არის გაზრდილი? რატომ არ იცის, რომ სარქალი ტყავს არ მოიპარავდა".

ვინ იცის, თესლი ნოყიერ ნიადაგში ჩავარდა თუ თავისთავადაც უკვე ღვიოდა იგი მოსამართლის შეგნებაში. ყოველ შემთხვევაში, ხალხის რწმენა და სინდისი ყველაზე მარჯვე გზა აღმოჩნდა სიმართლისაკენ. ასე გამართლდა მართალი კაცი, ასე გადაწყდა ერთი წინააღმდეგობა მის ცხოვრებაში. შეიძლება ვიდავოთ დრამატული რიტმის შენელებაზე ამ გადაწყვეტაში, მაგრამ გადაწყვეტის აზრის სიღრმე და სისწორე დავას არ უნდა იწვევდეს. საქმე იმაშია, როგორ წავიკითხავთ და როგორ გავიგებთ მას.

იმავე მწყემსებმა გამართლებულ და გახარებულ იორამს ერთგვარი საყვედურით უთხრეს, აქ რა გული გიძლებს, იქ საქონელი გეღუპებათო. ესღა აკლდა ისედაც საქმის სევდით შეპყრობილ ბერიკაცს. მან ისევ ივრის სანაპიროების საძოვრებს მიაშურა. ვერ ისვენებს შრომის კაცი, სურს ბოლომდე დაიდოს წილი საქვეყნო საქმეში, ბოლომდე იშრომოს და იღვაწოს. ცოტაღა აკლია იორამს (აკლია კი?), როგორც მხატვრულ სახეს, რომ მთელი თავისი ცხოვრებით შთაგვაგონოს: ნამდვილი კაცური კაცი ის არის, ვისაც მისვენებას არ აძლევს პასუხისმგებლობის გრძნობა ადამიანთა ბედისათვის, ცხოვრების ნამდვილი ადამიანური წესრიგისათვის. ქვეყნიერების სილამაზისათვის, ყოველივე კარგისა და ცუდისათვის, რაც მის ირგვლივ ხდება. იორამს თითქმის იძულებით აბრუნებენ სოფელში, თავის კარ-მიდამოში, რომ იქ კაკლის გრილში მხარ-თეძოზე წამოწვეს და დაისვენოს. მაგრამ ასეთი დასვენება დიდი სატანჯველია მისთვის. თქვენ იქნებ გულგრილადაც ჩაუაროთ ბერიკაცს, რომელსაც სულ ერთთავად დანა უჭირავს ხელში და ჩხირებს თლის. ერთი წუთითაც არ დაფიქრდეთ იმაზე, თუ რა დარდი აწუხებს მას. ჩვენ — ადამიანები ყოველთვის როდი ვართ ყურადღებიანი ადამიანის ისეთი მოძრაობების მიმართ, რომელთა იქით რაღაც დიდი ტკივილი და წუხილი იმალება.

ალბათ, ჩვენს შესაძლებელ გულგრილობას ებრძვის მწერალი, როდესაც მოხუცი იორამის მართალსა და დარდიან გულში გვახედებს: „აღარ შემიძლიან, ბიჭო!.. მარტო ვარ, შვილო, დარდმა მომიღო ბოლო... საქმე მომეცი რამე“ — შესჩივის იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ვინმემ იქნებ კიდევაც თქვას, რა მარტოობა აუტყდა ამ ახირებულ ბერიკაცს, შვილიცა ჰყავს და შვილიშვილებიც, დადგეს და დაისვენოს. მაგრამ ასე იოლად როდია საქმე. აქ ძალაშია ფსიქოლოგია და, თუ გნებავთ, ფილოსოფიაც შრომის კაცისა, ვისაც შრომა შემოქმედებით სიხარულად გადაქცევია, მარტოობა მას უფრო სხვანაირად, შესაძლოა, უფრო ღრმადაც ესმის. მისთვის ყველაზე დიდი და ყველაზე მწარე მარტოობა — უმოქმედობაა, ყველაზე დიდი და მტკიცე კავშირი ქვეყნიერებასთან კი შრომაა. იორამს ალბათ კიდევაც შეუძლია გითხრათ, თუ კაცი ადამიანებისა და ქვეყნისათვის რაიმეს აკეთებს, უკაცურ კუნძულზეც რომ იყოს, მარტო არ იქნებაო.

საცდელ ნაკვეთში ხელი რომ მოეცარა, იორამი ხომ მართლაც სადღაც გადაიკარგა და განმარტოვდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სიმარტოვემ ვერ დაჩაგრა და ვერ გაამწარა ბერიკაცი, რადგან თუნდაც საქმეს აკეთებდა, მეცხვარეებს საზამთრო ბინას უმზადებდა, იმ ბუნებით სუნთქავდა, რომელშიაც ფესვები ჰქონდა გაღგმული; ეს ბუნება ხომ ისე საოცრად ჰგავს მას, თითქოს მთელი იმისი არსება ამ ბუნებიდან არის ამოწერილი და ამოტვიფრული. „აქაური გაზაფხული ქვეყნად ნახულ არცერთ გაზაფხულს არ ჰგავს, თითქოს სულ შებრუნებით და უკუღმა ხდება აქ ყველაფერი. მეწამულ ალმურში ჰხვევენ ნაცრისფერ მიდამოს თრიმლის ბუჩქები, გაზაფხულზე წითლად რომ ჰყვავიან, შემოდგომაზედაც მათ ფოთოლი ისე უწითლდებათ, თითქოს მიწას ხანძარი მოსდებიაო. ფერდობებს მოდებული ქაფთარა ძეძვი კი ყვითლადა ჰყვავის. ამიტომ აქ გაზაფხულიც და შემოდგომაც, თითონ ზამთარიც კი, ერთი ფერისანი არიან. ზამთარშიაც აქ ხომ მუდამ გაზაფხულია, პატარა გაზაფხულს რომ ეძახოდნენ ჯერ კიდევ ის ქართველები, რომელთაც უხსოვარ დროს პირველი ფარეხები ააგეს ამ მიდამოებში“. აქ ჰქონდა ჭიპი მოჭრილი იორამს და ამიტომაც ჩიოდა ხოლმე: „შინ წადიო... განა იქაც დაჰბერავს ეს ნიავი, განა იქაც მოიტანს ნეტარ სუნს ოლუნისა და თრიმლისა, კოწახურისა და ფშატისა“.

უნდა გიყვარდეს, ძლიერ უნდა გიყვარდეს ადამიანიცა და ბუნებაც, რომ იგრძნო, თუ როგორ ამშვენებს ადამიანი ბუნებას და ბუნება ადამიანს, რომ შესძლო მოგვითხრო მათ შესახებ ისე, რომ ადამიანი ბუნებას გაყვარებდეს, ბუნება კი ადამიანს.

კარგია, როდესაც მწერალი იმდენად გადაგდებთ თავის გრძნობებსა და აზრებს, თავის სიყვარულსა და სიხარულს, თავის განცდებსა და ფიქრებს, რომ თქვენც ისევე გინდათ უმღეროთ ქვეყანასა და ადამიანებს, როგორც ის უმღერის.

არც მოხუცი იორამი და არც ივრის პირის ბუნება გ. ნატროშვილის მოთხრობაში მოკლებული არ არის ამ გადამდები გრძნობების ძალას.

მაგრამ თუ რამეში ეთქმის საყვედური მწერალს, ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა, იგი ეთქმის თავისი გმირის (და, სამწუხაროდ, არა მარტო ამ მოთხრობის გმირის) გონებრივი ცხოვრების ერთგვარ მინელებასა და შეზღუდვაში. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ მწერალი თითქოს ერიდება თავისი პერსონაჟების გრძნობების, აზრების, ფიქრებისა და განცდების გაღრმავებას, თითქოს ფრთხილობს, ვაი თუ უბრალო ადამიანების სულიერი სამყაროს სიმართლე დავარღვიოო. ვფიქრობ, ეს გადაჭარბებული სიფრთხილეა; საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი დროის ადამიანები სინამდვილეში უფრო ინტენსიური ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობენ, ვიდრე ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში.

არ არის საჭირო ნაწარმოებში ენა მოვუჩლიქოთ ადამიანებს და ხელოვნურად შემოვზღუდოთ მათი გონებრივი ჰორიზონტი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათ დაკისრებული აქვთ სერიოზული თემის ანუ ღრმა ცხოვრებისეული წინააღმდეგობის გახსნა და გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევებში მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები აატარა, უმნიშვნელო პესონაჟებსაც კი უღრმესი სიბრძნით ტვირთავენ და ამით ოდნავადაც არ არღვევენ ხასიათის სიმართლეს.

მხატვრული სიმართლე შესაძლებელის მიგნებაცაა.

ჩემი აზრით, ის საფიქრებელი და სატანჯველი, რაც იორამს აქვს, მოითხოვს მის მეტ ინტენსიურ სულიერ ცხოვრებას; იგი არ შეიძლება არ იყოს თავისებურად დაბრძენებული კაცი. საქმე რომ მხოლოდ შრომის უბრალო ჩვევასთან და მასთან დაკავშირებულ მარტივ რეფლექსებთან გვქონდეს, მაშინ მოხუცი იორამი არც თუ ისე საყურადღებო და საგულისხმო იქნებოდა. არა მშრომელი ფუტკრის „ფსიქოლოგია", არამედ ადამიანი-შემოქმედის ფსიქოლოგია — აი, რა არის დიდებული და წარმტაცი ამ შესანიშნავი ქართველი მოხუცი კაცის მხატვრულ სახეში. შემოქმედება კი, წინააღმდეგ ყველა ღროისა და ყველა ჯურის ფროიდებისა, ადამიანის მიზანშეწონილი შრომაა, ადამიანის შეგნებული ჩარევაა საგანთა სტიქიაში.

მაგრამ რა ეშველება იორამის სატანჯველს? იგი ხომ მართლაც ღრმა მოხუცია, მას ხომ მართლაც აღარ შეუძლია კვლავინდებური

შრომა და გარჯა! თითქოს გადაუწყვეტელია ეს წინააღმდეგობა, უსაშველოა იორამის დარდი.

მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ უსაშველობაშია საშველიც, სწორედ შრომის ამ გაუთავებელ, დაუცხრომელ წყურვილშია სიდიადე ადამიანისა.

ბწერალიც თავისი მოთხრობის შესანიშნავ ფინალშიც ადამიანის სულის გაუთავებელ სიჭაბუკეს უმღერის; არ შეიძლება ჩააქროთ ეს სიჭაბუკე, როგორც არ შეიძლება ჩააქროთ ეს უცნაური გაზაფხული, რომელიც ასე ძალობს კახეთის სანახებში — „ისევ ვერ გაიგებდი, გაზაფხული იყო თუ შემოდგომა იორზე. ვერც იმას მიხვდებოდი, ჭაბუკი იყო იორამი, თუ ღრმა მოხუცი, რომელსაც გზათაუკან წანწალი აღარ შეეძლო“.

გიორგი ნატროშვილი ქართული საბჭოთა პროზის თვალსაჩინო, თავისებური ოსტატია.

1965

ერთი სპექტაკლის გამო

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა წელს რამდენჯერმე წარმოადგინა ორნაწილიან თეატრალურ მისტერიად ჩვენი გამოჩენილი დრამატურგის — პოლიკარპე კაკაბაძის ორი ადრინდელი პიესა — „სამი ასული“ და „ტყის ქალები“. დადგმა ეკუთვნის საკმაოდ თავისებური ხელწერის ახალგაზრდა რეჟისორს — მედეა კუჭუხიძეს.

სიტყვას ვიღებ ჩვეულებრივი მაყურებელი.

„სამი ასულისა“ და „ტყის ქალების“ მხატვრულ-დრამატულ ნაკეთობაში უეჭველად იგრძნობა რაღაც მონაბერი უცხოური წყაროებიდან, როგორც ჩანს, თავის დროზე ახალგაზრდა ავტორი გატაცებით ეწაფებოდა მეტერლინკს, ჰაუპტმანს, ჰამსუნს. იბსენს და ბევრ სხვას. რასაკვირველია, გავლენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ თვითონ შემოქმედი არ ყოფილიყო შინაგანად განწყობილი ამგვარი წარმოსახვებისათვის და რომ თვით დროის ატმოსფერო არ ყოფილიყო ხელსაყრელი ამისათვის.

„სამი ასულიც“ და „ტყის ქალებიც“ ზღაპრულ-სიმბოლისტური ხასიათის პიესებია.

ვგონებ, სადავო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ცივილიზაცია არსებითად გამორიცხავს ზღაპრულ-მითოლოგიურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი.

მართალია, ეს ასე არის, მაგრამ ხელოვნება, როგორც ადამიანის სულის მუდმივი მოთხოვნილება და მუდმივი თანამგზავრი, როდი ივიწყებს და როდი ჰკარგავს თავისი განვითარების ადრინდელ საფეხურებს, ადრინდელ ფორმებს. პირიქით, იგი მათ იცავს, ინახავს და ყოველთვის აახლებს თავისი ახალი ამოცანების შესაბამისად. ამიტომაც ხელოვნება სრული უფლებამოსილია თავის ამოუწურავ არსენალში იქონიოს ზღაპარიც და მითიც, როგორც ხერხი, როგორც საშუალება სამყაროს მხატვრული წარმოსახვისა.

პოლიკარპე კაკაბაძე იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში — ხშირად იყენებენ ზღაპრულ სა-

ხეებსა და ზღაპრულ ვითარებებს. ამავე დროს დამახასიათებელია, რომ დრამატურგის შემოქმედებითი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მისი შემოქმედების ამ ზღაპრულ-მხატვრულ მხარეს სხვადასხვა მხატვრულ-ემოციური დანიშნულება და ხასიათი ეძლევა. მაგალითად, ქართული დრამატურგიის ერთ-ერთ უშესანიშნავეს ქმნილებაში — „ყვარყვარე თუთაბერში" ზღაპრულ ელემენტს ფრიად დიდი რეალისტური დატვირთვა აქვს. აქ ქართული ზღაპრის „ნაცარქექიას" გროტესკული ნიღბის თარგზე შექმნილია უაღრესად რეალისტური კომიკური ტიპი, რომელსაც ალბათ ძნელად თუ წაშლის და დააბერებს ჟამთასვლა. დაახლოებით ასეთივე რეალისტური ავსება აქვს ზღაპრულ მხარეს „კახაბერის ხმალშიც"...

მაგრამ სულ სხვა ავსებისაა იგი „სამ ასულსა" და „ტყის ქალებში.

აი, ჩვენ გულმოდგინებით ვაღევნებთ თვალს იდუმალებით მოცულ ვითარებათა და სახეთა მოძრაობას. გვწადია, გულით გვწადია დავიჭიროთ აზრი, გავიგოთ გრძნობა, ამოვხსნათ განცდა, მიკუდეთ ხელოვნების მშვენიერებას, მაგრამ ეს არც თუ იოლი საქმეა...

ვფიქრობთ კია, რომ სადღაც ამ სახეების, ნიღბების, მოქმედების, რეპლიკების და სიტყვების იქით. უკეთ ვთქვათ, მათ სიღრმეში, მათ რთულსა და უცნაურ ხლართებში იმალება რაღაც მნიშვნელოვანი, იმალება ადამიანის ყოფიერებისა თუ მისი სულის მოძრაობის რაღაც დრამატული თუ ტრაგიკული კვანძი, აქ თითქმის ყოველი სახე, ყოველი სურათი, ყოველი მოძრაობა და ყოველი რეპლიკა არსებითად ერთგვარი ქარაგმა თუ ნართაული ნიშანია, რათა გამოაღვიძოს შენშივე მთვლემარე გრძნობა და აზრი, აღძრას ესა თუ ის განწყობილება, მოგაგონოს რაღაც ტკივილი თუ სიამე. რასაკვირველია, აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა შემთხვევაში, საჭიროა თვითონ მაყურებელმა და მსმენელმა შეიტანოს რაღაც თავისი დანახულსა და გაგონილში, შეიტანოს თავისი აზრი, გრძნობა და რაღაცნაირი წესრიგიც კი, თუ გნებავთ, ერთგვარ ბუნდოვნებასა და ბურუსში, ყოველ შემთხვევაში აქ შენ, როგორც მსმენელი და მაყურებელი, არ შეიძლება პასიური იყო და ელოდო, რომ პიესა. სპექტაკლი მარცვალ-მარცვალ ჩაგიკაკლავს ყველაფერს, აგიხსნის, გამოგიკვეთს ყველა სახეს, ყველა იდეას, ერთი სიტყვით, შენ როგორღაც გვერდში უნდა ამოუდგე ავტორს, რეჟისორს, მსახიობს, მხატვარს, კომპოზიტორს და მათ კვალდაკვალ და მათგან დამოუკიდებლადაც გაიზიარო და განიცადო სპექტაკლის მთელი დრამატული ორომტრიალი.

ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ხელოვნების, ოსტატობის ძალა და მოშხიბვლელობა აქ სწორედ იმაში უნდა იყოს, თუ რა სილრმის, რა დაძაბულობის ასოციაციურ ნაკადს წარმოშობს, ბონათესავე ფიქრთა და განცდათა რანაირ წყებას გამოიწვევს.

სცენაზეა ტანჯვა, მას ასახიერებს სადღაც უდაბურ ადგილას აგებულ კოშკში გამომწყვდეული სამი ასული. ისინი იტანჯებიან პატიმრობით, იტანჯებიან ქანცგამწყვეტი ნაძალადევი შრომით. არის ვიღაც მტანჯველი, არის ვიღაც სულთამხუთავი. პიესაში მას საძაგელი სახელი—ჯაჯო ჰქვია. იგი არ ჩანს, იგი სცენის მიღმაა. დროდადრო გაისმის მისი მუქარა, მისი შემზარავი ხმა. ეს ხმა მოჰყვება რაღაც ავისმაუწყებელ ელარუნსა თუ გრუხუნს (რეჟისორი ხაზს უსვამს, აძლიერებს მთელი სცენური ფაქტურის პირქუშულ იდუმალობას). იგრძნობა, რომ გარეთ ავდარი, ქარი და წყვდიადია (შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ წყვდიადში მოქცეული ტანჯული ადამიანებიც, ტანჯული ქვეყანაც). რაღაც თუ ვიღაც კარს არახუნებს. ასულნი კრთებიან, გმინავენ, მაგრამ ადამიანში იმედი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცოცხლობს, სად არის საშველი? ვინ არის მშველელი? სამთაგან თვითეული ასული თავისებურად ნატრობს ჰხსნელს: ერთი — დაკარგულ ძმას, უებრო მეომარს, წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად რომ გაჰყოლია ჯვაროსნებს, მეორე — ჯვარცმულსა და მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს, მესამე — ვაჟკაცს. საქმროს, ჩაუქ უფლისწულს. სამივე ერთად კი ეძებს გამოსავალს, ეძებს ნუგეშს, ეძებს ბედნიერებას, თითქოს ლივლივებს და ერთმანეთში გადადის გრძნობა ნათესაობისა, გრძნობა განგებისა და გრძნობა სიყვარულისა. შესაძლოა, ფიქრმა გაგიელვოთ: ხომ არ არის საერთოდ ხელოვნება ძიება გამოსავლისა, საშველისა. თითქოს ავტორიც ჩაგვჩურჩულებს ყურში: იფიქრეთ, რაც გინდათ, ოღონდ იფიქრეთ, იფიქრეთ ადამიანის სატკივრებზე, ადამიანის საკითხებზე, უფიქრობა აჩლუნგებს, აფუჭებს ადამიანებს!

გვებადება კითხვა: უნდა შევიბრალოთ ეს სამი გაწამებული ასული? ვთქვათ შევიბრალეთ, მაგრამ შებრალება, როგორც იტყვიან, რა ბედენაა. შებრალება არ შველის ტანჯულს, არ შველის საერთოდ ადამიანს.

სამი მწყაზარი ასული, მტრედებივით რომ კრთებიან კარის ყოველ დარახუნებაზე, მწყრებივით სუსტები და მშიშარები არიან. ისინი დიდხანს ვერ ბედავენ კარი გაუღონ ვიღაც სანატრელს, ვიღაც შეჭირვებულს; ყოყმანობენ, აგვიანებენ, სუსტებს, გაუბედავებს, კი თუნდაც მშვენიერთ, ბედი არ უღიმით... ბოლოს, როგორც იქნება ღა უცნობს კარს რომ გაუღებენ, ხელში მკვდარი შერჩებათ,

ამრიგად, დაგვიანებული სიკეთე შეიძლება ბოროტებად შებრუნდეს. სასოწარკვეთილ ასულთაგან ერთი — ევა ცდილობს ვნებისა და სიყვარულის ძალით სასწაული მოახდინოს, მკვდარს თავისი სითბო გადასცეს და გააცოცხლოს. ეს არის მშვენიერი ტრაგიკული განცდა თუ ოცნება (ვერე რა, რომ მაყურებელთა შორის ვიღაც იცინის!.. გამოძალული ყველაფერი ყალბია: სიტყვაც, საქმეც, გრძნობაც). იმედი მაინც უკანასკნელი სტოვებს გულს, თუნდაც სამარედ გადაქცეულს, როგორც კაპიტანი ჩასაძირავად განწირულ ხომალდს.

გული უნდა შეგვიძრას ევას გოდებამ დამსხვრეულ იმედებზე. მისმა მწარე საყვედურმა, რომ ასე დიდმა ქვეყანამ ასე დიდი სატანჯველი და სიავე დაატეხა თავს პატარას, სუსტს, დაუცველს, შესაძლოა, წამოგვეჭრას მწვავე საკითხიც: რად უნდა იყოს ესოდენ დაუცველი ადამიანი ამ დიდსა და სავსე ქვეყანაში, უნდა ვიფიქროთ ამ დიდი ქვეყნის უკეთესად მოწყობაზე, მით უმეტეს, რომ ყველა და ყველაფერი კვდება, მათ შორის იმედებიც. ხსოვნაც, უკვდავია მხოლოდ ის წვლილი, რაც შენ შეგაქვს ქვეყნის უკეთესად მოწყობასა და გალამაზებაში.

ჩემი აზრით, რეჟისორი სწორად მოქცეულა, რომ სცენიურად ერთმანეთზე გადაუბამს „სამი ასული“ და „ტყის ქალები“. ისინი მხატვრულ-დრამატურგიული კონცეფციის თვალსაზრისითაც შინაგანად ერთმანეთს ავსებენ. ამიტომ ერთიან კომპოზიციურ ჩარჩოებში მოქცეული თეატრალური სანახაობაც ერთიანი ტონალობისაა. აქაც სპექტაკლის მასალისაგან ზონათესავე წარმოსახვების გზით უნდა გამოიკვეთოს მხატვრული იდეა. ერთგვარი რეალისტური გასაღები სადღაც მაინც უნდა ჰოიძებნოს. ეს გასაღები, ჩემი აზრით, პიესის ბოლოშია.

გავიხსენოთ ერთმანეთთან და ტყის ქალებთან ნარჩოლი ოთხი ძმის დამამთავრებელი რეპლიკები. „ჩვენ ეს ჭრილობები გვამცნობს, რომ ადამიანი ვერ გაბედნიერდება ველურ ბუნებაში განდგომით“; „მართალია, ბუნება მხეცების დედაა“; „სოფელი ქვნის სიტყვას და წერს დაფაზე წმინდა კანონებს“; „კაცთა სახეზე იხატება სოფლის წესები“; „ის სიწმინდე გადმოვიწეროთ არა მარტო სახეზე, გულზეც! ავმაღლდეთ სულით!“; „ჭხოლოდ სულით ამაღლება არის თავისუფლება“; „კაცი მაღლდება სიმართლისათვის ბრძოლაში...“

თვით პიესის ვითარებათა და სახეთა მოძრაობაში ძნელად თუ შეიძლება ვიპოვოთ ამ ტევადი ანდაზური რეპლიკების რეალისტური გადაწყვეტა. მაგრამ ჩვენ ძალგვიძს შევაგებოთ მათ თვით სპექ-

ტაკლის საერთო ელერადობით აღძრული აზრი, გრძნობა თუ განცდა და შევავსოთ ისინი ჩვენეული შინაარსით. თუ გნებავთ, ერთგვარად კიდევაც გავათანაბედროვოთ ისინი, შევუხმიანოთ მათ ჩვენი იდეურ-ესთეტიკური მიდრეკილება.

შორს მიმავალ განვრცობათა თუ განტოტებათა შესაძლებლობას შეიცავს, მაგალითად, რეპლიკა „მხოლოდ სულით ამაღლება არის თავისუფლება", თუ ამ აზრს მისტერიის ქსოვილში უძრავად ჩავტოვებთ და განყენებულ ზნეობრივ-ფილოსოფიურ იდეად წარმოგვიდგენთ, უკეთეს შემთხვევაში, მას ეხლოდ ერთი პაწაწა ნაპერწკლის ციალს შევუნარჩუნებთ, მაგრამ თუ სულის ამაღლებად სამყაროს ახსნასა და გარდაქმნაში ადამიანის გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფის უწყვეტ პროცესს ვიგულისხმებთ, მაშინ იგი შეიძლება საკმაოდ ღრმა და ცხოველ აზრად გაიშალოს.

ტყის ქალები, როგორც ბუნების უშუალობის გამომხატველნი, ველურ ვნებებს ასახიერებენ. ისინი თითქოს თავისუფალნი არიან სოფლის ყოველგვარ წესთაგან. მაგრამ მათი თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებითი თავისუფლებაა. მათგან შორს არის სულით ამაღლება. არსებითად ისინი ხორციელობის ტყვეები არიან. მათ მხოლოდ ხორციელი ვნების, ხორციელი ყინის კარნახთ შეუძლიათ იმოქმედონ და იმოძრაონ ბრმად. ისინი შებოჭილნი არიან საკუთარი ბუნებრივი არსების თანდაყოლილი ჯაჭვებით, მათ მოქმედებათა არჩევანის უნარი არ გააჩნიათ, მაშასადამე, მოკლებულნი არიან ნამდვილ შინაგან თავისუფლებას.

აქ მაყურებელს შეუძლია ფიქრი გაადევნოს შესაძლებელ კავშირთა წყებას, წარმოსახვათა ნაკადს. თუმცა ეხახიობების გადაჭარბებულად არეულ-დარეული ხტუნვა და ხმაური, ვგონებ, რამდენადმე აძნელებს გაბმულ ფიქრს და არც თუ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს. იქნებ ეს ერთობ სუბიექტური აღქმა იყოს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ზომიერება აქ ურიგო სამსახურს როდი გაუწევდა ხელოვნებას...

სიმბოლურ ვითარებებსა და ნიღბებს ასე თუ ისე მაინც ვკითხულობთ.

სოფლის წესთაგან გამიჯნულ ტყის ქალებს არჩევანი არა აქვთ: მათი ნებისყოფა შეკრულია ბრმა ინსტინქტებით, ხორციელობის ვნებებით, ამიტომ მათი მოქმედებაც, მათი გზაც ცხოვრებაში ბრმა და შემთხვევითია. ბრმა გზა კი, როგორც წესი, მუდამ სიბნელეში მიდის. სიბნელეში კი, ვინ იცის, რამდენი ხრამი და უფსკრულია.

რას მეტყველებს ოთხი ძმისა და ოთხი ტყის ქალის ზღაპრულ-დრამატული თავგადასავალი?

ოთხი ძმის სამშობლო სოფლის წმინდა დაფებზე მაღალი ზნეობის მცნებები ეწერა, მაგრამ თვით სოფელი უზნეო, ცრუ და დაუნდობელი იყო. იქ ადამიანები ხშირად ერთმანეთს გალესილი ხანჯლებით უსაფრდებოდნენ, ლალად, არხეინად კი მხოლოდ პირმოთნენი ცხოვრობდნენ. ოთხი ძმა ადრევე დაობლებულა და მათი მამობილობა უკისრია ვიღაც ჯადოქარს, ვისაც მთელი სოფელი თავის კლანჭებში ჰყოლია. იგი თურმე სოფელში თესდა ავზნეს და თვითონვე მკურნალობდა სნეულებს. მასთან სამკურნალოდ მიჰყავდათ შეშლილები და შეყვარებულები. მაგრამ ერთ დღეს სოფელი ამბოხებულა და ჯადოქარი მოუკლავთ. კვლავ უპატრონოდ დარჩენილი ოთხი ძმა სოფელს აღუზრდია, მათ ზეპირად დაუსწავლიათ ძველ დაფებზე დაწერილი მცნებები და მუდამ მზად ყოფილან იმისათვის, რომ გაჭირვებულებს მიშველებოდნენ. მაგრამ სხვები თურმე დასცინოდნენ ძმებს და კუბოებს სთავაზობდნენ „ყველა სიწმინდის დასამარხავად“.

ძმები სტოვებენ სოფელს. სადაც დაფებზე დაწერილი მაღალი ზნეობის მცნებათა საფარქვეშ სუფევს ბოროტება და უკეთურობა. ისინი მიდიან თავისუფლების, სიკეთის და სიწმინდის საძიებლად, მიდიან „უმწიკვლო, მართალ, ბედნიერ ცხოვრების მოსაწყობად იმ კანონებით, რაც წერია სოფლის წმინდა დაფებზე“.

საღღაც ტყეში მიტოვებულ სასახლეში შეხიზნული ძმები ყოველდღე მიეშურებიან ცალ-ცალკე ქვეყნის ოთხ მხარეს და ეძებენ ტყის ქალებს — ბუნების უმანკო შვილებს, როგორც ხორცშესხმულ უმწიკვლოებას. მაგრამ ტყის ქალებთან შეხვედრამ მათ ვერ მოუტანა ვერც ბედნიერება, ვერც თავისუფლება, ვერც წმინდა სიყვარული, ვერც ზნეობრივი სიმტკიცე. პირიქით, ხორციელობის პირველყოფილ ვნებებს აყოლილნი თვითვე ბღალავენ მაღალ ზნეობას, ღამობენ შეაცდინონ ერთმანეთის საცოლეები და ერთმანეთს ხანჯლებით ჭრილობებს აყენებენ. თავის მხრივ ერთმანეთის შერითა და მოქიშპეობით ტყის ქალებიც ხომ სწამლავენ და ამახინჯებენ ერთმანეთს.

აბრიგად, ზღაპრული სიუჟეტი, სიმბოლური ნიღბები, უცნაური და ზოგჯერ საკმაოდ ბუნდოვანიც, მაგრამ მაინც პოეტური დიალოგები აღვიძებენ ასოციაციურ ნაკადს: საზოგადოების ზნეობრივი იდეალების და ადამიანის ყოფა-ქცევის მწვავე გათიშულობა სულიერად აღარიბებს და აცარიელებს ადამიანს, სულიერად დაცარიელებულ ადამიანში კი ძალობს ცხოველი. ყველაზე დიადი და მშვენიერი სიკეთე ამქვეყნად — თავისუფლება დაწყვილებულია ადამიანის არა მარტო გონებასთან, არამედ ზნეობასთანაც, თავისუფლების

სრულყოფის გზა ემთხვევა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის გზასაც, ჭეშმარიტ თავისუფლებას გვანიჭებს არა მხოლოდ სამყაროს საიდუმლოებათა შეგნება, არამედ ჩვენი ზნეობრივი ბუნების ამაღლებაც, თვით ჩვენს არსებაში ცხოველური საწყისების დაძლევაც...

ერთი სიტყვით, სპექტაკლი იძლევა დაფიქრების საბაბს. სანახაობითაც გვიზიდავს ერთგვარი უჩვეულობით.

1972.

თავის წიგნებში იცოცხლებს

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, წინ მიწყვია მისი წიგნები ჰეგობრული სამახსოვრო წარწერებით.

ამ წიგნებში ცოცხლობს მისი სული, ცოცხლობენ მისი გმირები, ცოცხლობს ისტორიული საქართველო. თავისი ისტორიული გმირების სახეებსა და საქმეებში იგი არსებითად ხომ ქვეყნის ისეთი წარსულის გამოსახვას ცდილობდა, რაც თავისთავად არასდროს არ კვდება. მის ისტორიულ თხზულებებში ხალხის ისტორიული შემოქმედება გვაგონებს ცოცხალი ორგანიზმის სისხლის მიმოქცევას, რაშიც საღი და საარსებო უჯრედები უზრუნველყოფენ ორგანიზმის ზრდასა და გამძლეობას. იგი ფიქრობდა, რომ როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში, წარსული ბუნებრივად და უფლებამოსილად შემოდის აწმყოში, იგი განუყოფელია შემდგომი განვითარებისაგან. მწერალს სწამდა, ღრმად სწამდა, რომ თუ ხალხი დაჰკარგავს თავის წარსულს, იგი დაჰკარგავს არა მარტო თავის სახეს, არამედ დაჰკარგავს თავის მომავალსაც. იქნებ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მწერალი მეტწილად ისტორიულ თემატიკას ეტანებოდა.

გაიხსენეთ მისი ერთ-ერთი ადრინდელი მოთხრობის „კრწანისის სევდის“ მთავარი გმირი — ბრმა არაგველი მოხუცი — ლომთათა. თითქოს ერთი მთლიანი მკვრივი ლოდისაგან არის გამოკვეთილი ამ გოლიათის არა მარტო გარეგნული სახე, არამედ მისი არცთუ ისე რთული შინაგანი სამყარო — მისი უღრმესი და უწმინდესი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი უსაზღვრო მწუხარება — მწუხარება მამისა, ვისაც მტერთან ბრძოლაში დაუკარგავს ყველა შვილი, მწუხარება ძველი მეომრისა და მშრომელისა, ვისაც უნახავს და განუცდია თავისი ხალხის ამოქლეტა, თავისი სამშობლო მიწა-წყლის აოხრება გააფთრებული მომხდური ურდოების მიერ.

თვალწინ გვიდგას კრწანისის მწველი სევდით შეპყრობილი ეს რომანტიკული, მაგრამ ნამდვილად მონუმენტური ბრმა დევკაცი და ვფიქრობთ, რა დიდებული, რა ძალოვანი, რა მშვენიერი და იმედ-

მომცემია კაცი თუნდაც თავის უსაშველო მწუხარებაში, თუ ამ მწუხარებით ამკვიდრებს საშობლოს შეუმუსრავ სიყვარულს.

თითქოს ეს ფიქრი გასდევს ერთ-ერთ მთავარ ლეიტმოტივად გოთუას თითქმის ყველა ისტორიულ ნაწარმოებს, მათ შორის მრავალკარიან „გმირთა ვარამს“.

ლევან გოთუა!

დიდად გულდაწყვეტილი ვამბობ ახლა ამ სახელს. და მჯერა, რომ ამ გულდაწყვეტილობის მოზიარეა ახლა ქართველი ხალხიც, ქართველ მკითხველთა ფართო წრეებიც.

მეტად რთული და წინააღმდეგობრივი გზის, მეტად ტრაგიკული ბედისა და თითქმის ასევე ტრაგიკული გრძნობის მწერალი იყო ლევან გოთუა. ტრაგიკული გრძნობისა, მაგრამ არა განწირულების სულისკვეთებისა...

ვაი, რომ იყო და აღარ არის!

იყო ნაყოფიერი, დიდად ნაყოფიერი მწერალი, მკლავმოუღლელი მშრომელი, შთაგონებადაულეველი და უხვი მთხზველი, შესაძლოა, ზოგჯერ ზედმეტობამდეც უხვი. ქმნიდა, წერდა, გამალებით წერდა, ღამეებს ათენებდა, იღვწოდა, მოღვაწეობდა (იგი ხომ თბილისის საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატიც იყო), გულმხურვალედ მოჭირნახულეობდა ჩვენი ერის ისტორიულ ძეგლებს... ქმნიდა, მოღვაწეობდა — ყველაზე ნაკლებ საკუთარი განდიდებისათვის, ყველაზე მეტად თავისი ხალხის, თავის ქვეყნის აღზევებისათვის.

მახსოვს, ამ ათიოდე წლის წინათ ერთად მოვინახულეთ ფიტარეთის შესანიშნავი ტაძარი, — მე-13 საუკუნის ძეგლი. ფიქრმორეულმა და კეთილად მოღიმარე მწერალმა თქვა მაშინ: — რაა რომ მარტო ჩვენ შეეცქერით ამ ძეგლს, ამ ფრესკებს... მინდა, ამას მთელი საქართველო ხედავდეს, რომ თავისი ისტორიული სიმტკიცე იგრძნოს და ირწმუნოსო.

ლევან გოთუას — ამ ფრიად თავისებური ხელწერის მწერალს, ფერთა საოცრად თავისებური შეზავებისა და საოცრად განსხვავებული შემოქმედებითი პალიტრის მფლობელ მხატვარს — ბევრი, ძალიან ბევრი შემოქმედებითი შთანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. ვინ იცის, რამდენი ამაღელვებელი და გატაცებით საკითხავი წიგნი დაჰკარგა სამუდამოდ ქართველმა მკითხველმა მით, რომ საქმეში ჩაგვერია ვერაგი, შემპარავი სიკვდილი.

სულ ოციოდე დღის წინათ ლევან გოთუა კვლავ გატაცებით უბრუნდებოდა მისივე თაოსნობით ადრევე წამოწყებული იმ კოლექ-

ტიური კრებულის გამოცემის საქმეს, რომელიც ეძღვნებოდა დიდგორის ომის — ოთხასწლიანი ტყვეობიდან საქართველოს გამოხსნის — 850 წლისთავს.

არ დასცალდა.

მხოლოდ მისი წიგნები გააგრძელებენ ღვაწლმოსილი მწერლის მოუსვენარ, ბობოქარ სიცოცხლეს.

1973

ვენდობი მის გულს

წრფელი მღელვარებითა და პოეზიის ნატიფი გრძნობით შესრულებულ თავის გულთბილ წერილში ანა კალანდაძის პოეზიის გამო შალვა აფხაიძე სხვათა შორის ეხება ღიმილის საკითხს, მაგრამ არა იმ ღიმილისას, რაიმე სასიამოვნო ხორციელი შეგრძნების გამო. ვთქვათ, გემრიელი საჭმელით დანაყრების გამო რომ გაიშლება ხოლმე კაცის სახეზე. არა, იგი ეხება სულ სხვა ღიმილს, ღიმილს, როგორც ადამიანის ბუნების შინაგან მზიურობას, ადამიანის იმ განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას, როდესაც გული ბრძეხია და გონება კეთილი; იმ ღიმილს, რომელიც ადამიანისა და მაღალადამიანურ ღირებულებათა დიდი სიყვარულის გამონაშუქია. შემთხვევითი არ არის, რომ ამ საკითხში შალვა აფხაიძე იშველიებს ცნობილი ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ ეკზიუპერის — ამ ნამდვილად დიდი ჰუმანისტის სიტყვებს ღიმილის შესახებ. შალვა ასკვნის: „ამ შინაგანი ღიმილის არსის სიტყვებით ახსნა და გადმოცემა არც ისეთი იოლი საქმეა. ის უნდა განიცადო. ამ მოუხელავ, შინაგან ღიმილს მგვრის ხოლმე ანა კალანდაძის ლექსების კითხვა“.

ამ სტრიქონებში, მე ვიტყოდი, ჩანს ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი საგულისხმო და უანგარო, მოკრძალებული და უპრეტენზიო მოღვაწე — თვითონ შალვა აფხაიძე. იგი ნამდვილად არის კეთილი ღიმილის კაცი და პოეტი. კეთილი ღიმილი მისი სულიერი წყობის მთავარი დუღაბია. ის კი ადამიანის უღრმესი რწმენიდან მოდის.

როდესაც შალვა აფხაიძის ლიტერატურულ შემოქმედებას ეცნობით, არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეთ სწორედ უღრმესი რწმენა ადამიანისა, ადამიანისა, როგორც შემოქმედისა. პოეტს აქვს ამ რწმენის პირდაპირ გადამდები განცდა.

მართლაც, საოცრებაა ადამიანის გენია!

სადღაც მიწის წიაღში არის მადანი. იგი უსულო და უძრავია. მაგრამ მოვა ადამიანი, მოვა ადამიანი-შემოქმედი, დაამუშავებს, გადაადნობს მადანს და შექმნის საოცარ მანქანებს.

ქვეყნიერება სავსეა ათასნაირი ბგერებით. თავისთავად ეს ბგერები უმეტყველო და უგონოა. მაგრამ მოვა ადამიანი, მოვა ხელოვანი, შეკრებს, შეაზავებს ამ ბგერებს და შექმნის წარმტაც მუსიკას, უკვდავებასთან რომ გაზიარებს.

კაცობრიობას თავისი სასიცოცხლო ურთიერთობისათვის დასჭირდა სიტყვები და მან შექმნა სიტყვების უდიდესი და მრავალფეროვანი მარაგი. ჩვენ ვხმარობთ ამ სიტყვებს ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში და არც კი ვფიქრობთ მათს რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. მაგრამ მოვა ადამიანი, მოვა შემოქმედი, შეეპიდება სიტყვის ზოდებს, ააწყობს, ასხამს, აანთებს და შექმნის სიტყვის მშვენიერ ქმნილებებს, ადამიანის აზრების, გრძნობების, ვნებების ქვესკნელებსა და ზესკნელებში რომ გვახედებენ.

ავერ, ხედავთ უზარმაზარ ლოდს ან პიტალო კლდეს. იგი მკვდარია და უაზრო. მაგრამ მოვა ადამიანი, მოვა ოსტატი და ლოდისაგან გამოკვეთს შესანიშნავ ქმნილებას. ლოდი ამეტყველდება და მარადისობასთან დაიწყებს კამათს.

გაკვირვებთ ქვეყანას და ზოგჯერ გგონიათ, რომ ყოველ ნივთში, სამყაროს ყოველ ნივთიერ თუ არა ნივთიერ ნაკვთში იმალება რაღაც ისეთი, რაც შეიძლება დიდებულ ადამიანურ ქმნილებად იქცეს. გგონიათ, თითქოს ლოდებში სძინავთ დიდებულ ქანდაკებებს, ქვეყნად დაღვრილ ფერებში — მშვენიერ ფერწერულ სურათებს, მადნებში — კოსმოსურ ხომალდებს, ქვეყნიურ ბგერებში — მომხიბველელ ჰანგებს, სიტყვებში — მშვენიერ ლექსებსა და რომანებს... მაგრამ ყოველივე ეს ხომ შენს სულშია, დიდებულო ადამიანო, ყოველივე ეს ხომ შენმა გონებამ და ხელმა უნდა ამოზიდოს!

ვინა თქვა ადამიანის უღონობა.

ალბათ ფიქრებმა ადამიანის სიდიადეზე ათქმევინეს ჩვენს პოეტს:

ვიღიმი ჩემთვის და აღარ ვწუხვარ.
მიუღწეველობის აღარ მღრღნის სევდა,
ჩემი ოცნება იქ დაჰქრის ცაში
და ვხედავ, ეხედავ,
ძმადნაფიცები
როგორ შევიდნენ უკვდავებაში.

შალვა აფხაიძე მიჰყვება ტრადიციული ქართული რეალისტური ლექსის გზას. მთავარი კი ის არის, რომ მის ლექსებში იგრძნობა მისი კეთილი ღიმილის გამოსხივება. მისი პოეტური პალიტრაც უმთავრესად თბილი და ხასხასა ღიმილისფერი საღებავებისაგან შესდგება. პოეტს არ სწყინდება ცისარტყელას ფერები, გაზაფხულია ფერები.

მე ხომ თოვლშიაც ზამბახს ვამჩნევდი,
გაალმასებულ ყინვაში — ია.

დეე, უთვალავჯერაც იყოს თქმული დიდება სიცოცხლის ამ ფერებისა, პოეტისათვის ისინი მაინც მუდამ ახალი და უხრწნელია. მისი გული მიილტვის იქითკენ, სადაც გაზაფხულის ეს ფერები უშუალოდ და მკაფიოდ იბადებიან.

უნდა ვესტუმრო ჩემს ზღაპრულ სოფელს,
ღიმილით შევხვდე იელებს, შქერებს —
ვით შადრევანნი, მაღლა რომ სცემდნენ
გაზაფხულობით გაჩენილ ფერებს.
ჩემი სოფელი სხვა ნათელს მომფენს
და გამომატანს სულ სხვა სიმღერებს.

არა, ეს არ არის ეგრეთ წოდებული „მიწასთან დაბრუნების“ წყურვილი, არც უძირობის განდიდებაა. ეს არის ლტოლვა ფერთა სიანკარისაკენ, რაც სწორედ ნათელ და ღიმილიან სულიერ სამყაროს ესატყვისება. პოეტისათვის, რომელსაც ადამიანის გონების ყოველი წარმატება პირდაპირ ფრთებს ასხამს და აღტაცებით წამოაძახებინებს — „დიდ დროში ვცხოვრობ, ეს მიხარია, თაფლად ვიღვრებიო“, ორგანულია დაყინებული გატაცება გაზაფხულის ფერებით. აი, ლექსი „თუმცა მოვხუცდი“. ისევ ლოდინი გაზაფხულისა „იასამნის ფარფაშა ბუჩქთან“.

ვუცდი აპრილი როგორ შემოვა,
გრუხუნით მოვა,
ღიმილით მოვა,
ცისარტყელათა მოვა ფერებით,
მომაყრის უხვად იებს და ვარდებს,
ავსებს სივრცეს საამო ხმებით,
გულში მერცხალი გაინავარდებს.

ამას წერს 70 წლის... ჭაბუკი, დიახ, ჭაბუკი უწინწკლებოდ, რადგან ლამაზი და წარმტაცი მომავალი დღის მოლოდინი ჭაბუკის მოუღლელ სულს სჩვევია, ხოლო მოქანცულ სულს ხშირად უკანმოტოვებული წლების სევდიანი მოგონება იპყრობს. არის რაღაც თავისებური სილამაზე და ჩიბრძნე მხცოვანურ ჭაბუკობაში. თუმცა იგი იმდენად სათუთი და საფრთხილო მგონია, რომ ვაგლახად ხელის ხლებაც კი არ შეიძლება... ო, თანაც პოეტი... პოეზია ხომ არსებითად მარადი სიჭაბუკეა, წუთის გამარადისება, ეამთა ასვლის ულმობელობასთან ჭიდილია. შალვა. რასაკვირველია, აქაც ალბათ, მხარში უდგას თავისი გულითადი მეგობრის — ჩვენი სასიქადუ-

ლო პოეტის — გიორგი ლეონიძის პოეზიას, მის ფრთიან სიტყვას, რომ ლექსი და სიჭაბუკე განუყრელია. შალვასაც ხომ სწამს.

ჩემს სიჭაბუკეს და მის ოცნებას
ლექსი ხომ მაინც გაიმეორებსო.

შალვა აფხაიძის პოეზია სავსეა სიცოცხლისა და სიჭაბუკის დიდებით. მაგრამ არ იფიქროთ, რომ პოეტი შეჰხაროდეს და უმღეროდეს შიშველ სიცოცხლეს, შიშველ სიჭაბუკეს. ოჰ, არა, არა! სიცოცხლე სიცოცხლისათვის, სიჭაბუკე სიჭაბუკისათვის — ისეთივე უაზროდ შეკრული ცარიელი რკალია, ისეთივე უგონო თვითგანმეორებაა, როგორც ყოველივე ამქვეყნად. რაც კი მხოლოდ თავისთვის არის, დიდი საქვეყნო მოძრაობიდან გამოთიშული.

ყველას სწყურია სიცოცხლე! არის სიცოცხლე თავისთავად. ეს ჭეშმარიტებაა უცილობელი. მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ იწვევს დიდ ადამიანურ აღფრთოვანებას. დიდ სულიერ ფრთაშესხმას.

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ იქცევა ამქვეყნიურ უმაღლეს ღირებულებად, როდესაც იგი დაიმუხტება დიდი საქვეყნო მიზნით.

სიცოცხლეს თავისთვის და თავისთავად არ შესწევს უნარი მოიცვას სიცოცხლის ჭეშმარიტი ღირებულება.

რისთვის და ვისთვის? აი, რა ქმნის სიცოცხლის წარმტაც მუსიკას, მის სილამაზეს. მის პოეზიას.

შალვა აფხაიძე შეჰხარის და უმღერის სამშობლოზე გადაგებულ სიცოცხლეს და სიჭაბუკეს.

სიცოცხლე სამშობლოსათვის! — აი, შალვა აფხაიძის პოეტური სამყაროს წყარო. მისი ლირიკული აღსარებები აღსავსეა სამშობლოს შეუქცეველი და თავგამეტებული სიყვარულით. პოეტი პირდაპირ რაღაც წარმართული სიმტკიცით ამკვიდრებს ამ სიყვარულს. მას სურს ჩაუმუხლებლად მიჰყვეს სამშობლოს ცხოვრების უშლელ დიდებას.

მივყვე. სანამდე მიმიწევს ძალა,
შეკს უკანასკნელს რომ შევხვდე მშვიდი.
და მიწას. რომლის ტრფობამ დამცალა,
გადავცე ძვლებით ეს სითბო დიდი.

მაგრამ პოეტისათვის სამშობლოს სიყვარული, უწინარეს ყოვლისა, ამაღლებული ზნეობრივი გრძნობაა. იგია წყარო სულიერი რაინდობისა და ვაჟკაცობის, გულმართლობისა და ერთგულების, შინაგანი გაუთიშველობისა და ნათელი რწმენის. ამ გრძნობის მოდუნებას ადამიანი მიჰყავს შინაგანი რღვევისაკენ, სულიერი სიმტკიცის მოშლისაკენ. პოეტს უსამშობლოდ სიცოცხლე ვერც წარმოუდგე-

ნია. პოეტს ის დღე არაფრად უნდა, რომელიც სავსე არ არის სამშობლოს სუნთქვით.

ის დღე რად მინდა, თუ არ ეუმღერე
ჩემი სამშობლოს დიდ სილამაზეს,
თუ არ დამატკბო ჩუხჩუხით ღელემ,
და გარიერაქის ყივილ-ხივილში
არ დავუარე ფეხდაფეხ ვაზებს.

არა იმდენად მოულოდნელი და ელვარე პოეტური აღმოჩენებით, არამედ თავისი იქვმიუტანელი გულწრფელობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას პოეტის პატრიოტულ-ლირიკული აღსარებანი. ნიმუშად აი ერთი მიმართვა თავისი სანუკვარისადმი:

ბევრჯერ ასულო სისხლით უძღებ გოლგოთის
მთაზე!
მე ვდგავარ შენს წინ მუხლმოდრეკილი
და შემოგცქერი ერთსა სხივოსანს —
შენ. განფენილსა, დიდო შუქო, მთებად, ველებად;
შენგან მეფრქვევა ცა ასე წმინდა, ასე თბილი
და მხოლოდ შენი ნათელი მმოსავს.
შენ ხომ შორი გზის ხარ საწყისი და გაგრძელება,
ძველ ნანგრევებში მესმის შენი ქვითინი მწველი
შენს ყოველ დილის აღმობრწყინებას,
როგორც სიხარულს ველი და ველი.
შენ ხარ გმირობის, უკვდავების მზიური ფარი,
შენ ხარ, იყავი, შენ დარჩები ჩემი ლამპარი.

ლექსის ერთგვარი რომანტიკულ-პათეტიკური ჟღერა პოეტის წრფელი სულიერი მღელვარების რიტმზეა აწყობილი.

გინდათ, იგრძნოთ ღიმილში და ღიმილით დანახული დღევანდელი საქართველო? გინდათ იგრძნოთ პოეტის წრფელი და თავგამეტებული სიყვარული სამშობლოსი? წაიკითხეთ მისი ლექსები! ამ ლექსების დიდი უმეტესობის თითქმის ყოველ სტრიქონს ახალი, დღევანდელი საქართველოს სურნელება ასდის.

პოეტის ეს პატრიოტული მღელვარება, რასაკვირველია, ნაკარნახევია ეპოქის სულით, იმ გარემოთი და იმ დროით, რომლის შესახებაც პოეტი ამბობს:

„დიდი ნათელი ჩემი დროისა
ამისკრის მაღლა... მაღლა... სულ მაღლა“.

ამ დროის სული კი ყველაზე მეტად სწორედ პოეტის პატრიოტული გრძნობის ზნეობრივ შედგენილობაშია.

თვით პოეტიც ხომ კარგად გრძნობს, რომ დროის ამ ნათელში

დიდია მეჩკვიდრეობა იმ ადამიანების სულიერი სიწმინდისა და გმირობისა, რომლებიც იყვნენ, იბრძოდნენ და რომელთაც

„მრავალ თაობის ზიდეს სიმძიმე,
რომ გაეფანტათ ცხოვრების ბინდი,
ტახტზე დაესვათ მზე მოციმციმე.
რომ თავისუფლად გვესუნთქა მარად.
ომობას გაეკრა ცაში კამარა,
მათ ფრთებს ასხამდა ოქტომბრის ქარი.

. .

მათ მომავლისკენ გააგეს ხიდი.

. . . .

იმათგან მოდის ჩვენი ნათელის.
ჩვენი სიცოცხლის უშრეტი წყარო...
და მინდა პუხლი მათი ხსოვნის წინ
ბადლობის ნიშნად მეც მოვიყარო“.

ეპეი არ არის, პოეტის არა მარტო ლექსებში, არამედ მის ადამიანურ-მოქალაქეობრივ ხასიათშიც შენივთებულია ჩვენი ეპოქის საზოგადოებრივი გამოცდილების ნათელი მხარეები.

მაგრამ, რაკი წესია, მოდი, გავუხსენოთ პოეტს მისი ადრინდელი სიმბოლისტური ცთუნებანიც, მისი ცისფერყანწელობა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, იმდენად არაორგანული ყოფილა იგი მისთვის, რომ მაშინდელი ლექსების შესახებ თვით პოეტი ულმობელი გულახდილობით ამბობს: „ახლა მათი გახსენებაც კი მაწითლებსო“... ხოლო ის ნამდვილად მტკიცე და სისხლხორცეული, რაც სიჭაბუკიდან გამოჰყოლია მას და რაც წარუხოცელ საფანელად დასდებია მის სულს, კარგად არის გადმოცემული მის ახლახან გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ პოემაში — „ჩემი თაობა“. ეს არის „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ჩაუქრობელი სინათლე, ცხრაასხუთი წლის მღელვარე დღეების რომანტიკა, ხალხისა და სამშობლოს თავისუფლების დაუცხრომელი წყურვილი.

აქვს შალვა აფხაიძეს ერთი ლექსი—„ქვაზე წარსაწერი“, — თითქმის ქართული ხალხური ლირიკის კილოზე აწყობილი, ერთი შეხედვით სრულიად უბრალო და უსამკაულო, მაგრამ, ჩემი აზრით, საგულისხმო პოეტური ხილვის შემცველი. ლექსი იწვევს პოეტურ ასოციაციებს, აღსავსეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოპტიმისტური ტრაგიზმით. აქ არ არის ხელთუქმნელი ძეგლების აგების პოეტური მტკიცება. აქ არის პოეტური ეპიტაფია — სიკვდილის გაღმა გასვლა, სიცოცხლის მარადიული ძაფის ძიება... და თუ საკმე შეიძლება მოიძებნოს ეს ძაფი, პოეტს სწამს, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ შენი ქვეყნის სიყვარულში, შენი ხალხის გულში მოიძებნება.

უკვე ლექსის პირველსავე სტრიქონს („უცხო მგზავრო, ქვის ქვეშ ვწევარ") მოაქვს რაღაც უთქმელი თრთოლვა, ხალხური ტრადიციებიდან მობერილი ბინდი. უბრალო მონოლოგი აგრძელებს ბედის გამხელას, გულის განდობას.

მე მიყვარს ნაქერალა,
მტკვარი ჩქარი, ფერწარმტაცი...
და ვიყავი ჩემი ქვეყნის
სულ პატარა ჯარისკაცი.

და თუ უკვდავება რაიმე სახით, თუნდაც სიტყვაში, თუნდაც ხსოვნაში, შესაძლებელია, მისი უფლება, პოეტის რწმენით, აქვს იმას, ვცირეა იგი თუ დიდი, ვისაც თავის გულის უკეთესი ნაწილი მიუცია სამშობლოსათვის.

არ გავმქრალვარ... ჩემს მიწაზე
მიზრდილი ვარ სისხლით, ძვლებით...
და თუ ატყდა ქარიშხალი
საფლავიდან დავიძვრები.

შალვა აფხაიძისათვის უცხოა ყოველგვარი პოეტური ქედმაღლობა, უცხოა ქურუმობისა და რჩეულობის თავკერძული ფსიქოლოგია. ასეთ ფსიქოლოგიას ხალხის ალალი გულიც ვერ იკარებს. ხალხმა იცის, რომ თვით უდიდესი გენიოსიც კი ჩვეულებრივი ადამიანია და ჩვეულებრივი ადამიანის როლში იგი დიდებულია.

შალვა აფხაიძეს სწამს, რომ პოეტი, ისე როგორც ყოველი ადამიანი, რომელიც თავის გულის სითბოს, თავის ძალებს აძლევს ქვეყანას, თავის მოკრძალებულ ადგილშიაც პოულობს საამაყოს. პოეტის „გაზაფხულის სიმღერის" ერთი მუხლი ასე ჟღერს:

მოვდივარ... ვარდის ფურცლები,
ეზის ნატეხები მაცვია.
ვამაყობ, რომ კომუნიზმის
პატარა ჯარისკაცი ვარ.

თავმდაბლობა, როგორც იტყვიან, ამშვენებს ადამიანებს, მათ შორის როგორც ჩანს, პოეტებსაც.

კარგი, ლამაზი გულწრფელობა ახასიათებს შალვა აფხაიძეს ცხოვრებაშიც, ლექსშიც, სიტყვაშიც, წერილებშიც. პოეტი საკმაოდ მკაცრია თავის მიმართაც. როცა საქმე ჭეშმარიტ პოეზიას ეხება. იგი ჩვეული ულმობელი გულახდილობით აცხადებს: „საკმაოდ მდიდარი ხარკი მივიტანე სქემატური, პლაკატური პოეზიის წინაშე". ცხადია, ჩვენ გვესმის, რომ ეს ხარკი დროის ნაკარნახევი იყო და არა მარტო ერთი პოეტის ცოდვა. თანაც პლაკატშიაც ჩვენ გულწრფელი და უნიღბო ვიყავით.

პოეტს აქვს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც, მე ვიტყოდი, ფრიად ბედნიერი გრძნობა. გამიგონია, დიდ გოეთესაც კი ზოგჯერ ეჭვი ეპარებოდა თავისი ქმნილებების პოეტურ ძალაშიო... ჩვენებურ ბანდაურს კი, ამბობენ, ღრმად სწამს, რომ მისი ლექსები შედევრებია. რა გაეწყობა, ნეტარ არიან მორწმუნენი!..

შალვა აფხაიძე თავისი ლექსების კრებულის — „გაზაფხულის განთიადების“ წინათქმას ასე ამთავრებს: „...სრულიად არ ვარ კმაყოფილი ჩემი შემოქმედებითი მუშაობით. მხატვრული შემოქმედება ნიშნავს დიდ ჰიდილს სიტყვასთან, ცდას — საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე ფიქრები თუ ემოციები სიტყვის საშუალებით გადმოსცე. ეს არის მეტად რთული და ძნელი საქმე. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ მეგრძნო პატარა აგური მაინც მაქვს მიტანილი კულტურის იმ დიდ შენობის ასაგებად, რომელსაც ახალი ქართული კულტურა ეწოდება“.

ჩემი აზრი პოეტის ამ განცხადების შესახებ მოკლედ უკვე გამოვთქვი მთელ ამ წერილში. აქ კი ვიტყვი: ვენდობი პოეტის ღიმილს, ვენდობი მის გულს, მის ტკივილსაც, მის სევდასაც.

პოეტს ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი მეგობრებისათვის. ბევრი ნამდვილი და მართალი გრძნობაა ამ ლექსებში, მწარეცა და ტკბილიც. ამ ლექსთა შორის ერთი მაინც მინდა გამოვყო, მეტად ინტიმური, მეტად პირადი, მაგრამ წარმტაცი თავისი უშუალობით, თავისი მოალერსე სინათლით. ეს არის ლექსი — „ნ. თ-ძეს, ჩემი ცხოვრების თანამგზავრს“ — გულისსწორობისა და გულთა კავშირის ლამაზი ჰიმნი. პოეტი უმღერის თავისი ცხოვრების თანამგზავრს. ლექსის თითქმის ყოველი ნაკვთი პირველი გატაცების ძალით ელერს. აი, შუა და ბოლო ამ ლექსისა:

ჩვენ ერთად გავეცალეთ აღმართ-დაღმართი,
ყველა ყვავილში გამოსარჩევო.
ახლაც. ვით წინათ, როგორც წარმართი,
შენზე ვლოცულობ, ძვირფასო ჩემო!

. . . . . .

ჩემთვის შენა ხარ სინათლის ზღუდე,
შენს სინათლეში კიდეც დავბერდი,
და სიკვდილამდე რომ დამიბრუნდეს,
მჯერა, მაინც შენ შეგიყვარებდი.

ეს შესაშური ერთგულებაა დიდი გრძნობისა, კარგი და ლამაზი. ღრმა და წმინდა გრძნობას კი განსაკუთრებული პოეტური სამკაულების გარეშეც შეუძლია ამაღლდეს ნამდვილ პოეზიამდე.

პოეტის შემოქმედებითი სახის ეს სახელდახელო ჩანახატიც კი

დაუმთავრებელი გვრჩება, რაკი აქ ვერ ვეხებით მის საყურადღებო კრიტიკულ წერილებს. თუმცა საქმეს გვიადვილებს ის, რომ შალვა აფხაიძის კრიტიკული წერილები ერთგვარად მისი პოეზიის გაგრძელება თუ სხვა სახეობაა. ისინი, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობენ გრძნობიერი, ემოციური დამოკიდებულებით თემისადმი, ფაქიზი გემოვნებით და ნათელი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსით.

უხვი, ბარაქიანი შემოდგომა გაზაფხულის მოტრფიალეს!

1967

მშობლიური სიტყვის მებაღე[1]

შემოქმედის პიროვნებიდან, რასაკვირველია, ბევრი, ძალიან ბევრი რამ გადადის მის შემოქმედებაში. მაინც საკითხავია: შემოქმედება და შემოქმედის პიროვნება განა ყოველთვის ხმაშეწყობილია?

კარგი ხელოვანი კარგი კაციც უნდა იყოსო. მაგრამ არის ასე ყოველთვის? ეჰ, ვინ იცის...

ის კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ცნობილი ქართველი მწერალი — პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი გიორგი შატბერაშვილი კაცურ-კაციც იყო, უღვარძლო და უბოროტო. გონივრულ სიდინჯესა და სიდარბაისლესთან ერთად მის პიროვნებაში განსაკუთრებით მიზიდავდა ბუნებრივი სისადავე, ძალდაუტანებელი თავმდაბლობა, სულიერი უზვიადობა. ეს თვისებები დასაფასებლად მიმაჩნია იმიტომაც, რომ, ვფიქრობ, მეტი რომ არ ვთქვათ, პირდაპირ ამაზრზენი უგემოვნებობაა, როდესაც რაიმე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან რაიმეთი წარჩინებული პიროვნება, იქნება იგი ხელოვანი, მეცნიერი თუ სხვა ვინმე, რაღაცნაირად თავს ამადლის ქვეყანას, თავს ამადლის ადამიანებს და თავის მიმართ განსაკუთრებულ გუნდრუკის კმევას მოითხოვს. გიორგი შატბერაშვილი ძალიან შორს იყო ასეთი უგემოვნებობისაგან.

საზღაურად ცოტაა განა: ის, ვინც რაიმე სილამაზეს, სიმშვენიერესა თუ სხვა რამ ღირებულებას ქმნის, ამდენადვე ქვეყანასაც აუკეთესებს და თავის სულსაც ამდიდრებს და ალამაზებს. მებაღე, ვინაც მშვენიერ ბაღს აშენებს, ქვეყანასაც სიმშვენიერეს ჰმატებს და თავის სულშიაც აღვივებს მშვენიერების გრძნობას. იქნებ, საჭირო იყოს შებრუნებულადაც ითქვას: ვისაც სულში არ უღვივის სიკეთისა და მშვენიერების გრძნობა, იგი ლამაზსა და მშვენიერს ვერაფერს შექმნის, ოდნავადაც ვერ გააუკეთესებს თავის წილ ქვეყანას. მაგრამ

---

1 ეს მცირე მოსაგონარი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ 1970 წლის 18 დეკემბრის № 51-ში. მალე ამის შემდეგ მე მივიღე ერთი ჩემი ძველი მეგობრის პირადი წერილი — გამოხმაურება ჩემს პატარა დაბეჭდილ წერილზე. საჭიროდ ჩავთვალე მეგობრისათვის მეპასუხნა იმავე გაზეთში გამოქვეყნებული ღია წერილით, რომელიც აქ ამ წერილს მოსდევს.

არა, არ შეიძლება ადამიანში არ იყოს თუნდაც უმცირესი, თუნდაც ფერფლწაყრილი ნაპერწკალი შემოქმედებისა, სიმშვენიერისა და სიკეთისა. საჭიროა მხოლოდ ამ ნაპერწკლის გაღვივება. ამიტომაც, ალბათ, მეტ-ნაკლებად ყოველ ადამიანს ძალუძს თავისი წილი ქვეყნის გაუკეთესებაც და, ამდენადვე, თავისი თავის გაუკეთესებაც, შესაძლოა, ყველაზე დიდი ბედნიერებაც ასეთნაირი თვითგაუკეთესება იყოს...

ეს ფიქრები წამომეშალა, როდესაც ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი გიორგი შატბერაშვილის ნაწარმოებებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერს, ყველაზე ძარღვიანს, ყველაზე სახოვანს — „მკვდრის მზეს". ეს მოთხრობა თითქმის გედის სიმღერა იყო მწერლისა. ამის გამო იგი იმასაც მოწმობს, თუ რაოდენ ძალმოცემულ მხატვრულ ნიჭს შეაკვეცა ფრთები უდროო სიკვდილმა. მწერალს არ დასცალდა დაეწერა განზრახული ისტორიული რომანი აბო თბილელზე, რათა მის ტრაგიკულ თავგადასავალში გაეგრძელებინა ადამიანის ბუნების გმირული საწყისის სიდიადისა და სილამაზის გამოსახვა. სწორედ გმირული, ვაჟკაცური, შემართებული სულისკვეთების აპოლოგია არის მწერლის უმთავრეს ნაწარმოებთა ძირითადი პათოსი. ამ მხრივ საგულისხმოა მწერლის ერთ-ერთი ყველაზე სისხლსავსე მხატვრული სახის — თენგოს მამის, თითქოს კერპული ნებისყოფით შეკრული, მაგრამ არსებითად გაორებული ადამიანის — გიორგის კამათი თავისსავე ავ და სკეპტიკურად მეორე მესთან — ავგიორგისთან:

„— დაზოგილი ღონით ნატვრა ვის შეუსრულებია... თუ ერთბაშად არ დაიხარჯე, თუ ერთბაშად არ მოიქნიე ფრთა, ერთხელაც ვერ აფრინდები არწივივითა...

— ვინც ერთბაშად დაიხარჯება, ცეცხლი წაეკიდება და ბურბუშელასავით დაიწვის.

— სინათლეს ის ცეცხლი აჩენს... მერე სინათლე სხვას უშუქებს გზასა"...

სხვათათვის გზის გაშუქების მოტივი დიდი ქართული ლიტერატურის უკეთესი ჰუმანისტური ტრადიციებიდან მოდის. გიორგი შატბერაშვილის ეს ტრადიცია სისხლხორცეულად ჰქონდა შეთვისებული.

მწერლის უკეთესი მხატვრული ქმნილებანი ნათლად მოწმობენ, რომ გულში ჩამწვდომი ქართული სიტყვის სათქმელად მას შეეძლო დაუზოგველად ხარჯვა თავისი ნიჭისა, შეეძლო ფრთის ერთბაშად მოქნევა, რომ მაღლა აფრენილიყო.

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო მოთხრობის ერთი ნაკვეთი, სა-

დაც მწერალი თავისი ღამეული ფიქრებით ერევა ამბის განვითარებაში და გულმხურვალედ ემესაიფება თავის საყვარელ გმირებს — თენგო ბიჭსა და ხიზამბარელს:

„გარეთ ცივი ღამეა... უზარმაზარი ცივი მთვარე ამოქცევს მთაწმინდაზე აღმართულ ტელემზერის კოშკს... უზარმაზარი ფანტასტიკური სატაცურივით აწვდილა ეს კოშკი... ბრწყინავს და მიცურავს. მიდიან ღრუბლები, მიდის კოშკი, მიდის დრო...

არა, დრო კი არ მიდის, დრო დგას და ჩვენ მივდივართ. დრო უძრავია სივრცესავით, თვალუწვდენია სივრცესავით, ის უსახო და უსახელო მდუმარებაა. რომელსაც ხანდახან ჩვენი ძახილი არღვევს. ჩვენ მივდივართ, მივქრით იმ ღრუბლებივით, დრო კი დგას, როგორც მთაწმინდაზე აღმართული ტელემზერის კოშკი...

შუალამე დიდიხანია გადავიდა.

ოთახში ცივა... მუხლები მეყინება. და მაინც თქვენზე ვფიქრობ— თენგო ბიჭო და უსახელო ხიზამბარელო...

ეს ფიქრი თუ მიშველის, ეს მტანჯველი ფიქრი თუ დამავიწყებს იმას, რომ რადიატორი უკვე გაიყინა და ოთახში ცივა.

ვგრძნობ, როგორ ვიქანცები, როგორ მტანჯველად შრიალებს ფიქრი. როგორ ბნელდება ირგვლივ... ვეღარაფერს ვხედავ... თქვენ კი უფრო ცხადად, უფრო გარკვევით მეხატებით. ასე მგონია, ხელითაც კი შემიძლია შევეხო თქვენს ძლიერ მხარ-ბეჭს, ხელი ჩამოგართვათ, ვიგრძნო თქვენი ძლიერი მაჯა, დაგეჭიდოთ...

თბილისში ახლა ყველას სძინავს, მხოლოდ მე ვფიქრობ. ვეძებ სიტყვას, და ვცდილობ თქვენს გაცოცხლებას, მეც თქვენსავით ვეჭიდები საჯილდაო სიტყვის მძიმე ლოდს“.

ამ სიტყვებში იწვის, ცოცხლობს, სუნთქავს თვითონ მწერალიც.

არა, იგი მართლაც სიტყვის ლოდს როდი ეჭიდებოდა. ლოდი ცივია და უმეტყველო, ლოდი სიმბოლურადაც ვერ ქმნის ცოცხალ კავშირთა ამაღელვებელ ქსოვილს. მწერალი ძალების დაუზოგველად ეჭიდებოდა ცოცხალ ქართულ სიტყვას და სულს უდგამდა ამაღელვებელ მხატვრულ სახეებს.

გიორგი შატბერაშვილს თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ქართული სიტყვის კარგი მებაღის სახელი.

1970

ღია წერილი ძველ მეგობარს

თქვენ ერთობ დინჯი, თავდაჭერილი და უფრო ფიქრჩახვეული, ვიდრე გულჩახვეული, კაცი ხართ და რაკი თქვენ, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთხოვნილებამ დაგძლიათ, რათა ჩემს ერთ პატარა წერილს გამოხმაურებოდით პირადი ბარათით, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ საკითხს საგულისხმო საზოგადოებრივი მნიშვნელობა და სიმძაფრე აქვს. ამიტომ გადავწყვიტე გაგესაუბროთ ღია წერილით. მინდა, მოგიხსენიოთ სახელითა და გვარით, მაგრამ თავს ვიკავებ. რადგან არ ვიცი, გინდათ თუ არა ეს თქვენ, თუმცა ვერ დაგპირდებით, რომ ზოგიერთმა ცნობამ, რაც, შესაძლოა, გზა და გზა დამჭირდეს, თქვენი ვინაობის კვალზე არ დააყენოს მკითხველი.

თქვენ მწერთ:

„თქვენს წერილში („ლიტერატურული საქართველო", № 51, 1970 წ. 18 დეკემბერი), რომლის საერთო შეფასებას მე არ ვკისრულობ, ერთმა ადგილმა მიიქცია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება, თქვენ წერთ: „პირდაპირ ამაზრზენი უგემოვნებობაა, როდესაც რაიმე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან რაიმეთი წარჩინებული პიროვნება, იქნება იგი ხელოვანი, მეცნიერი თუ სხვა ვინმე, რაღაცნაირად თავს ამადლის ქვეყანას, თავს ამადლის ადამიანებს და თავის მიმართ განსაკუთრებული გუნდრუკის კმევას მოითხოვს". ცამდე მართალი ბრძანდებით, ოღონდ თვით სიტყვა უგემოვნებობა მე მაინცადამაინც არ მომწონს: ძნელად გამოითქმის და თანაც, რაც მთავარია, ზუსტად და მკვეთრად ვერ გამოხატავს ნაგულისხმევ აზრს, თუმცა ამ შემთხვევაში უგემოვნებობის ელემენტიც არის, უფრო სწორი იქნებოდა: ამპარტავნობა, კადნიერება, თავგასულობა, მატრაკვეცობა, მეტიჩრობა, კუდაბზიკობა და მისთანანი".

არ შემიძლია კმაყოფილი არ ვიყო მით, რომ ჩემი ერთი პატარა წერილის თუნდაც ერთმა არსებითმა ადგილმა ისეთი მომთხოვნი მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, როგორიც თქვენ ხართ. ბოლოს და ბოლოს, ზოგჯერ მთელ რომანსაც ხომ სწერენ რომელიმე ერთი შეხედულებისათვის, ერთი კონცეფციისათვის.

მე, როგორც ყოველი ავტორი, რასაკვირველია, მსურველი ვარ, რომ ჩემი შეხედულება რაც შეიძლება მეტმა მკითხველმა გაიზიაროს, ამ შემთხვევაში კი მსურს იგი გაიზიაროს სწორედ ჩემეულ სიტყვიერ ფორმაში, რადგან აქ ფორმა გარეშე და გულგრილი როდია შინაარსის მიმართ.

თქვენ განათლებული კაცი, შესანიშნავი მთარგმნელი და გამოცდილი სტილისტიც ხართ. ბევრგან უგდებენ ყურს თქვენს რჩევას და არა მარტო სტილის საკითხში, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენს რჩევას ვერ ვიზიარებ.

შესაძლოა, სიტყვა უგემოვნებობა, მართლაც ცოტათი ძნელად გამოითქმის, მაგრამ ნაგულისხმევ აზრს. ვფიქრობ, კარგად გამოხატავს. იგი არ არის კალმის წვერზე შემთხვევით წანოგებული სიტყვა, ნაფიქრი და ნაგრძნობია. სიტყვა უგემოვნებობა გულისხმობს ესთეტიკურ შეფასებას. შეფასებას ჰარმონიისა და სილამაზის თვალსაზრისით, ხოლო რაც შეეხება ზნეობრივ შეფასებას, იგი მთელი ჩემი ფრაზის სული და გულია. მეც სწორედ ამ ორი შეფასების შერწყმა მსურდა ჩემს მსჯელობაში. თქვენს მიერ მოწოდებული სიტყვები კი მხოლოდ პირდაპირ, გაშიშვლებულ ზნეობრივ შეფასებას გულისხმობს და ამდენადვე, ჩემი აზრით, ისინი უკმარისი და ცალმხრივია: თანაც ზოგიერთ მათგანს გროტესკულობის იერიც დაჰკრავს...

მე ვამბობ: სადღაც და როგორღაც ეუბნელად აკლია სილამაზის, სიმშვენიერის, ჰარმონიის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ჰარმონიისა და სიკეთის გრძნობა იმას, ვინც ფიქრობს. ამაყად ყღერს არა საერთოდ ადამიანი, არამედ თვითონ ის — განსაკუთრებული მდგომარეობის პირი — და ამის გამო მოითხოვს არა მარტო განსაკუთრებული ხოტბა-დიდებას, არამედ კიდეე მეტსაც. თუ ასეთი პიროვნება სადმე და როგორმე ჰუმანიზმსაც კი ღაღადებს, იგი ყალბია თავის ღაღადისშიც. სიყალბე კი. მოგეხსენებათ. ძნელია გაამართლო რომელიმე თვალსაზრისით.

ამრიგად, მე ვიცავ სიტყვას და მის ისეთ კონტექსტს, რომელიც აახლოვებს მშვენიერსა და ზნეობრივს, სილამაზესა და სიკეთეს, ესთეტიკურსა და ეთიკურს, ვფიქრობ, ასეთი დაახლოების სულისკვეთება აღმოცენებული და მომწიფებულია ჩვენი დროის სიღრმეში.

მაგრამ თქვენს ენობრივ შენიშვნას თქვენ სასხვათაშორისოდ თვლით, როგორც ჩანს, თქვენ უფრო სხვა რამ გაღონებთ, გაღონებთ ზოგიერთთა მიდრეკილება ქედმაღლობისა და განდიდებისაკენ, გაშფოთებთ ლიტერატურული საქმოსნები, რომლებიც ნაკლებად იწუხებენ თავს იმაზე ფიქრით, თუ რა ღირსების სულიერ საზრდოს

აწვდიან მკითხველებს და უმთავრესად იმის ცდაში არიან, როგორ გახმაურდნენ, როგორ გაიჩინონ მეხოტბეები და როგორ გამოსცენ თავიანთი უმწიფარი, მოსაწყენი წიგნები. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ცუდი სენი საშიშად იკიდებს ფეხს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამაში კი, თქვენი აზრით, „ბრალი მიუძღვის, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, თვითონ მწერალთა საზოგადოებრიობას..., რომ არაფერი ეთქვათ აშკარა კრეატურასა და მლიქვნელებზე, რომლებიც ყველგან... მოიპოვებიან“.

შემდეგ თქვენ წერთ: „ლიტერატურის ყოველგვარ საქმოსნებს და ხელოსნებს, თუგინდ ერთგვარად ნიჭიერთ და ცოდნის ნამცეცებს დაუფლებულთ... ხოტბას ასხამენ. იმათ კი იმდენი რიგიანობა არ ყოფნით (ეთილშობილებაზე არაფერს ვიტყვით), რომ სულიერი წონასწორობა, ყოველი კაცის დამამშვენებელი თავმდაბლობა შეინარჩუნონ. ასეთი მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ ხასტიკი და უკომპრომისო ბრძოლა უნდა გააჩაღონ მწერლებმა, კერძოდ, კრიტიკოსებმა. ამას კი ჩვენ ვერა ვხედავთ“.

რა გვეთქმის? თქვენ თვალი ხედვად გაქვთ, ყური სმენად და ჩვენ კი არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისა, რომ თქვენი დაკვირვება, რა მწვავეც და გამძაფრებულიც იყოს იგი, ოპტიკურ ცდუნებად ან მოყურებად მივიჩნიოთ, არსებობს რუსული ანდაზაც, რომ კვამლი უცეცხლოდ არ იქნების, თანაც თქვენს დაკვირვებაში მოჩანს დიდი სიყვარული ქართული ლიტერატურისა, ძლიერი და გულწრფელი სურვილი იმისა, რომ ჩვენი მწერლობაც და ჩვენი მწერლებიც იყვნენ ჩვენი ხალხის უკეთესი და უწმინდესი ეთიკურ ესთეტიკური იდეალების გამომხატველნი, მაგრამ მაინც საკითხავია: ნუთუ ის მახინჯი მოვლენა, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ, იმდენად ალაგობრივი და სუსტფესვებიანია, რომ მის აღმოსაფხვრელად საკმაოა მხოლოდ თვით მწერლების, კერძოდ კი კრიტიკოსების ხასტიკი და უკომპრომისო ბრძოლა მის წინააღმდეგ. საკმაოა ეჟვნების შებმის გაბედულება? მაგრამ ეს გაბედულებაც ხომ რაღაცამ და ვიღაცამ უნდა აღზარდოს და გაამაგროს!

რასაკვირველია, უამრავჯერ თქმულა და ალბათ კვლავაც უამრავჯერ ითქმის, რომ მწერლობას უდიდესი როლი აკისრია ადამიანთა სულის აღზრდასა და ფორმირებაში. თვითონ მწერალიც პიროვნულად მაღალი ზნეობის მაგალითი უნდა იყოს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ საზოგადოებრივი შეგნების სხვა უდიდესი ფაქტორებიც...

რაც შეეხება კერძოდ კრიტიკას, მე თუ მკითხავთ, ისეთი კრიტიკა რომელსაც ამა თუ იმ შემოქმედის ხოტბის ან გმობის გარდა

მკითხველისათვის თავისი არაფერი აქვს სათქმელი, საჭიროც არ არის...

უეჭველია, თქვენ კარგად გახსოვთ სპინოზას ერთ-ერთი ბრწყინვალე აზრი, რაც ქართულად დაახლოებით ასე გამოითქმის: ბედნიერება სიმამაცისათვის მიღებულ ჯილდოში როდია, არამედ თვით სიმამაცეშია. თუ საერთოდ ლაპარაკი შეიძლება ადამიანის სულიერ-ზნეობრივი სრულყოფისაკენ გზის გამკვალავ მარადიულ სიბრძნეებზე, ვფიქრობ, მათ შორის სპინოზას ეს აზრი ერთ-ერთი უშესანიშნავესი სიბრძნეა, იგი რასაკვირველია, ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგს ესადაგება, უწინარეს ყოვლისა, კი შემოქმედებას. ბედნიერება დიდი ანგარიშით, მართლაც ხომ შემოქმედებაშია და არა შემოქმედებისათვის მიღებულ ჯილდოსა და ქება-დიდებაში.

თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს დროშიაც საკმაოდ აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც არ იქნებიან განწყობილნი ამ აზრის სასარგებლოდ. შესაძლოა, ზოგჯერ სასაცილოდაც კი აიგდონ ესა და ამდაგვარი აზრები, ნახულიდანაც და გაგონილიდანაც შეიძლება მაგალითების მოტანა. მაგრამ არ არის საჭირო საღებავების გამუქება. პირქუში ფერები გუნებას უფუჭებს ადამიანს.

თქვენ ალბათ, ატყობთ, რანაირ ბეწვის ხიდზეა გავლა საჭირო, რომ არამკითხე მორალისტის როლში არ გადავვარდეთ. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: სპინოზას ზემოთ მოტანილი აზრისა და მისგან გამომდინარე უანგარობის უკუგდება განსაკუთრებით საშიშია შემოქმედების დარგში. იქნებ, სრული თავგამეტებისა და ერთგვარი ზნეობრივი იდეალიზმის გარეშე დიდი, ჭეშმარიტი შემოქმედება წარმოუდგენელიცაა.

ნუ შეგვაშინებს: ცნება ზნეობრივი იდეალიზმი. იგი არ მოასწავებს იდეალისტურ მსოფლმხედველობას. იგი გვესაჭიროება ჩვენ როგორც ჰაერი, როგორც მზე. უმისოდ სუნთქვა ძნელდება, ზნეობრივი ატმოსფეროს გაჭუჭყიანება ყოველ გაჭუჭყიანებაზე უარესია. საგულისხმოა, რომ ეს მოტივი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოიხატა დღევანდელი ქართული ლიტერატურის ზოგიერთ ნაწარმოებში.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართულ ლიტერატურაში გაისმა ლოზუნგიც: გაუმარჯოს დონ კიხოტს! ამ ლოზუნგის გამო დავაც კი ატყდა ქართულ პრესაში. დავაში ჩარევას და ისიც დაგვიანებით, მე არ ვაპირებ, მე მინდა მხოლოდ ვთქვა: რასაკვირველია, მშვენიერი და დიდებულია კაცობრიობისათვის წამებული გმირის — მუმუნვარე სახის რაინდის კეთილშობილება, უანგარობა, რაინდული ზნეობა, მაგრამ თვითონ დონ-კიხოტი, როგორც ვიცით, მოკლებულია

რეალობის გრძნობას, აყოლილია მოჩვენებებს. ამიტომ მის ზნეობრივ იდეალიზმს სიკეთის ნაცვლად ზოგჯერ ბოროტებაც კი შეუძლია მოუტანოს ადამიანებს.

ჰე, ერთობ თავსატეხი საკითხების რკალში შემიყვანა თქვენმა ბარათმა, წერტილი უნდა დავსვა. მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ: მაღონებს თქვენი ბარათის ნაღვლიანი დაბოლოება. იგი თითქოს არც შეეფერება თვით ბარათის მებრძოლ ხასიათს.

1971

გ ა მ ხ ე ლ ა

ჩემს „მოპაექრეს“ დიდი მოკრძალებულობის გამო არ სურდა თავისი ვინაობის გამხელა, ახლა იგი ცოცხალი აღარ არის და მე არამცთუ ცოდვად, არამედ ჩემს ადამიანურ მოვალეობად მიმაჩნია გავამჟღავნო მისი ვინაობა. ის იყო **გიორგი კვარაცხელია** — ფრიად განათლებული, საკმაოდ მახვილი კალმოსანი და უაღრესად თავმდაბალი კაცი. მე რომ გავიცანი, საქდესში მუშაობდა; ამავე დროს ითვლება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ერთ-ერთ ძლიერ მთარგმნელად. უფრო ადრე, რამდენადაც გამიგონია, გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი ყოფილა, ხშირად მეტად მნიშვნელოვანი მოწინავე წერილის დაწერას მას ანდობდნენ... თავის პირად კეთილმოწყობაზე არასდროს არ უზრუნია... საკმაოდ შევიწროებულ პირობებში ცხოვრობდა და ბოლოს დაავადმყოფებული დიდ ხელმოკლეობასაც განიცდიდა... მისი გარდაცვალების გამო ნეკროლოგის გამოქვეყნებაც კი დაავიწყდათ...

ვფიქრობ, ჯერ კიდევ ძალაში რჩება მაიაკოვსკის სტრიქონები იმაზე, რომ ბედნიერებისათვის ჩვენი დედამიწა ჯერ-ჯერობით ნაკლებად არის მოწყობილი... ამიტომ მით უმეტეს გვმართებს გულისხმიერება ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით მოკრძალებული ადამიანების მიმართ.

კვლავ მრავლად ეთქვას...

ახლა, როცა ორიოდე სიტყვა მინდა, ვთქვა ერთი ჩვენი თვალსაჩინო პოეტის შემოქმედების გამო, მთვარეზე წვიმების ზღვის მიდამოებში კვალს ავლებს პირველი საბჭოთა მთვარემავალი. ფიქრი ულნებლიეთ გამირბის პარალელისაკენ. იქ, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა ზუსტ მეცნიერებათა ულმობელი ლოგიკა მოქმედებს, ფანტასტიკა სინამდვილედ იქცევა, ზღაპარი, მითი, პოეტური ხილვა თითქოს ზღვარს იდებს, თავდება, ქრება. აქ კი, პოეტის ლექსებში ისევ ისე გვიტალღებს გრძნობებს ქაჯებით სავსე იმერეთის ტყეები, ისევ ისე ფიქრთამშლელი და გაუხუნარია თვით უცნაური ზღაპარიც კი ოქროს ფრინველზე, ბაგრატის ნანგრევებზე რომ ჯდება. უბინადრო მგზავრებს გზას რომ უშუქებს და ყოველ ღატაკს ბუხარსა და ლამპარს რომ უნთებს...

მაგრამ, ვფიქრობ, წინააღმდეგობა მოჩვენებითია.

რთული შემოქმედებითი წარმოსახვებისა და ხილვების გარეშე უფერადებოდ, ურომანტიკოდ და, თუ გნებავთ, უზღაპროდ, უმითოდ იშრიტება ადამიანის სული და, მაშასადამე, იშრიტება პოეზიაც, უპოეზიოდ კი მეცნიერებისა და ტექნიკის თვით უმაღლესი მიღწევაც მარტოდენ უსულგულო რამ იქნებოდა.

კოლაუ ნადირაძის — ამ ფრიად განათლებული და უტყუარი ესთეტიკური გრძნობის პოეტის შემოქმედება შედის ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ ბიოგრაფიაში და მის ერთ-ერთ ფრიად განსხვავებულ, ფრიად თავისებურ თავს შეადგენს. პოეტური ოსტატობისა და ფორმის თვალსაზრისით ყოველივე უკეთესი თავისი ცისფერყანწული წარსულიდან მან შეუნაკადა თავის მთავარ, განახლებულ რეალისტურ შემოქმედებას. ლექსის ტრადიციული ფორმა მან გააუხვა და გაავსო ახალი შინაარსით, ეპოქის სუნთქვით, ღრმა სამოქალაქო და პატრიოტული მოტივებით, ამავე დროს, ჩემი აზრით, საგულისხმოა პოეტის ინდივიდუალური ხელწერის, უკეთ ვთქვათ, მისი პოეტური მსოფლშეგრძნების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება. იგი თითქოს ნაკლებად ეძებს შთაგონების წყაროს ნივთებისა და საგნე-

ბის მოძრაობაში. მას უფრო სწორედ ის სულიერი და ზნეობრივი ძალები, ის ვნებები და გრძნობები იტაცებენ, რომლებიც სათავეს უდებენ ამ მოძრაობას. არა იმდენად ნამოქმედარის გარეგანი სახიერება აღაფრთოვანებს პოეტს, რამდენადაც თვით შემოქმედის სულის ვითარება, ალბათ, ამიტომაც ვერ ვპოულობთ ჭარბად პოეტის შემოქმედებაში საგნობრივ ფორმათა აღტაცებულ ხოტბა-დიდებას...

და თუ განცვიფრების გრძნობა ერთ-ერთი საჭირო თვისებაა პოეზიისა, მაშინ გასაგებია, თუ რატომ არის კოლაუ ნადირაძის პოეზიაში წრფელი გრძნობა განცვიფრებისა, ორი უდიადესი სასწაულის წინაშე — ადამიანისა და ბუნების წინაშე. შემთხვევით როდი მოუწოდებს პოეტი ყოველ პოეტს: „ამ ორ სასწაულს უდიადესს უცქირე ხარბად". მართლაც, ადამიანზე, ადამიანის გონებაზე სასწაულებრივი ჯერ ხომ არაფერი აღმოჩენილა და არც შექმნილა სამყაროში? ამიტომაც, რწმენა და სიყვარული ადამიანისა ყველაზე სასიხარულო სულიერი ვითარებაა პოეტისათვის.

ბევრი გადამდები სიყვარული და სიხარულია პოეტის ლირიკაში, მაგრამ ერთიც და მეორეც ფრიად დრამატული და ტკივილებიანი გრძნობაა მისთვის:

ეგ მართლა სიყვარულია, თუ წამება და ჯვარცმა?
ნეტავ, სანამდე ვაგრძელო ლექსად ცრემლების აცმა!
მოკვდები, — გული ამომჭრან და საკირეში დამწვან!
დამწვან და ნაცრად ქცეული, გადამაფრქვიონ თბილისს.
რადგან მე მუდამ მალხენდა მასთან შეხვედრა დილის,
როს ცისფერ თვალებს ახელდა ჩემი ქალაქი ტკბილი.

გვაღელვებს, უეჭველად გვაღელვებს თავისი სიმძაფრით, თავისი სიწრფელით ეს ტკივილებამდე მისული სიყვარული ახალი თბილისისა, ახალი იმერეთისა და მთელი ახალი საქართველოსი.

ჯერ კიდევ ადრევე ღრმად გვაგრძნობინა პოეტმა განახლებული თბილისის დილის განუმეორებელი სილამაზე. მისი ცის თავზარდამცემი სიდიადე. სამშობლო ქვეყნის ომისშემდგომი ცხოვრების მჩქეფარე რიტმი, მისი შემოქმედებითი შემართება შთამბეჭდავად გადმოსცა პოეტმა შთაგონებულ-ლირიკულ სურათებსა და აღსარებებში, მას ძალუძს ერთი მცირე დეტალით სულში წამოშალოს გულისშემძრავ ასოციაციათა, მოგონებათა და სახეთა მთელი გროვა, რაოდენი ემოციური სითბო და სიტკბოა ომბალოს სუნში, იმერეთის სხვაგვარი იერის გაზაფხულის საღამოს რომ მოედინება მინდვრებიდან.

ბუნების მეტად თავისებური განცდა ახასიათებს პოეტს; თვით სიკვდილიც შეწყნარებული და დაძლეულია ბუნების საოცარ

მთლიანობაში. ადრევე პოეტი გულმხურვალე კურთხევას აღავლენდა ამ მთლიანობის მიმართ. სამშობლოს ბობოქარ ცხოვრებასთან შერწყმული ბუნება აბობოქრებდა პოეტის სულს.

ეს სიდიადე თავზარდამცემი
ენაწართმეულ ქურუმად მაქცევს.
სად დავიტიო ეგ აღტაცება,
ეს სიყვარული ტკივილს რომ აღწევს?!

მთელი თავისი ლირიკული მგზნებარებით გვარწმუნებს პოეტი, რომ ბუნება თავისუფალი ქვეყნისა სიხარულის უშრეტი წყაროა და ჰეშმარიტი პოეზიის ამოცანაა გახსნას და საცნაურყოს ადამიანებისათვის ეს წყარო. პოეტს თითქოს იმთავითვე ჰქონდა ბუნებისა და მისგან აღძრული სიხარულის ერთგვარი კოსმოსური ქღერადობის შეგრძნება.

მალე სიღრმეში დედამიწის დაიძგერს გული
და მთელ სამყაროს გადალეკავს ზღვა სიხარელის.

მას თითქოს ზოგჯერ ბუნების ბარათაშვილისებურ-რომანტიკული ხილვაც ახასიათებს, შეუძლია, ყური დაუგდოს ვარსკვლავების საუბარს, დაინახოს, როგორ ჩამოდის „ხავერდის კიბის საფეხურებით დიდი სიჩუმე ციდან“.

თავის მრავალმოტივიან პოეზიაში კოლაუ ნადირაძე უეჭველად წარმატებით ახორციელებდა და ახორციელებს თავის პოეტურ პროგრამას.

შეასხი ხორცი, რაც შენ გტანჯავს და არ გასვენებს!
ტრფობა და ზეცა, ამ სამყაროს იდუმალება,
მშვენიერების უკვდავება, ეპოქის სუნთქვა —
უნდა გარდიქცეს შენი სულის მოძრავ ძალებად.
რომ სთქვა სიმღერა, ჯერ რომელიც არავის უთქვამს...

მხცოვანი ეთქმის შესანიშნავ პოეტსა და გულწმინდა, გულსავსე მოქალაქეს — კოლაუ ნადირაძეს, მაგრამ მის სტრიქონებს მხცოვანება არ დასტყობია. მას კვლავ ბევრი რამ აღელვებს, ბევრი რამ არ ასვენებს. დე, კვლავ ხშირად ქცეულიყოს ის შემოქმედებითი სიხარულის ცრემლების სეტყვად, რათა კვლავ მრავალად ეთქვას განსხვავებული, ამაღელვებელი სიმღერა!

1970

სახელოვანი პოეტი

რუსთაველის ნაკვალევის პოეტური ძიება რომ წამოიწყო. წარსულის ბუნებალ უღრანში კი არ გახიზნულა პოეტი. მას არც უგულო რომანტიკული მოგზაურობა დაუწყია ქამგადასულ ეგზოტიკურ სამყაროში — უსიცოცხლო ლანდებსა და აჩრდილებს შორის. ნამდვილად ეს იყო უდიადესი სულიერი მემკვიდრეობით ფრთაასხმული პოეტური აზრის ჩაღრმავება ჩვენი დროის მრავალ მოვლენასა და საკითხში, ჭირსა და ლხინში, ტკივილსა და სიხარულში.

ირაკლი აბაშიძემ ბევრი შთაგონებული სიმღერა უძღვნა საბჭოთა სამშობლოს, საბჭოთა ხალხს, ჩვენი ეპოქის ადამიანთა გმირულ შემართებას, ხალხთა მეგობრობას. ბევრ პოეტურ აღტაცებას გვაზიარა მან, ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის გამო; ბევრჯერ მოუხიბლავს და დაუტკბია მას მადლიერი მკითხველი თავისი მოხდენილი პოეტური სტრიქონებით, თავისი თბილი და ტკბილი პოეტური ხმით, წრფელი, გულგანდობილი ლირიკული აღსარებებით, ხალასი ლექსებით. მაგრამ მარტო თბილი და ტკბილი ხმის პოეტი როდია ირაკლი აბაშიძე. თავისი დიდი წინაპრის კვალდაკვალ მავალი იგი დიდი კაცური და ეროვნული ფიქრის პოეტიცაა: მას ახასიათებს თავისებურად გამოსახული ტკივილიანი პოეტური მღელვარება და შინაგანი წვა, ამ მხრივ საგულისხმოა პოეტის ერთი პარალელი: როგორც ომში დაჭრილნი ნატყვიარების ყრუ ტეხვით გრძნობენ მოსალოდნელ დარსა თუ ავდარს, „მგოსნებიც მათებრ ტკივილით გრძნობენ ამინდის ყოველ ცვალებადობას“ (უნდა ვიგულისხმოთ: გრძნობენ ყოველ აშკარა თუ იდუმალ ძვრას ქვეყნისა და ხალხის სულიერ ცხოვრებაში). პოეტის შემოქმედებითი მრწამსი შეიძლება ასე გამოითქვას: ისე როგორც სინათლეს წვა წარმოშობს, ჭეშმარიტ პოეზიასაც ტკივილი ანუ ქვეყნის ჭირ-ვარამისა თუ სიხარულის ღრმა განცდა ბადებს, ნამდვილი შემოქმედი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც ქვეყნით არის სავსე. ჩვენს პოეტსაც თავისი უღრმესი შთაგონების სათავედ სწორედ ქვეყნის ცხოვრება და ბედი მიაჩნია:

ის ხან მინათებდა
სხივით, ნათელით,
ხან ჩემს გულს გლეჯდა
აფთრის კბილებით:
ქვეყნის სატკივრით
მე ვარ ჯანმრთელი,
მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებით.

ჯანმრთელობა სატკივრით უეჭველად მრავლისმეტყველი ძარღვიანი თქმაა. ეს არის სწორედ ისეთი პოეტური სვლა, სიტყვის ისეთი მოქნევა, რაც ფიქრს, აზრს, გრძნობას, პოეზიად აქცევს.

ვის არ უყვარს თავისი სამშობლო? სამშობლოს სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი და ცხოველმყოფელი გრძნობაა ადამიანურ გრძნობათა შორის. რასაკვირველია, ჩვენც გვიყვარს ჩვენი საქართველო. ხშირად კიდევაც ვფიქრობთ: როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ეს ზღაპრულად მოხატულ-მოქარგული, ოცნებასავით აზვირთებული ხე და მიწა, მთა და ბარი? პოეტიც თავის წრფელ ლირიკულ აღსარებაში უეჭველად იერთებს და ინაკადებს ჩვენს გულის ხმასაც, როდესაც თავის ერთ-ერთ უახლეს ლექსში მიმართავს ხოლმე სამშობლოს:

როცა შენ დამთმობ უმაღლეს ძალით,
რომ შენი მოდგმა კვლავაც განახლდეს —
მადლობას ვეტყვი საკუთარ თვალებს,
რომელთაც შენი ზეცა მანახვეს...

. .

მადლობას ვეტყვი საკუთარ მეხლებს,
რომლებიც უთელელ შენს გზებს თელავდნენ.

. .

მადლობას ვეტყვი საკუთარ მკლავებს,
რომლებიც შენს ლურჯ მთებს ეხვეოდნენ,
მადლობას ვეტყვი ჩემს ყურთასმენას,
რომ შენი ხმების ცეცხლით ღღვებოდა;
მადლობას ვეტყვი საკუთარ ენას,
რომ შენი ხოტბით არ იღლებოდა,
მადლობას ვეტყვი გულს. სავსეს რწმენით,
შხამი რომ დიდხანს ვერ მოერია,
რომელსაც შენით და მხოლოდ შენით
და სხვა რამ ძგერით არ უძგერია.

სიცოცხლისა და სამყაროს საოცრად ჰარმონიული განცდაა ამ სტრიქონებში, მომხიბველელია ეს თავგამეტებული თაყვანება სამშობლო ქვეყნის სილამაზისადმი. მაგრამ პოეტმა იცის, კარგად იცის, რაოდენ უაზრო და უმეტყველო იქნებოდა მთელი ეს სილამაზე, თუ

მას არ აამეტყველებდა და დიდი ადამიანური შინაარსით არ გაავსებდა მისი მოჭირნახულე ხალხი, მისი მოჭირნახულე ადამიანი თავისი შემოქმედებითი აზრით. სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა-წყალი, მთა და ველი, იგი, უწინარეს ყოვლისა, თვით ცოცხალი ხალხია, ხალხის ენა და კულტურაა, ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი. ხალხის, ადამიანის სიცოცხლეა უმთავრესი და უდიდესი შინაარსი სამშობლოსი. ამიტომაც ამბობს პოეტი ნიჭთა შორის ყველაზე მაღალი ნიჭის — გონივრული სიცოცხლის ნიჭის სადიდებელ ჰიმნს:

სიცოცხლე დადის როგორც მოძღვარი: —
სიყვარულს, აზრს და მიზნებს ამაღლებს,
შენ ხარ ცოცხალი, შენ ხარ ცოცხალი,
მაშ, გაიხარე,
მაშ, იამაყე!

ჩვენი დროის გამოჩენილი ქართველი პოეტი — ირაკლი აბაშიძე ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მესვეურიცაა — იგი არის პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი... რასაკვირველია, ათასი სხვა ტიტულიც რომ ჰქონდეს, მისი ლაღი პოეტური ბუნება, მისი მგზნებარე პოეტური გული მაინც ათასჯერ მეტად მიმზიდველი და მისანდობი იქნება.

1971

ხმათა პოეზია

თუ ოდესმე ტყეში გზა აგბნევიათ და შეშფოთებულს მერე კაცის ხმა გაგიგონიათ, უეჭველად იგრძნობდით ხმის რაღაც განსაკუთრებულ ძალას. უთვალავნაირია ხმები — ქვეყნიურ კავშირთა ეს ულევი ძაფები. ხმათა შეზავებისაგან შემთხვევით როდი იბადება ყველაზე უმშვენიერესი რამ ამქვეყნად — მუსიკა.

ვის გულს არ უგრძვნია წარმტაცი პოეზია ხმათა, იდუმალთა და არაიდუმალთა, იმ ხმათაც, ანაზდად რომ აღმოცენდებიან სადღაც სივრცეში და თითქოს რაღაც დიდი საიდუმლოებისაკენ გიწვევენ.

მოდი, ყური მივუგდოთ აი ამ ხმებსაც. შვიდზე მეტი საუკუნის წინათ რომ აღმომხდარან ბრძენი მგოსანის ბაგეთაგან და დღეს ხელახლა რომ შობილან თანამედროვე პოეტის სულში.

რა საოცრად შორეული და რა საოცრად ახლობელიცაა ეს ხმები!

ერთი სასწაულმოქმედება პოეზიისა ისიც არის, რომ მას ძალუძს უშორესი გადააქსოვოს უახლოესს.

რა ხმებია ეს ხმები?

ძახილია, განდობაა, ღაღადისია, ვედრებაა, ალსარებაა?

„ნუ, ნუ შემრისხავ... მე აქ ვუდგავარ, მე აქ მოველი, სადაც გიზგიზებს სუნთქვა შენი და შენეული“; „მე აზრი ვიყავ... ბედი კაცთა მე არ მებარა. — ჩემად ნუგეშად. ჩემად ტანჯვად მე ეს მეყოფის...“ „შენგან განდგომა, ო, ჯვარცმულო, მე რად დაბრალდა“. — „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ. შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ“; „დამამხობელმან მე საწუთრომ დამამხო, თამარ“.

ძველი, ნაცადი ნაკეთობაა ლექსისა? ჰო, ესეც არის. ბევრი რამ არის მემკვიდრეობითი და ტრადიციული ამ „ხმათა“ პოეტურ აღნაგობასა და ხასიათში. მეტწილად უეჭველად ბარათაშვილის კითხვები, მიმართვები, იდუმალთქმანი, შეღაღადებანი, პაუზები მოგაგონდებათ. მაგრამ განა დღეს ნაკლები კითხვები აღელვებენ გონებას? განა დღეს არ მოითხოვს ჩვენი სული შევღაღადოთ ქვეყნიერების დიად ძალებს, თაყვანი ვცეთ მშვენიერსა და ჭეშმარიტს, დავგმოთ, დავწყეველოთ მავნე და ბოროტი, გულის კარი გავულოთ

სიხარულსაც და სევდასაც, აღტაცებასაც და მწუხარებასაც... ან რად უნდა დაიშრიტოს თავდაპირველი სინედლე ჩვენი სულისა? რად უნდა მოაკლდეს მას ექსტაზის ძალა.

ჩვენ ყოველთვის როდი ვფიქრობთ იმაზე, თუ რა უსასრულოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ადამიანთა სულიერი კავშირი ქვეყნიერებასთან. შეიძლება ითქვას, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი განსხვავებული და თავისებური ძაფია გაბმული სამყაროსთან. და იქნებ, სწორედ ამაშიც იყოს სიცოცხლის სიბრძნეც და სიმშვენიერეც, კაცმა რომ თქვას, ადამიანთა მოდგმის მილიონთა და მილიონთა არსებობას რა აზრი ექნებოდა, თუ ყველას და ყველაფერს ერთი დაიტევდა. ასეა თუ ისე, თუ გწამთ ადამიანი, კიდევაც უნდა გწამდეთ მისი ნამდილ ადამიანურ ნიჭთა ყოველი პიროვნული გამოსხივების შესაძლებლობაც, უფლებამოსილებაც, სრულფასოვნებაც.

...პოეზიაც, — მე ასე მგონია, — ადამიანურისა და ადამიანურობის დაულეველი საგანძურის მარადიული ძიებაა სიამეთა და ტკივილთა დაუსრულებელ გზებზე.

მითქვამს და კვლავაც ვიტყვი: არ მჯერა არავითარი ნოვატორობა პოეზიაში (საერთოდ, ხელოვნებაში), თუ იგი ამავე დროს არ მოასწავებს ადამიანურობის რაიმე ახალი კუთხის, ახალი ნაკადის მიგნებას.

თანაც, იქნებ, დღეს, ვიდრე ოდესმე, გვმართებს უფრო მახვილი თვალი და ყური გვქონდეს ადამიანურ ტკივილთა მიმართ.

გვაქვს ამის საფუძველიც.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანმა თავისი არსებობის მთელ მანძილზე საკმაოდ ბევრი იტანჯა და ეწამა, წვალებისა და მწუხარების საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა იმისათვის, რომ დღეს განსაკუთრებით მგრძნობიარე იყოს ყოველ ადამიანურ ტკივილთა მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ადამიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ძალით არის დამუხტული ჩვენი სული ადამიანური ტკივილებით, მით უმეტეს, ვერას იტყვის პოეტი ახალსა და აღმაფრთოვანებელს, თუ მას სულში არ სტკივა თავისი დრო, თავისი ქვეყანა, თუ სულში არ სტკივა ადამიანი.

აი, ჩვენი დროის ქართველი პოეტიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უბრალოდ პოეტურ-ტურისტული თუ პოეტურ-სპორტული ეინით რომ დადგომოდა რუსთაველის ნაკვალევს, შესაძლოა, კიდევაც გავერთეთ და გავეხალისებინეთ თავისი სალაღობო ლექსებით, რადგან „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“. მაგ-

რამ ვეკვ. რომ შევეყვანეთ საგულისხმო პოეტურ აზრთა და გრძნობათა სამყაროში.

მაინც რამ დააყენა პოეტი დიდი რუსთაველის ნაკვალევზე? წმინდა პოეტურმა ინტერესმა? მაშინ, რაღად ჩასვამდა ლექსში უბრალოს, მაგრამ ბევრისმთქმელ სტრიქონებს:

უგულოდ ბნელა,
ცა უტყვია,
მიწა ბრმა არი...

ო, უგულობავ,
უღმერთობა
შენთან რა არი!

მსოფლიოს ყველა ხალხის და ყველა ეპოქის ჰუმანისტთა შორის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტის, ქართული პოეტური აზროვნების მამამთავრის, დიდი ეროვნული გენიის — რუსთაველის ნაკვალევის ძებნა თავისთავად უკვე მრავალისმეტყველი პოეტური ლაშქრობაა ხალხის ისტორიული ბედის ნაკვალავ თუ უკვალავ გზებზე.

დიდი ისტორიული გადასასვლელებისა და გარდაქმნების ჟამს ხალხი თავისი საარსებო ძალებისა და სულის სიმტკიცის სიმაგრეებს ხშირად თავისი დიდი წინაპრების ცხოვრებასა და მოღვაწეობაშიც ეძებს, ხშირად იწვევს შორეული წარსულიდან დიდი თავკაცების აჩრდილებს, რომ თავისი ისტორიული ბედის წარმართვაში მოიშველიოს.

დღეს ჩვენ უჩვეულო და უმაგალითო გზებით მივემართებით მომავლისაკენ. და ისე, როგორც ცხოვრების განუცდელ დიდ ცვლილებათა მომლოდინე ყოველი ადამიანი, დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნათა გზაზე დამდგარი ხალხიც, ალბათ, ყველაზე მძაფრად თავისი ისტორიული ბედის საკითხს განიცდის. ვფიქრობ, სადღაც აქ არის სათავე იმ ფიქრთა და განწყობილებათა, რომელთა თავისებურ ლირიკულ უკუფენას წარმოადგენს პოეტური ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე". შემთხვევით როდი მიიჩნევს პოეტი თავის პოეტურ ძიებას ვალად სამშობლოს წინაშე, ხოლო თავის პოეტურ არსებას — მესხთა ძახილად, მესხთა წუხილად.

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
დასრულდა კვალი.
მშობელი მიწის
ეს მედო ვალი;
აქ შენი მშვიდი

ნაბიჯი შეწყდა,
აქ დაწდა ცრემლი,
ხმელეთს რომ რეცხდა;
ვდგავარ შენს სახლთან.
შენს ჩამქრალ ცეცხლთან,
წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა.

და ამ პოეტურ ძიებათა გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო მაინც რუსთაველის ხმათა მიკვლევაა. მართლაც, უკვე თავისთავად, რა კარგი, რა ლამაზი, რა შთაგონებული ხილვაა: სადღაც შორეული პალესტინის სანახებში, კიდევ უფრო შორეული წარსულიდან — შვიდი საუკუნის გადაღმიდან გაიგონოთ დროისა და სივრცის უხილავ ნაკეცებში შენახული ხმა დიდი წინაპრისა, ხმა იმდენად მშობლიური და იმდენი ადამიანური გზნებითა და ტკივილებით სავსე, რომ შეიძლება მთელი თაობის აღსარებადაც კი აღერდეს.

იყო თუ არ იყო შოთა რუსთაველი პალესტინაში — ეს ისტორიული კვლევის საგანია, პოეტმა კი თავისი პოეტური ამოცანისათვის აირჩია (და ამის სრული უფლებაც ჰქონდა) გადმოცემისა თუ ლეგენდის ფაბულა, მხცოვანი შოთა იერუსალიმის ჯვარის მონასტერს შეეკედლაო.

მაგრამ ნუთუ ამქვეყნიურ საზრუნავსა და საფიქრალს გაექცა, ადამიანებს განერიდა ადამიანობისა და ადამიანის გონების უდიდესი ქომაგი და მონასტერში ჩაიკეტა ცოდვათა მოსანანიებლად იმის გამო, რომ მას უღმერთობას, ქრისტესაგან განდგომას სწამებდნენ? ო, რა უღონო და უგონო გადაწყვეტა იქნებოდა პოეტური ამოცანისა! არა, იგი აქ —ქრისტეს ამ სავანეში — მოვიდა აწორედ ღმერთთან საკამათოდ, ადამიანისა და ადამიანურობის დასაცავად. და ამაში არის რუსთაველის ღრმა პოეტური გაგება. ყოველი „ხმა“ არსებითად დავაა ღმერთთან, დავაა იმ ძალასთან, რომელიც ესწრაფვის ადამიანის ძალთა შებოჭვას და მათ მიქცევას მხოლოდ ერთი ვნების, ერთი გზნების სადინარში.

თუ არა ადამიანთა გულის ბრძენმა მესაიდუმლემ — შოთა რუსთაველმა, აბა ვინღა იცოდა, რომ ადამიანის ბუნება მრავალფეროვან ადამიანურ ვნებათა რთული შენადნობია. და ამიტომაც ყოველ დროში და ყოველ ვითარებაში ყოველივე ადამიანური, მათ შორის, რწმენაც მხოლოდ მაშინ არის წრფელი და ჭეშმარიტი, როცა იგი ამ შენადნობის სიღრმეშია წარმოშობილი.

ბრმად ვერაფერს იწამებდა რუსთაველი. ბრმა რწმენა რწმენაც

არ არის! საკმარისია, სულს აეხსნას ძალადობის ბორკილი, რომ გამეღავნდეს მთელი მისი სიყალბე.

რწმენა რუსთაველისა უღრმესი და უნათლესია.

„ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან“ — ხმა შორს მიმავალი ასოციაციებით. აქ არც ერთ სტრიქონში არ თავდება თქმული თუ სათქმელი. გვაჯერებს, გვაღელვებს ჩივილი დიდი რუსთაველისაა. რომ უნდობლობა ეცხადების კაცის მაღალ გონებას, მის ღრმა და ჭეშმარიტ რწმენას, გვაღელვებს, რადგან ეს ყოველი დროის მოძალადისა და ძალადობის თვისებაა. რუსთაველი ედავება უზენაესის სწორედ ამ ძალადობას, ედავება ადამიანის გონების სიდიადისა და სრულფასოვნების პოზიციიდან.

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთელიდი
ჩემს დიდ საუნჯედ.
რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძველი, —
შენ მთხოვდი
თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

ღმერთთან კამათის ეს რენესანსული მოტივი გრძნობათა და აზრთა დიდ ხვეულებში გადადის: რაა სიკეთე. რაა სათნოება. რაა სიყვარული, თუ მათი სახელით ადამიანები წარღვნისა და მეორედმოსვლის, განსჯა-განკითხვისა და ჯოჯოხეთის მუდმივ მოლოდინში იქნებიან? არა! ადამიანები კი არ უნდა იბადებოდნენ აღთქმებისა და მცნებებისათვის, მცნებები და აღთქმები უნდა იქმნებოდეს ადამიანებისათვის. ადამიანურ ვნებათა მოვარდნილი ნიაღვრების ბრძენმა მკვლევარმა — რუსთაველმა, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ იცოდა, რომ იქ, სადაც ადამიანებს ცივი და გაქვავებული მცნებები ნთქავენ, შეიძლება თვით უმაღლესი ღვთაებრივი მოძღვრებაც კი, მოძღვრება ბოროტთა ძლევისა, მტერთა შემუსვრისა. კეთილთა მეუფებისა, მოყვასთა აღზევებისა, იქცეს ადამიანთა უმძიმეს ბორკილად.

მხოლოდ ძალადობამ, უზენაესთა ძალადობამ, პირდაპირმა თუ არაპირდაპირმა, მიაჩვიეს ადამიანები გულის დახურვას, ბნელმეტყველებას!

შენ, „მაღალ მწვერვალთა სალოცავო, ხატო ნაპრალთა“, შენ,

„ძლეველო ნუგეშო, დავრდომილთა თავშესაფარო“. მოითხოვ ჩემგან უგონო ერთგულებას, განუსჯელ მორჩილებას და თაყვანისცემას! მაშასადამე, შენ არ გწამს სრულფასოვნება ჩემი ადამიანური არსებისა. არ ენდობი ჩემს გონებას, არ ენდობი ჩემს სიტყვას. მაშ, რაღა შეგაკავებს იმისაგან, რომ იძალადო ჩემზე და მცნებათა შენთა ლანდად მაქციო, გამძარცვო ვნებათგან, წამართვა სული, წამართვა ენა!

ვიცით: ღმერთთა და კაცთა ძალადობამ საუკუნეები წარსტაცა ადამიანთა გონებას, თორემ, ვინ იცის, რა უხსოვარ ჟამს ვიქნებოდით მიღწეული სამყაროს მეასე გალაქტიკამდე.

ამიტომაც გვესმის ის სულიერი ტკივილები, რომლებითაც სავსეა რუსთაველის საყვედური შემოქმედისადმი:

თუ განმაკაცე.
    თუ დამადგი
        თვალი სრულქმნილის,
თუ მომეც ძალი
    ხან ფრთაშესხმის,
        ხან დაღონების,
მე მწადდა შენგან
    სიტკბოც ცნობის
        თავისუფლების,
მე მწადდა შენგან
    სიხარულიც განხმულ გონების.

ვინ დასდო ბრალი ადამიანს იმის გამო, რომ მას სწადია, გული მისი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ასრულებდეს თავის საქმეს — მიმოაქცევდეს სისხლს მის სხეულში? რად უნდა დაედოს ბრალი ადამიანს იმის გამო, რომ მას სწადია, გონება მისი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ასრულებდეს თავის საქმეს — აზრებით ავსებდეს მის ადამიანურ არსებას?

ეს უაღრესად ბუნებრივი სასიცოცხლო წადილია ადამიანისა. „და თუ შენ მაინც ცოდვად მითვლი ამ ჩემს საწადელს, — ედავება ღმერთს რუსთაველი, — ცოდვა არცოდვის ჰეშმარიტი სად ძევს სამძღვარი?“

აქ, ამ პოეტურ განააზრში, ეს კითხვა იმ მწვავე, ანუ, როგორც ილია იტყოდა ხოლმე, იმ წყევლა-კრულვიან საკითხთა რკალში ექცევა, თითქმის მუდამ თან რომ სდევს კაცთა ცხოვრებას, მაგრამ ყოველ ახალ ვითარებაში ახალი შინაარსით ივსებიან. მაგალითად, დიდმა ტრაგიკულმა გენიამ — დოსტოევსკიმ მხოლოდ ერთხელ წამოაძახებინა თავის პერსონაჟს — „რად ტირის ბავშვი?“. მაგრამ ვინ იცის, როდის მოხსნის ამ კითხვას ადამიანი? ასევე, ვინ იცის,

სად ექნება ბოლო კითხვას: „ცოდვა არცოდვის ჭეშმარიტი სად ძევს სამზღვარი?“.

კითხვები, კითხვები — პირგახსნილი ჭრილობები ჩვენი სულისა!

„ხმა ჯვარის მონასტერში“ — განა ცალმხრივი გზნებით შეპყრობილი, ბედთან შერიგებული მოხუცის სასომიხდილი ხმა არის ეს? მაგრამ ვინა თქვა, პოეტის სულის შერიგება მონასტრის ბინდიან თაღებქვეშ დავანებულ სიჩუმესთან! არა, ეს არის შეურიგებელი მაღალი გონების შეშფოთებული კითხვები! ეს კვლავ დავაა ადამიანის სულის შემბოჭავ ძალასთან!

ვის უნდა თავდახრილი, ქედმოდრეკილი ადამიანი? მხოლოდ მოძალადეებს!

ყოველი კითხვიდან თითქოს კაცთა ბედის თვალი იცქირება, ყოველი კითხვის უკან მწვავე სულიერი ტკივილი იმალება.

მე დავიკარგე...
    დავიკარგე,
      თუ დღეს აღმოვჩნდი?
დავთრგუნე სული,
    თუ ეს სული
      მე დღეს გავწმინდე?
ვარ სამშვიდობოს,
    ვარ აღმართზე
      თუ თავდაღმართში?
რა უნდა ერქვას
    ჩემს აქ ყოფას,
      სუნთქვას აწინდელს?
მე გარდვისახე?
    ძველი ჩემი
      გახმა ყვავილი?
კვლავ ახალ ვარდთა
უფრო კარგთა
დღეს ვარ მფლობელი?
კვლავ ვფარავ სულში,
    თუ გულმართლად
      დავთმე ყოველი?
დავთმე?
    და, იქნებ,
არც რამ მქონდა დასათმობელი?

ვით ასცდებოდა რუსთაველს ხვედრი იმისა, ვინაც საუკუნე გაიგო, მაგრამ ვისაც საუკუნემ ვერ გაუგო.

ბედის რა მკვეთრი შეტრიალება, სულის რა მწვავე ტკივილი უნდა განეცადა მას, ვისაც ყველაზე უკეთ ესმოდა, თუ როდის იკარ-

გება ადამიანი ამქვეყნად, რომ ეკითხნა: დავიკარგე, თუ დღეს აღ-მოვჩნდიო. რა ბურუსი უნდა იდგეს გარეთ, რა გრიგალი უნდა ბობოქრობდეს შიგნით, რომ არც კი იცოდე, აღმართში ხარ თუ თავ-დაღმართში?

მაგრამ განა მარტო ბურუსში იკარგება ადამიანი?

ვინ იცოდა, თუ არა რუსთაველმა, რომ ადამიანი ამქვეყნად იკარგება მაშინ, როდესაც თავისი ადამიანური ძალები უმოქმედოდ მიაქვს სამარის კარამდე და უნაყოფოდ გადააქვს არყოფნის უსასრულობაში. ადამიანი მოდის ამქვეყნად მხოლოდ იმისათვის, რომ ამქვეყნად და ქვეყნისათვის დაიხარჯოს. და თუ ისე გადის წუთისოფლიდან, რომ ერთ ნაპერწკალსაც ვერ უმატებს ქვეყნიერებას, დაკარგულია სამუდამოდ. მაგრამ ერთ ცოდვას სჩადის ის, ვინც თავისთავად იკარგება (თუმცა იკარგება კი ვინმე თავისთავად?) და ათასს ის, ვინც იმდენად ბორკავს ადამიანს, რომ საშუალებას არ აძლევს დაიხარჯოს ქვეყნისათვის...

ვინ შემატა ქვეყანას უფრო მეტი სიბრძნე და სილამაზე, ვიდრე რუსთაველმა... და მაინც იგი „უკვე სამარის კარს მიმდგარი, დაღამებული“ — მტანჯველი ეპვით შეპყრობილი ეკითხება განმგებელს:

მარქვი სად ეტყუი,
სად ვარ მცდარი,
სად ვარ მართალი?

აქაც ეს მტანჯველი ეპვი დავაა და არა შერიგება.

არა, არც ისე ცალპირად არის ნაქსოვი კაცის სული, არც ისე მარტივი და ნათელია ყოველივე, როგორც ეს ღმერთებს სურთ და ჰგონიათ, სურთ და ჰგონიათ... და აქედან წარმოსდგება მათი უნდობლობაც კაცთადმი.

რუსთაველმა იცის, რუსთაველი ხედავს, რომ კაცთათვის გაუცხოებულ და კაცთაგან განცალკევებულ უზენაეს ძალას არ შესწევს უნარი სამართლიანად გაანაწილოს ქვეყნად ბედნიერება — სიკეთე და სიყვარული, ღიმილი და სილამაზე.

„ხმა ზეთისხილის ბაღში“ — შესანიშნავი პოეტური მიკვლევაა რუსთაველის ღრმა რენესანსული ჰუმანიზმისა და ასევე ღრმა რენესანსული პატრიოტიზმის განუყოფელი ერთიანობისა. შორს, ძალიან შორს იტყორცნება შუქი ამ მინაკვლევისა: არ შეიძლება იყოთ ხალხის (ადამიანის) მეგობარი და მოჭირნახულე და არ ნდობდეთ, არ ცნობდეთ მის ბუნებითს სახიერებას, მის სამშობლოს. სამშობლო განუყოფელი ნაწილია ხალხის (ადამიანის) სიცოცხლისა, იგი, უწინარეს ყოვლისა, ხალხის (ადამიანის) უახლოეს სასიცოცხლო კავშირთა ქსელია.

მხოლოდ უღრმეს ჰუმანისტსა და უღრმეს პატრიოტს შეეძლო ასე ერთნაირის ძალით, ერთნაირი გულმხურვალეობით გამოეხატა სულ სხვადასხვა ტომის ადამიანები, ეთქვა მათი ადამიანური მეგობრობისა და ძმობის ისეთი მშვენიერი ჰიმნი, როგორიც „ვეფხისტყაოსანია". ცრუ და ყალბია ჰუმანიზმის, ადამიანთა ძმობის ყოველგვარი ქადაგება, იქ, სადაც არსებითად უკუგდებული და უარყოფილია სხვადასხვა ტომთა თანასწორობა და ტოლფასოვნება.

გვაჯერებს პოეტი, რომ რუსთაველი ვერ მიიღებდა ვერც აღთქმულ სამოთხეს, ვერც აღთქმულ სულის უკვდავებას, თუ მათ სანაცვლოდ სამშობლო წაერთმეოდა. ეტყოდა, უეჭველად ეტყოდა თავის ვედრებაში რუსთაველი ქრისტეს: მწამხარ იმდენად, რამდენადაც ძალგიძს ენუგეშო ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოსო.

შემინდე, ღმერთო,
    მამულის წინ ყოვლის დათმობა;
ნნათობი შენი
    საქართველოს მწამდა მნათობად...

. . .

ო, პალესტინავ,
    პალესტინავ!
        ყოვლის მომცველის,
ყოვლის მფლობელის
    მწამდა შენი
        სიტყვის, ცხოვლისა,
მაგრამ უადრეს,
    უწინარეს,
    უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
    სამშობლოსთვის
        ვიყავ მლოცველი.

„ხმა სამრეკლოსთან" — ვედრებაა, მაგრამ შიგ ნატამალიც არ არის იმქვეყნიურის ჭვრეტისა. უსასო ღვთისმოსავობა ასეთ ხმას ვერ შობს, ხმას, სავსეს ამქვეყნიური ფიქრითა და ზრუნვით, სამშობლოს ბედის უმძაფრესი განცდით. აქაც, ისე, როგორც „ხმათა" მთელ ციკლში, ლოცვა, ვედრება მხოლოდ გარსია იმ დიდი შინაგანი დრამატიზმისა, რომელშიაც ნამდვილად იკითხება რუსთაველის გული, გული, ცეცხლმოდებული სამშობლოსათვის. სწორედ ამ მძაფრი დრამატიზმით გვაღელვებენ დღეს ჩვენ ის კითხვებიც, რომლებიც შორეული წარსულის მონღოლთა ბატონობის შავი დღეების მოახლოების წინაგრძნობას გამოხატავენ:

რად მეჩვენება
ყამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების
შემოწყრომა მაღალ სამართლის
რატომ ჩანს შავად
უსაზღვრობა აღმოსავლეთის,
რად მესმის გლოვა
შორი ქართლის სამრეკლოების.

„ხმა კატამონთან", — ეს არის მგზნებარე გულის თრთოლვაზე აწყობილი სადიდებელი დედაენისა. ამ სადიდებლის ყოველ პოეტურ ნაკვთში თითქოს სკულპტურულად არის ჩამოსხმული ღრმა აზრი, ღრმა გრძნობა. თუ არა ქართული სიტყვის უპირველეს ჯადოქარს, აბა, ვის, ვის მართებდა ეთქვა ყოველთა უწინარეს გულში ჩამწვდომი დიდება დედაენისა. ამიტომაც ვუჯერებთ ჩვენი დროის პოეტს, რომ მის სულში ნაშობი სტრიქონები ნამდვილად არის ხმა რუსთაველისა — საშვილიშვილოდ გამოჭრილი შორეულ საუკუნიდან. ამიტომაც აქვს ალბათ თვით ლექსსაც საშვილიშვილოდ გაჭრის პოეტური ძალა.

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი საპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი:
მხოლოდ შენ, უკვნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

„ხმა თეთრ სენაკში", „ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში" — აღსარებაა აყვანილი უღრმესი სულიერი ტანჯვის დიდებულ პოეტურ სახიერებამდე. სიყვარული აგვამაღლებსო... ეს ხომ რუსთაველმა განუმეორებელი პოეტური ძალით განასახა თავის უკვდავ პოემაში. სიყვარული იქ ხომ უდიდესი ადამიანური ძალაა, თავისი ბუნებით მოწოდებული იმისათვის, რომ შეაკავშიროს ადამიანები, გამოიხსნას მშვენიერება, აღადგინოს სიმართლე, შემუსროს ბოროტება. და უკვე ბუნებრივია, რომ აქ, ამ პირად აღსარებაში სიყვარული ჰკრავს და აერთიანებს რუსთაველის მაღალ სულიერ მისწრაფებათა დიდ წრეს: ადამიანი, სამშობლო, სიყვარული. იქნებ, სწორედ ამ სამების ერთიანობამაც ცხადჰყო მისთვის ყველა სხვა სამების არარსებობა. არსებითად ყველა ზეციერს, ყველა ღმერთს ეტოქება ძალა

იმ მიწიერი, ადამიანური სიყვარულისა, რომელიც გაცხადებულია ამ „ხმებში“. გვჯერა, რომ სწორედ ასე, სწორედ ასეთი ტიტანური თავგამეტებით შეიძლებოდა ყვარებოდა შოთას თამარი:

თუ ცოცხალ ვიყავ,
თუ რამ ძალი
მწამდა მოწყალის,
თუ მწამდა ლხინი,
მწამდა ცრემლი
ნიღვარული, —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყავ ცოცხალი,
ჩემს სუნთქვას ერქვა
სიყვარული,
გულს — სიყვარული.

პირადი აღსარება შესანიშნავ პოეტურ განზოგადოებამდე ადის. მშვენიერებისა და ჭეშმარიტების სათავეს რუსთაველი ღმერთში კი არ ხედავს, არამედ დიდ ადამიანურ სიყვარულში.

ჭეშმარიტების
დასაფრენი,
დასაბუდარი,
ჩემთვის სულ იყო
სიყვარული,
სულ სიყვარული.

ამ ყოვლისმომცველ მიწიერ სიყვარულში, რომელიც მხოლოდ ადამიანთა საკუთრებაა, სადღა რჩება ადგილი ღმერთისათვის?

ნურც ერევა ის კაცთა გულის საქმეებში! მას — უფლებათა უფალს — შეუძლია მხოლოდ ჩააქროს სიყვარულის ნიკი და უგულოდ დატოვოს კაცი.

ო, უგულობავ,
უღმერთობა
შენთან რა არი!

ბოლოს, შთაგონებული „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“ — განსხვავებული „ხმათაგან“ თავისი მშვიდი ეპიკურ-სურათოვანი აღნაგობით. თუ „ხმებში“ — მათი ლირიკულ-აღსარებითი ხასიათის შესატყვისად — მეტია არა ხილვადი, არამედ მძაფრი სულიერი მღელვარების სახეები, თუ მათ ჟღერაში ტიტანის სულის მოძრაობას ვეზიარებით, „უცნობ მინაწერში“ თვალნათლივ ვხედავთ ამ ტიტანის ხორციელ სახეს, ვხედავთ მის ღრმად დათოვ-

ლილ ლომის ფაფარს, თეთრ საბურველად პირზე რომ ბურავს, ვხედავთ მის ოდნავ სველ მილულულ თვალებს, მის ღონიერ ღაწვს, ჩაშავალი მზის მკრთალი ნათელი რომ აფენია... და, რაც მთავარია ვხედავთ მძაფრი დრამატიზმით აღსავსე დიდებულ სურათს, თუ როგორ გადის წუთისოფლიდან „კვლავად ზვიადი, კვლავად უცვლელი" ბრძენი პოეტი — დიდი მეამბოხე განუყოფელ უფლებათა მპყრობელი ძალის წინააღმდეგ.

მცირე პირადული გადახვევა:

გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ პირადად მე ამ ლექსში აღდგენილი პორტრეტი რუსთაველისა გაცილებით უფრო მეტად მაჯერებს და მაღელვებს, ვიდრე ის, ვიღაც მომხატველს რომ მიუხატავს ჯვარის მონასტრის სვეტზე იერუსალიმში. ვერ იქნა და ვერა, ვერ შევუთანხმე იმ ჩამქრალი მოხუცის პორტრეტი ჩემს წარმოდგენას შოთა რუსთაველზე.

ირაკლი აბაშიძემ ლექსების ამ ციკლით ახალი ფურცელი გადაშალა არა მარტო თავის პოეზიაში, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

1954

პოეტი, მოღვაწე, მოქალაქე

კარგია, როცა ეპოქის ღრმა გრძნობა, გადაქცეული ლექსად, სიმღერად. ფერებად, ბგერებად, სახელებად — გაგიტაცებს და გულს შეგიძრავს.

რასაკვირველია, აქ ტალანტის ძალაა საჭირო.

ამ ფიქრთან მიმიყვანა ერთმა ლექსმა, დაწერილმა 1969 წელს. მას ეწოდება, „რუსეთის ველებზე".

ველები, ტრამალები სიმბოლოა რუსეთისა, მთები, მწვერვალები — სიმბოლო საქართველოსი.

ლექსის სილრმეში იძვრის გრძნობა დიდი ჰარმონიისა, სადაც ყოველ პოეტურ ერთეულს, როგორც ყოველ მუსიკალურ ფრაზას, შეხარუჩნებული აქვს თავისი განუმეორებელი სახიერება. ჭეშმარიტად არ არსებობს უფრო მაღალი სოციალური და ჰუმანისტური იდეალი, ვიდრე ადამიანთა და ხალხთა ძმობაა. დაე, მწვანობდნენ და ბიბინებდნენ ველებიც, მთებიც, ოღონდ ველები ველებად დარჩნენ, მთებიც მთებად. აქ დრო მეტყველებს პოეზიის ენით. ჩუმი დრამატიზმი აღრმავებს პოეტურ განცდას:

ო, ნუ მოგვასწროს იმ ამბის ელდას —
ჩვენთაგან ერთმა იგრძნოს ობლობა,
უსასრულობა დასრულდეს ველთა
და მწვერვალების მიუწვდომლობა;
ო, ღმერთმა ნუ ქნას, ასრულდეს წყველა
და ვულკანები ცაში ატოტდნენ,
პირი მიწისა სულ იქცეს ველად,
ან დაიფარონ მთებით მარტოდენ.

ხატოვანი წარმოსახვებითა და მღელვარე ფიქრებით ავსებს პოეტის სულს უკიდეგანო ველთა განფენილობა, მწვანე მინდორთა მდორე ღელვა, ზღვისოდენა მდინარის ელვარება. მაგრამ წარმტაც ხილვათა შორის იგი მაინც გულით დაეძებს თავის მთებს, ოცნებობს თავის რიონსა და მტკვარზე.

სულს აფრთოვანებს ქვეყნიერების სხვაობათა დიადი ჰარმონიული ერთიანობა.

ველის ჰაერი ზოგჯერ ცხელია.
ზოგჯერ მთა მკაცრობს და პირქუშია,
მთა მაღალია, ველი ვრცელია,
მაგრამ ერთმანეთს როდი უშლიან.

და პოეტს სწამს, რომ ველებსაც და მთებსაც ერთი მზე ათბობთ, ერთი ცა ხურავთ და „არ არსებობენ უერთმანეთოდ".

ლექსი ბუნებრივი და აზრიანი მოძრაობით გადადის გულითად მიმართვაში მოძმე ხალხის შვილისადმი:

შენი ველის და ჩემი მთის დარი
ცისქვეშ მე და შენ რა გვეგულება,
სხვადასხვაობით არის მდიდარი
ბუნებაც, ქვეყნის აგებულებაც.

ჩვენ ამ სიმდიდრეს ვუმღერით ერთად,
ნუმც მიეფაროს ღამის უკუნი,
შენს ხმაში სუფდეს გრიგალი ველთა,
ჩემს სიმღერაში — მთების გუგუნი.

სულ იყოს ერთი მიზნისკენ ფრენა,
გულები ერთი ცეცხლით აენთონ,
სხვადასხვა იყოს სიმღერის ენა,
აზრი და გრძნობა იყოს საერთო.

ასე მკვეთრად, ასე ცხოველად გამოხატავს პოეტი დროსა და თავისთავს. დიდი ფიქრის რიტმშია ჩართული შესანიშნავი აფორიზმიც: „სხვადასხვაობით არის მდიდარი ბუნებაც, ქვეყნის აგებულებაც".

ამ ლექსში გრიგოლ აბაშიძე მძაფრი ოსტატობით ამჟღავნებს ეროვნულ და ინტერნაციონალურ გრძნობათა შეწყვილების დიდ და ნათელ პოეზიას. საგულისხმოა, რომ პოეტური განცდის დაძაბულობა აქ თითქმის დრამატულ ჟღერადობამდე ადის.

საუბარი გრიგოლ აბაშიძეზე ამ ერთი ლექსით იმიტომ დავიწყეთ, რომ ეს ლექსი მიგვაჩნია მისი შემოქმედებითი ხელწერის ერთ-ერთ მკაფიო ნიმუშად.

გრიგოლ აბაშიძე ფართო დიაპაზონის შემოქმედია. მის ნიჭს ახასიათებს საბედნიერო შერწყმა მძაფრი ლირიკული მღელვარებისა, ღრმა განცდისა და ფართო ეპიკური აზროვნებისა, პოეტური აზრის მკაცრი შინაგანი ლოგიკისა და გრძნობათა სიუხვისა, ფრაზის აზრობრივ-ემოციური სისავსისა და სიტყვიერი მასალის მომჭირნეობისა.

რა თქმა უნდა, მწერლის ფიქრები უმთავრესად და უპირველეს ყოვლისა სამშობლო ქვეყნის — ახალი საქართველოს ბედსა და ყო-

ფას დასტრიალებენ; მის აწმყოს, წარსულსა და მომავალს ემსჭვალებიან. მაგრამ მწერალი შორს არის ყოველგვარი უსაგნო და ფუყე მეხოტბეობისაგან, მისი საუკეთესო ლირიკული, ეპიკური და პროზაული ქმნილებანი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეთა შთაგონებული მხატვრული ანარეკლია.

მწერლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ისტორიულ თემატიკას. ქართველი ხალხის გმირულ წარსულს უმღერის ბევრი მისი შესანიშნავი ლექსი, ნათელი რომანტიკით არიან აღბეჭდილნი ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე აგებული ნაწარმოებნი მწერლისა, საქართველოს ისტორიის ამაღელვებელ ფურცლებსა და დიდებულ ეპიკურ სურათებს გვიშლიან თვალწინ პოემა „გიორგი მეექვსე“ და ფართოდ ცნობილი ისტორიული რომანები „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“. გარდა იმისა, რომ მწერლის ეს ნაწარმოებნი გატაცებით იკითხებიან, რაც მათს მხატვრულ ღირსებას მოწმობს, ისინი საგულისხმონი არიან იმითაც, რომ მათ მხატვრულ სახეთა სისტემაში ისტორია გააზრებულია არა როგორც დღევანდელობას მოწყვეტილი, უკან მიტოვებული და ჩამქრალი ნაკვეთი ყამთასვლისა, არამედ როგორც ხალხის დღევანდელი ცხოვრების ცოცხალი ფესვები, თანამედროვეობის ცოცხალი ნაკადი. ამიტომაც სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა, ის ტკივილები, ის სულიერ-ზნეობრივი საკითხები, რომლებიც თითქოს მხოლოდ წარსულის კუთვნილებაა, დღევანდელობაში პოულობენ გამოძახილსა და გაგრძელებას...

გრიგოლ აბაშიძის წიგნები ამშვენებენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურს და ისინი ვრცელ მონოგრაფიულ განხილვებს მოელიან. მწერალი თავისი შემოქმედებითაც და თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც სისხლხორცეულად არის შეზიარებული ჩვენი ხალხის სანუკვარ ფიქრებთან და ოცნებებთან.

1971

პოეტი და მისი რამდენიმე მოტივი

ეს ჩასკვნილი, ლომთავა თუ ლომფაფარა კაცი ბუნებას თითქოს ერთობ ელვარე ფერებით დაუწერიაო, მისგან პირდაპირ მოჩქეფს შუშხუნა იუმორი. მის თვალს არ ეპარება არც ერთი კომიკური ვითარება... იგი ხარბად იჭერს ღიმილით დამუხტულ წუთებს გარემომცველი სინამდვილისა, თავისთავად, შესაძლოა, ამ წუთებს ერთობ სავალალო შინაარსიც კი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიცინით. რა გაეწყობა, ასეთია ჩვენი ბუნება, სულდგმულთა შორის მხოლოდ ჩვენ, ადამიანებს, გვაქვს მონიჭებული სიცილის უნარი... და, შესაძლოა, იმიტომაც, რომ მხოლოდ ჩვენ ძალგვიძს დავინახოთ გონების თვალით როგორც „ღვთის გაჩენილის", ისე ჩვენს მიერვე შექმნილი ქვეყნის ნაკლოვანებანი და შეუსაბამობანი. სიცილი, ალბათ, ერთგვარი საშუალებაცაა ჩვენი ამქვეყნიური ტვირთის შესამსუბუქებლად. დიახ, არც ისე უღრუბლო და უმწუხაროა ჩვენი წუთისოფელი, რომ იუმორის გრძნობა ადამიანის ერთ-ერთ ბედნიერ თვისებად არ ჩავთვალოთ.

ამ თვისებით კი უხვად არის დაჯილდოებული კარლო კალაძე, პირადად მე ბევრჯერ მომისმენია და მინახავს მისგან აფეთქებული სიცილი. არა, ბევრიც რომ ვიძუნწოთ, არ შეიძლება ზოგიერთი მისი ნაკვესი არ მივაკუთვნოთ გონებამახვილობის უმაღლეს კლასს. კიდევ მეტი: ზოგიერთი მისი ნაკვესი თუ ეპიგრამა შეიძლება საუკუნის დიდ ხუმრობადაც ჩაითვალოს. მაგრამ სანამ ცოცხალ ვართ, სჯობს იმ ნაკვესებმა ზეპირსიტყვაობაში იცოცხლონ.

შემოქმედი რომ შემოქმედებაში განსხვავებული და თავისებური უნდა იყოს, — ეს თვით შემოქმედების ბუნებიდან მოდის, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჩვენი პოეტი ცხოვრებაშიც საკმაოდ ხაზგასმული თუ ნიშანდებული, ანუ, როგორც იტყვიან, საკმაოდ კოლორიტული პიროვნებაა. თანაც იგი ერთობ საზოგადოებრივი და გულგამზიარებელი კაცია, ადვილად ამყარებს კონტაქტს ადამიანებთან და ცდილობს გადასდოს მათ თავისი ხალისიანობა. პოეტის ხასიათშიც და შემოქმედებაშიც შეიძლება ბევრი რამ აიხსნას მისი ერთი ტაეპით ლექსიდან „სოფლად".

გამოვდივარ... და თუ ისევ მდუმარ
გზაზე ვინმე წარბშეკრული ვნახე,
თავს მოვიკლავ მისალმების უმალ,
ღიმილით არ გაუუნათო სახე.

უეჭველად მომხიბვლელია ეს თავგამეტება. იმისათვის, რომ ღიმილით გაუნათოს სახე ყოველ მოწყენილ ადამიანს, მით უმეტეს, თუ ვიცით, რომ არიან ისეთები, რომელთაც გულში ლახვრად ესობათ სხვათა სიხარული. უხალისოდ და უსიხარულოდ კი, მე ასე მგონია, პოეტი პატრუქივით ჩაქრებოდა. შემთხვევით როდი ამბობს იგი ერთ თავის ლექსში, მოწყენილი და ცივი საღამო ჩემს დაუდგრომელ და უქრობ ხალისთან შეუწყობი და შეუსაბამოაო. თავისი ხასიათით იგი სადღაც ეპიკურელია, ეპიკურელია არა ფილოსოფიური გაგებით, არამედ დაკინებული მისწრაფებით საამო განცდებისა და ემოციებისაკენ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქართველი დარდიმანდია. მის პოეზიაშიც ბევრი რამ არის ხალისიანი, დარდიმანდული. მაგრამ, დახეთ, ამ დარდიმანდმა ქართველმა კაცმა თავისი შემოქმედების თითქმის 45 წლიანი გზა აღნიშნა ერთ-ერთი ყველაზე დარდიანი სიმღერით. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, არც ქართული დარდიმანდობა ყოფილა უდარდელობა და არც ჩვენი პოეტის შემოქმედება ყოფილა მოკლებული ერთგვარ ტრაგიკულ ძარღვს. „ჩემი დღისა და ღამის წიგნიც“ და „მამაც“ უწოდა პოეტმა ამ ლირიკულ პოემას. გულში დიდი ხნის ნაზარდი დარდია ამ პოემაში ჩაქსოვილი. ამ დარდის ფესვები საკმაოდ ღრმად მიდის პოეტის ბიოგრაფიაში, პოეტის ბიოგრაფიიდან კი — ჩვენი ქვეყნის ბიოგრაფიაშიც, ქვეყნისა, რომლის გულმხურვალე მომღერალი იყო და არის პოეტი.

ერთი წამით ჩავიხედოთ პოეტის ბიოგრაფიის სათავეში:

„ჩვენი ოდა-სახლი ხელახლა იყო აშენებული უკვე ჩემს დროს,— წერს პოეტი თავის ავტობიოგრაფიულ ესკიზში. — ცეცხლის ალით გაალული ფიცრები მახსოვს, კარგად მახსოვს, — ოჯახში არაერთხელ უამბნიათ, თუ როგორ გადაგვწვა ცხრაას ხუთში ალიხანოვის დამსჯელმა რაზმმა“. პოეტი ახსენებს თავის პაპას, რომლის შვილები რევოლუციურ ბრძოლებს გაუტაცნია. „უფროსი ვაჟი (მამაჩემი) რაკდენ კალაძე საზოგადო მოღვაწე გახლდათ, მარქსისტ-ლენინელი, თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი, ხულ უმცროსი კი — მინა გმირულად შეეწირა მუშათა უბნის დაცვას ცხრაას ხუთში. და მე ვამაყობ ახლა, საქვეყნოდ ცნობილ „ცხრაძმის“ ობელისკს და ქუჩას თბილისში ჩემი ალალი ბიძის სახელიც რომ აწერია.

მამის ხშირმა პატიმრობამ, გადასახლებამ, ჩვენი ოჯახის არალეგალურმა ცხოვრებამ, ბინის ცვლამ ჩემზე უთუოდ თავისებური

გავლენა მოახდინა... მე სიყმაწვილე უმეტესად ნაქერალას ქედის კალთებზე გავატარე, ტყიბულის მაღაროების მახლობლად, ძველი გელათისა და ხრესილის თვალწარმტაც ბუნებაში. ანბანიც აქ ვისწავლე და დედის ჩაგონებით მოკითხვის ბარათებსაც აქედან ვუგზავნიდი შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებულ მამას, შემდეგ კი თანდათან (ვგონებ, ჩემდა შეუმჩნეველად) ეს ჩემი ბარათები ლექსებმა შეცვალეს და მე სამუდამოდ ვენდე ქართული სიტყვის ძალასა და სილამაზეს".

არის რაღაც საგულისხმო ლექსებად ბარათების ამ გადაზრდაში.

30-იან წლებში პოეტის მამა ცილისმწამებლობის ატალღებამ იმსხვერპლა. გარეგნულად თითქოს ეს ფაქტი უდევს საფუძვლად „ჩემი დღისა და ღამის წიგნს". მაგრამ არსებითად პოემა სცილდება ამ ავტობიოგრაფიული მოტივის ჩარჩოებს. იგი თითქოს მთელი თაობის სულის მოძრაობის ემოციური სურათის წარმოსახვას ისწრაფვის.

ყამსა ხილვისასა, როცა პოეტის სულს იპყრობს გაწყვეტილი წამის გრძნობა (ო, რა მტანჯველია ეს გრძნობა!). მას ეცხადება მამის ზმანება. შეხვედრა და დიალოგი მამასთან თითქოს ერთბაშად ხსნის გულის ყველა ჭრილობას, ძველსა და ახალს. არა, ერთი წუთითაც არ უთქვამს „არა", ერთი წუთითაც არ გამიჯვნია მამის სულიერ მემკვიდრეობას, მის სამომავლისო რომანტიკას, მაგრამ პოეტი მაინც თავდახრილია მამის აჩრდილის წინაშე: ვერ დაიტირა მშობელი, უფრო მეტიც — ვერ გამოექომაგა მის ალალ სიმართლეს. სულში ჩასახლდა რაღაც გაუგებარი, რაღაც აუხსნელი. „დავიტირო იქნებ ჩემი ბედისწერა". — სწუხს დღეს პოეტი. რა არის ეს? თაობის შეშფოთებული სინდისის ხმა? ცოდვა, თუ ტრაგედია? იქნებ, ერთიც და მეორეც... და განა მხოლოდ ერთეულნი იყვნენ დამძიმებულნი ამ ცოდვითა თუ ტრაგედიით? დროის სულს, დროის სახეს ყველა ძერწავს, ყველა აკეთებს; ისიც კი, ვინც განზე დგას და არაფერს აკეთებს. ბევრიც ეცადო, ვერ გაექცევი პასუხისმგებლობას შენი დროისათვის. გაქცევა სულმდაბლობაცაა. თაობათა ანგარიშგება კი მკაცრი და ულმობელია. შესაძლოა, მამები, საერთოდ, უფრო სულგრძელები იყვნენ შვილთა მიმართ, ვიდრე შვილები მამათ მიმართ. თუმცა, ვინ იცის... დროს გააჩნია!

თაობათა კავშირის მწვავე საკითხებს პოეტის გულიდან დაუძრავს შეშფოთების ხმები. ეს ხმები აღვიძებს ფიქრებს, დარდიან ფიქრებს... დე, იყოს დარდი, იყოს ნაღველი! დარდი ხშირად სულის გამაპეტაკებელიცაა.

თაობათა კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დიდი სასიცოცხლო ნერვია. შესაძლოა, ყველაზე მგრძნობიარეც. ამ ნერვში გადის ადამიანთა ისტორიული არსებობის ყველა სიხარული და ტკივილი. მაგრამ ზოგჯერ, ალბათ, შესაძლებელია დაზიანდეს ან გაწყდეს ეს ცოცხალი ნერვი და დარჩეს მხოლოდ უსიცოცხლო ძაფი ცივი მოგონებებისა, მშრალი ცნობებისა. გაწყვეტილი ან დაზიანებული ნერვი კი ძლიერ მტკივნეულია. შემაზრზენია გარიყვა თუ განმარტოება ჟამთასვლაში. ამაოდ ჩავლილი სიცოცხლის მტანჯველ გრძნობას, ამქვეყნად, ყველაზე უმალ თაობათა კავშირის დარღვევა ბადებს. თაობათა კავშირის რღვევა სადღაც ხალხისა და ერის ცოცხალი ორგანიზმის რღვევაც არის. მძიმეა, მწარეა, როცა შვილებს მშობლებისა არა ესმით რა და მშობლებს — შვილებისა.

პოეტს კი ესმის რევოლუციურ ბრძოლებში ნაწრთობი მამის გულისნადები. პოეტის წარმოდგენაში მამა თავისი ტრაგიკული ბედით გაავებული და რწმენადაკარგული ადამიანი როდია; იგი შეურყეველი რწმენის კაცია, რომელსაც სჯერა, „რომ სიმართლეს ბელტი ვერ დაჰფარავს მიწის“. ახლა მისი აჩრდილიც კი შვილს სწორედ ახალი ქვეყნის სიყვარულს უწონებს. პოეტისათვის მამის ყველაზე უძვირფასესი მემკვიდრეობა — სიმართლისათვის თავგამეტების სულისკვეთება და იდეალებისადმი უანგარო ერთგულებაა. ამიტომაც მიაჩნია მამა პოეტს თავისი სიმღერის პირველ სიტყვად, ამიტომაც ეალერსება მის აჩრდილს:

> რა კარგი ხარ, მამავ, შენსას რომ არ ომლი,
> ვკოცნი მე შენს თვალებს, რა მეტყველად
> სდუმან!
> რომ გაბედოს ვინმემ და მოგვიგოს ნიშნი, —
> შეთქმულივით ვიცი, შეაჩვენებ უმალ!

ნიშნის მომგებნი, რასაკვირველია, მოიძებნებიან... მერე რა? ურწმუნოებს შეუძლიათ ნიშნის მოგება, მაგრამ საეჭვოა, შეუძლიათ თუ არა ადამიანურ სილამაზეთა გამრავლება? მიწიერებას ყოველთვის თან სდევს ბიწიერებად გარდაქმნის საფრთხე. პოეტი ვერ მიიღებს იმათ გზას, ვინც აშკარად დასწყევლეს და დაგმეს ყოველგვარი რწმენა. უნდა გიყვარდეს, უნდა გწამდეს რაღაც წმინდა, რაღაც მაღალი, რომ სილამაზით აგვევსოს სული.

პოეტი ეძებს თაობათა კავშირის ცოცხალ ძაფებს. აგერ სარკე ირეკლავს და ერთ ჩარჩოში აქცევს მამას, შვილსა და შვილიშვილს. მაგრამ ეს ხომ ანარეკლია, ეს ხომ სარკის ეფემერაა! პოეტს კი სწყურია ნამდვილი და მტკიცე სულიერი ერთობა. მას უყვარს „ხელჩარ-

თული შებმა“ შვილის ფიქრებთან და მათი გადანასკვა მამის იდეალებთან. იგი დაჟინებით ელტვის საუკუნის განუყოფლობას, თაობათა გაუთიშველობას:

მზე სამთავეს ერთად გვინათებდეს მინდა!
ისე, როგორც გრგვინვა ცხრაასიან წლების,
სართულ-სართულ ქართულ ჰერის ამაღლების
სილამაზეც არის სიმამაცე შვილთა.
ყველა, ყველა, ყველა — პატარა თუ დიდი,
პირველი დღის სწრაფვა, მეორე დღის ხიდი,
ყველა წამი იწვის ერთ განუყრელ წამად, —
საუკუნე ჩვენი არ იყოფა სამად!

მაგრამ საუკუნის მთლიანობისა და თაობათა ურღვევი კავშირის თვით ამ გულმხურვალე მტკიცების სიღრმეში ილანდება რაღაც მწვავე გრძნობა, თითქოს თვით ეს მტკიცებაც ნაკარნახევი იყოს სწორედ რაღაც ბზარითა თუ ნაპრალით. გაწყვეტილი წამის გრძნობაც ხომ თვით პოეტს ეკუთვნის?

ჩვეულებრივ, კარლო კალაძე ხალისიან ფერებს ეტანება. „ჩემი დღისა და ღამის წიგნშიც“ თითქოს ასეთივე ფერებია, მაგრამ მათ შეზავებაში არის დარდიც, შეშფოთებაც და ძლიერი წყურვილიც გაუბზარავი საუკუნისა, გაუთიშავი თაობებისა.

მრავალჭირნაცად წინაპართა სულის სკოლა დიდი სკოლაა პოეტისათვის. ბრძოლასა და განსაცდელში გამოწრთობილი ზნეობა სულ სხვა ღირსებისაა. და, მართლაც, ნურავინ დაიკვეხნის უზადობას სინდისისას, თუ იგი ჭირ-ვარამში გამოცდილი და გამოწრთობილი არა აქვს.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ თავის სიჭაბუკეში, როცა ირგვლივ საკმაოდ მძლავრობდა წინაპართაგან არამცთუ გამიჯვნის, არამედ ყველა მათი სულიერი გამოცდილების უარყოფის სულისკვეთება, პოეტი წინაპართა დიდი ღვაწლის ერთგული რჩებოდა. მიწაზე ფეხის დადგმაც კი წინაპრებს აგონებდა:

დედაო მიწავ. ფეხს რომ გაბიჯებ,
ვგრძნობ, წინაპართა ძვლები იმტვრევა.

და პოეტი მზად იყო მათგან მიეღო არა მარტო დიდი სულიერი მემკვიდრეობა, არამედ სახელიც კი:

მთაო, გადმიშვი, მაშ, როგორც ნისლი,
არაგვის ჭალებს გადაკარგული,
რომ ქვეყნის გულზე მეტი ხალისით
ეხეტიალობდე თერგდალეული.

ამას წერდა პოეტი ლექსში — „ნახტომი გულიდან“ (შემდეგ ამ ლექსისათვის პოეტს „დარიალის კლდეებში გავლა“ დაურქმევია), წერდა მაშინ, როცა დიდი სოციალური ძვრების რომანტიკით გატაცებული ჭაბუკი თაობის დამკვიდრების სულისკვეთებას უსაზღვრო სივრცეებისაკენ ლტოლვით გამოხატავდა, შინაგანი შეუზღუდაობის სურვილი პოეტს რაღაც გრანდიოზული ფორმების მოძრაობისაკენ ეწეოდა, იგი თითქოს ლამობდა ყოველდღიურობის მდორე მდინარებიდან ამოვარდნას და ახალ, უჩვეულო სამყაროში გასვლას, ახალი ადამიანური კავშირების გაბმას. რამდენიმედ განყენებული და „კოსმოსური“ იყო მაშინ პოეტის მხატვრული მსოფლშეგრძნება. ქროლვა, სწრაფვა, უჩვეულობა იტაცებდა მას. ამ მხრივ დამახასიათებელია „დარიალის კლდეებში გავლის“ პოეტური ფაქტურაც: გაქროლებული ლურჯა, სირბილით მოჭრილ მანძილებს რომ ისვრის, ნაბდიანი მთები, ხევის ბუნაგიდან ამოსროლილი ყელგაგუდული მდინარე, კლდეების ღრუილი, დარიალში ველურივით გადმომხტარი მრისხანე თერგი და სხვ. თითქოს რამდენადმე ხელოვნურიც და გულუბრყვილოც იყო მეტაფორული მასალა, რაშიაც პოეტი ახვევდა თავის ახალგაზრდულ სწრაფვას. მაგრამ თვით მისწრაფება, რომ ქროლვით გადაესწრო თავისთავისათვის, საკუთარ სულში ატეხილი ტკივილებისათვის („გადამაშორე ამ ტკივილს, ლურჯავ“), მსგავსად იმისა, როგორც თანამედროვე ზეხმოვანი თვითმფრინავი უსწრებს ხოლმე საკუთარ გუგუნს, უეჭველად საგულისხმო პოეტურ აზრს შეიცავდა. ეს იყო ცხოვრებაში თავისთავის პოვნის, თავისი ადამიანური სამყაროს დამკვიდრების რომანტიკული გზა. გადაუსწარი თავისთავს, რათა იპოვო თავისთავი! განა ზოგჯერ არ გვამართლებს ადამიანებს რაღაც უკან მოვიტოვოთ ჩვენი არსებიდან, რაღაცას გადავუსწროთ თუ გავექცეთ საკუთარ სულში, რომ ადამიანურად ავმაღლდეთ და მოვლენათა დახლართულ მოძრაობაში ვიპოვოთ თავისთავი?

ეჭვი არ არის, რომ თავის ზოგიერთ პოეტურ მოტივში, კერძოდ, მჭროლავი ლურჯას მოტივში, პოეტი ასე თუ ისე დავალებული იყო ქართული პოეტური კულტურის უკვდავ ქმნილებათაგან, პირველ ყოვლისა ბარათაშვილის „მერანისა“ და გალაკტიონის „ლურჯა ცხენებისაგან“. თუმცა ერთი შეხედვით, უცნაურიც კი იყო ახალი სოციალური სინამდვილის დამკვიდრების სულისკვეთების გამომხატველი რომანტიკული სწრაფვის „მიახლოვება“ იმ დიდებულ ექსპრესიასთან, რაც „მერანში“ გაპირობებული იყო სწორად არსებული სინამდვილის უარყოფით, ღრმა ეროვნული, სოციალური და მასთან დაკავშირებული პიროვნული დრამით. ბედის საზღვრის გადა-

ლახვის სულისკვეთებით, ხოლო „ლურჯა ცხენებში“ — თავისი დროის რომელიღაც ტრაგიკული ნერვის უმძაფრესი განცდით. მაგრამ, როგორც ჩანს, გავლენები და მიახლოებანი პოეტურ შემოქმედებაში ყოველთვის როდია დამოკიდებული სულისკვეთებათა თანახმიერებაზე. აქ. ალბათ, ზოგჯერ მხატვრული შემოქმედების დამოუკიდებელი შინაგანი კანონებიც მოქმედებენ, რომელთა სრული უარყოფა სრული უაზრობა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ არსებითად სწორედ ამ კანონების მოქმედებასთან არის დაკავშირებული არა მარტო სულ სხვადასხვა სულისკვეთების გამომხატველ პოეტურ ფორმათა დაახლოების შესაძლებლობა, არამედ მხატვრულ ღირებულებათა გამძლეობაც. განწყობილებანი, სულისკვეთებანი, აზრები და იდეები იცვლებიან, მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებანი საუკუნეებს უძლებენ.

თაობათა განუწყვეტელი კავშირისა და წინაპართა სულიერი მემკვიდრეობის დაცვის მისწრაფებას კარლო კალაძის შემოქმედებაში ნიადაგს უმაგრებდა ეროვნული ფესვების ძლიერი გრძნობაც, რაც იმთავითვე მეტად ორგანული იყო პოეტისათვის. ამ მხრივ იგი მტკიცედ ადგა ილიას, აკაკის და ვაჟას დიდ გზას. პოეტი არ აჰყოლია თავის დროზე საკმაოდ გავრცელებულ ნიჰილისტურ განწყობილებებს.

პატრიოტული მოტივით პოეტის ადრინდელ ნაწარმოებთა შორის შეიძლება ყველაზე დამახასიათებელ ლექსად მივიჩნიოთ „ძახილი აღმოსავლეთს“. ფორმალური შესრულების თვალსაზრისით, ეს ლექსი შორს არის სრულყოფისაგან, მაგრამ მაშინ — 1926 წელს — ქართულ პოეზიაში ეს იყო ერთ-ერთი ვაჟკაცური, გაბედული პოეტური ხმა. პოეტმა გულმხურვალედ გასძახა ისტორიული ბედუკუღმართობით გატანჯულ და გადაკარგულ თვისტომებს — ფერეიდანელ ქართველებს... შეიძლება ითქვას, რომ ეს ტკივილი დღესაც არ არის მოშუშებული, ამდაგვარი ეროვნული მოტივებისათვის დატუქსეს მაშინ პოეტი, ეროვნული შეზღუდულობა უყიჟინეს და 1931 წელს გამოცემულ რუსულ „ლიტერატურულ ენციკლოპედიაშიც“ ჩაუწერეს, კარლო კალაძის შემოქმედების განვითარებაში იყო პერიოდი, როდესაც იგი ბურჟუაზიული ტენდენციების გავლენაში მოექცა და თავისი ხარკი გადაუხადა ნაციონალიზმსო.

ჩემი აზრით, არ იყო სამართლიანი ეს საყვედური.

აკი იმავე 1926 წელს თავის „მხედრულში“ პოეტი მგზნებარედ უმღეროდა საბჭოთა ქვეყანაში დამკვიდრებულ ხალხთა მეგობრობას:

თუმცა სხვადასხვა გორის ვართ,
გვარჩევენ სხვა გვარ-ტომობით,
ჩვენ გულის ლტოლვა ერთი გვაქვს...
ხორცით და სისხლით ტოლები!
ახლა ხევიდან ხეებში
ბტრობით ხომ არვინ გადარბის!
ძმადშეფიცული მოვდივართ,
როგორც ზვირთები არაგვის!

გარდა ამისა, გადაკარგულ თვისტომებთან შეხმიანებაც და, თუ გნებავთ, ერის ადრინდელი ტკივილების მოშუშების სხვა მოტივებიც არსებითად ხალხთა თავისუფლების, მათი ძმობისა და მეგობრობის მოტივის გაგრძელება თუ განვრცობა და, მაშასადამე, ეპოქის სულისკვეთების გამოხატულება იყო. პოეტს სწამდა. პოეტს სჯეროდა, რომ რევოლუციურ ეპოქას უნდა ემკურნალა ქვეყნისა და ხალხის ყველა ჭრილობისათვის... და ის, რაც სტკივა სამშობლოს, რაც სტკივა ხალხს, არ შეიძლება არ სტკიოდეს პოეტსაც... ადამიანი სულიერად შეიძლება აღდგეს და გამთლიანდეს მხოლოდ თავის ხალხთან, თავის სამშობლოსთან ერთად. ამ მოტივს — მოტივს ადამიანის სულიერ-ზნეობრივი არსების ორგანული კავშირისა თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ბედსა თუ უბედობასთან — პოეტი არაერთხელ უბრუნდება პოეტურ სიმწიფეშიაც.

ცას ხელით ხალხთან ერთად ვწვდებოდი,
ბორკილთ ნალეწი ფეხქვეშ გვეყარა, —
მეც ვინგრეოდი, მეც ეშენდებოდი
ისე, ვით ჩემი ცა და ქვეყანა.

პოეტს მუდამ ფლობს სამშობლოს მთელ ისტორიულ ბედთან განუყრელობის გრძნობა. ეს გრძნობა კი არსებითად ჰუმანიზმის დიდი გრძნობის ნაწილია. სამშობლო სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის უპირველეს და უახლოეს კავშირთა ცოცხალი ხვეული: დედა, მამა, ძმები, დები — ადამიანები, ხალხი, რომლებთანაც გაიბმის ხოლმე ჩვენი პირველი ადამიანური კავშირები, გზები, ბილიკები, მთები, ველები, მდინარეები, სოფლები, ქალაქები, პირველნი რომ შეგვიღებენ ხოლმე სამყაროს კარებს, ენა, რომლითაც პირველად ავმეტყველდით, წინაპართა დიდი სულიერი საგანძური, ხალხის დიდი მატიანე, ზღაპრები, ლეგენდები, სიმღერები, ჰანგები, პირველნი რომ გვაზიარებენ სულის დიად ნაყოფთ... რასაკვირველია, ამის იქითაც ჩვენ განუწყვეტლივ ვაბამთ ახალ კავშირებს, მაგრამ ისინი არსებითად აგრძელებენ პირველ კავშირთა ხვეულს. დიდი ანგარიშით ქვეყნიერება აგრძელებს და აღრმავებს სამშობლოს ისე, როგორც კაცობრიული — პიროვნულს.

ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე და რამდენი რამე წამოიწყებს ხოლმე ადამიანის სულში სამშობლოს მშვენიერ სიმღერას, რამდენი რამის ხატება გაჰყვება გულს დღეთა დასასრულამდე... და, ვინ იცის, სად, როგორ და რამდენნაირ ფიქრს გადაექსოვება თვითოეული მათგანი... აი, ვთქვათ, ხატება ძელქვების იმ კორომისა, პოეტის სამშობლო სოფლის ბორცვს რომ ამშვენებდა პოეტის ბავშვობაში. საერთოდ, ქართველ კაცს უყვარს მცენარეები, იგი გულგრილად ვერ ჩაუვლის ვერც ვაზსა და ვერც კაკლის ხეს, ვერც ჭადარსა და ვერც კერხვს, ვერც ვაშლისა და ვერც ატმის ხეს, ვერც წიფელსა და ვერც მურყანს, ვერც ძელქვას... ბევრჯერ წმინდა ხედაც კი შეურაცხავთ ზოგიერთი მათგანი.

ძელქვა, ვგონებ, საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ბუნების ერთ-ერთი იშვიათი ხელწერაა, დაახლოებით ისეთივე ხელწერა, როგორც არყის ხე რუსეთის ბუნებისა.

რასაკვირველია, ძელქვაც, ისე როგორც ბუნების ყოველი უსულდგმულო საგანი, უმეტყველო, უგონო და გულცივია, სანამ მას კაცის ხელი, თვალი და აზრი არ მოჰკიდებია. კაცის თვალითა და აზრით კი იწყება მისი ცხოვრების გრძელი და წარმტაცი ზღაპარი, იბადება პოეზია. ბევრი რამ არის ამ ზღაპარში: მშობელი მიწის ტკივილიცა და სიამეც, მხურვალებაც და სიგრილეც...

იმ „ძველ ძელქვებს" პოეტმა დაგვიანებით, თითქმის ხანდაზმულობაში, უმღერა, უმღერა მაშინ, როდესაც დიდი ხნის შემდეგ კვლავ ეწვია სამშობლო სოფელს და ნახა, ძელქვები ისევ იდგნენ „ჯგუფად, ვით ძველი დიდებულები"; მხოლოდ ერთი მათგანი გადასდგომოდა იმ გზას, სოფელს რომ გაჰყავდა. აქ კი პირველი ხილვის სიანკარე სხვა ფიქრს, სხვა ამბავს გადაეხლართა, ურჩი ძელქვის ტრაგედიაში სხვა სიღრმეები გაიხსნა. სოფელმა დასცა ნიადაგში ღრმად ფესვგადგმული ხე. პოეტი ხედავს სოფლის დიდ ძალას, მის უსმობელ სიმართლეს, მაგრამ აძრწუნებს დიდებული და მშვენიერი ძელქვის სიკვდილიც:

შეძრწუნებული დავრჩი სიკვდილით,
ხე ჩემს ჭიშკართან ეგდო გულაღმა.

ბედი უდრეკთა? ისინი ხომ თავისას არ იშლიან, თავისას არ თმობენ, თავს აკლავენ იმას, რაც სწამთ, რაც სჯერათ, რაც უყვართ; მათ არ შეუძლიათ შელირწება, შეგუება და ამიტომ იღუპებიან აღმატებულ ძალასთან ჭიდილში. მათ ეჯავრებათ ლირწნი და შემგუებელნი, ფეხქვეშ რომ ეგებიან და ტალახივით ედებიან აღზევე-

ბულთ... დაცემული ძელქვის ერთი კუნძი კი ბუზარში განაგრძობს თავის აალებულ ზღაპარს. ძელქვა იწვის, მაგრამ პოეზია არ კვდება:

> აღარ დგას როგორც ხე ახოვანი,
> კუნძია ახლა, მაგრამ ფარული
> გულში აქვს სითბო ათასწლოვანი,
> ყინი, სიცოცხლე და სიხარული.

ო, ეცემიან, იწვიან, იდაგებიან, მაგრამ სითბოს, სიცოცხლეს, სილამაზეს მაინც სულით მაღალნი ამრავლებენ.

კ. კალაძის შემოქმედება გააზრებული იდეური მიმართებისაა. პოეტის ყველაზე დიდი და ყველაზე ორგანული რომანტიკა გადახდილ რევოლუციურ ბრძოლათა რომანტიკაა. თავისი სულიერი ბიოგრაფიის სათავეს პოეტი ასე გამოხატავს:

> ვიცი. და გულში მაქვს ჩარჩენილი,
> ცხრა ძმამ თუ სისხლი როგორ დაღვარა, —
> დედაენასთან ერთად ლენინი
> ჩემმა მშობელმა მეც შემაყვარა.

თავისი შთაგონების უმაღლეს საგანს კი ასე განსაზღვრავს პოეტი:

> სულ ერთია, კლდეა თვალწინ,
> თუ ზურმუხტი მდელოსი, —
> სულ ერთია, ოღონდ იყოს
> კალთა საქართველოსი.

ამრიგად, პოეტის მსოფლშეგრძნებას იმთავითვე ახასიათებს გარკვეული შინაგანი დისციპლინა. ო, ეგ სიტყვა — დისციპლინა, — შესაძლოა, ერთობ ციცი და ერთობ არაპოეტური იყოს. იგი ხომ შებორკვას და მორჩილებას მოასწავებს. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება გარკვეული მსოფლმხედველობით, გარკვეული სოციალური და ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალებით მოწესრიგებულ სულიერ სამყაროს, საქმე ეხება ადამიანის მრწამსს. ჩემი მრწამსი კი ჩემი შინაგანი დისციპლინაა. და თუ მე განვიცდი, ვაზროვნებ და ემოქმედებ ჩემი მსოფლმხედველობის შესაბამისად, მაშინ მე შინაგანად თავისუფალი ვარ, მე წესრიგი შემაქვს ჩემი ინსტინქტებისა და ემოციების მოძრაობაში, მე თვალს ვუსწორებ და ვშველი ჰეშმარიტებას, თუნდაც იგი ანგრევდეს და ლეწავდეს მთელს ჩემს გაუცნობიერებელ ვნებებს... ეგ ასე არის... თუმცა. ვინ იცის, შესაძლოა, ერთობ დაოკებულ და დათვინიერებულ გრძნობებში იმალებოდეს პოეტისა თუ პოეზიის სუსტი მხარეც, რადგან პოეზია იქნებ სწორედ მაშინ აღწევდეს მწვერვალებს, როდესაც შეუზღუდავი და

შეუბორკავი გრძნობებითა და ვნებებით იკვებება. მაგრამ ყოველი ეპოქა, მით უმეტეს, დიდი გარდაქმნებით დამუხტული ეპოქა თავის „კანონებს“ უწესებს გრძნობებსაც, აზრებსაც და, მაშასადამე, პოეზიასაც. დიდ ისტორიულ გადასვლებზე — მწვავე სულიერ-ზნეობრივი გამოცდების ჟამს — ზოგჯერ განა აუცილებელი არ არის გულის მხურვალე სიმღერის დაყუჩება გონების მკაცრი დასკვნების წინაშე?

კარლო კალაძე ყოველთვის კვალში უდგას დროს.

30-იან წლებში შექმნილი ლექსები, რომლებიც შეიძლება დალაგებულ იქნან ციკლების — „მთების ეპოსის“, „ხერთვისის განთიადების“ და ცნობილი ლირიკული ლექსის „ფიქრის გორას გაზაფხულის“ ირგვლივ. შეადგენენ პოეტის შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპს. ამ ლექსებში მთავარია შემოქმედებითი შრომისა და ადამიანთა სულიერი გაუხვების მოტივები, დაკავშირებული შენების, აღორძინების და ბუნების ძალთა დამორჩილების პროცესებთან. პოეტი ადიდებს სიცოცხლის ძალებს, ადიდებს გმირულ საწყისებს ცხოვრებასა და ადამიანებში.

შესაძლოა, ყოველთვის ვერც კი მოჰქონდა წარმატება პოეტის ჭიდილს ქართული სიტყვის სტიქიასთან, მაგრამ იგი დიდხანს რჩებოდა ახალ ფორმათა დაუცხრომელ მაძიებლად, პოეტ-ექსპერიმენტატორად. ერთი რამ კი, სახელდობრ, ომახიან-ხალისიანი კილო ანუ ეგრეთ წოდებული მაჟორი ბოლომდე დარჩა მისი ლექსის ორგანულ თვისებად. მართალია, „ფიქრის გორას გაზაფხულის“ ნათელი საგაზაფხულო ტონები სამამულო ომის წლებში „საარტილერიო დუელის“ მკაცრი საბრძოლო-პატრიოტული ჰეროიკის დრამატულმა ტონებმა შესცვალეს, მაგრამ პოეტის ლექსში სისხლიანი დღეების სუნთქვამაც ვერ ჩააქრო სიცოცხლის ძალების ძალუმი ჟღერა. დამახასიათებელია, რომ პოეტის მიერ აღქმულ ომის სინამდვილის თვით ყველაზე პირქუშ და ტრაგიკულ ვითარებაშიაც კი — მწვავე სიუჟეტებსა და სურათებში — თითქმის ყოველთვის მონაწილეობს სიყვარული, ქალი, სიმღერა... პოეტს სწამს, რომ კეთილისა და ბოროტის დაუნდობელ ბრძოლაში სიყვარული კეთილის ულევი ღონე და უჟანგავი აბჯარია. ამიტომაც სიკვდილთან გაკამათებულ მეომრებს ყველაზე დიდი შინაგანი გასხივოსნებისა და შემართების ძალას აძლევს სწორედ მოგონება საყვარელი არსებისა, მოგონება ამურის პირველი ნაისრალისა. მათ ფიქრებს იმედის შუქივით ერთვის „ის ერთი წუთი დაუვიწყარი“. ბარათიც კი, ბარათიც რაა სასურველისა — „თითქოს იმედად მეტად მცირეა“, მაგრამ თუ აი ამ ქართველ ჯარისკაცს ჰკითხავთ, თერგის ნაპირებთან მძიმე ბრძოლე-

ბი რომ გადაუხდია. გეტყვით, რომ ეს ბარათი „ბრძოლების მონაწილეა“. აზრის შესაკრავად პოეტი მიმართავს პოეტურ სენტენციას:

> როგორ დაცხრება გულისთქმა ბრძოლით,
> კაცს მხრები როგორ მოეღუნება. —
> თავისი სატრფო და გულისტოლი
> ყოველთვის გვერდით თუ ეგულება.

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების მწვავე და რთული საკითხების წამოჭრის კვალობაზე პოეტის შემოქმედებაში თანდათან ძლიერდება სენტენციურ-შეგონებითი ნაკადი. პოეტის გულიცა და თვალიც თითქოს უფრო ვამომკვლევი და ანალიტიკური ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ პოეტის ერთ-ერთი „საპროგრამო“ ლექსი — „სიყვარული“, შექმნილი 50-იან წლებში, არსებითად შეგონებითი ხასიათისაა. შესაძლოა, ეს ლექსი პოეტმა მომავალ „რჩეულებში“ არც კი შეიტანოს. მაგრამ იგი მაინც საგულისხმოა თავისი ერთგვარი საეტაპო მნიშვნელობით პოეტის შემოქმედებაში. მოულოდნელი და განსაცვიფრებელი ლექსში არაფერია, მაგრამ მას აქვს ნათელი შინაგანი სარკე, რომელშიაც ბევრი რამ ირეკლება. ლექსი და პოეზია, საერთოდ, არ საჭიროებს არც მოყოლას, არც აღწერას. იგი უნდა წაიკითხოთ და განიცადოთ დაახლოებით ისე, როგორც მუსიკას ან მხატვრობას განიცდით. აქ კი მაინც უნდა გავუყვეთ ლექსის ძარღვს. პოეტი გეკამათებათ თუ გესაუბრებათ თქვენ სიყვარულის გამო. გესაუბრებათ, რომ ფიქრებში შეგიყოლიოთ და თავის სანუკვარ აზრამდე მიგიყვანოთ. ალბათ, შენც გიყვარს და გხიბლავს ცინცხალი ცისკარი, გულს გიხურავს, განაღვლიანებს პირქუში ცა. გხიბლავს სიბნელიდან ამოცურებული მშვენიერი სანახები სამშობლოსი. გახარებს ფერებად აფეთქებული გაზაფხული და, ვინ იცის, იქნებ შენც

> კიდით კიდემდე მოიარე მიწა ქართველთა
> და სიყვარულში ახლაც ისე შემოგათენდა,
> რომ მზემ ნათელი ხელებგაწვდილს
> შემოგაფრქვია...
> და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ ჰქვია!

გიტაცებს, ალბათ, წინაპართა ნაამაგარის — ძველი ტაძრების, ციხე-კოშკების, ძეგლების, ნანგრევების, ხელოვნების ნიმუშების — ერის ისტორიული ცხოვრების ამ დიდი წიგნის კითხვა, სულში მუდამ ეღერს „ვეფხისტყაოსანი“, გაღელვებს მცხეთაც, არმაზიც... გეგუთის „დაქცეული ციხე-დარბაზებიც“ და, ვინ იცის, იქნებ, შენც დადიხარ და

ქვათა გულმკერდზე ნაჩუქურომეე გრეხილს
დაეძებ
და სასოებით შეგიძლია მუხლზე დაეცე...
ჩუქურთმაც თითქოს აწყვეტილი გულის
ძარღვია...
და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ ჰქვია!

შეგიძლია თავი დასდო სამშობლოსათვის, თავი დასდო თბილისისათვის

ბტერმა საზღვრების მყუდროება თუ დაარღვია...
და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ ჰქვია!

რაგინდ გიყვარდეს, რაგინდ გხიბლავდეს სამშობლო ქვეყნის ბუნება. „...მთები და ჩუქურთმები... ძველი ქართული... ჩვენი ახალი ქალაქები ცად ამართული“, უსულო უსიცოცხლო გრძნობაა. თუ ამ ქვეყნისა და ამ ბუნების ადამიანი არ გიყვარს... არარა არის აღფრთოვანება ბუნებისა და საგნების სილამაზით. თუ შენ იმავე დროს შეგიძლია გულგრილად ჩაუარო ადამიანებს, მათ ტანჯვასა თუ სიხარულს, გულგრილად ჩაუარო ბიჭუნას, „დედაენას“ რომ ჩასხივებია.

მაშინ ჩვენს იმედს და სიცოცხლეს
გზა დაკარგვია —
და ამ სიყვარულს — სიყვარული მართლაც.
არ ჰქვია!

აქ არის კარგი პოეტური გუმანი: დიდი სიყვარულის გზა ნივთების ტყვეობისაგან თავდახსნის გზაა. რა თვალწარმტაციც უნდა იყოს ბუნება, რა დიდებული და ბრძნულიც უნდა იყოს საგნებისა თუ ნივთების წყობა, ისინი მაინც ადამიანურ ღირებულებათა და თვისებათა გარეშეა. სიყვარული კი (და, თუ გნებავთ, სიძულვილიც) შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის ადამიანთან დამოკიდებულება და არა ნივთებთან დამოკიდებულება. არსებითად სიყვარულიც და სიძულვილიც შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც ადამიანს ახასიათებს ანუ რაც ადამიანურია. ადამიანი კი ერთხელ ცოცხლობს და ცოცხლობს როგორც პიროვნება, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი. ზოგადი ნიშნებით, რასაკვირველია, ადამიანები მეორდებიან, მაგრამ პიროვნებანი — არასოდეს. ადამიანს, როგორც პიროვნებას, ვერც ვერავინ შეცვლის, ვერც ვერავინ გაიმეორებს, ვერავინ იცოცხლებს მისი სიცოცხლით, ვერავინ იტყვის მის ხათქმელს: მისი სულის, მისი არსების ანაბეჭდი მთელ სამყაროში ერთადერთი და განუმეორებელია. ეს ერთადერთობა და განუმეორებ-

ლობაა მისი ბედისა და უბედობის სათავსოც. მხოლოდ აქ შეიძლება იყოთ მისი მტერიცა და მოყვარეც, მისი თანაზიარიც. მართლაც, თუ სიყვარული ამქვეყნად შესაძლებელია, შესაძლებელია სიყვარული მხოლოდ იმისა, ვინც თქვენს გვერდით არის და თქვენს დროში ცხოვრობს, ვისთანაც ზიარი გაქვთ დღე და ღამე, ცა და მიწა, ჭირი და ლხინი, სიკეთე და ბოროტება. სიყვარული, პოეტის აზრით, ბედთა ზიარობაა:

> აკი ჩვენც ბრძოლამ და იმედმა დაგვაძმობილა,
> ვგრძნობთ: სიყვარული მხოლოდ ჩვენი ძმობა
> ყოფილა!

სიყვარული ადამიანისა განყენებულად, ზოგადად, მხოლოდ მირაჟია და არც არავის არაფერს ავალებს. ბევრს რასმეს კი მხოლოდ კონკრეტული ადამიანების სიყვარული გვავალებს. სწორედ ეს სიყვარული იწვევს მთელი ჩვენი ძალების ამოქმედებას. მომავლის დიდი საქმე მხოლოდ იმათ უკეთებიათ, ვისაც თავისი დროის ადამიანები ჰყვარებიათ, მათი ჭირ-ვარამით უცხოვრიათ და მათი ბედნიერებისათვის ულოცავთ. მომავალს მხოლოდ დღევანდელი ცოცხალი ადამიანები ქმნიან, და არის უდიდესი ადამიანური სიკეთე სწორედ იმაში, რომ ამ ცოცხალი ადამიანების საკეთილდღეოდ გააკეთოთ ის, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ. ეს იქნება ნამდვილი ბრძოლა მომავლისათვისაც და იმის ბედნიერების გრძნობაც, რომ რაღაცით, — თუნდაც სულ მცირეოდენი რამეთი, — გაახარე ადამიანი და თუნდაც ერთი ბეწოთი მაინც იმაზე უკეთესი დატოვე წუთისოფელი, ვიდრე დაგხვდა იგი.

აქეთკენ არის მიმართული პოეტური შეგონებაც:

> რასაც გვიჩვენებს თვითეული წამის ისარი,
> საკეთილდღეოდ
> მხოლოდ ცოცხალ გულისთვის არი...

ამ გზით, ამ რწმენით, „კერის ცეცხლით გაღვივდება დღე წინანდელიც“ და „მომავლის შუქიც შიგ თვალებში შემოგვეფრქვევა“.

ვფიქრობ, კარგია, როცა პოეტი ფიქრებში შეგიყოლიებს და ცოცხალ სიტყვას აგადევნებს. ვინ იცის, სად და როდის მოგვიხდება გავიხსენოთ: „და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ ჰქვია“.

კარგია ისიც, როცა ქმნილებაში, როგორც სარკეში, ჩანს თვითონ შემოქმედიც. აი, მე ვხედავ მას, მესმის მისი ხმა, რამდენიმედ გაძნელებული თუ დაძაბული, თითქოს ცდილობსო, სიტყვას რაც

შეიძლება, გულის მეტი მღელვარება ამოაყოლოს: მერე რა? თუ „ჩუქურთმაც თითქოს აწყვეტილი გულის ძარღვია“, განა სიტყვას ნაკლებად მართებს იყოს გულის ნაგლეჯი?

პოეტი უმღერის სიყვარულს, როგორც ძმობასა და მეგობრობას, სიყვარულს, რომელიც ანთებს, მაგრამ არ ადნობს, აკავშირებს, აახლოვებს, მაგრამ არ სპობს, არ ნთქავს.

დიდი სულიერი სისავსისა და ჰარმონიის სათავეს პოეტი ხედავს ადამიანთა ისეთ ძმობასა და მეგობრობაში, რომელიც გამორიცხავს პიროვნულისა და განსხვავებულის ყოველგვარ შებღალვასა და წარხოცვას.

ხალხთა ძმობა და მეგობრობა კარლო კალაძის მთელი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა. მაგრამ პოეტი არა მარტო პოეზიაში, ცხოვრებაშიაც მეგობრობის გულხმიერი რაინდია. მეგობრობის გეოგრაფია მის ცხოვრებაში არანაკლებ ვრცელია, ვიდრე მის შემოქმედებაში. მას აუარებელი გულითადი მეგობარი ჰყავს — რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, დაღესტნელი, ოსი და ბევრი სხვა ერის შვილი. მათმა ამბავმა შეიძლება პოეტის ბიოგრაფიის ძალიან დიდი ტომი შეადგინოს. ვიტყვით მხოლოდ: მეგობრობით ნაწრთობი თუ ნაქსოვი სული ადამიანისა და პოეტისა უეჭველად უხვი და ლაღია.

თუმცა მეგობრობაცაა და მეგობრობაც. ზოგჯერ ანგარებაც და გაბატონების ჟინიც იკეთებს ხოლმე მეგობრობის ნიღაბს. მაგონდება, ასეთ ცრუ მეგობრობაზე პოეტმა ერთხელ თქვა: — ღმერთმა გვაშოროს მეგობარი, რომელიც გეალერსება, გულში გიკრავს, რომ მერე უეცრად წელში შეგივარდეს და მიწაზე დაგცესო. დიახაც! რად უნდა დავივიწყოთ უკვდავი სიბრძნე:

მოყვარე-მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.

კარლო კალაძის მთელ შემოქმედებაში, თითქმის ყოველ მის ლექსში, იგრძნობა რაღაც გასაოცარი შეპყრობილობა ყოფიერების სიხარულით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიცოცხლის შელეწილმა და შეხუთულმა ძალებმა ომის ბორკილები აიყარა და ქვეყნიერებამ ბოროტის ძლევა იზეიმა, პოეტი თითქოს ახალი ძალით შეიჭრა თავის ბუნებრივ სტიქიაში. ფურცლავთ მის ლექსებს და თითქოს ვიღაც განუწყვეტლივ ჩაგძახით: — არის ცა, მიწა, მზე, ჰაერი, არის საქართველო, თბილისი, მტკვარი, რიონი, ენგური, ალაზანი, არის შოთა, ვაჟა, ილია, აკაკი, არიან მეგობრები, არის ქართული სიტყვა, არის ქალი, არის ვენახი და ხარ შენ, მაშასადამე, არის

უშრეტი წყარო სიხარულისა, და შენ ძალგიძს მოიპოვო სიხარული, მოიპოვო იმისათვის, რომ მთელ ქვეყანას გადასდო.

თავად პოეზიაც პოეტს მიაჩნია სიხარულად, სიხარულად ხილვისა, მიკვლევისა, აღმოჩენისა. პოეზიისა და სიხარულის ეს შეწყვილება სრულიად ბუნებრივია იმ პოეტისათვის, ვინც ქვეყნად ფუტკარივით დაეძებს სიყვარულისა და სიხარულის ნექტარს და ვინც ფიქრობს „სიცოცხლე ჩემი, კაცმა რომ მკითხოს, ამ სიხარულის ერთი პწკარია“.

მაგრამ ყოფიერების ეს სიხარული, რასაც ასე განუყოფლად ეძლევა პოეტი, ცხოვრების ტრაგიკულ მხარეთა დაუნახავობისა და მათთვის გვერდის ავლის ნაყოფი როდია. ეს ხომ უსაგნო, უაზრო სიხარული და, მაშასადამე, სულის სიბრმავე იქნებოდა. არა, პოეტმა იცის, კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ბევრია ტკივილიცა და მწუხარებაც. მაგრამ მიიღებთ თუ არ მიიღებთ პოეტის შეხედულებას, — ეგ სხვა საქმეა, მას მაინც ასე სწამს: სიმღერამ, ხელოვნებამ, პოეზიამ, კი არ უნდა გააღრმავოს და გააძლიეროს სევდა, მწუხარება ტკივილი, არამედ. პირიქით, უნდა შეამსუბუქოს, უნდა ჩააქროს იგი, ამიტომაც ნატრობს პოეტი: „ნეტავი თვალის გახელით ბნელი კვლავ დამაფრთხობინა“.

დე, ჰგავდეს პოეზია ბნელის დამფრთხობ თვალის გახელასაც.

კარლო კალაძის ჟანრობრივი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. იგი წერს პოემებსაც და პიესებსაც. მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ნიჭისათვის ყველაზე ორგანული მაინც ლირიკაა, განსაკუთრებით, ჟანრულ-პეიზაჟური ლირიკა, ლირიკული ნატურმორტები თუ პორტრეტები. პოეტის შემოქმედებაში ყველაზე უმალ სწორედ ასეთი ხასიათის ლექსები იქცევს ყურადღებას თავისი გამოკვეთილი პოეტური აზრით, დამთავრებული პოეტური ფორმით. ამ ლექსებში სიტყვაც საგნის გარეგნული აღწერის საშუალებიდან გადაქცეულია საგნის დამორჩილების საშუალებად, საგნის შინაგანი პოეტური აზრის, მისი რიტმისა და სახიერების, მისი წარმოსახვითი კავშირების გადმოცემის საშუალებად. ერთ ფრიად საგულისხმო ლექსს „ძველ ძელქვებს“ ამ მხრივ უკვე ზემოთ შევეხეთ. დინჯი და დრამატიული „ძველი ძელქვებისაგან“ განსხვავებით, მაგალითად, „მუხა-ბერდია“ მოკისკასე ლექსია, მაგრამ ამ ლექსშიაც დგას სამშობლო ქვეყნის საამო სურნელება.

ახალ ყანებში ჩამდგარო.
მუხავ, მითხარი ვინა ხარ?
მეფე ერეკლეს კაცივით
აგრე ვინ შემოგინახა!

ამ ჩვენს ხევსა და მდინარეს
დაპყურებ მაღალ-მაღალი,
ბადის გასროლა თუ მოგწონს,
ტალღების აყალმაყალი!
მუხავ, შენ ჩრდილქვეშ დავჯდები,
დავუცდი ფიროსმანიშვილს,
ხელდალოცვილი კაცია —
სუფრას მინდორზე გამიშლის!

აქ პეიზაჟის გრძნობა თავისი მოულოდნელი და თითქოს უცნაური ასოციაციებით გადადის სიცოცხლის, ბუნებისა და სამშობლოს შთაგონებულ განცდაში. თუ თქვენ გინახავთ სადმე ყანაში, მხცოვანი კაცივით, შემორჩენილი მუხა, პური გაგიტეხიათ ან თვალი მოგიტყუებიათ მის ჩრდილში, მოგისმენიათ მშობლიური მდინარის ტალღათა აყალმაყალი, დაგინახავთ ბადის გაშლა და თევზების ფართხალი, — ადვილად შეუზიარდებით პოეტის გულისნადებსაც და ხელდალოცვილი კაცის მოლოდინსაც.

მოვისმინოთ „იგავი ბუხრის წინ“ — ეს ერთიანი ლირიკული მეტაფორაა, ლექსად თქმული ქართული ნატურმორტი. იგი რომ საღებავებით შეესრულებინა რომელიმე კარგ მხატვარს, ალბათ, სამხატვრო გალერეასაც დაამშვენებდა (ეს ლექსი 1945 წელს არის დაწერილი; შემდეგ პოეტს მისთვის რატომღაც „გუდა-სტვირი და ღვინის გუდა“ დაურქმევია და, ჩემი აზრით, სათაურში ჩაუქვრია ერთგვარი რომანტიკული შუქი). ეს ლექსი კარგად გამოხატავს სწორედ პოეტის ერთ-ერთ მთავარ თემას — პოეზიისა და სიცოცხლის ძალთა კავშირს, ქართული სიმღერისა და ქართული კერის შეწყვილებას. ლექსსა და სიმღერას კაცივით თავის სამშობლო აქვს. უსამშობლოდ ლექსი თუ სიმღერა უსაშველო უსახობა იქნებოდა. ბევრიც ედავოთ, ასე სწამს პოეტს. თითქოს თვალწინ გვეშლება მითიური ელფერით მოსილი სურათი: მოგიზგიზე ქართული ბუხარი და ბნელი კუნჭულიდან გამომხტარი ორი ჭინკა: გუდა-სტვირი და ღვინის გუდა, მუხლებზე რომ შემოსხდომიათ და იღლიაში რომ შეკუბვია მელექსეს. ერთი რომ ჯამს უვსებს ღვინით, მეორეს სიხარულით ევსება გული, „რომ სტვირს უკვდავი სული შთაბეროს“.

სტვირის ქარასხა პირმოვერცხლილი,
როცა ნატყვიარ მარჯვენას მიქებს,
ის ტიკიც ღიპზე დაკრული ღილით
დახედავს ჯამს და... ტკბილად ტიკტიკებს.

ლექსი ქართული ფესვიდან იხსნება. ბახუსის კულტი ქართველ ხალხში არასდროს არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული. ღვინო

ქართველ კაცს უმალ ჯან-ღონის შემატების, მხიარული განწყობილებისა და სასიცოცხლო ძალების აღმგზნებ საშუალებად მიაჩნდა, ვიდრე უგონო ღრეობისა და ლოთობის საგნად, ორი გუდის იგავიც აქედან ამოაქვს პოეტს. კაცის შრომით მოპოვებული ბუნების მადლი — მზის მცხუნვარებისა და მიწის წვენის შენაზავი, აღვიძებს, აბობოქრებს სიცოცხლის ძალებს, ხოლო სიცოცხლის აგზნებული ძალები ბადებს სიმღერას, პოეზიას.

პოეტი დაჟინებით ელტვის იმას, რაც გულსაც და თვალსაც ახარებს. სწორედ ქართული სოფლის ცხოვრებიდან ამოხატული, გულისა და თვალის გამხარებელი სურათით იქცევს ყურადღებას ლექსი „მედოქეები". ეს ლექსი, დაწერილი 1947 წელს, პოეტის უკეთეს ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის. იგი არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული პოეტური სამკაულებით, რითმით, რიტმით და ეღერადობით. „აყალო მიწით მძერწავების" მსგავსად პოეტი სრულიად უბრალო საშუალებებით ხატავს მთელ სურათსაც და დეტალებსაც. შთამბეჭდავად გადმოგვცემს სოფლელი პატარძლის სილამაზით ელდანაცემი ახალგაზრდა მედოქის მღელვარებას. მცირე დეტალით თვალწინ გვიდგება სურასავით ტანაწყობილი ლამაზი ქალი. აი, დამახასიათებელი ლაკონიზმიც: ლამაზი პატარძლის მეუღლე რომ ომგადახდილი ვაჟკაცია, ამას ვხედებით ღობეზე გადაკიდებული ჯარისკაცური ფარაჯით და ღიმილით სავსე რეპლიკით, თუ შინ ასეთი საბედო ელოდა, დიახაც სასახელოდ უნდა მოევლო ქვეყნებიო... ვგრძნობთ „გამომწვარ თიხის ფერის" მედოქეებს — „წარმართთა მეტოქეებს", ამ უშუალო მხატვრებს, რომლებიც სრულიად უბრალო მასალით — აყალო მიწით, და ხელოვნების უშუალო გრძნობით ძერწავენ ამ ლამაზ სურებს, ხალმებს, დოქებს, ჭინჭილებს, ჭურებს, ახლა პირღია „დეევებივით გაბაწრულები" რომ გაწოლილან გოგორა ურმებზე. ერთი სიტყვით, პოეტი გვიწყობს სასიამოვნო შეხვედრას ქართული სოფლის ადამიანებთან და ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშებთან. ამ შეხვედრაში არის კარგი და ნათელი პოეზია.

საერთოდ, პოეტის ბევრი ლექსი აღბეჭდავს ამგვარ სასიხარულო შეხვედრას ჩვენი ქვეყნის ადამიანებთან და ბუნებასთან, სოფლებთან და ქალაქებთან, თბილისთან და აფხაზეთთან, მეგობრებთან და წინაპრებთან, ზღვასთან და მდინარეებთან. ყველა ლექსი ერთნაირი ძალისა როდია. მაგრამ მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს „დედა" და „მასწავლებელი ქალი სოფლად".

„დედა", ეს სადა, ნათელი და ძალდაუტანებელი ლექსი, მართლაც, გულითადი შეხვედრაა ომის ჭირგადახდილ ქართულ კერასთან

და მის მარად მღელვარე გულთან, მის ხელთუქმნელ სიბრძნესთან — ჰაღარა დედასთან

საგულისხმოა, რომ პოეტის შემოქმედებითი განვითარება მიიმართება არა პოეტურ ფორმათა გართულებისაკენ, არამედ, პირიქით... ჰიისწრაფება, რომ ხალხის გულთან მიიტანოს თავისი სულიერი მღელვარება, თავისი ფიქრი და სიხარული, პოეტს სულ უფრო და უფრო ეწევა პოეზიის ხალხური სათავეებისაკენ პოეტური სიტყვის სისადავისა და გამჭვირვალობისაკენ. ალბათ, პოეტი კარგად გრძნობს, რომ ეს მას აყენებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეგრეთ წოდებული „რთული პოეზიის“ წრის გარეთ, მაგრამ პოეტი, როგორც ჩანს, ამას არ ნანობს; თავისი პოეტიკით იგი მაინც თავის ხალხთან, თავის ეპოქასთან რჩება და დაბეჯითებით აცხადებს:

მე გადაეწყვიტე ვიფიქრო მხოლოდ
სიტყვის მომხიბელელ სისადავეზე.

და შემთხვევითი არ არის, რომ ამ მხრივ პოეტი, უწინარეს ყოვლისა, აკაკის „გაკვეთილს“ მიმართავს:

გამითენდება ნათელი დილა
და: „რა კარგია“, ვიტყვი, „რა კარგი!“
ვიპოვი მკითხველს და გულახდილად
გავეხუმრები, როგორც აკაკი.

აკაკისებური ხალხური სინათლე და სისადავე თავს იჩენს პოეტის უკეთესი ლექსების როგორც სახობრივ, ისე რიტმულ აღნაგობაში. ამის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლექსი „მასწავლებელი ქალი სოფლად“ — ეს აღტაცებული შეხვედრა იმერეთის მიმოხატულ სოფელთან, მისი ახალი ყოფა-ცხოვრების ცოცხალ სურათებთან და, რაც მთავარია, სულით და ხორცით ლამაზ ადამიანთან, ახალგაზრდა მასწავლებელ ქალთან. ლექსში იგრძნობა რომანტიკული სინათლე, კრიალა ფერები, ნარნარი სულიერი მოძრაობა.

მიყვარს, როცა თვალს შევასწრებ სოფელს
ჩუმად მძინარეს,
ვარსკვლავები კენჭებივით როცა მიაქვს
მდინარეს!..
გაზაფხულის დილა მიყვარს, — მისი თვალის
ბრიალი, —
შილიფათ რომ გამოგხედავს ქალი
თავსაფრიანი...

მაგრამ სოფლისა და ბუნების სილამაზე მხოლოდ მაშინ არის წარმტაცი და მომხიბვლელი, როცა იგი გაშინაარსიანებულია ადა-

მიანით. ამიტომაც ეუბნება პოეტი ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს:

ან რად მინდა მთა-გორები ასე მიმოხატული,
სოფლად რომ არ გაისმოდეს
შენი ტკბილი ქართული.

პოეტი ერთგვარ რომანტიკულ გაზვიადებასაც მიმართავს:

შენ ისეთი ძალით გვხიბლავ და ისეთი უფლებით,
რომ ცისპირზე ჩერდებიან მოგზაური ღრუბლები.

არა, ეს არ არის უგანცდო ლამაზსიტყვაობა! განა არ უთქვამთ და დიდებულადაც არ უთქვამთ, თუ როგორ არწევს სიყვარული ვარსკვლავებს? რით ვერ შესძლებს სულიერი და ხორციელი სილამაზე ღრუბელთა შეჩერებას? ეგ ხომ პოეზიად ქცეული გრძნობაა!

ლამაზი ადამიანი ალამაზებს ქვეყანას. ეს აზრი მთასავით ხნიერია. მაგრამ ახალია პოეტური გრძნობა ამ აზრისა. კარგი და მიმზიდველია ჩვენი დროის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის ლირიკულ-რომანტიკული პორტრეტი.

ბევრი გზა უვლია, ბევრი შეხვედრა ჰქონია, ბევრი მოსაგონარიც აქვს პოეტს. არ შეიძლება მის პოეტურ ბიოგრაფიას არ ამდიდრებდეს, ვთქვათ, ნაცნობობა და პოეტური შეხმაურება მაიაკოვსკისთან, შეხვედრა ნაზიმ ჰიქმეთთან და ედუარდ ბაგრიცკისთან კუნცოვოში, გასაუბრება გურგენ მაართან საიათნოვას ლექსების გამო, შეხვედრა ცნობილ უკრაინელ პოეტებთან და მრავალი სხვა ასეთი რამ. მაგრამ დროსა და თავისთავს, შესაძლოა, პოეტი არანაკლები ძალით გამოხატავდეს თბილისელ ტაქსის შოფერთან საუბარში, შოფერთან, რომელიც მხოლოდ ერთ რამეში ეჯიბრება პოეტს: თბილისის სიყვარულში. პოეტივით მასაც ახარებს ის, რომ თბილისი იზრდება, შენდება, მშვენდება, მაგრამ პოეტივით მასაც განსაკუთრებული ძალით ხიბლავს თბილისის განუმეორებელი სახიერება, მისი ქართული სული.

პოეტი ხშირად მღერის მგზავრულსაც. მაგრამ შორეული გზები მაინც არ არის მისი სიმღერის დიდი საგანი. მის პოეზიას, უწინარეს ყოვლისა, სამშობლო ქვეყნის ფუძისეული თუ ნიადაგისეული წყაროები ასაზრდოებენ. ერთ თავის სპეციალურ ხასიათის ლექსში „ფიქრი გზადაგზა“ იგი კიდევაც ედავება ვიღაცას ამ თემაზე:

რომი,
ლონდონი,
პარიზი,
არ გაართობდა განა გულს?

და მაინც ბილიკს დავეძებ,
დედის კალთიდან დანახულს.
და მაინც უცხო პალმებთან
მე საოცნებოდ არ მივალ,
ამ ჭადრის მკერდს კი რამდენჯერ
გულმკერდით დავტოლებიეარ!

თავის ამ ნიადაგისეულ სულისკვეთებას პოეტი შთაგონებულად და კიდევ უფრო ენერგიულად გამოთქვამს:

მთა გადავფურცლე წიგნივით
და ჩემი ქვეყნის დიდი დღე
მზისა და მთვარის ნათელში
ხელახლა გადავიკითხე.
საუკუნეა აქა ვარ,
ამ გზაზე გავჭაღარავდი,
რიონს შავზღვამდე მივდიე
მტკვარს — თითქმის განჯის კარამდი.

საერთოდ, პოეტისათვის დამახასიათებელია თითქმის გულისტკივილამდე მისული სიხარული, აღძრული სამშობლოს მთებითა თუ მდინარეებით. სწორედ ამ სიხარულს გამოხატავს პოეტი ლექსში „ეს რა დიდებულ დღეს დავესწარი". ვისაც ერთხელ მაინც განუცდია სამშობლოს მთების რაღაცნაირი აფეთქება სულში, ის კარგად ჩაწვდება პოეტის სიტყვებს:

თქვენი სურათი, მთის მწვერვალებო,
ზღვის პირად განა ერთხელ მინახავს?
და თქვენი თავი ვის დავანებო,
თქვენზე ლამაზი ქვეყნად ვინა მყავს.

საქართველოს მდინარეები?

ვინ იცის, რამდენი პოეტური ცეცხლი დაუგზნიათ მათ ქართულ სიტყვაში და განა მარტო ქართულ სიტყვაში? ხომ მათ გამოაკვესინეს ჩაუქრობელი პოეტური ნაპერწკლები პუშკინის, ლერმონტოვის და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი პოეტის მუზას... ქართულ სიტყვაში კი განსაკუთრებით დიდებული და მშვენიერია ბარათაშვილის მრავალდროების მოწამე, მაგრამ უტყვი მტკვარი, არაგვიანი არაგვი და ვაჟას არაგვი, მტკვარი, რომელთა წყალს „თამარის ტურფა თვალნი" დაუბანიათ, ერთურთს რომ ფრანგულს უქნევენ; ლიახვი, მათ რომ ეგებება „წვერბასრი შუბის ტარითა", და რიონი, მთას იქით რომ მოთქვამს თავისი „გაშიშვლებული ხმალითა". მათი პოეტურ-აზრობრივი ძალა და მოცულობა განუზომლად დიდია...

კარლო კალაძის ერთ-ერთი ყველაზე შთაგონებული და ჯავარიანი ლექსი „ენგურიც“ ქართული მდინარის სტიქიიდანაა გამოკვეთილი. მას ლეკველად დაპკრავს შუქი დიდი ტრადიციისა. თუმცა, რასაკვირველია, „ენგური“ სულ სხვა სულიერ გამოცდილებაზე, სულ სხვა სულიერ ფრთოლვაზეა აწყობილი.

ენგური რუხის ციხესთან ენახე,
იქ მოჩანს მისი ტალღების ლეწვა. —
და ერთი სიტყვა შეც გადაეძახე. —
ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ!
— გაგირღვევია კლდეების სისქე.
როგორღა გინდა მთებს უერთგულო,
სამურზაყანოს მიწიდან — ზღვისკენ
თავდავიწყებით გარბი, ენგური!
იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მთებიდან გასული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგური გქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!
ენგური რუხის ციხესთან ენახე,
აქ მოჩანს მისი ჩქარი ფერხული,
ჩამოღარვია მურზაყანს სახე
და ღვართქაფებად მოქქეხს ენგური!
მთა შეფოთლილი ახლაც მაგონებს
რომ ტანზე ჯაკვის პერანგი ეცვა,
ენგურმა ხელი ჰკრა და მთა-გორებს
ესმის ამ ჯავშნის აშკარა ლეწვა...
ვიმღეროთ, სანამ არაა გვიან,
სანამ აქ ფეხზე დგას მთების ალყა,
სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვია
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!

როგორც ვხედავთ, აქაც პოეტისათვის ჩვეული მაჟორია, სასიმღერო განწყობილება და ყოფიერების სიხარული. მაგრამ სადღაც ამ სიხარულის სიღრმეში თითქოს რაღაც წუხილიც არის. გარეგნულად ლექსში დროის ხელშესახები ნიშანიც არ ჩანს. პოეტური ნივთის თვალსაზრისით, იგი შეიძლებოდა შექმნილიყო შორეულ წარსულშიაც. მაგრამ აქ დრო განცდაშია და არა ნივთში. ეს განცდა კი არის განცდა ენგურისა, როგორც თავისთავადი სახიერებისა. მართლაც, ენგური დიდებული და მშვენიერია მხოლოდ მაშინ, როცა იგი სავსეა თავისთავით, თავისი სტიქიით, როდესაც ლაღად მოჰქუხს და მოჰყეფს თავის მთებსა და ჭალებს, როდესაც თავის საკუთარ სიმღერას მღერის... და არა მაშინ, როდესაც იგი შავი ზღვის უსახო ტალღად იქცევა, სახესაც ჰკარგავს და სახელსაც.

ესახო და უპიროვნო ხეც არ ვარგაო, უთქვამთ; თუ არ უთქვამთ, იტყვიან ალბათ, იტყვიან, რადგან ადამიანები ელტვიან მშვენიერებას. მშვენიერი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც თავისი სახე, თავისი განუმეორებელი არსება აქვს.

გაესახურება სიკვდილსაც უდრის. მართლაც, პიროვნულობისა თუ სახიერების მოშლა და სამყაროს დაუსაბამო ნივთიერებაში გათქვეფა რომ არა, სიკვდილი არც იქნებოდა საშიში და შემაძრწუნებელი, რადგან სამყაროში არც არაფერი ქრება, არც არაფერი იკარგება.

განცდაში გასხივებული ენგური კი ენგურიცაა და რაღაც სხვა უფრო დიდებულიც. მდინარე ენგურს, რასაკვირველია, ვერ მოშლის, ვერც შთანთქავს შავი ზღვა. ენგური არ მოკვდება (ან რად უნდა მოკვდეს ენგური?), იგი მუდამ იდენს, ზღვა მხოლოდ მის წყალს შეირთავს. ენგური უხვია და ზღვისათვის წყალი არ ენანება.

მაგრამ, ალბათ, სულ სხვაა ბედი იმ არსებათა და სახეთა, რომელთაც, შესაძლოა, მართლაც, ემუქრებოდეთ გათქვეფა, გაუსახურება. რად არ უნდა იყოს ბუნებრივი და სამართლიანი მათი დრტვინვა? რად უნდა იყოს დასაძრახი და დასაგმობი ეს დრტვინვა? მით უმეტეს, რომ პიროვნულობის მოშლა და გაერთსახება არსებითად ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის ყველაზე არაბუნებრივი და არაადამიანური გზაა...

გაერთსახება (ანუ ეგრეთწოდებული სტანდარტიზაცია), რასაკვირველია, სასარგებლო და აუცილებელიც არის, ვთქვათ, ნივთიერი წარმოების დარგში, იქ, სადაც საჭიროა საგანთა სერიული გამოშვება. იგი ალბათ, ხელსაყრელია მშენებლობაშიც (თუმცა თანამედროვე ქალაქების ზოგიერთ უბანს რომ გახედავთ, გული შეგიღონდებათ იქ გამეფებული უსიცოცხლო ერთფეროვნებისა თუ ფორმათა საოცარი სიღატაკის გამო). მაგრამ ხალხთა და ადამიანთა სულიერი ცხოვრების, მათი სულიერი შემოქმედების გაერთსახება ხომ ცხოვრების შემზარავი გამოფიტვა და გაბერწება იქნებოდა!

არის რაღაც ლამაზი, წარმტაცი და მაღალი სიმღერის ჟანში, რომელიც ებრძვის იმ დარდსა და წუხილს, რასაც ფერთა წარხოცვისა და სულიერი გაერთსახების მოძალებული შესაძლებლობა იწვევს. არსებითად ეს არის სიმღერა სიცოცხლის დამკვიდრებისა.

ვიმღეროთ, სანამ არაა გვიან,
სანამ აქ მთებზე დგას მთების ალყა,
სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა.

კარლო კალაძე თითქმის მუდამ სიხარულისათვის მღერის. მაგრამ ხდება ხოლმე ზოგჯერ ისეც, რომ ადამიანი ომახიან და მხიარულ სიმღერას სწორედ მაშინ წამოიწყებს, როდესაც რაიმე განსაცდელს უახლოვდება ან გულში რაღაც სევდა უტრიალებს. უსევდო, როგორც ჩანს, არც ჩვენი პოეტი არის. მაგრამ მთელი მისი შემოქმედება სავსეა სიცოცხლის ტრფიალებით.

1966

ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა

საწუთრო ანუ წუთისოფელი შეურქმევია ქართველ კაცს ცისქვეშეთისათვის, სადაც იწყება და თავდება ყოველი სულიერის სიცოცხლე. წუთი წამის მესამოცედია ძველ ქართულში, წამი კი თვალის ერთი დახამხამებაა. წუთისოფელი! ამ სიტყვაში ჩაქსოვილი მსოფლშეგრძნების პოეტური გააზრებით შეხვდა პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი თავის ორმოცდაათ წლისთავს.

წუთი რა არის ამ საწუთროში,
რა უნდა იყოს წუთისოფელი?

არა, კაცს ძალუძს, — გვანიშნებს პოეტი, — საუკუნეებს შეადავოს ერთი წამიც კი, თუ მას ყელთამდე აავსებს შემოქმედებით. წუთი შემოქმედებისა იმორჩილებს, მშვილდივით დრეკს დროისა და სივრცის უსაზღვროებას. ადამიანს მხოლოდ შენაქმენით შეუძლია შეუზიარდეს მარადიულობას.

ამრიგად, თავისი არცთუ იმდენად ახალი, მაგრამ უეჭველად გულწრფელი გათავისებული პოეტური აზრით პოეტი თითქოს დროის რთულ „მეტაფიზიკას“ ეჭიდება თავის „წუთისოფელში“. პოეზიაც მას საუკუნეებთან შებრძოლებულ წამად ესახება.

უნდა ითქვას: აქ, უსათუოდ, და ალბათ, საერთოდაც პოეზია სადღაც. როგორღაც და რაღაცით გვაგონებს იმ გონიერ ბავშვსაც, რომელიც დიდი შთაგონებითა და გულმოდგინებით აგებს ციხეკოშკებს, მთებს და თვით დედამიწის მთელ ბურთსაც კი მისთვის ხელმისაწვდომი მასალისაგან. ეს კი მშვენიერი და საამო სანახაობაა! პოეტს ადრეც ბევრჯერ მიუქცევია ყურადღება თავისი პოეტური აზრის კარგი და ტევადი გულუბრყვილობით. მაგალითად:

მთისიქითელო ქალაო
ვაუკაცი მოვსდევ ლატანებს,
ფოსტა არ არი?
წერილი
არწივებს გამოვატანე!

უთვლიდა ხოლმე პოეტის ლირიკული გმირი — ჭაბუკი მწყემსი თავის სატრფოს. და ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომანტიკულ-მიამიტური ინტონაცია აქამდე მოსდევს მის პოეზიას. არწივებიც იშვიათი სტუმრები როდი არიან მისი ლექსებისა. ალბათ იმიტომ, რომ იქ, სადაც პოეტი დაიბადა და დაჭაბუკდა, არწივები მრავლადაც ბუდობენ და ხშირადაც ბოინობენ.

ეს ადგილი, სადაც პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი დაიბადა 1911 წლის 15 ივლისს, სოფელი ყაზბეგია, დარიალის მისადგომთან, მყინვარწვერის საფერხულთან. პოეტის ერთ ლექსს „სად არის ქვეყნად სხვა დარიალი“ ჰქვია (ალბათ გრიგოლ ორბელიანიდან მოდის). და, მართლაც, საქართველოს ამ თვალწარმტაცი კუთხის განუმეორებელ ბუნებაში, მისი მთების, კლდეებისა და ხევების ასევე განუმეორებელ წესრიგსა თუ უწესრიგობაში არის დადებული ალ. გომიაშვილის პოეზიის პირველი სათავე. შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ფანტაზია თავის პიროვნულ შესაძლებლობათა ფარგლებში წილნაყარია ამ ზვიადი და დიდებული ბუნების გულუბრყვილო ნაგებობასთან. შემთხვევით როდი ხედავს ხოლმე პოეტი თავისი სანუკვარი მყინვარწვერის თავზე წინაპრების აჩრდილებს; თავის სიმღერასაც იგი შემთხვევით როდი ადარებს კლდეების ხლეჩას, ზვავების გრიალს. შედარება არც თუ ისე მოულოდნელია და უჩვეულო, მაგრამ დამახასიათებელია.

ყაზბეგის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში მიუღია დაწყებითი განათლება ალ. გომიაშვილს. იქვე შესულა იგი კომკავშირში 1926 წელს. პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მისი პირველი კომკავშირული გატაცება დაკავშირებულია იმ საურმე გზის გაყვანასთან, რომელმაც მთის მიუვალი სოფელი ცდო დააკავშირა დიდ საქვეყნო გზასთან. ამ საურმე გზის გაყვანა სკოლის კომკავშირელების თაოსნობა ყოფილა. დაახლოებით 50 წლით ადრე, — 1880 წელს, — სოფელ ცდოს ასე ხატავდა დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი: „არწივის ბუდესავით მიჰკრობია კლდესა და მოჰფარებია იქაურ ციე ჩრდილოეთის ქარებს. ზვავები, რომელიც განუწყვეტლივ ჩამოდის იმ ადგილებში მაღალი მთებიდან და არა მცირედს ზარალს აძლევს მცხოვრებლებს, საკმაოდ აღარიბებს ხალხსა და ერთი-ორად მეტს აშრომებს, სანამ სხვა ადგილებში“.

აი, ამ ოდესღაც ქვეყნებისაგან მოწყვეტილ, მიყრუებულ მთის სოფელში კომკავშირული ახალგაზრდობის მიერ გაყვანილ გზით შედიოდა ახალი, საბჭოური ცხოვრება. რაც მთავარია, გზა გამოსავალს აძლევდა და ახალი ქვეყნის დიდ ძალებს უერთებდა მთელი

მშრომელი ხალხის საუკუნეობრივი სიდუხჭირით შებორკილ და შეხუთულ ძალებს. ამიტომაც იქცა გზის გაყვანის მოტივი პოეტის 'ძემოქმედების ერთ-ერთ ძირითად მოტივად. ქაჯეთის ციხის აღებად და მთის ტყვედქმნილი მშვენიერების გამოხსნად ესახებოდა მას მთაში გზების შეკრა. გზა განახლებისა და აღორძინებისა დიდებულ დრამას ბადებდა. შემდეგში ასე გადმოსცა ამ დრამის ერთი ნაწყვეტი პოეტმა:

ვაჰ, მაღალ მთების არწივო
რომელმა დაგკრა ისარი, —
საფლავზე გაინაწილოს
ქვა — მონასრევი კლდისანი.
სადა ხარ! (ირგელივ ნისლია
და სულიც ნისლით გევსების!)
მთებში ლაღუმებს ისვრიან
ჩაფხუტიანი მწყემსები.
ეგებ მოგკვეთეს. ფრიალოვ,
ეგებ დაჭრილ მკერდს მალაო, —
სადა ხარ, ოხერ-ტიალო,
ტიალო დარიალაო!
არხოტი როგორ გიწამებს,
როგორ გწირავენ სწორები, —
ამტვრევენ კლდეთა ფიწალებს
დამკვრელი კომპრესორები.

მთიელის მუზა მშობლიური მთების ძრწოლასა და გმინვაში ახალი ქვეყნის მშობიარობის ტკივილებსაც მიინიშნებდა და ლექსის დრამატულ რიტმში აცხადებდა.

მაგრამ საჭიროა ისევ ბიოგრაფიას მივუბრუნდეთ.

მოლექსეობით გატაცებული მოხევე ყმაწვილი, ვინც უკვე ხარბად იყო დაწაფებული მთის ხალხურ პოეზიას, მშობლიური ლიტერატურის ძვირფას საუნჯეებს, განსაკუთრებით კი ვაჟასა და ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავ ქმნილებებს, იცნობდა დიდი რუსი მწერლების ზოგიერთ ნაწარმოებსაც, სურათებით იცნობდა ამ მწერლების სახეებსაც, და აი, ერთხელ, — ეს მოხდა 1928 წელს, — იგი თავისი სკოლის მეგობართან ერთად ყაზბეგის ფოსტაში შევიდა. აქ მათი ყურადღება მიიქცია გამხდარმა, მაღალმა კაცმა, ვისაც სახის ენერგიული კუნთები, იდუმალი ფიქრებით სავსე და კეთილად გამომზირალი თვალები, ხშირი და დაბლადაშვებული ულვაშები ჰქონდა. მოხევე ყმაწვილებმა უნებლიეთ წამოიძახეს: გორკი! ის, მართლაც. გორკი აღმოჩნდა. იგი საქართველოს სამხედრო გზით ბრუნდებოდა რუსეთში. გორკიმ ხელი ჩაგვავლო და ჩვენთან ერთად სურათი გადაიღო შადრევანთან, თერგის მაღალ ნაპირასო, — იგონებს

პოეტი. — შესაძლოა, ეს სურათი მწერლის ერცელ არქივში ინახებოდა წარწერით: „გორკი ყაზბეგში მთიელ ბავშვებთან". ეს შეხვედრა თავისი ცხოვრებისა და თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე ცხოველ ეპიზოდად მიაჩნია პოეტს. ალბათ, ამ შეხვედრამ მომავალი პოეტი განამტკიცა თავის რომანტიკულ ოცნებებში.

მალე ამის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი — ალექსანდრე გომიაშვილი უკავშირდება პროლეტარულ მწერალთა წრეს და 1929 წლის დეკემბერში პირველად იბეჭდება მისი „მთის ბალადა" ჟურნალ „ქართულ მწერლობაში". ამ დღიდან ქართულ საბჭოთა პოეზიაში თანდათან მტკიცედ იკავებს თავის ადგილს საკმაოდ თავისებური ხმისა და ხედვის პოეტი — ალექსანდრე გომიაშვილი. სამი ახალგაზრდობის შესაყარზე მოხდა მისი პოეტური დაბადება: ახალგაზრდა იყო თვითონ პოეტი, ახალგაზრდა იყო ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ახალგაზრდა იყო ქართული საბჭოთა სინამდვილეც, რომლის ძლევამოსილი განვითარების მომღერალიც გახდა პოეტი. „ჩემი პირველი პოეტური შთაბეჭდილებანი დარიალის ვიწროებში დაიბადა, — წერს პოეტი თავის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ, — იქ, ძველი სახლის სარკმელში ცისკარივით იხედებოდა „ხევის პატარძალი" და პოეზიის პარნასად მეჩვენებოდა მყინვარწვერი. შემდეგ „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა" და ლექსებში გადავიდა დარიალის მთები და კლდეები: „ნანგრევთა შორის" მესახებოდა ხევის კომკავშირი, ხოლო „ქაჯეთის ციხის აღებაში" — ვაჟა-ფშაველას მთების გაზაფხული".

პოეტის ამ აღსარებაში ლექსების სათაურებიდანაც კი ჩანს, თუ რაოდენ სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მისი შემოქმედება საქართველოს მთის განახლებულ ცხოვრებასთან. ნიშნეულია ლექსებში გადასული მთები და კლდეები, განცდილნი შიგნიდან და არა გარედან დანახულნი სტუმრის თვალით. მართლაც, ალ. გომიაშვილის ლექსები, ბალადები და პოემები თითქოს ისევე დაძარღვული, დანაკვთული და დედაშობილაა, როგორც ეს მთები და კლდეები. შესაძლოა, აქ უფრო მეტია პირდაპირი პოეტური პროექცია, ვიდრე ვაჟასებური ხელახალი ძერწვა გასაოცარი. მაგრამ ვაჟას შუქი მაინც მოსდგამს პოეტის თვალს. ქართული მითოსიც მძლავრად არის შეჭრილი ალ. გომიაშვილის პოეზიაში.

პოეტი იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენს საბჭოთა ეპოქასთან ერთად. მდიდრდებოდა და ფართოვდებოდა მისი თემატიკა, ფართოვდებოდა მისი პოეტური და გონებრივი თვალსაწიერი. მაგ-

რამ, ისე როგორც ყოველი შემოქმედის ინდივიდუალობას, მის შემოქმედებითს ინდივიდუალობასაც განსაზღვრავს რაღაც ერთი მთავარი პირველადი ბიბგი, პირველადი სათავე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ის, „რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების...“

ერთგან პოეტმა თავის „ადგილის დედასა“ და „წუთისოფელს“ შუა მოათავსა თავისი ლექსების რამდენიმე რკალი და თქვა, ამ ლექსებში პოეტი ᲛᲬᲣᲔᲛᲡᲘᲪ არის და გუთნისდედაც, მუშაც და მეომარიცო.

მართლაც. ბევრი რამ არის ალ. გომიაშვილის პოეზიაში მკაცრი მწუემსური რომანტიკიდან; აქაა ყიზლარის საძოვრების ძველი დრამატული ეპოპეაც:

ის მოკლეს ისე, რომ ლექსი არ შეუწყვეტია
და ვაჟკაცური იმისი ხმა დღესაც აწვიმებს.
ჩემო ლამაზო, და წერილის მაგიერ მთიდან —
მოაში მოჰქონდათ სისხლიანი კლანჭი არწივებს.

და განახლების ახალი კაფიაც („მᲬᲣᲔᲛᲡᲔᲑᲘ მოვლენ, როგორც ძმა და ამხანაგები“); ძველ და ახალ გუთნისდედურსაც მიწის სურნელება მიუცია პოეტის ლექსებისათვის: მუშურისა — რა მოგახსენოთ, მაგრამ მეომარი პოეტი არა მარტო მუზით, არამედ მკლავითაც იყო. და ბუნებრივია, რომ სამამულო ომის უშუალო მონაწილე პოეტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მხედრულ-პატრიოტულმა თემატიკამ. თუმცა ამ თემას ადრეც ეხებოდა პოეტი, მაგრამ აქაც მთიდან მოყოლილი ჯავრი და გზნება აძლევს ძალას პოეტის სიტყვას. მთიდან კი მას მთიურ რომანტიკასთან ერთად პირველი ხილვისა და განცვიფრების პოეტური ძალის მძაფრი გრძნობაც მოჰყვა.

ამ მხრივ ლექსი „ჯიხვი“ ფრიად დამახასიათებელია პოეტისათვის.

შეღამებისას გავარდა თოფი, ტყვია მიზანს ასცდა. მაგრამ ჯიხვთა ჯოგს მაინც მოსხლტა ერთი ხარ-ლაღი. ელდანაცემი, დაფეთებული, გაკეშებული გადაევლო იგი ორწოხებს და უეცრად შედგა. ქანდაკივით გაირინდა კლდის ქიმზე: მის წინ დაბლა — ხევში ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გაიშალა. „რამ შეაბრუნა ნეტავ ზეცა?“ „ლაჟვარდი ხევში!?“ თითქოს ხარ-ლაღთან ერთად პირველი ხილვის ჟრუანტელმა დაუარა მთელ მის ირგვლივ სივრცესაც. პირველი ხილვა პირველ აღმოჩენასავით და პირველ ტრფობასავითაა. განცვიფრებულსა და მოხიბლულ ხარ-ლაღს შიში გაუქრა, შიშის ნაცვლად მის თვალებში ჩადგა პირველხილული სილამაზე შებრუნებული ზე-

ცისა. მართლაც, საოცრებაა ეს შებრუნებული ზეცა; ეს დრამატული, თუ გნებავთ, ტრაგიკული სილამაზეც არის ქვეყნიერების მოძრაობისა. ეს სილამაზე კი ახალი ქვეყნის ადამიანების — მთიელი კოლმეურნეების მიერ შექმნილი სილამაზე იყო — ხევში გამართულ ელსადგურის ნაკადით გაჩახჩახებული ელნათურები. და ჩვენთვის, ჩვენი სინამდვილისათვის ასე ჩვეულებრივი, ასე ხელმისაწვდომი მოვლენა — ხევის ელსადგური — ბუნების ლაღი შვილის წმინდა თვალებში შებრუნებულ ზეცად გადაქცეული — დროის მკაფიო ნიშანიც არის და რაღაც შორეულის, კიდევ უფრო დიადისა და დრამატულის პოეტური განჭვრეტაც. დრო კი პოეზიაში ცხოველმყოფელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ყოველგვარი ინფორმაციულობისაგან თავისუფალი სუნთქვაა ლექსისა. დროის გარეგნული ნიშნებით ლექსის დატვირთვა, როგორც წესი, პოეზიას არ ეგუება.

ალ. გომიაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, როგორც ამას სავსებით სწორად აღნიშნავს გიორგი ნატროშვილი, არის ფუძის, კერის მოტივი. ეს მოტივი პოეტმა ყველაზე ცხოვლად და ყველაზე ძლიერ თავის „ადგილის დედაში“ განასახიერა. უკვე თვით ადგილის დედის ხატებას ხალხის ცოცხალი ფანტაზიის, მისი სულის, მისი აზრის ისტორიული მოძრაობის უშორესი სათავეებისაკენ მივყავართ.

ადგილის დედა ძველი ქართული წარმართული მითოლოგიიდან უნდა მოდიოდეს; ქრისტიანულმა მითოლოგიამ, როგორც ჩანს, იგი ფუძის ანგელოზად აქცია. თანამედროვე პოეტმა კი იგი ყოველგვარის მისტიკური ბურუსისაგან გამოიხსნა და ხალხის ისტორიული ცხოვრების თავანკარა სათავედ გაიაზრა. მემკვიდრეობითობის წმინდა, უწყვეტი ძაფი ხომ სიცოცხლის უწყვეტ ნაკადივით გადადის თაობიდან თაობაში.

ლექსი შესრულებულია როგორც ლირიკული მონოლოგი ბავშვობის რომანტიკული მოგონების გამო:

> იქ, სადაც ჩემი ადგილის დედა
> მამა-პაპათა კერაზე სახლობს,
> სტეფანწმინდაში, მყინვარის ახლოს,
> მომაგონდები შენ, ჩემო სახლო.
> შენ, ჩემო სახლო, ღრუბლებზე მაღლა
> ჩემი ბავშვობის გსახავ ბაღნარად, —
> დავხუჭავ თვალებს და მესმის ახლაც
> დედის ნანა და მამის ნაღარა.

დედა, მამა, ძმები, მშობლიური გარემოს სურათები ასხივებენ სამშობლოს წყაროსთვალივით დაულეველ სიცოცხლეს.

გული კი არც წარმავლობის ადამიანური სევდისათვის არის დახურული:

> გაქრა ზმანება, დავხურე კარი,
> ძველი სახლიდან წასულა ყველა...
> მხოლოდ ჭერხოში გრიალებს ქარი
> და აკვანს არწევს, ვით საქანელას.

მაგრამ სამშობლოს დიდ სიყვარულში ნაწრთობი გული კიდევ უფრო ფართოდ არის ღია ჩაუქრობელი კერის მხურვალე გრძნობისათვის:

> დგას სიჩუმეში, მყინვარის ახლო,
> ის ძველი სახლი ახლების ბედად
> და ღადარივით კერაზე სახლობს
> ჩემი ბავშვობის ადგილის დედა.

მრავალ სხვა ემოციურ ასოციაციებთან ერთად ლექსი აღვიძებს აზრს იმის შესახებაც, რომ ყოველი ახალი დიდი ადამიანური ღირებულება, — სულიერი იქნება იგი თუ მატერიალური, — ისტორიულია, რადგან იგი მხოლოდ სიცოცხლის განუწყვეტელ დინებაში იქმნება, როგორც ყველა მისი შემადგენელი ელემენტის საუკუნეობრივი დაგროვება და დაწმენდა; მაგრამ უფუძოდ, უკეროდ არ არსებობს სიცოცხლე. ხალხის სიცოცხლის ყოველ ნაკადსაც თავისი მარადიული სათავე აქვს. დაახშეთ ეს სათავე და დაიხშობა შესატყვის ადამიანურ ღირებულებათა შექმნა. მოშალეთ ფუძე, მოშალეთ კერა და მოიშლება ხალხის ისტორიული შემოქმედება.

თავისი საუკეთესო ლექსებით ალ. გომიაშვილს საგულისხმო წვლილი შეაქვს ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

1964

მხოლოდ კარგი, მხოლოდ მაღალხარისხოვანი

შედარება უფლებამოსილია არა მარტო პოეზიაში, აზრსა და გრძნობას ის შეიძლება სხვა დარგშიაც შეეშველოს.

ზოგჯერ ამბობენ ხოლმე. ჭადრაკის თამაშის შესაძლებლობანი თუ საიდუმლოებანი პრაქტიკულად ამოუწურავიაო. მართლაც, საჭადრაკო ორთაბრძოლის უამრავ შესაძლებელ დრამატულ ხლართებზე რომ არაფერი ვთქვათ, რამდენი წარმტაცი საჭადრაკო კომპოზიციის — ეტიუდისა და ამოცანის შექმნის შესაძლებლობა იმალება ამ საოცარ თამაშში! მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომ იგი მართლაც ამოუწურავი იყოს, ბოლოს და ბოლოს, საქმე ხომ ოცდათორმეტ ფიგურასა და სამოცდაოთხ უჯრასთან გვაქვს, რაც თავის თავად, ალბათ, სადღაც ზღვარს უდებს მათ ყველა შესაძლებელ მოძრაობასა და ორთაბრძოლას. სადღაც არის ალბათ ამ ორთაბრძოლის ერთადერთი სწორი გზა—გეზიც, რომელსაც ყოველთვის ერთ და იმავე შედეგამდე შეუძლია მიგვიყვანოს. ეს კი, რასაკვირველია, ყველა საიდუმლოს ამოხსნა, ყველა შესაძლებლობის ამოწურვა იქნება. ჭადრაკზე მხოლოდ ასოციაციური შედარებისთვის ჩამოვაგდეთ სიტყვა...

აი, პოეზიის შესაძლებლობა და საიდუმლოება კი მართლაც ამოუწურავია. იგი არ არის შემოფარგლული არც ოცდათორმეტი ფიგურით და არც სამოცდაოთხი უჯრედით. მის წინ გადაშლილია უსაზღვრო ასპარეზი — მთელი ცხოვრების, მთელი სამყაროს, ადამიანის სულის მთელი შინაარსის უწყვეტი განვითარება და მოძრაობა. ამიტომაც არის უსასრულო პოეზიის შესაძლებლობანი და საიდუმლოებანი. ჭეშმარიტი პოეზია არასდროს არ მიდის და არც შეიძლება მივიდეს ერთ და იმავე შედეგამდე. იგი ყოველთვის განსაკუთრებული, განსხვავებული და განუმეორებელია. შეიძლება ითქვას, რომ როგორც მთელ კაცობრიობაში ერთი ადამიანის ხელის ანაბეჭდი არ შეიძლება ზუსტად დაემთხვეს რომელიმე სხვა ადამიანის ხელის ანაბეჭდს, ნამდვილი პოეზიის ერთი ფაქტი, როგორც პოეტის სულის ანაბეჭდი, უკეთ ვთქვათ, სამყაროს, ცხოვრების, ეპოქის ანა-

ბეჭდი პოეტის სულში, არ შეიძლება დაემთხვეს პოეზიის სხვა ფაქტებს. სულის ანაბეჭდთა დამთხვევა თუ განმეორება უკვე აღარ არის პოეზია. ამ თვალსაზრისით პოეზიის არც ერთი განსაზღვრაც არ შეიძლება იყოს საბოლოო და ამომწურავი...

...ჰოდა, რაოდენ ღრმა, რაოდენ მდიდარი უნდა იყოს სული აზრებით, ფიქრებით, გრძნობებით, ხილვებით, რომ მის პოეტურ ანაბეჭდს რაიმე არსებითი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირებულება მიენიჭოს. იქნებ რიტორიკაა ეს, მაგრამ მაინც საჭირო რამ არის... დიახ, დიახ, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების! მართალია, ძველთაძველი, მაგრამ ყოველთვის ანგარიშგასაწევი აზრია.

შესანიშნავი ტრადიცია დაწესდა ჩვენში — ყოველწლიურად აღინიშნება პოეზიის დღე — რუსთაველის დღე. ეს დღე, რასაკვირველია, ნათელი სასიხარულო დღესასწაული უნდა იყოს. ამ დღეს თითქოს უფრო მეტად გვმართებს ვილაპარაკოთ ქართული პოეზიის მიღწევებზე. მართლაც, ფრიად თვალსაჩინოა ქართული პოეზიის წარმატებანი. ამაზე ბევრი დაიწერა, ბევრი იწერება და ბევრიც დაიწერება. აქ კი მინდა ორიოდე რამ ვთქვა პოეზიის მოყვარული და გულშემატკივარი მკითხველის პოზიციიდან.

ბევრი კარგი ლექსით გვახარებენ ქართველი პოეტები.

მაგრამ ბევრი ისეთი ლექსიც იწერება და იბეჭდება, რომელთაც პოეზიასთან არაფერი აქვს საერთო. და ეს ეხება არა მარტო ჯერ კიდევ სახელმოუხვეჭავ სახელებს, არამედ საკმაოდ სახელმოხვეჭილებსაც. სხვას რომ თავი დავანებოთ, სუსტი, უღიმღამო ლექსების ნიაღვარი იმითაც არის ძლიერ ცუდი, რომ მას შეუძლია გემოვნება გაუფუჭოს მკითხველს და ნამდვილი პოეზიის შეგრძნების უნარი მოუშალოს...

მახსოვს, კარგა ხნის წინათ, ერთ ნამდვილად მირონცხებულ პოეტს შევკადრე, ამ ბოლო დროს წყალწყალა ლექსების წერას მოუხშირეთ-მეთქი. არ გაჯავრებულა, მაგრამ უმალვე გონებამახვილური სარკაზმით მომიგო: — როგორ? შენ თუ იმთავითვე მოიპოვე წყალწყალა კრიტიკული წერილებისა თუ რეცენზიების წერის უფლება, ნუთუ მე ვერ მოვიპოვე იმის უფლება, რომ ზოგჯერ საშუალო ლექსიც გამოვურიო?

რასაკვირველია, წყალწყალა არც ლექსი ვარგა, არც რომანი, არც მოთხრობა და მით უმეტეს არც კრიტიკული წერილი. მაგრამ ერთის ცოდვას მეორის ცოდვა ვერ გაამართლებს. რაც შეეხება ცუდად წერის უფლებას, — იგი არც არავინ შეიძლება მოიპოვოს და არც არავის უნდა მიეცეს.

ყოველი შემოქმედისათვის ყოველ დროში უაღრესად საჭირო იყო შინაგანი კრიტიკული თვალის ანუ თვითმსაჯულებისა თუ თვითკონტროლის უნარის განვითარება და გამახვილება. იქნება მკრეხელობად ჩამოგვართვან, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი დიდი პოეტის შემოქმედებაც კი უფრო მეტად დაწმენდილი, დახვეწილი და აუმღვრეველი იქნებოდა, რომ მათ უფრო მკაცრი თვითკონტროლი გამოეჩინათ. მაგრამ... არავითარი მაგრამ, აქ ვერ ვიტყვით: ის, რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არ ეპატიებაო. პირიქით, ამ შემთხვევაში, ის რაც ხარს ეპატიება, იუპიტერს მით უმეტეს არ ეპატიება, რადგან იუპიტერის მაგალითი გაცილებით უფრო გადამდებია.

მეტისმეტად ხომ არ ვკადნიერდები ჩემი გულშემატკივრობით? მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსი:

სამველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი;
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი:
— რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო,
გილხენს თუ გიჭირს! —
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

წამიერად მეც ვეჭვობ: რომელი ისა ვარ... მაგრამ მუხრანი იქვე განაგრძობს:

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი
არსებობს ირგვლივ. —
იხუვლებს ხოლმე.
იხუვლებს ერთხმად:
— ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

და მეც განვაგრძობ: ვინც უნდა ვიყოთ და როგორიც უნდა ვიყოთ, თვითეულ ჩვენგანს თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის წინაშე, ადამიანთა წინაშე და, მაშასადამე, პოეზიის წინაშეც, ამასთან დაკავშირებით კი კვლავ მახსენდება შოთა ნიშნიანიძის ერთი ლირიკული აღსარება:

მფარველად მყავდა სული ძლიერი,
სინდისი იყო ჩემი მრჩეველი,
ყოველთვის ვთვლიდი თავს ბედნიერად,
რადგან ვიყავი შეუმჩნეველი.
ზოგს ცხოვრებაში არ გაუმართლდა,
მე მათ გულგრილად გვერდს ვერ ავუელი,
მათთან ყოველთვის უხერხულად ვარ,
თითქოს მე მქონდეს დანაშაული.

მოჟარბებული მეტაფორული მეტყველებით გატაცებული პოეტისათვის, შესაძლოა, ეს თითქმის სრულიად უსამკაულო სტრიქონები არცთუ ისე დამახასიათებელი იყოს. მაგრამ ამ სტრიქონებში არის მნიშვნელოვანი აზრი და განცდა, რაღაც კარგ ადამიანურ სითბოს გამოსცემს თავმდაბლობისა და მოკრძალების გრძნობა პოეტისა. კიდევ უფრო საგულისხმოა უხერხულობისა და ვითომდა მოჩვენებითი დანაშაულობის გრძნობა იმათ წინაშე, ვისაც ცხოვრებაში არ გაუმართლდა. თუმცა რატომ უნდა იყოს ეს გრძნობა მოჩვენებითი? განა ყველა ადამიანური ცოდვა და ბედუკუღმართობა დედამიწის ზურგზე ადამიანთა სინდისს არ აწევს? შესაძლოა, ჩვენ ყველანი — მეც, შენც, ისიც — რამდენიმედ დამნაშავენი ვართ იმისათვის, რომ ადამიანებს ცხოვრებაში არ უმართლდებათ... დამნაშავენი ვართ, თუ ბოროტებას არ ვებრძვით, რამდენადაც ძალგვიძს. დამნაშავენი ვართ, თუ რატომღაც სიმართლეს არ ვამბობთ. დამნაშავე ვიქნებით, ვთქვათ, ძაშინაც კი, თუ ამ ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს არ ვეტყვით, რომ მას ზოგჯერ წერტილის დასმა უძნელდება, რომ პოეზიისათვის ესოდენ აუცილებელი ლაკონიზმის გრძნობა არ ყოფნის. პოეზია დიდი და სერიოზული საქმეა, დიდი ხელოვნებაა. იგი დიდ ნიჭთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. ლექსი, რომელსაც არ გააჩნია რაღაც მოულოდნელი და მნიშვნელოვანი აზრობრივ-ემოციური მუხტი, პოეზია არ არის.

ჩემი აზრით, ვცდებით, დიდად ვცდებით, როდესაც ზოგჯერ ვსაყვედურობთ პოეტებს, განსაკუთრებით სიტყვაძუნწ პოეტებს, ცოტას წერთო ამა და ამ თემაზე, ამა და ამ საკითხებზე.

პასუხისმგებლობის გრძნობით გამოწვეული სიტყვაძუნწობა მისასალმებელია...

ნუ დაივიწყებენ „სიუხვით“ გატაცებული ავტორები, რომ მკითხველს მხოლოდ რჩეული და საუკეთესონი სურს იხილოს, და თუ უღიმღამო ლექსს გულგრილად დავხვდებით, — პოეზიის დიდ სიყვარულად უნდა ჩაგვეთვალოს და არა მტრობად!..

სამახსოვრო სტრიქონები

როგორ შეიძლება, დავკარგოთ გაბნეული სტრიქონები დიდი პოეტისა, ვინაც ერთხელ თქვა და ათასჯერ დაამტკიცა:

არაფერი არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

რაც უნდა იყოს, მისი სტრიქონები მაინც გაიელვებენ გალაკტიონურად, გაიელვებენ და გაგვახარებენ.

გაბნეულ სტრიქონთაგან ქვემოთ ვაქვეყნებ რამდენიმე სამახსოვრო სტრიქონს — მცირე მოგონებით.

გალაკტიონი გულითადად მეგობრობდა მწერალ მარიამ გარიყულს, რომელიც ცხოვრობდა იმავე სახლში (მარჯანიშვილის ქ № 4), სადაც ცხოვრობდა თვითონ პოეტი, გალაკტიონს უყვარდა შეხვედრა და საუბარი მარიამთან, რამდენჯერმე მეც მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი გალაკტიონის სტუმრობას მარიამის ოჯახში. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს გალაკტიონმა სახელდახელოდ დაუწერა სამახსოვრო ლექსი მარიამის პატარა შვილიშვილს — უტანდარს, რომლის მამა ომში დაიღუპა. როგორც მინაწერიდანაც ჩანს, ეს იყო 1947 წლის 26 ნოემბრის საღამოს.

აი, ეს ლექსიც:

უტანდარს

დიდება ივერიისა
თვით რუსთაველმა პოპკონა.
სამშობლო პირველ ყოელისა,
ჩემო პატარა გოგონა!

26 ნოემბერი, 1947 წ.

იმავე გოგონასთვის უძღვნია პოეტს 1949 წელს შემდეგი ლექსი:

უტანდარს

არის. უტანდარ, ქვეყანა ერთი,
ყოველი ქვეყნის სწორი ვით ღმერთი, —
სახელად ჰქვია მას საქართველო,
უტანდარ, ექმენ მას სასახელოდ!

ერთხელ მარიამი შეუძლოდ ყოფილა. მას უთხოვნია თავისი რძლის — გულიკო (ქეთევან) მეტრეველ-რატიანისათვის და დისშვილის — მარგარიტა წეროძისათვის — დაეკრათ ფორტეპიანოზე და ემღერათ ძველებური ქართული სიმღერები. ამ დროს მოსულა გალაკტიონიც და მისი თხოვნით ახალგაზრდებს რამდენჯერმე გაუმეორებიათ ცნობილი „ახ, მეზურნევ“, ბოლოს, გალაკტიონს აი ეს ლექსი უძღვნია მათთვის:

გულიკოს (ქეთევანს) მარგარიტას

სული შეურყეველობისა —
„თქვენთვის ისევ „ცისკარია“.
ასმა განვლო წელმა, დღესაც
მესმის, თითქოს სიზმარია:
„თუ ხარ საქართველოს შვილი,
დაპკა გრძნობით დაირასა“,
ნუ გგონია რომ ეს გული
სამუდამოდ დაირაზა.

1949 წ. 18/II.

ამ ლექსის დედანი — გალაკტიონის ხელნაწერი — გადმომცა ექიმმა გულიკო მეტრეველ-რატიანისამ.

1963

მწერლის სიყვარული

(ფიქრები კ. ლორთქიფანიძის წერილების წიგნზე „სიყვარულმა მათქმევინა")

მოცულობით წიგნი დიდი არ არის — სულ შვიდ თაბახ-ნახევარია, მაგრამ თავის ფურცლებზე აღძრული საგულისხმო საკითხებით საკმაოდ ვრცელია. ეს არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის პუბლიცისტურ-ესეისტური, ლიტერატურულ-კრიტიკული და ლირიკული (ავტორი რომ კაფიებს უწოდებს) ჩანაწერების კრებული „სიყვარულმა მათქმევინა" (გამომცემლობა „ნაკადული"). სხვა მნიშვნელოვან ავკარგიანობასთან ერთად წიგნი ყურადღებას იქცევს ენერგიული, თუ შეიძლება ასე ითქვს, თავისებურად დაძაბული სულისკვეთებით.

წიგნში მიწის მძაფრი სუნი ტრიალებს, შემთხვევით როდი იხსნება იგი დამახასიათებელი სახელწოდების წერილით „დავუბრუნდეთ მიწას".

ამ სათაურს, ამ მოწოდებას, რასაკვირველია, არსებითად, შინაარსობრივად არაფერი აქვს საერთო ეგრეთ წოდებულ მიწასთან დაბრუნების რუსოისტულ თუ სხვა მსგავსი საკმაოდ ძველ მოძღვრებასთან. აქ მხოლოდ გარეგნული, შინაარსისადმი ნეიტრალური ფორმის უნებური დამთხვევაა. ნამდვილად კი აქ საქმე ეხება ჩვენი დროის ახალ ვითარებას, ახალ პრობლემას, ახალ საჭირბოროტო საკითხს.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების რომელიღაც ძარღვში, რომელიღაც ნაკადში მწერალი გრძნობს რაღაც საგანგაშოს. ამიტომაც წერს იგი: „უნდა დავუბრუნდეთ მიწას, უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ძირებს და აღვადგინოთ ის გაწყვეტილი ნიადაგური ძარღვი, ურომლისოდ ქართულ მწერლობას არსებობა არ შეუძლია".

ეს ფრიად საგულისხმო დებულებაა. შესაძლოა. — ერთობ მკაცრი ბრალდებაც, ძირებისა თუ ფესვების უგულებელყოფა არასდროს კარგის მომასწავებელი არ შეიძლება იყოს. მწერალი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ შემოქმედების თავანკარა სათავე იმ განცდებსა და წარმოსახვებშია, პირველად რომ გაუღვიძებია და აღუძ-

რავს შენს სულიერ არსებაში შენს სოფელს, შენს ქალაქს, შენს მიწა-წყალს, შენს ღვიძლ ადამიანებს. ამ კუთხიდან, ამ გარემოდან გადიხარ შენ დიდ საქვეყნო გზაზე. თითქოს ერთობ ძველთაძველი და ბევრჯერ განმეორებული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მწერალი საჭიროდ მიიჩნევს თავისებურად კვლავ და კვლავ გაიმეოროს, რომ ყოველი ჭეშმარიტი და ცხოველმყოფელი შემოქმედება იქ იწყება, სადაც იწყება შენი პირველი ხილვა ქვეყნიერებისა, შენი სამშობლო კუთხისა.

მწერალი შემოქმედების ნიადაგობრიობის თავგამოდებული ქომაგია.

უნიადაგო, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნასესხები ფორმებითა და ხერხებით, რასაკვირველია, შესაძლებელია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნა, მაგრამ გარეგნულად იგი რა ფერადოვანიც უნდა იყოს, არსებითად ყოველთვის უსურნელო და უმწიფარ ნაყოფს ემსგავსება, ვერ იქცევა დიდი ეროვნული მხატვრული საგანძურის აუცილებელ ღირებულებად, ხალხის ცხოვრების და მართალი გზის მანიშნებლად. მწერალი არ ერიდება თავისებურ უტილიტარულ დასკვნებს: „მწერლები კი ქვეყანაზე იმიტომ გაჩნდნენ, რომ კაცი თავისი სიმართლის გზაზე გაიყოლიონ". თავის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების დასასაბუთებლად მწერალს საკმაოდ შთამაგონებელი და დამაჯერებელი მოსაზრებები აქვს წამოყენებული.

დამახასიათებელია, რომ წიგნში თავის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსის საკითხს მწერალი ბუნებრივად უკავშირებს ჩვენი დღევანდელი სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის საკითხს, კერძოდ ქართული საკოლმეურნეო სოფლის განვითარებისა და სოფლად ახალგაზრდობის ფეხმოკიდებისა თუ დაფუძნების საკითხს.

არსებითად ეს პრობლემა დიდი ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ამ საკითხს მრავალი განტოტება აქვს, მათ შორის იგი გვერდს ვერ აუვლის ჩვენი სულიერ-კულტურული ცხოვრების ეროვნული თვითმყოფობის საკითხსაც. შემთხვევითი არ არის შეშფოთება, რაც იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში იმის გამო, რომ ჩვენს სოფელს სტოვებს ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი.

ჩვენი სოფლისა და ჩვენი ახალგაზრდობის ურთიერთობა საკმაოდ მწვავედ არის წამოჭრილი ჩვენს განსახილველ წიგნშიაც. წიგნის ავტორი გაკვრით ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოში სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას ისტორიულად ერთგვარი სპეციფიკური თავისებურება ახასიათებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დე-

ბულება წიგნში არ არის საკმაოდ გაშუქებული და დასაბუთებული. ამიტომ მას წიგნის ლიტერატურულ-კონცეფციურ სტრუქტურაში არსებითი ფუნქცია არც აკისრია.

ჩვენც საკითხს მხოლოდ ზოგადი კანონზომიერების თვალსაზრისით შევეხებით. სათანადო მეცნიერებაში საკმაოდ ვრცლად და ღრმად არის გაშუქებული უდიდესი ისტორიული პროცესი კაცობრიობის განვითარებაში ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, შრომის დიდი წინააღმდეგობრივი განაწილებისა. ცნობილია, რომ ეს იყო ადამიანთა და მათი სხვადასხვა წრეების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელი ობიექტური ისტორიული პროცესი, ისტორიული აუცილებლობა. ამ აუცილებლობის დაძლევა თუ წარმართვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების მთელი სოციალ-ეკონომიური და კლასობრივ-პოლიტიკური სისტემის ძირფესვიანად შეცვლასა და გარდაქმნასთან ერთად. ეს გარდაქმნა განხორციელდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად. ამიტომ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, სოფელსა და ქალაქს შორის შრომის განაწილების წინააღმდეგობრივი პროცესი თვისობრივად შეიცვალა არა ანტაგონისტურ, არა წინააღმდეგობრივ პროცესად. ახლა ჩვენს სინამდვილეში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს სოფლისა და ქალაქის, ფიზიკური და გონებრივი შრომის არა წინააღმდეგობრივი განვითარება, არამედ მათი ჰარმონიული დაახლოება და შერწყმა. ამიტომ ჩვენს პირობებში, შესაძლოა ეს ობიექტური პროცესი ადამიანთა შეგნებული ჩარევით წასამართავი პროცესიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პირობებში სხვაობა სოფელსა და ქალაქს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, არ არის მტრული თუ წინააღმდეგობრივი სხვაობა.

მაგრამ ამავე დროს არავითარ შემთხვევაში მართებული არ იქნებოდა გამოგვერიცხა გარკვეული ობიექტური კანონზომიერება ამ სხვაობიდან, ამ ურთიერთობიდან ჩვენს სოფელსა და ქალაქს შორის, არა, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების ამ პროცესშიაც, ამ ნაკადშიაც უეჭველად არსებობს გარკვეული ობიექტური კანონზომიერება, რაც ყოველთვის როდია დამოკიდებული ჩვენს კეთილ სურვილებზე, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ ობიექტური პროცესები, რომლებიც უბრალოდ კეთილ სურვილებს როდი ემორჩილებიან, არამედ ღრმა მეცნიერულ დასკვნებს ძალუძთ შეიტანონ გარკვეული კორექტივები მათს აუცილებელ მდინარებაში.

აი ამგვარი ობიექტური კანონზომიერება ზოგჯერ ავიწყდებათ

ჭარბი ემოციური და შემოქმედებითი ბუნების ადამიანებს თავიანთ მგზნებარე და გრძნობიერ გატაცებაში... ამ მწვავე საკითხებს საკმაოდ საფუძვლიანად ეხება ამ კარგი წიგნის ავტორი, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ნაწილობრივ ვერც ის აცდა ერთგვარ სუბიექტივიზმს და მხედველობიდან გაუშვა გარკვეული ისტორიული პროცესი.

აქვე ვიტყვი ზოგიერთ საჭოჭმანო პარადოქსზეც. უეჭველად საჭოჭმანოა, მაგალითად ასეთი დებულება: „ცხოვრებას კი ერთი დიდი კანონი აქვს, — მიწა იმისია, ვინც იმ მიწას ამუშავებს. ქარხანა იმისია, ვინც იმ ქარხნის დაზგასთან დგას...“

მე მესმის, რომ ყოველი ფრაზა საერთო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, მაგრამ აქ მოტანილი დებულება საერთო კონტექსტშიაც ვერ არის მთლიანად მართებული, რასაკვირველია, დღევანდელი ჩვენი პირობებისათვის, დღევანდელი საქართველოს სინამდვილისათვის ამ ერთგვარ აფორისტულ თქმას აქვს გარკვეული აზრი და საგულისხმო ქვეტექსტიც. მაგრამ დიდი ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით იგი მართებული არ არის.

ამ წიგნში მოთავსებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიდან, ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს „სიტყვა თედო რაზიკაშვილზე“. ამ წერილში ერთგან ნათქვამია: „ბუნების ფერწერა თედო რაზიკაშვილის შემოქმედებაში ძველი ქართული სიმღერების ემოციურ სიღრმეს აღწევს. ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის შემდეგ ქართულ მწერლობაში მე არ მეგულება ისეთი მხატვარი, ამდენი უხუნარი საღებავი, ასეთი მდიდარი ლექსიკა რომ ჰქონდეს ჩვენი მთიანეთის დიდი მრავალფეროვნების, მისი გასაოცარი კონტრასტების, მისი ჩრდილისა და სინათლის დაუსრულებელი თამაშის გადმოსაცემად. მისი დახატული ბუნება ჩვენ გვატყვევებს თავისი სიმართლით, დიდი სიცხადითა და ადამიანის სულიერ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობით“. მთელი წერილი-პორტრეტიც ამ ამოსავალი დებულებების დამაჯერებელი დასაბუთებაა.

კარგი გულთბილი სიტყვა არის თქმული წიგნში უდროოდ დაღუპულ შესანიშნავ ქართველ საბჭოთა მწერალზე — აკაკი ბელიაშვილზე, ვინც ერთმა პირველთაგანმა განასახიერა ქართულ საბჭოთა მწერლობაში მუშათა კლასის თემა.

საყურადღებოა წერილი, რომელიც მოკლედ, მაგრამ დიდი სიყვარულით და შემოქმედის გულმოდგინებით განიხილავს ნოდარ დუმბაძის ცნობილი ნაწარმოების „მე ვხედავ მზეს“ ზოგიერთ მხატვრულ თავისებურებას, ფერების მდიდარ პალიტრას, მწერლის დახვეწილ პლასტიკურ ხედვას. ამის საბუთად ავტორს საკმაო მაგალითები მოაქვს, ამავე დროს, ჩემი აზრით, რამდენადმე პრობლემატურია წე-

რილის ავტორის მოსაზრება დეზერტირი და ყაჩაღი დათიკოს სიუჟეტური ხაზის ფინალის შეფასებასა და გაგებაში.

მკითხველის ყურადღებას უეჭველად მიიქცევს სადად, ძალდაუტანებლად და კარგი გრძნობით დაწერილი პატარა წერილი „ნაჩუქარი წიგნების ნახმევი". ამ წერილში, მოკლედ, მაგრამ გულისხმიერად არის დახასიათებული საუცხოო შრომის „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლების" ავტორი აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე და ჟანრობრივად მრავალფეროვანი, უდავოდ ხალასი ნიჭითა და ქართული ენის დიდი მადლით დაჯილდოებული მწერალი და მოღვაწე გიორგი ნატროშვილი. ამ წერილში ჩაქსოვილია შეუმუსრავი წრფელი გრძნობა.

ამ წიგნში ზოგიერთი სხვა მოღვაწეც არის მოხსენებული კეთილად და დახასიათებული ხსარტად, მაგრამ საკმაოდ ნიშანდობლივად და წრფელად.

წიგნს მგრძნობიერად და აზრიანად ამთავრებს ერთი კარგი მოგონება — „ტიციან ტაბიძის ერთი წერილის გამო". ტიციან ტაბიძის საყურადღებო მეგობრულ წერილს წინ მიუძღვის წიგნის ავტორის თავისებური ლირიკული აღსარება. ამ წერილიდან წამოსულ სევდიან შემოღამებაში მკითხველი იგრძნობს პოეზიის სუფთა ნიავის ქროლვას.

წიგნს, რომლისთვისაც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს თავისებურად შეურქმევია — „სიყვარულმა მათქმევინა", ძალუძს საგულისხმო ფიქრები აღუძრას გულისხმიერ მკითხველს.

1974

ერთი ნაწარმოების სულისკვეთებისა და მისი გენეტიკური სათავის გამო

თუ ოდესმე იმის მტკიცებას, რომ საქართველო უპირატესად პოეზიის ქვეყანაა, რაიმე საფუძველი გააჩნდა, დღეს ეს საფუძველი უდავოდ აღარ არსებობს. ეჭვი არ არის, რომ თავისი დროის ქართული სამყაროს ესთეტიკური ათვისების თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანს“ ბადალი არ მოეპოვებოდა. შესაბამის დროთა პოეტური ანარეკლის თვალსაზრისით თითქმის იგივე ითქმის ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედებაზე. ეჭვი არ არის, რომ მათს დროში სხვა ჟანრი მხარს ვერ უსწორებდა მათ პოეზიას. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს აიხსნებოდა, უწინარეს ყოვლისა თვით მათი დროის და ამავე დროს თვით მათი ქვეყნის რაღაც განსაკუთრებული ვითარებით, განსაკუთრებული ნიშნით, უკეთ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის განვითარების გარკვეული საფეხურის შინაარსით.

ვფიქრობ, სადავო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მხატვრული შემოქმედების ყოველი ფორმა, მათ შორის ყოველი ჟანრიც, არსებითად იმ მოთხოვნებით არის განპირობებული, რომელთაც ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების შესაბამისი საფეხური წამოაყენებს ხოლმე. ამა თუ იმ შემოქმედს, შესაძლოა, კიდევაც ეგონოს, რომ თვითონ პირადად სრულიად თავისუფალია თავისი შემოქმედების გვარეობათა თუ ფორმათა არჩევანში, რომ მას პირადად დროისა და გარემოებისაგან დამოუკიდებლად მოაქვს თავისი საკუთარი, პიროვნულად განუმეორებელი მხატვრული სამყარო. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იქნება. რასაკვირველია, ყოველი დიდი და ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედება ინდივიდუალურად განუმეორებელი და განსხვავებულია. მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის შემთხვევითი მოვლენა. მას უამრავი ფესვი აქვს გამდგარი ქვეყნისა თუ ქვეყნიერების ნიადაგში... ამიტომაც გულდაგული შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ ყოველი ცალკეული შემოქმედის „საკუთრებას“ ყოველთვის ჰყავს არა მარტო ისეთი უცილობელი მოზიარე, როგორიცაა დრო, ეპოქა, არამედ სისხლხორცეული სუ-

ლიერი ნათესაველიც. გინდა არ გინდა, არა მარტო დროის სულის-კვეთებაა დაყინებული მოკარნახე სულიერი განწყობილებისა (ზოგ-ჯერ აშკარა და პირდაპირი, ზოგჯერ . ჩუმი და შემპარავი), არამედ უფრო შორეული და მალული ფსიქიკური, უკეთ ვთქვათ, სულიერი გენებიც.

სანამ ერთ გენეტიკურ სათავეს შევეხებოდე, მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენი დროის ქართული ლიტერატურის განვითარებაში მრავა-ლი საგულისხმო სიახლე შეიმჩნევა. მაგრამ, ვფიქრობ, შევცდებო-დით, თუ ამ სიახლეებს მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით ავხსნი-დით და მხოლოდ ცალკეულ შემოქმედებს ან მხოლოდ რომელიმე ერთ თაობას მივაწერდით მათ.

რასაკვირველია, ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი, როგორც ზე-მოთ ვთქვით, თავისი განუმეორებელი პიროვნული კუთხიდან აღიქ-ვამს და გამოხატავს გარემოს, მოვლენებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ გაშორიცხავს იმას, რომ ყოველ სიახლეს მხატვრული შემოქმედების სფეროში, ისე როგორც საზოგადოების მთელი სულიერი ცხოვრე-ბის სფეროში, საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავენ და განაპირო-ბებენ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ძირითადი ტენდენციები, თვით ეპოქის სიღრმისეული მოვლენები.

ყოველ შემოქმედებითს პროცესსა თუ მოვლენას, რა განუმეო-რებელიც და განსხვავებულიც უნდა იყოს ის, ალბათ, ყოველთვის შეესაბამება დროისა და ქვეყნის გარკვეული სულიერი ატმოსფე-რო, ხალხის, საზოგადოების, ერის სულიერი ატმოსფერო, ხალხის საზოგადოების, ერის სულიერი ცხოვრების გარკვეული თუ განსაზ-ღვრული ვითარება. საბოლოო ანგარიშში ყოველი ეპოქა თავის განსაზღვრულ სულიერ-ესთეტიკურ, უკეთ ვთქვათ, თავის განსაზ-ღვრულ მხატვრულ ამოცანებს სახავს. და, მე მგონია, თვით უდიდე-სი და განუმეორებელი გენიოსიც კი ვერ გადაახტება თავისი ეპო-ქის შესაძლებელ საზღვრებს, ვერ გადასწყვეტს ისეთ მხატვრულ ამოცანას, რაც მის დროსა და მის ქვეყანას არც კი დასიზმრებია. თავისი დროის გასწრება დიდ შემოქმედს მხოლოდ იმდენად შეუძ-ლია, რამდენადაც შესძლებს თვით ამ დროში ჩასახულ მომავლის მიკვლევას.

ვფიქრობ, ქართული ლიტერატურის ყოველი გულწრფელი მოყვარულისათვის არ შეიძლება, სასიამოვნო არ იყოს ის ფაქტი, რომ ქართველი მწერლის — ნოდარ დუმბაძის სახელი შორს გავარ-და და გახმაურდა. თუმცა უნდა ვთქვა, რომ გახმაურება, რასაკვირ-ველია, ლიტერატურული ნაწარმოების ორგანულ, შინაგან თვისე-ბად არ ჩაითვლება და, მაშასადამე, ყოველთვის როდი გამოდგება

მისი ღირსებისა თუ ხარისხის ნიშნად. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, გახმაურება შეესატყვისება თვით ლიტერატურული მოვლენის ხარისხსა თუ ღირსებას.

ცნობილია, რომ ნოდარ დუმბაძემ — ქართული მწერლობის ომისშემდგომი თაობის ერთ-ერთმა ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენელმა — მწერლობა პოეზიით დაიწყო. და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქოს ირონიულადაც კი იხსენებს თავის პოეტურ წარსულს, იგი ურიგო ლექსებს როდი წერდა... მაგრამ, როგორც ჩანს, ის ცხოვრებისეული მასალა, ის სულიერი გამოცდილება, რაც მწერალს სათქმელად დაუგროვდა, მოითხოვდა სხვა ჟანრს, სხვა ფორმას. თუმცა ნოდარ დუმბაძის პროზა ახლოსაა პოეზიასთან, უკეთ ვთქვათ, იგი არსებითად პოეტური პროზაა. ამ პროზის ზოგიერთი ნაკვთი თითქოს მართლაც თეთრი ლექსია, სავსე რაღაც განსაკუთრებული ლირიზმითა და პოეტური მღელვარებით. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი თავისებურად აგრძელებს ქართული რეალისტური პროზის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტურ-ლირიკული ნაკადის კარგ გამოცდილებას. მე ასეც მეჩვენება, რომ სადღაც მის ნახელავში იგრძნობა რაღაც შორეულად ნათესავური ჭოლა ლომთათიძის მოთხრობების ლირიკულ-ინტიმურ ინტონაციასთან. ნოდარ დუმბაძისათვის უფრო დამახასიათებელია სახე-განცდა ანუ მღელვარე ლირიკული დამოკიდებულება, ვიდრე სახე-ჭვრეტა, ანუ გულმშვიდი ეპიური დამოკიდებულება ქვეყნისადმი. რასაკვირველია, ამ უაღრესად პირობითს ცნებებში. მხოლოდ აქცენტებს, მხოლოდ ნიუანსებს ვგულისხმობ და პირადად მე არავითარ გარდუვალ ზღვარს არ ვავლებ ხელოვნების ემოციურ და ინტელექტუალურ მხარეებს შორის.

გარკვეული სოციალურ-ისტორიული კანონზომიერებანი, რასაკვირველია, მხატვრული ლიტერატურის განვითარებაშიაც მოქმედებენ. ამ კანონზომიერებათა ძალით განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ქვეყნის მდგომარეობის შესაბამისად, ხმარებიდან გამოდიან ან უკმარისი ხდებიან სამყაროს მხატვრული ათვისების ესა თუ ის ფორმები, ხერხები და საშუალებები (ზოგადი კანონზომიერება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს „შემთხვევითსაც“ ანუ პიროვნულსა და განუმეორებელს). ლირიკულ-პოეტური პროზა კი ჯერ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მიეკუთვნოს უკვე ყავლგასულ ფორმებს. პოეტური პროზა, ისე როგორც მელოდიურ-ლირიკული ლექსი, ჯერ კიდევ რჩება (და ალბათ დიდხანსაც დარჩება) თანამედროვეობის მხატვრული ათვისების საკმაოდ მარჯვე და ტევად ფორმად. ამის თვალსაჩინო და დამაჯერებელ მაგალითად შეიძ-

ლება, მივიჩნიოთ ნოდარ დუმბაძის შემოქმედება. ამ მწერალმა ქართულ ლიტერატურაში უეჭველად მოიტანა რაღაც განუმეორებლად თავისებური, მოიტანა გულიან სიცილში გადამავალი კეთილი ღიმილი, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის თავისებური განცდაც და, თუ გნებავთ, დიდი ტკივილის განსხვავებული გრძნობაც. მწერალმა კეთილი და უშხამო ჰუმორით წამოიწყო ჩვენი საუკუნის შუახანის ახალგაზრდა ქართველი კაცის, ისტორია. ეს ახალგაზრდა კაცი — თავისი დროის საკმაოდ მგრძნობიარე ნერვად ქცეული — მწერლის ერთი ნაწარმოებიდან გადადის მეორეში, მესამეში და ასე შემდეგ. ამ ყმაწვილის ბავშვობის წლები თითქმის ყოველთვის დასუსხულია რაღაც მწარე ხვედრით, მწარე თავგადასავლით. თუ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში" იგი ღვთისპირიდან გადავარდნილი ზურიკელა ვაშალომიძეა, „მე ვხედავ მზეში" ენაკვიმატი სოსოია მამალაძეა, „მზიან ღამეში" — თეძურ-ბარამიძე, „ნუ გეშინია, დედაში" — ავთო ჯაყელი და ა. შ. — ეს ახალგაზრდები, როგორც ხასიათები, როგორც სოციალური ტიპები, არსებითად თითქმის ერთმანეთის ორეულებია თუ ერთმანეთის გაგრძელებაა.

მოდი, მივიხედოთ მათი ცხოვრების სათავეებისაკენ, გავყვეთ მათ მათს გარემოში, შევიხედოთ თუნდაც დღევანდელი გურიის ზოგიერთ ნაცნობ სოფელში. შეიძლება, ჩვენ იქ გადავეყაროთ ნამდვილ ილიკოს, ილარიონს, ბებია ოლღას, მამიდა ქეთოს, მერის, ხატიას (შესაძლოა, ის ყოველთვის ბრმა არ იყოს), ბაბილოს, ბეჟანას და ნაყაჩაღარ-ნადეზერტირალ დათიკოსაც კი. მართალია, ჩვენ მათ, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟებს, უმთავრესად ომისა და ომისშემდგომდროინდელი ფსიქოლოგიური რეფლექსებით, განწყობილებებით და საქციელებით ვიცნობთ. მაგრამ გასაკვირი არაფერი იქნება თუ მათი სულიერი თვისებების, ბუნებისა და ხასიათის ადამიანებს დღესაც შევხვდებით. კიდევ მეტი: ასი წლითაც რომ შეგვეძლოს უკან დახევა, შესაძლოა, ილიკოებსა და ილარიონებს, ბაბილოებსა და მისთანებს იმ დროშიაც ვიპოვიდით. ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ ასე მგონია, რომ მე ისინი მინახავს წინათ, დიდი ხნის წინათ, მათი ლიტერატურული ცხოვრების დაწყებამდე. ალბათ, ასე ძალუძთ მომავლისაკენ ან წარსულისაკენ გაჭრა რეალისტურ მხატვრულ სახეებს, მით უმეტეს, მართალ ეროვნულ ხასიათებს.

ჰოდა, დღევანდელ გურიაშიც ბევრი რამ გაგახსენებთ ზურიკელასა თუ სოსოიას მიერ დანახულსა და განცდილს. ბევრ ენამოსწრებულ თუ ენაკვიმატ კაცსა და ქალს შეხვდებით თქვენ აქ; იფიქრებთ, სწორედ აქ შეუსისხლხორცებიათ ამ ყმაწვილებს ბევრი რამე, მათ შორის თავისთავისაც და სხვათა და სხვათა გაკიცხვისა თუ

გასასაცილოების ხერხები... აქ შეხვდებით ბევრი რთული და ჩახლართული ბუნების პიროვნებებს, მაკვარანცხებს თუ მაკვარანცხი ხასიათის ადამიანებს რომ ეძახიან. სახელდახელოდ მაგონდება ერთი მათგანი, ჭარმაგი კოლმეურნე. მას არასგზით არ უნდოდა კოლმეურნეობის საწყობიდან მიეღო კუთვნილი სიმინდი — 400 გრამი შრომადღეზე. თურმე ნუ იტყვით, კოლმეურნეობის დიდი წარმატება რომ აღენიშნა, რაიონულ გაზეთს დაებეჭდა, ამ კოლმეურნეობამ თვითეულ შრომადღეზე ორ-ორი კილოგრამი სიმინდი დაარიგაო. აღნიშნული კოლმეურნეც სრულიად დინჯად და გაუცინებლად დასცინოდა ტრაბახა აგიტატორებს და დაჟინებით გაიძახოდა, მე მინდა, ჩემი კუთვნილი სიმინდი რაიონული გაზეთის რედაქციამ მომირწყოსო... ასეთ მაკვარანცხებს საკმაოდ შეხვდებით სუფსის, გუბაზოულისა თუ ბახვისწყლის ნაპირებზე, მართლაც, მთელი დედამიწის ზურგზე ამ ერთობ განსხვავებული, გიჟმაჟი და წყალანკარა მდინარეების პირას, როგორც ჩვენი მწერალი იტყოდა ხოლმე. მარტო ის რად ღირს, რომ გუბაზოულს ნაფიცარაში (ასე ქვია ერთ მთიან ადგილმდებარეობას ზემო გურიაში) უერთდება კიდევ უფრო მშვენიერი კალაშა — ჩქერებისა და კამკამა ფირუზისფერი მორევების ერთი გაბმული, თავბრუდამხვევი სიმფონია — ბუტბუტი, ჩქრიალი თუ სიმღერა, სიცოცხლის გასათავამდე სულში რომ გებუდებათ. აქ, ახლომახლო სოფლებში ილიკოსა და ილარიონის ტოლებისაგან, ან უფრო ხნიერებისაგან, ან უფრო ახალგაზრდებისაგან, ან მათი შთამომავლებისაგან ათასნაირ უცნაურ ამბებს გაიგონებთ.

ამას წინათ ერთმა აქაურმა ხანდაზმულმა კაცმა, ჭროღა თვალებში ეშმაკური ღიმილი რომ უთამაშებდა, ეკვმიუტანელ მართალ ამბად მოგვიყვა:

„ჩვენი კალაშა პირდაპირ საზღაპრო მდინარეა. რამდენი დაუვიწყარი წუთი, რამდენი მღელვარება განგვიცდია მის ნაპირებზე თუ მის ჩქერებში. გიამბობთ ჩემს ერთ თავგადასავალს, რაც შემემთხვა ამ მდინარეზე. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, როცა ერთ ზაფხულის დღეს რამდენიმე ჩემ ტოლ ბიჭთან ერთად სათევზაოდ წავედი კალაშაზე. არც სასროლი ბადე გვქონდა და არც ანკესები, ხელით უნდა გვეთევზავა. შევუდექით საქმეს, ლოდებს ქვეშ ხელს ვყოფთ და ვეძებთ იქ თავშეფარებულ თევზებს. აგერ ვხედავ მდინარის შუაგულში უშველებელი წითელი ლოდი ძევს და ზედ ძლიერი ჩქერი გადაქუხს. ლოდის ძირში წყალი თითქოს დუღს, მერე ინარება. მე იმ ნარ წყალში შევტოპე, მინდა, ლოდქვეშა ღრუში ხელი შევყო და მოვსინჯო, კალმახი ხომ არ არის შიგ გაწოლილი. მაგრამ, ლოდის ახლოს ჩქერში დიდ სლიპ ხის მორს გავეკარი. მორი

ორი მეტრი მაინც იქნებოდა, იგი თითქოს გაქანდა და წინ გაიწია, მერე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. მეუცნაურა. წყალში თვალგახელილმა ჩავყვინთე. ვხედავ, დიდი სლიპი მორი ფართო წითელყვითელი ფორეჯებით არის მოხატული. წყლიდან ზემოთ ამოვცურდი, სული მოვითქვი და ისევ ჩავყვინთე. ფორეჯებიან მორს ხელი მაგრად მოვუსვი, იგი ისევ წინ გაიწია. მივხვდი, რომ ეს ორმეტრიანი კალმახი იყო (ჩვენში ამბობენ: კალმახი ძალიან რომ გაიზრდება, ორაგულად გადაიქცევაო). თავი ამოვყავი, სული მოვითქვი და ბიჭებს გავძახე, — მიშველეთ, ათფუთიანი კალმახი არის გაწოლილი აგერ წითელ ქვასთან-მეთქი. სიცილი დამაყარეს, იქნებ ღორჯოა მაგი შენი კალმახიო. რაღა მექნა; მე ისევ დავყვინთე, ჩემს უზარმაზარ თევზს ლაყუჩების რკალები მოვუძებნე, თითებით გავუხსენი, ხელები ლაყუჩებში ჩავავლე, ზურგზე გადავაჯექი და თავი წყლიდან მაღლა ამოვწიე. ამ დროს კალმახი გაქანდა. გაქანდა საარაკოდ, თვალის დახამხამებაში ერთ ალაჯზე გამიტაცა ზევით, ჩქერებსა და ლოდებში. ერთხელ კიდევ ვუკიელე ბიჭებს, მაგრამ რაღას გავაგონებდი. ბედაურის ფაფარში ხელჩაქლეტულ მოჯირითესავით მიმაქროლებდა უზარმაზარი კალმახი სულ ზევით და ზევით, მადგაფუნებდა ჩქერებში, მაყურყუმალავებდა მორევებში. მუხლები და წვივები სულ დამეჯეჯგა ლოდებზე და სიპებზე მიხეთქებით. თავი სულ ამოღერებული მქონდა, ხელები კი უფრო ღრმად და ღრმად შემქონდა თევზის ლაყუჩებში, ვმაგრობდი, მაგრამ ახლა უფრო შიშით, ვიდრე ვაჟკაცობით. გავცდით თხემლარას, წიფნარას, წყავნარას და მივადექით საოცარ უხტომს. დედამიწის ზურგზე ორი თვალი უკეთეს და უმშვენიერეს ვერაფერს ნახავს. ერთი პირობა კიდევაც გადამავიწყდა, რომ კალმახის ზურგზე ვარ გადამჯდარი და სადღაც მივქრივარ. ვხედავ, ოცი-ოცდახუთი მეტრის სიმაღლის პიტალო კლდეზე ქაჯის ქალის თმასავით გადმოკიდული კამკამა მდინარე და გუგუნით ეცემა კლდის ძირას. ირგვლივ კი ერთი ქცევის სიფართოეზე თეთრი შხეფების ბურუსი დგას. შხეფებში ბევრი წვრილი თუ მსხვილი თევზი ხტება მაღლა, ალბათ უნდათ გადმოკიდულ წყალს აყვნენ ზევით. მაგრამ ნურას უკაცრავად... ჩემმა კალმახმა კი არც აცოცა, არც აცხელა და მედგრად ამაცურა გადმოკიდებულ ჩქერში. კლდის ასათავში თითქოს ცოტა გაუქირდა, სრბოლა შეანელა (ვიფიქრე, გათავდა ჩემი და ჩემი კალმახის დღე და მოსწრება-მეთქი), მაგრამ მაინც აიტანა წელი და ერთ მომცრო მორევში შემაცურა... ასე ამაჭენა წყალ-წყალ ჩემმა კალმახმა ოცდახუთ-ოცდაათი კილომეტრის მანძილზე. უცებ გული ამიჩუყდა და გუნებაში ვთქვი: — განა შეიძლება აწვალო და მოკლა საოცარი სულიერი,

ვინაც ასეთი ძნელი, ხიფათიანი, მაგრამ შესანიშნავი გზა გამოგატარა, ასეთი მომხიბვლელი სილამაზე გიჩვენა-მეთქი? თევზის ლაყუჩებიდან ხელები გამოვიღე, იგი უმალვე გავარდა და ზურგიდან გადმომაცურა.

— მშვიდობის გზა გქონია-მეთქი! — მოვაძახე.

— შენც ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, — მომაძახა თითქოს...

მივიხედ-მოვიხედე. გამახსენდა, რომ უხტომის მიდამოებში ჩვენებური მეჯოგეები იყვნენ. მათ საძებრად გავსწიე დედაშობილამ. მაგრამ ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. აგერ, ვხედავ ჩემსკენ მოაბოტებს უზარმაზარი დათვი. შიში მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. გავიქეცი უგზოუკვლოდ ლიწინ-ლიწინით. კარგა ხნის შემდეგ გულამოვარდნილმა უკან მოვიხედე, მაგრამ ვაი ჩემს დღეს, ვხედავ დათვი მეწევა. მოვიკრიბე ძალ-ღონე და შურდულივით გავქანდი. მაგრამ, კიდევ ვაი ჩემს დღესა და მოსწრებას, ამას რას ხედავს ჩემი თვალები: წინ ჩაუფსკრულებული ხრამია, ასი მეტრი მაინც იქნება მეორე ნაპირამდე. უფსკრულში ჩავილეწო სჯობს, ვიდრე დათვმა დამგლიჯოს-მეთქი, — გავიფიქრე და გადავხტი; ვატყობ, სადღაც ჯურღმულში ვვარდები, მაგრამ უცებ ძალა მოვიკრიბე, ჰაერში ავიწიე და წინ გადავხტი, მაინც უფსკრულში ვვარდები, კიდევ ავიწიე ჰაერში და კიდევ გადავხტი, ახლა ვატყობ შუა უფსკრულში ვვარდები, კიდევ ავიწიე მაღლა და კიდევ გადავხტი, ჰაერში ასე ხტუნვა-ხტუნვით, როგორც იქნა, გადავხტი ხრამ-უფსკრულის მეორე ნაპირზე; უკან, გაღმისაკენ გავიხედე და დავინახე პირშიჩალაგამოვლებული დათვი ხრამის პირას უკანა ფეხებზე შემდგარიყო და წინა თათებით თითქოს ტაშს მიკრავდა.

— აგაშენა ღმერთმა, — გავძახე, — სადაც შენი თქვა, ჩემი ნუ დაგავიწყდება-მეთქი.

მგონი გამომძახა: — კარგიო.

მერე ბევრი ვიხეტიალე ტყე-ღრეში და ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე მეჯოგეების კარვებამდე. პირველად ტყის კაცი ვეგონე ჩვენებურ მწყემსებს და ტყვია კინაღამ მკრეს. მაგრამ მალე მიცნეს. ტანზე რაღაც ძველმანები ჩამაცვეს... მესამე დღეს კი ერთი კოთხო კარაქი და ათი ცალი ჭყინტი სულგუნი მაჩუქეს და შინ დამაბრუნეს".

ამ ამბის მომყოლი ხანდაზმული გურული საკმაოდ ნაკითხი კაცი იყო. მან ანა კალანდაძის ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად; რამდენიმე ლექსი კიდევაც წარმოთქვა თავისებურად, განსაკუთრებული გრძნობით წაიკითხა „შორია თამარ" და „ომარ ხაიამ"... პოეტი ქალის დიდი ქება თქვა, მოიგონა მისი ბებია ანა, ბაბუა ანანია,

მამა პავლე, დედა მანია, მამიდები ნარო, ფოცია, ვარო, ბიძები — შოთა, ნესტორი... მერე ნოდარ დუმბაძის მშობლებიც გაიხსენა; მისი პერსონაჟები და მათი პროტოტიპებიც დაასახელა... ზურიკელა ვაშალომიძეზე და სოსოია მამალაძეზე თქვა: „კარგი ბიჭებია, ბევრ სასაცილო რამეებს გვიყვებიან, ბევრს გვაცინებენ, თუმცა სამწუხაროც საკმაოდ არის მათს მონათხრობში... ისინი უეჭველად კარგად იცნობენ ამ ჩვენს მხარეს, ჩვენებურ კაცსა და ქალს, მართალიც დაეჯერებათ და ზოგჯერ ტყუილიც კი... მაგრამ სოსოია რომ ამბობს, წვერამ, ტობმა და ქაშაპმა დაბოლათება იცისო, მგონი, მთლად მართალი არ არის. წვერამ კი იცის დაბოლათება, მაგრამ ტობისა და ქაშაპის ბოლათი მე არ მინახავს და, მგონი, არც არავის უნახავს. არც იმაშია მართალი სოსოია რომ ამბობს, დედალი ჩხართვი გალობდაო. ჩემი დაკვირვებით, დედალი არც ჩხართვი, არც შაშვი და არც თვით იადონიც კი არ გალობს. გალობენ მხოლოდ მამლები — წითელნისკარტა შაშვი, დედალთან შედარებით უფრო ჟანგისფერი წინწკლებით გულმოხატული ჩხართვი, უფრო მუქ-ნაცარა იადონი...“

ბრემიც რომ სხვას ამტკიცებდეს, ეს გურული ბერიკაცი ალბათ იმასაც გაეკამათებოდა. მაგრამ განა საოცარი არ არის, რომ კაცი, ვინც კალმახზე გადამჯდარმა ოცდახუთმეტრიანი დაკიდული ჩქერი აიჯირითა ან ასი მეტრი მანძილი პაერში ხტუნვა-ხტუნვით განვლო, ასეთ ჩაკირკიტებულ სიზუსტეს მოითხოვდეს? თუმცა მისთვის რომ გეკითხათ, ალბათ გეტყოდათ, ერთია სურათის გაძლიერება, გამძაფრება, გაუცხოება და სხვა არის ამკარა უზუსტობა, ამკარა უსწორობა...

განვაგრძოთ წილადობილა გენების ძიებისა. თუმცა გურია აფხაზეთივით არ არის განთქმული სიცოცხლის ხანგრძლივობით. მაგრამ გურიის ბევრ სოფელშიც — სადმე სუფსის, გუბაზოულის, ბახვისწყლის, ბეუეის ან გურიის რომელიმე სხვა პატარა მდინარის პირას შეხვდებით თითო-ოროლა ას წელს მიღწეულ, ზოგჯერ ას წელს გადაცილებულ მოხუცებსაც კი, ჯერ კიდევ საკმაოდ მაჯაგებსა და ჭკუა-გონებიანებს, სასიამოვნო მოსაუბრეებსა და მოამბეებს. ერთი მათგანი, თითქმის უკვე ას წელს მიღწეული, მაგრამ გასაოცრად ფხიზელი გონებისა და ენაწყლიანი კაცი ამას წინათ გავიცანი. დავმეგობრდით. მან მიამბო თავისი თავგადასავალი: „წისქვილის ქვა არ მობრუნებულა ჩემს თავზე, სხვაფრივ კი ყველა ქარცეცხლი და ჯოჯოხეთი გამივლია. შვიდი ძმა ვიყავით: ყველა ახალთაობას ვეკუთვნოდით. დედაჩემი ივლიტაც არამცთუ ჩვენი მიმდევარი, არამედ თითქმის მოთავეც კი იყო... ჯერ იყო და ნიკოლოზეს ჩამოგ-

დებას შევალიეთ ძალ-ღონე... ერთხელ ჩემმა უფროსმა ძმებმა — მჭედლებმა — გიგომ და აბესალომმა — წითელ პარასკევს სამჭედ-ლოში, გზის პირას ხუფრა გაშალეს და ქვეყნის დასანახად შეეჭამეს შემწვარი გოჭი... მაშინ ეს პირდაპირ დიდი ბუნტი იყო... სამსონა მღვდელმა მაშინ თურმე კიდევაც გადასცა ხატზე მთელი ჩვენი ოჯახი, ანტექრისტები და ურჯულოები გვიწოდა... ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ „სტრაჟნიკებთან" ერთი შეტაკების დროს ხელფეხიან მუხასთან მოგვიკლეს ერთი ძმა — კლდესავით ვაჟკა-ცი — აბესალომი. მისი დასაფლავებაც აჯანყებას ჰგავდა... მალე სამმა ძმამ — გიგომ, ვარდენმა და მე, — ნასაკირალის ჩასაფრებაში-აც მივიღეთ მონაწილეობა. მაშინ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი. საჩუმათო გზით საჭმელ-სასმელი მიმქონდა წითელ რაზმე-ლებისათვის... ბოლოს მაინც დამარცხდა ჩვენი რევოლუცია. ეგზე-კუციით ჩამოგვიყენეს ინგუშები. ოჯახი აგვიწიოკეს. ძმები ნაქალა-ქევის ტყეებში ვიმალებოდით... ორი ძმა მაინც დაიჭირეს და გა-აციმბირეს. მე შემთხვევით გადავრჩი. არალეგალური ორგანიზაცი-ის განკარგულებაში ვიყავი, როგორც ტერორისტი. მხოლოდ ერთი კაცის მოკვლის ცოდვა მადევს, ისიც საზიაროდ. მასწავლებელი იყო, არალეგალური ორგანიზაციის ერთობ მონდომებული და საქ-მიანი წევრი. თურმე მსხვილი ჯაშუში იყო. ბევრი კარგი ვაჟკაცი ჩაუგდო ხელში პოლიციას. მათ შორის ჩემი ძმებიც. ძალიან ფრთხი-ლად მოქმედებდა, მთელი დასავლეთ საქართველოს არალეგალური ორგანიზაციის გაცემას აპირებდა. იჭვმიუტანელად რომ დავრწმუნ-დით მის ჯაშუშობაში, გადაწყდა მისი მოკვლა. სამ კაცს დაგვავა-ლეს ამ საქმის შესრულება. ფრიად საიდუმლო პირებთან შეხვედ-რის საბაბით გავიტყუეთ სატურიას ტყეში. თოფისა თუ რევოლვე-რის გასროლა არ შეიძლებოდა. ყველა სოფელში ეგზეკუცია იდგა — ინგუშები და კაზაკები. ტყის სიღრმეში რომ შევიყვანეთ, დაეჭვდა და უკან გამოქცევა დააპირა. სამთავე ვეცით, მაგრად გაიბრძოლა, კინაღამ გაგვექცა... ერთი დაბღავლება კიდევაც მოასწრო... მაგრამ თოკი მაგრამ წავუჭირეთ ყელში... რაღა ბევრი გავაგრძელო, და-ვახრჩვეთ... კარგა ხანს ვთხრიდით სამარეს მალულად მოტანილი ბარებით... შემზარავი ღამე იყო, ღრუბლიანი, ჯანღიანი, უმთვარო... მოხდა საშინელება. სამარესთან რომ მივათრიეთ, ერთი საზარლად ამოიხროტინა და მკლავები აქეთ-იქით გადაყარა... სამთავე კინაღამ შევიშალეთ... ჰეჰ, რა საჭიროა ასეთი საშინელების გახსენება... ჩე-მი ორი ძმა უკვე ახლად დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში იყო წაყვანილი. მე კი ორ ფირალთან ერთად ხან ერთ სოფელს ვაფა-რებდი თავს და ხან — მეორეს, ხან კი — ტყე-ღრეს... ერთ ადგი-

ლას ჩვენ ჩაფრების დიდი რაზმი დაგვესხა თავს. ალბათ ვიღაცამ გაგვცა. ატყდა ძლიერი სროლა. სულ დაცხრილეს ერთი სამზადი ფაცხა, რომელშიაც შემწყვდეული ვეგონეთ. ჩვენ კი შორიახლო ბუჩქებში ვიყავით გაწოლილი. თოფი არ გაგვისროლია, საჩუმათო ბილიკით ვაპირებდით გაქცევას... თითქოს კიდევაც ვიყავით გასული სამშვიდობოზე, როცა ბრმა ტყვია დამეწია და თეძოს ძვალი დამიმსხვრია. ამბანაგებმა მაინც გამიტანეს სამშვიდობო ადგილას. ექვს თვეს ვიწექი ჩვენებური სააქციზო ბოქაულის სახლის სხვენზე. ბოქაული ვერ გაგვცემდა, რადგან ახალთაობის შურისგების ეშინოდა. პოლიცია კი მასზე იჭვს არ მიიტანდა. თვეში ორ-სამჯერ ღამღამობით ჩემთან სამკურნალოდ მოდიოდა ჩვენი სოფლის ფერშალი — ახალთაობის კაცი. შესანიშნავი ვაჟკაცი იყო. მოარშიყე ქალები ჰკიცას ჰკარგავდნენ მის გამო. სხვენზე ჩემი მკურნალობა ძლიერ გაძნელდა. ჭრილობა საშიში ხდებოდა. გადაწყდა, სალდათის ტანისამოსი ჩაეცვათ, სადმე ომის ახლობელ ფრონტზე გავეყვანეთ, რომ იქიდან ვითომ როგორც დაჭრილი სალდათი თბილისის ერთ-ერთ ლაზარეთში მოვეთავსებინეთ. მართლაც წამიყვანეს ჩუმად ოსმალეთის ფრონტზე და იქიდან როგორც დაჭრილი სალდათი მომიყვანეს თბილისში. მაშინ გოგირდის აბანოების ახლოს, მტკვრისპირას, ყოფილ ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის შენობაში სამხედრო ლაზარეთი იყო. მე იქ მომათავსეს და ჩემი თავი ჩააბარეს არალეგალური ორგანიზაციის წევრს, მოწყალების დას — ნატალიას. ეს ნატალია შემდეგ ჩემი მეუღლე გახდა; იქ შევიყვარეთ ერთმანეთი... ბევრი გასაჭირი ვნახეთ, მაგრამ გავიხარეთ მეფის ტახტის დამხობით. სოფელში ახალგაზრდებს წითელი ქსოვილის ნაჭერზე თეთრი ასოებით წაეწერათ — „მრავალტანჯულსა ივლიტეს ეღირსა თავისუფლება!“ და ჩემს მოხუც დედისათვის მიეკრათ ზურგზე. ცოტახანს მართლაც ბედნიერი იყო დედაჩემი. გადასახლებიდანაც და ომიდანაც დაუბრუნდნენ შვილები. მეც თუმცა დაკოჭლებული, მაგრამ ჯანმრთელი დავბრუნდი ჩემი ნატალიათი. უმცროსი ძმაც კარგად დაგეხვდა, უკვე საშუალოს ამთავრებდა. მაგრამ მალე დაიწყო დიდი განხეთქილება და დავიდარაბა ჩვენს ოჯახშიაც კი: ორი ძმა ბოლშევიკი, სამი ძმა მენშევიკი და ერთიც ფედერალისტი იყო... რაღა ბევრი გავაგრძელო, დრომ თუ ქვეყნიერებამ ისე მოიქნია კუდი კი არა — ლახვარი, რომ დედაჩემი მაინც მრავალტანჯულად ჩავიდა საფლავში. ძმათაგან მხოლოდ მე შემოვრჩი ქვეყანას. მოღლილი ცოტათი განზე გავდექი და ჟამთასვლას თითქოს მხედველობიდან გამოვრჩი. კარგი შვილები დამეზარდნენ — ორი ვაჟი, ერთი ქალი. სამივეს უმაღლესი განათლება ჰქონდათ მი-

ღებული; შვილიშვილებიც კარგები გამიჩნდნენ... მერე კი დრომ დაგვრია ხელი. ჩემი ორი უმცროსი ძმა და ჩემი უფროსი ვაჟი მწარე დღეებმა თუ თვეებმა ისე შთანთქეს, რომ ნაკვალევიც არავინ იცის. ჩემს მეუღლეს მწუხარებამ ადრე ამოხადა სული, მე კი გაძაღლებული ცას გამოვეკერე. უმცროსი ვაჟი ქერჩში მომიკლეს ფაშისტებმა, სიძეც იქვე დამეღუპა. ომის დამთავრებას თვეებიღა აკლდა, როცა სადღაც ბერლინის ახლოს დამეღუპა საამაყო შვილიშვილი — გმირი მფრინავი... ახლა დამრჩა ერთი ბედგამწარებული, უკვე ხანში შესული ქალიშვილი — დამსახურებული ექიმი და ორი შვილიშვილი — ორთავე ვაჟი — ერთი ვაჟიდან, მეორე ქალიდან. უმაღლესი უკვე დაამთავრეს. კარგებია, მაგრამ ვინ იცის, წინ რა ბედი უძევთ... ახლა თქვენ იანგარიშეთ, ვინ ვარ და რა ვარ... ჩემი გრძელი სიცოცხლე ისე ჩამადნა ხელში, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა რისთვისაა ამქვეყნად... უკვე ოთხმოცდაათ წელს გადაცილდი და საოცარი ის არის, ზოგჯერ მეჩვენება თითქოს ყველაფერი გუშინ თუ გუშინწინ იყო, კარგიცა და ავიც, რაც თავს გადამხდია... ხან კი მგონია, რომ ნამდვილი მათუსალა ვარ, ცხრაასი თუ ათასი წლისა... ზოგჯერ პირიქით, ასე მეჩვენება, ბევრი. სულ ბევრი თითქოს ხუთი-ექვსი წლის წინათ იყო შვიდი-რვა წლისას ტკბილად რომ ჩამეძინებოდა დედის მუხლებზე თავმიდებულს... თქვენ კი, ალბათ, გულში ფიქრობთ, რაებს ბოდავს ეს გადახჩუებული ბერიკაცი, ცას რომ გამოკერებია და სიკვდილს აღარ აპირებსო... იქნებ, მართლაც ცას ვარ გამოკერებული... მაგრამ არის ერთი ყველაზე სწორი და მართალი სიტყვა ქართულ ენაში: წუთისოფელი. მე არ ვიცი, თუ არსებობს რომელიმე სხვა ენაში ასე მართალი და ამაზე მართალი სიტყვა... ჰაი, დედასა!"

ასე დაამთავრა ერთი თავისი მოგონება ჩემმა ახლადგაცნობილმა მოხუცმა.

მკითხველი ალბათ წარბებს აზიდავს და გუნებაში გაიფიქრებს, რა კავშირი აქვს ამ წილადობილას განსახილველ ნაწარმოებთანო.

მე კი მოგახსენებთ: ეს ერთგვარი წილადობილაა გენებისა. თანაც საკითხავია: ყველამ ერთნაირად რატომ უნდა დავიწყოთ და დავამთავროთ ჩვენი სათქმელი ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის გამო? ნუთუ არ შეიძლება ჩვენებურად ვეძიოთ შორს მიმავალი ფესვები მხატვრული სიტყვისა?

აქ სადღაც გენებში ილანდება ცქაფი, ფიცხი, გონებასხარტი, ენა მოსწრებული, მოკრიმანჭულე, მხიარული, მოჯანყე, გულღია, სტუმართმოყვარე, მოუსვენარი, მოქვითინე, სევდიანი, მრავალჭირნაცადი, მსუბუქიც, მძიმეც და უცნაური გურია. ეს, რასაკვირვე-

ლია, იმას როდი ნიშნავს, რომ ეს თვისებები მხოლოდ ამ კუთხეს ახასიათებდეს. აქ მხოლოდ ამ თვისებათა თავისებური შეზავებაა. და სწორედ ამ თავისებურების მძაფრი გრძნობა განსაზღვრავს მწერლის ნიადაგობრივობას.

შეიძლება, ითქვას, რომ მწერლის პირველი ვრცელი ნაწარმოები — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" ერთობ ლოკალური (გურული) წარმოშობის სევდანარევი სიცილის ხელოვნების მნიშვნელოვანი მოვლენაა... მაინც საკითხავია: რა რისაგან? თვით ადამიანები და ადამიანთა ცხოვრება არის აქ შეცნობილი თავისთავად სასაცილო მოვლენად თუ მწერალი ცდილობს დანახული და განცდილი აქციოს სასაცილო სახედ, სურათად, ვითარებად? შესაძლოა. ერთიც იყოს და მეორეც. მართლაც, საიდან გაჩნდებოდა ქვეყნად ხუმრობა, სასაცილობა, რომ სადღაც და როგორღაც თვით ცხოვრება არ იყოს ხუმრობა, სასაცილო? ანდა კიდევ უფრო უფლებამოსილია კითხვა: ვინ მოიგონებდა დრამატულსა თუ ტრაგიკულს, რომ თვით ცხოვრება არ იყოს დრამატული და ტრაგიკული? ვინ იცის, იქნებ ხუმრობაც, სიცილიც თავდაპირველად ცხოვრების დრამატული თუ, უფრო მეტი, ტრაგიკული სიმძიმის შესამსუბუქებლად არის წარმოშობილი...

ერთი რამ ცხადია: მწერალს კარგად ეხერხება წარმტაც სასაცილო ამბად, სახეებად თუ სურათებად აქციოს არამცთუ ყოფაცხოვრების სხვადასხვა ვითარება, არამედ თვით თავისი ფრიად საყვარელი ადამიანებიც კი — თავისი პერსონაჟები. ეჭვი არ არის, რომ მწერალს პირდაპირ უახლოეს ნათესაურად უყვარს თავისი ზურიცელაც, სოსოიაც, ილიკოც, ილარიონიც, ბებიაც, ხატიაც და სხვებიც — ეს ერთობ კეთილი, გულითადი და ენამახვილი ადამიანები. მაგრამ ისინი თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე სასაცილონიც არიან... ვინ იტყვის, რომ ცალთვალობა საკმაოდ მწარე ხვედრი არ იყოს ადამიანისა (ცალთვალაა ილიკო, მერე ილარიონიც ხდება ცალთვალა), მაგრამ ეს ხვედრი ისეა „გათამაშებული" ნაწარმოებში, რომ ჩვენ ვიცინით, გულიანად ვიცინით. და ეს სიცილი თითქმის არასდროს არ არის ამ ადამიანების ადამიანური ღირსების დამამცირებელი, მათი შეურაცხმყოფელი...

...საკმაოდ ხშირად მწერლის გონებამახვილობასა და წარმტაც ხუმრობაში გახვეულია საკმაოდ მწარე სიმართლე, ზოგჯერ მწარე ირონიაც, დიდი ტკივილიც, საერთოდ კი სიკეთის მძაფრი გრძნობა და უზადო სიყვარული ადამიანების მიმართ.

შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით მწერალი თავის ქმნილებებში მეტწილად უფრო ეთამაშება, ეხუმრება, ეალერსება ან

მწარედ ესაყვედურება ცხოვრებას, ხატავს მას მეტწილად ლირიკული შთაგონებით, წარმტაცი ფერადებით, ზოგჯერ კარიკატურულადაც, ზოგჯერ გროტესკულადაც კი... ამავე დროს მწერლის დამოკიდებულება ქვეყნისადმი, ადამიანებისადმი არ არის მოკლებული საკმაოდ მძაფრ დრამატიზმსა და ზოგჯერ საკმაოდ ღრმა ტრაგიკულ განცდასაც კი...

პირობითად, ძლიერ პირობითად ნოდარ დუმბაძის პროზას შეიძლება ეწოდოს პოეტურ-ლირიკული პროზა.

ყოველივე ზემოთქმული ერთგვარი გენეტიკური წილადობილაა, რის წამძღვარება მე საჭიროდ ჩავთვალე იმ საუბრისათვის, რომელიც მე მქონდა ქართველ მწერალთა წრეში 1968 წლის თებერვლის ერთ საღამოს ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამის“ გამო. თავისი ჰუმანისტური სულისკვეთებითა და მიდრეკილებით ეს ნაწარმოები მიმაჩნია ერთ-ერთ ფრიად თავისებურ და საგულისხმო მოვლენად.

ქვემოთ უცვლელად მომაქვს ყოველივე ის, რაც ამ ნაწარმოების გამო ვთქვი 1968 წელს.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, მე კარგად არ მესმის, თუ რატომ აუხირდა ზოგიერთი ამ ბოლო დროს, ვთქვათ, ლირიკულ, პოეტურ პროზას. ჯერ ერთი მე ვფიქრობ, ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მწერლის ნიჭის თავისებურების, მისი ინდივიდუალური სტილისა და ხელწერის საქმე... მეორეც, რასაკვირველია, არსებობს გარკვეული ისტორიული კანონზომიერება, რომ განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ქვეყნიერების მდგომარეობის შესაბამისად, ხმარებიდან გამოდიან, უკმარისი ხდებიან სამყაროს მხატვრული ათვისების ესა თუ ის ფორმები, ხერხები, საშუალებები. შესაძლოა, მომავალში — ზეგ ან მაზეგ — უკმარისი გახდეს ან სახე იცვალოს სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის ბევრმა დღევანდელმა საშუალებამ, ფორმამ, ხერხმა, მათ შორის პოეტურმა პროზამაც. მაგრამ დღეს არა მგონია, რომ ეს პროზა, ისე როგორც მელოდიურ-ემოციური ლექსი, უარსაყოფი იყოს, როგორც თანამედროვე ცხოვრების მხატვრული ათვისების საშუალება, თუნდაც როგორც ერთ-ერთი ელემენტი, შესარწყმელი სხვა ხერხებთან, სხვა ფორმებთან.

ამ მხრივ ჩვენში, საქართველოში, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ფრიად თვალსაჩინო და დამაჯერებელ მაგალითს იძლევა ნოდარ დუმბაძის მთელი აქამდელი შემოქმედება, მათ შორის რომანი „მზიანი ღამეც“.

ეს ნაწარმოები ისე, როგორც ამის წინამორბედი ნაწარმოებები

მწერლისა, არ არის ფართო სოციალურ-ეპიური ტილო — თავისი ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემატიკით, ხალხის ცხოვრებისა და ეპოქის სხვადასხვა ფენებისა თუ შრეების ფართო სურათების ჩვენებით, ადამიანთა ტიპობრივ სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებებით.

ნოდარ დუმბაძე არ რის ფართო ეპიური ტილოების მხატვარი, აქამდე, ვგონებ, ამის პრეტენზიაც არ ჰქონია მას. ხოლო მომავალში, თუ საით განვითარდება მისი ნიჭი, — ეს უკვე მომავლის საქმეა.

„მზიანი ღამე" ხელოვნებისა და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით არსებითად აგრძელებს მწერლის ადრინდელ შემოქმედებას, როგორც ვიცით, ამ ნაწარმოებს არ ახასიათებს ისეთი მწყობრი სიუჟეტური ქარგა, რომელსაც ექნებოდა, ვთქვათ, რაიმე დამოუკიდებელი პრობლემატური თუ მხატვრულ-იდეური ფუნქცია. მოვლენათა და ვითარებათა იმ კავშირს, იმ თანამიმდევრობას, იმ ჯაჭვს, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ სიუჟეტს ვუწოდებთ, ამ ნაწარმოებში არ აკისრია რაიმე მკაფიოდ გამოკვეთილი განსაკუთრებული მხატვრულ-თემატური ამოცანა. ნაწარმოების მთელი განვითარება არსებითად მისდევს თუ მიჰყვება მისი მთავარი გმირის — ჩვენი დროის ახალგაზრდა კაცის — ქართველი სტუდენტის თეიმურაზ ბარამიძის თავგადასავალს, უკეთ ვთქვათ, მის სულიერ მოძრაობას, მის განცდებს, განსაკუთრებით მძაფრ განცდებს. სწორედ ეს განცდებია, ასე ვთქვათ, დროის, ეპოქის მხატვრული წარმოსახვის, ადამიანთა მხატვრული სახეების შექმნის მთავარი საშუალება აქ და ირკვევა, რომ ეს საშუალება საკმაოდ მახვილი და მარჯვეა თანამედროვე მხატვრული ფაქტის შესაქმნელად. მართალია, ეს მხატვრული ფაქტი უფრო მხატვრულ-ემოციური დახასიათებაა დროისა, ვიდრე მისი მხატვრული გამოკვლევა, — მაგრამ ეს არის მაინც ხელოვნება, თანამედროვე რეალისტური ხელოვნება, რომელიც აღელვებს და გარკვეულ ესთეტიკურ კმაყოფილებას ანიჭებს მკითხველს, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე მკითხველთა საკმაოდ ფართო წრეებს. გარდა ამისა, თვით ამ დახასიათებაში არ შეიძლება, არ იყოს და უეჭველად კიდევაც არის მხატვრული კვლევის ელემენტიც. განსაკუთრებით ეს ელემენტი იგრძნობა ჰუმანიზმის, ჩვენი დროის ჰუმანიზმის რომელიღაც ახალი კუთხის, თუ შეიძლება ითქვას, რაღაც ახალი საფეხურის, თუნდაც ერთი ბეწო ახალი საფეხურის მინიშნებაში. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

დახასიათება, ეგრეთწოდებული ემოციური დახასიათება რომანის სათაურიდანვე იწყება — „მზიანი ღამე" — და ეს სათაური

არსებითად უეჭველად არის გამართლებული თუ განაღდებული მთელ ნაწარმოებში. მაშასადამე, არის ღამე, წარმავალი ღამე, მაგრამ არის მზეც, მზე არ არის ჩამქრალი... სხვათა შორის, მზე ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი უსაყვარლესი სიმბოლოაა სიკეთის, ოპტიმიზმის, სიცოცხლის... თითქოს მკითხველმა სადღაც თავისთავადაც უნდა წამოსჭრას და პასუხი გასცეს კითხვას: მზე ჩამქრალი რომ იყოს და გაუთენებელი ღამე სუფევდეს, მაშინ საიდანღა მიიღებდა ამდენ სითბოსა და სინათლეს ამ ახალგაზრდების, კერძოდ კი თემურ ბარამიძის საკმაოდ მძიმედ დაკოდილი გული, საკმაოდ მწვავედ ტრავმირებული სული?

თემურ ბარამიძე არც თავისი ბიოგრაფიით, არც თავისი სულიერი განცდებით, ჩემი აზრით, არ სცოდავს სინამდვილის წინაშე. იყვნენ, არიან ჩვენში ასეთი ბედისა და ასეთი ფიქრების ახალგაზრდები. მაშასადამე, თემურ ბარამიძე, როგორც მხატვრული სახე — რეალისტური სახეა. მაგრამ კმარა კი სინამდვილესთან შესატყვისობა მხატვრული სახის მთელი ღირებულების საზომად?

ვფიქრობ, როგორც ბუნების ძალების ორგანიზაციის ეს ზომა, ის პრინციპი, რომელიც ჰქმნის რომელიმე ურთულეს თანამედროვე მანქანას, არ შეიძლება, ბუნების ძალებად მივიჩნიოთ, ისე მხატვრული კონკრეტიზაციის ზომა არ შეიძლება, მთლიანად შევიტანოთ სინამდვილესთან შესატყვისობის საზომში. ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ფაქტი, ჩემი აზრით, რაღაც ახალი საღებავის, ახალი შტრიხის მიმატებაცაა არსებულისადმი.

მე შევეცდები გავყვე ამ თვალსაზრისს, შესაძლოა, ერთობ მარტივ თვალსაზრისს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც სწორსა და მარჯვეს.

თემურ ბარამიძე, ვისი პირითაც არის მოთხრობილი ნაწარმოები, როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყნის გარკვეული პერიოდის გარკვეული სიმრუდით — ეგრეთწოდებული განუკითხავი უკანონობის მეხდაცემული ახალგაზრდაა. მაგრამ იგი არც დაღუპული და არც დაკარგული კაცი არ არის. თუმცა ამ მხრივ სადღაც ბეწვის ხიდია გავლილი, სადღაც და როგორღაც დაძლეულია ავბედითი შესაძლებლობა. გაიხსენეთ, გურამ ჭიჭინაძის — არსებითად თემურ ბარამიძის ამ მხატვრული ორეულის საგულისხმო აღსარება მეგობრის წინაშე, გამოთქმული მათს უბრალო, მაგრამ აზროვან დიალოგში. შეზარხოშებული გურამი ეუბნება თემურის:

— „მე შენ ძალიან მიყვარხარ. აბა, თუ იცი რატომ?

— ვიცი!

— არაფერი არ იცი, აბა, რატომ?

— არ ვიცი.

— ჰოდა, ეგრე. შენ ჩემი ძმა ხარ, ნამდვილი ძმა. წინათ მე შენი მეშინოდა, მერე მრცხვენოდა, დიდხანს მეშინოდა და მრცხვენოდა.

— რისი გეშინოდა?

— არ ვიცი, ისე, მეშინოდა, სულ მარტო რომ იყავი...

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— არ ვიცი, კლასში რომ რამე დაიკარგებოდა, მეშინოდა, შენი წაღებული არ ყოფილიყო. გაკვეთილს რომ გააცდენდი, მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდება-მეთქი. თავერა რომ ქურდობაზე დაიჭირეს, მეშინოდა, შენც დაგიჭერდნენ მეგონა მასთან ერთად. ათწლედი რომ დავამთავრეთ, მეშინოდა, უმაღლესში არ შემოვა-მეთქი... მერე ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხვენოდა, თან მიხაროდა".

ეს შესანიშნავი ჩახედვაა არა მარტო ამ ახალგაზრდების სუფთა, კეთილ და ნათელ გულში, მათს უანგარო ადამიანურ ურთიერთობაში, არამედ დაღუპვის, დაკარგვის იმ დიდ საშიშროებაშიც, რომელიც ემუქრებოდა რეპრესირებული მშობლების მარტოდ დარჩენილ შვილს.

მაგრამ თემური არ დაიკარგა. იგი არც ქვეყნის მიმართ გაავებული და გაბოროტებული კაცი გახდა. პირიქით, მისთვის ესოდენ დამახასიათებელი უშუალო გრძნობა, სიმართლის გრძნობა თითქოს კიდევაც გაუმძაფრებია იმ მძიმე განსაცდელს, რაც მას დროის გარკვეული მანკის ულმობელობამ მიაყენა. იგი უკომპრომისოა თავის ამ გრძნობაში, უკომპრომისოა თავის სუფთა სინდისშიც. „მზიან ღამეში" ჩვენს თვალწინ იშლება ამ ახალგაზრდა კაცის თვალით დანახული და განცდილი ქვეყანა, დრო, ადამიანები, — უკეთ ვთქვათ, თვით ამ ახალგაზრდა კაცის სული, მისი განცდების სამყარო, რადგან ნაწარმოების მთელი სახეთა სისტემა — არის ეს ცხოვრებისა და ბუნების სურათები თუ ადამიანთა სახეები — უმალ თვით თემურ ბარამიძის განცდების, ამა თუ იმ ადამიანურ თვისებებთან, ადამიანების ჭირ-ვარამთან მისი დამოკიდებულების გამოხატვაა, ვიდრე თვით ამ ადამიანების ხასიათების ეპიური ჩვენება, მათი დამოუკიდებელი მხატვრული გამოკვლევა.

დავიწყოთ ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური სახიდან — დედის სახიდან. ეს არის არსებითად სახე-განცდა, სახე-მოგონება, განცდა დატანჯული დედის გულის სიბრძნისა და სიკეთისა. ამ სახის მხატვრული ხორცშესხმა, მისი მხატვრული კონკრეტიზაცია თუ მხატვრული ინდივიდუალიზაცია უფრო მის განსხვავებულ ადამიანურ ბედშია, მის თავგადასავალშია, ვიდრე მის რაიმეთი განსხვავე-

ბულ ფსიქოლოგიურ წყობაში. დედა, როგორც დედა, კეთილი, მოსიყვარულე, მგრძნობიარე. აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს რთულ სოციალურ ან სულიერ კომპლექსთან, რაც ბუნებრივად წამოსჭრიდა ხოლმე რაიმე რთულ პრობლემას და ამ პრობლემის ვრცელი მხატვრული კვლევის საჭიროებას. დედის რეაქცია სტალინის ავადმყოფობაზე—„დავიღუპეთ, შვილო, სტალინს დამბლა დაეცა“ ან კიდევ „შენ ნუ იტყვი, შვილო, რადიომ თქვას, შენ მაინც ნუ იტყვი, თუ დედა გიყვარს“ — არსებითად იმ საყოველთაო დიდი ემოციური აფეთქების ანარეკლია, რაც, როგორც თითქმის ყველა ჩვენ მოწმე ვიყავით, თან სდევდა ამ ამბავს. ასეთივე ლირიკულ-დრამატული ანარეკლის ხასიათისაა პატარა ჩანახატიც იმ დღეებისა უნივერსიტეტში, სადაც უამრავი ადამიანი „კლუბის სცენაზე დასვენებულ რეპროდუქტორს თვალცრემლიანი, მუდარითა და ვედრებით შესცქეროდა, რომელიც ყოველ ორ საათში, მზის დაბნელების შემზარავ პროცესს გადმოსცემდა“.

არც ნაწარმოების მთხრობელი და ალბათ არც ავტორი არ შედის ამ საყოველთაო სულიერი მღელვარების, მე ვიტყოდი, კაცობრიობის მთელ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული, ყველაზე რთული თემის სიღრმისეულ კვლევაში. აქ, შესაძლოა, ლირიკულ-პოეტური პროზის საშუალებით, სიკეთისა და ბოროტების უშუალო განცდის გზით მართლაც ვერ წავიდეთ ძალიან შორს, მართლაც ვერ ავწიოთ მხატვრული აზრი შესატყვის დონეზე. ამ მხრივ ფრიად საგულისხმო და მრავლისმეტყველია თვით თემურის უაღრესად გულწრფელი აღსარება:

„ვე მინდოდა, მიმხვდარიყავი, რას განიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტკიოდა, რისი ეშინოდა, ან რას სტიროდა დედაჩემი. მაგრამ ვერ მივხვდი და, ალბათ, ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს ვერ მივხვდები და ვერ ავხსნი ამ სათნოებით სავსე, პატარა, შეშინებული, შეძრწუნებული ჰაღარა ქალის ცრემლების მიზეზს“.

ვფიქრობ, ეს ავტორის აღსარებაცაა.

თუმცა რომ ლირიკულ-პოეტური პროზა, პირველყოვლისა კი, მძაფრი უშუალო სულიერი განცდა შეიძლება იყოს დღეს ცხოვრების, სინამდვილის ესთეტიკური ათვისების საკმაოდ ძლიერი საშუალება, რომ ამ საშუალებით შეიძლება შეიქმნას ღრმად განზოგადებული მხატვრული სახე, ამას, შორს რომ არ წავიდეთ, თვით „მზიანი ღამე“, განსაკუთრებით კი ზოგიერთი მისი პასაჟი ადასტურებს ფრიად თვალნათლივ. მთელი საქმე იმაშია, თუ რა ძალის ტალანტი და რა სიუხვის სულიერი გამოცდილებაა კონდენსირებული განცდაში — ლირიკული პროზის ამ მთავარ კომპონენტში.

დედის სახესთან დაკავშირებით ნაწარმოებში, როგორც ვიცით, მთავარია შვილისათვის მისი გაუცხოების უმწვავესი გრძნობა, უმძაფრესი განცდა. ამ განცდის ულრმესი დრამატიზმი კი, მე ვიტყოდი, აქ პირდაპირ ჭეშმარიტ ტრაგიზმამდეა აწეული... და ერთი ძუნწი, ლაკონური საშუალებით. უახლოესი ადამიანის გაუცხოება, მთელი ქვეყნიერების გაუცხოების გრძნობაში რომ გადადის, მარტოობისა და ადამიანური კავშირების მოშლის ულმობელ სურათს წარმოგვიდგენს... გმირთან ერთად თითქოს თქვენც სული გეხუთებათ... მაგრამ აქვე უეცრად იწყება სულის მოოხება, სულის მოთქმა, დიდ ადამიანურ კავშირებში ჩართვა, ადამიანის გულის დიდი სიბრძნისა და სიკეთის, გულშემატკივრობისა და ჭირთა თანაზიარობის ფრიად წრფელი და ნათელი განცდა. სწორედ ამ განცდით არის შექმნილი, გაკეთებული და გამოძერწილი ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, ყველაზე მეტყველი მხატვრული სახე — ღამის დარაჯის ართავაზის სახე. რომელმაც შეიძლება მხოლოდ უკურნებელ სნობებს არ მიანიჭოს ნამდვილი ესთეტიკური კმაყოფილება... და არა მარტო ესთეტიკური კმაყოფილება. საერთოდ ღამის სცენა თერთმეტსართულიან სახლთან და სცენა სახაშეში, მე ვფიქრობ, „მზიანი ღამის“ ყველაზე ძლიერი პასაჟია... აქ თითქოს ყველაფერს თვალნათლივ ხედავთ, ყველაფერს გრძნობთ და, რაც მთავარია, გრძნობთ ადამიანური აზრისა და გრძნობის სილრმეს, სიცხოველეს. ჩემი აზრით, ართავაზის სახეში მინიშნებულია რაღაც ახალი საფეხური ჩვენი დროის ჰუმანისტური აზრის მოძრაობაში — ძიება აქტიური მაგრამ უძალადო ადამიანური სიკეთისა, რომელიც არ შეიძლება გადაიზარდოს ბოროტებაში, რადგან იგი დაფუძნებულია გულშემატკივრობისა და ჭირთათანაზიარობის ამაღლებულ გრძნობაზე, გრძნობაზე, რომელიც თავისუფალია ყველა შესაძლებელი დანაშრევებისა და მინარევებისაგან და რომელიც ყველაზე წმინდა ადამიანური კავშირი შეიძლება იყოს ადამიანებს შორის, მით უმეტეს ტრაგიკული ბედის ადამიანებს შორის, რომელთაგან, ვთქვათ, ერთი მარტოსულივით დაბორიალობს ღამით და კაცს ეძებს, მეორეც ჩანაცრებულ ცეცხლთან ჩამჯდარა და კაცს ელოდება (აბა, როდის არ ეძებს კაცი კაცს და როდის არ ელოდება კაცი კაცს!). მთავარია, კაცმა იპოვოს კაცი... და ამას წინ არ გადაეღობოს არც რაიმე შესაძლებელი ცრურწმენა — ეროვნული შეუთავსებლობისა და კიდევ უფრო საშინელი ცრურწმენა უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანის სულიერი არასრულფასოვნებისა. უბრალო ღამის დარაჯი, სომეხი ართავაზი დანახულია მის წმინდა ადამიანურ არსებაში, იგი კაცია, ნამდვილი კაცი, დიდი სულისა და ნათელი

გონების. ერთგვარად ამაშიც არის თანამედროულობა ამ სახისა. მერე რა დამაჯერებელი, რა უეჭვოა თავის ყოველ ქცევასა და მოძრაობაში ეს ადამიანი. თანაც რა კეთილი ღიმილით, რა ნათელი იუმორით არის შეზავებული ის საღებავები, რომლებითაც დახატულია ეს საკმაოდ მწუხარე მხატვრული სახე (გაიხსენეთ მისი რეპლიკები, თოფის დამიზნება, „მე ტიფი მაქვს. ამას ჭლექი“ და სხვ.). ჩემი აზრით, სწორედ ეს ორგანული იუმორია ორგანული ნოდარ დუმბაძისთვის და არა ის საკმაოდ იაფფასიანი მოარული ხუმრობა-ანეკდოტები, რომლებიც, სამწუხაროდ, არცთუ მცირეა ნაწარმოებში.

დროის ადამიანური შინაარსისა და მისი თავისებური მხატვრული წარმოსახვის თვალსაზრისით ბევრი რამ არის საგულისხმო და საინტერესო ნაწარმოების იმ სიუჟეტურ ხაზებში, რომლებიც ეხება სასიყვარულო ამბებს, სტუდენტი ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებას, დიდ პოეტთან შეხვედრას, რალაცათი ნაღრძობ ცალკეულ ადამიანებს, გროტესკულ სახეებსაც კი. არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში მთავარი მხატვრული აქცენტი, მთავარი მხატვრული ხაზგასმა უკეთდება წარმოდგენილი ახალგაზრდობის, შესაძლოა, ერთგვარად ტკივილებიან, მაგრამ მაინც სუფთა, ფაქიზ და ნათელ სულიერ სამყაროს. შეიძლება, ზოგიერთი ფრიად საგულისხმო მხატვრულ-იდეური და ცხოვრებისეული საკითხი დავუკავშიროთ ისეთ ცოცხალ, მართალ მხატვრულ სახეებს, როგორიცაა გულიკო, ლია, ლიდა, გურამი, ავთო, დურსუნი, თაკერა და სხვა. მაგრამ რაკი ნაწარმოების ძირითადი კონცეფციის მთავარი სიმძიმე, ჩემი აზრით, დაკავშირებულია პოდპოლკოვნიკ აბიბო თოდრიას სახესა და ქცევასთან, შეძლებისდაგვარად შევეხებით მას.

ვინ არის აბიბო თოდრია?

უნდა ითქვას, რომ ამ ტიპს საკმაოდ ძუნწი შტრიხებით, ერთგვარად გადაკრული ნიშნებითაც და ერთგვარი სიფრთხილითაც ხატავს მწერალი. ამ სიძუნწესა და სიფრთხილეში, ჩემი აზრით, მხატვრული ტაქტია და არა რაიმე კომპრომისი. მყვირალა, ჭყეტელა საღებავები აქ გაამსუბუქებდა და გააზერელებდა მხატვრულ მოტივს. მაგრამ უკვე თემურისა და აბიბოს პირველსავე დიალოგში ჩანს აბიბოს ჭუჭყიანი სულის ცინიზმიც და მიმიკრიაც. იგი თითქოს ადამიანზე მზრუნველის ნიღაბსაც იკეთებს. უკვე მისი ბინის მორთულობა — „შორაპნის სადგურში რომ უზარმაზარი ბუფეტი დგას, იმხელა შავი ბუფეტი, ვერცხლისა და ოქროს წყალში ამოვლებული ჭურჭლით სავსე“, „საწერ მაგიდაზე თეთრი მარმარილოს უხმარი საწერი მოწყობილობა“, ალბათ, ასევე ხელუხლებელი «წიგნებით გამოჭედილი კარადა“ და საწერი მაგიდის უჯრაში შენახული კონი-

აკი — მიგვანიშნებს, რომ იგი კაი კაცი არ არის, რომ მასში, შესაძ-ლოა, მიმალულია აქტიური მეშჩანისა და მომხვეჭელის ღატაკი და უწმინდური ბუნება, თუმცა ამაზე პირდაპირ არსად არ არის თქმუ-ლი, მაგრამ უკვე აბიბოს რეპლიკებიდან თემურის დედისა და მამის შესახებ. ჩვენ ვხვდებით, რომ მას სული და ხელები გასვრილი აქვს თემურის დედ-მამის გაუბედურებაში, რომ იგი თუ სულის ჩამდ-გმელი არა, ყოველ შემთხვევაში, აქტიური აღმსრულებელი მაინც არის გარკვეულ დროში დატრიალებულ განუკითხავობისა და უკა-ნონობის. თავისი დაუნდობლობა და გულქვაობა ადამიანების მი-მართ, თავისი სიჩლუნგე და სიყრუე ადამიანურ ტკივილებისად-მი — აბიბომ ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავერას მ-მართ გამოჩენილ ვერაგობაში (თუმცა გარეგნულად თითქოს აქ არც თუ ისეთი უკა-ნონობა იყო... აკი თემურის დედამაც უთხრა შვილსა და თავერას: „არ ვიცი, მე მგონი, ასეთი საქმის პატიება არ შეიძლებაო"). მაგ-რამ მწერალი კარგად ხედავს, რომ დროის სადავეები მარ-ტო აბიბოს ხელში არ არის, რომ მის საპირისპიროდ იდგნენ და დგანან ისეთი ადამიანები, როგორიცაა უნივერსიტეტის რექტო-რი, ფაკულტეტის პარტკომის მდივანი დავითი, თვით თემურიც, გურამიც. თუნდაც ართავაზიც, თუნდაც მეეზოვე მამედაც და, თუ გნებავთ, მთელი არმია გულწმინდა აბალგაზრდობისა, რომელთაც შეუძლიათ ენდონ და გაუგონ ადამიანებს. მაშასადამე, აბიბო არ არის დროის ერთადერთი და მთავარი წარმომადგენელი. მიუხედა-ვად თავისი თანამდებობრივი მდგომარეობისა, იგი არსებითად ჩვე-ნი საზოგადოებრივი ორგანიზმის ნაღრძობი სხეულია. რასაკვირვე-ლია, აბიბოს, ისე როგორც ყოველ სოციალურ და ზნეობრივ ბო-როტებას, არავითარი გამართლება არ აქვს და არც შეიძლება ჰქონ-დეს. მაგრამ მას, ისე როგორც ყოველ მოვლენას, თავისი ახსნა აქვს... და ამ ახსნას, ჩემი აზრით, უაღრესად პრინციპული მნიშვნე-ლობა აქვს თვით ნაწარმოების მხატვრულ-იდეური კონცეფციის ახსნისათვის. მართალია, აბიბოს სახე შესრულებულია მწერლისა-თვის დამახასიათებელი მანერით — ამ ტიპის თვისებების უშუალო განცდის მანერით, მწერალი არ შედის ხასიათის შორეული სოცია-ლურ-ფსიქოლოგიური სათავეების მხატვრულ კვლევაში. მაგრამ იგი მაინც მხატვრული კონკრეტიზაციის იმ ზომით არის მოცემუ-ლი, რომ თითქოს თვითონვე გვიხსნის გზას ცხოვრებისა და ფსიქო-ლოგიის იმ პროცესებისაკენ, რაც მის უკან იმალება და რაც მის მატერიაში არ ჩანს.

აბიბო, რასაკვირველია, ჩვენი სინამდვილის, ჩვენი საზოგადო-ებრივი განვითარების საპირისპირო ძალთა ბრძოლასა და შეჯახება-

ში წარმოშობილი მოვლენაა. მტრულ ძალთა ბრძოლასა და შეჯახებას საერთოდ ყოველთვის ბუნებრივად თან სდევს ურთიერთ დაუნდობლობის, ურთიერთ დამარცხებისა და, თუ გნებავთ, ურთიერთ განადგურების სულისკვეთებაც. მით უმეტეს ეს დამახასიათებელია დიდი სოციალური გარდატეხებისა და რევოლუციური ძვრების ეპოქისათვის. ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების საპირისპირო ძალთა აშკარა თუ ფარული ბრძოლებისა და შეჯახებების მონაწილე ადამიანებსაც, რომელ ბანაკშიაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რასაკვირველია, უჩნდებოდათ თუ ეუფლებოდათ შესატყვისი სულიერი, ფსიქოლოგიური რეფლექსები, ვთქვათ, მოწინააღმდეგის დათრგუნვისა, დამარცხებისა მისდამი უნდობლობისა, მისი სიცოცხლის არად ჩაგდებისა, მისი ყოველი ქცევის ეჭვსქვეშ დაყენებისა, თუ გნებავთ, მის წინააღმდეგ ჩასაფრებისა და მისთვის მახის დაგებისა (დაახლოებით ისე, როგორც ომში ხდება ხოლმე)... მაგრამ იმ ადამიანებს, რომელთათვისაც არსებითად უცხო იყო რევოლუციის, პროგრესის, ჰუმანიზმის იდეალები და რომლებიც ბრძოლებში ჩაბმული იყვნენ არსებითად რაიმე პირადი ანგარებიანი ანგარიშით, ეს სულიერი რეფლექსები ხშირ შემთხვევაში ადვილად გადაექცეოდათ ხოლმე საერთოდ სამყაროსადმი, ადამიანებისადმი დამოკიდებულებად, სულიერ ჩვევად, ერთგვარ „მსოფლმხედველობად“ თუ თავისი სიცოცხლის პროგრამად (აქ მათ ერთგვარი ნიღაბიც და მიმიკრიაც სჭირდებოდათ). აი, ამ კატეგორიის ადამიანების წარმომადგენელია, ჩემი აზრით, აბიბო თოდრია.

ზოგჯერ, ალბათ, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური რეფლექსები ერთგვარ სულიერ ჩვევად, საერთოდ სამყაროსადმი და ადამიანებისადმი დამოკიდებულებად გადაექცეს ისეთ ადამიანსაც კი, რომელიც სულით ხორცამდე გამსჭვალულია რევოლუციისა და პროგრესის იდეალებით. მაშინ საქმე გვექნება ძალიან რთულ ფსიქოლოგიურ პრობლემასთან, რთულ ტრაგიკულ პიროვნებასთან (და მით უფრო რთულია და სამძიმოა თუ ეს პიროვნება დიდი და ღონიერია). მაგრამ, მოვეშვათ ამ ულრანს, შესაძლოა, დავიბნეთ შიგ...

აბიბო არ არის ტრაგიკული პიროვნება, იგი სულიერი სიყრუით დაავადებული ვინმეა, იგი იმ სალდათს ჰგავს, ვისაც ომში მტრისაკენ ტყვიის სროლის ჟინი საერთოდ ადამიანებისაკენ ტყვიის სროლის ჩვევად გადაქცევია. იგი წვრილმანი ავი სულია.

და ეს კაცი, ვისი მოკვლისა და თავის გაჭეჭყის სურვილი მოუვიდა ერთხელ თემურ ბარამიძეს, იმავე თემურ ბარამიძემ არამც თუ დაინდო, როცა იგი მომაკვდავი ნახა, არამედ კიდევაც შეიბრალა,

კიდევაც მოუარა მას. ერთი სიტყვით, გარკვეულ ვითარებაში აღძრული სულიერი რეფლექსი თემურ ბარამიძეს არ ექცა სულიერ ჩვევად, არ ექცა საერთოდ ადამიანის სიცოცხლისადმი დამოკიდებულებად. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ იგი არსებითად აბიბოს იარაღით აღიჭურვებოდა. მომაკვდავი აბიბოს მიმართ მან გამოიჩინა სწორედ ჭირთაზიარობის ის გრძნობა, ის გულშემატკივრობა, რაც, როგორც ვნახეთ, იმის ყველაზე ძლიერ საშუალებად გვიჩვენა, რომ კაცმა კაცი იპოვოს!

რა არის ეს? პატიებაა? ყოვლის შემწყნარებლობაა?

არა მგონია! კარგი პატიებაა, მე და ჩვმმა ღმერთმა, როცა ისე გვაზიზღებს ამ ტიპს, რომ ყველაზე მკაცრსა და მწარე სიტყვებს ვეძებთ მის დასაგმობად, მის გასათათბავად.

მაშ რა არის? ეს არის, ჩემი აზრით, ერთგვარი მინიშნება (შეგნებული თუ ქვეშეცნეული, ეგ სულერთია), მინიშნება იმისა, რომ ჩვენი დროის მოწინავე ჰუმანისტურ სულისკვეთებასთან ძნელად შესათავსებელია და, მაშასადამე, ჩვენი დროის მოწინავე ესთეტიკურ კოდექსშიც ძნელად შესატანია ტკბობა თუნდაც უსაზიზღრესი ადამიანის ტანჯვით, ტკბობა თუნდაც უბოროტესი ადამიანის სიკვდილით და მით უმეტეს ტკბობა მკვლელობით, თუნდაც საშინელი ადამიანის მკვლელობით.

სხვათაშორის, რამდენადაც ვიცი, წარსულ ეპოქათა დიდ ჰუმანისტურ ლიტერატურასა დ ხელოვნებაშიც ძალიან იშვიათად შეიძლება მოინახოს ასეთი რამ. არა, შესაძლოა, ჩვენი დებულების მოწინააღმდეგეებმა ბევრი მაგალითიც მოიტანონ იმისა, როცა შემოქმედი ახდენს მკვლელობის ერთგვარ ესთეტიზაციას, ე. ი. ცდილობს გვასიამოვნოს მტრის წამებით, მოწინააღმდეგის სიკვდილით, მათ შორის, შეუძლიათ მოიტანონ მაგალითი შოთადან — „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ ჩავაქარაბაკე. ყმასა ფერხთით მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“, ან კიდევ „ვერღა აესწრა, იდუმალ მოკლა, თუ ვერც ვცანითა, ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა“, ან „კიდევ შექსპირიდან, როცა სასიკვდილოდ დაჭრილი ჰამლეტი დაშნით განგმირავს ვერაგ მეფეს... მაგრამ, ჯერ ერთი, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ეს არის მეთორმეტე-მეცამეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში. თანაც ამ გენიოსთა სიდიადესთან ასეთ რამეებს, ჩემი აზრით, ყველაზე ნაკლებ აქვთ კავშირი. გარდა ამისა, უახლოესი დროიდან ან თუნდაც დღევანდელობიდანაც რომ მოვიტანოთ ბევრი მაგალითი, — ამას მაინც არ ექნება მნიშვნელობა ჩვენი საკითხის მართებული გაშუქებისათვის. მე ვლაპარაკობ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ დონეზე, ადამიანის სულის განვი-

თარების დღევანდელ ვითარებაზე და მით განპირობებულ მოწინავე ჰუმანისტური სულისკვეთებისა და მისი შესატყვისი ესთეტიკური მოთხოვნების ტენდენციებზე.

შესაძლოა, ვინმემ ამაში მოინიშნოს ეგრეთწოდებული აბსტრაქტული ჰუმანიზმის ან ერთგვარი ტოლსტოველობის ქადაგება და რევოლუციური, მებრძოლი ჰუმანიზმის უკუგდების ცდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იქნება ღრმა შეცდომა.

ჯერ ერთი, თუ ჩვენ რევოლუციურ, მებრძოლ ჰუმანიზმს წარმოვიდგენთ როგორც რაღაც ერთ წერტილზე გაყინულ, უძრავ, ყოველკვარ განვითარებას მოკლებულ იდეათა სისტემას, მაშინ იგი აბსოლუტურ რევოლუციური, არამედ კონსერვატულზე კონსერვატული რამ იქნება. ავიღოთ, მაგალითად, საკმაოდ ცნობილი დებულება „მტერი როცა არ გნებდება, იგი უნდა გაისრესოს". თუ ამ დებულებას უცვლელ დოგმად წარმოვიდგენთ. საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურისათვის, მაშინ მტერიც რაღაც მარადიულ, უცვლელ არსებად უნდა მივიჩნიოთ და მისი გასრესაც სამუდამო უსიამო საქმედ. მაგრამ, როგორც ვთქვი, ჩვენი საბჭოთა საზოგადოების შიგნით, სადაც უკვე აღარ არსებობენ მტრული, ანტაგონისტური კლასები, მტრის ცნებაც და მისი გასრესის ვნებაც, ალბათ, ძალაში აღარ უნდა დარჩეს, ყოველ შემთხვევაში არსებითად უნდა შეიცვალოს. მართალია, რამდენადაც ვიცი, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არც ერთ ქვეყანას ჯალათის თანამდებობა არ გაუუქმებია, ეს, ალბათ, იმას მოწმობს, რომ მიუხედავად ატომური ბომბებისა და საოცარი ტექნიკური მიღწევებისა, ჩვენი ცივილიზაცია არც თუ ისე მაღალია, როგორიც შეიძლება მოგვეჩვენოს... და ჩვენ განა არ უნდა ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ ქვეყნად არ მოიძებნოს არცერთი კაცი, რომელიც ისურვებდა სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანას და რომელსაც, მაშასადამე, ექნებოდა კაცის მოკვლით ტკბობის მოთხოვნილება? მაშინ, ალბათ, არც სიკვდილის განაჩენის გამოტანა იქნებოდა საჭირო. რასაკვირველია, მცნება „არა კაც ჰკლა" ძველისძველია და, შესაძლოა, ქრისტიანობას ივი ნასესხები აქვს კიდევ უფრო ადრინდელი მოძღვრებიდან. მაგრამ ჩვენც და ნოდარ დუმბაძემაც, ვინაც თავისი „მზიანი ღამის" ბოლო თავს სწორედ „არა კაც ჰკლა" დაარქვა, შესანიშნავად იცის, რომ საუკუნეების მანძილზე ამ მცნების საფარქვეშ ბევრი კაცის კვლა ხდებოდა, თვით ამ მცნების მქადაგებელთა ხელითაც და რომ მას შეესაბამებოდა ქვეყნიერების განვითარებისა და ადამიანის სულიერი გამოცდილების სულ სხვა მდგომარეობა, სულ სხვა ვითარება. მაშასადამე, დღეს ლაპარაკი შეიძლება ამ მცნების სულ სხვა შინაარსით

გავსებაზე, ისეთი შინაარსით, რომელიც შეესაბამება ქვეყნიერების განვითარებისა და ადამიანის სულის მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობას, რაც უეჭველად არის დამუხტული ჩვენი ჰუმანისტური იდეებისა და წარმოდგენების გაუხვების, გამდიდრებისა და განვითარების ტენდენციებით. და, რასაკვირველია, თუ ვინმეს შეფერის ამ ტენდენციების გამოსახვა, ყველაზე უმალ იგი შეფერის იმ ქვეყნის, იმ საზოგადოების ლიტერატურასა და ხელოვნებას, სადაც პრინციპი — „ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარია" — საერთო-სახალხო იდეოლოგიად არის აღიარებული. სხვათაშორის, ეს პრინციპიც, ფორმის მხრივ, ალბათ, საკმაოდ ძველი წარმოშობისაა.

ჩვენი დროის მოწინავე ჰუმანისტური აზრის მოძრაობისა და ამაღლების იმ ძლიერ შინაგან იმპულსებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებიც ჩვენი ეპოქის სიღრმეში იბადებიან, ერთი რამ ხომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, სახელდობრ ის, რომ ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლია გულგრილი იყოს ყოველივე იმისადმი, რაც შესაძლებელს გახდის აბიბო თოდრიას ვარიაციულ გამოცემას (და, მერე, არ იტყვით, რა ათასნაირი ვარიანტით შეიძლება გამოიცეს ის?).

როგორც ხედავთ, ჩემი აზრით, ნოდარ დუმბაძემ თავისი ნაწარმოების ძირითადი კონცეპციით, თავისი კარგი ართავაზით, თავისი სუფთა გულის თეიმურაზ ბარამიძით, თავისი გულისხმიერი რექტორით — კარგად, მართლად და შთაგონებულად გამოსახა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი არსებითი ტენდენცია, შექმნა მხატვრული ფაქტი, რომელიც გვაღელვებს და გვაფიქრებს. ეს არის ამ კეთილი, ნათელი და მართალი ნიჭის საგულისხმო წარმატება.

ლირიკული პროზის არამოკეთენი ლირიკულ პროზას უწუნებენ გულკეთილობის გადაჭარბებულ პოეტიზირებას (ამბობენ „მარტო გულკეთილობით შორს ვერ წავალთო"), უწუნებენ გულკეთილი ბებიებით და ბაბუებით, ბავშვობისა და სიყაბუკის დღეების მოგონებებით გატაცებას.

შესაძლოა, მართლაც საჭოჭმანო იყოს გულკეთილი ბებიებით, ბაბუებით და ბავშვობის დღეების მოგონებებით მეტისმეტი გატაცება... მაგრამ ყოველ გატაცებას აქვს თავისი კანონზომიერება, ყოველ გატაცებაში არის დროის, ეპოქის შინაგანი იმპულსები — და ეს არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ... ხოლო ლირიკულ-პოეტური პროზის საშუალებებით (რასაკვირველია, მათი უაღრესად პირობითი და შეფარდებითი გაგებით) რომ შეიძლება შეიქმნას მნიშვნელოვანი თანამედროვე მხატვრული ფაქტი, — ამას მოწმობს

ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება, კერძოდ კი მისი „მზიანი ღამე“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ყოველმხრივ უნაკლო და სრულყოფილი იყოს. არა, პირიქით, ჩემი აზრით, იგი სადღაც საკმაოდ უსწორმასწოროა. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მისი კითხვისას ზოგჯერ მე დაახლოებით ისეთივე განცდა მქონდა, როგორც ძველებური თვითმფრინავის მგზავრს — ნარნარი ფრენიდან თვითმფრინავი უეცრად ჰაერის ორმოებში რომ ჩავარდებოდა ხოლმე. არ შეიძლება არ გხიბლავდეთ ნოდარ დუმბაძის ელვარე იუმორი. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ საქმეში მას ზოგჯერ ზომიერების გრძნობა ღალატობს. ვფიქრობ, ძალიან მდარე გემოვნების ობივატელზეა გაანგარიშებული ზოგიერთი საკმაოდ გავრცელებული ხუმრობა-ანეკდოტი, ვთქვათ, ისეთი, როგორიცაა „ვუნდერკინდის“ გათამაშება და სხვ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ნაწარმოებში ერთგვარ ხორცმეტად არის შეტანილი არცთუ ისე მაღალი ხარისხის საესტრადო სკეტჩი.

როგორც ჩანს, ნოდარ დუმბაძეს ძალიან უყვარს გალაკტიონი და მისი პოეზიის უდიდესი და უგულწრფელესი თაყვანისმცემელია. მიუხედავად ამისა, თავი „გალაკტიონი“, ვფიქრობ სუსტად არის დაწერილი. პირდაპირ საოცარია, ილიკოს, ილარიონის, ბებიას, ხატიას, ართავაზის და სხვა დაუვიწყარი მხატვრული სახეების შემქმნელმა — ჩვენი დიდი პოეტის მცირე პორტრეტის გასაკეთებლად რად აირჩია ფოტოგრაფიის და ისიც ცუდი ფოტოგრაფიის ხერხი?

ბევრ ჩვენგანს გალაკტიონი ისეთ „სტილში“ უნახავს, — იგი რომ ფოტოგრაფიულად გადმოწეროთ, დაბმულ ქაჯს აიწყვეტინებს, მაგრამ გალაკტიონი არ იქნება, არ იქნება ის გალაკტიონი, ვინაც შექმნა დიდი წიგნი, წიგნი შავი ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი ასოებით.

გალაკტიონის გაბმული ხითხითისა და „ძამიკოთი“ შეზავებული ექსცენტრიული რეპლიკების შემდეგ, თემურ ბარამიძემ ბევრიც რომ იძახოს, გალაკტიონი ღმერთკაციაო, — ძნელად თუ ვისმეს დაიჯერებს.

არა, ჩემი აზრით, გალაკტიონის ნამდვილი რეალისტური მხატვრული პორტრეტი, თუნდაც ძალიან პატარა პორტრეტი, ამ გზით და ამ ხერხებით არ შეიქმნება და არც უნდა შეიქმნას.

მოსაწონია ნოდარ დუმბაძის ნათელი, გამჭვირვალე სტილი, მისი კარგი ქართულიც... მაგრამ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან მე არსებითად იმ თავითვე შემოვიფარგლე ერთი საკითხით.

1968—1975

ნიმუში მისი მხატვრული ხერხისა

გალმა-გამოღმა — საოცრად ვრცელი და მრავალმხრივი შეიძ-ლება იყოს ამ წყვილი ცნების შინაარსი. საქმე ის არის, ვინ რამდენ აზრსა და გრძნობას ჩატევს შიგ. ვაჟამ უმშვენიერესი და უმძაფრე-სი სატრფიალო გზნებით აავსო ეს ცნებები და შეუმუსრავ პოეტურ სილამაზედ უანდერძა შთამომავლობას:

> გამოღმით მე ვარ, გალმა შენ...
> შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
> მაგრამ ვერსაით გადმოველ
> ამ სატიალო მდინარეს.

უმიზეზოდ და უსაბაბოდ არ მომიხმია ეს სიტყვები: პირდაპირი და ლამაზი გზა მიდევს წინ.

სახელმწიფო საზღვრის იქით, მდინარის გალმა, თურქეთის მხა-რეზე, იქაური მასწავლებლის ეზოში დიდ ლოდზე ხშირად ზის მას-წავლებლის ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე და ჭოგრიტით ჩვენს მხა-რეს იყურება. საზღვრის საბჭოთა მხარის საგუშაგოზე საბჭოთა მე-საზღვრეებს შორის ხშირად არის ახალგაზრდა ქართველი მესაზღ-ვრეც — ავთანდილ ჯაყელი... ძალიან უბრალოდ, მაგრამ გასაოცარი შთამაგონებელი ძალით იმართება ამ ორ ახალგაზრდა დაშორიშო-რებულ გულთა შორის საჰაერო თუ სივრცული დიალოგი. მათ, რასაკვირველია, არც ერთმანეთის სიტყვები ესმით და არც ერთმა-ნეთის სახის გამომეტყველებას ხედავენ. მაინც საოცრად ღრმაა მა-თი ფიქრების გაცვლა-გამოცვლა. უბრალო და მარტივია მათი ნა-ვარაუდევი სიტყვა-პასუხი. მაგრამ ღრმაა ამ სიტყვა-პასუხის აზრისმიერი და გრძნობისმიერი სიღრმე. აბა, დაუკვირდით, რა შორს იტყორცნება ამ ღრმაადამიანური ეპიზოდის წარმოსახვითი ნაშუქარი — წარსულშიც, დღევანდელობაშიც, სახვალიოშიც. არ-სებითად საქმე ეხება ოდესღაც დედის მკერდიდან მოგლეჯილ შვილს. მაგრამ ამ შორეულ გზებს ნუ გამოვუდგებით; ეპიზოდის დღევანდელობის ადამიანურ შინაარსში ჩავიხედოთ... არა. — მე აქ არ შემიძლია გვერდი ავუარო შესანიშნავად მიგნებულ მხატვრულ

ფორმას. მით უმეტეს, რომ ამ ფორმაში, ჩემი აზრით, დიდი შინაარსია ჩატეული.

„მასწავლებლის ლამაზი ცოლი კი ზის ვეებერთელა ქვაზე და ჰოგრიტს არ გვაცილებს. ვინ ხარ, გოგო, შენ? აბა, მომიახლოვდი, ახლოს მოდი, ახლოს, კიდევ, კიდევ, აი, ასე, აი, ასე. ახლა შენს დიდებულ მკერდზე ხალსაც ვხედავ: ჰოგრიტი ძალიან ახლოხედვაზე დავაყენე და ჩვენ შორის არსებული რამდენიმე ასეული მეტრი გაქრა. მასწავლებლის ლამაზი ცოლი ჩემ წინ იჯდა დიდ ქვაზე, და თვალებდახრილი მიღიმოდა.

— გამარჯობა, გოგო!

— გაგიმარჯოს, ჯუმა!

— რა გქვია, გოგო?

— რად გინდა ჩემი სახელი, ჯუმა?

— აბა, რა ვიცი, ისე გკითხე, მაინტერესებს, ქართული სახელი გაქვს თუ არა?

— შენ რა გქვია, ჯუმა?

— მე? მე ავთო მქვია, ავთანდილ ჯაყელი, ოღონდ ეგ სამხედრო საიდუმლოებაა და არავინ უნდა იცოდეს.

— კარგი, ჯუმა, არავის ეცოდინება.

— რამდენი წლისა ხარ, გოგო?

— რამდენის ვიქნები?

— ცხრამეტის, ოცის, ოცდაერთის, არა?

— ჰო, ცხრამეტის, ოცის, ოცდაერთის!

— რას აკეთებ მთელი დღე, სულ ზიხარ ქვაზე; მიყურებ და მიყურებ, მოგწონვარ?

— ჰო, ძალიან მომწონხარ!

— მერე და, ქმარი რომ გყავს?

— შენ, ჯუმა, მოგაფერი ხარ ჩემი!

— ეგ რაღაა?

— ძმობილი ხარ ჩემი, ჯუმა მოგაფერი.

— ჰოო, არ გწყინდება მთელი დღე ჩვენი ყურება?

— არა, ჯუმა მოგაფერი, ასე ვზივარ ამ ქვაზე, გიცქერთ, ჩემს მოგაფერებს და ჯუმა მოგაფერებს, დავდივარ ყველა ოჯახში, დაგყვებით ყველგან და ვიდრე ჩემი ქმარი სკოლაშია, თქვენთან ვარ. ჩემს სისხლსა და ხორცთან, ნათესავებში, ხელს ხომ არ გიშლი, ჩემო ჯუმა მოგაფერი?

— რას ამბობ, გოგო, შენ რომ არ იყო, ალბათ მოწყენილობა მომკლავდა. მიყურე რა, რა ხელი უნდა შემიშალო, შენი ყურება ჩემი მოვალეობაა, ძალიან ლამაზი ხარ, გოგო!

— ვიცი, რომ ლამაზი ვარ, შენც ლამაზი ხარ.

— მე რა ლამაზი ვარ, შორიდან გეჩვენება.

— არა! ლამაზი ხარ, მაქეთ ყველაფერი ლამაზია, თუ მეჩვენება?

— ლამაზია, გოგო, ძალიან ლამაზი, არ გეჩვენება. თქვენთან როგორ არის?

— ჩვენთან როგორ უნდა იყოს. როგორც ხედავ!

— თქვენთანაც ლამაზია!

— გულს მიკეთებ?

— გულს რატომ გიკეთებ, ცოტა მოუველია, თორემ ისე ლამაზია. ანდა უშნო რად უნდა იყოს, ამ სოფლის ნახევარი არ არის?

— ჰო, მართალი ხარ.

— ეს მოხუცი ვინ არის, შენი დედამთილია?

— ჰო, ჩემი დედამთილია!

— რას გეუბნება, სახლში შემოდიო?

— სახლში შემოდიო.

— ახლა შენ წახვალ?

— წავალ, ჯუმა მოგაფერი.

— ხვალ ხომ ისევ მოხვალ, გოგო?

— მოვალ. ჩემო ჯუმა მოგაფერი.

— ნახვამდის, გოგო!

— ნახვამდის, ჯუმა მოგაფერი".

ჩემი აზრით, რაღაც განსაკუთრებული ადამიანური სიღრმეა ამ „მოჩვენებითსა" თუ „მოგონილ" დიალოგში. ერთი წამითაც არ დავივიწყოთ, რომ ეს საუბარი ვითომც გამართულია სახელმწიფო საზღვრის გაღმა-გამოღმა, საზღვრისა, სადაც არამც თუ უცნობ ადამიანთა ერთმანეთთან შეხმიანება, არამედ ყოველი გაღმელ-გამოღმელი სულდგმულის გაჭაჭანებაც კი აღკვეთილია. მაგრამ დიდი სიმართლე სწორედ იმაშია, რომ ადამიანთა წმინდა ადამიანურმა აზრებმა, ფიქრებმა, განცდებმა არ იცის არავითარი საზღვრები... არა, გაცილებით მეტი სიღრმე და შინაარსი აქვს ამ ეპიზოდს. არ შეიძლება ყველაფერი განსაზღვრულ ფორმულამდე დავიყვანოთ. მჯერა, რომ მხატვრულ ფაქტს რაღაცნაირად ვაღარიბებთ, როცა ვცდილობთ, რომ ყოველ მის ნაკეთს მოვუძებნოთ პირდაპირი აზრობრივი მნიშვნელი... არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი მხატვრული ფაქტი უმალ მუსიკალურ კომპოზიციას ენათესავება, ვიდრე ლოგიკურ კონსტრუქციას... ვფიქრობ, ყოველი სიტყვიერი მხატვრობა საოცარი სიღარიბე იქნებოდა, რომ მას გაცილებით მეტი სულიერი, ემოციური და თავისებური მუსიკალური განფენილო-

ბა არ ჰქონდეს, ვიდრე მისი პირდაპირი აზრობრივი მოცულობაა...

საუბარი მაქვს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების — „ნუ გეშინია, ფედას“ ერთ ეპიზოდზე... და ვამბობ, შესაძლოა, ნაწარმოების ყველა ნაწილი ამ ეპიზოდის ტოლფასოვანი არ იყოს, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები უეჭველად ღირსეული სათავსოა მისი უკეთესი ნაწილებისა.

მახსოვს, ერთმა ფრიად ნიჭიერმა და განათლებულმა მწერალმა, როცა ჯერ კიდევ ხელნაწერში გაეცნო ნ. დუმბაძის ამ ნაწარმოებს, ზეპოთ მოტანილი ეპიზოდის შესახებ თქვა: „ეს არის დიდებული მხატვრული აღმოჩენა, რაზედაც არც ერთი დიდი მხატვრის ფანტაზია უარს არ იტყოდა. რა ვუყოთ, რომ ახლა ეს, ისე როგორც მეტი წილი ყოველი მნიშვნელოვანი აღმოჩენისა, საკმაოდ იოლად და ხელმისაწვდომად გამოიყურება“. ამის მთქმელი თავის ვინაობას ალბათ თვითონ გაგვიმჟღავნებს, თუ საჭიროდ დაინახავს.

„თეთრი ბაირაღები“ — ნოდარ დუმბაძის შემდგომი რომანიც არ არის მოკლებული ბევრ საგულისხმო მხატვრულ მიგნებას. შემთხვევით როდი ჰყავს ამ რომანსაც ბევრი მკითხველი. მე მესმის, რომ მკითხველთა სიმრავლე ყოველთვის როდი განსაზღვრავს ნაწარმოების ღირსებას, მაგრამ არც მხედველობიდან გასაშვები ფაქტია.

ამ ნაწარმოების შესახებაც ქართულ კრიტიკაში ატყდა დავა და გამოითქვა სხვადასხვა აზრი. ამჟამად მე არ ვაპირებ ამ დავაში ჩარევას. მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ უმეტეს შემთხვევაში ჭეშმარიტებას დასცილდება ყოველი კრიტიკული განსჯა. რა ავტორიტეტებსა და ავტორიტეტულ თეორიულ დებულებასაც უნდა ეყრდნობოდეს, თუ იგი თვით განსახილველ საგანს გარედან აქვს მოხვეული და თვით საგნის ბუნებიდან არ არის ამოზრდილი.

პირადად ჩემთვის საკმაოდ შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია. დამნაშავე პატიმართა არამცთუ ცოცხლად დახატული სახეები, არამედ მათი ნიშანდობლივად (თუმცა საკმაოდ გროტესკულად) გამოძერწილი ხასიათები; თითოეული მათგანის ბედსა და სახიერებაში არის რაღაც განუმეორებლად თავისებური, მკაფიოდ დასამახსოვრებელი. რაღაც ტიპიური და დამაფიქრებელიც. მაგრამ ამჟამად მე მხოლოდ მთავარი პერსონაჟის — უდანაშაულო პატიმრის მრავალმხრივ საგულისხმო ბედსა თუ მის სულიერ მეტამორფოზას მინდა გავადევნო თვალი. მთელი ნაწარმოებიც ხომ ამ პერსონაჟის მონათხრობი ამბავია.

ზაზა ნაკაშიძეს, მართალია, უმართებულოდ, მაგრამ ვითარების გარეგნულად საკმაოდ ხელჩასაკიდები სურათის საფუძველზე და

გულგრილი, ასოციერკიტა, ბიუროკრატი გამომძიებლის წყალობით ბრალად ედება კაცის მოკვლა. ეს ძნელად გასარკვევი და გასანათებელი ბრალდებაა. საჭიროა ამაღლებული გონების, სიმართლის დიდი გრძნობისა და კეთილშობილი ბუნების ჩარევა. მაგრამ ეს თვისებები ციდან არ ვარდება, ისინი ადამიანთა დიდ სულიერ გამოცდილებაში უნდა წარმოიშვან. დიდი გულისხმიერება და სამართლიანობის გრძნობა მხოლოდ დიდ ადამიანურ გამოცდილებაში იბადება და იწრთობა. ადამიანის სული დიდი სოციალური გამოცდილების ქურაში უნდა გამოიწრთოს, რომ ამაღლდეს და დაიხვეწოს. დიდი სიკეთე, როგორც წესი, ყოველთვის დიდი ადამიანურ-საზოგადოებრივი გამოცდილების შედეგი შეიძლება იყოს. რა ბუნებრივი ნიჭით და, თუ გნებავთ, რა გენეტიკური მადლითაც უნდა იყოს აღსავსე ადამიანი, დიდ სიკეთეს მაინც ვერ მოუტანს საზოგადოებას, ხალხს, თუ ეს ჰირადი ღირსებები გაუხვეული არ იქნება მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

ზაზა ნაკაშიძემ მიიღო ცხოვრების მწარე გაკვეთილი, რამდენიმედ არატიპიური და შემთხვევითი გაკვეთილი, მაგრამ მაინც ერთობ მწვავე და მნიშვნელოვანი. ამ გაკვეთილმა საოცრად გააუხვა მისი სული, გაამახვილა მისი აზრი, გააძლიერა მისი წარმოსახვისა თუ ფანტაზიის უნარი: უდანაშაულო „დამნაშავის" მწვავე განცდა და შინაგანი მღელვარება დაკრისტალდა ღრმა ჰუმანისტურ სულისკვეთებად, მხურვალე ადამიანურ გულისხმიერებად და უკომპრომისო აზრად. ამავე დროს საქმეში ერევა საოცრად დამაჯერებელი ლედის გულისძგერა, ლედის უტყუარი გემანი... სრული რეალური, ნამდვილი ცხოვრებისეული გარემოება... რომელ შეჭირვებულ, უმართებულოდ ბრალდადებულ კაცს არ უნატრია და არ უოცნებია გარდაქმნილიყო ისეთ ძალად, ისეთ არსებად, ისეთ ჰიროვნებად, ვინც შეძლებდა თავისი სიმართლის გამოხსნას ერთობ ჩახლართული ვითარებიდან... ზოგჯერ, შესაძლოა, ცხოვრებაში ხდება ამგვარი რამ... და მით უმეტეს ფანტაზიას ხელოვნებაში სრული უფლება აქვს მსგავსი ნატვრა, მისწრაფება თუ ოცნება ადამიანისა აქციოს მხატვრულ რეალობად, ხელოვნების ხორცშესხმულ ფაქტად. მხატვრულად უეჭველად სავსებით დამაჯერებელი და გონებამახვილურია, რომ ზაზა ნაკაშიძის უდანაშაულობის დასადგენად, მისი სიმართლის გამოსახსნელად საქმეში ერევა მისივე გაუხვეული სხვა სახეობა, — მისივე გაძლიერებული ორეული — მინისტრი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს ერთობ რეალისტური ხილვაა.

„ბრალდებული ზაზა ნაკაშიძის საქმე... დაიძრა საქმე დერეფნიდან დერეფანში, ოთახიდან ოთახში, ხელიდან ხელში და უცებ

მივხვდი, სად მენახა ადრე ეს ძუ ვეფხვივით პირგამეხებული ჭალარა ქალი. იგი დედა იყო ჩემი, საკუთარი დედა, ვიდრე დამპატიმრებდნენ და მე შვილი ვიყავი მისი, საკუთარი შვილი, ვიდრე მინისტრი გავხდებოდი".

ქართულ კრიტიკაში უკვე ითქვა და მე აღარას გავიმეორებ იმის შესახებ, რომ მწერალმა ერთობ მომჭირნე მხატვრული საშუალებებით, ორიოდე შტრიხით შექმნა ერთობ დამაჯერებელი, მიმზიდველი მხატვრული სახე ჩვენი დროის სახელმწიფო მოღვაწისა...

მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ მწერლის მიერ მომარჯვებულ გარდასახვის ხერხში, ჩემი აზრით, უმალ ქართული მხატვრული აზროვნების ტრადიციის მონაშუქი უფრო იგრძნობა, კერძოდ, ვაჟას მინდიას კომპლექსის შორეული გამოძახილი, ვიდრე რომელიმე უცხოური ნიმუშისა... მაგრამ ეს ხერხი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, უწინარეს ყოვლისა, თვით ნოდარ დუმბაძის ორიგინალური მიგნებაა.

ხელაღებითი ქებისათვის არ შევხებივარ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული ხელწერის მცირე ნიმუშებს. ზოგი რამ სადავო და საკამათო მეც მაქვს მის ლიტერატურულ ნახელავებში. მაგრამ მცირე ნაკლის გაზვიადების მომხრე არა ვარ.

მე ვიცი, მე მჯერა, რომ ნოდარ დუმბაძე ღირსია იმ სიყვარულისა და ყურადღებისა, რაც მან დაიმსახურა ჩვენში და არა მარტო ჩვენში.

1975

ჭაშნიკი ერთი წიგნისა

წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, თემატიკურად წიგნი საკმაოდ მრავალმხრივია. ინდივიდუალური თავისებურებით აღბეჭდილი ხელწერა განათლებული ლიტერატორისა. ენა, თხრობა, სტილი — სადა, საქმიანი, უწვალებელი, დაუძაბველი, მოკლებული ყოველგვარ სიტყვიერ ზიზილპიპილებსა და ვითომდა ღრმაზროვნებას.

თავიდანვე უნდა ვთქვა: „ქრისტიანულად", ესე იგი, გასაგებად დაწერილი წიგნია.

მე მგონი, მუდამ დარჩება ძალაში არაერთხელ ნათქვამი: ვინც ნათლად აზროვნებს, ის ნათლადაც მეტყველებს.

ვერ ვიტყვი, რომ ეს გატაცებით საკითხავი წიგნი იყოს, გატაცებით არა, მაგრამ ლიტერატურის მოყვარული მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს მას, თუ მე არ ვცდები, ეს ცუდი როდია ასეთი წიგნებისათვის. მისი დიდი ნაწილი, როგორც ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ, არსებითად საერთო-საგანმანათლებლო ხასიათისაა. ძართალია, ეს წიგნი არ არის გამიზნული რაიმე მწვავე მხატვრულ-ლიტერატურული პრობლემებისათვის, აზრთა დიდი წინააღმდეგობებისა და მძაფრი კამათისათვის, მაგრამ იგი მაინც შეიცავს ერთგვარ დრამატიზმს, საწუხარსა თუ სადარდელს.

ვფიქრობ, უდრამატიზმოდ წიგნი საერთოდ უფერული გამოდის.

ჰო, მე მგონი, თავისებური დრამატიზმი სჭირდებათ ლიტერატურულ-მეცნიერულ შრომებსაც, მით უმეტეს ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევებსაც. დრამატიზმის თვისებასა და ხასიათს განსაზღვრავს, ალბათ, ავტორის მსოფლშეგრძნებაც, ტემპერამენტიც, ოსტატობაც და კიდევ რაღაც სხვა.

მე ამ წიგნის მხოლოდ ზოგიერთ ჭაშნიკს მინდა შევეხო.

წიგნის ერთ-ერთი მთავარი თემა შექსპირია.

შექსპირი კი, მოგეხსენებათ, სასწაულთა სასწაულია, ანუ, მე ასე მგონია, კაცობრიობის მხატვრული აზროვნების დღემდე გადაულახველი მწვერვალია, ხოლო შექსპირიანა — მთელი ოკეანეა.

რა ითქმის ახალი?

ახალი მაინც ბევრი რამ შეიძლება ითქვას.

ჯერ ერთი, შესაძლებელია შენებურად თქმა ყოველივე იმისა, რაც შენამდე ითქვა; შესაძლებელია შენი, მხოლოდ შენი უშუალო დამოკიდებულების გამოხატვა შექსპირის ყოველი დიდი თუ მცირე პრობლემის მიმართ. ყოველი მისი მხატვრულ-თემატიკური მოტივის მიმართ; შესაძლებელია თანამედროვეობის ყველა დიდი თუ მცირე ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური პრობლემის, თანამედროვე მხატვრული აზრის ყველა მონაპოვრის დაკავშირება შექსპირთან, რადგან არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადამიანიც და მთელი კაცობრიობაც თავისი სულის შედგენილობით, თავისი სულიერი კონსტიტუციით ჯერ კიდევ, შესაძლოა, შექსპირის სამყაროში იმყოფებოდეს, შესაძლოა, ჩვენი სულის განვითარებაში ჯერ კიდევ არ იყოს გადალახული შექსპირის უღელტეხილი თუ რუბიკონი. ყოველ შემთხვევაში, ადამიანს დღესაც თითქმის იგივე ვნებები, გრძნობები და ინსტინქტები, სულის იგივე თვისებები და იმპულსები ამოძრავებენ, რაც ამოძრავებდათ შექსპირის პერსონაჟებს. შექსპირმა კი თავისი ეპოქის ადამიანის სულის ანატომია მხატვრულად ამომწურავი სისრულით გამოსახა. შესაძლოა, ერთობ პარადოქსალური მოსაზრება იყოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ამ მხრივ, ე. ი. აქამდელი ადამიანის სულის ანატომიის მხატვრული გამოსახვის მხრივ რაიმე დიდად საგრძნობი ახალი ნაბიჯი არ გადაუდგამთ წინ თუნდაც მხატვრული სიტყვის ისეთ გენიოსებსაც კი, რომლებიც რაღაც უცნაური მიზეზების გამო უარყოფითად ეკიდებოდნენ შექსპირის შემოქმედებას. ვინ იცის, იქნებ ამ მხრივ რაიმე საგრძნობი ახალი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელიც იყოს მანამ, სანამ ადამიანი საბოლოოდ არ დააღწევს თავს აუცილებლობის სამეფოს და მტკიცედ არ დამკვიდრდება თავისუფლების სამეფოში.

ის კი, თუ საიდან, რატომ და როგორ მოიყარა თავი დროისა და სივრცის ასე დიდი განფენილობის მომცველმა შემოქმედებითმა ძალამ ერთი ეპოქის ერთ პიროვნებაში არასგზით არ შეიძლება აიხსნას შემთხვევითობით ანუ განუმეორებელი გენიოსის უეცარი და მოულოდნელი მოვლინებით. ამას, ალბათ, განაპირობებდა მიზეზშედეგობრივ კავშირთა მთელი ჯაჭვი, მრავალთა მრავალი არა მარტო ბიოლოგიურ-გენეტიკური, არამედ სოციალურ-ისტორიული და კულტურული ფაქტორი, ყოველი გენიოსი თავისი ეპოქის წიაღში მწიფდება და ეპოქისავე ამოცანებთან და პრობლემებთან ერთად იბადება. იმ ეპოქის პრობლემებს ჰქონდათ, ალბათ ასე შორს მიმავალი მისამართი...

ამ ფიქრებს, ამ საკითხებს ამადევნა ცოცხლად და საკმაოდ დაწერილმა პატარა წერილმა („უილიამ შექსპირი"), რომლითაც ახსნება წიგნი. წერილი მოკლედ, შეკუმშულად იძლევა ზოგად ამოსავალ ცნობებს შექსპირის ეპოქისა, ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ, შექსპირის ადგილის შესახებ კაცობრიობის მხატვრული კულტურის ისტორიაში.

შექსპირის თემას სხვა კუთხით, სხვა განხრით წიგნში აგრძელებს ნარკვევი — „შექსპირის ქართული თარგმანები" და ვრცელი რეცენზია — „შექსპირის მემორიალური თეატრი". ნარკვევი საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ მოკლედ გვაცნობს შექსპირის ქართულად გადმოღების ისტორიას და კარგად გვიჩვენებს შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანის მაღალხარისხოვნებას, არამედ უფრო მეტად იმით, რომ იგი არსებითად გვისაბუთებს ქართული ენის უდიდეს შესაძლებლობას გარესამყაროსა და ადამიანის სულის ყოველი ვითარების გამოსახვაში. საკვლევით სწორია ავტორი, როცა ამბობს, რომ შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები „რაღაც ბედნიერ შემთხვევითობად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ჩვენი დიდი კლასიკური ლიტერატურის ბუნებრივ გაგრძელებად".

ამ წერილების ღრმა საფუძვლიანობისა და მართებულობის მიუხედავად შესაძლოა, ავტორის ზოგიერთი მოსაზრება და დებულება მაინც პრობლემატურად და სადავოდ მივიჩნიოთ. მაგალითად, ვფიქრობ, არ შეიძლება, გავაბსოლუტუროთ ანუ ურყევ კანონად ვაღიაროთ დებულება — „სათარგმნი ანდაზა უნდა შეიცვალოს იმავე აზრისა და განწყობილების გამომხატველი საკუთარი ანდაზით". ცნობილია, რომ გარდა აზრისა და განწყობილებისა, ყოველ ანდაზას გააჩნია თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ელფერიც. სასურველია, თარგმანში არ დაიკარგოს ეს ელფერი. მაგალითად, მგონია, რომ ინგლისური ანდაზა — „ვიდრე ბალახი გაიზრდებოდეს, რაში შიმშილით მოკვდება" პოეტურად თითქოს უფრო ცინცხალია, ვიდრე „პავლეს ტყავს გააძრობენ, სანამ პეტრე მოვიდოდეს". ამიტომ ამ უკანასკნელისათვის უპირატესობის მინიჭება თარგმანისას იმ საბაბით, რომ იგი ქართულში დიდიხანია დამკვიდრებულია, ეგონებ, მართებული არ არის. ფრაზის გაწყვეტა კი, რასაც პიესის დედანი მოითხოვს, ერთ შემთხვევაშიაც შეიძლება და მეორე შემთხვევაშიაც.

ასევე პრობლემატურად მიგვაჩნია რეცენზიაში კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ თითქოს ჰამლეტის დედა გერტრუდა გაორებული ხასიათი არ იყოს და ამის გამო არც ტრაგიკული პიროვნება იყოს, თითქოს იგი ცალპირად იყოს დაწერილი იმ მასალით, იმ სა-

ღებავით, რასაც შეიცავს მხოლოდ ცნობილი რეპლიკა — „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“.

ამდაგვარი საკითხების აღძვრა და გარკვევა, ვფიქრობ, მეტ სიღრმეს, მეტ სინათლეს, მეტ მტკიცებას საჭიროებს.

შესაძლოა, შენიშვნები სხვაც გვექნეს, მაგრამ უწყინარი და არცთუ მთლად უყოყმანო შენიშვნები. მათ არ ძალუძთ ჩრდილი მიაყენონ ლიტერატურული შრომის ღირსებას, პირიქით, ვფიქრობთ, ამ წიგნში წარმოდგენილი მცირე შექსპირიანა თამამად და უფლებამოსილად უერთდება კარგ რეალისტურ ნაკადად მთელ ქართულ შექსპირიანას.

ლიტერატურის მოყვარული მკითხველი კმაყოფილებით წაიკითხავს ასევე მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულ მოკლე წერილებს (თავისებურ ლიტერატურულ პორტრეტებს) ჯონ მილტონის, რობერტ ბერნსის, ჩარლზ დიკენსის, მაინ რიდის, მარკ ტვენისა და ერნესტ ჰემინგუეის შესახებ. ამ წერილების მეშვეობით მკითხველი უეჭველად მიიღებს, მართალია, არცთუ ვრცელ, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ამ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მხოლოდ, შესაძლოა, რამდენიმედ გული დაგეთანაღროს იმის გამო, რომ ამ წერილებში ვერ იპოვით პარალელებსა თუ დაკავშირებას თანამედროვეობის საკირბოროტო საკითხებთან, ვერ იპოვით საფუძვლიან პარალელებს ქართულ ლიტერატურასთან. ეს კი, ჩემი აზრით, შესაძლებელიც და საჭიროც არის.

ერთი, საგულისხმო ამბავი: რობერტ ბერნსს ქართულ ლიტერატურაში ზოგჯერ რაღაცით ანათესავებენ ვაჟა-ფშაველას. მაგრამ ამას ყოველთვის მხოლოდ გაკვრით თუ გარბენით აღნიშნავენ. არსებითად კი, რამდენადაც ვიცი, არავინ შეცდილა ღრმად და საფუძვლიანად შეედარებინა თუ შეეპირისპირებინა ვაჟასა და ბერნსის მოტივები, იდეები, პრობლემები, პოეტური ხერხები. მათი შემოქმედების სოციალურ-ისტორიული და კულტურული სათავეები, სამწუხაროდ, წიგნის ავტორიც ამ საკითხს ასევე გაკვრით და გარბენით შეეხო. ამავე დროს, რამდენიმედ გულუბრყვილოდ გვეჩვენება არსებით მსგავსებად იმის მიჩნევა, რომ „ორივე პოეტის შემოქმედებას ერთი წყარო კვებავდა“, სახელდობრ, თავთავისი ხალხის სული და ცხოვრება. მაგრამ რომელი ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედება არ იკვებებოდა და არ იკვებება ამავე წყაროდან? თავისთავად კი კარგად დაწერილი რობერტ ბერნსის ლიტერატურულ პორტრეტში, თუ მხედველობაში არ გვექნება ზოგიერთი გარეგნული ბიოგრაფიული შტრიხი, მაინცდამაინც ვერ ვიგრძნობთ ბერნსისა და ვაჟას რაიმე არსებით შემოქმედებითს სიახლოვეს. ისე კი, უეჭველად ფრიად სა-

სურველია ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და გაშუქება. მადლობა ღმერთს, გვყვანან ინგლისური ლიტერატურის ისეთი კარგი მცოდნენიც, როგორც ვთქვათ, წიგნის ავტორია, და ინგლისური პოეზიის, კერძოდ, ბერნსის ლექსების ისე კარგი მთარგმნელებიც, როგორიც, ვთქვათ, თამარ ერისთავია.

წიგნში, რომლის ზოგიერთ ჭაშნიკს ვეხებით აქ, თავისი სიმახვილით თავისი სადღეისო-საჭირბოროტო ხასიათით ყურადღებას იქცევს წერილი „საშვილიშვილო საგანძური", წერილი ეხება ქართული ენის სიწმინდის დაცვის ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ასპექტით. ბუნებრივია, რომ მთავარ მასალად თარგმანებია წარმოდგენილი. ავტორი სამართლიანად ილაშქრებს ენის ცხოვრებასა და განვითარებაში ისეთი მოვლენების, ისეთი ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ბღალავენ ენის ბუნებას, არღვევენ მის შინაგან ჰარმონიას. ენის წახდენის მთავარ საშიშროებად იგი მიიჩნევს არა იმდენად იმ უცხოური ლექსიკური ელემენტების შემოპრას ენაში, რომელთა არაკანონიერება იმთავითვე თვალნათლივია, რამდენადაც იმ არაქართულ ენობრივ ფორმებსა თუ კონსტრუქციებს, რომელთაც „ქართული სამოსელი ჩაუცვამთ და გამოუცდელ თვალს ადვილად ატყუებენ" ავტორი ასკვნის: „სწორედ ეს არის საშიში ენისათვის საერთოდ და... ამჟამად ჩვენს ენაში ყველაზე უფრო სერიოზულია ეს საშიშროება".

რასაკვირველია, ეს დებულება სწორი და მართებულია იქამდე და იმდენად, სანამდეც და რამდენადაც იგი გაქვავებულ დოგმატურ დებულებად არ გვიქცევია.

წერილში მოტანილი ქართულ სამოსელგადაცმული არაქართულის ყველაზე გავრცელებული და თითქმის სამოქალაქო უფლებამოპოვებული ნიმუშები, მაგალითად: „თქვენ როგორ გაწყობთ", „თქვენ თუ გაწყობთ", „ქართველებს მუდამ აწყობდათ" (ნაცვლად იმისა, რომ ითქვას: „თქვენ როგორ გირჩევნიათ", „თქვენ თუ გაძლევთ ხელს", „ქართველებს მუდამ აძლევდათ ხელს" ან „ქართველებს მუდამ ერჩივნათ "და სხვ.): „გასულ წელს დავიცავი დისერტაცია" (ნაცვლად იმისა, რომ ითქვას: „შარშან დავიცავი დისერტაცია" და სხვ.): „დავუშვათ ბავშვი სკოლაში არ გამოცხადდა", „განა ეს დასაშვებია?" (ნაცვლად იმისა, რომ ითქვას: „ვთქვათ (წარმოვიდგინოთ), ბავშვი სკოლაში არ გამოცხადდა", „განა ეს შეიძლება? და სხვ.); „ასეც ვიცოდი" (ნაცვლად იმისა, რომ ითქვას: „აკი ვთქვი", „აკი ვამბობდი" და სხვ.).

იჭვი არ არის, რომ არაქართული „აღნაგობის" გამოთქმები, როგორც წესი, არაბუნებრივი და მიუღებელია ქართული ენისათვის,

მათ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ ამავე დროს, ჩემი აზრით, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ენის მოძრაობისა და განვითარების ზოგიერთ საყოველთაო ტენდენციასა თუ კანონზომიერებას. საქმე იმაშია, რომ არც შორეულ და არც ახლო წარსულში, მით უმეტეს კი დღეს, არც ერთი ენა არ ყოფილა და არ არის დაზღვეული არამცთუ ცალკე ლექსიკური ელემენტების, არამედ ცალკე ენობრივი კონსტრუქციების შემოჭრისაგან. ცხადია, გარედან შემოჭრილთაგან ზოგი რამ კარგადაც მოერგება და კარგადაც ჩაეწერება ენის ცოცხალ ქსოვილს.

იბადება კითხვა: ენის საკომუნიკაციო და გამომსახველობითი ფუნქციის თვალსაზრისით ყველა და ყოველგვარი გარედან შემოჭრილი ენობრივი ნორმა უარსაყოფი და უკუსაგდებია?

აზრის სიცხადისათვის მივმართოთ მაგალითს, წიგნის ავტორი წერს: „ეს გასულ წელს“ ქართული არ არის და ამ გამოთქმამ ლამის განდევნოს ქართული სიტყვა „შარშან“.

ამის ანალოგიით, ალბათ, არც „მომავალ წელს“ არის ქართული, რადგან გვაქვს ქართული სიტყვა „გაისი“.

მე კი ვფიქრობ, რომ „შარშან“-ისა და „გაისის“ გვერდით სრულიადაც არ არის უკუსაგდები და უარსაყოფი არც „გასულ წელს“ და არც „მომავალ წელს“. და აი, რატომ! ჯერ ერთი, სინონიმების სიმრავლე ენას არაფერს ვნებს. მეორედაც, გამოთქმები „გასულ წელს“ და „მომავალ წელს“ — არამცთუ არ ასუსტებენ ენის გამომსახველობითს ენერგიას, არამედ, პირიქით, თითქოს კიდევაც აძლიერებენ მას იმით, რომ შეუძლიათ, ზოგჯერ უფრო ზუსტად გამოხატონ ცნების თუნდაც ოდნავ განსხვავებული ნიუანსი (მაგალითად, „შარშანდელი გეგმა“ და „გასული წლის გეგმა“)

ამრიგად, ჩემი აზრით, ენისათვის საშიშია არა ყველა და ყოველგვარი გარედან შემოსული მასალა და ფორმა, არამედ ისეთი ენობრივი ფორმები თუ კონსტრუქციები, რომლებიც ავიწროვებენ და აუქმებენ ენის საკუთარ მსუყე, სისხლსავსე გამოთქმებს, არღვევენ ენის კეთილხმოვანებას და, რაც მთავარია, ნამდვილად აქვეითებენ, ჰკვეცავენ და ასუსტებენ ენის საკომუნიკაციო და გამომსახველობითს შესაძლებლობებს.

გასაგებია „საშვილიშვილო საგანძურის“ ავტორის შეშფოთება და გულისტკივილი, ადვილი როდია ენის საშიშ „ფილოქსერასთან“ ბრძოლა. მას არა მარტო ცუდი წიგნები, ცუდი თარგმანები, არამედ ხშირად საკმაო ავტორიტეტული ორგანოებიც და კულტურის მესვეურებიც კი ავრცელებენ.

აი, თუნდაც ერთი თვალშისაცემი მაგალითი: ჩვენი ტელევიზია,

რადიო[1] და ჩვენი თვალსაჩინო მსახიობები (დიქტორები) დაჟინებით იმეორებენ, რომ „გადმოცემა მიჰყავდა“ ამასა და ამას, თუმცა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ეს არის ქართული ზმნის უმდიდრესი შესაძლებლობის ულმობელი ჩახშობა, ქართული ენის საშინელი დამახინჯება.

რას მივაწეროთ? ვის შევწამოთ დედაენის აბუჩად აგდება?

მაგრამ ჭაშნიკმა ენის გამო შორს წაგვიყვანა...

აქ არის აგრეთვე რამდენიმე „შინაური“ ლიტერატურული პორტრეტი-მოგონება, წარმოდგენილია სახელდობრ: ერეკლე ტატიშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ალექსანდრე საჯაია, ივანე მაჩაბელი, ზაქარია ფალიაშვილი, დავით ანდღულაძე.

ამრიგად, საქმე ეხება სულიერი ცხოვრების მონათესავე, მაგრამ მაინც სხვადასხვა დარგს: სწავლების ხელოვნებას, ლიტერატურას, მუსიკას, მასშტაბები სხვადასხვაა. აშკარაა: არჩევანი უმალ გულისხმიერია; წინ არის წამოწეული განსაკუთრებული პირადი გრძნობა. მაინც რით არ არის კარგი, როცა გწყურია, თუნდაც ყოველგვარი ობიექტური სისტემატიზაციის გარეშე, შენს სიტყვაში აცოცხლო შენთვის ძვირფასი სახელები და სახეები. მით უმეტეს, თუ ისინი ეკუთვნიან ხალხის ღირსეულ შვილთა რიცხვს.

წრფელი, გადამდები გრძნობით არის დაწერილი თვითეული მათგანის პორტრეტი—გახსენება და მკითხველი იჯერებს, რომ თვითეული მათგანი თავისი ნიჭით, ღვაწლით, შესაძლებლობით, შემართებით, ელვარებით, ტალანტით, დამსახურებით ქვეყნის წინაშე ღირსია მიზღვეული სიყვარულისა.

გვეგადება ერთი პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებაც:

გამოდის, რომ, თუ გული გულობს, უცხოური ლიტერატურის კარგ მცოდნეებსაც შეუძლიათ წარმატებით იმუშაონ „შინაურ“ და სადღეისო თემებზედაც. კერძოდ, ვახტანგ ჭელიძის წინამდებარე წიგნი თვალნათლივ მოწმობს, რომ მას ნიჭიც, ცოდნაც, გემოვნებაც იდეურ-ესთეტიკური ალღოც და ხელოვნების ფაქტის წვდომის უნარიც ყოფნის იმისათვის, რომ ცხოველ მონაწილეობას იღებდეს ქართული ლიტერატურის მიმდინარე პროცესების აქტუალური საკითხების გაშუქებაში. მით უმეტეს, რომ, ჩემი აზრით, იგი არ ეკუთვნის იმ ლიტერატორთა რიცხვს, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ ფლობთ ილუზია, რომ უცხოურიდან ან დიდი კლასიკოსებიდან დღევანდელ თემებამდე „ჩამოქვეითება“ მათ ხელწერას წაუხდენს. ასეთი ილუზიით შეპყრობილთ ავიწყდებათ, რომ საკვლევ-სამსჯელო საგნის თვისება როდი განსაზღვრავს აზრის თვისებას; შეიძლება

იალბუზზედაც კი სწეროთ, მაგრამ იალბუზიეით დიდი აზრეზი არ გექნეთ, ანდა, პირიქით...

ეს სხვათა შორის.

ვახტანგ ჭელიძის წიგნი კი „წერილები, ლიტერატურული პორტრეტები" — ღირსეულად იკავებს თავის ადგილს ქართველი მკითხველის წიგნის თაროზე.

1972

ყველაზე ჰუმანისტური ლიტერატურა

დღეს, როდესაც ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვლილ გზაზე ვფიქრობთ, როდესაც მეხსიერებაში ვფურცლავთ მის საუკეთესო ქმნილებებს, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ იგი ნამდვილად არის ახალი თვისობრივი საფეხური კაცობრიობის მხატვრული შემოქმედების განვითარებაში; საბჭოთა ლიტერატურა ძლიერ ახალგაზრდა ლიტერატურაა, რომელსაც თავისი განვითარების დიდი და ფართო გზა წინ უდევს, ამ ახალგაზრდა ლიტერატურამ უკვე შექმნა თავისი უბრწყინვალესი კლასიკა. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ლიტერატურის ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები, რომლებიც ამ ორმოცი წლის მანძილზე შეიქმნენ და რომელთაც უკვე დიდი მსოფლიო რეზონანსი აქვთ, მტკიცედ არიან შესული საკაცობრიო ლიტერატურის ოქროს ფონდში.

რა განსაზღვრავს და რა განაპირობებს საბჭოთა ლიტერატურის გარდაუვალ აღმავალ განვითარებას?

ს. ესენინის მისამართით დაწერილ ლექსში ვლ. მაიაკოვსკიმ თქვა და შესანიშნავადაც თქვა:

«Для веселя
планета наша
мало оборудована,
Надо
вырвать
радость
у грядущих дней».

კაცობრიობის ბედის მძაფრ ტრაგიკულ განცდასა და უღრმეს ოპტიმისტურ მისწრაფებასთან ერთად ამ დიდი პოეტური ენერგიით თქმულ სიტყვებში საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორული ბუნების, მისი თვისობრივი სიახლის გასაღებიც არის.

ადამიანთა ბედნიერებისა და სიხარულისათვის ჩვენი პლანეტის მოუწყობლობა ოდითგანვე მუდმივი სატანჯველი და საფიქრალი ყოფილა მოწინავე კაცობრიობისათვის, მისი საუკეთესო შვილები-

სათვის. ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალები, მისი გონება და ნებისყოფა დაჯაბამიდანვე მიილტვიან, რათა თავისი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად მოაწყონ ბუნებაცა და ცხოვრებაც. მაგრამ ამ ლტოლვაში ადამიანი მუდამ უამრავ წინააღმდეგობის ხლართებში ყოფილა გაბმული, ამიტომაც, სანამ დედამიწის ზურგზე პრაქტიკულად არ დაიწყო ისეთი სოციალური წესრიგის შექმნა, რომელმაც ადამიანი ნამდვილად უნდა გამოიხსნას ათასგვარ მტანჯველ წინააღმდეგობათა ხლართებიდან და შესძლოს სოციალური ბედნიერების დამკვიდრება,—ადამიანის გონების ყველა მიღწევა არსებითად ძლიერ ნაკლებად იყო გამოყენებული კაცობრიობის დიდი უმრავლესობის საკეთილდღეოდ. პირიქით, ზოგჯერ ასეთი მიღწევა ახალ უბედურებადაც კი ატყდებოდა თავს ადამიანებს.

კაცობრიობის ისტორიის მთელი გამოცდილება იმ დღიდან, რა დღიდანაც ჩვენმა უძველესმა წინაპარმა თავის უმარტივეს საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრება დააწესა, გვიჩვენებს, რომ საყოველთაო ბედნიერება მიუღწეველია ადამიანთა განცალკევებისა და გათიშვის გზით, ძველი სამყარო ადამიანს უნერგავდა რწმენას, რომ ბედნიერება მხოლოდ კერძო ცნებაა და იგი მხოლოდ კერძოობითი მოვლენა შეიძლება იყოს; ამიტომაც მისი მოპოვება შეიძლება მხოლოდ სხვების მიღმა, სხვებისაგან დამოუკიდებლად, სხვებზე გაბატონებით და სხვებისათვის წინ გასწრებითო. საუკუნეები სჭედდნენ, აწრთობდნენ ასეთ ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიას, მარტოსულთა მთელ სულიერ სამყაროს. ბუნებრივია, რომ კაცობრიობის სულიერი კულტურაც ამ ფსიქოლოგიის დარჯაკში ტარდებოდა კლასობრივ საზოგადოებათა არსებობის მთელ მანძილზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაანგრია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სისტემა. საფუძველი გამოაცალა მთელ ძველ ინდივიდუალისტურ სამყაროს და პრაქტიკულად დაიწყო სრულიად ახალი ქვეყნის შენება და მოწყობა ადამიანთა საკეთილდღეოდ. საბჭოთა ლიტერატურაც თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ამ ახლის შენების გრანდიოზული პროცესების არა მარტო ამსახველი, არამედ უშუალო მონაწილეც გახდა.

ახალ სოციალურ სარბიელს, ახალ ისტორიულ ვითარებას არ შეიძლებოდა არ მოეთხოვა მხატვრული შემოქმედების ახალი გეზი, ახალი მიმართულება.

აქედან ცხადია, რომ საბჭოთა ლიტერატურა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიას, მის ესთეტიკურ-ემოციურ მიდრეკილებას, მის მსოფლშეგრძნობას. ინდივიდუალიზ-

მი არა მარტო როგორც ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, არაძე როგორც გაუცნობიერებელი ინსტინქტური მიდრეკილებაც კი პოლარულ წინააღმდეგობაშია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ბუნებასთან. ისე როგორც ახალი სოციალისტური საზოგადოება შენდებოდა ძველი სახელმწიფოებრივი ბიუროკრატიული აპარატისა და ძველი საზოგადოებრივი სტრუქტურის ნანგრევებზე, სოციალისტური ლიტერატურაც ვითარდებოდა და შეიძლება განვითარდეს ინდივიდუალისტური იდეურ-ემოციური სამყაროს ნგრევის ნიადაგზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი უფრო ხანგრძლივი და უფრო რთული პროცესია. ისე როგორც ზღვა ებრძვის, ლეწავს და რიყავს თავისი სტიქიისათვის უცხო სხეულებს, სოციალისტური ლიტერატურაც ვერ ჰგუობს, ებრძვის და ამსხვრევს ინდივიდუალისტურ წარმოდგენებს და მისწრაფებებს... და აი, აქ, ამ ფონზე ჩვენი მტრები და ზოგჯერ ცდუნებული არამტრებიც პოულობენ თავიანთი მტრული შეხედულებების, თავიანთი ყალბი ილუზიების ვითომდა რაღაც „საბუთებს". რაკი საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხოა ეგრეთწოდებული მარტოსულთა მიზახთტროპიული სულისკვეთება, განგსტერების „მორალის" პოეტიზირება, ქონმოდებული ბურჟუაზიული ფლეგმატიკოსების ავადმყოფური ფსიქოლოგიზმი და უსაგნო, აბსტრაქტულ ფორმათა კეთება, — ისინი ფიქრობენ, რომ საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი შესაძლებლობანი შეზღუდულიაო.

მტრებს არ მოსწონთ საბჭოთა ლიტერატურის დამამკვიდრებელი პათოსი, არ მოსწონთ ის, რომ ჩვენი სინამდვილის ნაკლოვანებათა მხილებაში ის არ მიდის თვით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების უარყოფამდე. მაგრამ ეს მათი გაბოროტებისა და მათი ინდივიდუალისტური შეზღუდულობის მაჩვენებელია.

საბჭოთა ლიტერატურას კი სწორედ ჩვენი ცხოვრების იმ ფორმების დამკვიდრების პათოსი აძლევს შემოქმედების შეუზღუდავ შესაძლებლობას, რომლებიც მოაწყვებენ ჩვენი პლანეტის მოწყობას ადამიანთა სასიხარულოდ.

ინდივიდუალისტური მსოფლშეგრძნება ყოველთვის ზღუდავდა საზოგადოებრივი შეგნების თვალსაწიერს, ინდივიდუალისტურ-ეგოისტური ანგარებანი ყოველთვის უშლიდა და უშლის ხელს გარესამყაროსადმი უშუალო და წმინდა ადამიანურ დამოკიდებულებას, სილამაზისა და სიკეთის უშუალო ადამიანურ აღქმას. ინდივიდუალიზმი პირდაპირ აბრმავებს გონების თვალს ყოველივე პროგრესულის მიმართ.

ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ საბოლოოდ დაჰკარგა თავის

ადრინდელ მწვერვალებზე ასვლისა და დიდი მონუმენტური ფორმების შექმნის შესაძლებლობა, იგი დაღმავალი გზით მიდის.

საბჭოთა ლიტერატურას კი, როგორც ვთქვით, აღმავალი განვითარების ყველა შესაძლებლობა და ყველა პირობა გააჩნია. იგი ყველაზე ჰუმანისტური და ყველაზე პროგრესული ლიტერატურაა კაცობრიობის მთელ ისტორიაში. ამ შესაძლებლობათა ხორცშესხმა საბჭოთა შემოქმედებითი ძალების უდიდეს მობილიზებას, უდიდეს თვითკონტროლსა და თვითკრიტიკას მოითხოვს.

ჩვენს ლიტერატურას წინსვლა და განვითარება გაუძნელდებოდა, თუ იგი თვალს დახუჭავდა ზოგიერთ თავის არსებით ნაკლოვანებაზე, მისთვის იმ უცხო ტენდენციებზე, კერძოდ ფრიად საშიშ ინდივიდუალისტურ ტენდენციებზე, რომლებიც დროდადრო თავს იჩენენ ხოლმე აქა-იქ.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ინდივიდუალისტური მიდრეკილებით შეპყრობილი შემოქმედი ჩვენს დროში, რაგინდ ნიჭიერიც უნდა იყოს, ვერ შეჰქმნის ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სოციალისტური ლიტერატურის საგანძურში შევა და დროის დიდ გამოცდას გაუძლებს. ასეთი შემოქმედის ნიჭის გაელვება ყოველთვის ეფემერული და წარმავალი იქნება, რადგან ინდივიდუალიზმი ყოველთვის შეუშლის მას ხელს ჩასწვდეს ეპოქის მოვლენათა ნამდვილ არსსა და აზრს.

საბჭოთა ლიტერატურის ფართო გზა ახალი ქვეყნის სულიერი სამყაროს ღრმა ხვეულებისაკენ მიიმართება.

დიადი მიზნით გაცისკროვნებული

ჩვენ ვადგიეართ კაცობრიობის ისტორიის დიდ ახალ შარაგზას.

ამ ორმოცდაათი წლის წინათ პირველად კაცობრიობის ისტორიაში და პირველად დედამიწაზე შეიქმნა ხალხთა ერთიანი ძმური ოჯახი — დიდი სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ეს იყო და არის არა მარტო დიდი ისტორიული ფაქტი, დიდი ისტორიული რეალობა, არამედ დიდი ისტორიული გამიზნულობაც.

თანასწორთა და თავისუფალთა ძმური კავშირი!

რა დიდებული და რა წარმტაცია!

გინდა რაღაც ახალი სახე, ახალი ფერი, ახალი სიტყვა მოძებნო ამ დიდი ისტორიული მოვლენისა და კიდევ უფრო დიადი სამომავლისო იდეალის დასახასიათებლად, მაგრამ იმდენად საყოველთაო, საარსებო და სისხლხორცეული რამ არის იგი საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის, პროგრესული კაცობრიობისათვის, რომ განმეორებას ძნელად თუ ავცდებით.

საარსებო და სისხლხორცეული სწორედ იმიტომ, რომ თანასწორთა და თავისუფალთა ძმური კავშირი არ შეიძლება სრულად არ გამორიცხავდეს ერთის მიერ მეორის ჩაგვრის, დამონების, შევიწროების და დამცირების მცირე ნასახსაც კი, საარსებო და სისხლხორცეული სწორედ იმიტომ, რომ ყოველი სოციალისტური ერის ბედი, ყოველი საბჭოთა ადამიანის ბედი განუყოფელად გადაწნული და დაკავშირებულია ჩვენი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ბედთან.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეალებს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მჩაგვრელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანები უხსოვარი დროიდან ოცნებობდნენ ძმობაზე, ერთობაზე, თანასწორობაზე. სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველა ერის მშრომელი ფენები ისწრაფვოდნენ ძმობისა, მეგობრობისა და ერთობისაკენ. ყველა ერის მოწინავე ადამიანები — მებრძოლი რევოლუციონერები, პროგრე-

სული საზოგადო მოღვაწენი. მწერლები, მეცნიერები, ხელოვანები უნერგავდნენ თავიანთ ხალხებს ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებს. იდეები კი, როგორც ცნობილია, მატერიალურ ძალად იქცევიან, როდესაც ისინი ეუფლებიან მასებს.

ცხადია, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა მოამზადეს და განაპირობეს სწორედ ისტორიულად გამომუშავებულმა და ხალხის შეგნებაში ფესვგამდგარმა, ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელმა იდეებმა.

მაგრამ ერთია ისტორიულად მომდინარე ტრადიციები და სხვა არის ამ ტრადიციების განვითარება და გაღრმავება ახალი სოციალურ-ეროვნული ურთიერთობის პირობებში.

თავის მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ განსაზღვრა და განაპირობა საბჭოთა ხალხების, საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური შეგნების თვისობრივად ახალ საფეხურზე ასვლა, ხალხებისა და ადამიანების ძმობის, ერთობის და თანასწორობის იდეათა გაღრმავება და გაუხვება.

საბჭოთა მწერლობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ორგანო საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრებისა, ყველაზე მკაფიოდ გამოსახავს ინტერნაციონალურ იდეათა ამ გაღრმავებასა და გაუხვებას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის პროცესში.

კერძოდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მონაღვაწი. მის ერთ-ერთ ძირითად და სიღრმისეულ ლაიტმოტივად უცილობლად შეგვიძლია, მივიჩნიოთ გალაკტიონის საპროგრამო ლირიკული აღსარება:

> მშობლიურო ჩემო მიწავ,
> შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
> რომ დავიცავ ერთა ძმობას,
> მეგობრობის ფიცს დავიცავ!

მაგრამ საქმე მარტო იმაში როდია, რომ თითქმის არ შეიძლება, მოიძებნოს ქართველი საბჭოთ მწერალი, რომელიც რაიმე კუთხით არ შეხებოდეს ერთა ძმობასა და მეგობრობის თემას. უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხალხთა ძმობა და მეგობრობა ჩვენი მწერლობისათვის მხოლოდ თემა, მხოლოდ გამოსახვის საგანი როდია, არამედ ყველა თემის გადაწყვეტის, ყოველი საგნის დანახვის ღრმა შინაგანი გეზიც და სამყაროსადმი იდეურ-ესთეტიკური დამოკიდებულებაცაა.

ადამიანთა ინტერნაციონალური ერთობა არა მარტო დიდი სოციალური სიკეთეა თავისი შინაარსით, არამედ წარმტაცი სილამაზეცაა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ფორმა — აი, რას ამოვიკითხავთ ჩვენ დღეს ქართულ საბჭოთა ლიტერატურის ბევრ ქმნილებაში.

თამამადვე შეიძლება ითქვას, რომ ფრიად თვალსაჩინოა ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მონაღვაწი ინტერნაციონალური და ეროვნული მოტივების ჰარმონიული შეხამებისა თუ შერწყმის მხრივაც, იმის მხატვრულ-ემოციური გაცხადების მხრივაც, რომ ინტერნაციონალური არამც თუ არ გამორიცხავს ეროვნულს, არამედ, პირიქით, იგი არც შეიძლება არსებობდეს ეროვნულ მრავალფეროვნებათა გარეშე, უკეთეს ეროვნულ თვისებათა და ტრადიციათა ჰარმონიული შედეგლაბების გარეშე.

არ არსებობს ქვეყნად ადამიანთა მეგობრობასა და ძმობაზე უფრო დიდი ძალა, სიკეთე და მშვენიერება. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მოვლენილი და მოწოდებულია სწორედ იმისათვის, რომ ამრავლოს ეს ძალა. ეს სიკეთე, ეს მშვენიერება, ამრავლოს ყველა ერის, ყველა ადამიანის კეთილდღეობა, თავისუფლება და შემოქმედებითი ძალები.

ამიტომაც არის ურღვევი დიადი მიზნით გაცისკროვნებული კავშირი თანასწორთა და თავისუფალთა.

1972

საგანი შთაგონებისა

ყოველთვის, როდესაც გზადგავლილი ზემო იმერეთის ცის ერთ მონაკვეთს გავხედავ, უნებლიეთ გული მეკუმშება, ვწუხვარ, სინანულის გრძნობა მიპყრობს: მენანება ჰაერი, მენანება ეს ცა. ასეთი ამღვრეული ცის გამო გალაკტიონი, ალბათ, ვერ იტყოდა: „შეხედე, რა ცაა, ესაა რაცაა". ასე მგონია, ამ ცადაწვდილი შავი მილებიდან ამომავალი ბოლი, განსაკუთრებით კი ყვითელი ბოლი, მეტად შხამიანია და ირგვლივ ჰაერს სწამლავს. ეს მხოლოდ ჩემი განცდაა, ჩემი პიროვნული შეგრძნება. მე სპეციალისტი არა ვარ და, რასაკვირველია, არ ვიცი, მართლაც, შხამიანია თუ არა ეს ყვითელი თუ შავი ბოლი. ასეც რომ იყოს, რას იზამ... წარმოებაა და წარმოება კი ქვეყნისათვის აუცილებელ მატერიალურ ღირებულებას ქმნის... მაგრამ არა, ჩვენ ასე თქმა არ შეგვიძლია, უფლება არა გვაქვს გულგრილი ვიყოთ ცისა და მიწის ბედის მიმართ.

აი, ჩვენს წინაშეა სკკპ მე-24 ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური აზრი, რომელსაც ამ დირექტივებით დავალებული აქვს ჰაერისა და წყლის ყოველგვარი გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, უეჭველად, შექმნის როგორც „სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გასაწმენდ ნაგებობებს, გაზსაწმენდ და მტვერდამჭერ დანადგარებს", ისე ყოველგვარი მავნე ბოლისა და მანქანათა გამონაბოლქვი გაზების შემსრუტავ მოწყობილობებს. ვინ იცის, იქნებ, ეს მავნე გაზები ფრიად საჭირო და სასარგებლო კრისტალებადაც თუ სხვაგვარ ქიმიურ ნაერთებადაც კი აქციონ.

სიტყვა ყვითელ კვამლზე იმიტომ ჩამოვაგდე, რომ ერთხელ კიდევ გამეხსენებინა: თავის ნებაზე მიშვებული მოვლენები თუ პროცესები, იქნება ეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოებასა თუ ბუნებაში, სასიკეთო რამეს იშვიათად თუ უქადიან სიცოცხლეს. ეს ადამიანთა საუკუნეობრივი გამოცდილებებით არის დადასტურებული.

ადამიანები, რასაკვირველია, მეტად თუ ნაკლებად იმთავითვე იწყებენ გარემო მოვლენებსა თუ პროცესებში ჩარევას და შეძლებისდაგვარად მათ წარმართვას თავისი საარსებო ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ ამ ჩარევის ანუ გარემოზე ადამიანის ზემოქმედების ხასიათს, საზღვრებს და შედეგებს ყოველთვის განსაზღვრავდა და განსაზღვრავს თვით საზოგადოების აგებულება, მისი სოციალ-პოლიტიკური შინაარსი. ცხადია, შეურიგებელი სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობებით გათიშულ საზოგადოებაში, იქ, სადაც წარმოებაში ანარქია სუფევს, შეუძლებელიცაა გარემო მოვლენებისა და პროცესების წარმართვა მთელი ხალხის, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. მაგალითად, რომელიმე დიდი ქარხნის კერძო მფლობელი შეპყრობილი მეტი მოგების მიღების ჟინითა და სურვილით, ნაკლებად აიტკივებს თავს იმაზე ფიქრით, რომ მისი ქარხნის საკვამურებმა და წყალსადენებმა არ გააჭუჭყიანონ ჰაერი და წყალი...

სოციალისტური საზოგადოების პირობებში კი ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარმოების პროცესებში შემოქმედებითი მეცნიერული აზრის აქტიური, მიზანსწრაფული ჩარევა და ამ პროცესების წარმართვა მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ — წარმოადგენს თვით სოციალისტური საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობას. სოციალისტურ საზოგადოებას და მის მთავარ მესაჭეს — კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია თავის ნებაზე მიუშვას მოვლენები, არ შეუძლია, სტიქიას მიანდოს ქვეყნისა და ხალხის ბედი...

დირექტივების აზრიც ამაშია. ისინი მკაფიოდ გამოხატავენ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ყველა პროცესის წარმართვას ხალხის საკეთილდღეოდ, ადამიანების საკეთილდღეოდ. სწორედ ამ წარმმართველ დანიშნულებაშია ამ დირექტივების ცხოველმყოფელობაც. „ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, — ნათქვამია დირექტივებში, — რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“.

დირექტივების ყოველი ფრაზის უკან მოჩანს უდიდესი საქმეები.

და მართლაც, იმ საქმეთა ხორცშესხმა, რაც მთავარი ამოცანის განსახორციელებლად არის დასახული, დიდად წასწევს წინ მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებას პროგრესისა და კეთილდღეობის გზაზე.

კერძოდ, საქართველოს შემდგომი განვითარებისა და აყვავების

წარმტაცი პერსპექტივა გვეშლება თვალწინ. არა მარტო უდიდეს მატერიალურ ღირებულებათა წყაროდ, არამედ ახალ სილამაზეთა, ახალ მშვენიერ გარემოთა წარმოქმნის წყაროდ, გვესახება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეთა ამოქმედება, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პირველი ელექტროსადგურის ამუშავება, დიდებული ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის დაწყება ჟინვალში, მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დამთავრება და სხვა მრავალი.

მწერლობას, ისე, როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, აქვს საგანი აღფრთოვანებისა, გარჯისა, შთაგონებისა.

1971

ვებრძოლოთ ბრაკონიერობას

ბუნებისადმი გულგრილი დამოკიდებულება სავსებით უცხოა ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის. საბჭოთა ადამიანი ბუნების არა მარტო გულმხურვალე მფარველია, არამედ მისი ახალი, მშვენიერი და დიდებული ფორმების შემოქმედიცაა. მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც ეს არ ესმით: ისინი გამსჭვალულნი არიან ძველი ფსიქოლოგიის გადმონაშთებით. მათ ახასიათებთ ეგოისტური მომხვეჭელობა, გონებრივი სიჩლუნგე და გულგრილობა ბუნების სილამაზისადმი, მისი მომავლისადმი. ჩვენ მხედველობაში გვყავს ბრაკონიერები, ნადირობისა და თევზაობის წესების დამრღვევნი, რომელნიც ამ ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდნენ.

ბრაკონიერი ყოვლად საზიზღარ საქმეს ჩადის. მისი ხანგრძლივი „ღვაწლის" შედეგია ის, რომ ჩვენი ფაუნის უმშვენიერესი წარმომადგენელი — დურაჯი — საქართველოში თითქმის სრულიად გადაშენებულია; ასეთივე საშიშროება მოელის ჩვენი ფაუნის სიამაყეს — ხოხობს, კაკაბს, გნოლს.

ბრაკონიერი ფრინველს, ნადირს, თევზს ანადგურებს უმთავრესად ბარტყობის, მეძუძურობის და ქვირითიანობის დროს, სწორედ მაშინ, როცა ისინი შედარებით უმწეონი არიან.

ბრაკონიერი ანადგურებს ქვეყნის ბუნებას, მის სილამაზეს: ამასთან იგი აუხამსებს და აბინძურებს ისეთ სახალისო სპორტს, როგორიცაა ნადირობა.

ახლა ბრაკონიერი განსაკუთრებით წყალს ეტანება. მათმა წრეგადასულმა ბოროტმოქმედებამ გვაიძულა დაგვეწერა ეს სტრიქონები.

აბა სცადეთ და ერთი დღე დაჰყავით ჩვენი შავი ზღვის სანაპიროზე — აი, თუნდაც ქობულეთში. თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს აფეთქებათა მგრგვინავი ხმა. ყრუ, შეხუთული გრიალი მიგახვედრებთ, რომ აფეთქება ზღვაში ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გათავხედებული ბრაკონიერი ზღვასაც მიადგა. იგი დინამიტებით, თუ სხვა რამ ასაფეთქებელი საშუალებებით ანადგურებს

უამრავ წვრილსა და მსხვილ თევზს. მას დახოცილი თევზების მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ამოაქვს ზღვიდან. ოღონდ ერთი ასხმა თევზი იშოვოს და სხვა არაფერი ენაღვლება.

ძნელია ნათლად დაინახოთ ზღვაში ბრაკონიერის „მოღვაწეობის“ შედეგი. მაგრამ მე მინახავს ეს შედეგი მთელი სიცხადით მდინარეზე. მარნეულის რაიონში, წითელი ხიდის ახლოს, დილაადრიან მე და ჩემი მეგობარი ასეთ სურათს წავაწყდით: მდინარე ხრამის ერთი საკმაოდ განიერი ტოტი, რომლის სიგრძე ორასი მეტრი მაინც იქნებოდა, სულ გადათეთრებული იყო დახოცილი თევზებით. ჩემმა მეგობარმა უნებლიეთ წამოიძახა.

— რა შემაძრწუნებელი სასაფლაოა!

ამ „სასაფლაოს“ აუარებელი კაჭკაჭი ეხვეოდა.

— დილაბნელზე თბილისიდან მოგრიალდა ოთხი კაცი „პობედით“ და ტონა-ნახევრიანი საბარგო მანქანით. მაშინვე წყალში კირი გაუშვეს, საბარგო მანქანა თევზით აავსეს და სასწრაფოდ უკან გაბრუნდნენ, — გვითხრა ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომელიც იქვე ხის ტოტებს ჩეხდა და საკმაოდ გულგრილად იყო განწყობილი მდინარეზე დატრიალებული ტრაგედიის მიმართ.

გვენიშნა. ჩვენ ისინი შავნაბადასთან შემოგვხვდნენ. მათ საკმაოდ ინტელიგენტურ სახეებზე სრული კმაყოფილება ეხატათ. კიდევაც გაგვიკვირდა, რომ სანადირო თოფებმომარჯვებულნი ასე ადრე ბრუნდებოდნენ უკან, ვიფიქრეთ გზაზე ალბათ გეზი შეცვალესო.

მაინც ვინ არიან ბუნების ეს ულმობელი მეკობრენი?

ნუ ეწყინებათ ჩვენს მონადირეებს, თუ ეჭვს გამოვთქვამთ, რომ მათგან სამ მეოთხედს ამ საქმეში მეტნაკლები წილი უძევთ.

ბრაკონიერობასთან ბრძოლა ადვილი იქნებოდა, რომ მას თითოეროლა კაცი ეწეოდეს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ნადირობის წესების დარღვევა თითქმის გადამდებ სნეულებად იქცა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ სნეულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგი იმ ადამიანებშია, რომელთაც ადვილად ხელმისაწვდომი ტრანსპორტი და ბუნებაში გავლის ხალისი გააჩნიათ.

ამ ორიოდე წლის წინათ ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ხიდისთავში ასეთი შემთხვევის მოწმე გავხდი: სოფლის შუაგულში, დღისით, მზისით, მდინარე გუბაზოულის პირას გამწკრივებულიყო ხუთი კაცი, ერთმანეთზე დაახლოებით ას-ასი ნაბიჯის დაშორებით; ხუთივეს გამზადებული დინამიტი ეჭირა ხელში. ქვემოთ ტანგახდილი ბავშვები მდინარეში ქვებს ისროდნენ, წყალს ადგაფუნებდნენ, თევზებს ერეკებოდნენ ზემოთ. ერთმანეთზე მოყოლებით აფეთქდა ხუ-

თი დინამიტი, შეიქნა ერთი აურზაური, ბავშვები წარამარა ყვინთავდნენ წყალში, ნაპირზე გადამდგარი უფროსები აქეზებდნენ: „არიქა, ბიჭო, არიქა! ეგერ მიაქვს! მიუსწარი, თორემ ღარისთვალში გადაიტანს!“ მთელი ნადავლი კი ორი პეშვი ჭიჭყინა თევზი აღმოჩნდა. ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ მთელ ამ „ლაშქრობას“ მეთაურობდა კაცი, რომელსაც საკმაოდ თვალსაჩინო თანამდებობა ეჭირა რაიონში.

— ეს ოხერი, წყალში თევზი სულ გამოილია, — სინდისშეუშფოთებლად ჩიოდა ერთი „მოლაშქრეთაგანი“.

„ჰაი, ჰაი, რომ მართლაც გამოილია, და გამოილია სწორედ შენისთანა ბრაკონიერების წყალობით“, — გავიფიქრე გულში.

განა არ მახსოვს, რომ მდინარე გუბაზოული და მისი შენაკადები — საშვალა და კალაშა სავსე იყო კალმახით და წვერათი? გადავადგებოდით რომელიმე ღრმა და ანკარა მორევს, რომლის ფსკერი ხელისგულივით მოჩანდა. თვალს გვჭრიდა კალმახების ფერად-ფერადი ფორეჯების ელვარება, თითქოს ბუნების ჯადოქრულ ხელს მოლიცლიცე ფერებით წარმტაცი სურათი ჩაუხატავსო, ჩანჩქერში, ლოდქვეშ რამდენჯერ ჩამივლია ხელი ლაყუჩებში და ამომიყვანია წყრთის სიგრძე კალმახი, ან წვერა. დილდილობით ხშირად მომიხსნია რამდენიმე თავი თევზი ღამით დაყრილ ანკესების ლარიდან. ის კი, ვისაც გასაშლელი ანუ სასროლი ბადე ჰქონდა, ორიოდე საათს გულს იჯერებდა ბადის საღონავში გაბმული კალმახების ფართხალით, ჩანთასაც პირამდე აავსებდა.

ახლა კი, წამლადაც რომ გინდოდეთ, გუბაზოულში კალმახის ლიფსიტასაც ვერ იპოვით.

ბრაკონიერი ანადგურებს სიმდიდრესაც და სილამაზესაც, იგი ათასგვარ ვერაგულ საშუალებას იგონებს ბუნების დასაწიოკებლად. მე არ მინახავს, მაგრამ ფრიად სარწმუნო წყაროდან გავიგე, რომ ბრაკონიერი ახლა ელექტროდენსაც იყენებს თევზების გასანადგურებლად. თურმე მდინარეში პარალელურად გააბამს ორ მავთულს და მოძრავი კინოაპარატიდან შეუერთებენ უარყოფით და დადებით დენს, წყალში ელექტრობა ვრცელდება და რამდენიმე მეტრზე იხოცებიან საგანგებოდ მორეკილი თევზები.

ბრაკონიერობა წრეს გადადის.

ბრაკონიერი ცუდი კაცია. იგი სოციალისტური დოვლათის გამნიავებელია.

რუსული პრესა საკმაოდ ხშირად აქვეყნებს შენიშვნებს და ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც კი ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

ჩვენში, ამ რამდენიმე წლის წინათ „ლიტერატურა და ხელოვნე-

ბას“ ფურცლებზე მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ ერცელი და საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ამ საკითხის გამო.

საჭიროა, ჩვენმა პრესამ მეტი ყურადღება დაუთმოს ამ საკითხს და ნამდვილად დარაზმოს საზოგადოებრივი აზრი ამ მეტად მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ.

მაგრამ ესეც არ კმარა. საჭირო იქნება სხვა უფრო გადამჭრელი ზომების მიღებაც! საჭიროა საჯაროდ ვამხილოთ და დავსაჯოთ ბრაკონიერები, რომლებიც ესოდენ ულმობლად ანადგურებენ საქართველოს ბუნებას.

1953

იმ დილით

ორიოდე წელია, რაც თითქმის ყოველ ცისმარე დილით, ინათებს თუ არა, გავდივარ დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. მე იქ გავიცანი დილის გამამხნევებელი გასეირნების რამდენიმე მოყვარული, მათ შორის ერთი ხანდაზმული, ოთხმოცი წელს გადაცილებული პროფესორი მედიცინის დარგისა, ჭარმაგი, ხალისიანი და ენაწყლიანი კაცი. ბევრი რამ ახსოვს მას ამ მიდამოების წარსულიდან. გატაცებულია ისტორიითაც და ლიტერატურითაც როგორც ჩანს, თავისთვის თვითონაც სცოდავს მგრსნობაში.

— სულ რამ ოცენიმე წელია, — თქვა მან იმ დილით, — რაც თბილისმა ინება მთაწმინდის მთისძირის ლამაზი და ჯავარიანი მონაკვეთისათვის მიეცა დავით აღმაშენებლის სახელი. ეს კარგი და ჩაღრმავებული გადაწყვეტილებაა, აზრიანი გახედვაც არის, გახედვა არა მარტო წარსულისაკენ, არამედ მომავლისაკენაც.

ამ ქუჩას, მართლაც, შესანიშნავი გადასახედი თუ თვალმოსავლები აქვს. თითქმის მთელი ქალაქის პანორამა გეშლებათ თვალწინ. ქუჩა კი არა, ჯერჯერობით ეს უმალ ფართო, მიხვეულ-მოხვეული, ძოასფალტებული გზაა. ჭონქაძის ქუჩის გასათავიდან (უკეთ ვთქვა ი, მამადავითისაკენ ამავალ მთაწმინდის ქუჩიდან) მაყაშვილის ქუჩის ზემო კუნჭულამდე ერთი კილომეტრი თუ იქნება. მთაწმინდის მხრიდან მას ტყიან-ბუჩქნარიანი და ალაგ-ალაგ კლდოვანი მთისკალთები ეკვრის. ქალაქის მხრიდან კი — მეტწილად ჩახრამული კბოდეები. ამბობენ, ეს მონაკვეთი თბილისის მომავალი ირგვლივი გზის ერთი ნაწილი იქნებაო.

დიახაც, კარგი სამშენებლო ჩანაფიქრის ხორცშესხმა იქნება, რომ ეს საყრდენი მონაკვეთი მართლაც გაიზარდოს, გაიტყორცნოს და დავითის ღონიერი მკლავებივით მოეჩკიოს ჩვენს თბილის-ქალაქს. დიდებული სიმბოლური რკალიც შეიკვრება, რაც დიდად დაამშვენებს და დიდ სამსახურსაც გაუწევს ქალაქს.

...შესაძლოა, ვინმემ, ერთგვარ ცრურწმენას აყოლილმა, კიდევაც იმწუთხოს მეფის მკლავების ეს მოხვევა, თუნდაც როგორც უბრა-

ლო მეტაფორა, მაგრამ უეჭველად დიდი სულიერი სიბეცე იქნება, თუ დავივიწყებთ, რომ მთავარია ღვაწლი და არა ტიტული. ისტორიული ღვაწლი კი დავით აღმაშენებლისა, ფრიად პროგრესული თავის დროისათვის, უბრწყინვალესი და უდიდესია.

ამას ასაბუთებს და ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ყველა მატიანე და ყველა მემატიანე.

ჩვენ კი გავყვეთ ფიქრებს, გავყვეთ გრძნობებს!

მით უმეტეს, რომ როცა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გადიხართ, ძნელად თუ შესძლებთ გულგრილად მოავლოთ თვალი საყვარელ ქალაქს. აქ თბილისი ათასნაირ ფიქრებს შემოგასევეთ, მართალია, ამ ქუჩის სხვადასხვა წერტილიდან, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სულიერი განწყობილების ვითარებაში თბილისი, ალბათ, სხვადასხვანაირად იკითხება, მაგრამ ერთი ძირითადი აზრი მაინც სადღაც მკაფიოდ გამოინასკვება; თუ თბილისი თავისი ისტორიის გრძნობას დაჰკარგავს, იგი ვეღარც ითბილისებს...

იმ დილით დავით აღმაშენებლის ქუჩის ერთი ადგილიდან გავყურებდი ქალაქს, თვალს იტაცებდა ძველი და ახალი შენობების, ქუჩების, მოედნების, ახალი უბნების, ბაღების, სანაპიროების, ხიდების, მტკვრის მიკლაკნილ-მოკლაკნილი ტანისა და თვით მთელი ქალაქის აბორცვილ-დაბორცვილი ნაკვთების შესანიშნავი სანახაობა. მაგრამ უმალვე გავიფიქრე: დე, მთელი ეს ნივთიერი გარემო მხატვრის ფუნჯმა აამეტყველოს...

მე კი ჩემებურად დავინახე იმ დილით თბილისი, დავინახე როგორც საოცრად ჩახლართულ-ჩაკვანძული ცოცხალი ქსოვილი უამრავი ბედისა. იგი ხომ მართლაც ნაქსოვი თუ ნაკეთებია მრავალი გარდასული თუ დღევანდელი თაობის ადამიანთა თავგადასავლებით, ბედითა თუ უბედობით, იმედითა და უიმედობით, სიკეთითა თუ ბოროტებით, სიყვარულითა თუ სიძულვილით, სიხარულითა თუ მწუხარებით, დიდი ვნებითა თუ შემაზრზენი ბიწიერებით, ვაჟკაცობითა თუ ლაჩრული სულმდაბლობით; ბევრი ძველი თუ ახალი დრამით, ტრაგედიით, კომედიით თუ ფარსით, დიდი თუ მცირე ისტორიული კატასტროფებით, მარცხებითა თუ ძლევამოსილი გამარჯვებებით. ყოველივე ამას გაუელია მის არსებაში, უდენია მის ძარღვებში. ყოველი მისი შვილისა და მოკეთის, მტრისა და მოყვრის ბედი მის მცირე თუ დიდ ბედად გადაქცეულა, მის პატარა თუ მთავარ ნერვად წარმოქმნილა.

და მე ვხედავ, მე ვგრძნობ, მე ვიცი, რომ თბილისი მისი ისტორიული ყოფიერების ცოცხალი ნერვების ქსელია. ვიცი, რომ ამ ქსელის ერთი პატარა ძაფი მეცა ვარ. ალბათ, ამიტომაც ის ტკივილი

თუ სიამე, რომელსაც თბილისის რომელიმე ძველსა თუ ახალ უბანში ახლა განიცდის ან ოდესღაც განიცდიდა ამ ქსელის რომელიმე სხვა ძაფი, მეც უნდა გადმომეცეს... მით უმეტეს, თუ მე მართლაც სულითა და გულით ჩართული ვარ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის სასიცოცხლო ნერვების ქსელში, არ შეიძლება რაღაცნაირად არ გადმომეცეს მისი მთავარი ნერვების თრთოლვა.

დავით აღმაშენებელი კი, რასაკვირველია, თბილისის, მთელი საქართველოს ისტორიული ყოფიერების ერთ-ერთი მთავარი ნერვია. მერე რა, რომ იგი თითქმის ცხრა საუკუნის წინათ იყო...

იცით, რა მითხრა იმ დღეს ჩემმა ნაცნობმა პროფესორმა?

— ნურც გაგიკვირდებათ და ნურც მისტიკურ მოჩვენებად ჩამომართმევთ... როცა ძალიან ადრე, თითქმის დილაბნელზე გამოვდივარ აქ და ქალაქიდანაც არავითარი ხმაური არ მოდის, ზოგჯერ, აი, ამ ადგილას რომ შევჩერდები, ყურში ჩამესმის დიდებული გუგუნი, გულისშემძვრელი გალობა. და მგონია, რომ ეს არის „გალობანი სინანულისანი“ დავითისა...

— არც მიკვირს და არც მისტიკა მგონია, — ვუთხარი მე, — მაგრამ მაინც საიდან გესმით? ამ ეკლესიიდან გესმით?

— როგორ გეკადრებათ, — იწყინა მან. — ეგ ხომ ცინიზმსა ჰგავს... ეს ეკლესია დიდმპყრობელი მეფის ნაცვლის დროს არის აგებული... ის გალობანი კი, მე ასე ვგრძნობ, მე ასე განვიცდი, პირდაპირ თბილისის სიღრმიდან, თბილისის გულიდან ამოდის!

— ო, ეს კარგია, ლამაზია! მაშასადამე, გალობა თქვენს სულში, თქვენს ფიქრებში იბადება...

ამ დროს უეცრად თითქოს მეც მომესმა გალობა; თითქოს თბილისის ყველა ნერვი ერთბაშად ატოკდა და მთელი თბილისი შემომესია თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ყველა თავისი სიხარულითა და წარმატებით, ტკივილითა და ვაივაგლახით.

ეს იყო თბილისთან შედუღებისა და შერწყმის რაღაც უსაშველო გრძნობა. ამ გრძნობამ კი თითქოს ძველ ნაჭრილობებივით გამახსენა და გამიმძაფრა ერთი საკითხი, რასაც არაერთხელ ვუწვალებივარ, საკითხი — დავითისა, როგორც უღრმესი ტრაგიკული პიროვნებისა, როგორც უდიდესი ადამიანისა.

განა არ გიფიქრიათ: კაცს, ვისი გონივრული მეთაურობითაც ქართველმა მეომრებმა, მხენელ-მთესველებმა, მწყემსებმა, მეხრეებმა, ხუროებმა, ქვისმთლელებმა, დურგლებმა, მშენებლებმა, მწიგნობრებმა ოთხასწლიანი ტყვეობიდან გამოიხსნეს თბილისი და მრავალი გზა, ხიდი, ეკლესია, მონასტერი, ციხე-სიმაგრე, ქალაქი და აკადემია აღაშენეს, რა ჰქონდა სანანებელი, ან კიდევ მეტი, — რა

ისე მძიმე ცოდვა ედო, რომ თავისი გული სამარადჟამო სათელად და საბეკნად დაუტოვა ქვეყანას, შთამომავლობას?

რა მწუხარება, რა ტკივილი იმალება ამ საოცარ თვითუარყოფასა თუ თავგამეტებაში? ვინ იცის, იქნებ ამდაგვარი ტკივილი მეტნაკლებად ქვეყნის ყველა კეთილშობილი და დიდბუნებოვანი მესვეურის ხვედრი იყოს!

ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მტერთა შემმუსრავი, კაცთმოყვარე და რჯულთამამენი იქნებ ცოდვად იმას მიითვლიდა, რომ მეტად ულმობელი და დაუნდობელი იყო ქვეყნის ერთობის დამრღვევთა, ქვეყნის წამხდენთა, მოღალატეთა და ორგულთა მიმართ? — შესაძლოა.

იმ დილით ფიქრი განსაკუთრებული გულმოდგინებით გავადევნე მწვალებელ საკითხს.

გავიხსენე ზოგიერთი ნაწყვეტი „გალობანი სინანულისანისა“:

„... ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივყიდე თავი, რამეთუ რომლისგანაცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“.

„... მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაი“.

„სოლომონისაისა წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძებდ დასაპყრობელად, და ღმრთის საზღვართა ვაბრალოდ, ვითარცა მცირეთა მათ და უნდოთა, — ჩემისამდე უძღებებისა და გულის-თქმისა.

ბოროტად გარდავხედ-საზღვართა შევჰრთე სახლი სახლსა, აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა მივჰხუჭე ნაწილი მათი, და ვიღუწიდ ყოვლად უმეზობლობასა, ვითარმცა მარტო ვმკვიდრობდი ქუეყანასა ზედა“.

„ვეცხლი ვითარცა მიწაი, და ოქრო ვითარ თიხაი უბნისა ვიუნჯენ და თაყუანის-ვეცა ანგაჰრებისა მამონას, ვითარ იგი ძუელთა მათ — ხაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.

სიტყვაი წმინდაი და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქვნელთა ძმაცული სიყვერაგე ვითნე, და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი“.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ნუთუ ეს მართლაც საოცარი თვითმხილებაა?

არა, არსებითად ეს არის თვითმხილების სამოსელში გახვეული თავგამეტება ანუ თვითუარყოფა, მაგრამ თვითუარყოფა არა იმისათვის რომ თავისი პიროვნება, თავისი ადამიანური არსება წარხოცოს, არამედ იმისათვის, რომ უმაღლეს ზნეობრივ მთლიანობასა და პიროვნულობაში გაცხადდეს.

მაინც რა არის „გალობანი სინანულისანი“?

გულახდილად უნდა მოგახსენოთ: რა დიდი ავტორიტეტებიც უნდა ცდილობდნენ გაიგონ ეს ნაწარმოები პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. მიიჩნიონ იგი დავითის თვითმხილებად, ანუ მისი ცხოვრების ყოველდღიურობის პირდაპირ გამოხატვად, მე მათ მაინც ვერ დავუჯერებ.

„გალობანი სინანულისანი“, უწინარეს ყოვლისა, გარკვეული ზნეობრივ-ფილოსოფიური მიმართებაა სამყაროსადმი. იგი არსებითად ზნეობრივი მრწამსის გამოხატვაა და არ შეიძლება მისი აღსარებითი გამოთქმები გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, ისე როგორც არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით ანუ თვითმხილებად გავიგოთ, ვთქვათ, ძველი დროის დიდებული სომეხი პოეტის — ნარეკაცის დაახლოებით ასეთი თქმა, — ჩემი ცოდვები მთელ არარატის მთას გადასწონისო.

„გალობანი სინანულისანი“ თვითუარყოფის ანუ თავგამეტების ღრმა იდეაზე აგებული ნაწარმოებია.

თუ წარმოდგენით პირობითად გავემიჯნებით ამ ნაწარმოების რელიგიურ-ვედრებითს ფორმას, თავისი დროისათვის ფრიად ბუნებრივსა და კანონზომიერს, და გონების ლიბრგადაუკვრელი თვალით ჩავიხედავთ მის სიღრმეში, უეჭველად დავინახავთ დიდბუნებოვანი ადამიანის მხურვალე კაცთმოყვარულ გულსა და ამაღლებულ გონებას. ეს გული, ეს გონება ამხილებს და ამ მხილებით მწვავედ ჰგმობს საშინელ ცოდვებს — ბოროტებას, უსამართლობას, მტაცებლობას, მჩაგვრელობას, ანგარებას, სიბილწეს, მრუშობას — ყოველივე იმას, რაც კი იმ დროს შეეძლო, ჩაედინათ ეგოცენტრულსა და გაბატონებულ ძალებს, განუკითხველ მბრძანებელთ და ყველა ამ ცოდვას აწერს თავის თავს, აწერს არა იმიტომ, რომ თითქოს მართლაც თვითონ იყოს მათი ჩამდენი, არამედ იმიტომ, რომ მეტი ძალა და აზრი, მეტი თვალნათლივობა და სიღრმე მისცეს თვითუარყოფის იდეას, თავგამეტების სულისკვეთებას.

„გალობანი სინანულისანის“ შემოქმედს კარგად ესმის, ღრმად ესმის, რომ ქვეყნის ღირსეულმა მესვეურმა, ღირსეულმა გამგებელმა საკუთარ ვნებათა და წადილთაგან უნდა უარყოს და დასთმოს ყოველივე, რის დათმობაც და უარყოფაც შესაძლებელია, რათა თავისი ადამიანური სრულყოფისაკენ აიწიოს; ყოველი ვიწრო პიროვნული უნდა გასწიროს, რათა უმაღლეს სულიერ პიროვნულამდე ამაღლდეს; ყოველივე თავისი, რის გაღებაც კი შეუძლია ადამიანს, ქვეყანას უნდა მისცეს და ქვეყანას უნდა გადააგოს, რათა ქვეყნის დიდ სიცოცხლეს შეუზიარდეს.

ეს იცოდა, ეს სწამდა და სწორედ ამიტომაც გადააგო დავით აღმაშენებელმა თავისი სიცოცხლე სამშობლოს აღორძინებას.

და მხოლოდ ასეთი ღვაწლის, ასეთი სულიერი გამოცდილების დიდი გაკვეთილი შეიძლებოდა შემდეგში ჩამოსხმულიყო უკვდავ აფორიზმად: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

ანდერძი კი, ანდერძი დავით აღმაშენებლისა, რომ მის გულზე, მის საფლავზე მუდამ ევლო ხალხს?!

ჰო, ესეც იმისათვის, რომ მის ხალხს, მის ქვეყანას სამუდამოდ გადასცემოდა და ხსოვნებოდა თავგამეტებისა თუ თვითუარყოფის დიდი გაკვეთილი, ხოლო თვით მის ნეშტს — სითბო მისი ხალხის სიცოცხლისა...

ასე ვფიქრობ, ასე მჯერა, ასე ვოცნებობ!

განა სულ უცოდველობას ვაწერ? სულ უცოდველი ვით იქნებოდა ცოცხალი კაცი, მით უმეტეს კაცი, ვის ხელშიაც იყო უამრავი ყმისა და ქვეშევრდომის ბედი!

მაგრამ მის სახელს მწიკვლი არ დასდო ცოდვა-მადლის ყველაზე დიდმა განმკითხველმა — ხალხმა, ხალხის ხსოვნამ. პირიქით, ჯერ კიდევ მის მახლობელ დროშივე წმინდანადაც კი შერიცხეს.

ჩვენს დროში კი ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა — კონსტანტინე გამსახურდიამ თავის მრავალკარიან მონუმენტურ რომანში შესანიშნავად გააცოცხლა და თანამედროვე მკითხველთა ფართო წრეებს დიდად შეაყვარა დავით აღმაშენებელი თავისი მღელვარე ცხოვრებითა და რთული ბედით, დიდი ისტორიული ღვაწლითა და მოქმედებებით, სიბრძნითა და მისწრაფებებით, დიდი ვნებებითა და განცდებით, ტანჯვითა და მწუხარებით... დავითის გმირული საქმეები აისახა ლევან გოთუას დრამაში, მურმან ლებანიძის პოემაში და ბევრი სხვა ქართველი მწერლის ქმნილებებში.

იმ დილით მე და ჩემი ნაცნობი თუ უკვე მეგობარი პროფესორი კარგა ხანს ვსაუბრობდით ამ საგანზე.

თანაც თბილისის გულსაც ვუგდებდით ყურს!

1972

ფურცლები ძველი დღიურიდან

ამჯერად მოსკოვს უფრო მეტად საკუთარ ფიქრებში ვკითხულობდი, ვიდრე მის უშუალობაში.

ვკითხულობდი-მეთქი, რადგან იგი, მართლაც, უზარმაზარი წიგნია, საუკუნეებში რომ იწერებოდა და კვლავაც იწერება.

ახლა იგი იწერება ჩვენი ეპოქის გასაოცარი ნააზრევის — პარტიის ახალი პროგრამის მიხედვით. მოსკოვი ანთებული და გავარვარებულია ამ ჩირაღდანით.

ადამიანთა და მათ მიერ შექმნილ საგანთა, ნივთთა, მოძრაობათა ამ ვეება ზღვაში, უწინარეს ყოვლისა, რუსული გენიის ძალა ბობოქრობს.

— დიახ, ვამაყობ, რომ რუსი ვარ და რომ მოსკოვი რუსული სულის ქმნილებაა... კოსმოსში პირველად რუსი კაცი გაიჭრა... რუსი კაცი, ძმაო, — ეს ხუმრობა როდია! გახსოვდეს, მოდის რუსი საბჭოთა კაცი,— მითხრა ერთმა რუსმა მეგობარმა, როდესაც მოსკოვზე ვსაუბრობდით.

მერე მე ვფიქრობდი მოსკოვზე, როგორც რუსულ სულზე. მაპატიოს „რუსული გულის“ ავტორმა, ჩემი ფიქრების სათაური მისი პოემის სათაურს რომ მიემსგავსა. მაგრამ ჩემს ფიქრებს სხვა გეზი ჰქონდათ. არავითარი პლაგიატი!

მე ვფიქრობდი, რა კარგად გამოხატა-მეთქი დღევანდელი მოსკოვის სიამაყე და სულისკვეთება გამოჩენილმა რუსმა პოეტმა — ალექსანდრე ტვარდოვსკიმ თავის სიტყვაში, რომელიც მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქვა.

პოეტმა თქვა:

„და როცა ამ ტაძარში ისმენ ჩვენი ყრილობისა და ჩვენი ხალხისადმი მიმართულ მისალმებებისა და სურვილების სიტყვებს, აქ მოტანილთ ყველა კონტინენტიდან და ოკეანეებში გადაკარგული კუნძულებიდან, სიტყვებს, აღღერებულთ შენს მშობლიურ ენაზე, მართლაც ყოველგვარ პატრიოტულ გრძნობას უნდა იყო მოკლებული, რომ არ განიცადო ღრმა მღელვარება და აღტაცება.

ლენინის ენა, ქცეული საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნებათა-შორისო ურთიერთობის ენად, ხდება აუცილებელ ენად მთელი მსოფლიოს ხალხთა ახლანდელი ფიქრებისა და მისწრაფებების გამოსახატავად".

ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, პირდაპირ და ძლიერად არის თქმული. ო, რამდენ ფიქრებსა და მღელვარებას იწვევს ეს ძალუმი სულისკვეთება.

ამას მიუმატეთ ის, რომ პოეტმა, რომელმაც თქვა „ლიტერატურა და ხელოვნება განსაკუთრებული გულისხმიერებით ეხმაურებიან ყოველივე მნიშვნელოვანს, რაც კი საზოგადოების ცხოვრებაში ხდება", რასაკვირველია, იცის ფასი დიდი ადამიანური გულისხმიერებისა.

ამიტომ მისი სიტყვის სტრიქონებს შუა უფლება გვაქვს ამოვიკითხოთ, რომ ყველა ადამიანს, ყველა ხალხს თანაბარი უფლება აქვს ყოველგვარ ადამიანურ ბედნიერებაზე, რომ არც ერთი ერის შვილი არ შეიძლება, მოკლებული იყოს იმ სიხარულისა და მღელვარების უფლებას, რასაც ვთქვათ ერთი რომელიმე ერის შვილი განიცდის ხოლმე თავისი ენის აღზევებითა და აყვავებით. ადამიანთა და ხალხთა ტოლფასოვნება ჩვენი პლანეტის მთელი ისტორიის გარდაუვალი დასკვნაა.

ჩვენი პარტიის ახალ დიად პროგრამაში შემთხვევით როდი არის უარყოფილი და დაგმობილი ეროვნული ეგოიზმი, რასაც არსებითად სხვათა არასრულფასოვნებისა და თავისი გამონაკლისობისა თუ განსაკუთრებულობის ყალბი წარმოდგენა ასაზრდოებს ხოლმე.

თუ ფესვებში ჩავიხედავთ, მე მგონი, დავრწმუნდებით, რომ კაცობრიობისათვის არაფერს იმდენი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი არ მოუტანია, ისე არაფერს არ უქცევია ადამიანი უბედურ და წამებულ არსებად, როგორც თავკერძობის ულმობელ ჟინს — ეგოიზმს. ხოლო ეროვნული ეგოიზმი ეგოიზმის ყველაზე საშიში და საზიზღარი სახეა.

უეცრად ფიქრებში ვაჟა წამოიმართა.

ერთი მოკვდავივით მეც მიკითხავს წიგნები შინაურთა და გარეშეთა. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩემი გულის სიღრმემდე ისეთი პოეტური ძალით არავის მოუტანია სხვადასხვა ტომის ადამიანთა ტოლფასოვნების იდეა, როგორც ვაჟას. და რა ბუნებრივია, რომ სწორედ ვაჟას გულიდან იფეთქა: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება"...

მიმხვედრი, რა თქმა უნდა, მიხვედრილია, რომ სამშობლოს

სიყვარული და ეროვნული თავკერძობა არსებითად წინააღმდეგობრივი ცნებებია, ერთი გამოთიშავს მეორეს, შენი სამშობლოს, შენი ხალხის, შენი ენის უწმინდეს სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ეროვნულ ეგოიზმთან. პირიქით, მხოლოდ მას შეუძლია, იყოს გულწრფელი და დაჯერებული ინტერნაციონალისტი, ვისაც შეუძლია, უსაზღვროდ უყვარდეს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, თავისი ეროვნული კულტურა.

უბრწყინვალესი მაგალითი: უბადლო ინტერნაციონალისტი — ლენინი. ლენინი ხომ ღრმად იყო გამსჭვალული რუსული ეროვნული სიამაყის გრძნობით. მას ხომ ასე ძლიერად უყვარდა რუსი ხალხი, დიდი რუსეთი, რუსული კულტურა, რუსული ენა. ამავე დროს არავის ისე არ შეეძლო, ემხილებინა და დაეგმო დიდმპყრობელური შოვინიზმი და საერთოდ ყოველგვარი შოვინიზმი, როგორც ლენინს, ლენინს, რომელიც მოითხოვდა, რომ მრავალმილიონიან ქალაქში სხვა ერის ერთ წარმომადგენელსაც კი საშუალება ჰქონოდა ესწავლა თავის დედაენაზე.

ვგრძნობ, მკითხველის შეკმუხვნას, აქაოდა, ვიცით, უშენოდაც კარგად ვიცით, ათასჯერ განმეორებულსა და საყოველთაოდ ცნობილს იმეორებ; სჯობს თუ ძალა შეგწევს, ახალი რამე გვითხარიო.

რა გაეწყობა, სხვებზე ადრე მეც ვტუქსავდი ჩემს თავს, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში — თანამედროვე მსოფლიოს გონებრივი ცხოვრების ამ მთავარ ცენტრში, სადაც ყოველ ნაბიჯზე სიახლენი გხვდებათ, ათასჯერ თქმულსა და ნაფიქრს ვფიქრობდი. მაგრამ აქვე თავს იმით ვიმხნევებდი, რომ საქმე მარტო ფიქრში როდია, მთავარი ფიქრის საგანია. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანი სიხარულსა თუ აღფრთოვანებას, ტკივილსა თუ სევდას თითქმის ერთი და იმავე შეძახილით, თითქმის ერთი და იმავე გარეგნული რეაქციით გამოხატავს ხოლმე, მაგრამ თვით სიხარულსა თუ აღფრთოვანებას, ტკივილსა თუ სევდას ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული, ახალი შინაარსი აქვს. ასე რომ, თუ ზოგჯერ ბევრჯერ განმეორებულს ვიმეორებთ, ვიმეორებთ იმისათვის, რომ ახალი ვითარება ბადებს განმეორების საჭიროებას და, შეიძლება, ზოგიერთ განმეორებაში უდიდესი სიახლეც იყოს.

თუმცა, მართალი მოგახსენოთ, მე მომხრე ვარ ხმარებისაგან გაცვეთილი აზრების, იდეების, ცნებებისა და სიტყვების წინააღმდეგ დიდი აჯანყებისა. მოსკოვში ერთ-ერთ თათბირზე კიდევაც გაჩუჩუნდა სული ამ აჯანყებისა. ერთმა ახალგაზრდა ლიტერატორმა მოითხოვა ზოგიერთი წარამარა ცნების ამოღება ხმარებიდან. გუნებაში უმალვე მხარი დავუჭირე ამ ახალგაზრდა ლიტერატორს,

ძხარი დავუჭირე მის სულისკვეთებას, მის განწყობილებას. თუმცა ხმარებიდან ამოღების დაკანონება არანაკლებ სახიფათო შეზღუდვა იქნებოდა მეორე მხრიდან. არა და, რა საშინლად მოსაწყენი და ამაზრზენია გაცვეთილი ცნებების, გაცვეთილი ფრაზებისა და სიტყვების გაუთავებელი ღვართქაფი.

ო, ამ მოწყენილობასაც როგორმე კიდევ გაუძლებს კაცი. მაგრამ სახელგატეხილ ცნებებსა და სიტყვებს რაღა უნდა ვუყოთ?

როცა ასეთ ცნებებსა და სიტყვებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთმა ქართველმა მწერალმა თქვა:

— მე ყოველთვის მზად ვიქნები დავწყევლო და არასოდეს არ ვიხმარო ისეთი კარგი და ლამაზი სიტყვაც კი, როგორიც არის სიმართლე, თუკი იგი ათასგვარი სიცრუისა და სიყალბის თავშესაფრად ქცევა...

აი, ხომ ხედავთ, რა გაბედულები გახლავართ, სიტყვების წინააღმდეგ ვაპირებთ აჯანყებას.

მაგრამ კაცმა რომ თქვას, რა დააშავეს ამ „საწყალმა“ სიტყვებმა? ისე ხომ არ გამოდის, ვიღაც ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს მტვრევა დაუწყოო.

ჩემი ოთახი სასტუმრო „მოსკოვის“ მერვე სართულიდან მიქცეულია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მრავალსართულიანი სახლისაკენ. დილდილობით იმ სახლის წინ, ტროტუარზე, წინწამოწეული კორპუსის კუთხეში, აუარებელი მტრედი იყრის თავს. ხნიერი ქალები საკენკს უყრიან მათ, ზოგჯერ ბავშვებიც, საერთოდ მოსკოვი სავსეა მტრედებით. მოსკოვის მტრედები! ვუცქერ მათ და ვფიქრობ, უმღერა თუ არა ვინმემ მოსკოვის მტრედებს? არ ვიცი! მხოლოდ რატომღაც გამახსენდა, რომ პაოლო იაშვილმა უმღერა თბილისის დილას, როგორც მტრედის გუნდივით შემოფრენილს. გიორგი ლეონიძემაც მტრედებით გაანათა თავისი ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსი: „თოვლია თუ შავარდენმა დააფეთა მტრედები“. მტრედები გვახარებს. მაგრამ ზოგჯერ ყვავიც რომ გამოფრინდება და ყრანტალებს, მე ყოველთვის რაღაც ცუდსა და ავს მახსენებს. აქაც ერთხელ დამნაშავის მტანჯველი გრძნობა ამეკვიატა. ვფიქრობდი, რომ, როგორც კრიტიკოსს, ცოტაოდენი ბრალი მეც მიმიძღვის-მეთქი ზოგიერთი სიტყვის სახელის გატეხაში. არა, კაცმა გულის მხურვალებაში გაუტარებელი სიტყვა არ უნდა თქვას, თორემ სიტყვას ყოველთვის ზიანს მოუტანს.

არ ვიცი, გაიზიარებენ თუ არა ამ თვითმხილებას ჩემი პროფესიული მეგობრები, ამ მგზავრობაში მყოფნიც და სხვა მრავალნიც. საერთოდ ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი (ამ მგზავრობამაც

ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს), მაგრამ არცთუ ისე გვიყვარს ერთმანეთის ყურის დაგდება, მით უმეტეს მაშინ, თუ ჩვენს ხელობაში ერთმანეთის ორეულები არა ვართ. როგორადაც უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: ზოგიერთი რამ უეჭველად უნდა გადავაფასოთ ჩვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაში. მოსკოვის ლიტერატურულმა თათბირებმა ჩემთვის ეს ერთხელ კიდევ ცხადყვეს.

ამ თათბირების მონაწილეებად თბილისიდან ექვსნი გავფრინდით, ხუთი კრიტიკოსი და ერთი პოეტი. ესენი იყვნენ: ბესო ჟღენტი, სერგი ჯილაია, გიორგი მარგველაშვილი, გიორგი ციციშვილი მირიან აბულაძე და მე. გიორგი ნატროშვილმა შინ დარჩენა ირჩია. იქნებ წინასწარ იაზრა, თბილისის აეროპორტში ვიღაცამ რომ იხუმრა:

— ო, როგორ მოიოხებს სულს ქართული მწერლობა, ამ თვითმფრინავს რომ რაიმე შეემთხვესო.

მაგრამ ყველა ლამაზის ჯინაზე ჩვენს „ტუს" არც არაფერი შემთხვევია და 2 საათსა და 15 წუთში მშვიდობიანად დაგვსვა ვნუკოვოს აეროდრომზე. სხვათაშორის, ამ გაფრენასთან მე ჩემი პირადი ანგარიშიც მქონდა. მაგრამ ამაზე უკან დაბრუნებისას ვიტყვი.

მსოფლიო ლიტერატურის გორკის სახელობის ინსტიტუტში გამართულ თათბირზე — საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შედგენის პრინციპების შესახებ— თავიდანვე ორი საწინააღმდეგო მოსაზრება დაისახა. ერთნი, ასე ვთქვათ, ოფიციალური აზრის წარმომადგენელნი, ამბობდნენ, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ერთიანია, ძირითადად ერთიანი და ერთგვარი იყო მისი პროცესებიც თავის ისტორიულ განვითარებაში, ამიტომ მისი ისტორიაც უნდა დაიწეროს ერთიანი — ეროვნულ ლიტერატურათა შერწყმულად და შერეულად გადმოცემის გზითო. ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიანობაში გაერთპიროვნების პრინციპს იცავდნენ. მეორენი კი, პირიქით, ამბობდნენ, მართალია მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ერთიანია, მაგრამ ერთიანია სწორედ, როგორც ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა ერთობლიობა. ამიტომ მისი ისტორიაც უნდა დაიწეროს ისე, რომ ერთიანობაში ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა სახეები გამოკვეთილად მოჩანდნენო. ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიანობაში მკაფიო ინდივიდუალიზაციის პრინციპს იცავდნენ.

პირველი: ერთიანობაში გაერთპიროვნება: მეორე: ერთიანობაში მრავალპიროვნულობათა დაცვა.

ასეთი იყო, ჩემი აზრით, ორი — ცალ-ცალკე ძალიან შორს მიმავალი თვალსაზრისის ამოსავალი წერტილი.

ქართული დელეგაციის უმრავლესობა მეორე თვალსაზრისს იზიარებდა. უკეთ ვთქვათ, აზიარებდა, არამედ იგი იყო ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი პირველი ჩამომყალიბებელი. კამათშიაც პირველი სწორედ გ. მარგველაშვილი გამოვიდა, რომელმაც კარგად, ღრმაზროვნად განავითარა და დაიცვა ეს თვალსაზრისი. ძოგვიანებით ბ. ელენტმა წარმოთქვა მგზნებარე, შინაარსიანი სიტყვა, ერთსახოვანი შერწყმულობისა თუ შერეულობის წინააღმდეგ. ეს სიტყვა ბევრს მოხვდა გულზე. ჩვენი „ტალკვესი", ვთქვი მე გუნებაში ბესოზე.

აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ ერთიანობაში მკაფიო ინდივიდუალიზაციის პრინციპს იცავდა რესპუბლიკათა წარმომადგენლების დიდი ნაწილი. ძალიან მომეწონა საქმიანი და ჭკვიანური სიტყვა ლიტველი კორსაკასისა. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია დაიკავა თავის სიტყვაში გ. ციციშვილმა, თუმცა ეგრეთ წოდებული ბუდობრივი პრინციპის დაგმობით იგი არსებითად დაუახლოვდა მეორე თვალსაზრისს (ბუდობრივი პრინციპი გამოიხატა წინადადებაში. რომ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ეროვნული ლიტერატურები შესულიყვნენ ტერიტორიალურ ჯგუფებად გაერთიანებულნი, მაგალითად, ლიტერატურა ამიერკავკასიისა. შუა აზიისა, ბალტიისპირეთისა და ა. შ.). კიდევ მეტი: ისინიც კი ვინც მკაფიო ინდივიდუალიზაციის პრინციპის წინააღმდეგ თავგამოდებით ილაშქრებდნენ, იმდენ მოთხოვნებსა და პრეტენზიებს აყენებდნენ თავიანთი ეროვნული ლიტერატურების მხრიდან, რომ ძალიან უახლოვდებოდნენ მათ მიერვე უარყოფილ პოზიციას.

ძლიერ საგულისხმო იყო ისიც, რომ პირველი თვალსაზრისის ერთ-ერთმა უძლიერესმა თეორეტიკოსმა (ამ თვალსაზრისით შედგენილი პროსპექტის ერთ-ერთმა ავტორმა) — გამოჩენილმა რუსმა კრიტიკოსმა — კორნელი ზელენსკიმ (ვინაც, სხვათაშორის, რამდენიმე თვის წინათ ძალიან გაგვახარა თავისი ღრმად შთაგონებული წერილით ვაჟაზე) თათბირის მსვლელობაში მკვეთრად იცვალა ფრონტი და ეროვნულ ლიტერატურათა მკაფიო ინდივიდუალიზაციას დაუჭირა მხარი.

გულმოდგინედ ვუგდებდი ყურს ორატორებს. და მიუხედავად იმისა, რომ პირველი თვალსაზრისის მომხრენი (მათ შორის ჩვენი ნიჭიერი თანამემამულე გიორგი ლომიძეც) ძალიან გონებამახვილურად ლაპარაკობდნენ, გონებამახვილურ თეორიულ მოსაზრებებსაც იშველიებდნენ, მათ პირადად მე მაინც ვერ დამაჯერეს თავიანთი შეხედულებების სისწორეში. პირქით, მე ვფიქრობ, ისინი

ერთგვარ მოგონილ, აპრიორულ სქემას ახვევენ თავს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ცოცხალ პროცესს.

ლიტერატურის ასეთ გაერთპიროვნებულ ისტორიაზე მუშაობა პოეზიით იქნება სავსეო, — ამბობდნენ ისინი, — ეს სულ საძიებო, საკვლევო, საალმოსაჩენო მუშაობა იქნებაო.

რასაკვირველია, ამა თუ იმ საგნის მეცნიერულ ისტორიაზე მუშაობა ყოველთვის საძიებო, საკვლევო მუშაობაა. მეცნიერული ისტორიის შექმნა ყოველთვის მოითხოვს საგნის სულ ახალი და ახალი კუთხეების მიკვლევას, მის აქამდე გაუხსნელ კავშირ-ურთიერთობათა ძიებას.

მაგრამ საკითხავია, რა იქნება საძიებელი, კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაზე მუშაობისას? იქნებ, თვით საგანი? და თუ თვით საგანი არ არის მიკვლეული და გარკვეული, მაშინ, ჩემი აზრით, უნდა ვილაპარაკოთ საგნის ძიებაზე და არა ჯერ კიდევ მიუკვლეველი საგნის ისტორიაზე.

მაგრამ საგანი არსებობს ჩვენს თვალწინ. ეს არის მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც, რასაკვირველია, შედგება ცალკეული ეროვნული ლიტერატურებისაგან, შედგება არა როგორც ამ ლიტერატურათა არითმეტიკული ჯამი, არამედ როგორც მათი ორგანული ერთობლიობა. მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ვითარდებოდა და ვითარდება არა როგორც შერეული ერთიანობა, არამედ როგორც მკაფიოდ გამოსახული ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა ერთიანობა. აქ ერთიანისა თუ მთელის განვითარება-გამდიდრება ხდებოდა და ხდება ცალკეულთა და განსაკუთრებულთა განვითარება-გამდიდრების მეშვეობით. ასეთი იყო. და ასეთი არის თვით საგნის მოძრაობა სინამდვილეში.

ხოლო საგნის მეცნიერული ისტორია, ამ შემთხვევაში, საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, უნდა ასახავდეს და შეესაბამებოდეს თვით საგნის მოძრაობას სინამდვილეში.

ნათქვამს მხოლოდ ინფორმაციული მნიშვნელობა აქვს, თორემ, მოგეხსენებათ, მოსკოვში — გორკის სახელობის ინსტიტუტში საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას დასწერენ და დასწერენ ისე, როგორც მათ ესმით. ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის კი ახლა მთავარია შექმნას ქართული საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილი მეცნიერული ისტორია, რომელიც შესძლებს, გაბედულად და დაურცხვენლად ამოუდგეს გვერდში ყველა სხვა ასეთსავე შრომას. ვფიქრობ, ამაზე დიდი საქმე ახლა არც რუსთაველის სახელობის ინსტიტუტს და არც საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის სექციას არა აქვს.

სხვათა შორის, ზემომოტანილ ზოგად მოსაზრებათა გარდა, სადავო საკითხისადმი მე მქონდა და მაქვს, ასე ვთქვათ, ჩემი უშუალო, ემოციური დამოკიდებულებაც. ვფიქრობ, ეს სრულიად უფლებამოსილი მხარეა ჩვენი სულიერი ცხოვრებისა. დეე, გული მიჰყვეს გონებას, თორემ მათი გათიშვა ტრაგიკული რღვევით ემუქრება ჩვენს ზნეობრივ არსებას.

რა ვქნა, მომკალით, ვერ ვიტან ვერაფერს შერეულსა თუ ერთმანეთში ათქვეფილს, რაშიაც ყოველივე პიროვნული გაქყლეტილი და წარხოცილია. არც იმათი მჯერა რამე, ვინაც ფიქრობს, რომ არსთა და მოვლენათა განვითარება ერთსახოვნებისაკენ მიდის და ბედნიერებაც თითქოს ერთსახოვნებაშია. პირიქით სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთი ხომ აშკარაა: ერთსახოვანი პირველყოფილი ქაოსიდან განვითარდა ქვეყანა, რაც ჩვენ „გვაქვს უთვალავითა ფერითა".

ქვეყნად კი გვიზიდავს და ყურადღებას იქცევს მხოლოდ ის, რასაც განუმეორებელი პიროვნულობის ბეჭედი აზის. ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ ყოველივე მათ ირგვლივ, მათ შორის ადამიანებიც უსახონი და უპიროვნონი იყვნენ, ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ და განიცდიდნენ ისე და იმ სქემის მიხედვით, რომლებითაც თვითონ აზროვნებენ და განიცდიან.

აი, მოსკოვი — მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის დედაქალაქი, სადაც კაცობრიობის ახალი ისტორიის სათავეა დადებული. მოსკოვი მშვენიერი და დიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ყოველივე იმით, რაც მკვეთრი პიროვნულობით არის აღბეჭდილი — დაწყებული კრემლიდან, გათავებული მიწისქვეშა რკინიგზის სადგურებით.

სხვათა შორის, ერთმა ჩემმა ნაცნობმა — საქმის მცოდნე ინჟინერმა ერთ-ერთი სადგურის ნაპირკეთობაში ქართული მარმარილო მიმინიშნა. მეჩვენა, რომ იგი ძლიერ ინდივიდუალურია თავისი ჯავარით, თავისი ძარღვების ნაქარგით. რასაკვირველია, ასევე ინდივიდუალურნი მოჩანან სხვა ქვეყნების ფიქალებიც. ამაშია მათი სიმშვენიერეც.

მოსკოვი ჩვენი ეპოქის სასწაულთა უდიდესი თავყრილობაა.

მაგრამ არსად ისე არ იგრძნობა საკვირველებათა მოშინაურება, როგორც მოსკოვში.

აქ ადამიანებს აღარ აკვირვებთ სულ უახლესი სასწაულიც კი და თითქოს მუდამ ახალ საკვირველებათა მოლოდინში არიან.

თუმცა რა არის ადამიანისათვის საკვირველება?

მე მგონი, ყველაზე დიდი საკვირველება თვითონ ადამიანია —

საკვირველებათა შემოქმედი, მისი გონება; მისი ნებისყოფა, მისი გრძნობები. გონებისათვის არ შეიძლება არსებობდეს უფრო დიდი საკვირველება, ვიდრე თვით გონებაა, მსგავსად იმისა, ღმერთი რომ მოგონილი არ იყოს, ღმერთისათვის ყველაზე დიდი საკვირველება თვითონ ღმერთი იქნებოდა.

რა კარგად თქვა გორკიმ: შესანიშნავი თანამდებობაა — იყო ადამიანი დედამიწაზე. თუმცა ახლა ეს თანამდებობა უკვე კოსმოსშიაც არის გადატანილი.

„ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის". ამაზე დიდხანს უოცნებია კაცობრიობას, მაგრამ იდეალი მოქმედებაში მხოლოდ ახლა გადადის.

შემთხვევით არ არის, რომ დღეს მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოებრივი აზრი პირდაპირ თუ არა პირდაპირ ჰუმანიზმის საკითხებს დასტრიალებს. მოსკოვში ამას თითქოს განსაკუთრებული სიცხადით გრძნობ.

ჩემი მიხვედრით, არსებითად ჰუმანიზმის პრობლემები შეადგენდნენ მთავარ პათოსს კრიტიკოსთა საბჭოს გაფართოებული თათბირისა, რომელიც საკავშირო მწერალთა კავშირში გაიმართა. ამ თათბირზეც მოვისმინე რამდენიმე საგულისხმო გამოსვლა, მათ შორის ჩვენი წარმომადგენლებისაც: ბ. ეღენტის, გ. მარგველაშვილის... თათბირის მოკლე ანგარიში უკვე იყო დაბეჭდილი ლიტერატურულ პრესაში. გარდა ამისა, ანგარიში არ გამომდის.

ფროიდი და მისი კომპლექსები იქამც იყოს. მაგრამ ჩვენი სულიერი ცხოვრების ბევრი მხარე, მათ შორის ეგრეთ წოდებული ცნობიერების ნაკადიც ახსნას საჭიროებს და არა ხელაღებით უარყოფას. მე მგონია, არსებობს ცნობიერების რაღაც ძლიერ შორეული პირველადი ბიძგი.

თათბირზე გამართული მსჯელობის თემას მე გუნებაში დავარქვი: რა უნდა მოერგოს რას — ადამიანი ბედნიერებას თუ ბედნიერება ადამიანს?

მსჯელობდნენ საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ ლიტერატურული კრიტიკის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, ჰგმობდნენ ხელკეტიან კრიტიკას, ემპირიულ კრიტიკას, შტამპს, უფერულობას, ლაპარაკობდნენ ჰუმანიზმზე საბჭოთა ადამიანის მორალურ კოდექსზე. დროდადრო თითქოს დოგმატიზმიც გაიღრენდა. მაგრამ ლიტერატურული საკითხების მთებსა და ბორცვებს შორის გზას მიიკვლევდა ფიქრის სხვა ნაკადიც.

ბედნიერება, რა სახითაც უნდა იყოს იგი უმალვე უბედურებად შეტრიალდება, თუ პროკრუსტეს სარეცელად ექცევა ადამიანს.

ადამიანი კი არ უნდა გავწელოთ ან შევამოკლოთ იმისათვის, რომ ჩათქმულ ბედნიერებას მოვარგოთ, პირიქით, ბედნიერება უნდა გაკეთდეს ადამიანის თარგზე.

მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელი ან როგორი ადამიანის თარგზე?

ამასთან არის დაკავშირებული, ჩემი აზრით, ჩვენი ლიტერატურის გმირის საკითხიც. გმირის საკითხი კი შემთხვევით როდი იყო მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი საგანი.

სიტყვა ლიტერატურაში ბუნებრივი ადამიანურობის გამოხატვას შეეხო. მაგრამ ამას უმალვე მოჰყვა მტკიცება იმისა, რომ თითქოს ეს არის ადამიანის ამოგდება სოციალურ სფეროდან და, მაშასადამე, მისი ჰეშმარიტი არსის, როგორც საზოგადოებრივი კავშირურთიერთობათა ცოცხალი ქსოვილის, დავიწყება. ახსენეს ბიოლოგიზმიც, აბსტრაქტული ჰუმანიზმიც. მოიტანეს შესაფერი მაგალითები თანამედროვე ლიტერატურიდან. ზოგიერთი კიდევაც დატუქსეს იმის გამო. რომ აქაოდა უპროგრამო, სოციალურ შინაარსს მოკლებულ ადამიანებს ხატავენო. ბევრი რამ ითქვა საგულისხმო და გონებამახვილური.

მე კი, სულო ცოდვილო, ვერაფერს ვერ ვხედავ ცუდსა და დასაგმობს ბუნებრივ ადამიანურობაში. პირიქით, მე მგონია, რომ სწორედ ის არის საფუძველთა საფუძველი ჰეშმარიტი ჰუმანიზმისა.

აკი ჩვენს უმაღლეს იდეალს ცხოვრებისა და საზოგადოების ისე მოწყობა შეადგენს, რომ ყოველმა ადამიანმა მიაღწიოს თავის ჰეშმარიტ არსს, ბუნებრივ ადამიანურობას, გაიწმინდოს ყველა იმ ნალექისაგან. რითაც იგი შემოუგარსავთ ადამიანის ბუნებრივი ბუნებისათვის შეუფერებელ ცხოვრების პირობებს, საზოგადოებრივი ყოფიერების უკუღმართ ფორმებს. მაშასადამე, ბუნებრივი ადამიანურობა, ანუ საკუთრივი ჰეშმარიტი არსი ადამიანისა საყოველთაო საწყისია ადამიანთა სამყაროსი. მე არ მაშინებს ამ საწყისს ვუწოდო ღვთაებრივი. სწორედ ამ საყოველთაო საწყისშია ყოველივე ადამიანურის სრული ტოლფასოვნება. და მხოლოდ ამიტომაც შეიძლება იყოს ადამიანი ადამიანისათვის ძმა, მეგობარი და ამხანაგი.

პარტიის პროგრამის ეს შესანიშნავი დებულება, ცხადია, არავითარ გამონაკლისს არ გულისხმობს ადამიათა მოდგმისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დებულება არ შედგებოდა.

თავის შესანიშნავ ნოველებს შორის სერგო კლდიაშვილს აქვს ერთი ციცქნა ეტიუდი — ლირიკული ჩანახატი თუ ლირიკული აღ-

სარება „სოფლის ღამე". მე იგი ხშირად მახსენდება. აი, ახლაც მოსკოვში — ვოროვსკის ქუჩაზე — მწერალთა კავშირის სახლის საკრებულო დარბაზშიც გამახსენდა:

„ბინდი ნელ-ნელა ეშვება. მაღლობიდან ჯერ კიდევ ვხედავ ფერდობზე გაშენებულ სოფელს. სოფლის ბოლოში ფართო ველს და ველის დასასრულს შორეულ ქედს. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდეცა სუფთაა და მუქი სილურჯე გადაჰკრავს.

მინდვრებიდან ბეღურები დაბრუნდნენ ეზოში, ხმაურით შეესივნენ ალვის ხეს, დაიბუდეს ტოტებში და დამშვიდდნენ.

სიჩუმეა. ფოთოლიც არსად ირხევა.

თანდათან ბნელში იძირება ქედი, ველი და სოფელი ფერდობზე. მოისპო სივრცე, გაქრნენ ფერები და გარემო მხოლოდ ჩემს მოგონებაში დარჩა.

სადღაც ქვევით ერთ სახლში ლამპა აანთეს.

ერთ ხანს მხოლოდ ეს სინათლე თრთის ბნელში და თვალს იზიდავს. მკრთალი შუქი მარტოა და სევდიანი მეჩვენება.

შემდეგ თანდათან სხვაგანაც აინთო.

ჰაერში გამდგარა დანამული ბალახის სურნელება. ციცინათელები იღვიძებენ ბუჩქებში და ცივი ფოსფორით ციმციმებენ. ღამის სიჩუმეში კალიების ძილისპირული ისმის.

სადღაც გზაზე ურემი მიჭრიალებს და მეხრე მიიმღერის. ჰანგი ნაღვლიანია და თანაც მხნე. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია, გამოსცეს ასეთი ხმა.

ფიქრით მივყვები ამ კეთილ ხმას და მინდა, მეც ვთქვა ჩემი სიმღერა, თუ როგორ ვლოცავ სიცოცხლის მადლს, თუ მკერდში გული სიყვარულის ბუდედ როგორ ჩამიდეს.

გვიან ღამით ქრებიან ლამპები და მხოლოდ ერთი რჩება ისევ იმ ადგილას, სადაც პირველად აინთო. მკრთალი ნათელი ისევ მარტოა, ისევ თრთის ბნელში და თვალს იზიდავს.

რამ დატოვა იქ შუქი? სიხარულმა თუ გლოვამ?

ღმერთო, დაზოგე ის სახლიც. განარიდე მწუხარებას! ეს მშვიდი ღამე ჩემს ქვეყანაში ყველას ბედნიერი გაუთენე".

რაც არ უნდა თქვან, ეს სურათიც და მწერლის გრძნობაც გადამდები და ამაღელვებელია, როგორც კეთილხმოვანი ჰიმნი. ვიცი, მოინახებიან ისეთებიც, რომლებიც დაიწყებენ ლაპარაკს აბსტრაქტულ ჰუმანიზმზე, შესაძლოა, სენტიმენტალიზმზეც. იქნებ ვინმე ჩაკირკიტებულმა ისიც თქვას, რატომ მწერალი იმაზე არ დაფიქრდა, რომ, ვინ იცის, იმ ერთ სახლში საიდანაც ერთადერთი შუქი გა-

მოკრთის, ავაზაკები და კაცის მკვლელებია თავშეყრილნი და ნაალაფარს იყოფენო.

არა. მწერალმა კარგად იცის, რომ იმ სახლში ავაზაკები კი არა, ადამიანური ადამიანებია. ჩვენც ხომ ვიცით, რომ მწერალს მკვეთრად გამიჯნული დამოკიდებულება აქვს ბოროტებისა და სიკეთისადმი, ხომ ვიცით რა მკაცრია იგი თავისი ბეროშვილის მტაცებლური, მომხმარებლურ-ეგოისტური ბუნების მიმართ და რა გულშემატკივარი, რა ალერსიანი და ჭირთმოზიარე თავისივე ირინე თუხარელის წმინდა ადამიანური არსების მიმართ. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების ბევრი სხვა მაგალითიც შეგვიძლია გავიხსენოთ ს. კლდიაშვილის წიგნებიდან.

შორს არ მინდა, წავიდე, მხოლოდ ვამბობ: უგულობასა და შეზღუდულობას თავისი უკმეხი და შეუვალი ლოგიკა აქვს. მაგრამ ადამიანური ადამიანობის დიდი სიყვარულიც თავის მარად ჩაუქრობელ სინათლეს აშუქებს.

გამახსენდა მოხუცი არქიტექტორიც, ერთი უცხოური წიგნის (ჰენრიხ ბიოლის) გმირი, რომელიც, იგონებს რა ახლობელ თუ შორებელ ადამიანებს — ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ, დაახლოებით ასეთ აზრს გამოთქვამს: — ყველა საუკუნის ყველა დიდებულ სკულპტურულ ჯგუფს სიამოვნებით გავიმეტებდიო დასანგრევად, ოღონდ ერთხელ კვლავ დამენახა სათითაოდ იმ ადამიანთა განუმეორებელი ღიმილი, მეგრძნო მათი ხელების განუმეორებელი სითბო; რას ნიშნავსო ჩემთვის ნივთების, ღმერთების, ადამიანების გამოსახულებანი ნამდვილ ცოცხალ ადამიანებთან, მათ ნამდვილ სიხარულსა და მწუხარებასთან შედარებით; ერთი ბიჭუნას გულისათვის, რომელიც თვალითაც არ მინახავს, შევწირავდიო ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს — წმინდა სევერინის ტაძარს (არ ვიცი, ნამდვილად არსებობს ასეთი ტაძარი თუ მოგონილია. ლ. კ.) და მაინც მეცოდინებოდა, რომ ეს უმნიშვნელო და სასაცილო ფასია ისე როგორც სასაცილო ფასია მედალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვისო.

მე უზომოდ მხიბლავს ნივთების ფეტიშის ეს ძალუმი უარყოფა. მეც, თუ ეს ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული და თუ ეს საჭირო იქნებოდა თუნდაც ერთი პატარა ადამიანის გადასარჩენად, სიამოვნებით დავანგრევდი არაერთ უდიდეს ნაგებობას. მე ამაზე ხშირად მიფიქრია. იქნებ თქვენც გიფიქრიათ, იქნებ თქვენც დაგიყენებიათ გუნებაში, შესაძლოა, ერთი შეხედვით, მეტად ახირებული კითხვა: აი, ეს უზარმაზარი სახლი მეტი ღირს თუ ერთი ადამიანის სიცოცხლე?

როგორადაც უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს ის, რომ ბედნიერება გაკეთდეს ადამიანური ადამიანობის თარგზე. ადამიანური კი, რანაირ ნალექებსა და სისაძაგლეებშიაც არ უნდა იყოს იგი ჩაფლული, უნდა მოინახოს ყველგან, ყოველ ადამიანში.

ღმერთო ჩემო, რა გულუბრყვილო ინსტრუქციასავით გამოვდის (ვინ დამავალა? მაგრამ ეს ჩემი ფიქრებია და რაკი გადავწყვიტე მათი გამხელა, ხომ ვერ გადავასხვაფერებდი).

მართლაც, საოცარია ამ ფიქრების ამბავი. ზოგჯერ საოცარი რამ აგეკვიატებათ. რა მართალია პოეტი:

> მიდის ოპერა „ლაკმე“,
> ბუტაფორიის შეხლა.
> განა ეს არის საქმე?
> მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა.

მადლობა ღმერთს, თბილისში ყველანი კარგად დავტოვე — მეგობრებიც, ნაცნობებიც, მოყვრებიც, ოჯახის წევრებიც. მაგრამ ერთი აკვიატებული სიზმარი ცხადში მოსვენებას არ მაძლევს.

დიახ. სიზმარი ცხადში! (მეცნიერებო, ფსიქოლოგებო! ნუ კი გაიღიმებთ ხოლმე ქედმაღლურად. თუ ვაჟკაცები ხართ ახსენით, ახსენით საფუძვლიანად რა არის, რისგან წარმოსდგება, რანაირი შინაარსისაა ეს სიზმარი ცხადში). დროდადრო მეჩვენება, რომ ვიღაც ყველაზე ახლობელი, ყველაზე საყვარელი, ყველაზე ძვირფასი არსება ავადმყოფი დავტოვე, ძლიერ ავადმყოფი. მერე მოჩვენება გაქრება. ვისმენ ჭკვიანურ სიტყვებს, ვესაუბრები შესანიშნავ მეგობრებს, ვფიქრობ სადღეისო საქმიან საკითხებზე, მაგრამ უეცრად შუა ფიქრებში შემაკრთობს ისევ ის მოჩვენება. ასეთი რამ ზოგჯერ ნადირობაშიაც დამმართნია... ეჰ, ჯანდაბას ეს ავადმყოფური მოჩვენება. ან ვის რაში ეპიტნავება იგი.

აი, მაგალითად, სავსებით ნორმალური და ბუნებრივი იყო ის, რომ ჩვენ ქართული დელეგაციის ყველა წევრი მოსკოვში, ვგონებ, მთელ საქართველოსთან ერთად. ძლიერ ვღელავდით ნონა გაფრინდაშვილის დიდი საჭადრაკო ბრძოლის გამო. გადამწყვეტი დღეები იყო. მოსკოვის გაზეთები კი რატომღაც არცთუ ისე სისტემატურად აქვეყნებდნენ ცნობებს ამ ბრძოლების შესახებ. ცას ვეწიეთ, როცა გავიგეთ, რომ ნონა უკვე დაუწეველი გახდა. ყოჩაღ, გოგონა, ასე რომ ალესე და დარაზმე ჩვენი გრძნობები! შორს ყოველგვარი მოჩვენება! მით უმეტეს, რომ ასე კარგად, ასე ქართულად იღიმებოდა მიხეილ ქვლივიძე, რომლის ლექსები უკვე შეეჩვივნენ მოსკოველთა ტაშს.

ვგონებ, არც იმაში იყო რაიმე მისტიკა, რომ ხშირად თვალწინ

მიდგებოდა ქართული სცენის ლომის — აკაკი ხორავას სახე, ან ხშირად ყურში რომ ჩამესმოდა რეზო ლაღიძის ქართული ჰანგები. ხერხემლის გრძნობა სავსებით ბუნებრივი გრძნობაა. თანაც რეზო ლაღიძე შესანიშნავი მონადირეცაა.

მერე ის იყო, რომ ერთ დღეს ცნობილ „არაგვში" ვისადილეთ. „არაგვი" შესულია მოსკოვის ბიოგრაფიაში. რამდენიმე უცხოურ რომანშიაც კი არის მოხსენებული. მათ შორის, რამდენადაც მახსოვს, ოლდრიჯის „დიპლომატშიაც".

სადილზე ჩვენთან იყო ჩვენი კარგი მეგობარი, შესანიშნავი რუსი საბჭოთა ლიტერატორი — ალექსანდრე გრიგორისძე დემენტიევი. მან თქვა სადღეგრძელოში: „ადამიანთა და ხალხთა მეგობრობა არის ყველაზე დიდი სიკეთე იმ სიკეთეთა შორის, რაც კი შეიძლება დედამიწაზე განხორციელდეს; მეგობრობაში კი არავითარი უფროს-უმცროსობა და დიდ-პატარაობა არ უნდა არსებობდეს"... და მართლაც... ჩვენ სუფრაზე არც ყოფილა რაიმე დიდ-პატარაობა.

მხოლოდ აქვე ორი კაცის სადილი ჰქონოდა შეკვეთილი კონსტანტინე სიმონოვს. იგი მოგვიანებით მოვიდა, მოვიპატიჟეთ და შემოგვიერთდა თავის უზბეკი მეგობრითურთ. თამადობაც იკისრა. თამადამ, რასაკვირველია, არ უღალატა დიდ-პატარობის პრინციპს. თანაც ჩქარობდა, თავისი პიესის წარმოდგენას უნდა დასწრებოდა. მეორე საღამოს ჩვენც დავესწარით, მაგრამ არა კონსტანტინე სიმონოვის, არამედ გიორგი მდივნის ჰეროიკული დრამის („ტერეზას დაბადების დღე") წარმოდგენას პუშკინის სახელობის დრამატიულ თეატრში. მრავალი ერთსულოვანი ტაში მოსკოველი მაყურებლისა მეტყველებდა სპექტაკლის წარმატებაზე. გვითხრეს, წინა დღეებში წარმოდგენას კუბელი სტუმრები ესწრებოდნენ და აღფრთოვანებული დარჩნენო. მკვირცხლი და მოქნილი ფანტაზიის დრამატურგია ჩვენი გიორგი, თანამედროვეობის მახვილი გრძნობით. იგი წარბწამწამებიანად იღიმებოდა, როცა წარმატებას ულოცავდნენ. კარგია, ხელიმც მოემართოს!

როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვს დღეს, რასაკვირველია, ვერაფრით გაკვირვებთ. თუ ყოველ ქალაქს თავისი სტილი აქვს, მე ვფიქრობ, ეს სტილის თავისებურებანი ძირითადად ორგვარი ხასიათისაა: მამაკაცური და ქალური. ერთმა ამერიკელმა მწერალმა პარიზს, მაგალითად, ბრწყინვალე კურტიზანკა უწოდა. თუ ეს შედარება მართებულია, ვაშინ მოსკოვს თამამად შეგვიძლია, ვუწოდოთ გოლიათი მამაკაცი, რომელიც გაბედულად აფათურებს ხელებს ვარსკვლავეთში. მიუხედავად იმისა, რომ აქ აუარებელი ლამაზი ქალია (შორს

ყოველგვარი წამწყმედი ფიქრები!) ყველაფერში — აზროვნებაში, ყოფაში, ხელოვნებაში, ქალაქის არქიტექტურაში — მაინც მტკიცედ და ენერგიული მამაკაცური ფორმები სჭარბობენ.

როგორღაც მოხდა ისე, რომ ამ ფიქრის დროს ცნობილ მანეეთან აღმოვჩნდი. მართალა, იგი ძველი ყაზარმული ტიპის შენობაა, მაგრამ მამაკაცური სტილის ტრადიცია მაინც შემოაქვს დღევანდელ მოსკოვში. ო, რა მძიმედ და მტკიცედ აწევს იგი მოსკოვის მიწას. მანეეი ამჟამად გამომსახველობითი ხელოვნების ნაწარმოებთა საგამოფენო გალერეად ითვლება. ახლა აქ გახსნილია 1961 წლის სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა. ერთხელ იგი გ. მარგველაშვილთან ერთად დავათვალიერე. მერე ორჯერ მარტო დავიარე ყველა დარბაზი. ეს არის ფერების, ხაზების, პლასტიკური ნაკვთების მთელი ვეებერთელა მეურნეობა, გამსჭვალული ახალი ცხოვრების დამკვიდრების სულისკვეთებით. ბევრი რამ ახარებს აქ თვალს, გულსა და გონებას: ბევრი რამ განიჭებთ ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას. მაგრამ უნდა ვთქვა, პირადად მე არ დამბადებია სურვილი მუხლებზე დავცემულიყავ და თაყვანი მეცა რომელიმე უჭკნობი სილამაზისათვის ის, როგორც ჰენრიხ ჰაინემ დაიჩოქა ვენერა მილოსელის ქანდაკების წინაშე. გასაგებიცაა, ის ჰაინე იყო, გარდა ამისა ხელოვნებაში მე ძალიან მიტაცებს მოულოდნელობა. დიდ ძალის მოულოდნელობას კი გამოფენაზე ვერ შევხვდი. აქა-იქ ჭვალივით იჩხვლეტებოდა შიშველი თემატიკაც სასიამოვნო განცდას იწვევს ეროვნული ხელწერის თავისებურება.

მე ასე მივხვდი, რომ საქართველოს დარბაზიც მხარს უსწორებს სხვებს. აქაც ისე, როგორც ყველგან, ზოგჯერ სახელები ამშვენებენ ნაწარმოებებს, ზოგჯერ ნაწარმოებები — სახელებს.

საქართველოს დარბაზში წარმოდგენილ მხატვრულ ქმნილებებში ბევრი რამ არის საყურადღებო. სასიხარულო, წარმტაცი და ახალი, რასაც ფართო გზა უნდა გაეხსნას. საღავოც და საჭიროც. ჩემი აზრით, ცოტა როდია. მაგრამ კონკრეტულ ნაწარმოებთა გარჩევაში ვერ შევალ, რადგან, როგორც იტყვიან ხოლმე, კომპეტენტური არ გახლავართ. უცოდინართა ჩარევას კი ხელოვნების საქმეში ბევრი რამ წაუხდენია. მით უმეტეს, თუ მას ერთგვარი წესდებულების ხასიათი მიუღია. ხელოვნების ნაწარმოები, რასაკვირველია, ასე თუ ისე ყველა ადამიანზე ახდენს ზემოქმედებას. იგი მოსწონთ ან არ მოსწონთ. მაგრამ ზემოქმედება (ცერძოდ, მოწონება ან არმოწონება) — სრულიადაც არ ნიშნავს ხელოვნების ნაწარმოების გაგებას. ერთი სიტყვით, მხატვრობის დარგში მე შემიძლია მხოლოდ შინაური მსჯელობა და შინაური კამათი ჩემს ვაჟთან. სხვათა შორის,

მისი ერთი სურათი აქაც არის გამოფენილი — ქალიშვილის პორტრეტი.

ქალიშვილთა პორტრეტები — ფერწერული, სკულპტურული თუ გრაფიკული — საერთოდ მრავლად არის წარმოდგენილი საქართველოს დარბაზში. ისინი ეკუთვნით, როგორც ხანდაზმულ, ისე ახალგაზრდა ოსტატებს. თითოეულ მათგანში მე შევნიშნე რაღაც განუმეორებელი სიმშვენიერე. ეს თითქოს ბუნებრივიცაა, ქალიშვილებზე უკეთესი ამქვეყნად აბა რა არის! მე რომ მხატვარი ვყოფილიყავ, სულ ქალიშვილებს დავხატავდი.

იმიტომაც არა ვარ მხატვარი, რომ ასე მარტივად ვაიგივებ ცოცხალ მშვენიერებასა და ხელოვნების მშვენიერებას? თქვენც მართალი ხართ!

კიდევ უფრო მხიარული ვიქნებოდი, რომ კვლავ არ მზმანებოდა ეს წყეული სიზმარი ცხადში. თითქოს ყველა ეს ქალიშვილიც რაღაცათი ჰგავდა იმ ძვირფას ავადმყოფს.

საერთოდ, 1961 წლის სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა მე განვიცადე როგორც ჩვენი ერთიანი მსოფლმხედველობის მტკიცე საძირკველზე დაყრდნობილი რეალისტური ხელოვნების დიდი დემონსტრაცია. მაგრამ წყურვილი მეტი მრავალფეროვნებისა მაინც დამრჩა. მართლაც, განა სულისგამყინავი ერთფეროვნება არ მოიცავდა ქვეყნიერებას, რომ ჩვენ ყველანი ერთნაირად ვხედავდეთ და განვიცდიდეთ ცას, მიწას, მთებს, ველებს, ადამიანებს, საგნებსა და მოვლენებს? მთავარია რომ ჩვენ — საბჭოთა ადამიანებს გვაქვს ერთიანი მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომლის მეშვეობითაც ვწვდებით საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს და ვაშენებთ საზოგადოებას, რომელიც იხსნის ადამიანებს სოციალური უთანასწორობისაგან, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან, ომის საშინელებათაგან და დაამკვიდრებს დედამიწაზე ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

სამყაროს ეგრეთ წოდებული მხატვრულ-ესთეტიკური ათვისება კი, რაც, რასაკვირველია, ამავე იდეალების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს, მოითხოვს ადამიანთა ფრთაშეუკვეცავი ფანტაზიის დაუსრულებელ ინდივიდუალურ სხვადასხვაობას, ქვეყნიერების ხილვის უსაზღვრო ნაირფერობას. ამის გარეშე ნამდვილი ხელოვნების განვითარება შეუძლებელია.

მაგრამ აქა-იქ ხომ არიან ხელკეტიანნი, იქნებ ზოგჯერ ჩვენს სულშიაც შემოპარულნი, რომელნიც ელტვიან ხილვათა და ფანტაზიათა დაყვანას ერთ სახეობამდე.

არა. რატომ ზღვა არ გხიბლავს, ტყე კი გაფრთოვანებსო.

მე, მართლაც. არ მხიბლავს ზღვა, არ მხიბლავს, რადგან იქ ყოველივე პიროვნული წარხოცილი და გაწყალებულია. ჩაუნთქავს მშვენიერი მდინარეები ნაკადულები, ღელეები და მათი სახსენებელიც კი მოუსპია. ტორტმანობს, ბორგავს, ბობოქრობს უზარმაზარი წყალი — ეს ულმობელი დიდმპყრობელი და ყველაფრის გაუპიროვნებასა და გაუსახურებას ცდილობს. ტყე კი ნამდვილად მხიბლავს, უზომოდ მხიბლავს. იგი სავსეა ერთმანეთისაგან განსხვავებული პიროვნებებით, სიცოცხლის მრავალსახეობით. ერთი ხის ფოთლებიც კი არ იმეორებენ ერთმანეთს ზუსტად. თითოეულ მათგანს საკუთარი ნახატი აქვს, საკუთარი პიროვნული ნიშნები გააჩნია... ერთი სიტყვით, მხიბლავს ტყე. არ მხიბლავს ზღვა. მერე რა? ხომ არ შეიძლება, რაიმე ცოდვად ჩამეთვალოს ეს ჩემი განსხვავებული ემოციური დამოკიდებულება ზღვისა და ტყისადმი?

— რა უცნაური კითხვაა, — ამბობთ. ალბათ, თქვენ.

ასე თუ ისე, ბევრი ამდაგვარი ფიქრი მიმყვებოდა და მომყვებოდა ჩემს პირველ საჰაერო ნათლობაში.

ფაქტია, ჩამოვრჩებოდი ჩვენი დროის ტექნიკას. როგორღაც ისე მოეწყო საქმე, რომ ჩემი ცხოვრების საკმაოდ გრძელ მანძილზე მხოლოდ 1961 წლის 14 ნოემბერს გავფრინდი თბილისიდან მოსკოვისაკენ. მართალი გითხრათ, ჩემი გულის გადამკიდეს, გულისა, რომელსაც კარგა ხანია შეეჩვია მჩხვლეტავი ჭვალი, ცოტა არ იყოს მეჭოჭმანებოდა გაფრენა.

მაგრამ გაფრენაა კი ეს?

რამდენიმე წამს. სანამ ფრთაგაშლილი და ბორბლებზე შემდგარი ხომალდი სასტარტო გზატკეცილზე გარბოდა, ერთგვარ სისწრაფეს კიდევ ვგრძნობდი. მაგრამ როცა ძალუმად დაიგუგუნა, დაიწივლა და ჰაერში აიწია, სისწრაფე თითქოს სივრცეში შთაინთქა, უკეთ ვთქვათ, მოძრაობა ჩაყლაპა სივრცემ.

როგორც საჰაერო ახალბედას, სერგიმ საკარძელი დამითმო სარკმელთან, ფრთის წინა მხარეს. დაბლა სახლები უკვე პატარ-პატარა ჭრელ კოლოფებად მოჩანდნენ, მიწა — დაკუთხულ ნაკრებად. უცნაურ ხალიჩებად; თხელ. დაწეწილ ნისლში სადღაც ჩახრამულ უფსკრულებსაც ჩაწვდა თვალი, ნაძვნართა მწვანე შუბებიც დავინახე. მერე კიდევ ერთი ზარიანი გაწივლება და ჩვენ უკვე ღრუბელთა ზემოთ მივჩოჩავდით მძიმედ დატვირთული ჩარდახიან ურემივით. მართლაც ურემივით; არა, კიდევ უფრო ნელა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არავითარი ჯაჯგური აქ არ იყო. ხანდახან იგრძნობოდა ნარნარი გადაფერდება ხან ერთ. ხან მეორე

ბაარეზე. რატომღაც ახალგაზრდა ალიომ გაიბუტბუნა: „მთაზე ქორი ანგალი პერანგივით ქანაობს“... ზოგჯერ თითქოს ერთ წერტილზე ვეკიდეთ ცაში. ზოგჯერ წინ, ჩემი ანგარიშით სულ ოცდაათიოდე მეტრის მანძილზე, ე. ი. სანადირო თოფის მისაწვდენზე მივინიშნებდი ხოლმე ღრუბლის რომელიმე ქორედს და მერმე თითქოს ჯუს ნაბიჯით ძივდიოდით იმ ქორედისაკენ... ვფიქრობდი, რა პრიმიტიული და გულუბრყვილო ასოციაციები მეგადება, რა მოძველებული შედარებები მომდის თავში-მეთქი. საც ერემი და სად თანამედროვე ტექნიკის უმაღლესი მიღწევა — უსწრაფესი საჰაერო ლაინერი! ხომ ახი იქნება, საოცარი ჩამორჩენილობა და თანამედროვე სტილიდან ამოვარდნა რომ მიკიჟინოს ვინმემ, რა გაეწყობა.

მოსკოვიდან კი უკვე ათვისებულ სივრცეს მოვარღვევდით, ვიცით. რომ ცხრა თუ ათი კილომეტრის სიმაღლეზე ვართ. ზევიდან მოწმენდილი ცა დაგვნათის, ქვეშ კი ზამთრის ტყვიისფერი ღრუბლების ტრამალებია გადაშლილი. გგონიათ, ხან თვალუწვდენელ ნაცრისფერ ხნულებს მისდევთ, ხან ტვინივით დანაოჭებულ ქუფრ ველებს, ხან თეთრად აკვამლებულ ბუჩქნარებს, ხან კი ინისფერ თოვლით დაფარულ ტყეებს. ზოგჯერ კაცს ეჩვენება, შეიძლება, ჩამოვიდე და ფეხით გავუსწრო ამ ზოზინა თვითმფრინავს ან იმ მშვენიერ თეთრ მინდორზე გავისეირნოო. მაგრამ გონების ერთ კუნჭულში მაინც არის მიმალული იქვნეული ფიქრი: ხომ საკმაოა მანქანის რომელიმე მთავარმა სასიცოცხლო ნაწილმა — უგულო, უგონო ლითონმა ივერაგოს, რომ ეს ათასნაირი ფიქრებით, იმედებით და ოცნებით სავსე თავები სადღაც საშინლად ჩაილეწონ.

— მართალი გითხრა, ძალიან დიდ ნდობას კი ვუცხადებთ ამ ტექნიკას, — გადავულაპარაკე ბესოს.

ბესომ გულიანად გაიცინა.

კავკასიონის ღრუბელთა ქორედები სრულიად განსხვავებულნი არიან. საზღაპრო სილამაზით აღვსილნი. მე ასე მეჩვენა, რომ ისინი თითქოს იმეორებდნენ თვითონ კავკასიონის ბუნებრივალებს, ფრიალოებს. ჭიუხებს, ქარაფებს, ჯიხვთშესახვეწელებს, ყინულისა და თოვლის ფაფანაკებს. ალბათ, სადღაც აქ არის ჩვენს ქვეშ დიდებული მყინვარწვერი, დარიალი, თერგი, არაგვი. ო, ჩვენ ალბათ, თავზე გადავუქროლეთ მათ, დიდი ილია კი მოხევის ტანმორჩილი ცხენით შეეოდიოდა საქართველოს კარებში. შემოდიოდა და რა მძიმე ტვირთი მოჰქონდა. ჩვენ კი... მაგრამ აქ ყოველგვარი პარალელი, მეტი რომ არ ვთქვათ, უდიდესი კადნიერება იქნებოდა...

ამასობაში ჩვენი თვითმფრინავი ოსტატურად დაეშვა თბილისის მიწაზე.

ᲓᲕᲐᲬᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐ

საკმაოდ ნაყოფიერი და მონდომებული, მაგრამ არცთუ ხმაურიანი პოეტია გრიგოლ ცეცხლაძე. გართულებულ წარმოსახვებს არ ეტანება იგი, უფრო მეტად უშუალო განცდებსა და საგანთა თუ მოვლენათა პირდაპირ ანარეკლებს გამოსახავს. ბევრ მის ორიგინალურსა თუ თარგმნილ პოეტურ ნაწარმოებებში მკითხველი საკმაოდ პოულობს კარგ, ძარღვიან, შთაგონებულ და დიდხანს გამყოლ სტრიქონებს, მოხდენილ პოეტურ ნაკვთებს.

„ჩემი შემოქმედებითი გზა ორ პერიოდად იყოფა, — წერს პოეტი თავის თავზე — პირველი ერთგვარად დაშორებული იყო რეალიზმს, მეორე კი — რეალიზმის პრინციპებს ემყარება და სოციალურად განახლებული ცხოვრების რომანტიზმით არის გამსჭვალული“.

პოეტს ცხოვრებისა და შემოქმედების საკმაოდ გრძელი გზა აქვს გამოვლილი... და ახლა მხცოვანს შეუძლია უთაკილოდ შეავლოს თვალი თავის ნაღვაწსა და ნაამაგარს... ამ რამდენიმე წლის წინათ პოეტმა კიდევაც თქვა წრფელი ლირიკული აღსარება:

ჰაუ!
რამდენი შეცდომები
შევნიშნე ახლა,
განვლილ ბილიკებს
გადავავლე როდესაც თვალი

ბევრ დიდ სიძნელეს დაუძლეველ
რომ შეეჭიდე...
თუმც განდიდების,
გამდიდრების
არ მღრღნიდა ჭია.
მე არ მადარდებს
თუ არა ჰქუხს ჩემი სახელი,
ჩემი კაკალიც თუ ჩუმად დევს,
არა ჩხრიალებს,
ვიცი, ჩემს ლექსსაც
ჰყავს მოკეთე — მკითხველი წრფელი, —
სხვათა დაფნები ძილს არ მიფრთხობს,
არ მაწრიალებს.

სადღაც მონაბერი ფიქრების სიღრმეში ინასკვება მწვავე კითხვა: მართლაც, . შორია კაციდან კაცამდის?.. შემოქმედიდან შემოქმედამდის? პოეტი შეჰხარის ქვეყანას, ეპოქას, სადაც დიდი ტალანტები კი არ ემიჯნებიან და კი არ მტრობენ მცირე ტალანტებს, რიგით ადამიანებს, არამედ ბედში იზიარებენ, თავიანთ საქმეთა და ფიქრთა თანამონაწილეებად სახავენ...

არზვიადობა, მოკრძალებულობა ორგანულია პოეტის კილოსათვის:

შვილი პატარა ქვეყნის,
არაზვიადი გვარის,
ვზივარ და ვუცქერ ტალღებს,
ჩემს წინ დუდუნებს მტკვარი,

ადამიანებთან კავშირისა და ეპოქასთან განუყრელობის გრძნობა პოეტის წარმოსახვაში ენაკადება რომანტიკულ სწრაფვას:

ადამიანთა შორის
მე არ დავდივარ კენტად.
მე ვღელავ მთელი გულით
ჩემს ეპოქასთან ერთად.

არის რაღაც საპატიებელი მიამიტობა ხანდაზმული პოეტის მოხუცურ წუხილში:

„ეჰ, დრონი. დრონი“!
ხანდაზმული
სევდით ვბუბუნებ.
მაგრამ ახალ დროს
ამ სიტყვებით
ჩრდილს ვაფენ განა?
მეც სხვებთან ერთად
გულით ვეტრფი ახალ ქვეყანას,
მაგრამ მადარდებს,
სიშაბუკეს რომ ვერ ვიბრუნებ.

თავის ამ დარდში, როგორც ვხედავთ, არცთუ მთლად ორიგინალურია ჩვენი გრიგოლი. იგი გაცილებით უფრო ორიგინალურია თავისი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდით, რაც მას უამბნია ჩემთვის — ეს არის „დუელი“ გალაკტიონთან.

ახალგაზრდობაში გალაკტიონი და გრიგოლი რაღაცის გამო ცხარედ წალაპარაკებულან, ერთმანეთზე კიდევაც გაწეულან... მაგრამ გრიგოლი ანაზდად შეჩერებულა და მოღიმარეს პათეტიკურად წარმოუთქვამს:

— ტოროლას მაინც არ მოვკლავ... არა, ტოროლას კი არა... იადონს მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი...

და მეგობრულად გაუწვდია ხელი გალაკტიონისათვის.

— მართალია, ჩემო გრიგოლ! — უთქვამს გაღიმებულ გალაკტიონს. — აბა, აბა, რა გვაქვს საჩხუბარი საწყალ პოეტებს...

საგულისხმოა გრიგოლ ცეცხლაძის ღვაწლი ქართულ, საბჭოთა პოეზიაში. ვუსურვებ მას, დიდხანს იცოცხლოს და ამრავლოს თავისი პოეტური სიტყვა.

1974

ეპოქის სუნთქვა

ვიცი, ჩვენს ლამაზ ქვეყანას და კიდევ უფრო ლამაზ ხალხს ბევრი ენამზიური მეკვლე ჰყავს. ისინი ეტყვიან მას მგზნებარე სიტყვებს, მაგრამ ჩვენ ყველანი ხომ უნდა ვიყვნეთ ერთმანეთის მეკვლენი, რათა მუდამ ვგრძნობდეთ შემჭიდროებას, გულთა და სულთა კავშირს.

ძინდა სულში მედგას ის გრძნობები, რაც ახლა თქვენს გულში დუღს ჩემო ძმებო თუ დებო, ქართულ ცხვარს რომ აძოვებთ ყიზლარის ველებზე, ქართულ ვაზს რომ ელოლიავებით ალაზნის სანახებში, ციტრუსებსა და ჩაის რომ ახარებთ საქართველოს სუბტროპიკებში, მარგანეცი და ქვანახშირი რომ ამოგაქვთ ქართული ძიწის წიაღიდან, ქართულ ფოლადს რომ ადნობთ და ქართული მარკის მანქანებს რომ აკეთებთ, ქართულ აკვანს რომ არწევთ და ქართულ ნანას რომ მღერით.

თქვენ ბევრი ფიქრი გაქვთ! და ვიცი, რომ ამ ფიქრებშია ადამიანთა გულის დიდი სიმართლე.

მინდა, ვიყო თქვენს ფიქრებთან თქვენი გულის ხელთუქმნელ სიმართლესთან: რა გაღონებთ, რა გახარებთ, მოეუნახო მათ საერთო ძაფი, საერთო კილო. მხოლოდ მაშინ შეიძლება ექნეს სიტყვას რაიმე მნიშვნელობა.

ვაგლახ, რა ახლოსა ვარ და მაინც ერთგვარად შორსა ვარ თქვენგან.

მაგრამ დიდი საერთო ფიქრებიც ხომ გვაქვს.

აი, ეამთასვლის უსასრულო კრიალოსანზე ჩამოიმარცვლა კიდევ ერთი წელი — 1962 წელი. თვალი გავადევნოთ გარდასულს, რადგან ხომ ვიცით, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა.

ყველაზე დიდი რამ რაც, ჩემი აზრით, გასულმა წელმა მოგვცა, ეს არის, რომ გადავრჩით!

შორეულ კარიბის ზღვაში განასკვულ წინააღმდეგობათა გამო ბეწვზე ეკიდა მთელი მსოფლიოს ბედი... მაშასადამე, თითოეულ ჩვენთაგანის ბედიც.

გაიმარჯვა გონიერებამ.

ვინ, როგორ და რამ გადაგვარჩინა — ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ მთავარია მუდამ გვახსოვდეს, რომ ამ საქმეში თვითეული ჩვენთაგანის ღირსეული წვლილია. მხოლოდ ჩვენი შრომა და ერთგულება აძლევს ძალას ყოველგვარ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს.

გადავრჩით, მაგრამ... ხედავთ, მაინც რა მოუწესრიგებელია ჯერ კიდევ ეს ჩვენი დედამიწა? ჯერ ხომ კიდევ არიან და ფრიად გაცხოველებულადაც მოქმედებენ წრეები, რომელთაც ომი ყველა წინააღმდეგობის გადაწყვეტისა და ქვეყნიერების „მკურნალობის" მუდმივ საშუალებად მიაჩნიათ. ერთი კაცთმოძულე დამთხვეული ამერიკელი იმასაც კი ამბობდა, რომ უომრად მსოფლიო მოსაწყენი და მახინჯიაო.

ჩვენ კი გვაქვს ერთი დიდი საერთო რწმენა, რომ მშვიდობა და ძხოლოდ მშვიდობა არის ყველა ამქვეყნიური ბედნიერების, სიკეთისა და მშვენიერების წყარო. ჩვენ ვიცით, რომ ომი საშინელებაა არა მარტო იმით, რომ უამრავ სიცოცხლესა და ნივთიერ დოვლათს სპობს. არამედ იმითაც რომ საშინელ ზნეობრივ ჭრილობებს აყენებს საზოგადოებას, ადამიანებს. ზნეობრივი ჭრილობების მოშუშება კი ყველაფერზე უფრო ძნელია.

იმისათვის, რომ მშვიდობა განმტკიცდეს, რასაკვირველია, არ კმარა რომ თითო-ოროლანი იყვნენ გონიერნი და გულკეთილნი: აუცილებელია თვითეული ჩვენთაგანი თავისი შრომითა და ღვაწლით ამრავლებდეს მშვიდობის ძალებს. კაცი ხომ ის არის და ქუდიც ხომ იმას ხურავს, როგორც ძველად ქართველები იტყოდნენ ხოლმე, ვინც დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს ყოველივე იმისათვის, რაც მის ირგვლივ ხდება.

ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი საბჭოთა უდიდესი მიღწევები. თქვენი მიღწევებიც ხომ ყველაზე უკეთ თქვენ იცით. მიღწევებზე ბევრი იწერება. ძალიან ბევრი. ესეც რომ არ იყოს. მიღწევებს თვითეული ჩვენთაგანი უმალვე გრძნობს თავის ყოფაცხოვრებაში. მე თუ მკითხავთ, საჭიროა მეტი იწერებოდეს იმაზეც. რაც მიღწეულია და რაც საჭიროა ადამიანთა ბედნიერებისათვის. გვესმოდეს ეპოქის სუნთქვა.

ერთ საოცარ მიღწევაზე მაინც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

აი, ახლა ჩვენგან რამდენიმე ათეული მილიონი კილომეტრით დაშორებულ პლანეტისაკენ — მარსისაკენ მიჰქრის საბჭოთა კოსმოსური ხომალდი. რომლის გონიერი ავტომატური მოწყობილობანი გვატყობინებს სამყაროს საიდუმლოებებს.

გასაკვირველი არაფერია და ადამიანურად გასაგებია, თუ რომელიმე ჩვენგანი ფიქრობს: — განა არ სჯობს, ჯერ ამ ჩვენი დედამიწის საქმეები გავათავისთავოთ, აქაური ადამიანის ცხოვრება მოვაწყოთ ბედნიერად და მერე დავიწყოთ ზეცაში ფათურიო?

მაგრამ, მოგეხსენებათ, მეცნიერება და ტექნიკა ვერ შემოიფარგლება მარტო „მიწიერი" ინტერესებით, რადგან სამყაროს ყოველი საიდუმლოს ამოხსნა — ეს არის ადამიანის გონების გამარჯვება ბუნების ძალებზე. ყოველი ასეთი გამარჯვება კი, რასაკვირველია, საბოლოო ანგარიშში აფართოებს ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერების არეს. გარდა ამისა, ვინ იცის, ის მანქანა, რომელიც ახლა მარსისაკენ მიისწრაფის, შესაძლოა, იქნეს ერთგვარი პირველსახე თუ ერთგვარი პროტოტიპი იმ ავტომატური რკინისკაცებისა, რომელთა ლაშქარმა მომავალში, შესაძლოა, ადამიანის კარნახით შეასრულოს ყველა უძნელესი სამუშაო და აურაცხელი დოვლათი დაგვიგროვოს.

შორს წავედით. დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს „ახლობელ" მარსს, მითოლოგიაში ომის მრისხანე ღმერთად წოდებულს. ეს ის მნათობია, რომელსაც მიჯნურისაგან შორს მყოფი ავთანდილი შეღაღადებდა:

მოდი, მარიხო, უწყალოდ
დამკერ ლახვრითა შენითა,
შეცამღებე და შემსვარე
წითლად სისხლისა დენითა.

რამდენიმე კვირისა თუ რამდენიმე თვის შემდეგ დედამიწის საბჭოური შიკრიკი გვერდით ჩაუვლის ამ „მრისხანე", წითლად მოკიაფე მნათობს, ჩაიხედავს მის საიდუმლოებაში და ცნობებს მოგვაწვდის... დაე, ეს იყოს დიდი სიმბოლური ნიშანი ომის ღმერთის შებორკვისა!

ადამიანებს დიდი ხანია სწყურიათ იცოდნენ, არის თუ არა სიცოცხლე მარსზე, არიან თუ არა იქ გონიერი არსებანი...

დიდება და დღეგრძელობა შენს მარჯვენას, მშრომელო ადამიანო, ქვეყნის დოვლათს რომ ქმნი და ხიცოცხლის ფესვებს ახარებ!

ნაწყვეტი ლიტერატურული დღიურიდან

:

— თანამედროვე კრიტიკაში მოღვაწეობა ძალიან ძნელია, — მითხრა ერთხელ კარგად ცნობილმა ლიტერატორმა, — აბა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ჰგავს თუ არა ზოგჯერ ჩვენი კრიტიკული აზრის მდგომარეობა იმ მხატვრის მდგომარეობას, რომელსაც ცალთვალა მეფე უნდა დაეხატა? ისედაც საკმაოდ კბილდადგმულსა და არცთუ ისე ძვალმაგარს, რაოდენი მოქნილობა სჭირდება ზოგჯერ, რომ არც მწვადი დასწვას, არც შამფური...

ამ სიტყვებმა რატომღაც სურვილი გამიჩინა, დროდადრო დავწერო ის, რაც კალმის წვერს მოჰყვება ხოლმე.

ამ დღიურებს, რასაკვირველია, არავითარი კავშირი არა აქვს კრიტიკის სადღეისო მოქნილობასთან.

დღიურები სრულიად შემთხვევით წამოვიწყე. არც კი ვიცი, რა გამოვა.

მე მყავს ერთი მეგობარი. დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ გამორკვეული მაინც არა მყავს. წარმოიდგინეთ, მის ხნოვანებასაც კი ვერ გეტყვით ზუსტად. საერთოდ. მეტად საინტერესო პიროვნებაა. ბევრი საგულისხმო თვისება ახასიათებს. ამჟამად საკმაოდ მტკიცე და თვალსაჩინო მდგომარეობის კაცია. ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი ნახა, ბევრი ატრიალეს იქეთ-აქეთ. მაგრამ მისი ილბლის ხაზი მაინც ზევით მიდის. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ადამიანის წარმატების საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს. მხოლოდ ერთი ახირებული ზნე სჭირს: დროდადრო ვერ მცნობს ამდენი ხნის ნაცნობს. პირველად მიკვირდა, მერე შევეჩვიე. ახლა მისი ეს ზნე კიდევაც ართობს ჩემს ცნობისმოყვარეობას. მისი ამ ცვალებადი დამოკიდებულებით კარგად ვხვდები, რა განწყობილება სუფევს გარკვეულ წრეებში, ვინ ვის უწყრება, ვინ ვის წყალობს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ცნობისმოყვარეობით ეს ტკბობაც რა ბედენაა, როგორც იტყოდა ხოლმე ჩვენი ერთი მწერალი.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე გეტყვით, რომ ჩემი მეგობარი ცოტ-ცოტას მწერლობს.

არიან ადამიანები, რომელთაც ბევრი აზრი და გრძნობა მოსდით თავსა და გულში, მაგრამ გამოთქმა და წერა უჭირთ; არიან ისეთებიც, რომელთაც ძალიან ბევრი წერა და ლაპარაკი ეხერხებათ, მაგრამ აზრის მოსავალი არც თუ ისე უხვი აქვთ.

ვერ გეტყვით, ამათგან რომელ ჯგუფს ეკუთვნის ჩემი მეგობარი, მაგრამ წერა ძლიერ ეადვილება. ამას ზედ ერთვის ის, რომ საკმაოდ უზრუნველყოფილად ცხოვრობს. ნუთუ აღარ აქვს საბაბი, რომ უკვდავებაც ეძიოს?

რაღა ბევრი გავაგრძელო: ამ ცოტა ხნის წინ ერთი კარგა მოზრდილი თხზულება დაწერა და მე წამაკითხა, როგორც ძველ მეგობარს. მე, ცოტა არ იყოს, წუნია კაცი გახლავართ, იოლად არაფერი მომეწონება. არ მომეწონა ჩემი მეგობრის თხზულებაც. მარტო იმიტომ კი არა, რომ საერთოდ, ჩემი აზრით, რაც იოლად იწერება, ის ძნელად იკითხება, და ჩემი მეგობრის თხზულებაც ძნელი წასაკითხი აღმოჩნდა; არა, იმიტომაც, რომ მართლაც არ არის იგი აღბეჭდილი ნამდვილი ხელოვნების მადლით. ჩემი შენიშვნები გულახდილად გავუზიარე. ბოლოს პილპილიც მოვაყარე, გრიგოლ ორბელიანიც წამოვიშველე და ვუთხარი: — მდგომარეობისა და თანამდებობის მიხედვით არ ანაწილებს განგება ნიჭსა და უნარს-მეთქი.

ამ ნიადაგზე ჩვენს შორის პირდაპირ ცხარე კამათი ატყდა. ვკამათობთ სიტყვიერად, როცა ერთმანეთს ვხვდებით, ვკამათობთ ბიწერ-მოწერითაც. როგორ მოსალოდნელი იყო, ჩვენი კამათი ეხასცდა თავდაპირველ საგანს და ბევრ სხვა რამესაც ვეხებით, ლიტერატურულსაც და არალიტერატურულსაც.

არ ვიცი, შემდეგ და შემდეგ როგორ განვითარდება და რა ხასიათს მიიღებს, მაგრამ ვატყობ, რომ თუ გაუთავებელი არა, საკმაოდ გრძელი მაინც იქნება ეს ჩვენი პაექრობა და რომელიღაც საფეხურზე იქნება გაშველებაც კი დაგვჭირდეს. ამიტომ გადავწყვიტე, ზოგი რამ მკითხველსაც გავუზიარო ამ კამათიდან. იქნებ, მკითხველის ჩარევამ რამდენადმე საჭირო და სასარგებლო გახადოს იგი. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ზოგად საკითხებთან ერთად ჩვენ ლიტერატურის კონკრეტულ საკითხებსაც შევეხებით, შეიძლება ქართველი მწერლების შემოქმედების განხილვაც დაგვჭირდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია ჩვენს კამათს გზადაგზა სხვებიც შემოენაკადოს და სახეირო რამე გამოვიდეს.

აი, რა ნიადაგზე იბადება ჩემი დღიურები. რასაკვირველია, ეს არ იქნება სტენოგრამის მაგვარი რამ. პირიქით, მე უმთავრესად კამათის იმ ნაწილის დასაბუთებას შევეცდები, რომელიც მე

მეკუთვნის, მეგობრის ნაწილს კი იმდენად მოვიტან რეპლიკებად ან სხვა სახით, რამდენადაც დამჭირდება ჩემი მიზნისათვის.

ვფიქრობ, ჩემი მეგობარი ამას თავკერძობად არ ჩამომართმევს. როგორც ვთქვი, მას წყალივით წერა ემარჯვება და შეუძლია დაწეროს რაც სურს. გარდა ამისა, მის შეხედულებებს ძალიან ვრცლად ვერ მოვიყვან, რადგან მაშინ, შეიძლება, ადვილად გამოიცნოს ის. მე კი მისი სახელი არ მინდა გავამჟღავნო, ვუფრთხილდები მის თავმოყვარეობას.

მკითხველი ალბათ გრძნობს, რომ ჩვენი დღიურები არცთუ ისე მწყობრი და დალაგებული იქნება. მართლაც. ვინ იცის, სად წაგვიყვანს და რა უცნაურობას გადაგვკიდებს კამათის სტიქია.

შეიძლება, ძვირფასო მკითხველო, მთელი ეს ამბავი მოგონილიც იყოს შენს საინტრიგოდ, რომ როგორმე ყური დაგაგდებინო ჩემი სათქმელისათვის. ასეც რომ იყოს, ვფიქრობ, დიდი ცოდვა არაა. მაგრამ ჩემი მეგობარი ნამდვილად არსებობს და ჩვენი კამათიც ნამდვილია.

როგორც ვთქვი, ჩემი მეგობარი არ დაეთანხმა ჩემს მოსაზრებებს მისი ნაწარმოების გამო და, როგორც ყოველ ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, შეუდგა იმის განმარტებას, თუ როგორ ესმის მას მხატვრული შემოქმედება.

თითქოს საოცარია, რომ იმის შემდეგ, როცა არსებობს ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, როცა კაცობრიობის კულტურის საგანძურში დაგროვილია მხატვრული შემოქმედების უამრავი უტკნობი შედეგი, — მრავალ ესთეტიკურ მოძღვრებაზე რომ არაფერი ვთქვათ, — ჩვენს წინაშე ყოველ ცალკე და არა ცალკე შემთხვევაში მაინც დგება საკითხი, თუ რა არის ხელოვნება, რა არის მხატვრული შემოქმედება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის საოცრება. ნამდვილად კი, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ამაში გასაოცარი არაფერია.

ხელოვნება და ლიტერატურა ადამიანთა სულიერი ცხოვრების მეტად რთული და მეტად მრავალწახნაგოვანი მოვლენებია. იცვლება და ვითარდება ადამიანთა ცხოვრება და იცვლება მათი გემოვნება, შეხედულებანი, მისწრაფებანი, იცვლება მათი წარმოდგენები. სილამაზეზე, მშვენიერებაზე, სიკეთეზე, ბოროტებაზე. ამიტომ მხატვრული შემოქმედების განუწყვეტელი განვითარების პროცესში თავს იჩენენ ისეთი ახალი მოვლენები, რომლებიც მისი ბუნების სრულიად ახალ მხარეებს, ახალ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებენ.

ჩემი მეგობარი კი ფიქრობს, რომ დასაბამიდან დღემდე ხე-

ლოვნების ბუნებაში არავითარი ცვლილება და არავითარი ახალი მხარეების განვითარება არ მომხდარა. მისი აზრით, ისე როგორც უშორეს წარსულში, ჩვენი ნახევრადველური წინაპარი თავის გასართობად ანუ განცდილის კვლავ განცდისათვის იმეორებდა იმ მოძრაობებს, რომლებსაც ძირხვენების მოპოვების ან მხეცებთან ბრძოლის დროს ასრულებდა, დღესაც ხელოვნება არსებითად განცდილის კვლავ განცდის სურვილით იბადება.

— ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, — ამბობს ჩემი მეგობარი, — რომ ყოველთვის მიისწრაფვის კვლავ განიცადოს, სხვებსაც განაცდევინოს და განამტკიცოს ის, რაც განუცდია სინამდვილესთან ურთიერთობაში. არსებითად სწორედ ეს კ ვ ლ ა ვ გ ა ნ ც დ ა ა ხელოვნება. ამიტომ რამდენადაც ცხოვლად და მართლად წარმოსახავს შემოქმედი იმ საგანს, იმ ვითარებას, რომელიც მისი განცდის პირველი წყაროა, იმდენად ძლიერი იქნება მისი კვლავ განცდა ანუ მისი ხელოვნება. მეც ჩემს ნაწარმოებში შევეცადე ისე ზუსტად აღმეწერა და გამომეხატა ბუნებაც, ადამიანებიც. მათი ურთიერთობაც და მოქმედებაც, რომ ისინი თვალწინ დაგვდგომოდნენ და ისეთივე განცდები აღეძრათ, როგორსაც აღგვიძრავდნენ ხოლმე სინამდვილეში. შენ კი ყველაფერს მიწუნებ, ჩემი არც ადამიანები მოგწონს, არც პეიზაჟები, არც სიუჟეტი, არც ისა და არც ეს, — მსაყვედურობს მეგობარი.

როგორც ხედავთ, ჩემი მეგობრის შეხედულება ლიტერატურაზე არცთუ ორიგინალურია. მსგავსი შეხედულებანი არაერთხელ გამოთქმულა სხვათა და სხვათა მიერ. ამ შეხედულებაში, ისე როგორც სხვა ანალოგიურ შეხედულებებში, ჩემი აზრით, არის ჭეშმარიტების მარცვალიც. მართლაც, ხომ არ შეიძლება ლაპარაკი იყოს ცხენზე და ჭკუათამყოფელმა კაცმა თქვას, ვაშლიაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ საგნის ბუნების ერთი ნიშნის ან თუნდაც მისი საერთო მოხაზულობის გამოხატვა ვერ გაგვიხსნის საგნის მთლიან ბუნებას. ამისათვის საჭიროა ყველა მის არსებით ნიშანთა კვანძისა და მისი ისტორიული ევოლუციის გარკვევა.

მსგავსად იმისა, რომ ჩვილობის დროს ადამიანისათვის არსებითია ხელ-ფეხის, უაზრო ინსტინქტური მოძრაობა, ხოლო მოზრდილობის დროს არსებითი უკვე ხელ-ფეხის შეგნებული მოძრაობაა,— თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ხელოვნებისათვის უეკველად არსებითი იყო ისეთი თვისება, ვთქვათ, ინსტინქტურობა, ქვეცნობიერულობა, რაც დღეს მისთვის უკვე აღარ არის არსებითი. შესაძლოა, კვლავ განცდაც ანუ ცხოვრების უშუალო მიმბაძველობა მთავარი და არსებითი იყო ხელოვნებისათვის მისი განვითარე-

ბის გარკვეულ საფეხურზე, მაგრამ დღეს იგი სრულიად არ არის საკმაო. მხატვრული შემოქმედების ბუნების ამ ისტორიული ევოლუციის დაწვრილებითი გამოკვლევა მეტად საყურადღებო და საგულისხმო სურათს გადაგვიშლიდა თვალწინ. ამასთან დაკავშირებით, ეჰვს გარეშეა, ისიც გამოირკვეოდა, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვადასხვა თეორია არსებითად ამ ისტორიული ევოლუციის სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა მხარის ანარეკლია.

მაგრამ ასეთი გამოკვლევისათვის დიდი დრო და აუარებელი კონკრეტული მასალა იქნებოდა საჭირო. აქ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ამ მითითებით და ისევ ჩემს მეგობარს დავუბრუნდეთ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მისივე შეხედულების შესაბამისად ჩემი მეგობრის ნაწარმოებში დიდი გულმოდგინებით არის აღწერილი ერთი დაწესებულების ადამიანთა ცხოვრება და თავგადასავალი. ამ დაწესებულების დირექტორი თითქოს მეტად საქმიანი და მბრძანებელი ხასიათის კაცია. თავის თანამშრომლებზე იგი მუდამ ატარებს რაღაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცდებსა და დაკვირვებებს. ამას იგი ადამიანზე ზრუნვას ეძახის. ბოლოს, როცა დარწმუნდება, რომ რომელიმე მათგანი სრული ყეყეჩი და უპიროვნოა, ყოველმხრივ შველის და აწინაურებს. ამ გზით დაწესებულების თითქმის ყველა თვალსაჩინო თანამდებობა ასეთმა ადამიანებმა დაიკავეს. დირექტორს განსაკუთრებით დიდ პატივში ჰყავს თავისი მოადგილე, რომლის ოჯახშიაც მფარველად და შინაურ კაცად ითვლება. ბოლოს საქმე ისე წავა, რომ დირექტორი ჯერ თავისი მოადგილის ლამაზ ცოლს, მერე მის ლამაზ ქალიშვილსაც შეაცდენს. ამავე დროს თვითონ მეტად ღონიერი და მიმზიდველი მამაკაცი აღმოჩნდება. დედა-შვილს შორის იმართება ჯერ ფარული და ბოლოს თითქმის აშკარა მეტოქეობა ამ სათაყვანებელი მამაკაცის გამო... ერთი სიტყვით, ნაწარმოებში არის საკმაოდ ფიცხი ეროტიული ეპიზოდებიც. დრამატული სცენებიც, ყოფაცხოვრებითი სურათებიც. მაგრამ ნამდვილი ხელოვნება მაინც არ გამოუვიდა ჩემს მეგობარს, ნამდვილ მხატვრულ სიმართლეს მაინც ვერ მიაღწია. იგი მარწმუნებს, ეს ამბავი პირდაპირ სინამდვილიდან მაქვს აღებულიო. მერე რა ვუყოთ? განა ყველაფერი, რაც სინამდვილიდან არის აღებული, აუცილებლად მხატვრული სიმართლეა? სიმართლე ღრმად იმალება მოვლენებში.

ვთქვათ, ჩემს მეგობარს რომ ნამდვილად განეზოგადებინა მხატვრულად თავისი ამბავი და დამაჯერებლად ეჩვენებინა, რომ უსულგულო ბიუროკრატები და მათი ბიწიერებანი ფეხს იკიდებენ

სწორედ ჩვენი ცხოვრების ისეთ კუნჭულებში, რომლებშიაც სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ ჩაუხედავს ხალხის პატიოსან, მართალ და მრისხანე თვალს, — ეს ასე თუ ისე მაინც იქნებოდა მიახლოება ცხოველ სიმართლესთან და ამ სიმართლის გზით — წარმტაც ადამიანურ სილამაზესთანაც. მაგრამ ჩემი მეგობარი გატაცებულია ცხოვრებისეული ფაქტების პირდაპირი განმეორებით და ყოველნაირად ცდილობს მკითხველში აღძრას ის უშუალო ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური რეფლექსები, რომლებიც ჩვენ, როგორც ცოცხალ ადამიანებს, ხშირად აღგვძვრია სხვადასხვა მიზეზთა და ვითარებათა ზემოქმედებით. ერთი სიტყვით, კვლავ განცდა ნაწარმოებში ასე თუ ისე მიღწეულია, მაგრამ, ვფიქრობ, ნაწარმოები მაინც ნამდვილი მხატვრული შემოქმედების მიღმა დგას. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შიგადაშიგ არ მოიპოვებოდეს კარგი ადგილები და კარგი სახეები. მაგალითად, მგონია, მეგობარს გვარიანი გამოუვიდა ტიპი ისეთი კაცისა, რომელსაც საკუთარი სხივოსნობა არ გააჩნია და მუდამ სხვის შუქს ირეკლავს, რომ მთვარესავით ნასესხები შუქით ანათოს. მომწონს ერთი უბრალო, მოკრძალებული და პატიოსანი მუშაკის შეხლაც გადიდკაცებულ დირექტორთან. ეს მუშაკი ბევრ დამცირებასა და უსამართლობას იტანს, მაგრამ ბოლოს მაინც აფეთქდება: — „მე არც გენიოსი ვარ და არც გადიდკაცებული ვინმე, — ეუბნება იგი დირექტორს, — მაგრამ დაბადების უფლებით, როგორც ადამიანს, მე ჩემი წილი მიდევს ქვეყანაში. ამ ჩემს წილს არავის დავანებებ. ჩემისთანები უთვალავია. და ჩვენ, სხვა რომ არა იყოს რა, ზიზღით და ფურთხით წავლეკავთ შენისთანა არამზადებს, რომელთაც მხოლოდ მდგომარეობის შენარჩუნება და რაც შეიძლება მეტის წაგლეჯა დაუსახავთ მიზნად“.

შესაძლოა, ეს ადგილი იმიტომაც მომეწონა, რომ საერთოდ, ჩემი აზრით, უსამართლობისა და ბიწიერების წინააღმდეგ აჭბოხებული ადამიანი მშვენიერია.

— ჩემო კარგო, — ვეუბნები ჩემს მეგობარს, — შენი ნაწარმოები არ არის მოკლებული ერთგვარ ემოციურობას. შენ ცდილობ ზუსტად აღადგინო ნანახი და განცდილი და ასე თუ ისე ახერხებ კვლავ განცდას. შენს ნაწარმოებს აშკარად ატყვია, რომ პირდაპირ არის გადმოწერილი ცხოვრებიდან და სწორედ ამიტომ არ ჰგავს ცხოვრებას. მას აკლია სწორედ შენი ხელოვნება, შენი ღრმა და მღელვარე დამოკიდებულება ქვეყნისადმი, შენი გამომგონებლობა. ერთი სიტყვით, შენს ნაწარმოებში არ არის ხელოვნების ემოციურობა, უკეთ ვთქვათ, შენ ვერ შესძელი უშუალო,

დედიშობილა ემოციების გარდაქმნა ხელოვნებით აღძრულ ემოციებად, ვერ მონახე ისეთი განუმეორებელი მხატვრული ფორმა. რაც არსებითად იმ თემების, იმ მოვლენების აქამდე ჩაუხედავ სიღრმეში ჩაგვახედებდა, რომლებზედაც შენ წერ. მწერლობა კი, ანუ ხელოვნება საერთოდ, ჩემი აზრით, იწყება სწორედ მაშინ, როდესაც შემოქმედი უშუალო ადამიანურ განცდებსა და ემოციებს ისე გადაადნობს და გარდაქმნის, რომ ხელოვნების ემოციებამდე აამაღლებს, რაღაც ახალსა და განუმეორებელს დაგვანახვებს. ყველა ნამდვილი და დიდი მხატვრული ნაწარმოები ხომ იმით გვაფრთოვანებს, რომ რაღაც ახალ სამყაროს გვიშლის თვალწინ, რაღაც განუმეორებელსა და განსაკუთრებულს გვიჩვენებს. თანაც გვგონია, რომ ყოველივე ეს იმდენად ადამიანური, იმდენად ცხოვრებისეულია, რომ ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა და გამოგვეხატა.

შენ კი, ჩემო კარგო, გგონია, რომ მხატვრული შემოქმედება მხოლოდ იმას უნდა გვახსენებდეს, რაც უკვე ვიცით, რაც არაერთხელ განგვიცდია. უფრო უხეშად, მაგრამ უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ: შენ გგონია, რომ, მაგალითად, შიშველი ქალი ხელოვნებაში იმავე განცდებს უნდა იწვევდეს, რასაც იგი სინამდვილეში იწვევს. ვიმეორებ, მაგალითი ცოტათი უხეშია, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ მკაფიოა. არა, ძვირფასო, ამ როლს უბრწყინვალესად ასრულებს ცოცხალი ქალი და ამ მხრივ მას არავითარი ხელოვნური შემცვლელი არ სჭირდება. რა ფასი ექნებოდა მრავალ მხატვრულ შედევრს, რომლებიც ქალის შიშველ სხეულს გამოსახავენ, რომ მათ უშუალო ფიზიოლოგიური რეფლექსების აღძვრა ევალებოდეთ? არავითარი. ნამდვილად კი ეს შედევრები გვხიბლავს ჩვენ გამომსახველობის უდიდესი ძალით, განუმეორებელი ხელოვნებით, რაც არსებითად ადამიანის სხეულის სილამაზისა და მშვენიერების მანამდე ჩაუწვდომელ სიღრმეში ჩაწვდომაა.

თუ მხატვრის მიერ დახატულმა ტყემ ისეთივე განცდები და ემოციები უნდა აღმიძრას, როგორსაც თვით ნამდვილი ტყე აღმიძრავდა, მაშინ რაღა ნახატს დავუწყებ ყურებას, წავალ და ნამდვილ ტყეს შევემსჭვალები. არა, მხატვრის ნახატში მე უნდა მომხიბლოს გამომსახველობის განუმეორებელმა ხელოვნებამ, ტყის მშვენების მანამდე მიუკვლეველმა სიღრმემ.

ამ ბოლო დროს თითქოს მოდაშია შემოსული ემოციურობაზე ლაპარაკი. რასაკვირველია, მხატვრული ნაწარმოები, თუ ის მართლაც მხატვრული ნაწარმოებია, ემოციური უნდა იყოს. მაგრამ, ვგონებ, ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ ერთია ხელოვნების ნაწარმოების ემოციურობა და სულ სხვაა უშუალო ემოციები. ხელოვნე-

ბაში რომ საქმე მარტო იმ ემოციებთან გვქონდეს, რომლებსაც ჩვენში უშუალოდ საგნები და მოვლენები იწვევენ, მაშინ ხელოვნება ზედმეტი ბარგი იქნებოდა, რადგან თვით სინამდვილე, თვით ჩვენი არსებობის პირობები ასეთი ემოციების მარად უშრეტი წყაროა.

ხელოვნება და ლიტერატურა ადამიანთა ემოციური სამყაროს დიდი ორგანიზატორი და დიდი მომწესრიგებელიც არის, რადგან თავისთავად ეგ სამყარო საკმაოდ ქაოსური და მოუწესრიგებელია. რამდენ ახირებულსა და უცნაურ რამეს წააწყდებით აქ. როდესაც ემოციებისა და სხვადასხვა ასოციაციების აღძვრაზე ჩამოვარდება სიტყვა, უნებლიეთ ერთი ამბავი მაგონდება, რომელიც რატომღაც ძლიერ ჩამრჩა მეხსიერებაში. არ შემიძლია, არ გიამბოთ:

ბავშვობაში ერთ სათნო მოხუცს ვიცნობდი. ლაზარე ერქვა. თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში ტუჩებთან თამბაქოს ბოლით ჰქონდა ჩაყვითლებული. მოხუცი მალიმალ იხსნიდა ჩოხის ქამარზე გამოკიდულ ქისას და თავის გრძელტარიან ჩიბუხს თუთუნით სტენიდა. მერე კვესს გაჰკრავდა და ნაპერწკალმოდებულ აბედს ჯერ ცხვირთან მიიტანდა, დაყნოსავდა, მერე ჩიბუხზე დაადებდა. აპლაკუნებდა, აქუქყურებდა თამბაქოს შავი ზეთით გამოვსებულ ბილს. ჩვენი კუთხის ბავშვებს ძლიერ გვიყვარდა ბაბუა ლაზარე. ხშირად გვიყვებოდა ყარამანიანის ამბებს. განსაკუთრებული გატაცებით მოგვითხრობდა, თუ როგორ ასწია ყარამან-ყათილმა ყაფის მთის რკინის კარები და როგორ გაატარა შიგ თავისი რჩეული ფალავნები. ბოლოს, ლაზარე, ჩვენ მოგვიბრუნდებოდა და გვეტყოდა:

— აბა, გვრიტებო, ახლა თქვენ გამახარეთ, ხიცინობია ითამაშეთ!

ეს საკმაოდ უაზრო და მარტივი თამაში თვითონ ბაბუა ლაზარემ გვასწავლა. ხან ერთ, ხან მეორე იღლიისაკენ ერთმანეთს საჩვენებელ თითს ვუშვერდით და თან ვიძახოდით: „ხიცი, ხიცი, ხიცინე, იცინე და იცინე“. ვისაც სიცილი აუტყდებოდა, იგი დამარცხებულად ითვლებოდა და მისთვის ცხვირზე წკიპურტი უნდა გვეკრა. ამ თამაშის ყურება, როგორც ჩანს, ლაზარესათვის უდიდესი ნეტარება იყო. სახე ხან სიხარულით წამოეგზნებოდა. ხან შთაგონებულად გაუფითრდებოდა, ხან უცნაურად მოეღრუბლებოდა, მაგრამ ტუჩები სულ გაღიმებული ჰქონდა. ეტყობოდა, კიდევაც ხარობდა და ნეტარებდა, კიდეც იტანჯებოდა და წვალობდა თითქოს მოთმინების ძაფიც უწყდებოდა... და ერთხელ, როცა ერთმა ჩვენთაგანმა თითი მისკენ მიიშვირა და დაიძახა: „ლაზარ, ხიცი, ხიცი,

ხიცინე, იცინე და იცინე", მოხუცი, მართლაც, სიცილით გადაფიჩინდა. მიწაზე გაგორდა და ფხარკალი აუვარდა. ამის შემდეგ ორივარი ბიჭები ხშირად აწვალებდნენ ამ სათნო მოხუცს. ცდილობდა, სათოფეზე აღარ გაგვკარებოდა. კარგა ხნის შემდეგ, როცა წამოვიზარდე, ვთხოვე მოხუცს აეხსნა, რა მოსდიოდა იმ დროს.

— ჰე! ჩემო ბაბუ, რას გაიგებ, კაცის სულსა და გულს რამდენი უცნაური ხვრელი აქვს, — მითხრა მან, — როგორ აგიხსნა... მე თვითონ არ ვიცი, რა და როგორ ხდება, მხოლოდ ვიცი, რომ როცა ვინმე ვინმეს „ხიცი-ხიცის" ეუბნება, გული რაღაც ენით გამოუთქველი გრძნობით მევსება. მოკლედ, რაც კი ცხოვრებაში სიტკბო და სიმწარე მინახავს, იმ წუთს თითქოს ყველაფერი გულში მიდგეს... თითქოს კიდევაც ვნეტარებ და კიდევაც მეშინია, გული არ გამიხეთქოს ამ ნეტარებამ. მაგრამ, თუ ვინმე თითს ჩემკენ გაჭოიშვერს, უკვე აღარაფერი ვიცი, პირდაპირ ბნედა მემართება.

მე მგონი მოხუცის ეს აღსარება საგულისხმოა. მართლაც, რამდენი უცნაური განტოტება აქვს ადამიანის ფსიქოლოგიურ რეფლექსებს. ძალიან ძნელია ადამიანთა ემოციების ასავალ-დასავალის გაგება. მაგრამ ერთი რამ ცხადია: „ხიცი-ხიცი" არ შეიძლება მიეკუთვნოს ხელოვნების რომელიმე დარგს.

თუმცა, რამდენადაც მე ვიცი, თანამედროვე მოდერნისტულ-აბსტრაქტული ხელოვნების ქომაგთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც თანამედროვე ხელოვნებას ადამიანის ინტელექტის გარეშე აყენებენ. აი, მაგალითად, პოლონელი კრიტიკოსი არტურ სანდაუერი ამტკიცებს, თანამედროვე ხელოვნება კლასიკური ხელოვნებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ადამიანზე გავლენას ახდენს არა გაგების, არა ინტელექტუალური ათვისების გზით, არამედ უშუალოდ, როგორც მუსიკა ან ფიზიკური შეხებაო; იმისათვის, რომ ჩვეულებრივი ფრაზა შეითვისო, — ამბობს იგი. — საჭიროა ჯერ გაიგო ეს ფრაზა, მაგრამ იმისათვის, მუსიკა ან ფიზიკური შეხება აითვისო, სრულიად არ არის საჭირო მათი გაგება, საკმარისია გამოსცადო მათი უშუალო ზემოქმედებაო; ამიტომ ადამიანებმა თანამედროვე ხელოვნებაში რაიმე საგანი, აზრი და იდეა კი არ უნდა ეძიონ, არამედ ასოციაციათა მდინარებას, ფიგურებისა და ფერების მუსიკას უნდა მიჰყვნენო.

დაახლოებით, ალბათ, ისე უნდა მიჰყვნენ. როგორც ბაბუა ლაზარე მიჰყვებოდა ხოლმე „ხიცი-ხიცის" ასოციაციებს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ათვისების მხრივ ფიზიკური დარტყმისა და მუსიკის ზემოქმედების არამცთუ გათანაბრება, არამედ

მათ შორის უბრალო ანალოგიის გავლებაც კი პირდაპირ აბსურდია. მე მუსიკალური კაცი არა ვარ და, ცხადია, მუსიკა ჩემზე გავლენას ვერ ახდენს. თუ ვერ გავიგე მუსიკალური ფრაზა, მუსიკალური სურათი. მაგრამ არა მგონია, რომ თვით უაღრესად მუსიკალურ კაცზე მოახდინოს გავლენა ბგერების უბრალო რხევამ. თუ მან არ გაიგო მუსიკალური სახე, მუსიკალური კომპოზიცია.

გაგების, მიხვედრის, ჩაწვდომის აქტი ყოველთვის ყოფილა და ყოველთვის იქნება ხელოვნების არსებითი მხარე.

წარმოუდგენელია, რომ ის ჯადოსნური მუსიკალური ქმნილებანი, რომლებიც ასე ხიბლავენ ადამიანებს, ბრმად და გაუაზრებლად იყვნენ შექმნილნი ან ასევე ბრმად და გაუაზრებლად მოქმედებდნენ მსმენელებზე. წარმტაცი მუსიკალური ფორმები, რასაკვირველია, მზამზარეულად არ აწყვია სადმე ბუნების საგანძურში. ამ ფორმების მისაკვლევად და შესაქმნელად მუსიკოს-შემოქმედს ალბათ უდიდესი სულიერი ენერგიის ხარჯვა სჭირდება. ინტელექტი კი სულიერი ენერგიის მთავარი სახეა.

ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, ხელოვნების გათიშვა ინტელექტისაგან მის სრულ პროფანაციას მოასწავებს... ფორმალისტურ-დეკადენტური ესთეტიკის ლოგიკას ხელოვნება საერთოდ ჩიხისაკენ მიჰყავს.

მაგრამ დავანებოთ თავი ვიღაც და რაღაც შორეულთან კამათს.

არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ადამიანის აზრი და გრძნობა იმდენად მოიღლება თუ გაზარმაცდება, რომ სინამდვილის არავითარი ღრმა ფენების გათხრა და გადმობრუნება აღარც სურს, აღარც ძალუძს, ზერელე და მსუბუქი რამეებით კმაყოფილდება. ეს ყველგან არის შესაძლებელი. მიზეზიც მრავალგვარია. აქა-იქ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაშიაც ხომ იგრძნობა აზრისა და გრძნობის გაზარმაცება. არ იფიქროთ, რომ აზრის სიზარმაცე საერთოდ ზარმაც კაცს ნიშნავდეს. პირიქით, აზრზარმაცი კაცი ზოგჯერ უფრო მოძრავი, მკვირცხლი, მოხერხებული და ნაყოფიერიცაა, შეუძლია ერთ დღეს მთელი თაბახი გადააჭრელოს, რადგან ზედაპირზე სრიალი საერთოდ ადვილია. ამას წინათ ერთი ნიჰილისტურად განწყობილი ნაცნობი მეუბნებოდა ერთ მწერალზე, უკვე ორი რომანისა და ათიოდე მოთხრობის ავტორია, მაგრამ ნამდვილი ხელოვნების კარიბჭეს ჯერ არ მიახლოებიაო. ერთ პოეტსაც ჰკილავდა. ბევრ ლექსსა წერს, მაგრამ პოეზია ჯერ კიდეც ცხრაკლიტულში ჰყავსო. რასაკვირველია, ეს მეტისმეტად გადაძლაშებაა, მაგრამ ზოგიერთი რომ მწერლობას მეტად იოლ საქმედ

თვლის, ეს ცხადია. აი, მაგალითად, შენ. ჩემო ძმაო. — გულახდილად ვეუბნები მეგობარს. — რაღაც ამბავი გაიგონე. რაღაც ნახე, მერე დაჯექი, დაწერე და უკვე უბადლო მხატვრული ქმნილება გგონია. მე მგონი, ახლა ჩვენს ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ყველაზე საშიში მოვლენა სწორედ მწერლობის ეს გაიოლება და გაპრიმიტიულებაა. ამას შეუძლია დაქვეითებისაკენ წაგვიყვანოს.

მეგობარს გული მოსდის, მეუბნება, რომ მე ალბათ დაკარგული მაქვს ხელოვნების ნაწარმოებით აღფრთოვანების უნარი და ამიტომ ენავმწარობ. საქმეს ვაძნელებ.

თანაც მის ხმაში, მის გამოხედვაში შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის იმდენი სიწრფელე და სიმართლეა, რომ მე ვკრთები, ვაიმე, მართლაც ასე ხომ არ არის-მეთქი.

მაგრამ არა. მე ხომ ვიცი, რომ როცა კარგ მხატვრულ ნაწარმოებს ვკითხულობ, ყოველთვის ასეთი განცდა მაქვს: თითქოს სადღაც ბნელ ოთახში ვიჯექი, ფანჯარას მძიმე, შავი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ შემოქმედის ჯადოქრულმა ხელმა უეცრად ფარდა გადასწია და მე დავინახე ახალი, წარმტაცი ქვეყანა, სისხამ დილასავით წკრიალა, მშვენიერი ფერებით აგიზგიზებული და აზვირთებული.

დიახაც! ჭეშმარიტი ხელოვნების ყოველი ფაქტი ქვეყნის ახლად დაბადებაა, ქვეყნის აღმოჩენაა. შეიძლება, ეს ქვეყანა ზოგჯერ დიდი, ძალიან დიდი იყოს, ზოგჯერ ძალიან პატარაც. მაგრამ მაინც ახლად აღმოჩენილი.

ჩემი მეგობარი მწარედ იღიმება:

— სად არის ამდენი ქვეყანა, რომ ყოველმა შემოქმედმა აღმოაჩინოს ყოველ ახალ ნაწარმოებში?

— არის, — ვეუბნები მე. — ყოველი ახლად დასახელი ქვეყანა — ახალი ქვეყანაა. ქვეყნიერება კი უსასრულოა თავის არსებაში, თავის განვითარებაში. სინამდვილის ერთი ციცქნა ახალი კუთხეც რომ მიაგნო, ცხოვრების მშვენიერების ერთი ბეწო ახალი ნიშანიც რომ დაინახო, უკვე აღმოჩენაა...

— არა, ჩემო ძმაო, — მაწყვეტინებს მეგობარი, — აღმოჩენები და გამოგონებანი მეცნიერებისა და ტექნიკის საქმეა. ხელოვნება კი თუ რამეს პოულობს, პოულობს მხოლოდ ფორმას, წარმტაცსა და მიმზიდველს, ლამაზსა და მშვენიერს...

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — ვესიტყვები მეგობარს, — მეც მანდა ვარ, ოღონდ, მთავარი ისაა, როგორ გავიგებთ ამ ფორ-

მას, როგორც შინაარსის შინაგან აღნაგობას თუ როგორც რაღაც უშინაარსო სიცარიელეს. ყოველ შემთხვევაში, შენს დებულებას, რომ ხელოვნება განცდილის კვლავ განცდაა, უნდა დაემატოს ის, რომ იგი რაღაც ფორმის პოვნაცაა. ამ შემთხვევაში, პოვნა, ცხადია, აღმოჩენაა, რადგან ეს ფორმა სადმე გზაზე ხომ არ გდია, რომ ვინმემ შემთხვევით მოიძიოს. მაგრამ სად უნდა იპოვოს შემოქმედმა ის ფორმა, რომელიც ხელოვნების აუცილებელი თვისებაა? ალბათ მეტყვი, შემოქმედმა ეს ფორმა თავისი ნიჭითა და ფანტაზიით უნდა შექმნასო. რა თქმა უნდა, ნიჭი და ფანტაზია შემოქმედების მთავარი პირობაა. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე უძლიერეს ფანტაზიასაც კი ამქვეყნად არავითარი შინაგანი, ქვეყნიერებისაგან დამოუკიდებელი და თვითარსი მასალა ანუ „მატერია" არ გააჩნია, რომლისგანაც შეეძლოს რაიმე ფორმის შექმნა. ნიჭისა და ფანტაზიის მთელი ძალა ისაა, რომ გადაამუშაოს, გადააჯგუფოს და ახალ ყალიბში ჩამოასხას მასალა, რომლითაც მას სინამდვილე ჰკვებავს. სწორედ აქ ხდება უშუალო ემოციებისა და შთაბეჭდილებების გარდაქმნა ხელოვნებით ემოციებად. პრობლემის ნამეტან ბნელ ჯურღმულში რომ არ გადავვარდეთ, მინდა მოგახსენოთ, რომ ფორმა, რომელიც ყოველმა ჭეშმარიტმა შემოქმედმა უნდა იპოვოს, არ შეიძლება ყოველგვარი შინაარსისაგან დაცლილი არარა ანუ, როგორც ამბობენ, წმინდა ფორმა იყოს. თვით ყველაზე უცნაური და მისტიკური ფორმაც კი არ შეიძლება არ იყოს რაღაც შინაარსის შინაგანი სტრუქტურა, ცხოვრებისეული მასალის რაღაცნაირი ორგანიზაცია. ნამდვილი რეალისტური მხატვრული ფორმა კი ყოველივეს სინამდვილის ახალი კუთხის ხილვაა, ახლის მიგნებაა.

ვგონებ, არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი იმაზე, რომ „ანა კარენინა" მთლიანადაც, როგორც რომანი, და ანა კარენინა, როგორც ინდივიდუალური მხატვრული სახე, მართლაც წარმტაცი და მშვენიერი ფორმაა. მაგრამ ეს ფორმა წარმოუდგენელი იქნებოდა იმ რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და იმ ღრმა ფსიქოლოგიურ კომპლექსთა გარეშე, რაც გულთამხილავმა მწერალმა მიაკვლია გარკვეული ეპოქის სინამდვილეში და თვალწინ გადაგვიშალა დიდებულ სურათებად. ჩვენი ილიას „ოთარაანთ ქვრივის" ფორმაც ხომ თავის დროის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კერძოდ ქართველი დედის გარკვეულ თვისებათა მიკვლევა გამოხატვაა.

მოკლედ, არ არსებობს მხატვრული შემოქმედება თავისებური და განუმეორებელი ფორმის მიგნების გარეშე, ფორმის მიგ-

ნება კი არსებითად ყოფიერების, სინამდვილის რომელიმე ახალი კუთხის, ახალი ნიშნის ხილვა და შიგნებაა.

კაცმა რომ თქვას, საერთოდ ადამიანის და, მით უმეტეს. თანამედროვე ადამიანის ესთეტიკური განცდაც არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს ყოფიერების რომელიმე თვისების მიწვდომასთან. სილამაზე, მშვენიერება იმიტომ ჰხიბლავს და მაფრთოვანებს, რომ იგი ცხოვრების რომელიღაც თვისებას მიმჟღავნებს; მუსიკაც იმიტომ მაღელვებს და მატკბობს, რომ მას ბგერათა წარმტაც სამყაროში შევყავარ, ყოფიერების რომელიღაც დახშულ კარებს მიღებს. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, შესაძლებლობათა რა წარმტაცი ქვეყანა დარჩებოდა აღმოუჩენელი, რომ, ვთქვათ, ბეთჰოვენის მუსიკა არ არსებობდეს.

ვატყობ, ჩემი მეგობარი ნერვიულობს, არ უჯდება ჰკუაში ჩემი ზოგადი მსჯელობა და, იქნებ, მართალიცაა. ერთი სული აქვს, სანამ ისევ თავის ნაწარმოებს დაუბრუნდებოდეს და მის გამართლებას შეეცდებოდეს თანამედროვე ქართველი მწერლების მაგალითებით. მე კი ვცდილობ, ჯერ ზოგადი პრინციპული საკითხები გამოვარკვიოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შევეხოთ კონკრეტულ ფაქტებს.

— თუ ძმა ხარ, მოეშვი მაგ ხილვებსა და აღმოჩენებს. — მეუბნება ის, — არავითარი გარეშე ქვეყნიერების აღმოჩენა არ არის არც ბეთჰოვენისა და არც სხვა ვინმეს მუსიკაში. მუსიკა თვითონ შემოქმედის სულის ჟღერაა და სხვა არაფერი. თუ მაინცდამაინც გინდა ხილვა და აღმოჩენა იყოს, ისევ თავისთავის აღმოჩენა დაარქვი. ადამიანს ემღერება და მღერის, ისე როგორც ბულბულს ეგალობება და გალობს. ჩვენს შორის რომ ვთქვათ, განა ყოველი ხელოვნება, მათ შორის მწერლობაც, მგალობელი ფრინველის გალობას არ ჰგავს? კარგიც ის არის, რაც გალობასავით ამოდის გულიდან. ამას, რასაკვირველია, ვინმე ფილოსოფოსი მეტად ღრმააზროვანი დებულებით გამოხატავდა. მე კი ჩემებურად ვამბობ.

მართლაც, ვინმეს იქნებ კიდევაც ჩაელიმოს ულვაშებში! რა იოლად, რა შინაურულად ვმსჯელობთ ეე და ჩემი მეგობარი ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც ბევრი საქვეყნოდ გამოჩენილი თავი დაღლილა... რა გაეწყობა, ზოგი ფრთოსანი ბაღლა შეჰკრავს კამარას, ზოგი მიწასაც ვერ აცილდება. მაგრამ ფრთოსანისათვის ფრთა იმიტომ მიუცია ბუნებას, რომ იფრინოს. დე, იფრინოს, როგორც ეხერხება. თუმცა მკითხველი ალბათ ამჩნევს, რომ მეცა და ჩემი მეგობარიც სხვების აზრებსაც ვსესხულობთ, მაგრამ ჩვენებურად ვამბობთ. გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ მძულს ყოველ-

გვარი ტირანია. მათ შორის ინტელექტუალური ავტორიტეტების ტირანიაც. მით უმეტეს იმის გამო, რომ ზოგჯერ ინტელექტუალური ავტორიტეტის როლში საკმაოდ უმეცარი ვინმე გამოდის.

— არა, არა. ჩემო კარგო, — ვედავები მეგობარს, — ვერ მოვეშვები ხილვებსა და აღმოჩენებს... რასაკვირველია. ბულბულს ეგალობება და გალობს, მას თავისი დარდი და სიხარული აქვს. მგელსაც ეყმუვლება და ყმუის; მასაც თავისი საფიქრალი და სადარდებელი აქვს. ერთი სიტყვით, რა არ ხდება ბუნებაში. ბუნებასაც აქვს თავისი ხელთუქმნელი „მუსიკა", თავისი "ხელოვნება". მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ საუკეთესო ბულბულის გალობასაც კი არაფერი აქვს საერთო ადამიანურ ხელოვნებასთან. თუმცა ბულბულიც თავისი გალობით მეტად მკაფიოდ გამოხატავს თავის არსს და თავისი არსის მეშვეობით ბუნებასაც. რადგან მისი გალობაც ბუნების ნაწილიც არის და ბუნებისადმი დამოკიდებულებაც. აქ დასაშვებია ძლიერ შორეული ანალოგია ლირიკასთან. ლირიკაც სუბიექტური განწყობილების მეშვეობით გამოხატავს ეპოქას, ცხოვრებას. მაგრამ შენი დიდი შეცდომა ისაა, რომ გინდა ადამიანის სიმღერა რაღაცნაირად შეუტოლო ბულბულის გალობას და ამ ანალოგიით ალბათ ყველა წამომღერება ხელოვნებად გამოაცხადო. მოგეხსენება, რომ ბულბული ზოოლოგიური ინსტინქტის კარნახით გალობს სულ ერთდაიმავე ჰანგს, მსგავსად იმისა, რომ ადამიანიც ბიოლოგიური ინსტინქტების კარნახით ასრულებს ერთდაიმავე სასიცოცხლო მოძრაობებს. მაგრამ ამ მოძრაობებისათვის არცერთ ჭკუათმყოფელს დღემდე ხელოვნება არ დაურქმევია. ბულბულის „ხელოვნებისაგან" განსხვავებით ადამიანის ხელოვნება ადამიანის შეგნებული სულიერი ცხოვრების სფეროს ეკუთვნის. თუმცა არსებობს ეგრეთწოდებული ხელოვნება-თამაშის თეორია, რომლის მიხედვით ხელოვნება ისეთივე თამაში ანუ ჭარბი ენერგიის ხარჯვაა. როგორც. მაგალითად, კატის თამაში ძაფის მორგვთან. ამ თეორიის სრულ უსაფუძვლობაზე ლაპარაკი, ვგონებ, დღეს ზედმეტია.

შენ ამბობ. ხელოვნება ის არის, რომ ადამიანს ემღერება და მღერის, სურვილი აქვს დაწეროს თავისი განცდები და წერს, სურვილი აქვს პლასტიკურად გამოხატოს თავის განწყობილება და ხატავს ან ცეკვავს. კარგი და პატიოსანი. მაგრამ ხომ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ემღერებოდეს, ისეთი წერა-კითხვის მცოდნე კაციც ხომ იშვიათია, რომ ერთხელ მაინც არ დაბადებოდეს თავის განცდების დაწერის სურვილი. მერე რა? განა ამიტომ ყველა ნამღერი და ყველა ნაწერი ხელოვნებად გამოვაცხადოთ?

მართალია, შემოქმედებითი უნარი ანუ ეგრეთწოდებული მხატვრული განცდა ადამიანთა საყოველთაო თვისებაა. ეს თვისება რომ მეტნაკლებად ყველა ადამიანს არ ახასიათებდეს, მაშინ ადამიანთა დიდი უმეტესობისათვის ხელოვნების ნაწარმოებები გაუგებარი იქნებოდა, რადგან ხელოვნების ნაწარმოების გაგება და ათვისება ერთგვარად მის თანაშემოქმედებასაც ნიშნავს. ეგონებ, რაფაელი ამბობდა: გაგება გატოლებას ნიშნავსო. მაგრამ ხელოვნება საკუთრივ მაინც მხატვრული განცდის განვითარების თვისობრივად ახალი საფეხურიდან იწყება, ისე როგორც მეცნიერება პრაქტიკული აზროვნების განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე იბადება.

როგორადაც უნდა იყოს, ერთი რამ ცხადზე უცხადესია: როდესაც ხელოვნება ღრმა მხატვრულ-იდეური განზოგადების ფუნქციას ჰკარგავს, როდესაც მას მხოლოდ უშუალო ემოციების აღმძვრელის როლს აკისრებენ, მაშინ იგი ეცემა, ღარიბდება, ჩიხში ექცევა. ამ დროს შემოქმედებაც იოლ საქმედ იქცევა. შემოქმედების გაიოლება კი მეტად საშიში რამ არის: უფერულ და უსუსურ „თხზულებათა“ ტბორს აყენებს.

ამასთან დაკავშირებით, მაგონდება ერთი მეცნიერის სიტყვები: — ყოველივე, რაც ადვილად ხელმისაწვდომი იყო, უკვე დიდი ხანია მოპოვებული და შემოწმებულია, ის, რაც ადვილად მოსდის ადამიანს თავში, უკვე დიდი ხანია მოუვიდათ თავში ადამიანებსო; აწინდელი წარმატება მხოლოდ ახალ ფაქტებსა და ახალ დაკვირვებებზე შეიძლება აიგოსო.

ზუსტად ასევეა ხელოვნებასა და ლიტერატურაშიც.

ფართო განათლებასა, დაკვირვების განსაკუთრებულ უნარსა და მშვენიერების გამახვილებულ გრძნობასთან ერთად თანამედროვე შემოქმედს სიახლის დიდი ალღოც უნდა ჰქონდეს.

შენ კი, ჩემო მეგობარო არც ფიქრობ იმაზე, რომ ის, რაც ახლა შენ ასე ადვილად მოგდის თავში, იმდენად ზედაპირული და იმდენად ხელმისაწვდომია, რომ ალბათ დიდი ხნის წინათ მოუვიდათ ადამიანებს თავში. განუმეორებლობა კი ხელოვნების ნაწარმოებს ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. თუ ნაწარმოები არ შეიცავს რაღაც განუმეორებელსა და თავისებურს, იგი დაშორებულია ჭეშმარიტ ხელოვნებას.

სხვათა შორის, შესაძლებელი რომ იყოს, შენმა ნაწარმოებებმა რამდენიმე ასეული წლით დაიხიონ უკან, იქნებ კიდევაც დარქმეოდა ხელოვნება. მაგრამ ეს შეუძლებელია.

როდესაც ჩვენს შორეულ წინაპარს, სილამაზის მისებური კა-

ნონის მიხედვით. ქვაზე ან ხარის ტყავზე გამოჰყავდა ადამიანთა ან ცხოველთა სახეები. როდესაც ძვლისაგან ან რომელიმე სხვა ნივთიერებისაგან აკეთებდა სხვადასხვა ფიგურებს, ეს იყო სამყაროს მხატვრული ათვისების, საგნების შემოქმედებითი მიწვდომის აქტი, ეს იყო ხელოვნება. თუმცა ეს შორეული წინაპარი თავის წარმოდგენათა განსაზღვრულობის გამო შორს ვერ შეიჭრებოდა სინამდვილის მოვლენებში. ვთქვათ, მაშინდელ მხატვარს რომ შესძლებოდა დაახლოებით ისეთი სურათის გაკეთება, რასაც დღეს ფოტო ასრულებს ან მაშინდელ მუსიკოსს რომ ზუსტად გადმოეღო ბულბულის ან შაშვის გალობა. მაშინ, შეიძლება, ეს კიდევაც ყოფილიყო ხელოვნება. მაგრამ ფოტოაპარატის და მაგნიტოფონის გამოგონების შემდეგ ასეთ რამეებს ხელოვნებასთან არავითარი კავშირი აღარ შეიძლება ჰქონდეს. ნამდვილი ხელოვნება თავის განვითარებაში სულ უფრო და უფრო ინაცვლებს სამყაროსა და ყოფიერების სიღრმეებისაკენ.

ცეკვა რა არის, ცეკვაც კი თავისი ახალ-ახალი ნახაზების, ახალ-ახალი მოტივების განვითარებითა და დახვეწით ცხოვრების პლასტიკური ფორმების სიღრმეებისაკენ მიდის.

შესაძლოა, ვინმემ მკრეხელობადაც კი ჩამომართვას. მაგრამ საოქმელი მაინც უნდა ვთქვა: დღეს რომ ვინმემ გამომსახველობის ისეთივე საშუალებებით დახატოს ქალის სილამაზე ან სიყვარულის ფსიქოლოგია, როგორითაც უბადლო შოთა ხატავს ნესტანსა და თინათინს ან ვაჟა ბიჯნურობას, ცხადია, ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშს ვერ შექმნის. მაგრამ თავის დროზე გენიალურმა პოეტმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფრესკულ-ჰიპერბოლური ფორმების საშუალებით უდიდესი ძალით, უდიდესი სიღრმით გამოხატა ქალის სილამაზეც და სიყვარულის ფსიქოლოგიაც. თავისი დროისათვის ქალის შედარება ვეფხვთან ან იმის თქმა, რომ „თინათინი მზეს წუნობდა. მზე კი თინათინობდა" — მთელი აღმოჩენაა. მაგრამ რაოდენ არაკონკრეტული და რაოდენ უკმარია ეს დღეს. მას შემდეგ ხომ უამრავი საღებავი, უამრავი გამომსახველობითი საშუალება დაიხარჯა ქალური სილამაზის ან სიყვარულის ფსიქოლოგიის გამოსახატავად. მაგრამ ქალური სილამაზეც და სიყვარულის ფსიქოლოგიაც, როგორც სინამდვილის ფაქტი, როგორც გამოხატვის ობიექტი, მით უმეტეს მუდამ განვითარებაში მყოფი ობიექტი, ამოუწურავია და ასევე ამოუწურავია მათი გამოსახვის შესაძლებლობანიც.

ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ერთადერთი დიდი მაგისტრალური გზაც სამყაროსა და ყოფიერების გამოხატვის

ამ ამოუწურავ შესაძლებლობათა მედმიევი განხორციელების გზაა. ამ გზაზე შესაძლებელი და საჭიროც არის უკეთესი ტრადიციების გაგრძელება და გაღრმავება. მაგრამ ფორმათა განმეორება მხოლოდ იმდენად შეიძლება ხელოვნება იყოს, რამდენადაც ორიგინალიდან ასლის გადაღებაა ხელოვნება. კაცმა რომ თქვას, ზოგიერთი თანამედროვე ნაწარმოები კიდეც ჰგავს ასლის გადმოღებას, არა იმ გაგებით, რომ იგი თითქოს პირდაპირ იმეორებდეს რომელიმე კონკრეტულ ნაწარმოებს, არამედ იმ აზრით, რომ იგი საერთოდ ახალს არაფერს ამბობს... ერთგან „ქრისტეს სისხლისმსმელად" და საშინელ უმეცრადაც კინაღამ გამოგაცხადეს იმის გამო, რომ ვთქვი: — ჩვენს დროში ისე რომ წეროს, როგორც ტოლსტოი წერდა, უსუსურება იქნება-მეთქი. მაგრამ ამას ახლაც ვამბობ და ყოველთვის ვიტყვი... დეე, მიხედით, რომ მწერლობა-ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების შექმნა — ისე იოლი საქმე არ არის, როგორც ეს წერის საღერღელაშლილ ზოგიერთ ვინმეს ჰგონია...

— მოიცა, გეყოფა, — მაწყვეტინებს მეგობარი, — ამდენი ხანია სულ იმას ამტკიცებ, რომ მხატვრული ნაწარმოები უნდა შეიცავდეს რაღაც ახალსა და განუმეორებელს. სხვათაშორის, ასეთი რეცეპტი ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. მაგრამ, საეჭვოა, რითიმე დახმარებოდეს შემოქმედებას... ახალი, ახალიო, და აბა, შენ თვითონ რა ახალ აზრებს ამბობ?

— ეს კი მართლაც, მწვავე საკითხია. — ვუდასტურებ მეგობარს, — მაგრამ მე ხომ მხატვრულ ნაწარმოებებს არ ვწერ. გეკამათები შენ, ვეკამათები შენს ნაწარმოებს, რომელიც ჩვენი დროის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებსაც ჰგავს. ერთი სიტყვით, ვეკამათები ისეთ რამეს, რაც, ჩემი აზრით, არ არის ნამდვილი მხატვრული შემოქმედება... შენთვის, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი რამ მაინც უნდა იყოს ახალი ჩემი ნათქვამიდან.

— რატომ გგონია? — უკმაყოფილოდ მეკითხება მეგობარი.

— შენი ნაწარმოები მაფიქრებინებს ამას.

— თეორიებით მხატვრული ნაწარმოები არ იწერება.

— ვთქვათ, ასეა, მაგრამ კარგი თეორია ხელს მაინც უნდა უშლიდეს ცუდი ნაწარმოების დაწერას.

— ხელის შემლაში თქვენ საერთოდ მარდები ხართ. მაგრამ კარგი თეორია გაქვთ თუ არა, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

— არა, ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ თვითონ მწერალს უნდა ჰქონდეს კარგი თეორია, რომელიც ცუდი ნაწარმოების დაწერას არ დაანებებს. მაგრამ დავანებოთ თეორიებს თავი. მოდი, იმაში შევთანხმდეთ, რომ ჩვენს დროში, როცა აუარებელი

კარგი და ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია დაგროვილი, კლასიკური თუ თანამედროვე. სუსტი და უფერული ნაწარმოების წერა პირდაპირ სასირცხვო საქმედ უნდა გამოცხადდეს.

— უკიდურესობა და... აბსურდია, — მეუბნება მეგობარი, — იმ თავითვე გენიოსებსაც არ შეუქმნიათ შედევრები. მხატვრულ შემოქმედებასაც ხომ უნდა ჰქონდეს შეგირდობის ხანა?

— უნდა ჰქონდეს! მაგრამ, ჯერ ერთი, შენი შეგირდობა უკვე დაგვიანებულია. გარდა ამისა, მხატვრულ შემოქმედებაში, ჩემი აზრით, შეგირდობის ხანა უმთავრესად დახურულ ლაბორატორიაში უნდა მიმდინარეობდეს. როცა შემოქმედს საქვეყნოდ გამოაქვს თავის ნაწარმოები, მკითხველი იმას ნაკლებად დაგიდევს, ვინ დასწერა იგი, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ. მომხმარებელს ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები უნდა, თორემ ხდება ხოლმე, რომ საქვეყნოდ გამოსული შეგირდი სიბერემდე შეგირდად რჩება და სულს გვართმევს წყალწყალა ნაწერებით.

— მაშ, შენი აზრით, — მეუბნება მეგობარი, — ახლა ბევრი ახალგაზრდა მწერალი, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ მწიფე და დასრულებული ნაწარმოებები, აღარ უნდა იბეჭდებოდნენ?

— არა, რატომაც არა, მაგრამ მკაცრი შერჩევით. უნდა იბეჭდებოდეს მათი ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ლიტერატურის რაღაც სავალდებულო დონის ქვემოთ არ ჩამოდიან. სხვაფრივ, პირიქით, ცნობილია, რომ ახალგაზრდობას სიახლის მეტად მაფრი გრძნობა აქვს და ხშირად მათი უმწიფარი ნაწარმოებებიც კი დიდი და სერიოზული საუბრის საბაბსაც იძლევიან. ჩვენი ლიტერატურის დიდი მომავალი ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული და ამ საქმეს იგი იოლად არ უნდა მოეკიდოს.

ამავე დროს, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ მე ძლიერ მაფიქრებს ის ერთგვარი სულიერი სიზანტე, ქვეყნისადმი ის მოდუნებული ემოციური დამოკიდებულება, რაც ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის ერთ ნაწილში იგრძნობა. თითქოს ყველაფერი მობეზრებია, მოყირჭებია და ახლა დაღლილი, მოქანცული შეჰყურებს ქვეყანას; თითქოს ჩვენი ცხოვრების დიდ და მწვავე საკითხებთან შეჭიდება აღარ სურს და პატარა კუნჭულებს ეძებს. განა ერთი და ორი შემთხვევაა, როდესაც ახალგაზრდა პოეტი, რომელსაც ბავშვობა არც კი გათავებია, დიდის ამბით იგონებს ბავშვობას, იგონებს გარბენილ დღეებს, თითქოს ყველაფერი უკან დარჩენიაო. უეჭველად უსიამო გრძნობას იწვევს, როდესაც ახალგაზრდა მწერალი საზოგადოებრივად უმნიშვნელო თემებსა და მოტივებს ეტანება, პატარა შემთხვევების, ანომალიების ან წვრილმანი ყოფითი

ამბების პოეზიით ერთობა. და ხშირად, სამწუხაროდ, ეს ხდება ესთეტიკურობისა და ემოციურობის ლოზუნგით. ნამდვილად კი ამ ვითომდა ემოციურობის ქვეშ იმალება საკმაოდ მოძველებული, ზოგჯერ ნიჰილისტური დამოკიდებულებაც კი ქვეყნიერებისადმი, რაც არსებითად ყოველთვის მოკლებულია ემოციურ სიმძაფრესა და სიცხოველეს.

მე არ მესმის, მაგალითად, როგორ შეიძლება ქვეყნისადმი მღელვარე პოეტური თუ ემოციური დამოკიდებულება დავარქვათ იმას, როდესაც კაცი ხალხის ცხოვრების დიდ საარსებო საკითხებს გვერდს უვლის და ლანდების ჰვრეტით იქცევს თავს.

ნუ შევალთ იმის გარჩევაში, ვინ თქვა და რასთან დაკავშირებით თქვა, მაგრამ ნათქვამია ბრწყინვალედ, რომ ლიტერატურა ხალხის ნამუსი და პატიოსნება უნდა იყოს. ეს არის არსებითად ლიტერატურის პარტიულობა, რაც დღეს ყველაზე მოწინავე და პროგრესული ესთეტიკის ქვაკუთხედია. გაშაბლონება და გაუხამსება, რასაკვირველია, შეიძლება ყოველი ჭეშმარიტი პრინციპისა, მაგრამ ამაში პრინციპი კი არ იქნება დამნაშავე, არამედ ის, ვინც მას გააშაბლონებს და გააუხამსებს.

— მართალია, — მეთანხმება მეგობარი. — მაგრამ ის შეიძლება ნაწარმოებზედაც ითქვას. ხომ შეიძლება. ნაწარმოები მკითხველმა ან კრიტიკოსმა ცუდად გაიგოს, ნაწარმოები კი კარგი იყოს. ვგონებ, გოეთე ამბობდა, როცა ამბობენ წიგნი გაუგებარი და ბუნდოვანიაო, გამოსარკვევია, სად არის ბუნდოვანება: წიგნში თუ იმ კაცის თავში, ვინც ამას ამბობსო.

— მე არ ვამბობ, რომ შენი ნაწარმოები ბუნდოვანი და გაუგებარია, პირიქით, ძლიერ გასაგებია, როგორც სუსტი ნაწარმოები.

— ჯერჯერობით დავანებოთ თავი ჩემს ნაწარმოებს, — მეუბნება მეგობარი, — რაკი ახალგაზრდობაზე ლაპარაკობდი, რას იტყვი, ახალგაზრდების ამ ნაწერებზე, ჭაშნიკის სახით რომ დაიბეჭდა „ცისკრის“ პირველ ნომერში? ხომ ნიჭიერი ახალგაზრდობაა, ნაკითხიც და დაკვირვებულიც.

— უეჭველად. — „ცისკარმა“ ძლიერ კარგი საქმე წამოიწყო ჭაშნიკის სახით. ეს იქნება, ასე ვთქვათ, ახალგაზრდა შემოქმედის ღია ლაბორატორია. მაგრამ...

— მაგრამ. — მართმევს სიტყვას მეგობარი, — შენი კრიტიკული მოვალეობის გამო მაინც დაუწყებ ქექვას.

— არა, ქექვა რა საჭიროა. განვიხილოთ სამართლიანად. წარმოიდგინე. რომ ამ ჭაშნიკებზე უფრო სერიოზული საუბარი შეიძლება, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე პრიმიტიულ პიესაზე ან მოთხრობაზე.

ავიღოთ მათ შორის, ასე ვთქვათ, ყველაზე დრამატული. აი, თუნდაც გურამ რჩეულიშვილის „ნელი ტანგო“. თუმცა სათაური საკმაოდ განყენებული და ხელოვნურია. ყოველ შემთხვევაში, შოკლებულია ეროვნულ კოლორიტს.

მაგრამ სათაურს თავი დავანებოთ, მოვიგონოთ ამბავი: სოხუმთან, ზღვაზე ერთი შემთხვევითი დრამა გათამაშდება. ხარკოვიდან მოსული ცოლ-ქმრის თორმეტი წლის ვაჟი შორს შესცურავს ზღვაში, მას დედაც მიჰყვება. დედა-შვილი დაიგვიანებს. მერე მამაც შეცურავს მისაშველებლად. მოცურავენი ძლიერ იღლებიან. ბავშვს ძარღვიც კი განასკვია. ღელვა მატულობს. სამთავე დაღუპვის პირზეა. მამაკაცი თავგანწირულად ძალობს, თავთხელამდე გამოჰყავს დედა-შვილი. მერე სამთავე მხსნელებს გამოჰყავთ ნაპირზე. დედა-შვილი გადარჩება, მამას კი ზედ ნაპირთან გაუსკდება გული. უბედური შემთხვევის ამ პროცესს, როგორც ერთგვარი კონტრასტული ფონი, თან მისდევს საცურაოს ჩვეულებრივი ცხოვრების ჩანახატი: ვიღაც ცალთვალა გიტარას აკვნესებს. საჩრდილობელის ქვეშ ქაღალდის გახურებული თამაშია, მოაგარაკენი მზეზე ულმერთოდ იხუხებიან. ესენი ვერ ამჩნევენ ზღვაზე დატრიალებულ დრამას. საღამოს კაფეში ქალ-ვაჟი ცეკვავს. ქალ-ვაჟი დასწრებია საცურაოზე მომხდარ უბედურ შემთხვევას. ცეკვის დროს სხვათა შორის ამ უბედურ შემთხვევაზეც ჩამოაგდებენ სიტყვას, დაასკვნიან, რომ დღეს იშვიათია თავგანწირული მამაკაცები, მაგრამ მაინც არიან. ქალი აილეწება, მერე ვაჟს ახედავს, მოეწონება მისი ლამაზი, მზისაგან გარუჯული სახე და სულ მინებდება ნელ ტანგოს.

ეს არის და ეს. ჯერ ერთი, როგორც ხედავთ, უბედური შემთხვევა აღებულია როგორც შიშველი ფაქტი, ყოველგვარი სოციალური და ფსიქოლოგიური დატვირთვის გარეშე. ვთქვათ, აქ რომ ყოფილიყო რაღაც დიდი იმედის, დიდი სიხარულის მოლოდინი და სწორედ ამ დაძაბულ მოლოდინში შეჭრილიყო უბედური შემთხვევა — ან თვით უბედური შემთხვევა გამოწვეული ყოფილიყო რაიმე სოციალური მიზეზით, ვისიმე ან რისიმე, ბოროტებით, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ძლიერი დრამატიზმისა და ემოციური დაძაბულობის შექმნა. მაგრამ რაკი უბედური შემთხვევის ფაქტი მოკლებულია ასეთ დატვირთვას, მოკლებულია განზოგადებას, იგი არ არის აყვანილი ხელოვნების დიდ ფაქტამდე. ამიტომაც აო არის მოთხრობაში ის ძლიერი დრამატიზმი, რაც ცხოვრებისეულ ფაქტის უშუალო განცდას ხელოვნებად გადააქცევდა, ტრაგიკულ პათოსამდე აამაღლებდა.

ახლა ავიღოთ მოთხრობის მთავარი მოტივი: იქ, ზღვაზე ადამიანები იღუპებიან, აქ პლიაჟზე მყოფი ადამიანები კი ამ დრამას ვერ ამჩნევენ; ზღვაზე ადამიანს გული გაუსკდა, ამის მოწმე ქალვაჟი კი საღამოს კაფეში ტანგოს ცეკვავს...

—მოიცა, — მაწყვეტინებს მეგობარი, — ვგონებ, ეს მოტივი ძალიან ჰგავს ჰემინგუეის „მოხუცის და ზღვის" ფინალს. იქაც ხომ მოხუცის მთელი თავგადასავალი ასცდება ტურისტი ქალის ყურადღებას. გახსოვს, ზღვის ნაპირზე ქანაობს შიმშერა-თევზის გაფცქვნილი ჩონჩხი, ნაშთი იმ დიდი ტანჯვისა, რაც მოხუც მეთევზეს გადახდა თავს. ტერასაზე კი ტურისტი ქალი ეკითხება ოფიციანტს. რა არის ისო. ოფიციანტს სურს აუხსნას, რა შეემთხვა მოხუცს, მაგრამ იტყვის თუ არა პირველ სიტყვას, ზვიგენებმაო... ტურისტი ქალი აზრი სულ სხვა მიმართულებით წავა:

— არ ვიცოდი, ზვიგენებს ასეთი ლამაზი ბოლოები თუ ჰქონდათო...

— კარგია, რომ გამახსენე, — ვეუბნები მეგობარს, — მართლაც არის რაღაც მსგავსება. მაგრამ, აბა, კარგად დაუკვირდი, რა უზარმაზარი განსხვავებაა მხატვრულ-იდეური განზოგადების თვალსაზრისით. ჯერ ერთი, მოხუცის თავგადასავალი ცხოვრებისეული ფაქტის უშუალო განცდა და პირდაპირი გადმოწერა კი არ არის, არამედ მას უდიდესი სოციალური, ფსიქოლოგიური და, თუ გნებავს, ფილოსოფიური დატვირთვა აქვს. სწორედ ამიტომ არის აწეული ეს თავგადასავალი ტრაგიკულ სიმძაფრემდე. და სწორედ ამ დატვირთვის, ამ ტრაგიკული სიმძაფრის შეშვეობით არის გადაქცეული ცხოვრებისეული ფაქტი ხელოვნების ფაქტად. კერძოდ, ტურისტი ქალის ეპიზოდსაც, რომლის მონაბერადაც მიგაჩნია შენ ჩვენი ახალგაზრდა ავტორის მოთხრობა, ძალიან ღრმა ქვეტექსტი, დიდი ემოციური და ფილოსოფიური დატვირთვა აქვს.

ჩვენი ახალგაზრდა ავტორის ქალ-ვაჟმა იცის, რომ კაცს გული გაუსკდა, მაგრამ ისინი ტანგოს მაინც ცეკვავენ. ტურისტმა ქალმა კი სულაც არ იცის მოხუცის მწარე ბედის ამბავი. იგი ასცდა მის ყურადღებას, და სწორედ ამაშია ამ ეპიზოდის დრამატული სიმძაფრე, ტრაგიკული პათოსი. ამით თითქოს ჩვენ წინ გაიღო იმ მოუწყობელი და მოუწესრიგებელი ცხოვრების კარი, რომელშიაც ასე ინთქმება და იკარგება ადამიანის ტანჯვა და მწუხარება. ამაში მწვავე პროტესტიცაა თავისებური ჰუმანიზმის პოზიციებიდან. მოკლედ, მწერალს მოძებნილი აქვს სწორედ ისეთი ფორმა, რომელიც გააზრებულად გამოხატავს ცხოვრების გარკვეულ წინააღმდეგობას და ამით ცხოვრებისეულ ფაქტს აქცევს ხელოვნების ფაქტად.

შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ ჩვენი შესანიშნავი „პალიასტომის ტბაც“. აქ ხომ უდიდესი სოციალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს უბედურ შემთხვევას — მამა-შვილის დაღუპვის ამბავს. გახსოვს, როგორ შრომობს, როგორ იტანჯება და როგორ ოცნებობს საწყალი ივანე, რომ ტივს ფოთში ჩააცურებს, გაჰყიდის და ცოლ-შვილს შემოსავს, სულს მოიბრუნებს. მაგრამ სწორედ ამ დიდი იმედის მოლოდინში მოუსწრებს მას უბედური შემთხვევა. და სწორედ ამ სოციალურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას აჰყავს ეს ამბავი გასაოცარ ტრაგიზმამდე და, მაშასადამე, მანდვილ ხელოვნებამდე. აქაც რა უდიდესი ძალის დრამატული კონტრასტია: დიდი ადამიანური ტრაგედია ბუნების გულცივ მხიარულებას რომ შეეხლება და უკვალოდ ჩაიკარგება უგონო სტიქიაში.

გავიხსენოთ, ჩეხოვის „სევდაც“, „ვანკაც“.

მეეტლე იონას შვილი მოუკვდა. მისი დიდი მწუხარების მომსმენი არავინ არის. იონა ცხენთან მიდის, ქერს აძლევს, თანაც თავის დაღუპულ შვილზე ბუტბუტებს. ცხენი ქერს ახრამუნებს, თითქოს ყურს უგდებს, თანაც პატრონის ხელს სუნთქავს. იონა ცხენს უყვება მთელ თავის მწუხარებას...

ვანკა ჟუკოვი მეჩექმესთან მსახურობს ბიჭად. მას სცემენ. ტანჯავენ. ვანკას სურს თავისი დიდი მწუხარება ბაბუას გაუზიაროს და შველა თხოვოს. წერილს წერს და ასეთი მისამართით გზავნის:

«На деревню дедушке, Константину Макаричу»

ჩეხოვის ამ მოთხრობებშიც რაოდენი სოციალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს ცხოვრებისეულ ფაქტებს. ამიტომაც არის ამ მოთხრობებში ასე მძაფრი დრამატული ვითარებანი. იონასა და ვანკას მწუხარებაც ხომ სიცარიელეში, მოუწყობელი ცხოვრების ბრმა სტიქიაში იძირება და იკარგება.

შესაძლოა, ის, რაც, „პალიასტომის ტბაში“, „სევდაში“, „ვანკაში“, ან „მოხუცსა და ზღვაშია“ აღწერილი, ცხოვრებაში იშვიათად მომხდარა ან ამ სახით არასოდეს არ მომხდარა. მაგრამ თითოეულ მათგანში თავისი დროის ცხოვრების რა დიდი ნაკვეთია გამოსახული, როგორ სუნთქავენ ისინი ნამდვილი ცხოვრებით, ამავე დროს, რა განუმეორებელი თავისებურებით არის გადაწყვეტილი სათითაოდ ყველა ამ მოთხრობაში ჰუმანიზმის დიდი თემა, რა დიდი და ძლიერი პროტესტია ცხოვრების მოუწყობლობის წინააღმდეგ.

აი, რას ნიშნავს ფორმის მოძებნა, მასალის ღრმა მხატვრულ-იდეური გააზრება.

ის კი, რაც ჩვენს ახალგაზრდა ავტორს აქვს აღწერილი — ადამიანის დაღუპვა შემთხვევით და იქვე ახლოს ცეკვა-თამაში, —

ცხოვრებაში ალბათ ბევრჯერ მომხდარა. განა ცოტა შემთხვევაა, როდესაც ერთ ოჯახში მწუხარება ტრიალებს და იქვე მეზობლად ძხიარულება სუფევს? მაგრამ ასეთი შემთხვევების პირდაპირ გადმოწერა ვერასოდეს ვერ ჩაგვახედებს ცხოვრების დიდ სიღრმეში, ვერ მოგვცემს ნამდვილი ხელოვნების ფაქტს. მართლაც, რა აზრი ანუ რა ესთეტიკურ-ემოციური ფუნქცია აქვს უბედური შემთხვევისა და ნელი ტანგოს ვითომდა დრამატიულ დაპირისპირებას? უკეთეს შემთხვევაში, ეს არის ილუსტრაცია საკმაოდ ძველი ანდაზისა: „სხვათა ჭირი, ღობეს ჩხირი"...

— მაგრამ — მაწყვეტინებს მეგობარი, — ღირს კი ამ ერთ ციცქნა მოთხრობაზე ასეთი ვაი-უშველებელის ატეხა? ალბათ, ახლა სხვა მოთხრობებსაც მისდგები და ერთ ამბავს იზამ...

— არა, ჩემო კარგო, — ვეუბნები მეგობარს, — ნუთუ შენ არ გესმის, რომ საქმე ერთ ციცქნა მოთხრობაში კი არ არის, არამედ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის ბუნებასა და მოწოდებაში. გარდა ამისა, ვეკამათები ახალგაზრდას, რომელიც ღირსია კამათისა... თანაც ურიგო არ იქნება: „რძალო, შენ გეუბნები, მულო, შენ გაიგონეო".

ერთი სიტყვით, დიდი ლიტერატურა მხოლოდ დიდი და ტევადი მხატვრული ფორმების ძიების, სინამდვილის ღრმა ფენების გათხრისა და ქვეყნისადმი მღელვარე იდეურ-ემოციური დამოკიდებულების შედეგად იბადება.

მომავალი ახალგაზრდობისაა და მას ყველაზე მეტი უფლებაც აქვს, მოვალეობაც აკისრია იფიქროს, იზრუნოს და იოცნებოს ამ მომავლის მოწყობის დიდ საკითხებზე, დიდ თემებზე... დამშვიდებული იყავი, სხვა მოთხრობების განხილვას არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ მოთხრობებშიაც გამოსჭვივის გრძნობათა მოღლილობა, რაღაც პატარა კუნჭულებისა და უმნიშვნელო მოტივებისაკენ მისწრაფება... და კიდევ ერთი რამ: ნაკლებად იგრძნობა ეროვნული ფესვები:

— პირდაპირ საოცარი ხალხი ხართ ეს კრიტიკოსები, — მეუბნება მეგობარი. — ეროვნულ ფესვებს რომ მიჰყვეს, მაშინ ეროვნულ შეზღუდულობას უყიჟინებთ.

— არა, ჩემო კარგო! ეროვნული შეზღუდულობა, რასაკვირველია, ძლიერ ცუდი რამ არის. მაგრამ ჯანსაღი ეროვნულობა უდიდესი სტიმულია, თუ ლიტერატურა საერთოდ ადამიანთმცოდნეობაა (ეს კი ნამდვილად ასეა,) მაშინ ქართული ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, დღევანდელი ქართველი კაცისმცოდნეობა უნდა იყოს.

— როგორ უნდა გავიგოთ, ქართველი კაცი დღეს? — ამბობს მეგობარი, — მე მგონია ადამიანის ბუნება თავის ღრმა არსში ერთია. განვითარებაც ხომ ეროვნულ თავისებურებათა შერბილებისა და წაშლისაკენ მიდის.

— მწვავე საკითხია — ვამბობ მე, — შენ სცდები. მე კი მგონია, გაერთფეროვნების პროცესი არ უნდა იყოს მთლად ბუნებრივი პროცესი. აქ რაღაც არაბუნებრივი ფაქტორებიც მოქმედებენ. ყოველ შემთხვევაში ბუნებას არ უყვარს ერთფეროვნება. თავის არსსა და თავის მშვენიერებას იგი ნაირსახეობათა დიდ ერთიანობაში ავლენს. იქ, სადაც მას საღებავი ეშრიტება და უდაბნოს ჩამქრალ ფერებს შორის ზღვარი იშლება, უსიცოცხლო ერთსახოვანება მყარდება, მაგრამ ბუნება ებრძვის ამ ერთსახოვნებას. ამ მხრივ საზოგადოებრივი ცხოვრებაც ენათესავება ბუნების ცხოვრებას.

დღეს დედამიწის ზურგზე ორ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და თვითეულს თავის განსხვავებული სახიერება აქვს. ალბათ შეუძლებელია მოინახოს ორი აბსოლუტურად ერთმანეთის მსგავსი ადამიანი გარეგნულად. ცხადია, მით უმეტეს, არც სულიერი წყობით — ემოციებით, ტემპერამენტით, გემოვნებით არ შეიძლება ორი ადამიანი ერთმანეთის აბსოლუტური განმეორება იყოს. საშინელებაც იქნებოდა, რომ ისეთი მსგავსი და ნათესაური არსებანი, როგორიც ადამიანებია, ერთმანეთის ზუსტი ასლები ყოფილიყვნენ. მაშინ მათ ალბათ არც რაიმე ექნებოდათ საერთო, არც ერთმანეთის დანახვა მოუნდებოდათ, არც რაიმე სათქმელი და გასაზიარებელი ექნებოდათ ერთმანეთისათვის, რადგან ყველა ერთში იქნებოდა. ყოველგვარი საზოგადოებრივი სიკეთის საფუძველთა საფუძველი ადამიანთა ერთობა და კავშირია. მაგრამ ერთობა და კავშირი შესაძლებელია მხოლოდ მკაფიოდ გარკვეულ პიროვნებათა შორის. თუ არ არსებობენ დამოუკიდებელი პიროვნებანი თავიანთი განსხვავებული ნიშნებით, არ შეიძლება არსებობდეს მათი კავშირი, მათი ერთობა. ერიც ხომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლივი პიროვნებაა თავისი განსხვავებული გარეგანი და შინაგანი ნიშან-თვისებებით. რასაკვირველია, ეს ნიშან-თვისებები იცვლებიან, ვითარდებიან და ზოგჯერ ძალადობის ან სხვა მიზეზების გამო ისიც ხდება ხოლმე, რომ სრულიად წარიშლებიან და სხვა ეროვნული ერთეულის ნიშან-თვისებებში გაითქვიფებიან. მაგრამ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ-სახეობისა და ნამდვილი ისტორიული პროგრესის თვალსაზრისით არც საჭირო, არც აუცილებელი და, მაშასადამე, არც გამართლებულია

ეროვნულ თავისებურებათა წაშლა, წარხოცვა. ისე როგორც ყოველ ცალკე ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ თავისი მკაფიოდ გამოსახული პიროვნულობით შეუძლია შეუერთდეს ზოგად ადამიანურს, ყოველ ეროვნულ ერთეულსაც ყველაზე უკეთ მხოლოდ თავისი ეროვნულობის მეშვეობით შეუძლია ეზიაროს და შეუერთდეს საერთო სახალხოს, ზოგადკაცობრიულს.

მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ცხოვრების სისხლსავსეობა ყოფილა ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე დიდი საზოგადოებრივ-კულტურული წინსვლისა და აღორძინების მთავარი წყარო. ამ ისტორიულ გამოცდილებას ვერსად გავექცევით. კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება და აღორძინება არსებითად ყოველთვის ადამიანთა ეროვნული ტიპის, ეროვნული ხასიათის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ეროვნული ჩაგვრა და ეროვნულობის მოსპობის ყოველგვარი ცდა ყოველთვის დიდი სოციალური ბოროტება ყოფილა და იქნება. ამ ბოროტებას ყოველთვის ასაზრდოებდა გაბატონებული წრეების მისწრაფება თავიანთი ბატონობის გაადვილებისა, ტირანიას საერთოდ ის ურჩევნია, რომ უსახო, ერთფეროვან და ერთნაირად მორჩილ ადამიანებზე ბატონობდეს. ამიტომ ხალხთა ეროვნული თავისუფლების საქმე ყოველთვის ხალხთა სოციალური თავისუფლების შემადგენელი ნაწილია. სოციალურ ნიადაგს ეყრდნობა ხალხთა ძმობაცა და მეგობრობაც, რადგან მეგობრობა მხოლოდ თავისუფალთა და თანასწორთა შორის არის შესაძლებელი.

ეროვნულ მრავალსახეობათა შორის ქართველ კაცსაც თავისი ადგილი აქვს. მიუხედავად მრავალი ისტორიული ბედუკულმართობისა და ჟამთა სიავისა, ქართველი კაცის ტიპი, ქართველი კაცის ხასიათი არ ჩამქრალა. იგი ცოცხლობს და ვითარდება რასაკვირველია, თავისი ისტორიის მანძილზე რომაელებისა თუ არაბების, მონღოლებისა თუ სპარსელების, თურქებისა თუ სხვა დამპყრობლების ხანგრძლივი შემოსევების დროს — ეს ხასიათი, ეს ტიპი მძიმე კრიზისს განიცდიდა. მაგრამ გადაგვარების სუსხი მეტწილად მხოლოდ ზედაფენათა წრეებს ეხებოდა. ხალხი კი, ხალხი მტკიცედ იცავდა და ინახავდა თავის ეროვნულ ტიპს, თავის ეროვნულ ხასიათს. სწორედ ხალხის ეს ძალაა, უწინარეს ყოვლისა, გამქღავნებული ქართული ლიტერატურისა და ქართული ხელოვნების ყველა მიღწევაში დასაბამიდან დღემდე.

ჩემი მეგობარი ჩაფიქრდა. არ ვიცი, საიდან დამიწყებს შემოტევას...

1963

ხელოვნების ზოგიერთი საკითხის შესახებ

(ამხ. გ. ჯიბლაძის წიგნის გამო)

ესთეტიკის საკითხების სისტემატიზირებული გაშუქების ერთ-ერთი სერიოზული ცდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ეკუთვნის ამხ. გ. ჯიბლაძეს.

ცნობილია, რომ ესთეტიკის თეორიაში ოდითგანვე იბრძვის ორი ფილოსოფიური ხაზი მატერიალისტური და იდეალისტური. მატერიალისტური ესთეტიკა გამოდის ფილოსოფიური მატერიალიზმის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ადამიანის აზროვნება საერთოდ, მათ შორის მხატვრული აზროვნებაც, ასახავს ობიექტურ სამყაროს, რომელიც არსებობს დამოუკიდებლად ამსახველი სუბიექტისა, რომ მატერიალური სამყარო წინ უსწრებს შეგნებას, როგორც თავის იდეალურ გამოხატულებას. რასაკვირველია, მატერიალური და იდეალური არ გამორიცხავს ერთი მეორეს. არსებითად, შეგნება და მდგომარეობა, იდეა და მატერია სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე მოვლენის — ბუნებისა და საზოგადოების.

ერთი და იმავე მოვლენის ეს ორი მხარე — შეგნება და ყოფიერება, იდეალური და მატერიალური არ წარმოადგენენ იგივეობას, მაგრამ ისინი შეადგენენ დიალექტიკურ ერთიანობას და, მაშასადამე, არ შეიძლება მათი მოწყვეტა ერთმანეთისაგან, არ შეიძლება საზოგადოებრივი შეგნება მოვწყვიტოთ საზოგადოებრივ ყოფიერებას, აზრი — ობიექტურ სამყაროს.

ხელოვნება არის საზოგადოებრივი ყოფიერების იდეალური მხარის, ე. ი. საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმა. და რაკი საზოგადოებრივი შეგნება არ შეიძლება მოვწყვიტოთ მის შინაარსს, საზოგადოებრივ ყოფიერებას, გარეშე მატერიალურ სამყაროს, არც ხელოვნება შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი საგნობრივი შინაარსის — ობიექტური სამყაროს გარეშე: არ შეიძლება ხელოვნება მივაკუთვნოთ „წმინდა" ფორმის სფეროს, რადგან ყოველი ფორმა შეიძლება არსებობდეს როგორც ფორმა გარკვეული შინაარსისა, და, მაშასადამე, ფორმა უშინაარსოდ ისევე შეუძლებე-

ლია, როგორც „შინაარსი უფორმოდ შეუძლებელია". იგივე ითქმის ესთეტიკის სპეციფიკური საგნის — მშვენიერების შესახებაც. მშვენიერება ხელოვნებაში არ შეიძლება ეკუთვნოდეს „წმინდა" ფორმის სფეროს, რადგან მშვენიერების ცნებას აუცილებლად შეესაბამება კონკრეტული ობიექტური სინამდვილე, როგორც მისი შინაარსი, წყარო და საფუძველი, მშვენიერება ხელოვნებაში შეიძლება არსებობდეს როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, როგორც სინამდვილის ამსახველი გრძნობა თუ წარმოდგენა. ასეთია, მოკლედ, მატერიალისტური ესთეტიკის გამოსავალი დებულება.

იდეალისტური ესთეტიკის საფუძველს კი შეადგენს შემეცნების იდეალისტური თეორია. თუ იდეალიზმის ერთი სახეობა — ეგრეთ წოდებული ობიექტური იდეალიზმი ქადაგებს, რომ ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრება აბსოლუტური იდეის მხოლოდ გარეგნული ფორმა, მისი თვითგანვითარების გამოხატულებაა, იდეალიზმის მეორე. სახეობა — ეგრეთ წოდებული დუალიზმი ანუ აგნოსტიციზმი უარყოფს ობიექტური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას და, ამრიგად, იდეალურსა და მატერიალურს შორის გაჰყავს გაუვალი ზღვარი, ხოლო სუბიექტური იდეალიზმი სრულიად უარყოფს ობიექტურ რეალობას, იგი საგნებსა და მოვლენებს სუბიექტურ შეგრძნებათა კომპლექსებად აცხადებს. ამრიგად, იდეალიზმი შემეცნებას, მაშასადამე, ხელოვნებასაც, როგორც შემეცნების ერთ-ერთ ფორმას, აცლის თავის ობიექტურ შინაარსს — ადამიანის აზრის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ სინამდვილეს. მაგალითად, ჰეგელისათვის ხელოვნება არის აბსოლუტური იდეის თვითგანვითარების გარკვეული საფეხური, ფილოსოფიურ შემეცნებაზე დაბალი საფეხური, ანუ აბსოლუტური იდეის გამოვლენა თავის უშუალო ფორმაში, საყოველთაოს გამოხატვა ერთეულში, კონკრეტულში. მაგრამ ეს ერთეული კონკრეტული, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რეალური საგნები და რეალური მოვლენები ჰეგელის სისტემაში აბსოლუტური იდეის მხოლოდ მოჩვენებითი გამოვლენაა. ამრიგად, ხელოვნებას სტოვებს იდეალისტური აბსტრაქციის სფეროში. კანტის თვალსაზრისით ხელოვნება სულ დაცლილია ყოველგვარი შინაარსისაგან. იგი სავსებით მოწყვეტილია ობიექტურ სამყაროს, რეალურ ცხოვრებას; მას არ შეუძლია ასახოს სინამდვილე, ასახოს რეალური საგნები, რადგან შემეცნებას საერთოდ არ ძალუძს გადალახოს თავისი საზღვრები და მისწვდეს მის გარეშე არსებული ბუნების ნამდვილ არსს. აქედან ბუნებრივია, რომ კანტს ხელოვნების სფეროდ მია-

ჩნდა წმინდა ფორმა, წმინდა ფორმათა მშენებლობა, დაცლილი ყოველგვარი რეალური შინაარსისა და ინტერესისაგან. კანტისათვის ესთეტიკის სფერო წმინდა ფორმის სფეროა, გემოვნების მსჯელობა თავისუფალია ყოველგვარი ადამიანური ინტერესებისაგან. კანტის ესთეტიკასთან ძალიან ახლოს დგას სუბიექტური იდეალიზმის ესთეტიკაც, თუ „მატერიალისტური თეორია ამბობს, რომ ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი „მე“ მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ამ „მე-ზე“ შთაბეჭდილებას ახდენენ“, სუბიექტური იდეალიზმი კი, პირიქით, ამბობს, რომ სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სუბიექტი, რომელიც აღიქვამს მას, რომ საგნები არსებობენ მხოლოდ სუბიექტის შეგნებაში. ამ საფუძველზე სუბიექტური „იდეალიზმი ხელოვნებას განსაზღვრავს როგორც სუბიექტური ფანტაზიის მიერ შექმნილ ფორმებს, როგორც სუბიექტური ხილვის თვითმყოფადობასა და დამოუკიდებლობას. ამ სუბიექტურ ხილვას, რასაკვირველია, არავითარი საერთო არ აქვს თვით რეალურ საგნებთან და მოვლენებთან. ის არ ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ, იძლევა თვით სუბიექტის მიერ თავისთავში დანახულ ქვეყანას, თვით სუბიექტის საკუთარ წარმოდგენას. ამრიგად, სუბიექტური იდეალიზმის ესთეტიკაში ადამიანის აზრი, გრძნობა და წარმოდგენა მოწყვეტილია შინაარსს. ასეთია, მოკლედ, იდეალისტური ესთეტიკის გამოსავალი დებულებანი.

როგორც ვხედავთ, იმ დროს, როდესაც მატერიალიზმი ხელოვნებას განიხილავს როგორც ცოცხალ ამსახველობით კავშირს ობიექტურ რეალობასთან, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, იდეალიზმი ხელოვნებას წყვეტს სინამდვილეს, იგი თიშავს ფორმასა და შინაარსს, ხელოვნება გადააქვს „წმინდა“ ფორმის სფეროში.

დღეს, როგორც ვიცით, ფორმალისტური ესთეტიკის მებაირახტრედ გამოდის რეაქციული ბურჟუაზიის ხელოვნება და ლიტერატურა და როგორც თავის დროზე, ყოველი ისტორიული ესთეტიკური თეორია შეპირობებული იყო გარკვეული სოციალური ვითარებით და შეესაბამებოდა გარკვეულ კლასობრივ ინტერესებს, დღესაც — თანამედროვე ფორმალიზმს ასაზრდოებს იმპერიალისტური ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები. ბურჟუაზიას აშინებს ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი, რომლებმაც ის, რაც ოდესღაც მხოლოდ აჩრდილი იყო, აჩრდილი კომუნიზმისა, დღეს მეტად მრისხანე რეალურ ძალად აქციეს, „ისტორიის თხუნელა კარგად თხრის“... და ბურჟუაზია არამცთუ თვითონ არიდებს თვალს ობიექტური სინამდვილის პროგრესულ ტენდენციებს, რაც

მას მკაცრ განაჩენს უმზადებს, არამედ ცდილობს ხალხის მასებსაც აუხვიოს თვალი.

ფორმალიზმი ქადაგებს, რომ რეალური სინამდვილე არა რაარის, რომ საგნები და საგნების ნიშნები მხოლოდ სუბიექტურ შეგრძნებათა კომპლექსს წარმოადგენენ. ამიტომ ხელოვანი მხოლოდ ამ ნიშნების ანუ, უკეთ ვთქვათ, საკუთარი შეგრძნებების კომბინაციას ახდენს და ამ გზით ქმნის თავის საკუთარ საგნებს, თავის საკუთარ სამყაროს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალურ სინამდვილესთან. ფორმალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ფორმა დამოუკიდებელია შინაარსისაგან, რომ ფორმა გულგრილია შინაარსის მიმართ. ამიტომ ყველა ჯურის ფორმალისტი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის იმის შესახებ, რომ მისი „საკუთარი ფორმა", საკუთარი „მაღალი" ოსტატობა დამოუკიდებელია რეალური ცხოვრებისაგან.

არ არის ძნელი იმის დანახვა, რომ დღეს მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლა ხელოვნების თეორიაში, ისე როგორც იდეოლოგიის ყველა სხვა დარგში, არის გამოხატულება თანამედროვე მსოფლიოს პროგრესიულ და რეაქციულ ძალთა ბრძოლისა.

ამხ. გ. ჯიბლაძე საფუძვლიანად აშუქებს მატერიალიზმისა და იდეალიზმის ისტორიულ ბრძოლას ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. იგი ვრცელი ისტორიული მასალის ასპექტში განიხილავს ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულების საკითხს და ასაბუთებს მატერიალისტური ესთეტიკის ძირითად პრინციპებს. ყოველივე ეს შეადგენს ამხ. გ. ჯიბლაძის შრომის უდავო ღირსებას. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ზოგ რამეში ვერ დავეთანხმებით ავტორს. კერძოდ, სრულიად გაუგებარია, რატომ უვლის გვერდს ამხ. გ. ჯიბლაძე ხელოვნების სხვადასხვა თეორიათა ისტორიულ-სოციალური ბუნების საკითხს, მათი წარმოშობის კანონზომიერების საკითხს. ცნობილია, რომ ხელოვნების სხვადასხვა თეორიების წარმოშობა ყოველთვის შეპირობებული იყო გარკვეულ ისტორიულ-სოციალური პირობებით; ესთეტიკური აზროვნების განვითარებას ყოველთვის განსაზღვრავდა სოციალური ფსიქოლოგიის განვითარება. ამიტომ ესთეტიკური აზროვნების განვითარება წარმოადგენდა ისტორიულ პროცესს და არა შეხედულებათა ერთი სისტემის მექანიკურ ცვლას მეორე სისტემით.

ამხ. გ. ჯიბლაძეს არაერთხელ მოჰყავს ლუკრეციუსის, პლატონის, არისტოტელეს, რუსთაველის, ბუალოს, რუსოს, დიდროს, ლესინგის, კანტის, ჰეგელის, ლომონოსოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და სხვათა ესთეტიკური შეხედულებანი, მაგრამ იგი თითქმის

სრულიად არ ცდილობს ახსნას, თუ რა კონკრეტული ისტორიული პირობები განსაზღვრავენ ამ შეხედულებებს, კლასობრივი ბრძოლის რანაირ ვითარებაში ყალიბდებოდნენ ისინი და როგორია მათი ისტორიული ბუნება. საქმეს, რასაკვირველია, ვერ შველის კანტიკუნტად აღნიშვნა, ვთქვათ, იმისა, რომ ბუალო მოღვაწეობდა მერკანტელიზმის ხანაში და მან ხელოვნების თეორიაში ყველაზე უკეთესად გამოხატა აბსოლუტიზმის იდეა, ან იმის თქმა, რომ ჰეგელის ესთეტიკა ბურჟუაზიული ესთეტიკა იყო. ბურჟუაზიული იყო რუსოს, დიდროს, ლესინგის, კანტის, შილერისა და მრავალ სხვათა ესთეტიკური მოძღვრებანი, მაგრამ საკითხის არსი სწორედ იმაშია, რომ მათში არეკლილი იყო ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენისა და სხვადასხვა ისტორიული საფეხურის ფსიქო-იდეოლოგია.

მასალის ერთგვარი შიშველი გადმოცემის საილუსტრაციოდ საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიტანოთ საკმაოდ გრძელი ამონაწერი: „საკმაოდ ძლიერი ლიტერატურული კრიტიკოსი, — წერს ამხ. გ. ჯიბლაძე, — პერრო (1628-1703) ლიტერატურაში იცავდა იმ თვალსაზრისს, რომელიც უშიშრად აცხადებდა, რომ მისმა თანამედროვე მწერლებმა თითქოს გადააჭარბეს ანტიკურ სახეებსა და ამიტომ აღარ არის საჭირო ანტიკური სახე გამოყენებულ იქნას როგორც მიბაძვის ობიექტიო. ბუალო ამ თვალსაზრისის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. ფრანგულ ლიტერატურაში შემდეგ ჩვენ ვხვდებით ჟან-ჟაკ რუსოს ესთეტიკურ თეორიას, რომელიც, წინააღმდეგ გონებისა, გრძნობის პრიმატს აბატონებს ხელოვნებაში. რუსო უარყოფს ცივილიზაციას, რომელსაც გონება ჰქმნის, აყენებს ამოცანას, ხელოვნებამ გამოხატოს გრძნობა, დაამშვიდოს ადამიანი, ბოლო მოუღოს იმ ნერვიულობას, რომელსაც ცივილიზაცია იწვევს. რუსო ხელოვნებას ამოცანად უსახავს ადამიანის აღზრდას, ხელოვნებისაგან მოითხოვს სინამდვილის ანალიზს კი არა, მის დაძლევას. თავისი შეხედულებით რუსო საფუძველს უყრის მთელ იმ ესთეტიკურ თეორიას, რომელმაც შემდგომ ეპოქებში გრძნობა წამოსწია ხელოვნებაში გონების პრიმიტის ადგილზე. ასეთივე თეორიას, თავისებური ორიგინალური სახით, იძლევა რუსეთის დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი წიგნში „რა არის ხელოვნება?“

„რუსოს ხელოვნებათმეტყველებას, — განაგრძობს ამხ. გ. ჯიბლაძე, — რადიკალურად უპირისპირდება ვოლტერი, ისე როგორც განსხვავებულია მათი მსოფლმხედველობა საერთოდ. მაგრამ მას არ შეუქმნია ისეთი ესთეტიკური თეორია, რომელიც გაიჩენდა მიმდევრებს და იბატონებდა ლიტერატურაში.

ხელოვნების ახალ მოძღვრებას საფუძველს უყრის დენი დიდ-

რო, რომელსაც მიმდევრები უჩნდებიან, როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ ლიტერატურაში... დიდრომ ხელოვნების თეორიაში შეიტანა დემოკრატიული იდეები და მათ ნაყოფიერი წინაპირობაც შეუქმნა მთელს ევროპულ ლიტერატურაში. ის მოითხოვდა ხელოვნებას გამოეხატა ცხოვრება და უპირველეს ყოვლისა მეშჩანობა".

თითქმის მთელი ისტორიული მასალა მოცემულია ასეთი „მიუკერძებელი აკადემიზმით", ლიტერატურული პროცესის ყოველგვარი კანონზომიერების ჩვენებისა და ახსნის გარეშე. თუ ჩვენ არ ვიცით ის საზოგადოებრივი პირობები და ინტერესები, რომლებმაც განსაზღვრეს ესთეტიკური შეხედულებათა ამა თუ იმ სისტემის ხასიათი, არ შეიძლება, ნათელი გახდეს ჩვენთვის ამ შეხედულებათა როლი და მნიშვნელობა ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში. თუ გაურკვეველი არ არის, რატომ ილაშქრებდა ბუალო პეროს წინააღმდეგ და რატომ დაუპირისპირდა ფრანგი განმანათლებლების ესთეტიკური შეხედულებანი კლასიციზმის ესთეტიკურ ნორმებს, ჩვენ არ შეგვიძლია, გამოვამჟღავნოთ ესთეტიკური აზროვნების განვითარების პროგრესული და რეაქციული ტენდენციები. არ შეიძლება ხელოვნების სპეციფიკისა და ხელოვნების ფუნქციის საკითხების გადაწყვეტა სხვადასხვა თეორიებისა და ლოგიკური განსაზღვრების მექანიკური დაპირისპირების გზით. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის: ისე როგორც ყოველგვარ იდეოლოგიურ ფორმას, ხელოვნებასაც, მის სპეციფიკასაც და ფუნქციასაც აქვს კონკრეტული ისტორიული შინაარსი. მეცნიერული კვლევა უეჭველად მოითხოვს ამ შინაარსის გახსნას. ავიღოთ თუნდაც რუსო და დიდრო. ერთიც და მეორეც აღმომავალი ბურჟუაზიის წარმომადგენელია, და ხელოვნების თეორიაში არა მარტო დიდრომ, არამედ რუსომაც შეიტანა დემოკრატიული ელემენტები, მიუხედავად ამისა, მათი ესთეტიკური სისტემები არსებითად განსხვავდებიან. ამ განსხვავების სათავე უეჭველად იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თუ დიდრო „მესამე წოდების" წამყვანი ბირთვის — სამრეწველო-საქალაქო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, რუსო „მესამე წოდების" წვრილბურჟუაზიული ელემენტების განწყობილებათა გამომხატველი იყო. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ისტორიული ვითარების ისეთი სურათი, რაც საჭიროა საკითხის საფუძვლიანი გაშუქებისათვის. მაგრამ ეს არის ის საყრდენი, საიდანაც შეგვიძლია, გავარკვიოთ რუსოსა და დიდროს ესთეტიკური შეხედულებების ხასიათი და ამავე დროს ავხსნათ ის გავლენაც, რომელიც რუსომ მოახდინა რომანტიკული სკოლის მწერლებზე, მათ შორის ბაირონ-

ზეც. და ის გამოხმაურება, რომელიც რუსოს ესთეტიკამ ჰპოვა ლევ ტოლსტოის შეხედულებებში; ამავე პოზიციიდან შეგვიძლია აეხსნათ კანონზომიერება იმ უდიდესი გავლენისა, რომელიც დიდრომ მოახდინა ბურჟუაზიული რეალიზმის განვითარებაზე.

დამახასიათებელია რუსთაველის ესთეტიკის გადმოცემაც. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ იმ წესს, როდესაც ამა თუ იმ მწერალს, და მით უმეტეს რუსთაველს, განიხილავენ როგორც განკერძოებულ მოვლენას, როგორც რაღაც ციდან მოწყვეტილ გენიას, რომელსაც თითქოს არავითარი კავშირი არ აქვს თავისი ერის, თავისი ხალხის სულიერი კონსტიტუციისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურთან. რუსთაველით ჩვენ სწორედ იმიტომ ვამაყობთ, რომ მასში უმწვერვალესი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გარკვეულმა ეპოქამ, ჩვენი ხალხის სულიერმა პოტენციამ. ე. ი. ხალხის სწორედ იმ თავისებურებამ და სპეციფიკამ, რაც, როგორც ცნობილია, ყველა ერს შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში. იმის გამო, რომ ამხ. გ. ჯიბლაძე გვერდს უვლის რუსთაველის ესთეტიკის ისტორიულ-სოციალური ბაზისის საკითხს, მის წიგნში არ ჩანს არც ის მემკვიდრეობითი ნაკადი, რომელიც რუსთაველიდან ერთვის მთელი ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებას. ასე, მაგალითად, როდესაც ავტორი ახასიათებს სხვადასხვა ქართველი მოაზროვნის ესთეტიკურ შეხედულებებს, იგი ხშირად და სამართლიანად მიუთითებს იმ გავლენებზე, რაც რუსული ესთეტიკური აზროვნების განვითარებამ მოახდინა ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაზე. მაგრამ ამავე დროს ერთი შტრიხითაც არ გვიჩვენებს, რომ ქართული ესთეტიკური აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, წამოიზარდა ქართული სინამდვილიდან და, მაშასადამე, რუსთაველის ესთეტიკიდანაც.

საოცარი სიადვილით გადადის ამხ. გ. ჯიბლაძე ხელოვნების ერთი თეორიიდან მეორეზე: „ფრანგულ ლიტერატურაში შ ე მ დ ე გ ჩვენ ვხვდებით ჟან-ჟაკ რუსოს ესთეტიკურ თეორიას“... „დიდრის პარალელს წარმოადგენს მ ა რ ტ ი ნ ო პ ი ც (1597-1639). შ ე მ დ ე გ ახალი ლიტერატურის ყველაზე დიდი მქადაგებელი გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი“. „ლესინგის შ ე მ დ ე გ ჰერდერი საფუძველს უყრის ისტორიულ ლიტერატურათმეტყველებას, მაგრამ ამ პერიოდში ყველაზე უფრო დიდი მოვლენა ხელოვნების თეორიაში იყო კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკა“... „კანტის შ ე მ დ ე გ ჰეგელის ესთეტიკა წარმოადგენს უდიდეს ნაბიჯს წინ“... და ა. შ. სიტყვა შემდეგ ყველგან ჩვენს მიერ არის ხაზგასმული და არა გადამლაშების

ქინით, არამედ იმის გულწრფელი შეგნებით, რომ ისტორიული მასალის ასეთი ყავარჯნებით გადმოცემა მეცნიერული კვლევის სწორი ხერხი არ არის. ამავე წესით, მოკლე შინაარსის მოყოლის წესით, გვაცნობს ავტორი ლომონოსოვის, ტრეტიაკოვის, სუმაროკოვის, ბესტუჟევ-მარლინსკის და სხვათა შეხედულებებს. ამავე დროს, როგორც წესი, გვერდს უვლის მათი შეხედულებების სოციალური, კლასობრივი ბუნების საკითხს. ავტორი შედარებით უფრო ვრცლად და ღრმად ახასიათებს ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის და ზაიცევის შეხედულებებს ხელოვნებაზე. ამ ნაწილში, კერძოდ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მიმართ, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბიოგრაფიული დეტალების გადმოცემას. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი ფაქტიური შეცდომა. ლაპარაკობს რა ბელინსკის ცნობილ ფორმულაზე, რომ „ხელოვნება არის ჭეშმარიტების უშუალო შეგრძნება, ანუ აზროვნება სახეებში", ამბობ გ. ჯიბლაძე დასძენს: „ბელინსკის ფორმულა შემდეგ გაიზიარეს პოტებნიამ და პლეხანოვმა". გამოდის, რომ პოტებნიამ და პლეხანოვმა ერთნაირად გაიზიარეს ბელინსკის ფორმულა. ეს არ არის მართალი, იმ დროს, როდესაც პლეხანოვმა ეს ფორმულა ძირითადად მატერიალისტური თვალსაზრისით გააშენა, პოტებნიამ მასში, არსებითად, სუბიექტურ-იდეალისტური შინაარსი ჩასდო. გამოდიოდა რა სიტყვების უსახო და სახობრივ სიტყვებად დანაწილების დებულებიდან, მართალია, პოტებნიას ხელოვნების სპეციფიკად მიიჩნდა სახობრიობა, მაგრამ მხატვრული სახე მას წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც სინამდვილის გამოხატვის საშუალება, არამედ როგორც სუბიექტურ განწყობილებათა აღმძვრელი საშუალება. მისი აზრით, მწერალი თავის სახეთა სისტემით ვერასოდეს ვერ გადასცემს სხვებს თავის აზრებსა და გრძნობებს: მხატვრულ სახეთა საშუალებით იგი მხოლოდ აღძრავს მკითხველებში იმ განწყობილებებსა და გრძნობებს, რომლებიც შეიძლება ექნეთ თვით მკითხველებს სახეებში მინიშნებულ მოვლენებისა და საგნების მიმართ. ამრიგად, თუ პოტებნიას თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, „ანნა კარენინაში" ჩვენ ვკითხულობთ არა ტოლსტოის აზრებსა და გრძნობებს, არამედ ჩვენს საკუთარ გრძნობებს. მხატვრული სახე პოტებნიასთვის — ეს არის რაღაც ბუნდოვანი სიმბოლო, რომელიც ყოველ სუბიექტში იწვევს განსხვავებულ განწყობილებებს. აქედან ცხადია, ბელინსკის ფორმულის თუ რანაირ გაზიარებასთან გვაქვს საქმე იმ თვალსაზრისში, რომელიც არსებითად ხელოვნების სიმბოლისტურ თეორიას წარმოადგენს.

ამბ. გ. ჯიბლაძე უეჭველად ერთგვარ ობიექტურ აკადემიზმს იჩენს, როდესაც არასაკმაოდ, ზოგჯერ კი სრულიადაც არ აკრიტიკებს

ხელოვნების ამა თუ იმ თეორიის ჩრდილოვან მხარეს. კერძოდ, მას არსად არ აქვს ახსნილი კანტიანიზმისა და ჰეგელიზმის ჩრდილოვანი მხარე, მათი კლასობრივი ფესვები, და ამ ჩრდილოვანი მხარის გამოხატულება მათს ესთეტიკაში: ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს შეეძლო გაეკეთებინა ამხ. გ. ჯიბლაძეს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი უნებლიედ გაჰყვა სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების მიუკერძებლობას.

ამავე დროს ლიტერატურული მოვლენების ახსნის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპზე ამხ. ჯიბლაძე საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს, როდესაც ეხება მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის და ლენინის შეხედულებებს ხელოვნებაზე.

ამხ. გ. ჯიბლაძე მთელი რიგი საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში ამჟღავნებს არა მარტო ნაკითხობას, არამედ საკუთარი გაზრების სიღრმესაც. იგი სავსებით სწორად განმარტავს შემეცნებაში ფანტაზიის როლის ლენინურ გაგებას. უნაყოფოა ოცნება, რომელიც მოწყვეტილია სინამდვილისაგან, მაგრამ ქმედითია ოცნება, რომელიც წინასწარ სჭვრეტს მოვლენათა განვითარების ტენდენციებს, სინამდვილისა და ადამიანის აქტიური აზრის ურთიერთობაში პოულობს ცხოვრების უკეთეს ფორმათა შესაძლებლობებს და ხელს უწყობს იმას, რომ ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ იქცეს. სავსებით სწორია დებულება, რომელიც აქედან გამოჰყავს გ. ჯიბლაძეს. „ჰეშმარიტ ხელოვანს, ჰეშმარიტ მწერალს მოეთხოვება, იყოს მეოცნებე, მაგრამ მისი ოცნება სინამდვილის პროგრესიულ ძალთა ლოგიკით უნდა ხელმძღვანელობდეს. ყოველი დიდი ხელოვანი ამ ელემენტარულ ჰეშმარიტებას განჭახიერებს თავის შემოქმედებაში და გვევლინება არა მარტო თავისი დროის, არამედ მომავლის მხატვრადაც". მაგრამ ამის შემდეგ ავტორი იძლევა ერთობ საეჭვმანო დებულებას. იგი წერს: „კლასობრივ საზოგადოებაში იდეოლოგიის კლასობრივი ხასიათი მას (ე. ი. მწერალს, ლ. კ.) კი არ ზღუდავს, პირიქით, უფრო აჩენს, ვინაიდან თუ ის რეაქციულ კლასს ეკუთვნის სოციალურად, მაგრამ ამავე დროს შეუძლია, სწორად გადმოგვცეს თავისი დრო, ეპოქა, თუ მისი თვალსაზრისი კი არ უგულვებელჰყოფს, არამედ ხედავს თავისი თანამედროვეობის პროგრესიულ ძალებს და ტენდენციებს, მაშინ მწერალი თაობებს გადასწვდება, საუკუნეებს გაუწვდის ხელს, უკვდავ სახელს დაიმკვიდრებს მსოფლიო ლიტერატურაში". ჩვენი აზრით ამ დებულების ბეორე ნახევარი, რომელიც თითქოს ძირითადი აზრის პირობას შეიცავს, არსებითად არაფერს არ სცვლის ამ ძირითად აზრში. ძირითადი აზრი კი, როგორც ზოგადი სქემა, უეჭველად არ არის სწორი, ყოველი მარქსისტ-ლენინელისა-

თვის უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ ყველა კლასობრივი იდეოლოგია, ასე თუ ისე, უეჭველად ზღუდავს და გარკვეულ საზღვარს უდებს ადამიანთა შემეცნებას. ამას მეტად თვალსაჩინოდ მოწმობს ლიტერატურის ისტორია. თავისი კლასობრივი იდეოლოგიის შემზღუდველმა გავლენამ დააწერინა გოგოლს: „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან"; იმავე ფაქტორით იყო შეპირობებული ტოლსტოის ქადაგება ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობისა, ბალზაკის ლეგიტიმიზმი და საკუთრების აღიარება მარადიულ ინსტიტუტად, გოეთეს ფილისტერული ოპორტუნიზმი და სხვა მრავალი მსგავსი რამ. კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი იდეოლოგია მეტად თუ ნაკლებად ყოველთვის ზღუდავდა ყოველ მწერალს. ამიტომ მტკიცება, რომ კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი იდეოლოგია არ ზღუდავს მწერალს, არ არის სწორი. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თუ მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ რეაქციულ კლასს ეკუთვნის, მაინც ისეთ თვალსაზრისზე დგას, რომელიც „კი არ უგულვებელყოფს, არამედ ხედავს და გამოხატავს თანამედროვეობის პროგრესიულ ძალებსა და ტენდენციებს", ცხადია, ასეთი მწერალი ნაწილობრივ ან მთლიანად იზიარებს პროგრესული კლასის იდეოლოგიას და ამდენადვე მას გადალახული აქვს თავისი კლასობრივი შეზღუდულობა. კიდევ მეტი: შესაძლებელია მწერალი თავისი იდეოლოგიით, თავისი შეგნებით იდგეს რეაქციული კლასის თვალსაზრისზე, მაგრამ სტიქიურად, თავისი ფხიზელი რეალიზმით მან გადალახოს თავისი კლასობრივი შეზღუდულობა და მისწვდეს განვითარების პროგრესულ ძალებს, როგორც ეს გვიჩვენა ენგელსმა ბალზაკის მაგალითზე. ლენინის ცნობილი დებულება ტოლსტოის შესახებ,რომ „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, ზოგიერთი რამ რევოლუციის თუნდაც არსებითი მხარეებიდან მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებში" — მიგვითითებს იმაზე, რომ ყოველი დიდი მხატვარი სწორედ ამიტომ არის დიდი მხატვარი, რომ იგი მეტად თუ ნაკლებად იძლევა სინამდვილის სწორ სურათს, იძლევა გარკვეულ ობიექტურ ჭეშმარიტებას.

ენგელსის ცნობილი დახასიათება რენესანსის ეპოქისა, ჩვენის აზრით სრულიადაც არ ასაბუთებს იმას, რომ კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი იდეოლოგია არ ზღუდავს მწერალს. „ეს იყო ეპოქა, — წერს ენგელსი, — რომელიც საჭიროებდა ტიტანებს და რომელმაც კიდეც წარმოშვა აზრის, ვნებების, ხასიათის ძლიერებით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით ტიტანი ადამიანები. ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამკვიდრებენ, ყველაფერი იყვნენ, მხოლოდ არ ყოფილან ბურჟუაზიუ-

ლად შეზღუდული ადამიანები. პირიქით, ისინი ცოტად თუ ბევრად გამსჭვალული იყვნენ თავგადასავლების გაბედულ მაძიებელთა სულით... ისინი თითქმის ყველანი თავიანთი დროის ინტერესთა შუაგულში ცხოვრობენ, ცხოველ მონაწილეობას იღებენ პრაქტიკულ ბრძოლაში, დგებიან ამა თუ იმ პარტიის მხარეზე და იბრძვიან, ვინ სიტყვით და კალმით, ვინ მახვილით, ვინ კიდევ ორივეთი ერთად, აქედან წარმოსდგება ხასიათის ის სისრულე და ძალა, რაც მათ მთლიან ადამიანებად აქცევს". როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია სწორედ იმაზე, რომ ეს ტიტანური ადამიანები ჯერ კიდევ არ ყოფილან შეზღუდული ბურჟუაზიული იდეოლოგიით, და არა იმაზე, რომ თითქოს ბურჟუაზიული, კლასობრივი იდეოლოგია არ ზღუდავს ადამიანებს. გარდა ამისა, ენგელსის ეს შესანიშნავი დახასიათება მიუთითებს იმას, რომ ყოველი ეპოქა წარმოშობს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მას ესაჭიროება, რომ გამოჩენილი პიროვნებანი არიან თავიანთი ეპოქის ღვიძლი შვილები. გამომხატველნი ეპოქის სოციალური ფსიქოლოგიისა. ენგელსი ახასიათებს იმ ინტენსიურ სულიერ ცხოვრებას, რომელიც აუცილებელი წინაპირობა იყო ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დასამკვიდრებლად და რომელიც ახასიათებდა ამ ფორმაციის იმ გრანდიოზულ შესავალს, რასაც აღორძინების ეპოქა ეწოდება. ენგელსის მიერ მოცემული დახასიათების მთელი სიღრმე და სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა კონკრეტული ეპოქის კონკრეტული ვითარების სწორ გამოხატულებას, რომ მასში მოცემულია ის მთავარი და ძირითადი ნიშანი, რაც მხოლოდ ამ ეპოქას ახასიათებდა და რაც განასხვავებდა სხვა ეპოქებისაგან. ენგელსი, რასაკვირველია, შორს იყო ისეთი აბსტრაქტული სქემის შექმნისაგან, რაც ყველა დროსა და ყველა ეპოქას გამოადგებოდა თარგად: პირიქით, იგი გარკვევით მიუთითებს „იმ დროისათვის დამახასიათებელი თავგადასავლების გაბედულ მაძიებელთა" სულისკვეთებაზე. ამიტომ, ვფიქრობთ, არ არის სავსებით სწორი მტკიცება: „...ხელოვნებისა და ლიტერატურის მთელი ისტორია განა იმას არ გვეუბნება, რომ ის, რაც რენესანსის ეპოქაში იყო, დამახასიათებელია საერთოდ იდეოლოგისა და მისი თვითეული ფორმისათვის ყველა დროსა და ყველა ეპოქაში?" არა, ის, რაც რენესანსის ეპოქაში იყო, არ არის დამახასიათებელი ყველა დროისა და ყველა ეპოქისათვის. ყოველ ეპოქას თავის კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი აქვს, და რაკი ეს შინაარსი წარმოიშვა, მას განვითარების საკუთარი კანონზომიერებანიც გააჩნია.

ამა თუ იმ ხელოვანის მიერ თავისი კლასობრივი შეზღუდულობის დაძლევის ყოველი ფაქტი უნდა აიხსნას გარკვეულ კონკრეტულ-ისტორიული პირობებით.

სწორია ამბ. გ. ჯიბლაძის შემდეგი დებულება: „გენიოსი, სწორედ იმიტომ არის გენიოსი, რომ აწმყოსთან ერთად მომავალს გამოხატავს, ნაციონალურთან ერთად ინტერნაციონალურს, კონკრეტულ ადამიანურთან ერთად ზოგადკაცობრიულს". ცხადია, რაკი ჭეშმარიტ დიდ მხატვარს შეუძლია და კიდევაც ასახავს ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ არსებით მხარეს, იგი კიდევაც ადის ობიექტური ჭეშმარიტების გარკვეულ საფეხურზე. ხოლო შემეცნების ყოველი ნაბიჯი, ყოველი საფეხური, რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს, შეადგენს საზოგადოებრივი შეგნების იმ კრისტალს, რომლისგანაც იქმნება კაცობრიობის აზრის უმაღლესი მიღწევები. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ობიექტური ჭეშმარიტების თუ რა საფეხურზე ასვლას შესძლებს გენიოსი, — ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ისტორიულ-სოციალურ და კულტურულ ვითარებაში უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა მას. ამიტომაც არის საჭირო ყოველი მხატვრული შემოქმედებისა თუ ხელოვნების ყოველი თეორიის ისტორიულ-სოციალური შინაარსის გარკვევა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ნათელვყოთ, თუ რამდენად შესძლო მხატვარმა თავისი კლასობრივი შეზღუდულობისა და თავის ეპოქის ჩარჩოების გადალახვა და რამდენად არის ის მომავლის მხატვარიც. სწორედ ასეთი ღრმა მეცნიერული ანალიზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ლენინის ცნობილი სტატია ტოლსტოის შესახებ, სადაც წინააღმდეგობანი დიდი მხატვრის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში ახსნილია კონკრეტულ-სოციალური ვითარებით, და სადაც ნათლად ვხედავთ, თუ რამდენად შესძლო მხატვარმა თავისი კლასობრივი შეზღუდულობის გადალახვა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს: თუ საერთოდ ხელოვნების სხვადასხვა თეორიები განხილული უნდა იქნას არა როგორც ერთმანეთის გვერდით მდებარე მოვლენები, არამედ როგორც პროცესი, მით უმეტეს ხელოვნების მარქსისტულ-ლენინური თეორია განხილულ უნდა იქნას არა როგორც ერთ-ერთი სისტემა სხვა სისტემებს შორის, არამედ როგორც უმაღლესი საფეხური მეცნიერული აზრის განვითარებისა ამ დარგში.

●

ახლა შეეხოთ ესთეტიკის სპეციალური საგნის — მშვენიერების პრობლემას. როგორც ზემოთ დავინახეთ, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით მშვენიერება არ შეიძლება მიეკუთვნოს „წმინდა" ფორმის სფეროს, რომ იგი როგორც ბუნებაში ისე ხელოვნებაში შეიძლება არსებობდეს, როგორც ფორმისა და შინაარსის

ერთიანობა. ხელოვნების შინაარსს, ისე როგორც ყოველგვარი აზრო-ვნების შინაარსს, შეადგენს ობიექტური რეალობა, რომელიც უშუ-ალოდ თუ შუალობით არეკლილია ხალოვნებაში. მაშასადამე, ხელო-ვნების ერთ-ერთი ელემენტის — მშვენიერების შინაარსიც არეკლი-ლია სინამდვილიდან.

„ვიყენებთ რა ჩერნიშევსკის დებულებას, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბუნებაში არსებული მშვენიერება ნამდვილი, ჭეშმარიტი და ერთად-ერთი მშვენიერებაა, რომელიც ხელოვნების დაუშრობელი წყაროა". აი ის ძირითადი დებულება, რომლის მიხედვითაც აშუქებს ამხანაგი გ. ჯიბლაძე თავის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას, ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერების პრობლემას. ეს უდავოდ მატერიალის-ტური დებულებაა. თუმცა, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ვთქვათ, რომ ხელოვნების დაუშრობელი წყარო არის არა ბუნებაში არსებუ-ლი „ერთადერთი მშვენიერება", არამედ ცხოვრება, სინამდვილე. ეს კორექტივი საჭიროდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ, როგორც პლეხა-ნოვი ამბობს, „ხელოვნების სფერო გაცილებით ფართოა „მშვენიე-რების სფეროზე".[1]

ამხანაგი გ. ჯიბლაძე ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერების პრობლემას უეჭველად აცლის სხვადასხვა იდეალისტურ თვალსაზ-რისთა შრეებს და გამოაქვს იგი მატერიალისტურ მსოფლმხედვე-ლობის სინათლეზე. მხატვრული შემეცნება არის სპეციფიკური ფო-რმა სამყაროს ათვისებისა. მასში არეკლილია მის გარეშე და მის და-მოუკიდებლად არსებული რეალური სამყარო. სხვა საკითხია ის, თუ როგორ არის არეკლილი: მართლად თუ არამართლად. ეს საკითხი წყდება კონკრეტულად ხელოვნების ყოველი ცალკე ფაქტის მიმართ. მაგრამ თავის განვითარებაში მხატვრულ შემეცნებას ძალუძს მის-წვდეს თავისი საგნის ობიექტურ ბუნებას, მისი ერთ-ერთი საგანია მშვენიერება. მშვენიერება როგორც საგანი, როგორც რეალობა არს-ებობს ადამიანის შემეცნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ადამიანის მხატვრული შემეცნება მიილტვის ობიექტური მშვენიე-რების, ე. ი. მშვენიერი საგნის, მშვენიერი მოვლენის, მშვენიერი ვი-თარების სრულყოფილად წარმოქმნისაკენ. არსებითად ეს არის აზ-რისა და არსის დამოკიდებულების საკითხი. ჩვენ კი შეიარაღებული ვართ ისეთი უძლიერესი მეცნიერული იარაღით, როგორიცაა ასახვის ლენინური თეორია. ამიტომ გზა გაკაფული გვაქვს. ამ გზას მიჰყვება ამხ. გ. ჯიბლაძეც. თუმცა იგი რატომღაც გვერდს უვლის ობიექტური მშვენიერებისა და ობიექტური ჭეშმარიტების დამოკიდებულების

[1] Г. В. Плеханов, Соч., т. XIV, стр. 180.

საკითხს, ამას კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში.

ამხ. გ. ჯიბლაძე მშვენიერების ობიექტურობას ასაბუთებს შემდეგი მსჯელობით: „თუ ჩემი წარმოდგენა ბუნებაში არჩევს მაღალსა და დაბალს, ლამაზსა და ულამაზოს, მშვენიერსა და არამშვენიერს, მაშასადამე, ბუნებაში ყოფილა რაღაც, რომელიც ერთნაირად კი არ მოქმედებს ჩემი შემეცნების ორგანოზე, არამედ სხვადასხვანაირად, მაძლევს სხვადასხვა წარმოდგენას: ერთ შემთხვევაში ერთი საგანი ჩემთვის ლამაზია, მეორე ულამაზო, მშვენიერია ან არამშვენიერი. მაგრამ თუ თვით ბუნებაში არ არსებობს მათ შორის განსხვავება, როგორღა მიიღო ჩემმა ცნობიერებამ ეს ორი საგანი განსხვავებულად? თუ მართლაც ობიექტური რეალობა უარყოფს თავის თავში განსხვავებას მშვენიერსა და არამშვენიერს შორის, რატომ მოქმედებს ჩემზე ერთი საგანი უარყოფითად, ხოლო მეორე დადებითად? ბუნებაში რომ არ არსებობდეს ლამაზი და ულამაზო, მშვენიერი და არამშვენიერი, ადამიანური შემეცნება მას ვერ შეიმეცნებდა; მაშინ რაღაც საშინელი ერთგვაროვნება ან ერთფეროვნება უნდა ყოფილიყო, ყველა საგანი და მოვლენა გათქვეფილი რაღაც განუსხვავებელ და წრეშეუწერელ უშინაარსობაში, უფორმობაში, და ეშმაკმა დალახვროს, აღარ იქნებოდა აღარც შემეცნება, აღარც მოქმედება და განვითარებაზე ხომ ზეტმეტია ლაპარაკი". ვფიქრობთ, მთელი ეს მსჯელობა არც თუ ისე მკვეთრი საბუთია მშვენიერების ობიექტურობის სასარგებლოდ. აქ სრულიად ადვილად შეუძლიათ შეგვეკამათონ და გვითხრან: „მართალია, თქვენი წარმოდგენა ბუნებაში ერთ საგანს მიიჩნევს ლამაზად, მეორეს ულამაზოდ, მაგრამ სხვა წრისა და სხვანაირი აღზრდის ადამიანი იმავე საგანს, რაც თქვენ ლამაზად მიიჩნიეთ, მიიჩნევს ულამაზოდ და... კიდევ მეტი: შესაძლოა, თვითონ თქვენ ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში ლამაზად მიიჩნიოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში ულამაზოდ, იმის მიხედვით, თუ რა განწყობილებაზე იქნებით. მაშასადამე, — შეუძლიათ დაასკვნან მათ,—განსხვავება მშვენიერსა და არამშვენიერს შორის ადამიანის სულის სხვადასხვა ვითარების ნაყოფია, ეს განსხვავება ბუნებაში შეაქვს სუბიექტს".

ცხადია, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ამ შესაძლებელ მოწინააღმდეგეთა აზრს. ვერ დავეთანხმებით არა იმიტომ, რომ თითქოს არ ვაღიარებ, რომ სხვადასხვა სოციალური წრისა და სხვადასხვა პირობებში აღზრდილ ადამიანებს შესაძლებელია ექნეთ სხვადასხვა წარმოდგენა მშვენიერებაზე, და, მაშასადამე, მათთვის მშვენიერი იქნეს სხვადასხვა საგანი, ვერ დავეთანხმებით არა ჩვენი სუბიექტური წარმოდგენის მოტივით, არამედ იმის გამო,

რომ ბუნების სხვადასხვაობისა და მრავალფეროვნების ობიექტურობას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვიდასტურებს კაცობრიობის მეცნიერული შემეცნებისა და პრაქტიკის განვითარება, მათი ერთიანობა. „მატერიალისტისათვის სამყარო უფრო მდიდარი, უფრო ცოცხალი, უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ის გვეჩვენება, რადგან მეცნიერების განვითარების ყოველი ნაბიჯი მასში აღმოაჩენს ხოლმე ახალ მხარეებს"[1].

„ჩვენი შეგრძნებანი"... რომელთაგან ჩვენ ვქმნით ჩვენს წარმოდგენას მშვენიერებაზე ანუ ვქმნით ჩვენ იდეალს მშვენიერებისას, ...„არიან სახეები ერთადერთი და უკანასკნელ ობიექტური რეალობისა, უკანასკნელისა არა იმ აზრით, რომ ის უკვე შემეცნებულია ბოლომდის, არამედ იმ აზრით, რომ გარდა იმისა არ არის და არ შეიძლება იყოს სხვა რამ"[2] მაგრამ ობიექტური მშვენიერება არ მოიცავს მთელ ობიექტურ რეალობას, მთელ ობიექტურ ჭეშმარიტებას, რადგან არა ყოველი რეალობა შეიძლება იყოს მშვენიერი, არამედ მხოლოდ ის რეალობა, რომელიც ესთეტიკურად ატკბობს ადამიანებს, ანუ შეესაბამება მათ იდეალს მშვენიერებისას. მშვენიერება და არამშვენიერება ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობა თვით საგანში, თვით ბუნებაში. საგანი მშვენიერიც არის და არამშვენიერიც, რამდენადაც საგანში არის ის, რაც კვდება, რაც იხრწნება და ის რაც ცოცხლობს და ვითარდება.

ამხ. გ. ჯიბლაძე ვრცლად არკვევს, თუ რა არის მშვენიერება და იძლევა ცნობილ განსაზღვრას, რომ მშვენიერება არის ცხოვრება. ამ დებულების შემდგომი კონკრეტიზაციის საფუძველზე იგი დეტალურად აშუქებს მშვენიერების ცნების შინაარსს ბუნებასა და ხელოვნებაში.

ამრიგად, კაცობრიობის პრაქტიკა, მისი მეცნიერული აზრის განვითარება ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვიმტკიცებს, რომ ბუნებაში არსებობს მრავალფეროვნება, უარყოფითი და დადებითი, მშვენიერი და არამშვენიერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბუნება არ არჩევს და არც შეუძლია გაარჩიოს თეთრი და შავი, მშვენიერი და არამშვენიერი, დიადი და არადიადი. იგი ერთნაირად ანიჭებს არსებობის უფლებას ჭიანჭველასა და სპილოს, სულელსა და გენიოსს; მისთვის ერთი ფასი აქვს მშვენიერსა და არამშვენიერს, ბორბოტებასა და სიკეთეს, ჭლექის ბაცილასა და ყვავილის ნექტარს, ბუნება გულგრილია თავისი არსების მიმართ. მისი წესრიგი სტიქიურია. იგი „ერთფერად მტვირთელი არის საქმის თეთრის და შავისა". მაშასადამე ბუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. XIII. (მე-3 გამოც). გვ. 105.

[2] ვ. ი. ლენინი, ტ. XIII. გვ. 105.

ნება მშვენიერიც არის და არამშვენიერიც. იმას, თუ რა არის მშვენიერი და არამშვენიერი ბუნებაში, არჩევს მხოლოდ ადამიანი თავისი შეგნებული იდეალების მიხედვით. ამიტომაც არის საჭირო ადამიანის შეჭრა გარე სამყაროს სტიქიაში, შეჭრა თავისი შეგნებული მიზნებით, მშვენიერების ადამიანური იდეალებით... და ხელოვნებამაც არა მარტო უნდა ასახოს ბუნება, არამედ კიდეც უნდა გარდაქმნას იგი, არა მარტო გაიმეოროს ბუნების მშვენიერება, არამედ კიდეც უნდა შექმნას იგი. და თუ ბუნებაში მშვენიერება არის საგნის ერთი მხარე, ერთი ტენდენცია, ხელოვნებაში ყოველი სიმართლე და მხოლოდ სიმართლე შეიძლება განხორციელდეს მშვენიერებად.

მშვენიერება არის ცხოვრება. მაგრამ ცხოვრებაში მუდამ არის ჭიდილი უარყოფითისა და დადებითის, „ცხოვრებაში მუდამ არსებობს ახალი და ძველი, მზარდი და მომაკვდავი, რევოლუციური და კონტრრევოლუციური". მაშასადამე, ცხოვრება მშვენიერიც არის და არამშვენიერიც. პროგრესული საზოგადოებრივი შეგნებისათვის ცხოვრებაში მშვენიერი შეიძლება იყოს ის, რაც ზეაღმავალი, პროგრესული და ჯანსაღია, — არამშვენიერი ის, რაც რეაქციული და მომაკვდავია. მაგრამ ხელოვნება ასახავს არა მარტო მშვენიერს, არამედ არამშვენიერსაც და ხელოვნებას არ შეუძლია აქციოს არამშვენიერება მშვენიერებად. ასეთი თილისმა არ არსებობს და მაშასადამე, არც ხელოვნებას შეუძლია სიმახინჯე აქციოს მშვენიერებად, მას შეუძლია შინაარსი და ფორმა (მხატვრული სახე) იმდენად გაამთლიანოს, იმდენად დაამთხვიოს ერთმანეთს, რომ ჩვენ უდიდესი ძალით გვაგრძნობინოს მშვენიერება სიმართლისა, ე. ი. ხელოვნებას შეუძლია არამშვენიერება გამოსახოს იმ ძალით და იმ სიღრმით, რომ მეტად მძაფრად გვაგრძნობინოს ის, და მით უფრო მეტი ძალით აღძრას ჩვენში მისწრაფება მშვენიერებისადმი, მსგავსად იმისა, რომ „ჭეშმარიტება მაჩვენებელია თავისთავისა და მცდარობისა" (მარქსი), მშვენიერება მაჩვენებელია თავისთავისა და არამშვენიერებისა, და პირუკუც.

ამხ. გ. ჯიბლაძე სამართლიანად აკრიტიკებს ბუნებაში არსებული სიმახინჯის ხელოვნებაში მშვენიერებად გადაქცევის იდეალისტურ, ფორმალისტურ თეორიას. იგი წერს: „...ბუნების სიმახინჯე ხელოვნებაშიც სიმახინჯედ რჩება, ხოლო თუ ეს უკანასკნელი ჩვენ გვანცვიფრებს, მოგვწონს, — გვგონია მშვენიერი, არა იმიტომ, რომ თვით გამოხატული საგანია მშვენიერი, არამედ იმიტომ, რომ ხელოვანის ოსტატობაა მშვენიერი, ოსტატობა, რომელმაც ასეთ განმაცვიფრებელ სიმაღლეს მიაღწია — მშვენივრად გამოხატა არა მშვენიერება, არამედ სიმახინჯე". მაგრამ ეს არავითარ შეეთხვევაში ისე არ

უნდა გავიგოთ, თითქოს ხელოვნებაში მშვენიერება მხოლოდ ოსტატობაა. ჩვენ ვიცით, რომ ოსტატობა ანუ ფორმა არ შეიძლება მოვწყვიტოთ შინაარსს, სიმართლეს, არ შეიძლება მოვწყვიტოთ მასში ასახულ ობიექტურ რეალობას.

რეაქციული ბურჟუაზიის ხელოვნება, რომელიც დღეს ფორმალიზმის წუმპეშია ჩაფლული, სწორედ თავისი ოსტატობის, თავისი ფორმის დამოუკიდებლობას ქადაგებს. მას ხელოვნების არსად სწორედ „წმინდა" ოსტატობა მიაჩნია. მაგრამ თანამედროვე ფორმალისტური ესთეტიკა, არსებითად, ბურჟუაზიული სულის მხატვრულ უძლურებას მოწმობს. მით უმეტეს საჭიროა, რომ ყოველი ჩვენი დებულება ესთეტიკის დარგში იყოს მკაფიო და ნათელი, რომ არავითარ ორაზროვნებას არ ჰქმნიდეს. რასაკვირველია, სისულელე იქნებოდა მხატვრული ოსტატობის უდიდესი მნიშვნელობის ოდნავი უარყოფაც კი, პირიქით, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ამდიდრებს, აძლიერებს და აღრმავებს მხატვრული ოსტატობის მნიშვნელობას მით, რომ ის შიშველ ოსტატობად, უშინაარსო ფორმად არ მიაჩნია. მხატვრული ოსტატობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად, მართლად და კონკრეტულად ასახავს მხატვარი ობიექტურ რეალობას; მხატვრული ოსტატობა დაკავშირებულია ხელოვანის მსოფლმხედველობასთან, იმ მეთოდთან, რომლითაც იგი შეიცნობს გარემყარ სინამდვილეს. ხელოვანის ოსტატობა გვხიბლავს და გვანცვიფრებს იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავს სიმართლეს ანუ სწორად ასახავს რეალურ საგნებსა და მოვლენებს. ამრიგად, როდესაც ხელოვნებაში გამოხატულ სიმახინჯეს შევყურებთ, ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ, რასაკვირველია, არა თვით სიმახინჯეს, არამედ მის შესახებ თქმულ სიმართლეს; ოსტატობა იმდენად გვხიბლავს, რამდენადაც იგი ნათლად, მკაფიოდ და გამომეტყველად ამეღავნებს ამ სიმართლეს. მაგრამ სიმართლე სიმახინჯის შესახებ მისი ცივი და გულგრილი გამოხატვა კი არ არის, არამედ ისეთი გამოხატვაა, რომელშიაც უარყოფილია იგი როგორც სიმახინჯე. კაპიტალიზმი დღეს სოციალური სიმახინჯეა, და ჩვენში მხოლოდ იმ ხელოვანს შეუძლია აღტაცება გამოიწვიოს, რომელიც ამ სიმახინჯის ისეთ სურათს დახატავს, რომელშიც გაცხადებული იქნება დიდი სოციალური სიმართლე კაპიტალიზმის მახინჯი არსისა და მისი გარდუვალი მოსპობის შესახებ. მაქსიმ გორკიმ შესანიშნავად დაგვიხატა ბურჟუაზიული პიროვნების რღვევა „არტამანოვების საქმეში". და ჩვენ გვხიბლავს არა იქ დახატულ პიროვნებათა ბურჟუაზიული არსება, არამედ დიდი სიმართლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება ბურჟუაზიული პარაზიტიზმი, რაც იწვევს

ბურჟუაზიულ ადამიანთა სულიერი ძალების დაქვეითებას, პიროვნებათა რღვევას. და გორკის მხატვრული ოსტატობაც იმდენად გვხიბლავს, რამდენადაც მასში ცხოვლად და კონკრეტულად არის ხოცშესხმული ეს დიდი სიმართლე.

ყაზბეგის „ბამის ჭკვლელში“ ჩვენ მთელი არსებით გვეზიზღება გირგოლა, მაგრამ ჩვენ გვხიბლავს ის სიმართლე, რომელსაც ანსახიერებს ეს მხატვრული სახე და რომელიც ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. ხელოვნებაში სიმახინჯის გამოსახვის პრობლემასთან დაკავშირებით ხშირად ახსენებენ ხოლმე ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“. კვაზიმოდო საოცარი სიმახინჯეა. ეს სახე მართლაც საოცარი ოსტატობით აქვს დახატული ჰიუგოს, და არა მარტო ეს სახე, არამედ მთელი რომანი აგებულია დიდი მხატვრული ოსტატობით. თვით ღვთისმშობლის ტაძარიც კი თავისი ქიმერებით, თავისი ბძიმე და პირქუში ფორმებით, თავისი მისტიკური და იდუმალი ტალანებითა და სივრცეებით, თითქოს საოცრად ეოგვაგონებს კვაზიმოდოს აღნაგობას, მთელ რომანში ჩვენ ვგრძნობთ საოცარი ძალის კონტრასტებს. ჩრდილისა და სინათლის საუცხოო თამაშს, ფერების ოსტატურ შეზავებას. მაგრამ საკმაოა ანგარიში მივცეთ თავისთვის, თუ რა გვხიბლავს მთელ ამ მხატვრულ სახეთა სისტემაში, და დავრწმუნდებით, რომ გვხიბლავს სწორედ ფორმისა და შინაარსის მთლიანობა, გვხიბლავს ადამიანთა, საგანთა და ბოვლენათა ჭეშმარიტი არსის გაცხადება თვით ამ ადამიანების, საგნებისა და ბოვლენების სახეებში. თვითმიზნობრივი კონტრასტები, ჩრდილისა და სინათლის უაზრო თამაში, ფერთა უმიზნო შეზავება, შინაარსისაგან დაცლილი ფორმები ვერასდროს ვერ შექმნიან ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებს. ნამდვილი მხატვრული შემოქმედება იწყება სწორედ სიმართლის ძიებით და ამ ძიებით ნაკარნახევი მხატვრული ოსტატობით. ძნელი არ არის მონახვა ფაქტებისა, თუნდაც ჩვენი ქართული ლიტერატურული ცხოვრებიდან, როდესაც ესა თუ ის ხელოვანი შემოქმედებით მარცხს განიცდის სწორედ მაშინ, როდესაც ნაწარმოების შექმნას იწყებს ფორმალური ხერხებისა თუ ოსტატობის ძიებით და სიმართლე კი, სიმართლე, რაც ხელოვნების სულსა და გულს შეადგენს, ხელიდან უსხლტება.

ამრიგად, მხატვრული სახის შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია განუყრელ მთლიანობაშია. სწორედ ეს მთლიანობა ქმნის ხელოვნების ნაწარმოებში ფორმისა და შინაარსის მთლიანობას, რაც ხელოვნების მშვენიერების აუცილებელი პირობაა.

როდესაც ჩემი შემეცნება სწვდება ობიექტურ ჭეშმარიტებას — ეს არის ჩემი ადამიანური არსების გამარჯვება, ჩემი სიხარული, ჩემი

სასიცოცხლო ძალების დამკვიდრება, რადგან ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნება საშუალებას მაძლევს დავძლიო ბუნების გულგრილობა, დავძლიო მისი სტიქია. ჩემი ინტერესებისა და ჩემი იდეალების მიხედვით გავარჩიო ბუნებაში მშვენიერი და არამშვენიერი, სასარგებლო და უსარგებლო.

რეალობაში მშვენიერსა და არამშვენიერს ჩვენ ვირჩევთ ჩვენი ინტერესებისა და ჩვენი იდეალების მიხედვით, მაშასადამე, მშვენიერება ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს არ არსებობს საგნისადმი ჩვენი დამოკიდებულების გარეშე. ....რადგან ჩემი საგანი შეიძლება, იქნეს მხოლოდ ჩემი არსების ერთ-ერთი ძალის დამკვიდრება, და, მაშასადამე, საგანს შეიძლება ჰქონდეს ყოფიერება ჩემთვის მხოლოდ ისე, როგორც ჩემი არსების ძალა არსებობს თავისთვის სუბიექტური უნარის სახით, რადგან საგნის აზრი (Sinn) ჩემთვის(აზრი აქვს მხოლოდ მის შესაბამის გრძნობისათვის) მიდის იმდენად შორს, რამდენადაც შორს მიდის ჩემი გრძნობა..." (მარქსი). ამრიგად, არის თუ არა საგანი ჩვენთვის მშვენიერი — ეს დამოკიდებულია ჩვენს მსოფლმხედველობაზე, ჩვენს გრძნობათა ორგანოების განვითარებაზე და, ცხადია, ჩვენს გემოვნებაზეც. გემოვნების სხვადასხვაობა კი მუდამ იარსებებს.

იმისათვის, რომ ჩვენ ჩვენი არსების ძალები დავამკვიდროთ, რომ მშვენიერი საგნები ვაქციოთ ჩვენს საგნებად, რომ შევქმნათ მშვენიერებათა ახალი სახეები, საჭიროა მივწვდეთ საგანთა ობიექტურ ბუნებას, საჭიროა ვიცოდეთ სიმართლე საგანთა შესახებ.

„ს წ ო რ ე თ ს ი მ ა რ თ ლ ე"! — ეს ლოზუნგი შეადგენს საბჭოთა ლიტერატურისა და საბჭოთა ხელოვნების ძირითად პრინციპს, ჩვენი ესთეტიკის ქვაკუთხედს. პროგრესული საზოგადოებრივი შეგნებისა და გემოვნებისათვის მხოლოდ სიმართლე, მხოლოდ მართალი და პროგრესული იდეა შეიძლება განხორციელდეს ხელოვნებაში ესთეტიკურ ფაქტად. ყალბ იდეას, ყალბ აზრსა და ყალბ გრძნობას არ აქვს თავის რეალური საგანი, არ აქვს თავისი რეალური კონკრეტული ფორმა. ყალბი იდეა სწორედ იმიტომ არის ყალბი, რომ იგი არ შეესაბამება სინამდვილეს, არ შეესაბამება ცხოვრებას. ხოლო ის, რაც არ შეესაბამება ცხოვრებას, რასაც არ გააჩნია კონკრეტული რეალური სახე, იგი არც შეიძლება იყოს ესთეტიკური, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ამხ. გ. ჯიბლაძე. რასაკვირველია, შეიძლება მრავალი ისეთი ნაწარმოების დასახელება, რომლებშიც გამოხატულია ესა თუ ის ყალბი იდეები, მაგრამ ისინი მაინც ინარჩუნებენ ესთეტიკურ მნიშვნელობას, ანდა, პირიქით, შეიძლება დასახელება ისეთი ნაწარმოებისა, რომელშიაც ძირითადი იდეა მართალია, მაგ-

რამ ნაწარმოები მხატვრულად მაინც მდარე ხარისხისაა. აქ საქმე იმაშია, რომ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში მოცემულია არა ერთი ან რამდენიმე იდეა, არამედ იდეათა, აზრთა და გრძნობათა მთელი სისტემა და თუ მასში ერთი ან რამდენიმე იდეა, თუნდაც ძირითადი იდეა, ყალბია, — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასში მოცემულ იდეათა მთელი სისტემაა ყალბი.

ტოლსტოის შემოქმედების გენიალური ანალიზი, რომელიც ლენინმა მოგვცა, ნათლად გვიჩვენებს, რომ მხატვრულობის კრიტერიუმს წარმოადგენს ობიექტური რეალობის მართლად გამოხატვა, მართალი იდეების, აზრებისა და გრძნობების გამჟღავნება მხატვრულ სახეებში. ლენინის შეფასებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ტოლსტოის შემოქმედებაში მაღალმხატვრულ ფაქტებად განხორციელდნენ მხოლოდ მართალი იდეები, აზრები და გრძნობები: „რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები... კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუნდობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოსა და სახელმწიფო მმართველობის ოინბაზობის მხილება, წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა სიმდიდრის ზრდასა და ცივილიზაციის მონაპოვართა და მუშათა მასების სიღატაკის, გაველურებისა და ტანჯვის ზრდას შორის...[1], ხოლო ტოლსტოის ყალბი იდეები; „რეგვენური ქადაგება „ბოროტებისადმი წინაღუდგომლობისა“ ძალადობით... რელიგიისა, მისწრაფება სახაზინო სამსახურის ხუცების ნაცვლად ზნეობრივი რწმენის მქონე ხუცების დაყენებისა...“[2] ლენინს „ყველაზე უსაძაგლესი რამის ქადაგებად“[3] მიიჩნდა და, მაშასადამე, ისინი მისთვის არ შეიძლებოდა ესთეტიკურ ფაქტად ქცეულიყვნენ. რასაკვირველია, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ რომელიმე ბნელეთის მოციქული სწორედ ამ ყალბ იდეებს მიიჩნევს ტოლსტოის მხატვრული გენიის გაშლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების ძირითადი იდეა მართალია, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები სუსტია მხატვრულად, საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, როდესაც ნაწარმოების სახეთა მთლიანი სისტემა, მართლად ვერ ასახავს სინამდვილეს და, მაშასადამე, ვერ შეადგენს ისეთ მხატვრულ ქსოვილს, რომელშიაც შეიძლებოდა მართლად გაცხადებულიყო ძირითადი იდეა.

დებულება, რომ მწერლები ადამიანის სულის ინჟინრებია, განსაზღვრავს ხელოვნების შემეცნებითს და აღმზრდელობით ფუნქციას.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ლიტერატურის შესახებ, ქართ. გამოც. 1945 წ. გვ. 119.
[2] ლ ე ნ ი ნ ი, ლიტერატურის შესახებ, ქართ. გამოც. გვ. 119
[3] ი ქ ვ ე, გვ. 119.

ეს არის შემოქმედებითი მარქსიზმის პრინციპის შეტანა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიაში.

როდესაც მარქსმა შემეცნების თეორიაში შეიტანა პრაქტიკის კრიტერიუმი და წამოაყენა ცნობილი თეზისი, რომ აქამდის ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გარდავქმნათ სამყაროო, — ეს იყო ძველი რევოლუცია ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. მით, რომ ძველი მეტაფიზიკური მატერიალიზმის მთავარი ნაკლოვანება გამოამზეურა, მარქსმა მატერიალისტური მსოფლმხედველობა სამყაროს უბრალო ახსნის იარაღიდან აქცია სამყაროს გარდაქმნის იარაღად. „მთავარი ნაკლი მთელი წინამორბედი მატერიალიზმისა, — წერდა მარქსი, — ფოიერბახის მატერიალიზმამდე ჩათვლით — მდგომარეობს იმაში, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობადობას განიხილავს მხოლოდ ო ბ ი ე ქ ტ ი ს ფორმით ანუ ჰვრეტის ფორმით, და არა როგორც გ რ ძ ნ ო ბ ა დ-ა დ ა მ ი ა ნ უ რ მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა ს, არა პრაქტიკის ფორმით, არა სუბიექტურად“.

დიალექტიკური მატერიალიზმის ამ საფუძველთა საფუძველმა შემდგომი განვითარება ჰპოვა. არა ერთგზის დასაბუთდა მეცნიერულად, რომ შემეცნება არის არა სარკისებურ-მკვდარი ასახვა გარემყარისა, არამედ აქტიური, გარდამქმნელი დამოკიდებულება ობიექტური რეალობისადმი, რომ „ადამიანის შეგნება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ჰქმნის მას“.[1] ეს იმას ნიშნავს, „რომ სამყარო არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს შესცვალოს იგი თავისი მოქმედებით“.[2]

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთეტიკური თეორიის განვითარების ერთადერთი სწორი გზაც არის დიალექტიკური მატერიალიზმის გზა.

ამხ. გ. ჯიბლაძე არაერთგზის იძლევა დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპების სწორ და მართებულ განმარტებას. და მით უფრო საოცარია, რომ თვითონ იგი ეშვება მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებზე ხელოვნების თეორიაში. ასე, მაგალითად, იგი არსებითად იცავს და ანვითარებს ტრადიციულ ფორმულას, რომელიც ხელოვნებას განსაზღვრავს როგორც ბუნების მიბაძვას. ნამდვილად კი ეს ფორმულა უკვე აღარ შეესაბამება ხელოვნების განვითარების თანამედროვე საფეხურს, მით უმეტეს იგი აღარ შეესაბამება საბჭოთა ხელოვნების ბუნებას. ბუნების მიბაძვა დღეს

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი. ლიტერატურის შესახებ, ქართ. გამოც. გვ. 241.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 241.

ხელოვნების მხოლოდ ერთ მხარედ, ერთ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მის მეორე არსებით და ძირითად მხარეს შეადგენს მისი გარდამქმნელი როლი არა მარტო ზეგავლენის თვალსაზრისით, არამედ შემეცნების თვალსაზრისითაც.

ამბ. გ. ჯიბლაძე წერს: „ბუნება ჰქმნის მშვენიერებას და ხელოვნება მას სთარგმნის თავის ენაზე, რათა აღბეჭდოს და გამოსახოს ის, რაც ცხოვრებამ ასე უხვად მიაფრქვია მას. ხელოვნება ამ მხრივ გვეხმარება ჩვენ და გვაძლევს სასიხარულო მოგონებას ბუნების მშვენიერებაზე... ხელოვნება ჩვენ მხოლოდ მოგვაგონებს ამ მშვენიერებას, რათა იმოქმედოს ჩვენზე, შეგვაყვაროს ბუნება, მოგვცეს გარკვეული მიმართულება ან დადებითისაკენ (მაშინ პოზიტიურია ხელოვნების ფუნქცია) ან უარყოფითისაკენ (და მაშინ ჩვენ ნეგატიურად ვაფასებთ ხელოვნების ფუნქციას)“. ამრიგად, გამოდის, რომ ხელოვნება არის ბუნების ასლის გადმოღება, ხოლო ამ ასლის ფუნქცია იმაში მდგომარეობს რომ მოგვაგონოს ბუნების მშვენიერება, შეგვაყვაროს იგი. ამით ხელოვნება უეჭველად პასიური კვრეტის ჩარჩოებშია მოქცეული. თქმა არ უნდა, რომ ბუნება მართლაც საოცარი ოსტატია, მაგრამ სტიქიური, შეუგნებელი. დაწყებული თვალდაუნახავი ნამცეციდან. ყურისათვის მიუწვდომელი ბგერიდან, გათავებული ციურ სხეულთა ფიქრმიუწვდომელი ანსამბლით — ბუნება გამსქვალულია სტიქიური შემოქმედების დაუცხრომელი სულით. იგი მარად თვალმოუხუჭავი მხატვარია თავის არსებისა; მის განკარგულებაშია ამოუწურავი საღებავები და ფორმები, მაგრამ ყველაზე დიდი ქმნილება მის ქმნილებათა შორის არის ადამიანი, ეს დიდებული ფენომენი, რომელიც ასეთი საოცარი გაბედულებით გამოჰყოფს თავისთავს ბუნებისაგან და თავის ამ ყოვლისმომცველ მშობელსა და მასწავლებელს მასწავლებლად ეუფლება.

ბუნება სტიქიურად, თავისთავად არ ახორციელებს ყოველივე სასურველსა და შესაძლებელს. ცხადია, ადამიანის აზრისა და პრაქტიკის ჩაურევლად, ბუნება ვერასოდეს ვერ შექმნიდა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ საოცარ მიღწევებს, რითაც დღეს შეიარაღებულია კაცობრიობა. ეს მიღწევები, რასაკვირველია, არსებობდა ბუნებაში, როგორც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესაძლებელი შედეგი, როგორც შესაძლებლობა. მაგრამ ეს შესაძლებლობა ადამიანის აზრის ჩაურევლად არასდროს არ იქცეოდა სინამდვილედ.

სტიქიურად, თავისთავად არ ხორციელდებიან არც ადამიანთა საზოგადოების განვითარების უკეთესი და შესაძლებელი ფორმები, არც ადამიანთა საზოგადოებრივი შეგნება ადის სტიქიურად სასურველ და შესაძლებელ სიმაღლემდე (მოვიგონოთ ლენინის გენია-

ლური მტკიცება იმის შესახებ, რომ სტიქიურად მუშათა კლასი ძნელად თუ შესძლებდა მეცნიერულ სოციალიზმამდე ამაღლებას, რომ უკეთეს შემთხვევაში იგი მხოლოდ ტრედუნიონისტულ შეგნებამდე ავიდოდა), თავისთავად ბუნება და ცხოვრება არ ახორციელებს და ვერც განახორციელებს ყველა შესაძლებელ მშვენიერებას, სტიქიურად ვერც ადამიანის სული მიაღწევს შესაძლებელ მორალურ სრულყოფას... და რა ამოუწურავი, უთვალავი შესაძლებლობანია კიდევ წინ ბუნებისა და ცხოვრების უსასრულო განვითარებაში. და თუ ადამიანის შემეცნების სხვადასხვა ფორმებს უფლება აქვს მიზნად დაისახოს ბუნებისა და ცხოვრების შესაძლებლობათა გადაქცევა სინამდვილედ, ხელოვნებასაც უფლება აქვს არა მარტო მიბაძოს ბუნებას, არა მარტო გადმოიღოს ბუნებისა და ცხოვრების მზამზარეული მშვენიერების ასლი, არამედ კიდევაც განახორციელოს შესაძლებელი მშვენიერება.

ხელოვნება ცხოვრების მოწაფეც არის და მასწავლებელიც. ივი წარმოქმნის იმ მშვენიერებას, რომელიც ბუნებაში და ცხოვრებაშია, და ამავე დროს ჰქმნის მშვენიერების ახალ იდეალს, ჰქმნის მშვენიერებას, რომელიც არსებობს როგორც შესაძლებლობა ხელოვნებისა და ცხოვრების დამოკიდებულებაში და რომელიც არ შეიქმნება, თუ არ იარსებებს ხელოვნება.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა მოგვცეს სილამაზის უფრო მაღალი იდეალი, ვიდრე არსებულია, უნდა დახატოს ადამიანის ისეთი ამაღლებული მორალური სახე, რომელთაკენ უნდა ისწრაფოდეს ადამიანები, როგორც თავიანთი ადამიანური სრულყოფისაკენ. ამ აზრით უნდა გავიგოთ მ. გორკის შემდეგი დებულება: „ჩვენი ხელოვნება უნდა დადგეს სინამდვილეზე მაღლა და მასზე მაღლა უნდა აიყვანოს ადამიანი ისე, რომ არ მოსწყვიტოს მას".[1]

ლიტერატურას და ხელოვნებას არ შეუძლია განისაზღვროს მარტო ბუნებისა და ცხოვრების მიბაძვით. ამბ. გ. ჯიბლაძეს კი თავისი მსჯელობა ხელოვნების შესახებ ყოველთვის მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნება არის მიბაძვა: „რაღა დარჩა? — წერს იგი, — მხოლოდ ის, რომ მშვენიერება ჩვენ გამოვაცხადოთ ობიექტურ რეალობად, რომელსაც განასახიერებს ბუნება. ცხოვრება და რომელსაც გამოსახავს ხელოვნება — მიბაძავს რა პირველს". (ხაზი ჩვენია, ლ. კ.). თუ ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ იმას გამოსახავს, რასაც ბუნება თუ ცხოვრება თავისთავად, ადამიანის შემოქმედი აზრის ჩაურევლად ანასახიე-

---

[1] М. Горький. О литературе, 1937, стр. 157.

რებს, მაშინ ადგილი არ რჩება ხელოვნების აქტიური დამოკიდებულებისათვის მოვლენებისადმი, ადგილი არ რჩება იმისათვის, რომ ხელოვნებამ გარკვეული იდეური თვალსაზრისით გადაამუშაოს, შეჰკრას და ორგანიზაცია უყოს ცხოვრებიდან და ბუნებიდან აღებულ მასალას.

გამოგონებლობა მხატვრული შემოქმედების აუცილებელი ელემენტია, როგორც ყოველი კარგი ინჟინერი, ისე ადამიანის სულის ინჟინერიც — მწერალიც კარგი გამოგონებელია. — „მხატვრობა" „გამოგონების" გარეშე შეუძლებელია, არ არსებობს" (გორკი).

მსგავსად იმისა, რომ ყოველი მეცნიერული თუ ტექნიკური გამოგონება არის ბუნების ძალთა მიზანშეწონილი ორგანიზაცია, ყოველი მხატვრული გამოგონება არის ცხოვრებიდან და ბუნებიდან არეკლილი მასალის ორგანიზაცია გარკვეული იდეური თვალსაზრისის მიხედვით.

ამხ. გ. ჯიბლაძე, რასაკვირველია, ლაპარაკობს, და ძალიან ხშირად, ხელოვნების აქტიური, გარდამქმნელი როლის შესახებ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყოველივე ეს ორგანულად არ გამომდინარეობს ხელოვნების იმ კონცეფციიდან, რასაც იგი იძლევა.

არ შეიძლება დაეთანხმოთ ამხ. გ. ჯიბლაძეს აგრეთვე ფორმის ერთგვარი გაორების ცდაში. იმაში, რომ ფორმა შეიძლება გულგრილი იყოს შინაარსისადმი (სალი და დამპალი ვაშლის მაგალითი). ფორმა ბუნებაშიაც და ხელოვნებაშიაც ერთიანი და მთლიანია. ფორმა არ შეიძლება გულგრილი იყოს თავისი შინაარსის მიმართ. იგი შეიძლება ან კონფლიქტში იყოს შინაარსთან ან ჰარმონიულ მთლიანობაში იყოს მასთან.

ხელოვნებასა და ლიტერატურაში როგორც მისი შინაგანი ფორმა მხატვრულ სახეთა მთლიანი სისტემა, — ისე მისი გარეგნული გამოვლენა-მეტაფორები, შედარებები, ეპითეტები, რითმა, რიტმი, საღებავები, ხაზები და სხვა კომპონენტები, არ შეიძლება გულგრილი იყოს ნაწარმოების იდეური შინაარსის მიმართ, მხატვრული ფორმის ყოველ ელემენტს გარკვეული ფუნქცია აქვს. ხელოვნებაში ისეთი ფორმა, რომელიც კონფლიქტში მის იდეურ შინაარსთან, უეჭველად აყალბებს ამ შინაარსს, და პირიქით, როდესაც ფორმა ჰარმონიულ მთლიანობაშია იდეურ შინაარსთან, იდეური შინაარსი წარმოგვიდგება მთელი თავისი სიდიადით.

დიმიტრი გულია

(1874 — 1960)

მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის დიდ ოჯახს გამოაკლდა ერთ-ერთი უხუცესი და სახელოვანი წევრი — აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია.

დიდად ღვაწლმოსილი და ფრიად ვალმოხდილი თავისი ხალხის წინაშე, მთელი საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ჩაესვენა იგი წინაპართა აჩრდილების სავანეში.

იგი უკვე ღრმად მოხუცი და ფიზიკურად დაუძლურებული იყო, მაგრამ მისი ხმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ინარჩუნებდა ახალგაზრდულ ძალას. მის სიტყვას გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს. მრავალმხრივი იყო საქმენი მისი... და საქმენმან მისმან უკვდავყო ის!

დიმიტრი გულიას შემოქმედებასა და მოღვაწეობაში დღემდე ყველაზე მკაფიოდ და ყველაზე სავსედ გამოიხატა მისი მშობელი ხალხის სულიერი ბიოგრაფია.

იგი აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის დამაარსებელია. მის სიტყვას, მის შემოქმედებას თან დაჰყვა და ბოლომდე გაჰყვა პირველად ქმნილობის სახიერება და გამართლება. ხალხურობა, აზრის სილრმე. გრძნობის სიწრფელე, მეტყველების უბრალოება — აი რა ნიშანდობლივი თვისებები ახასიათებს დიმიტრი გულიას შემოქმედებას.

პოეტის მემკვიდრეობაში არა მარტო გამოხატული, არამედ ხალხის დაჯერებული მოამაგის პოზიციებიდან გააზრებულიცაა თავისი ხალხის წარსული და აწმყო. თავის ლიტერატურულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას პოეტი მარტო იმაში როდი ხედავდა, რომ ეჩვენებინა წარსული ცხოვრების სიდუხჭირე და ახალი ცხოვრების სიდიადე. არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმაში, რომ თავისი სიტყვითა და საქმით უშუალო მონაწილეობა მიეღო ძველის დანგრევასა და ახლის შენებაში.

დიმიტრი გულიას შემოქმედების ერთ-ერთ არსებით თავისებურებას იმ თავითვე შეადგენდა ძლიერი ფოლკლორული ნაკადი. მის

პოეტურ სიტყვაში, მის პოეტურ სახეებში ყოველთვის იგრძნობა თავისებური ფოლკლორული სურნელება, სინედლე და სიმსუყე. შემთხვევით არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1910 წელს ლექსში — „აბრსკილი" პოეტმა უმღერა აფხაზური ფოლკლორის გმირს, სამართლიანობისა და ხალხისათვის თავდადებულს, ქართული ამირანის ორეულს — აბრსკილს. ეს გოლიათი უხსოვარ დროიდან ყოფილა მიჯაჭვული რკინის პალოზე ბნელ გამოქვაბულში კოდორის მახლობლად. ხალხს სწამდაო, რომ დანიშნულ დროზე აბრსკილი ჯაჭვებს დაწყვეტს და „ქვეთილთა მეგობარი, სუსტთა მფარველი, უბადლო გმირი შემოიკლის ქვეყნიერებას აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე". თუმცა უუფლებო და შავბნელი ცხოვრება ხალხის ფანტაზიას ზოგჯერ უნუგეშობისაკენაც წარმართავდა და საყვარელ გმირს სხვა ბედსაც უსახავდა: გოლიათმა ჯაჭვები დასწყვიტა, გამოქვაბულიდან გამოიკრა, მაგრამ რაკი სინათლეს გადაჩვეული იყო, მზის კაშკაშმა სამუდამოდ დააბრმავა და სადღაც მთებში გადაიკარგა.

პოეტი გამოხატავდა ხალხის იმედიან ოცნებასაც და მწარე, უიმედო ფიქრებსაც, მაგრამ თვითონ მას ყოველთვის ღრმად სწამდა ხალხის უდრეკი ძალა, ხალხის ნათელი მომავალი.

მწერლის ცნობილ პროზაულ ნაწარმოებებში — „კამაჩიკში"— ნაჩვენებია სწორედ ხალხი და ხალხური ხასიათი, რომელსაც ვერაფითარი ბედუკეთილმართობა ვერ უქრობს თავისუფლების დიდ წყურვილს, ყოველგვარი ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მძაფრ ვნებას. ეს ნაწარმოები უბრალოდ, ყოველგვარი ხალოვნურობის გარეშე მოგვითხრობს აფხაზეთის მშრომელი ხალხის ადრინდელი ცხოვრების შესახებ. მხატვრულის თვალსაზრისით ამ ნაწარმოების მთელი ლაზათი და წარმტაცობა სწორედ მის ფოლკლორულ ნაგებობასა და უშუალობაშია. ეს არის აფხაზეთის სოფლის რევოლუციამდელი ყოფის, ზნე-ჩვეულებების, ადათების თავისებური მხატვრული ენციკლოპედია. ამავე დროს ნაწარმოები თვალწინ გვიშლის მაშინდელი სოფლის ღრმა და შეურიგებელ სოციალურ წინააღმდეგობებს.

გავიხსენოთ მოკლედ ამ ნაწარმოების შინაარსი. მის ცენტრში მოქცეულია ღარიბი აფხაზი გლეხი ქალის — კამაჩიკის ამაღელვებელი ტრაგიკული ისტორია. მწერლის მიერ შექმნილ სახეთა შორის კამაჩიკი ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი და წარმტაცი მხატვრული სახეა. ეს სახეც მკაფიო ფოლკლორული ნაგებობისაა. იგი, როგორც ხალხური ხასიათი, ასახიერებს, თავისი ხალხის უკეთეს სულიერ თვისებებს. საგულისხმო ცხოვრებისეულ სიმართლის სიმბოლიურ მინიშნებას შეიცავს ის, რომ კამაჩიკის ხასიათის ფორმირებაში წილი უდ-

ევს ქართველ კაცსაც — სოფლის მწერალს ლევანს, რომელსაც ამ ქალიშვილს წერა-კითხვა შეასწავლა... მრავალი ბედუკულმართობის მიუხედავად, მრავალი ტანჯვისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, რაც კამაჩიკს, მის მშობლებსა და სხვა მშრომელ გლეხებს აყენებენ თავაშვებული თავადები და მეფის გულქვა მოხელეები, უტეხი და უდრეკია ამ ცეცხლოვანი ქალის ნებისყოფა, ჩაუქრობელია მისი გზნება სიცოცხლის დამკვიდრებისა, სიცოცხლის ფუძის გამაგრებისა.

საოცრად მტკიცე ხასიათის, მხურვალე გულისა და ცოცხალი გონების ლამაზ ქალიშვილს ბევრი ახალგაზრდა ვაჟი შეტრფის, მათ შორის აზნაურის აღვირახსნილი ნაშიერიც — ტალასტანი. მაგრამ კამაჩიკი გრძნობს პირშეუყრელ უფსკრულს თავისა და ამ აზნაურს შორის, გრძნობს მისი ტრფიალის შინაგან მანკიერებას და გულისწორად გლეხის შვილს — ალახასს ირჩევს. გაბოროტებული ტალასტანი კი ქურდების, ყაჩაღებისა და მეფის მოხელეების მეშვეობით ისე ჩახლართავს ბნელ საქმეებს, რომ ალახასს ციხეში ჩასვამენ, სადაც იგი კიდევაც იღუპება, ხოლო კამაჩიკი იძულებული ხდება ცოლად გაჰყვეს ამ ვერაგ კაცს, რათა საბოლოო გაპარტახებისაგან იხსნას თავისი მშობლებიც და დაღუპული საქმროს ოჯახიც; კამაჩიკს შვილი შეეძინება. მაგრამ ჟინმოკლული ტალასტანი მალე გადასწყვეტს თავიდან მოიშოროს ეს გლეხი ქალი, რათა ცოლად შეირთოს თავადის ასული. იმ მიზნით, რომ კამაჩიკი აიძულოს თვითონ მიატოვოს ქმრის ოჯახი, ტალასტანი მას არაადამიანურ ტანჯვასა და დამცირებას აყენებს. მაგრამ საყვარელი პირმშოს გულისათვის ქალი გასაოცარი სტოიკური სიმტკიცით იტანს წამებას. ტალასტანი ბოლოს მაინც გააგდებს სახლიდან და ბავშვსაც წაართმევს. უდედოდ დარჩენილი ბავშვი იზაფრება და კვდება. მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმული კამაჩიკი გზაში უხვდება ტალასტანს და რევოლვერით ჰკლავს... უბრალო გლეხის ქალს, რასაკვირველია, მაშინ არ შეეძლო ემსჯელა იმაზე, საზოგადოებრივი პროგრესის თვალსაზრისით სწორი იყო თუ არასწორი ეს შურისძიება. აქ მთავარია ხასიათის შინაარსი... და მით, რომ უკულმართად მოწყობილ ქვეყანას ერთი არამზადა მაინც გამოაკლო, კამაჩიკმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ხალხის წიაღში ნაშობი ხასიათის სიმტკიცე და სიჯანსაღე.

მწერალი გაჯერებთ, რომ ხალხის მჩაგვრელ ძალებს, — თავადებსა და აზნაურებს, მეფის მოხელეებს, რომლებიც ნაწარმოებში მოქმედებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფუფუნებაში ცხოვრობენ, ბატონობენ და მძვინვარებენ, მომავალი მაინც არა აქვთ, მათ სულიერ არსებას რღვევისა და დეგრადაციის ბეჭედი აზის; ხალხი კი,

ხალხი მაშინაც, როდესაც ჩაგვრის უმძიმეს და უსაშინელეს უღელს ეწევა. თავისთავს ამკვიდრებს როგორც მთავარი ძალა საზოგადოებრივი განვითარებისა. მხოლოდ ხალხი ბადებს ისეთ მთლიან და უდრეკ ხასიათებს, როგორიც კამაჭიჭია. ასე აქვს გადაწყვეტილი ხალხის თემა მწერალს თავის ამ ნაწარმოებში ვგონებ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კამაჭიჭის ხასიათში ალბათ არის რაღაც დასესხებული თვით მისი შემქმნელის ხასიათისაგან.

აფხაზეთის სოფლის რევოლუციამდელ ყოფას შეეხო მწერალი თავის დრამაშიაც — „აჩრდილებში". ამ პიესაში ნაჩვენებია, თუ რა საზარელ სიჩლუნგემდე და სიმხეცემდე შეუძლია მიიყვანოს ადამიანი სიხარბემ და ანგარებამ, საკუთრების ინსტინქტებმა.

მწერალმა თავის სანუკვარ ოცნებათა იდეალთა გაცხადება დაინახა ოქტომბრის რევოლუციაში, საბჭოთა სინამდვილეში. აი, „ბალადა გადარჩენილი მწყემსის შესახებ". აქაც ფოლკლორული საწყისი ძალობს. ღარიბი მწყემსის სახე თითქოს სიმბოლურად ასახიერებს აფხაზეთის მშრომელი ხალხის ისტორიულ ბედს, ხალხისა, რომელსაც მეფის რეჟიმის პირობებში უეჭველი გადაგვარება და გადაშენება ემუქრებოდა. უწყალო თავადის მიერ გაძარცვულ, შეურაცხყოფილ და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მწყემსს თავის დახჩობა გადაუწყვეტია. იგი ვიწრო, ოქანავე ხიდზე შედგება და განწირულის თვალებით ჩასცქერის მდინარე ბზიფის ჩაგრეხილ ჭავლებს. ის-ის არის რომ ზორევში უნდა გადაეშვას, რომ უეცრად ვიღაც უცნობი სასიხარულო ამბავს ატყობინებს: მუშებმა ქვეყანას ნათელი დღე გაუთენეს, ხალხმა ყველა თავის ჭეარვალი ძირს დაცაო. მწყემსი ალსდგა და განკაცდა; იგი ახლა ლაღად გასცქერის ქვეყანას და მისი მტკიცე ნაბიჯები მთებსაც კი ესმით. და ვის გულში, თუ არა ამ გადარჩენილი ადამიანისა და მისი მომღერლის გულში, შეეძლო აღეგზნო სიხარულისა და ბედნიერების დიდი გრძნობა ქვეყნის რევოლუციურ განახლებას. და ვის, თუ არა გადარჩენილ ადამიანს, გადარჩენილ ხალხს, შეუძლია უყვარდეს გადამრჩენელი... ეს სიხარული, ეს სიყვარული ძლიერად გამოხატა პოეტმა პარტიისადმი ჰიმღვნილ მრავალ ლექსში. მზე ანათებს ცას და მიწას, მაგრამ პარტია ბევრჯერ უფრო ნათელია, რადგან მისი სხივები გულებს აციკროვნებსო.

დიმიტრი გულიას პოეზიის ლირიკული გმირი სწორედ იმ გადარჩენილი ადამიანის გრძნობებისა და აზრების გამომხატველია, რომელიც ახლა ლაღად მიაბიჯებს და ღადღადა ფერებს ეტანება თავისი სიხარულის გასამყღავნებლად. იგი განუზომლად ბედნიერია ადამიანთა და ხალხთა მეგობრობით. ეს მეგობრობა ეხატება მას ცხოვრების ჰარმონიულობისაკენ ადამიანთა მარადიული სწრაფვის განხორ-

ციელების დიდ დასაწყისად. ადამიანთა სულიერი მასშტაბების გაფართოებად. მეტად ვიწრო, ღარიბი და პირქუში იყო წინათ სამყარო იმ ადამიანისა, ვინც გათიშულობისა და მტრობის ატმოსფეროში ცხოვრობდა. თვით საახალწლო მილოცვაც კი მის წვრილმან ეგოისტურ ინტერესებს ვერ სცილდებოდა, „თითქოს მისი ღობის იქით სულ სხვა ქვეყანა იწყებოდა". და რა კარგია, რომ მთისა და ბარის ადამიანები, რომელთა წინაპრები „მტრობას და დავას სისხლის აღებით აგვირგვინებდნენ", ახლა იმაზე დავობენ „ვინ ვის დაასწროს დახმარების ხელის მიცემა"...

სტუმართმოყვრული ღიმილი დიმიტრი გულიას პოეტური პალიტრის ერთ-ერთი მიმზიდველი საღებავია. ბევრი აღფრთოვანებული სტრიქონი მიუძღვნა პოეტმა საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის — თავისი მშობლიური მხარის, მშობლიური ქალაქის გარდაქმნასა და აღორძინებას, საბჭოთა ადამიანის ახალ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, ბუნებისადმი, შრომისადმი. პოეტს ახსოვდა, გავერანებისა და უდაბურების რა მტანჯველ გრძნობას ბადებდა ოდესღაც საფლობი ჭაობები მშობლიური ქალაქის — სოხუმის ფარგლებში, რომლებშიაც კამეჩებიც კი იხრჩობოდნენ... და პოეტი ხარობდა კარგი პოეტური სიხარულით, გადამდები სიხარულით, როცა ამ საფლობების ადგილას ხედავდა მრავალფეროვან ყვავილთა ლაშქარს.

დიმიტრი გულიას ყოველი პოეტური სიტყვის, ყოველი მოთხრობისა და ყოველი ნარკვევის უკან გრძნობთ დიდი ბიოგრაფიის ადამიანს, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „აფხაზეთთან ერთად ვიდექი მე ახალი საუკუნის აკვანთან, აფხაზეთთან ერთად ვადიდებდი ბრძენ კაცს — დიდ ლენინს".

პოეტის საკუთარ მემკვიდრეობას თუ მივუმატებთ იმას, რომ მან აფხაზურ ენაზე თარგმნა რუსული და ქართული და კლასიკური ლიტერატურის ისეთი უჭკნობი ძეგლები, როგორიცაა „ამბავი იგორის ლაშქრობისა", პუშკინის ლექსები, შოთას „ვეფხისტყაოსანი", აკაკის „გამზრდელი" და მრავალი სხვა, ნათელი გახდება ის დიდი და წარუშლელი ამაგი, რომელიც დასდო დიმიტრი გულიამ იმ ლიტერატურას, რომლის პირველი საფუძველის ჩამყრელი თვითონვე იყო.

ასეთი სახელები არ კვდებიან!

ეცირე სიტყვა დიდ მწერალზე

(მ. ა. შოლოხოვის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულების გამო)

იგი ძლიერ უყვართ საქართველოში. ქართველი მეჩაიე ქალები ძნელად თუ დაივიწყებენ მის იმ მამაკაცურ-ალერსიან და ეშმაკურ ღიმილს, რაც მან ჩააქსოვა ამ ქალებისადმი მიმართულ წერილში. ჩემისთანა მკითხველებს კი, გარდა მისი უდიდესი ტალანტისა, ისიც ახარებთ, რომ იგი გატაცებული მონაღირეცაა.

...ამ უბრალო ადამიანურ გატაცებას თავისი მომხიბვლელი სილამაზე აქვს დიდი მწერლის ცხოვრებაშიც. ნეტავ. მარჯვე ნსროლელია? არა, ალბათ ხშირად აცდენს მიზანს! მეპატიოს ყოველივე მონადირისათვის ესოდენ საწყენი ვარაუდი, მაგრამ ამას ხომ თვით მწერალი მაფიქრებინებს. აღქმის იმ უდიდესი ძალის პირობებში, რაც მას საშუალებას აძლევს თავის სულში დააგროვოს გარემომცველი სამყაროს მთელი სილამაზე და დრამატიზმი, მას ალბათ ი'მ-ვიათად აქვს მიზანში ამოღების ცივი გაანგარიშების წუთები!.... თუმცა, ვინ რა იცის, რამდენი ამოუცნობი საიდუმლოება იმალება დიდი მხატვრის ბუნებაში.

უეჭველია, მხოლოდ ერთი რამ — მისი მხატვრული სიტყვის უცილობელი სიზუსტე და სიმარჯვე, რადგან ამ სიტყვის უდიდესი ზემოქმედების ძალას თვითონვე ჩვენ ვგრძნობთ. შოლოხოვის სიტყვა მართლაც დიდად გვაღელვებს, გვაღელვებს მისი ეპიკური ძალაც. დრამატული ძალაც და ლირიკული ძალაც.

მით, რომ შექმნა თანამედროვე მსოფლიო მხატვრული აზრის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება — საბჭოთა ლიტერატურის მშვენება—შესანიშნავი ეპოსი „წყნარი დონი" და დიდებული მხატვრული ტილო — „გატეხილი ყამირი", შოლოხოვმა გადადგა ახალი გიგანტური ნაბიჯი სამყაროს ესთეტიკური ათვისების დარგში.

ეს ნაბიჯი, თავის მხრივ, მოწმობს იმას, რომ კაცობრიობის ისტორიის თვით ახალი ერა, რაც დიდი ოქტომბრით დაიწყო, შეიცავს თავისთავში ახალ უდიდეს მხატვრულ მიღწევათა შესაძლებლობას. შოლოხოვის შემოქმედება რევოლუციური ეპოქის მთელი მხატვრული აღმოჩენაა.

ვფიქრობ, შოლოხოვის უღრმესად თვითმყობადი ტალანტის

ძთავარი ძალა, მთავარი დერეფა — ეს არის სიყვარული. უდიდესი, შეუმუსრავი სიყვარული ღვიძლი ხალხისადმი, ღვიძლი მიწისადმი, ღვიძლი ადამიანისადმი, ესე იგი, რევოლუციის ადამიანისადმი. სწორედ ეს სიყვარული შთააგონებს და ეხმარება მას შექმნას დიადი და მშვენიერი ქმნილებანი. ეს სიყვარული მოჩანს ყველაფერში. რაც კი მას შეექმნია. მოჩანს მისი შემოქმედებითი აზრის, გრძნობისა და სტილის ყოველ მიმოხვრაში. გავიხსენოთ თუნდაც მისი იშვიათი, ძლიერ იშვიათი, მაგრამ უდიდესი ემოციური და აზრობრივი შინაარსით აღსავსე ლირიკული წიაღსვლები. მე მათ ლირიკულ წიაღსვლებს კი არა. ვაქაცური გულის გახსნას ვუწოდებდი. აი, კითხულობთ „წყნარ დონს“ და თქვენს წინ იშლება ხალხის ცხოვრების დიდებული ეპიკური სურათი. მღელვარებით აპყრობთ გულისყურს მრავალრიცხოვანი გმირის ბედისტრიალს, დიდ ადამიანურ ვნებათა ღელვას, ხედავთ დონის ტრამალების ყველა ფერს, ყნოსავთ ამ ტრამალების ყველა სურნელებას. ერთი სიტყვით, — თქვენს წინაშეა ნამდვილი დიდი ცხოვრება, ვიღაცის სასწაულმოქმედი ხელით გადატანილი წიგნში. და თითქმის ვერსად ვერ ამჩნევთ თვით ავტორის, თვით შემოქმედის აქ ყოფნას, მის ჩარევას მოვლენათა განვითარებაში. მაგრამ აი, ეპიკური თხრობის მტკიცე კაშხალს სადღაც ეხეთქება და არღვევს დიდი გრძნობის ძალოვანი ნაკადი, რაც აქამდე თურმე გუბდებოდა, იზრდებოდა, შინაგანად ზვირთდებოდა; მოზღვავებული გრძნობა ბადებს აღსარებას: «Степь родимая! Горький ветер, оседающий на гривах косячьных маток и жеребцов. На сухом конском храпе от ветра солоно, и конь, вдыхая горько-селеный запах, жует шелковистыми губами и ржет, чувствуя на них привкус ветра и солнца. Родимая степь под низким донским небом! Вилюжины балок, суходолев, красно-глинистых яров, ковыльный простор с затравевшим гнездоватым следом конского копыта, курганы в мудром молчании, берегущие зарытую казачью славу... Низко кланяюсь и по-сыновьи целую твою пресную землью, донская, казачьей, нержавеющей кровью политая степь!»

და თქვენ არა მარტო გრძნობთ შოლოხოვისეული სიყვარულის მთელ მწველ ძალას და მისი გამოსახვის შოლოხოვისეული ხელოვნების ძალას, არამედ ნათლადაც ხედავთ, რომ მწერლის შესანიშნავ მხატვრულ სახეთა მთელი წყება გამოდნობილი და გამოწრთობილია ამ დიადი სიყვარულის ცეცხლში.

გულის გახსნის ამ თვისებაში უეჭველად არის რაღაც მემკვიდრეობითი დიდი რუსული კლასიკური ლიტერატურის შემოქმედე-

ბითი ტრადიციისაგან, კერძოდ, გოგოლის ლირიკულ აღსარებათა-გან. მაგრამ საერთოდ შოლოხოვის იშვიათი ლირიკული წიაღსვლე-ბი განუმეორებლად შოლოხოვისებურია.

არანაკლები ძალისაა, მაგალითად, გულის გაბსნა სულ ერთ პატა-რა აბზაცში „გატეხილი ყამირიდან". მთელი რომანის მანძილზე მწერალი თითქოს არსად არ ამჟღავნებს თავისთავს და მხოლოდ რომანის დასასრულში დავიდოვის სიკვდილის შემდეგ, იგი გვიმ-ხელს თავის გრძნობას;

«...Вот и отпели донские соловьи дорогим моему сердцу Давыдову и Нагульному, отщепетали им поспевающая пшеница, отзвенела по камням безымянная речка, текущая откуда-то с верховьев Гремячего буерака. Вот и все!»

რაოდენი სიყვარულია თავისი გმირებისადმი — რევოლუციის ადამიანებისადმი, რაოდენი ვაჟკაცური სევდაა ამ სიტყვებში. ეს სი-ტყვები თითქოს ახალ გამაცოცხლებელ ნათელს ჰფენენ მთელ რო-მანს, მის გმირებს აქცევენ არა გამოგონილ, არამედ ნამდვილ ცო-ცხალ ადამიანებად. თითქოს ზღვარს შლიან ხელოვნებასა და ცხო-ვრებას შორის. ეს კი, ჩემი აზრით, არის მხატვრული ოსტატობის უმაღლესი კლასიკ — ზუსტი სიტყვის მაგიური ძალა.

სხვათა შორის, მწერლის გამხელილი შეხვედრა თავის გმირებ-თან უპრეცედენტო არ არის საერთოდ ლიტერატურაში.

გაიხსენეთ, მაგალითად, სახელოვანი ქართველი მწერლის კონ-სტანტინე გამსახურდიას შეხვედრა თავის გმირთან „მთვარის მო-ტაცებაში", აგრეთვე „ვაზის ყვავილობაშიც".

დიდი გერმანელი მწერალიც — თომას მანიც თავისი ცნობილი რომანის „ჯადოსნური მთის" ფინალში გულისტკივილით ეთხოვება თავის გმირს — ჰანს კასტორპს.

მაგრამ სხვადასხვაა ამ შეხვედრათა შინაარსი. თუ მანისათვის, მაგალითად, იგი ნაწარმოების მხატვრული კონცეპციის წინასწარ გააზრებული ლოგიკური დასკვნაა, შოლოხოვისათვის — გრძნობათა ძლიერი მოზღვავებაა.

შოლოხოვი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა კრებულს ეკუთვნის. 1965 წლის მაისში მას 60 წელი შეუსრულდა, მრავალჟამიერს უთვლის დიდ რუს მწერალს ქართველი მკითხველიც, ვისთვისაც ძვირფასია ჰეშმარიტი დიდი ხელოვნება.

დიდი მხატვარი ჰუმანისტი

(ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავის გამო)

თავის პატარა უბის წიგნაკში ზოია კოსმოდემიანსკაიას ჩაწერილი ჰქონდა ა. პ. ჩეხოვის სიტყვები: „ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: სახეც, ტანსაცმელიც, სულიც, აზრებიც“. თვითონ ზოია — ეს უმშვენიერესი და უმამაცესი რუსი საბჭოთა ქალიშვილი — ამ იდეალის განსახიერებაა; და არა მარტო ზოია. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სინამდვილე ის ნოყიერი ნიადაგია, რომელზედაც იზრდებიან ამაღლებული იდეალებისა და სპეტაკი მორალური თვისებების ადამიანები.

რუსული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის ჩეხოვის გულში უღრმეს პროტესტსა და აღშფოთებას იწვევდა სწორედ იმის შეგნება, რომ ფაქიზი სულის და მაღალი მისწრაფებების ადამიანებს, რომლებსაც იგი ხედავდა თავის ირგვლივ და რომლებსაც ასე სიყვარულით ხატავდა, სულს უხუთავდა თავიანთი დროის სოციალური სინამდვილე.

მთელი თავისი ულმობელი რეალიზმით, თავისი დიდი ნიჭის მთელი ძალით, ჩეხოვმა ამხილა გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ბურჟუაზიულ-ჩინოვნიკური საზოგადოების უკეთნებელი წყლულები და მანკიერებანი, თვითმპყრობელური რეჟიმის მთელი სიდამპლე.

„როდესაც ანტონ ჩეხოვის მოთხრობებს კითხულობთ, — წერს ა. მ. გორკი. — თავს სწორედ ისე გრძნობთ, როგორც გვიანი შემოდგომის ნაღვლიან დღეს, როდესაც გამჭვირვალე ჰაერში მკაფიოდ არის გამოსახული შიშველი ხეები, ვიწრო სახლები. უფერული ადამიანები... ავტორის გონება, სწორედ როგორც შემოდგომის მზე, მკაცრი სიცხადით აშუქებს გაფუჭებულ გზებს, მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებს, ვიწრო და ჭუჭყიან სახლებს, რომლებშიაც მოწყენილობისა და მცონარობისაგან იგუდებიან პატარა საცოდავი ადამიანები. ისინი თავიანთ სახლებს ავსებენ გაუაზრებელი, ნახევრად მთვლემარე ფუსფუსით...

უბადრუკი ადამიანების ამ უფერული ბრბოს ახლო გაიარა დიდმა, ჭკვიანმა, ყველაფრისადმი დაკვირვებულმა კაცმა. მან შეხედა თავისი ქვეყნის ამ მოსაწყენ მცხოვრებთ და ნაღვლიანი ღიმილით, ნაზი, მაგრამ ღრმა სინანულის გამომხატველი კილოთი, ლამაზი გულწრფელი ხმით უთხრა მათ:

— საძაგლად ცხოვრობთ თქვენ, ბატონებო!"

ჩეხოვი ხედავდა, თუ როგორ სრესდა, აჩლუნგებდა და აქვეითებდა ადამიანებს უკულმართი, უსამართლო სოციალური და პოლიტიკური სისტემა. „საჭიროა, რომ საზოგადოებამ შეიცნოს თავისთავი და შეძრწუნდეს" — ამბობს ჩეხოვის მოთხრობის „პალატა №6-"ის ერთ-ერთი პერსონაჟი. და მართლაც მწერალმა საამკარაოზე გამოიტანა თავისი დროის ჩინოვნიკურ-მეშჩანური საზოგადოების მთელი სიდუხჭირე და სიბინძურე, გასაოცარი სიმართლითა და სიზუსტით დახატა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები, შემაძრწუნებელი ტიპები. ის ბნელი, ჭუჭყიანი და შემაზრზენი საავადმყოფო, რომელიც აღწერილია „პალატა №6"-ში. სიმბოლურად ასახიერებს იმდროინდელ სოციალ-პოლიტიკურ რეჟიმს. ირგვლივ გამეფებული იყო სულშემხუთავი ატმოსფერო, ჩინოვნიკურ-მეშჩანურ საზოგადოებას არა ჰქონდა მაღალი ინტერესები. თავის უფერულ და უაზრო ცხოვრებას იგი ავსებდა ძალადობით. უხეში გახრწნილებით. ფარისეველობით: უნამუსო ადამიანები მაძღრები და გალაღებულნი იყვნენ. პატიოსანი ადამიანები კი შიმშილობდნენ. ამ სოციალური ქაოსის—განუსაზღვრელი ძალადობისა და თვითნებობის მწვავე შეგრძნება ადვილად ბადებდა სასოწარკვეთილებისა და მუდმივი შიშის გრძნობას მეტისმეტად მგრძნობიარე, მოაზროვნე. მაგრამ სუსტი ავებულების ივანე დიმიტრის-ძე გრომოვში. „განა სასაცილო არ არის, — ფიქრობდა იგი, — სამართლიანობის იმედი იქონიოთ იმ დროს, როდესაც საზოგადოება ყოველგვარ ძალადობას ხვდება, როგორც გონივრულ და მიზანშეწონილ აუცილებლობას. ხოლო სათნოების ყოველი აქტი, მაგალითად, გამამართლებელი განაჩენი, იწვევს შურისძიების დაუკმაყოფილებელი გრძნობის აბობოქრებას?", დევნის აკვიატებულ შიშს იგი მიჰყავს შეშლილების საშინელ თავშესაფარში — პალატა №6-ში. აქ კი კიდევ უფრო დიდი ტრაგედია გათამაშდება. საავადმყოფოს ექიმი ანდრეი ეფიმეს-ძე რაგინი „თავისებურად შესანიშნავი ადამიანია". აღსავსეა კეთილშობილი ჰუმანური მისწრაფებებით, გონებისა და ჭეშმარიტების უღრმესი რწმენით, მას ეზიზღება ყოველგვარი უსამართლობა. უკულტურობა, უმეცრება, „დიდად უყვარს გონება და პატიოსნება, მაგრამ იმისათვის, რომ თავის ახლოს მოაწყოს გონივრული

და პატიოსანი ცხოვრება, მას არ ჰყოფნის ხასიათი და რწმენა თავისი უფლებისა".

რასაკვირველია იგი სრულიად უძლური აღმოჩნდა შეეცვალა რაიმე საავადმყოფოს საშინელ პირობებში, რაშიაც ტიპიურად მოჩანდა იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებანი. მოხდა პირიქით, სწორედ ამ წყობილების შინაგანმა სტიქიამ თვითონ ექიმი ანდრეი ეფიმეს-ძე რაგინი მიიყვანა საშინელ კატასტროფამდე: გონებაჩლუნგმა და უხამსმა ადამიანებმა ეს სულიერად ჯანსაღი, გონებაგახსნილი და განათლებული ადამიანი მიიჩნიეს შეშლილად, შეაგდეს პალატი № 6 - ში, სცემეს, აწამეს და დაღუპეს.

ამრიგად. ჩეხოვი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილება ახშობდა, სპობდა ადამიანში ყოველივე კეთილშობილს, ამაღლებულს, გონივრულს, ხრწნიდა, აკნინებდა და აწამებდა ადამიანებს. მეფის ყაზარმამ დააჩლუნგა და შემოზღუდა უნტერ პრიშიბეევის გონება, პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის ნაყოფია გაუვალი კონსერვატორი და ინსტრუქციების ყურმოჭრილი მონა ბელიკოვი, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის იერარქიული წყობით არის გასრესილი საცოდავი ეკზეკუტორი ივანე დიმიტრის-ძე ჩერვიაკოვი, რომელსაც ცხვირის ერთი დაცემინება სიცოცხლედ დაუჯდა. იმავე იერარქიული წყობის აღზრდილია საზიზღარი ქამელეონი — პოლიციის ზედამხედველი ოჩუმელოვი. მდაბალი ინსტინქტებით შეპყრობილ და ზნედაცემულ ადამიანთა ამგვარი ტიპებით და ტიპიური მოვლენებით გამოხატა ჩეხოვმა უმეცრებისა და უხამსობის დამღუპველი ძალა.

შეიძლება ითქვას, ჩინოვნიკურ-მეშჩანური ფორმაციის ადამიანის დაცემისა და დაქვეითების თემამ ყველაზე მძაფრი გამოხატულება ჰპოვა სწორედ ჩეხოვის შემოქმედებაში. ჩეხოვს ეზიზღება სწორედ ამ ცხოველური საწყისების — ეგოიზმისა და სხვა მდაბალი ვნებათაღელვის გაბატონება; იგი ისწრაფვის მაღალი სულიერი ინტერესებისაკენ, გონებრივი ამაღლებისაკენ.

მასწავლებელი ნიკიტინი „სიტყვიერების მასწავლებლიდან" მალე იგრძნობს ზიზღს თავისი პირადი მეშჩანურ-იდეალური ოჯახური ცხოვრებისადმი. იგი ეძებს უფრო ამაღლებული, ჰუმანური ინტერესების, უფრო ღრმა გონებრივი ცხოვრების სამყაროს. „მას მოეწადინა რაღაც ისეთი რამ, რაც თავდავიწყებამდე გაიტაცებდა, რაც ჩაუნერგავდა გულგრილობას პირადი ბედნიერებისადმი". იგი თავის დღიურში წერს: „ჩემს ირგვლივ სუფევს უხამსობა და უხამსობა. მოსაწყენი ადამიანები, არარა ადამიანები, არაჟანიანი ქალები, რძის სავსე ქოთნები, ხოჭოები, სულელი ქალები... არა არის რა

უხამსობაზე უფრო საშინელი, შეურაცხმყოფელი, მოსაწყენი. უნდა გავიქცე აქედან, უნდა გავიქცე დღესვე, თორემ ჭკუიდან შევირყევი“.

მაგრამ მარტო უარყოფითა და მწვავე კრიტიკით არ განსაზღვრულა მწერალი. ძველის უარყოფასთან ერთად იგი ამკვიდრებდა მაღალ ჰუმანურ იდეალს, გონებისა და ჰეშმარიტების რწმენას. ამ დიდ მორალურ ძალასა და კეთილშობილებას ჩეხოვი ხალხის წიაღში ხედავდა.

ჩეხოვს მტკიცედ სწამდა, რომ ადამიანებში მუდამ ცოცხლობს სიმართლისა და სილამაზის დიდი გრძნობა, როგორც უმეცრებისა და უხამსობის დაუძინებელი მტერი. ამ ორი ძალის პოლარული დაპირისპირების იდეა წითელი ზოლივით გასდევს მწერლის მთელ შემოქმედებას. ადამიანის ცხოვრებას მხოლოდ ის აძლევს მაღალ აზრსა და პროგრესული განვითარების ძალას, რომ ადამიანური სიმართლისა და სილამაზის გრძნობა მუდამ იჭრება ცხოვრებაში და აძლევს მას მიმართულებას. მკაფიოდ გამოხატა ეს იდეა მწერალმა თავის მოთხრობაში — „სტუდენტში“. სასულიერო აკადემიის სტუდენტი, 22 წლის ივანე ველიკოპოლსკი, დიაკვნის შვილი, საღამო ჟამს ბრუნდება ნადირობიდან. გარემო როგორღაც განსაკუთრებით პირქუშია. სტუდენტს ძლიერ შია და სცივა. იგი ფიქრობს, რომ სწორედ ასეთივე ქარი ჰქროდა რიურიკის დროსაც, ივანე მრისხანეს დროსაც, პეტრეს დროსაც, — და რომ მათ დროსაც იყო სწორედ ასეთივე საშინელი სიღარიბე, შიმშილი, ჩალის ასეთივე დაგლეჯილი სახურავები, უმეცრება. კაეშანი, ასეთივე უდაბნო ირგვლივ. სიბნელე, ჩაგვრის გრძნობა“... მაგრამ ამ შავნაღვლიან ფიქრებს ფანტავს მოვლენათა მთელი შემდგომი განვითარება. ის ცხოველმყოფელი ოპტიმიზმი, რომელიც შეჭივით იბადება გმირის სულში.

სტუდენტი მიდის ცეცხლთან, რომელიც ანთია ორი გლეხი ქალის — ქვრივი დედა-შვილის — ვასილისას და ლუკერიას ბოსტანში. ცეცხლთან თბობა მას აგონებს პეტრე მოციქულის ლეგენდას სახარებიდან და გლეხის ქალებს უყვება, თუ როგორ უარყო პეტრემ სამჯერ მწვალებელთა მიერ შეპყრობილი ქრისტე და შემდეგ როგორ მოინანია მან ეს შეცდომა. ვასილისა ატირდა, ლუკერიამ კი ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ თითქოს რაღაც საშინელ ტკივილს ებრძვისო. სტუდენტმა გაიფიქრა: „თუ ვასილისა ატირდა, ხოლო მისი ქალიშვილი შეშფოთდა, მაშასადამე, ცხადია, იმას... რაც ცხრამეტი საუკუნის წინათ მოხდა, კავშირი აქვს აწმყოსთან — ორივე ქალთან და, ალბათ, ამ პარტახ სოფელთან, თვითონ ჩემთან, ყველა ადამიანთან“. სტუდენტი სიხარულმა შეიპყრო, მან აღმოაჩინა სიმართლისა და სილამაზის უშრეტი წყარო. „წარსული, — ფიქრო-

ბდა იგი. — დაკავშირებულია აწმყოსთან ერთიმეორისაგან გამომდინარე მოვლენათა ჯაჭვით“ და მას ეჩვენებოდა, რომ სწორედ აი ახლა ნახა ეს ჯაჭვი: „შეეხო თუ არა ჯაჭვის ერთ ბოლოს, შეტოკდა მეორე ბოლო“.

სტუდენტი გაჰყურებდა თავის სოფელს და ფიქრობდა „იმაზე, რომ სიმართლე და სილამაზე, რაც წარმართავდა ადამიანთა ცხოვრებას იქ, ბაღში და მღვდელმთავრის ეზოში, განუწყვეტლივ გრძელდებოდა დღემდე და ალბათ, ყოველთვის წარმოადგენდა მთავარს ადამიანთა ცხოვრებაში და საერთოდ დედამიწაზე, და ნელ-ნელა მას დაეუფლა ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ძლიერების გრძნობა და გამოუთქმელად ტკბილი მოლოდინი ბედნიერებისა. უცნობი იდუმალი ბედნიერებისა — და ცხოვრება მას ეჩვენებოდა წარმტაცი მშვენიერი და აღსავსე მაღალი აზრით“.

ცხოვრების ეს ფილოსოფია პროგრესის, ჰუმანიზმის, გონებისა და ჭეშმარიტების ნიადაგზე დგას.

ფასდაუდებელია ჩეხოვის მემკვიდრეობა მხატრული ოსტატობის მხრივაც. მისი სტილი უაღრესად ნათელი, გამჭვირვალე, უბრალო, ზუსტი და ლაკონიურია. იგი ფსიქოლოგიურ-ლირიკული ნოველისა და მოკლე ჰუმორისტული მოთხრობის უბადლო ოსტატია.

ჩეხოვი გამოსახვის ობიექტად არ ირჩევს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ მოვლენებს, ფართო სოციალურ ფენებს. იგი უმთავრესად პატარა მოვლენებს, ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს გამოხატავს. მაგრამ მას მხატვრული განზოგადოების საოცარი ძალით ეხერხება ამ პატარა ამბებსა და მცირე ფორმებში ჩასტიოს დიდი ადამიანური გრძნობა, იმდროინდელი სოციალური უკუღმართობის მწვავე კრიტიკა, მაღალი და მოწინავე იდეა.

ავიღოთ ჩეხოვის წერის მანერისათვის მეტად დამახასიათებელი პატარა მოთხრობა „ვანკა“. ცხრა წლის ბიჭი, ობოლი ვანკა ჟუკოვი, რომელიც სამი თვის წინათ შეგირდად მიაბარეს მეჩექმეს, ახალწლის წინაღამეს არ იძინებს. იგი სწერს წერილს თავის ბაბუას, რომელშიაც აღწერს მთელ თავის მწუხარებას, თუ როგორ უღმერთოდ სცემენ მას წარამარა, როგორ ტანჯავენ, როგორ აშიმშილებენ, არა მყავს მე არც მამა, არც დედიკო, მხოლოდ შენ ერთი დამრჩი ამ ქვეყნად, წამიყვანე აქედან, თორემ მოვკვდებიო,-— ეეედრება იგი წერილში ბაბუას. წერილი რომ მოათავა, ოთხად გაკეცა, კონვერტში ჩასდო და დააწერა მისამართი: „სოფელში ბაბუას. კონსტანტინ მაკარიჩს“, ჩაუშვა საფოსტო ყუთში და ტკბილი იმედით მაგრად დაიძინა.

რასაკვირველია, ასეთი მისამართით ბაბუა წერილს ვერ მიიღებდა. ბიჭის მწუხარება და გულისტკივილი ქვეყნის უპასუხო, უმეტყველო,

ცივ გულგრილობაში გადავარდა. უკვე ამ შეუსაბამობაში, მოქმედებისა და მიზნის ამ მწვავე გათიშვაში არის დიდი ტრაგიზმი. საერთოდ მთელ ამ პატარა ამბავში ღრმა აზრი და მწერლის ღრმა იდეაა გამოხატული.

ჩეხოვის ვერცერთ ნაწარმოებში ვერ იპოვით ვერცერთ ზედმეტ ელემენტს, ზედმეტ სიტყვას. იქ ყველაფერი აუცილებელია და ყველაფერი ემსახურება ხასიათების გახსნას, ნაწარმოების იდეის გამოხატვას. ჩეხოვის ხასიათები რელიეფურად გამოკვეთილი, მკაფიო და განუმეორებლად ინდივიდუალიზებული ხასიათებია. მწერალი მეტწილად თავის გმირს იპერს ცხოვრების ერთ მომენტში, ან დროისა და მოქმედების მეტად მცირე მონაკვეთზე ისეთ ვითარებაში, რომელშიაც ყველაზე მკაფიოდ მჟღავნდება მისი ხასიათი.

ჩეხოვის მთელი მაღალიდეური და მაღალმხატვრული შემოქმედების, მისი კრიტიკისა და მისი მტკიცების მთელი ძალა სწორედ ადამიანობის მაღალი იდეალების დამკვიდრების საქმეს ემსახურება. ჩეხოვი თავის უკვდავი ნაწარმოებებით ახლაც უახლოეს მონაწილეობას იღებს ისეთი მაღალი ტიპის ადამიანური არსების, ისეთი მთლიანი და კრისტალური ხასიათების ფორმირებაში, როგორიც იყო მარად დაუვიწყარი ზოია კოსმოდემიანსკაია და როგორიც არის მრავალზე მრავალი, მისებრ შესანიშნავი ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი.

ჩეხოვის შემოქმედება შესულია კაცობრიობის დიდი კულტურული მემკვიდრეობის ოქროს ფონდში!

1934

დიდი ადამიანთმცოდნე

I

უმამაცესმა თავდავიწყებით შეიყვარა ულამაზესი, მაგრამ ამაყმა, ცბიერმა და თავნება სილამაზემ საპასუხო სიყვარულისათვის დიდი მსხვერპლი მოითხოვა: ლალსა, თავისუფალსა და მამაცს საჯაროდ უნდა დაეკოცნა ხელ-ფეხი ლამაზისათვის, ქედი მოეხარა მის წინაშე, დაჰმონებოდა და დამორჩილებოდა მას. შედრკა მამაცი, კიდევ უფრო გაზვიადდა ლამაზი. და იმ წუთს, როდესაც თითქოს სიყვარულის ეს მკაცრი პირობა უნდა აღსრულებულიყო, უმამაცესმა ულამაზესს მკერდში დანა ჩასცა. გულგანგმირულმა მაინც მოასწრო მკერდიდან დანა ამოეგლიჯა, განზე გადაეგდო, თავისი შავი თმის ნაწნავით ჭრილობა დაეფარა, გაეღიმა და გარკვევით ეთქვა: „მშვიდობით, ლოიკო! მე ვიცოდი, რომ შენ ამას მოიმოქმედებდი“. იცოდა, რადგან მას — სახემშვენიერ ბოშა ქალს — რადას შეეძლო შეეყვარებინა მხოლოდ მამაცი ვაჟკაცი — ბოშა ლოიკო ზაბორა. ხოლო თუ ლოიკო თავისუფლებას დათმობდა, სილამაზის მონად იქცეოდა, მაშინ იგი მამაციც აღარ იქნებოდა და რადაც მას ვეღარ შეიყვარებდა. ალბათ ლოიკომაც იცოდა ეს, ამიტომაც მხოლოდ მკვდარი სატრფოს ხელ-ფეხის დაკოცნა დააპირა, მაგრამ მასაც ამ დროს ზურგში მახვილი ჩასცა რადას მამამ. ასე შეიწირა უმამაცესიც და ულამაზესიც ადამიანის თავისუფლებისა და ადამიანის ვნებათა გამოუვალმა, გადაუწყვეტელმა წინააღმდეგობამ. ეს ამბავი იმიტომ გაიხსენა ხანდაზმულმა ბოშამ — მაკარ ჩუდრამ, რომ გაემაგრებინა თავისი რწმენა შეუზღუდავი პიროვნული თავისუფლებისა და სიმარტოვისა. „მაშ, შენ ეხეტები ქვეყნად? ეს კარგია! — ეუბნება იგი თანამოსაუბრე ავტორს, — შესანიშნავი ხვედრი აგირჩევია, შევარდენო, ასეც უნდა: იარე და უცქირე, როცა ცქერით გულს იჯერებ, დაწექი და მოკვდი — ეს არის და ეს... სასაცილონია ისინი, ეს შენი ადამიანები. ერთად შეჭუჩებულან და ერთმანეთს ჰყლეტენ, დედამიწაზე კი, შეხე, რაოდენი ადგილია... აბა. შევარდენო, გინდა ერთი ამბავი გიამბო? შენ კი დაიხსომე და თუ დაიხსომებ, — შგნს დღეში თავისუფალ ფრინველად იფრენ“.

და მაკარ ჩუდრა ჰყვება სწორედ რადასა და ლოიკოს თავგადასავალს. იგი გატაცებულია ამ თავგადასავლის შინაგანი აზრით, დაე, თუნდაც საკმაოდ გულუბრყვილო, მაგრამ მაინც ცხოველი საქვაკუთხედო აზრით, ავტორი კი თავის მხრივ გატაცებულია ამ პრიმიტულ-რომანტიკული ადამიანების მარტივი, მაგრამ ბობოქარი შინაგანი სამყაროთი, მათი მკაცრი რომანტიკით. შემთხვევით როდი წერს იგი მათ პორტრეტებს და გარემოს სურათებს მოჭარბებული ღადღადა საღებავებით.

იგულისხმება მაქსიმ გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა", რომელიც 1892 წელს დაიწერა თბილისში და იმავე წლის 12 სექტემბერს დაიბეჭდა თბილისურ გაზეთ „კავკაზში".

თავისი უშუალო ნიშნებით და ხელშესახები ფაქტურით, როგორც ვხედავთ, მოთხრობას თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს დაწერის ადგილსა და გარემოსთან, მაგრამ, როგორც ცნობილია. თვითონ გორკის აღიარებით, საქართველოს თვალწარმტაცმა ბუნებამ და ამ ქვეყნის ხალხის ლბილმა, რომანტიკულმა ხასიათმა მისცა ერთგვარი პირველადი ბიძგი მის შემოქმედებას, ხელი შეუწყო იმას, რომ ყოფილი მოხეტიალე კაცი გამხდარიყო დიდი რუსი მწერალი. ვინ იცის, რა იდუმალ ხვეულებად ჩაექსოვა მწერლის შემოქმედებას, კერძოდ მის პირველ მოთხრობას, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი. იქნებ საქართველოს მცხუნვარე მზის, მისი მთა-ბარის ნაირფერებისა და მისი ხალხის თავისებური ტემპერამენტის საგრძნობი წილიც არის იმ ელვარე ფერადებში, რაც ასე ახასიათებს გორკის შემოქმედებას, განსაკუთრებით მის პირველ პერიოდში, და რაც მწერლისათვის ალბათ ქვეყნის სასიცოცხლო ძალების გამოღვიძებისაკენ ლტოლვის ესთეტიკურ უკუფენას წარმოადგენდა. უშუალოდ კი, როგორც ვიცით, საქართველოსა და ქართველი კაცის თემას გორკი შეეხო ზოგიერთ თავის ნაწარმოებში. მათ შორის ამჟამად სახელდახელო განმარტებისათვის მინდა გამოვყო „ჩემი თანამგზავრი" რომელშიაც, როგორც ვიცით, ერთი ქართველი კაცის ერთობ გროტესკული სახეა დახატული. ამ სახის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ მას არავითარი მიახლოებითი კავშირიც კი არა აქვს იმ ლბილ, რომანტიკულ ხასიათთან, რაც მწერალმა დაინახა ქართველ ხალხში. მაშასადამე, ცხადია, იგი შემთხვევითი და ცალკეული შთაბეჭდილების ნაყოფია. თანაც, როგორც ვიცით, „ჩემი თანამგზავრის" პერსონაჟი— შაქრო ქართველ თავადად ასაღებს თავს და მწერალს მის მიმართ უეჭველად ებადება ერთგვარი კლასობრივ-ტენდენციური დამოკიდებულება, რამაც ალბათ მას კიდევაც უკარნახა გროტესკული და გამუქებული საღებავები.

ეს სხვათა შორის.

მთავარი კი ის არის, რომ დიდი მწერლის შემოქმედების პირველი აკვანი თბილისში დაირწა.

მართალია, „მაკარ ჩუდრა“ არ მიეკუთვნება გორკის პირველ-ხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს, მაგრამ მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მწერლის მთელ შემოქმედებაში. ამ მოთხრობაში მკაფიოდ იჩინა თავი მწერლის უდიდესმა ფერმწერულმა ნიჭმაც და აქვე დაისახა მისი შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაც—ადამიანის შინაგანი თავისუფლების თემა. ადრეული გორკი ალბათ სადღაც უთანაგრძნობდა თავის მაკარ ჩუდრას, უთანაგრძნობდა თავის დაუოკებელ ლტოლვაში დიდი შინაგანი თავისუფლებისაკენ, ხიბლავდა იგი, როგორც თავისთავს დანდობილი ადამიანი, როგორც ძალაგამძლე და ჭირთამთმენი, როგორც სიცოცხლისა და ქვეყნიერების მოტრფიალე არსება. მაგრამ თუ თვით მოთხრობაში არ არის მკაფიოდ და ძალუმად უარყოფილი ჩუდრას ანარქიული ინდივიდუალიზმი, ყოველ შემთხვევაში, შემდეგში გორკიმ არაერთხელ უარყო, დაჰგმო და ამხილა იგი ცხოველი მხატვრული ძალით, როგორც ანტისოციალური და ანტიპროგრესული მოვლენა. ამავე დროს გორკისათვის ყოველთვის უცხო იყო ადამიანის სულიერი სამყაროს ყოველგვარი გამარტივება, მისი რთული შინაგანი კანონებისა და იმპულსების დაყვანა რაიმე მექანიკურ ერთეულებამდე და შუქისა და ჩრდილის უბრალო განაწილებამდე. შემთხვევით როდი უწოდა გორკიმ მწერლობას ადამიანთმცოდნეობა. დიახ, ყოველგვარ კოსმონავტიკაზე ადრე არსებობდა მწერლობა. როგორც ადამიანის სულის კოსმონავტიკა. ადამიანის სულის კოსმოსი კი ისევე უსასრულოა დროსა და სივრცეში, როგორც გარე კოსმოსი. და აქაც არანაკლებ რთული კანონები მოქმედებენ და არანაკლები საიდუმლოებანი, ვიდრე გარე კოსმოსში.

„მაკარ ჩუდრა“ პირველი გორკისეული განუმეორებელი გასვლა იყო ადამიანის სულის, ადამიანის პრობლემატიკის მომცრო ორბიტაზე. მაკარ ჩუდრათი დაიწყო გორკის ადრინდელი რომანტიკული გმირების მთელი სერია. ამ გმირების მარტივი, მაგრამ მონუმენტურად გამოკვეთილი ცხოველი ხასიათები, მათი ფერწერის რომანტიკულად ამაღლებული სტილი, ძალუმი ფერადები და მთელი მხატვრული მასალის ცხოველმყოფელობა — ყოველივე ეს იმთავითვე ადამიანის ძალთა ესთეტიკურ აპოლოგიად ეღერდა, „მაკარ ჩუდრაშივე“ გამოჩნდა გორკი, როგორც მგზნებარე მომღერალი ყოველივე ამაღლებულისა, ქმედითისა და გმირულისა ადამიანში. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის კვირაძალში გაისმა გორკის შთაგონებული სიტყვა

ადამიანისა და ადამიანის გონების სიდიადის შესახებ, ადამიანისა, ვინაც ნოწოდებულია იაროს სულ წინ, სულ მაღლა და „ყოველი თავისი ნაბიჯით შეამკოს ცხოვრება. ისე როგორც მზე ამკობს დედამიწას თავისი უხვი სხივებით". თავისი შემოქმედების პირველ პერიოდშივე თავის პროზაულ პოემაში — „ადამიანი" გორკიმ დასახა თავისი მთავარი თემა, განსაზღვრა თავისი შემოქმედების ფილოსოფიურ-ჰუმანისტური საფუძველი.

მართალია, გორკის ადრეული ნაწარმოებები ჭარბად იყო შეფერადებული რომანტიკული პათეტიკით, მათ გმირებს უეჭველად დაჰკრავდათ გამონაკლისობის, ბუნტარული სიმარტოვის იერი და თვით მწერლის მხატვრულ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობანი, მაგრამ მისი მთავარი გზა მაინც მტკიცედ მიემართებოდა ეპოქის დიდი სიმართლისაკენ, მომავალ რევოლუციურ გარდაქმნათა მაუწყებელ ქარიშხლებისაკენ, სინამდვილის ფართო რეალისტური სურათებისაკენ. მხატვრის ძლიერი ნიჭი, ვითარცა შუქის დიდი ნაკადი, ცხოვრების რთული გამოცანებისა და საკითხების წყვდიადიდან ჰკვეთდა სიმართლის ზოდებს, მრავალნაირი ხასიათების ცოცხალ სახეებს, სინამდვილის გრანდიოზულ სურათებს.

გორკი, როგორც ღრმა სოციალური პათოსის მწერალი, როგორც მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთების გამომხატველი მხატვარი, განსაკუთრებული მოვლენა იყო არა მარტო რუსულ, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. განსაკუთრებული იყო მისი ცხოვრების გზაც — უბრალო, თვითნასწავლი მოხეტიალე კაციდან მსოფლიო რეზონანსის მქონე მწერლამდე.

შეიძლება ითქვას, რომ გორკიმ განსაკუთრებული სიღრმით გამოხატა ადამიანისა და ადამიანობის ყველა მწვავე საკითხის სოციალური შინაარსი. გორკის სიდიადე იმაშიც მდგომარეობს, რომ მან მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე სრულიად, ღრმად, ყოველმხრივად და ახლებურად დაამუშავა შრომის თემა, შრომისა, როგორც მთელი საზოგადოების და ცალკეულ პიროვნებათა ნამდვილი ადამიანური სულიერი ძალების ერთადერთი წყაროსი. ეს თემა წითელ ზოლივით გასდევს გორკის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს. გორკი ღრმა მხატვრული ანალიზის ძალით გვიჩვენებს ადამიანის პიროვნების დაცემას ან ამაღლებას იმისდა მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაშია იგი შრომასა და მოქმედებასთან. შემოქმედებითი შრომისაგან მოწყვეტილი და პარაზიტიზმით შეპყრობილი ადამიანის პიროვნება ირღვევა, იშლება მწვავე შინაგანი წინააღმდეგობებით, იგი ჰკარგავს სულიერ სისავსესა და ჰარმონიას, კნინდება

და იფიტება... და პირიქით, მხოლოდ შემოქმედებითი შრომა ბადებს დიდ მთლიან ხასიათებს, ძლიერსა და ლამაზ პიროვნებებს.

გორკის ღრმად სწამდა ადამიანის ყოვლისშემცნობი გონების ძალა, სწამდა მშრომელთა ყოვლისდამძლევი ენერგია, სწამდა და სჯეროდა ადამიანის დიადი გარდაქმნის შესაძლებლობა... და რაც მთავარია, მის შესანიშნავ ნაწარმოებებს ძალუძთ გადასდონ ეს რწმენა მკითხველებს. შთააგონონ მათ ჰუმანიზმის, პროგრესის, შემოქმედებითი შრომისა და ადამიანური სილამაზის ცხოველმყოფელი იდეები!

II

გორკი ახლობელი და ძვირფასია მთელი მოწინავე მშრომელი კაცობრიობისათვის. იგი განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის, იმ ადამიანებისათვის, რომელთა გმირული სულის ფორმირებაში დიდია გორკის ღვაწლი.

გორკი — მხატვრული სიტყვის გასაოცარი ოსტატი — ადამიანობის დიდი მასწავლებელიცაა. ეს ორი მხარე მასში შერწყმულია ერთ მთლიანობად.

გორკის ყოველ სიტყვას ღრმად ადამიანური გულითადობა ახასიათებს. მწერალი მუდამ თქვენთან არის, თქვენთან ერთად სწუხს და ხარობს, თქვენ მისგან ძალიან ბევრს სწავლობთ, სწავლობთ გულითადი მეგობრისაგან.

არიან დიდი თუ პატარა მწერლები, რომელთა შემოქმედებაში მკითხველი გარკვეულ მხატვრულ კმაყოფილებასთან ერთად გრძნობს მწერლის პიროვნების ერთგვარ შემხუთავ დაწოლას, ტალანტის ერთგვარ ბატონკაცობას და ზოგჯერ პოზასაც კი. გორკის შემოქმედებაში ასეთი დაწოლის ნასახსაც ვერ იგრძნობთ. ეს გორკის განმასხვავებელი ნიშანია.

მწერლობისათვის გორკის მთელი შემოქმედება იძლევა იმის შესანიშნავ გაკვეთილს, რომ იდეა მხოლოდ მაშინ პოულობს თავის მაღალ მხატვრულ ფორმას, როდესაც იგი ემოციად არის დამკვიდრებული თვით მწერლის შემოქმედებით ფსიქოლოგიაში.

შეიძლება ითქვას, რომ გორკის ყველაზე ძლიერი პათოსი — ადამიანია.

გორკი და ადამიანი!

ამაზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, ბევრიც დაიწერება. გორკი ახალი ადამიანის სულის უბადლო მშენებელია. მისი დიდი ჰუმანიზმი ასაზრდოებს ახალი ადამიანის მორალურ ბუნებას. ყოველთვის საჭირო და სასარგებლოა გორკის დიდებული მხატვრული სახეებისა და მაღალი საკაცობრიო იდეალების გაცოცხლება ჩვენს მეხსიერებაში.

გორკის აქვს ერთი პატარა მოთხრობა „ადამიანი". იგი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ მწერლის მთელი შემოქმედების სათაურად.

გორკიმ კლასობრივი საზოგადოების ტრაგიკული ადამიანის სახიდან დაიწყო:

„ადამიანი! ვით მზე იბადება ჩემს მკერდში, და მის კაშკაშა ნათელში, უსაზღვრო, როგორც ქვეყნიერება, დინჯად მიიმართება იგი — წინ! — და მაღლა! ტრაგიკული მშვენიერი ადამიანი".

ადამიანი ტრაგიკულია კლასობრივ საზოგადოებათა ისტორიის მთელს მანძილზე. იგი გახლართულია მრავალ სოციალურ, პოლიტიკურ, სულიერ წინააღმდეგობათა რთულ ქსელში. კლასობრივ საზოგადოებათა საფუძველში არსებული ძალთა ანტაგონიზმი ადამიანს აქცევს ტრაგიკულ არსებად — მიჯაჭვულ ამირანად. წარსულის მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ერთი თვალის მოკლებაც კი საკმაოა, რომ თვალწინ დაგვიდგეს ამ ტრაგიკული ადამიანის სახე. ეს სახე, როგორც კლასობრივ საზოგადოებათა მთელი ადამიანური შინაარსის გამომხატველი, წარსული ლიტერატურისა და ხელოვნების რეალისტურ ნაკადს მოჰყვება. იგი მოწმობს, რომ კლასობრივი საზოგადოების არც ერთ ფორმაციას არ შეეძლო მიჯაჭვული ამირანის ახსნა, არ შეეძლო ნამდვილი თავისუფლების მინიჭება ადამიანისათვის.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ის წყველა-კრულვიანი საკითხები და წინააღმდეგობანი, რაც ადამიანს ტრაგიკულ არსებად აქცევდნენ, საერთოდ გადაუწყვეტელი წინააღმდეგობებია? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჰამლეტისა და დონ კიხოტის, ლირისა და ოტელოს, მოცარტისა და სალიერის პრობლემები საერთოდ მარადიული და გადაუწყვეტელი პრობლემებია?

მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში მაქსიმ გორკი პირველი დიდი მწერალია, რომელმაც ადამიანის ყველა პრობლემა მარქსისტულ-რევოლუციური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით გააშუქა და დიდებულ მხატვრულ სახეებში გააცხადა.

ადამიანი „საცოდავი, შიშველი ორფეხა ცხოველიაო". ამ დასკვნამდე მიჰყავს მწარე გამოცდილება შექსპირის ლირი. რაში მდგომარეობს მისი ტრაგედია? იგი მეფეა და იმთავითვე მას ყალბი ილუ-

ზია ფლობს. იგი თავის მეფურ მდგომარეობას აიგივებს თავის ადამიანურ არსთან. ამიტომ მას სჯერა, რომ სიყვარული და პატივისცემა, რასაც მისდამი იჩენენ, მისი ადამიანური ღირსებების დამსახურებული ჯილდოა და არა ხარკი მისი მეფური მდგომარეობის წინაშე. ხალხისაგან გამიჯნული, ტირანული ძალაუფლება მას უნარს უკარგავს გაარჩიოს პირმოთნეობა და მლიქვნელობა ნამდვილი ერთგულებისა და სიყვარულისაგან. იგი თავის სამეფოს, თავის ძალაუფლებას უნაწილებს ვითომდა ერთგულ ადამიანებს. და მას ჰგონია, რომ მის ადამიანურ ღირსებებს, მას, როგორც მშობელს, მაინც პატივს სცემენ. მაგრამ საზოგადოებაში, რომელიც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზეა აგებული, გაბატონებულია მტაცებლური მორალი, ეგოიზმი და ვერაგობა. ლირი ამ მორალის მსხვერპლი ხდება. მბრძანებლობას, ფუფუნებასა და განცხრომას მიჩვეული მეფე სასოწარკვეთილია. იგი არის ის, ვინც ცუდად მოწყობილმა საზოგადოებამ იმთავითვე გაძარცვა ბუნებრივი, ადამიანური უშუალობისაგან და ყალბი ილუზია შთაუნერგა, შემდეგ კი ილუზიიდანაც გაძარცვა და ბოლოს ჰგონია, რომ ყველა ბოროტება წარმოსდგება იმისაგან, რომ ადამიანი „საცოდავი, შიშველი ორფეხა ცხოველია".

გორკიმ კი მთელ თავის სახეთა სისტემაში სულ სხვანაირად გადაწყვიტა ადამიანის რაობის საკითხი. ადამიანი თავისთავად, როგორც უმაღლესი სოციალური არსება. ძლიერი და მშვენიერია. ძლიერია იგი მით, რომ მხოლოდ მას, და მხოლოდ მას შეუძლია იაზროვნოს, იშრომოს, შეგნებულად იმოქმედოს და „ყოველი თავისი ნაბიჯით გაამშვენიეროს ცხოვრება ისე, როგორც მზე დედამიწას უბვად ჰფენს სხივებს". გორკის მთელი შემოქმედება მიმართულია ადამიანის ადამიანურ ძალთა გაცხადებისა და დამკვიდრებისაკენ. ადამიანი ბუნების უძლიერესი და უმშვენიერესი ქმნილებაა. შეხედეთ, აი ამ უბრალო ქალიშვილს, რომელიც სოფლის განაპირას ბუჩქებში მიმალული ეალერსება თავის სატრფოს („ქალიშვილი და სიკვდილი"). მასში სიცოცხლე შადრევანივით სჩქეფს. მას უყვარს და შეუძლია უყვარდეს. ეს არის მისი ძალა — ძალა სიყვარულისა. მას შეუძლია დასტკბეს და დაატკბოს სატრფო. ეს არის მისი ძალა — ძალა ჰარმონიისა, ძალა საზოგადოებრივი კავშირისა. მას სწყურია სიცოცხლე და შეუძლია კიდევაც იცოცხლოს. ეს არის მისი ძალა — ძალა სიცოცხლისა და როდესაც გაბოროტებული მეფე მას სიკვდილს მიუჩენს, სიკვდილიც კი უკან იხევს ადამიანის სასიცოცხლო ძალების წინაშე. ადამიანის ეს ძალები მისი ბუნებრივი ადამიანური ძალებია, რაც არც მის კლასობრივ, არც თანამდებობრივ და არც ქონებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ადამიანის საზოგადო-

ებრივ მდგომარეობას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ან დაახშოს, ან ააყვავოს ეს ძალები. არა, ადამიანი არ არის „საცოდავი, შიშველი ორფეხა ცხოველი". იგი ძლიერია თავისი აზრით, იგი ძლიერია თავის შემოქმედი სულით; მას შეუძლია გაამშვენიეროს ცხოვრება, თუ იგი არ დალაჩრდება და არ დაეცემა. მაგრამ, ვაი, რომ მისი დალაჩრებაც და დაცემაც ცუდად მოწყობილი საზოგადოების ბრალია. მაგრამ რარიგ ცუდადაც არ უნდა იყოს მოწყობილი საზოგადოება, მისი განვითარების პროგრესული ტენდენციები მაინც წარმოშობენ ძლიერსა და მამაც ადამიანებს. პირველად ასეთი ადამიანები შეიძლება მარტონი იყვნენ, ერთეულები იყვნენ. მაგრამ თანდათან გაიზრდება მათი კრებული.

მხოლოდ ძლიერ, ამაყ და შინაგანად თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ წარეძღვენ წინ ხალხს და ხალხის სიყვარულით ანთებული გულის შუქით გაუნათონ მას გზა, გაიყვანონ ცხოვრების შავი ტყის წყვდიადიდან ისე, როგორც გორკის დანკომ გააკეთა ეს. გორკიმაც თავისი რევოლუციური რომანტიკის ძლიერი შუქი მიანათა ამაყ და მამაც ადამიანებს — თავის რომანტიკულ გმირებს, რათა ისინი ცხოვლად და მკაფიოდ ეჩვენებინა. ამ გმირთა ძირითად თვისებას შინაგანი თავისუფლება შეადგენს. თუ ადამიანის შეგნებასა და, მაშასადამე, მის მოქმედებასაც ზღუდავენ დაბალი ინსტინქტები და მოარული ცრურწმენანი, ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი შინაგანად. შინაგანი თავისუფლების გარეშე არ არის გმირი, არ არის საგმირო საქმე, არის მხოლოდ ანაბდელი სასოწარკვეთილი თავგანწირულობა. არ არის და არც შეიძლება გმირი იყოს გორკის ლეგენდის ლარა. იგი წამებული აჩრდილია მხოლოდ, რადგან იგი ტრაგიკული ტყვეა უსაშველო ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის. დანკო — აი ნამდვილი გმირი. მან მკერდი გაიპო, მოძმეთა სიყვარულით ცეცხლმოდებული გული ამოიგლიჯა, ჩირაღდანივით ასწია მაღლა, გზა გაუნათა სასოწარკვეთილ ხალხს და ტყის წყვდიადიდან იხსნა. მკაცრია დანკოს შინაგანი თავისუფლება. მაგრამ სწორედ ამაშია გმირობის მაღალი პოეზია, ამაშია გმირობის სილამაზე. გორკის გმირებიც სწორედ ამ თავისუფლებითა და სილამაზით არიან ამაყნი.

და იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივ შეგნებას ტყვიასავით აწვა თვითმპყრობელობის შავი რეაქცია და ტრაგიკული გენიის შეშფოთებული სული მეამბოხე ადამიანს მოუწოდებდა: „თვინიერ იქმენ, ამაყო ადამიანო", გორკის გმირები მთელი ხმით ეძახდნენ საგმირო საქმეებისაკენ. გორკის ეზიზღება დათვინიერებული, მორჩილი და ლაჩარი ადამიანი.

დედაბერი იზერგილი ამაყობს თავისი შინაგანი თავისუფლებით. ის ოდესღაც ლამაზი ქალიშვილი იყო და ერთმა დონდლო პოლონელმა პანმა ყველაფერი გაპყიდა იმისათვის, რომ ოქროთი ეყიდა მისი სიყვარული. მაგრამ ოქრომ იზერგილის გული ვერ მოინადირა. მას მხოლოდ ის პანი უყვარდა, ვისაც სახე თურქების ხმლით ჰქონდა დაჩეხილი, იგი თურმე ბერძნებს ეხმარებოდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში: აი ადამიანი! — ამბობს იზერგილი, — რაა მისთვის ბერძნები, თუ თვითონ პოლონელია? აი რა: მას უყვარდა საგმირო საქმეები!"

გმირობის მაღალი პოეზიისა და სილამაზის გრძნობას მოკლებულნი არიან ბურჟუაზიული საზოგადოების სულიერი მანკიერებით შეპყრობილი მეშჩანები, თბილი და მყუდრო ადგილების მაძიებელნი. აი მათი სახე: გველხოკერა თუ ძლოკვი — დაგორგლილი ლიპმოდებულ ნესტიან ხევში. მათ უყვართ სიბნელე და მისტიური ჩრდილები, უკვირთ მამაცთა სიშმაგე, შავარდნის სწრაფვა სივრცეში—სილაღისა და თავისუფლებისაკენ.

მეშჩანებისათვის უცხო და მიუწვდომელია ცხოვრების უმაღლესი სილამაზე — მამაცთა სიშმაგე. მათი გონების საზრდოა გაცვეთილი, მოარული „სიბრძნეები" და ცრურწმენანი. მათ არ შეუძლიათ ამაღლდნენ იმ „საღ აზრზე" ზევით, რომელიც, როგორც ენგელსი ამბობს, ერთობ პატივცემული თანამგზავრია ოჯახური ვითარებისა, ოთხკედელ შუა. მაგრამ როგორც კი გამოკვლევისა და აზროვნების შორეული გზისაკენ წასვლას გაბედავს, მრავალი მარცხი და თავგადასავალი მოელის.

გორკიმ შესანიშნავად იცის ადამიანის სულის აგებულება. იცის, რომ „მის მკერდში ღრიალებენ ინსტინქტები, საძაგლად წივის ხმა თავმოყვარეობისა, როგორც უტიფარი მათხოვარი და ითხოვს მოწყალებას; ჩვეულებათა მჭიდე ძაფები ეხვევიან გულს, როგორც სურო, იკვეებებიან მისი მხურვალე სისხლით და ხმამაღლა მოითხოვენ მათი ძალისათვის დამორჩილებას..." საუკუნეობრივი უკუღმართობით გამომუშავებული დაბალი ინსტინქტები და ჩვეულებათა მჭიდე ძაფები ლამობენ გაბატონებას ადამიანის სულში... და მხოლოდ სულით ძლიერთ შეუძლიათ თავი დააღწიონ მათ ბატონობას. გველხოკერასათვის კი მათი ძალა გარდუვალია. თავშეყვარება და ეგოიზმია — მეშჩანთა სულის ბატონი. მათთვის უცხოა ახლისაკენ მისწრაფება. მათ სიბრძნეს ისეთი დრმოჭმული და გაცვეთილი ანდაზები შეადგენენ, როგორიცაა: „სხვათა ჭირი ღობეს ჩხირი", „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს" და სხვ.

გორკის მთელი არსებით ეზიზღება გველხოკერა ადამიანი, ეზი-

ზღება და არ ებრალება, სიბრალულით არც ამცირებს, რადგან მას უზომოდ უყვარს ადამიანი.

„ყველაფერი ადამიანშია — ყველაფერი ადამიანისათვის!“ ეს არის გორკის იდეათა იდეა. ამასთან არის დაკავშირებული გორკის ლიტერატურული სტილიც — რევოლუციური რომანტიკისა და ღრმა რეალიზმის შერწყმა. გორკის ადრინდელი რომანტიკული გმირების გამოკვეთილი და ცხოველი ხასიათები, პათეტიკით და ჰიპერბოლებით შეფერადებული სტილი, ინტენსიური ფერები და მთელი მხატვრული ფაქტურის ცხოველმყოფელობა — ყოველივე ეს ადამიანის ძალთა აპოლოგიაა.

მსოფლიო ლიტერატურაში გორკის არა ჰყავს ბადალი, ვისაც ასეთი სიღრმით ეჩვენებინოს ადამიანის სოციალური შინაარსი. ნიჭიც კი, ნიჭიც, — ერთი შეხედვით თითქოს ეს ადამიანის თანდაყოლილი ინდივიდუალური თვისება, სოციალური სათავიდან მოდის და სოციალური პრაქტიკის ნაყოფია. მარქსის აზრს იმის შესახებ, რომ „სოდენ ბრწყინვალე ნიჭთა თავმოყრა ლეონარდო და-ვინჩში იმ სოციალური ფაქტორის ხანგრძლივი მოქმედების შედეგია, რამაც გონებრივი და ფიზიკური შრომის განაწილება განაპირობა, ძალიან ახლოს ენათესავება ჩერნიშევსკის აზრი: საცარი ის კი არ არის, რომ ადამიანთა შორის არიან ერთეული გენიოსები, საცარი და ვალალო სწორედ ის არის, რომ ცხოვრების უკეთესმართი პირობების გამო, მრავლად არ არიან გენიოსები ადამიანთა შორის. წესი, რაც სახელოვანმა ქართველმა პოეტმა გამოხატა სიტყვებში: „ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“ — კლასობრივ, ექსპლოატატორულ საზოგადოებაში არც თუ ისე მტკიცედ მოქმედი წესი შეიძლებოდა ყოფილიყო. განა შეიძლება სადავო იყოს, რომ სარდაფის ატმოსფერო გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელია ნიჭის განვითარებისათვის, ვიდრე მზიანი სართულები?

გორკიმ ადამიანის პრობლემის ყველა მხარე სოციალური პროგრესის სარბიელზე გაიტანა.

თავის მოგონებაში ჩეხოვის შესახებ გორკი წერს: „როდესაც ანტონ ჩეხოვის მოთხრობებს კითხულობთ, თავს ისე გრძნობთ სწორედ როგორც გვიანი შემოდგომის ნაღვლიან დღეს, როდესაც ჰაერი გამჭვირვალეა და მასში მკაფიოდ არიან მოხაზული შიშველი ხეები, ვიწრო სახლები, უფერული ადამიანები... ავტორის ჭკუა, სწორედ როგორც შემოდგომის მზე, მკაცრი სიცხადით აშუქებს გაფუჭებულ გზებს, მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებს, ვიწრო და ჭუჭყიან სახლებს, რომლებშიაც მოწყენილობისა და მცონარობისაგან იგუ-

დებიან პატარა საცოდავი ადამიანები, რომლებიც თავიანთ სახლებს ავსებენ გაუაზრებელი, ნახევრად მთვლემარე ფუსფუსით...

უსუსური ადამიანების ამ მოსაწყენი, უფერული ბრბოს ახლოს გაიარა დიდმა, ჭკვიანმა, ყველაფრისადმი დაკვირვებულმა კაცმა, შეხედა მან თავისი სამშობლოს ამ მოსაწყენ მცხოვრებთ და ნაღვლიანი ღიმილით, რბილი, მაგრამ ღრმა საყვედურის კილოთი, სახეზე და გულში აღბეჭდილი სევდით, ლამაზი გულწრფელი ხმით უთხრა:

— საძაგლად ცხოვრობთ თქვენ, ბატონებო!"

ჩეხოვი ამაზე შეჩერდა. გორკი კი შორს წავიდა, გაცილებით შორს. გორკიმ თავისი ტალანტის თვალისმომჭრელი შუქურა მიანათა სინამდვილის ყველა მხარეს, თავისი დროის საზოგადოების ყველა ფენას და საოცარი მხატვრული სიცხადით დაგვანახა, როგორც ძველი, კაპიტალისტური სამყაროს ჩასვენებისა და ახალი, სოციალისტური სამყაროს წარმოშობის, ისე ძველი ბურჟუაზიულ-მეშჩანური ფორმაციის პიროვნების რღვევისა და ახალი, სოციალისტური ფორმაციის პიროვნების წარმოშობის პროცესები.

ბუნებრივია, რომ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან მკრთალად იყო გამოვლენილი ახალი ფორმაციის ადამიანის შტრიხები, დიდი მწერალი ხარბად ავლებდა ხელს ყოველივეს, რაც კი ადამიანის ტიპის ამაღლების რაიმე ნიშანს შეიცავდა.

გორკის ყურადღება მიიქცია მაწანწალობამ სწორედ იმიტომ, რომ იგი, როგორც კაპიტალიზმის სოციალური ორგანიზმის ჩირქოვანი წყლული, მკაფიოდ ამეღავნებდა კაპიტალიზმის სიდამპლეს. მაგრამ მაწანწალობის ფსიქოლოგია — საერთოდ მავნე და ანტისოციალური მოვლენა — წარმოადგენდა თავისებურ რეაქციას გაბატონებული ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ. ამდენად მასში იყო რაღაც ჯანსაღი მარცვალი, ჯანსაღი საწყისი. მაწანწალები არ იყვნენ ხარბები, შურიანები, რადგან მათ არც ერთი ძაფიც კი არ აკავშირებდათ კერძო საკუთრების ინსტიტუტთან, ისინი არ აწეპებდნენ კაპიკს კაპიკზე, არ ახრჩობდნენ და არ სწოვდნენ ერთმანეთს სისხლს. მაწანწალა „გრიშკა ჩელკაში, ძველი ნაცადი მგელი, ნავსადგურის ხალხისათვის კარგად ცნობილი, ლოთიბაში და მოქნილი, გაბედული ქურდი" უფრო მაღალ ადამიანურ ღირსებებს ამეღავნებს, ვიდრე ჭაბუკი გლეხი გაბრიელი, რომლის სულში წვრილი მესაკუთრე ზის და სიხარბის შხამით სწამლავს მას. ჩელკაში ქურდია, მაგრამ ხარბი და შურიანი არ არის. გაბრიელი თითქოს ქურდი არ არის, მაგრამ სიხარბისა და კარგად მოწყობის წყურვილის გამო ქურდობაში მონაწილეობას იღებს. ჩელკაში გაბედული და უშიშარია. გაბრიელი გაორებულია, ოპორტუნისტია. იგი ინსტინქტურად გრძნობს, რომ ხელ-

ყოფს კერძო საკუთრებას — იმ საძირკველს, რაზედაც მთელი ბისი სულიერი სამყაროა აგებული. ამიტომ მას საშინელი „ცოდვის“ გრძნობა აწვალებს, იგი მშიშარაა, მზად არის ყოველი სოფნელის წინაშე ქედი მოიხაროს და უკან გამოიქცეს. მაგრამ როდესაც საქმე ნაქურდალის განაწილებაზე მიდგება, სიხარბე გაბრიელში თითქოს ყოველგვარ ადამიანურ ღირსებებს კლავს, იგი ფეხქვეშ უვარდება ჩელკაშს, რომ მთლად მიიღოს ნაქურდალი. იგი თავს იტანჯავს. იმცირებს და ბოლოს კაცის მოკვლის განზრახვამდეც კი მიდის. ჩელკაში თავისუფალია კერძო საკუთრების ინსტინქტისაგან, რაც ასე აშხეცებს და ამახინჯებს ადამიანს. სისხლით გასვრილი ჩელკაში ზიზღით მიუგდებს გაბრიელს ნაშოვარი ფულის უდიდეს ნაწილს და მიდის თავის გზით. ჩელკაშს ეზიზღება გაბრიელის წმინდა ცისფერი თვალები, ჯანმრთელი, მზედაკრული სახე, როგორც სიხარბისა და მსუნაგობის ყალბი სამოსელი. ამაში არის ნამდვილი სილამაზის ძიების სწორი გზა. მაგრამ ჩელკაში მიდის თავის გზით, მიდის მარტო. და ამ სიმარტოვეში არის მისი უდიდესი ტრაგიზმი, მისი უძლურება.

„ყველაზე ძლიერი ადამიანი ის არს. ვინც ყველაზე მეტად ვანკერძოებულიაო“ — ქადაგებდა იბსენი. გორკიმ დაამსხვრია ეს შეხედულება და ამაში მას თვით ცხოვრება, თვით სინამდვილე უმაგრებდა ზურგს.

განკერძოებულ ადამიანებს, განკერძოებულ ბუნტარებს, სულის რანაირი კეთილშობილი სწრაფვითაც არ უნდა იყვნენ ისინი აღძრულნი, ცხოვრება არ ინდობს, ცხოვრება შეუბრალებელი ხელით ღუპავს მათ. აი, კონოვალოვი, აი, თომა გორდეევი და სხვები.

კონოვალოვი ზიზღით არის გამსჭვალული ყოველივე იმისადმი, რაც ბოჭავს და ავიწროებს ადამიანს. მას ეტრატივით სუფთა გული აქვს და ტიტანური ლტოლვა თავისუფლებისაკენ. იგი ვერ ურიგდება ბურჟუაზიულ საზოგადოების წესრიგს, მას სულს უხუთავს ადამიანთა მიერ ერთმანეთის ძიძგნის საშინელი სტიქია, მას სულს უხუთავს ბურჟუაზიული ქალაქი: „დამპალია იქ ცხოვრება, არც ჰაერი, არც სივრცე, არც არაფერია, რაც ადამიანს უნდა“. კონოვალოვი მაწანწალობას იწყებს, თვალუწვდენელ სივრცეებში ხეტიალით სურს დაიცხროს თავისუფლების წყურვილი, ამოირეცხოს გულიდან წვრილმანი ინსტინქტების ნაგავი: „მიდიხარ და ყველაფერს ხედავ ახალს... გიბერავს სახეში ქარი და შენი სულიდან ამოაქვს სხვადასხვა მტვერი...“ მაგრამ იგი გზას ვერ პოულობს კოლექტივისაკენ, იგი ვერ ხვდება, რომ თავისუფლება კოლექტივის გარეშე მირაჟია. კონოვალოვი მართლაც განკერძოებული დევკაცია. მაგრამ გორკიმ გვიჩვენა საზოგადოებისაგან გამდგარი, განკერძოებული ადამიანის გარდაუვა-

ლი კატასტროფა. ასეთ ადამიანებს სრესს ცხოვრების ინერცია. კონკრეტული იღუპება სწორედ იმიტომ, რომ მან ვერ მონახა სწორი გზა. ვერ შეუერთდა კოლექტივს. ამ იდეური ფუნქციის მატარებელნი არიან გორკის მაწანწალათა სახეები. თავის დროზე ბურჟუაზიული საზოგადოება ზიზღით შეიშმუშნა გორკის ასეთი გმირების მიმართ. გორკის მაწანწალების იდეალიზაცია დასწამეს და მათი ცინიზმის მოტრფიალედ გამოაცხადეს. რასაკვირველია, ეს იყო იმ მეტად ბასრი მახვილის დაბლაგვის ცდა, რომელიც გორკის შემოქმედების სახით მიმიხნებული იყო ბურჟუაზიული წყობილებისა და მისი მორალის წინააღმდეგ.

გორკი არ ერიდებოდა საღებავების გაძლიერებას. მაგრამ ერთგვარი რომანტიკული შეფერადებით მწერალი ხაზს უსვამდა თავისი გმირების იმ მახვილებელ ძალას, რაც ბურჟუაზიულ-შეშინური სულის წყობის სისაძაგლეებს უპირისპირდებოდა. ამ ძალას გორკი ყოველთვის შეჰხაროდა. აი, თომა გორდეევი. იგი ხომ ვაჭართა წრიდან არის გამოსული. იგი ხომ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელია. მაგრამ, ზოგიერთ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, იგი გრძნობს, რომ თავისივე კლასის ინტერესების გამომხატველ სოციალურ წყობას და მასზე აღმოცენებულ მტაცებლურ მორალს რღვევა შეაქვს ცხოვრების სისავსეში, იმ ჰარმონიაში, რაც მის სულს ასე სწყურია და რის წამიერი გამოვლინება მან ერთხელ დაინახა. ეს იყო მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ ბავშვი საბუქსირო გემით მიცურავდა ვოლგაზე. გრძნობდა ჰარმონიას ბუნებასთან, გრძნობდა ჰარმონიას ადამიანებთან — ღონიერ და მხიარულ მეზღვაურებთან. მაგრამ ეს იყო წამიერად. თომას მამამ ეგნატე გორდეევმა დაითხოვა მემანქანე და ლოცმანი იმისათვის, რომ მათ მსუნაგი უწოდეს მას. ეგნატემ სცემა მეზღვაურს, რომელმაც მის წინააღმდეგ ხმის ამოღება გაბედა. მეზღვაურები უკვე აღარ ემეგობრებიან გემის პატრონის შვილს — თომას. დაირღვა ჰარმონია, დაიწყო ტრაგედია. თომები, როგორც თვით გორკი წერს: „...ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ ამ ერთფეროვან, გულისგამაწვრილებელ უბადრუკ ცხოვრებაში“ — ძალიან მცირე აზრია. ისეთებისაგან, როგორიც თომაა, მოსაწყენი ცხოვრებისათვის განწირული და კაეშნით შეურაცხყოფილი ადამიანებისაგან, დაფქვრებული ადამიანებისაგან, ერთი მხრივ, გამოდიოდნენ ლოთები, „დროსმტარებლები ქეიფში“, ხულიგნები, ხოლო, მეორე მხრივ, — გამოფრინდებოდნენ „თეთრი ყორნები“, როგორც სავა მოროზოვი, რომლის სახსრებით იცემოდა ლენინური „ისკრა“...

ამრიგად, თომა გორდეევი, თვით გორკის მოწმობითაც, „არ არის ტიპიური, როგორც ვაჭარი, ის მხოლოდ საღი ადამიანია, რომელსაც

სურს თავისუფალი ცხოვრება...“ თავისუფალი ცხოვრება კი შეუთავსებელი იყო იმ სოციალურ წყობასთან, რომელიც მაიაკინების მორალს ასაზრდოებდა. მაიაკინის მორალი კი ასეთია: „ან ყველა გლეჯე კბილით, ან ეგდე ტალახში“. მაიაკინი ასე წვრთნის თომას: „აქ, ძმაო, როცა ადამიანთან მიდიხარ, მარცხენა ხელში თაფლი გეჭიროს, ხოლო მარჯვენაში დანა“. მეფაბრიკე მაიაკინის ხასიათი გამოძერწილა იმ კოშმარული ანდაზებისაგან, რომლებსაც კაპიტალისტური მომხვეჭელობის პრაქტიკა იმუშავებს. ეს ანდაზები ძალიან გამძლე და ჩამბრჭყალველნი არიან. ისინი წურბელებივით ეკიდებიან ადამიანთა სულს და ქმნიან ეგოიზმის, ნოშურნეობის, სიხარბის «მარადიულ სიბრძნეს“. ამ „სიბრძნის“ საშინელ ფსიქოლოგიურ შინაარსს გამოხატავს დოსტოევსკის ერთ-ერთი გმირი, როცა ამბობს, ადამიანის ყველაზე ბუნებრივი გრძნობა სხვისი უბედურების შეტყობით გამოწვეული სიხარულის გრძნობაა. თუ ეს გრძნობა მეტისმეტად ავადმყოფური ფსიქოლოგიის გამოხატულებაა, ყოველ შემთხვევაში, სხვათა წარმატებისა და ბედნიერების შეტყობით გამოწვეული შურის გრძნობა უცხო არ არის ძველი ფორმაციის ადამიანისათვის.

თომა გორდეევი გრძნობს, რომ მაიაკინების წყობა არღვევს არა მარტო სოციალურ, არამედ თვით ადამიანის შინაგანი სამყაროს ჰარმონიას. და აქ ნამდვილი ბედნიერება შეუძლებელია. განა შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანი, რომელსაც აწვალებს სხვისი ბედნიერება და ახარებს სხვისი უბედურება?

თომა გორდეევი მარტოა. იგი განკერძოებული ადამიანია. მისი ბუნტი უნაყოფოა. იგი იღუპება, მას საგრეში აგდებენ.

ამრიგად, განკერძოებული ადამიანი, არამც თუ ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე სუსტი და უძლურია.

გორკის სახეთა სისტემა გვიჩვენებს ადამიანის რღვევისა და აღდგენის რთულ გზას. და რანაირი კოშმარული და სისხლიანიც არ არის ეს გზა, თქვენ მაინც მუდამ ხედავთ კრიალა მზიურ შორეთს, გრძნობთ ჰარმონიული ადამიანის გამარჯვების შესაძლებლობას.

კოშმარულია ცხოვრება „ფსკერზე“, მაგრამ აქაც „ადამიანი — ისმის ამაყად“. გორკიმ ამ პიესაში უფრო ძლიერად ამხილა მაწანწალობის ანტისოციალური ხასიათი. ფსკერზე თითეული თავისი საკუთარი გზით არის დაშვებული, თითოეულის ფსიქოლოგიას განსაზღვრული სოციალური წრის ბეჭედი აზის. მაგრამ „ფსკერი“ უკვე ის საერთო ქვაბია, სადაც მათი საერთო ბედი იხარშება. აქ სრული სოციალური განწირულება და უმაქნისობაა. და თუ თომა გორდეევისათვის ცხოვრების ჰარმონიულობის მწვავე მოთხოვნილების გამო

მთავარი საკითხია: „როგორ ვიცხოვრო?“, „ფსკერის“ ადამიანთა წყევლა-კრულვიანი საკითხია: „რისთვის ცხოვრობს ადამიანი?“ ამ საკითხს აყენებს პიესის თითქმის ყველა გმირი.

„ადამიანები ცხოვრობენ უკეთესისათვის“ — ასეთია მოხუცი მაწანწალა ლუკას პასუხი. ასეთივეა სატინის პასუხიც. მაგრამ სულ სხვადასხვანაირად ესმით უკეთესისათვის ცხოვრება ლუკასა და სატინა. ლუკას ბევრი უყვარს, ბევრი უნახავს ადამიანთა ტანჯვა-ვაება, მაგრამ ადამიანის ნამდვილი ხსნის გზა ვერსად უპოვია. ამიტომ იგი მისულა იმ რწმენამდე, რომ სიკეთისა და ბოროტების წინააღმდეგობა გადაუწყვეტელია, რომ ბოროტება ჩათესილია თვით ადამიანის სულში. ამიტომ ტანჯული ადამიანის ერთადერთ ნუგეშს იგი ხედავს დუხჭირ ცხოვრებასთან შემარიგებელ სიცრუეში, მანუგეშებელ სიცრუეში. მაშასადამე, ცხოვრება უკეთესისათვის ლუკასთვის ეს არის მანუგეშებელი სიცრუე. ამიტომ იგი არწმუნებს პეპელს, რომ მას შეუძლია სადღაც ციმბირში მიაგნოს ბედნიერების წყაროს, არტისტს შეუძლია ალკოჰოლიზმის საშინელი სენისაგან განიკურნოს რომელიღაც ქალაქში, ხოლო მომაკვდავ ანას ღმერთი იმქვეყნიურ სასუფეველს დაუმკვიდრებს. ლუკა ქადაგებს ქრისტიანულ თვინიერებას, ლმობიერებას, ბოროტებასთან შეგუებას და შერიგებას. ლუკას მოძღვრება არსებითად ძალიან ახლოს დგას დოსტოევსკის ალიოშა კარამაზოვის რელიგიურ ფილოსოფიასთან და იმ შეხედულებასთან, რაც თვით დოსტოევსკიმ გამოთქვა რომან „ანა კარენინას“ გამო:

„ანა კარენინაში, — წერს დოსტოევსკი, — გატარებულია შეხედულება ადამიანის ბრალეულობისა და დამნაშავეობის შესახებ... ცხადი და გასაგებია თვალნათლივობამდე, რომ ბოროტება კაცობრიობაში სუფევს უფრო ღრმად, ვიდრე ფიქრობენ მკურნალი სოციალისტები, რომ საზოგადოების ვერც ერთ წყობაში ვერ აიცილებთ ბოროტებას, რომ ადამიანის სული იგივე დარჩება, რომ არანორმალობა და ცოდვა მიმდინარეობს თვით ამ სულიდან და რომ, ბოლოს, ადამიანის სულის კანონები ჯერ კიდევ იმდენად უცნობია, იმდენად გაუგებარია მეცნიერებისათვის, იმდენად გაურკვეველი და იმდენად საიდუმლოებრივია, რომ არ არიან და არც შეიძლება იყვნენ არც მკურნალები, არც თუნდაც საბოლოო მსაჯულნი... თვით ადამიანის მსაჯულმა უნდა იცოდეს თავისთავის შესახებ, რომ იგი საბოლოო მსაჯელი არ არის, რომ თვით იგი ცოდვილია, რომ სასწორი და საზომი მის ხელში სისულელე იქნება, თუ თვით იგი... ქედს არ მოიხრის ჯერ კიდევ აუხსნელი საიდუმლოების კანონის წინაშე და თუ არ მიმართავს ერთადერთ გამოსავალს — ლმობიერებასა და სიყვარულს“.

ამ შეხედულების აშკარა შინაგან წინააღმდეგობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ ადამიანს შეუძლია გახდეს მოსიყვარულე და ლმობიერი, მაშასადამე, მას შეუძლია მიაღწიოს იმას, რომ არ იყოს ბრალეული და დამნაშავე. — დოსტოევსკი ფარავს თავისი იდეალისტურ-მისტიკური კონცეფციით. ის გვარწმუნებს, ადამიანის სულის მოძრაობას, მისი დაცემისა და აღდგენის კანონებს განაგებს უზენაესი არსია. ეს იყო არსებულის დაცვის ქრისტიანული საბურველი. რასაკვირველია, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ბრალეული და დამნაშავეა. რამდენადაც იგი შეეხება ადამიანთა ფსიქოლოგიის იმ ფენა-ფენა ნალექს, რაც სოციალური უკუღმართობის მთელმა საუკუნეობრივმა ისტორიამ ჩაკვერა მასში. ასეთ ადამიანთა ბრალეულობისა და დამნაშავეობის მთელი სამყარო გვიჩვენა დოსტოევსკიმ თავის ცნობილ თხზულებებში. გორკიმაც გვიჩვენა იგი, გვიჩვენა ეგოიზმის, შურიანობის, სიხარბის ბრალეული სამყარო, მაგრამ გვიჩვენა მისი მიზეზებიც, მისი დანგრევისა და ადამიანის დიადი განკაცების გზებიც. გორკი ლუკას მანუგეშებელი სიცრუის ფილოსოფიას უპირისპირებს სატინის შეხედულებებს. „ადამიანები ცხოვრობენ უკეთესისათვის“ — თუ ეს ლუკასათვის არსებულთან შემარგებელი მანუგეშებელი სიცრუეა. სატინისათვის იგი არის არსებულ სინამდვილის სიმახინჯეთა მხილება და უკეთესი მომავლის რწმენა. არსებული ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური საზოგადოება კი ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც „ყოველ ადამიანს უნდა, რომ მის მეხობელს სინდისი ჰქონდეს, მაგრამ... არავისათვის ხელსაყრელი არ არის ის, რომ სინდისი ჰქონდეს“. რასაკვირველია, არ შეიძლება ნამდვილი ადამიანური სინდისი ჰქონდეს მუქთახორას, ვისაც სხვისი შრომის მიტაცება სინდისიერად მიაჩნია. ხოლო მიტაცებით შექმნილ საკუთრების ხელყოფა—უსინდისობად. ადამიანის ყოველგვარი სიდუხჭირე და მანკიერებანი წარმოსდგება ამ საზოგადოებისაგან არა ადამიანის ბრალეულობისა და დამნაშავეობისაგან. ამიტომ ეს არის საზოგადოება, სადაც „ადამიანებს არ რცხვენიათ იმის, რომ შენ ძაღლურად ცხოვრობ“. ამას ეუბნება სატინი ფსკერზე დაქანებულ მუშა-ზეინკალს კლეშჩს. ექსპლოატატორულ საზოგადოებას თავის სიმახინჯეთა დასაფარავად ესაჭიროება სიცრუე, რადგან „სიცრუე ამართლებს იმ სიმძიმეს, რამაც ხელი გაუსრისა მუშას... და ამტყუნებს მათ, ვინც შიმშილით კვდებიან!.. ვინც სულით სუსტია... და ვინც სხვების ხარჯზით ცხოვრობს,—სიცრუე მათ ესაჭიროებათ. ერთნი თავს ინუგეშებენ სიცრუით, მეორენი ეფარებიან მას... სიცრუე მონებისა და ბატონების რელიგიაა“. ეს არის კაპიტალიზმის სინამდვილე. ადამიანები კი ცხოვრობენ უკეთესისათვის. რაში ხედ-

ავს სატინი ამ უკეთესს? „მოაწყე ისე, რომ მუშაობა ჩემთვის სასიამოვნო იყოს, — ამბობს იგი, — მაშინ შეიძლება კიდევაც ვიმუშაო... როდესაც შრომა სიამოვნებაა, მაშინ ცხოვრება კარგია". როდესაც ადამიანს თავის შრომა უყვარს, მაშინ შრომა შემოქმედებაა, გატაცებაა. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანს შრომა უყვარდეს, საჭიროა, რომ მას სხვები არ სტაცებდნენ შრომის ნაყოფს. კაპიტალისტური ექსპლოატაცია მშრომელებს სტაცებს თავის ნაშრომს, იგი შრომას მონობად და მძიმე ტვირთად აქცევს, მაშინ როდესაც მხოლოდ შრომა და შრომა არის ნამდვილი უმაღლესი ადამიანური სიამოვნების მთავარი წყარო. ცხადია, პირობები, რომელთა საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს სატინის ოცნება — შრომა იქცეს ადამიანის ემოციად, არ შეიძლება არსებობდეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ასეთ საზოგადოებაში ადამიანთა შორის არ შეიძლება დამყარდეს ის ნათელ-გამჭვირვალე ურთიერთობანი, რომლებიც აღარ საჭიროებენ სიცრუის არავითარ საბურველს. სატინის იდეალების განხორციელებისათვის საჭიროა საზოგადოების სხვანაირად მოწყობა, საჭიროა ადამიანებმა იცოდნენ მთელი სიმართლე თავიანთი ცხოვრების შესახებ.

„ადამიანი — აი სიმართლე — ამბობს სატინი, — ყველაფერი ადამიანშია, ყველაფერი ადამიანისათვის! არსებობს მხოლოდ ადამიანი, სხვა ყველა დანარჩენი — მისი ხელისა და ტვინის საქმეა. ადამიანი! ეს დიდებულია! ეს ისმის ამაყად! ა-და-მი-ანი! პატივი უნდა სცე ადამიანს! კი არ უნდა შეიბრალო... კი არ დაამცირო სიბრალულით... პატივი უნდა სცე!.. კარგია ეს — გრძნობდე თავს ადამიანად!"

ეს მაღალი სოციალური ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად იმ პროგრამას, რომლის განხორციელებაში ხედავს სატინი იმ უკეთესს, რისთვისაც ადამიანები ცხოვრობენ. სატინი გამოხატავდა გორკის შეხედულებებს, მაგრამ იგი არ იყო გორკის დადებითი გმირი. ფსკერზე დაშვებული, ლოთი მაწანწალა ბრულიადაც არ ვარგოდა იმ უკეთესის განმახორციელებელ ადამიანად, რასაც თვითვე ქადაგებდა. სატინი კაპიტალისტური სინამდვილით გასრესილი, სოციალურად უმაქნისი, დაშლილი, დარღვეული პიროვნებაა. იგი ასეთ რჩევას აძლევს კლეშჩს: „...არაფერი არ აკეთო, უბრალოდ ამძიმე დედამიწა". — ეს საშინელი თვითუარყოფაა. გორკიმ შემდეგში კრიტიკულად შეაფასა თავისი პიესა. 1932 წელს ამ თავის პიესაზე მან სთქვა: ახლა ეს პიესა მოძველებული და შეიძლება საზიანოც არისო. ასეთი თვითკრიტიკული შეფასება ნაწილობრივ ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ იქ არ იყო ის დადებითი გმირი, რომელიც მარტო სიტყვებით კი არა, არამედ საქმით, მოქმედებით უარყოფდა ლუკას

„მანუგეშებელი სიცრუის“ ფილოსოფიას. ასეთი გმირები გორკიმ გვიჩვენა „დედაში“ და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში. მიუხედავად ავტორის თვითკრიტიკული შეფასებისა, პიესა „ფსკერზე“ თავისი ღრმა სოციალური ჰუმანიზმით ახლაც ინარჩუნებს და მომავალშიაც შეინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას.

გორკის მთელი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი შრომის მოტივია. გორკი უდიდესი მხატვრული სიმართლით გვიჩვენებს, რომ ადამიანის პიროვნების ძალას განსაზღვრავს მისი დამოკიდებულება შრომასთან. შრომა და მხოლოდ შრომა არის ადამიანის შემოქმედებითი ძალების ერთადერთი სამჭედლოც და საგანძურიც. გორკის აზრით, რანაირადაც არ უნდა ამახინჯებდეს შრომის აზრს კლასობრივი საზოგადოების ექსპლოატატორული სტრუქტურა, შრომა მაინც ერთადერთი წყაროა კაცობრიობის ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა. შრომა არის თვით ადამიანის შემოქმედი, მისი შემქმნელი; ადამიანის ცხოვრების ყველა პროცესი გამომდინარეობს შრომიდან: შრომასთან დამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანის ტიპის დაქვეითებას თუ ამაღლებას.

გორკიმ „არტამონოვების საქმეში“ დახატა ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანის ტიპის დაცემის, პიროვნების რღვევის გრანდიოზული სურათი. უფროსი ილია არტამონოვი კაპიტალიზმის დაწყებითი სტადიის წარმომადგენელია — დამწყები ექსპლოატატორია. განვითარების ამ საფეხურზე „არტამონოვების საქმე“ მოითხოვს თვით პატრონის — ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის შრომასა და აქტიურ მოქმედებას. ილია არტამონოვიც მოქმედებს, შრომობს. იგი მხნე და ჯანსაღი პიროვნებაა. იგი აღსავსეა „საქმიანი გულმოდგინებით“. ილია არტამონოვი მხნე და მთლიანი პიროვნებაა, როგორც კაპიტალისტური სიმდიდრის მომხვეჭელი და დამგროვებელი. იგი ჯერ კიდევ თავის საქმის ცენტრში დგას, იგი აძლევს მიმართულებას თავის საქმეს. მაგრამ ფაბრიკა იზრდება, კაპიტალი გროვდება და „არტამონოვების საქმე“ საკუთარი ინერციის ძალას იხვეჭს. ადამიანთა ურთიერთობა წარმოებაში თანდათან ეხვევა ნივთების ურთიერთობის მოჩვენებითს ქურქში, ადამიანის ნებისყოფა ნელ-ნელა ადგილს უთმობს წარმოების განვითარების შინაგან სტიქიას. „არტამონოვების საქმის“ ახალი პატრონი — პეტრე არტამონოვი უკვე ის აღარ არის, რაც მამამისი იყო. მისი შრომა, მისი ხელმძღვანელობა „საქმისადმი“ თითქოს ზედმეტი ხდება, რადგან „საქმე, როგორც ობი სარდაფში, — თავისი ძალით იზრდება.“ შრომა, რომელიც როგორც საქმის პატრონს, ჯერ კიდევ თითქოს კისრად აწევს პეტრე არტამონოვს, მისთვის მძიმე მოვალეობად იქცევა; მისი ნებისყოფა

დუნდება. ილია არტამონოვს შრომა ახარებდა, მისი ნაშიერისათვის კი უცნობია შრომით წარმოშობილი სიხარული: პეტრეს სულში იქვისა და ბუნდოვანი შიშის ჭია ძვრება. დროდადრო პეტრე გრძნობს ნიადაგის საშინელ რყევას, კატასტროფის მოახლოებას. ძლიერდება კაპიტალისტური სიმდიდრის დაგროვება, მცირდება ადამიანის შეგნებული ნებისყოფის როლი კაპიტალისტურ წარმოებაში, მეპატრონის შრომა თანდათან ზედმეტი ხდება და ირღვევა, იშლება ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანი, მცირდება მისი სულის ძალა.

თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე კაპიტალისტური წარმოება უკვე ის ცეცხლისთვალებიანი ურჩხულია, რომელიც სავსებით ნთქავს ერთეული ადამიანების ნებისყოფას, ნთქავს ადამიანების აქტიურ როლს, ნთქავს თვით ადამიანს. და აი სწორედ „არტამონოვების საქმის“ მწვერვალზე იბადება არტამონოვების მოდგმის ყველაზე გამოფიტული და უმაქნისი ადამიანი. იაკობ არტამონოვი უკვე აშკარა პარაზიტია. იგი არ შრომობს. იგი სოციალური ორგანიზმის ხორცმეტია. მაგრამ ამავე დროს მთელი დაგროვილი სიმდიდრის პატრონი. მისი ცხოვრების შინაარსია ფუფუნება, ავხორცობით ტკბობა და „ყელთამდე მაძღრობა, რაც ყოველივე სურვილს გამოქვითავს“. ბურჟუაზიული ტიპის დაქვეითების, ადამიანის რღვევის ამავე პროცესის თავისებურ გზებს გვიჩვენებს გორკი არტამონოვების გვარის სხვა შტოების სახითაც. არტამონოვების გვარიდან ამ რღვევას გადაურჩა მხოლოდ უმცროსი ილია არტამონოვი, იმიტომ, რომ, როგორც ვხედავთ, იგი განუდგა თავის კლასს და რევოლუციურ პროლეტარიატს მიეკედლა.

პროლეტარიატი მთელი საზოგადოების სიმდიდრის შემქმნელი შრომის ძირითადი წარმომადგენელია. შრომა კი ადამიანის ტიპის ამაღლების ნიადაგი. ამიტომაც იყო, რომ მაქსიმ გორკიმ ადამიანის ტიპის ამაღლების ყველაზე დიდი და ძლიერი პოტენცია მუშათა კლასში დაინახა. მუშათა კლასის ცხოვრებისა და მსოფლშეგრძნების ნიადაგზე იბადებოდა ადამიანის ახალი მაღალი ტიპი.

გორკიმ დახატა ადამიანის ახალი ტიპის, ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი მთელ რიგ თავის თხზულებებში, კერძოდ, „დედაში“. ქრონოლოგიურად „დედა“ „არტამონოვების საქმეზე“ ადრე დაიწერა, მაგრამ იგი სწორედ ახალი ფორმაციის ადამიანის ტიპის ზრდას გვიხატავს, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანის ტიპის რღვევისა, რაც „არტამონოვების საქმეშია“ ნაჩვენები. თუ არტამონოვების სოციალური პრაქტიკა იწვევს ადამიანის ტიპის გარდევალ დაქვეითებას, მუშათა კლასის სოციალური პრაქტიკა ქმნის ადამიანის ტიპის ამაღლების საჭირო ნიადაგს. ისე, როგორც

„არტაბონოვების საქმეში“, “დედაშიაც“ მოცემულია თაობათა ცვლა. მაგრამ აქ უკვე თაობათა ცვლა აღმავლობითი ხაზით მიდის. „დედა“ იწყება შრომისა და მუშათა ცხოვრების მძიმე, აუტანელი პირობების ჩვენებით. ამ პირობებში შრომა ადამიანის შემოქმედებითი ძალების აყვავების ფაქტორიდან ქცეულია ამ ძალების დაჩლუნგებისა და მოდუნების ფაქტორად. და აი მომქანცველი, დუხჭირი ცხოვრებით გაძწარებული და გაბოროტებული ადამიანების სულს ყანგივით ეკიდება სხვადასხვა მანკიერებანი: ლოთობა, გაუტანლობა, ერთმანეთის ლანძღვა და ჩხუბი. არაადამიანური სიმკაცრე, შვილებისა და ცოლების ცემა-ტყეპა. ამ გარემოშია გამოჭედილი მუშა-ზეინკლის მიხეილ ვლასოვის ხასიათი. იგი დუხჭირი ცხოვრების სიმძიმით გაჭყლეტილი ადამიანია. პირქუში, მიუკარებელი, ლოთი, უგულო, იგი არავის არ უყვარს, მასაც დიდად არ აწუხებს სხვების სიყვარული. მიხეილი არაადამიანურად ეპყრობა თავის ცოლს პელაგია ნილოვნას. პელაგია ნილოვნა ამ დროს ნაღვლიანი, მორჩილი, მძიმე შრომით და არაადამიანური მოპყრობით წელში გაწყვეტილი უღონო არსებაა. ეს არის მუშათა ცხოვრების სტიქიის სერათი. მაგრამ შრომას ამ საშინელ პირობებშიც შერჩენია იმის ძალა, რომ სოციალური მაქნისობისაკენ იხსნას ადამიანები. და ამიტომ ეს არ არის „ფსკერი“, მაგრამ არის აქ ორი შესაძლებელი გზა — გზა „ფსკერისაკენ“ და გზა ადამიანის ტიპის ამაღლებისაკენ. „ფსკერისაკენ“ დაქანებისათვის საკმარია თვით ამ არყის სუნით გაჟღენთილი დუხჭირი ცხოვრების სტიქიის ბიძგი, ხოლო ადამიანის ამაღლებისათვის ამ სტიქიის გადალახვა, რისთვისაც საჭიროა გარედან მოსული ძალის დახმარება. ეს ძალა კი მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებაა. ეს მოძღვრება უკაფავს გზას ადამიანის ტიპის ამაღლებას.

მიხეილ ვლასოვის ვაჟი პავლე ვლასოვი — შთამომავლობით მუშა — თავის ცხოვრებას იწყებს ისე, როგორც ყოველი ახალგაზრდა მუშა. იგი მიყვება მუშათა ცხოვრების სტიქიას. შრომობს, კრძნობს კაპიტალისტური წარმოების სულისშემხუთავ ატმოსფეროს. გრძნობს მუშათა ტანჯვას, ერთობა სხვა ახალგაზრდა მუშებთან ერთად. ხშირად თვრება და ძალიან იტანჯება არყისაგან. იგი ეძებს გამოსავალს ცხოვრების აუტანელი პირობებიდან. პავლე ვლასოვი უკავშირდება რევოლუციური ინტელიგენციის არალეგალურ წრეებს. რევოლუციური მოძღვრების თესლი ეცემა შესაფერ ნიადაგზე. იწყება ადამიანის ტიპის ამაღლება — რევოლუციური ფორმაციის ადამიანის ჩამოყალიბება. პავლეში იღვიძებს მაღალი ინტერესები, რაც მასში თანდათან აქრობს ცხოვრების სტიქიით აღძრულ ინსტინქტებს. იგი სწავლობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს. პავლე მტკიცე რევოლუციონერი ხდება. იგი მამასავით

მარტო აღარ არის, მის ირგვლივ თავს იყრიან რევოლუციონერი მუშები და ინტელიგენტები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ინდივიდუალური თვისებები, ხასიათის თავისებურებანი. მაგრამ მათი მსოფლშეგრძნება საერთოა, ახალია. თითოეული თავისებურად წარმოგვიდგენს ეგოისტურ-ინდივიდუალისტური შეზღუდულობისა და ცრურწმენებისაგან თავისუფალი ადამიანის სახეს. პავლე აღარ არის მამასავით უგულო, პირქუში, მიუკარებელი და ლოთი. მაღალი ადამიანური შინაარსით ივსება მეგობრობა, სიყვარული, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა. იბადება ახალი შეხედულებანი, ახალი გრძნობები.

ადამიანის გარდაქმნისა და ამაღლების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს პავლეს დედის — პელაგია ნილოვნას ცხოვრების გზა. იგი ყოველთვის გვერდგვერდად დადიოდა, ეშინოდა ვინმეს ან რამეს არ გაჰკვროდა, მისი სული ყრუდ იყო დახშული, მისი ცხოვრება ცარიელი და უმზეო იყო. მის ნაჭუჭივით პატარა სამყაროში ერთადერთი შუქი — შვილის სიყვარული და ერთადერთი ყალბი ნუგეში — ღვთის რწმენა იყო. მაგრამ იგი ნელ-ნელა, თითქმის მისდა შეუმჩნევლად ებმება შვილის რევოლუციური საქმიანობის ფერხულში. იგი თითქოს წელში იმართება. მაგრამ აი აპატიმრებენ პავლეს და დედის ცხოვრება ისევ ცარიელი და უღიმღამო ხდება. ჯერ კიდევ ძალიან ვიწრო და პირადულია მისი ინტერესების სამყარო: „არ არის იგი და აღარაფერი არ არის". მაგრამ დედა განაგრძობს რევოლუციურ საქმიანობას, ავრცელებს არალეგალურ ფურცლებს, ეცნობა ხალხს, ფართოვდება მისი თვალსაწიერი და მისი სული კარებს უღებს ახალ მაღალ ინტერესებს. ჩვენ ვხედავთ, როგორ იწმინდება რევოლუციური საქმიანობით ადამიანი ძველი საზოგადოების ჭუჭყისაგან. ადამიანში წარიხოცა მონური სული. ამაღლდა ადამიანის ტიპი. ნილოვნას ინტერესები სცილდება პირადულის საზღვრებს. იგი მრავალთა ტანჯვის მოზიარე ხდება, მის სულში იზრდება ადამიანის სიყვარული, ახლა შვილი მისთვის საერთო-სახალხო საქმის ერთი რგოლია. დედა უსმენს თავისი შვილის — პავლე ვლასოვის მგზნებარე სიტყვას სასამართლოში და ნათლად გრძნობს, რომ ნაძალადევად დამნაშავის სკამზე სხედან არა პავლე და მისი თანამებრძოლები, არამედ თვით ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური სახელმწიფო მთელი თავისი სასამართლოებითა და ჟანდარმერიით. დედას ესმის მთელი სიმართლე პავლეს სიტყვებისა, რომლებიც მიმართულია ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ: „...თქვენ ცხოვრებას მოსწყვიტეთ ადამიანი და დაშალეთ იგი: სოციალიზმი ერთ დიდ მთლიანობაში აერთებს თქვენს მიერ დანგრეულ სამყაროს და ეს იქნება"...

ღედა — ნილოვნა, პავლე ვლასოვი, ნახოდკა მაზინი და სხვები რევოლუციურ მუშათა რეალური ტიპებია, ადამიანის ამაღლებული ტიპები. მაგრამ ამ გმირებით მხოლოდ იწყება სოციალისტური ადამიანის ფორმირების რთული და ხანგრძლივი პროცესი. ამ პროცესს მტკიცე სოციალური ბაზა შეექმნა მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში. და აქ არის შესანიშნავი, ღრმააზროვანი შებრუნება მომწიფებისა და ზრდის კანონისა: ჩვენ უკვე ვიცით, რომ რამდენადაც მწიფდება კაპიტალიზმი, იმდენად იფიტება მისი ადამიანური შინაარსი; კაპიტალისტური წარმოების ზრდასთან ერთად მცირდება ადამიანის აქტიური როლი წარმოებაში. იმდენად,რამდენადაც იზრდება კაპიტალისტური მოგება და ზემოგება, იმდენად პარაზიტი ხდება კაპიტალისტი, იმდენად ქვეითდება ბურჟუაზიული ადამიანის ტიპი, ირღვევა, იშლება პიროვნება. სოციალისტურ საზოგადოებაში კი პირიქით ხდება: რამდენადაც იზრდება სოციალიზმი, იმდენად იზრდება და მაღლდება ადამიანთა მატერიალური და სულიერი დონე; რამდენადაც იზრდება სოციალისტური წარმოება, იმდენად იზრდება ადამიანის აქტიური როლი, ადამიანის შეგნებული ჩარევა წარმოების პროცესში; რამდენადაც იზრდება სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრე და საერთო-სახალხო კეთილდღეობა, იმდენად მაღლდება ადამიანის ტიპი, მაღლდება ადამიანის აზრი, ინტერესი, გემოვნება, იმდენად იკურნება ადამიანი სიხარბისა, მსუნაგობისა, შურიანობისა და ეგოიზმის წვრილმანი ინსტინქტებისაგან. მაგრამ, ცხადია, მას, რაც საუკუნეებმა ჩაჰკირეს ადამიანში, თვეები და წლები ვერ აღმოფხვრის. ეს ყველაზე უკეთ ესმოდა გორკის — ადამიანის სულის დიდ მცოდნეს — და თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მოითხოვდა შეუწყვეტელ ბრძოლას ძველი საზოგადოების სულიერ სიბინძურეთა წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანის — ბურჟუაზიული ინტელიგენტის სულიერი სიღატაკისა და დაკნინების მძაფრი მხილება და კრიტიკა მოგვცა ჩვენ გორკიმ ყოყოჩა ინდივიდუალისტის, არსებითად სულიერი იმპონტენტის, წვრილმანი ეგოისტის, მხდალი და უფერული კლიმ სამგინის სახით.

ამავე დროს, ადამიანის ასეთ დაცემულ და დაქვეითებულ ტიპებს გორკი ყოველთვის უპირისპირებს ინტელექტუალურად და მორალურად ძლიერს, მტკიცეს და ამაღლებულ ტიპს ადამიანისას. ასეთია ბოლშევიკი კუტუზოვი „კლიმ სამგინის ცხოვრებაში“, რომლის უკანასკნელი ფურცლები მწერალმა დაწერა თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

ახალი ადამიანის აღზრდის საკითხებს გორკი ეხებოდა არა მარ-

ტო თავის მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ თავის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებშიც. ახალი ადამიანის აღზრდის მთავარ საშუალებად გორკი ყოველთვის შრომას თვლიდა. არის ამაში უდიდესი სიბრძნე და სიმართლე. თუ ისტორიის გარიჟრაჟზე შრომა იყო მაიმუნის გაადამიანების მთავარი ფაქტორი, ახლა — კაცობრიობის ნამდვილი საკუთარი ისტორიის სათავესთან — ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური შრომა არის სოციალისტური ადამიანის მაღალი სულიერი თვისებების აღზრდის მთავარი ფაქტორი.

ეს სწამდა გორკის, ეს გვითხრა გორკიმ მთელი თავისი შემოქმედებით.

1932 წელს გორკი წერდა:

„არინ ადამიანები, რომელთაც არ სწამთ, რომ შეიძლება ადამიანის ახლად აღზრდა, მისი განთავისუფლება საუკუნეობრივი ძალადობის მტვერითა და ტალახით დანაგვიანებისაგან. მათ არ სწამთ, რადგან არ იციან, რომ თვითონ არიან დანაგვიანებულნი, მაგრამ უკვე იმდენად, რომ არ შესწევთ უნარი იცოდნენ, არ შესწევთ უნარი შეისწავლონ ცხოვრება, დაინახონ მისი ჭუჭყიანი სამარცხვინო საშინელება და შემოქმედებითი მრისხანებით შეიარაღდნენ საშინელებათა ორგანიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. ესენი ზარმაცი და გულგრილი ჭკუის ადამიანებია, მათ სხვა არა უნდათ რა, გარდა მშვიდათ ცხოვრებისა. ზოგიერთი მათგანი ემალება ცხოვრებას — ეფარება პრიმიტიულ პატარა აზრებს სიკვდილის შესახებ, ამტკიცებს რა, მაგალითად, რომ „სიკვდილი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ცხოვრებისა“ და რომ „ადამიანის ცხოვრების მეორე ნახევრის ნორმალური ფსიქოლოგია არის სიკვდილისათვის შემზადების ფსიქოლოგია“. ეი ეს ალბათ, სიმართლეა, რადგან ლაპარაკია მეშჩანური, მიხრწნილი, მომაკვდავი საზოგადოების ფსიქოლოგიაზე. ჩვენ სიკვდილზე ფიქრის დრო არა გვაქვს, ჩვენ ხელთ ავიღეთ ცხოვრება და ვაპდენთ მის გარდაქმნას, — ეს უკიდურესად ძნელი სამუშაოა. რაც მოითხოვს ნებისყოფისა და გონების ყველა ძალის შეუწყვეტელ, გმირულ დაძაბულობას.

სოციალისტური საბჭოების კავშირში იბადება ახალი კაცობრიობა“.

ჩვენ დავინახეთ ამ ახალი კაცობრიობის მრავალი ათასი ადამიანი თავისი სრულიად ახალი გმირული თვისებებით დიდი სამამულო ომის ფრონტზე, ჩვენ ვხედავთ მათ სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. მოდის, მოდის ახალი ადამიანი და იგი ასჯერ უფრო ამაყად ისმის, ვიდრე ოდესმე.

1946

შინაარსი

ბედთან მებრძოლი ტიტანი . 5
ჩამოახრჩვეთ ბოროტება და არა ადამიანი 19
იმდენი მიწა სად არის (ფიქრები ვაჟაზე) 27
მცირე სიტყვა დიდ მწერალზე 48
გალაკტიონი (მცირე მოგონება) 52
აკაკი და გალაკტიონი 60
გალაკტიონის ერთი რჩეულის გამო 76
დიდი პოეტის პატარა კრებული 84
გალაკტიონი . 91
პოეზია — გულის სიბრძნე 94
პოეზია სათავიდან . 101
გრძნობათა გამო (1. პირიბზე 2. ბეტბუტებს მტკვარი) 106
ფიქრიანი სტრიქონები 120
მზეშეფრქვეული პოეტი 144
დიდოსტატის დიდოსტატი 152
ქართული სიტყვის დიდოსტატი 157
ლეო ქიაჩელი 160
გიორგი ქუჩიშვილი . 165
ნათელი სტილის ნათელი პიროვნება 175
დაუვიწყარი სახელი 178
წიგნი და ავტორი 182
ხასიათები და გარემოებანი 193
ბრძოლა ნამდვილი განძისათვის 197
დემნა შენგელაია . 217
სიტყვა სახელოვან მწერალზე 221
გიორგი ნატროშვილი 225
ერთი სპექტაკლის გამო 236
თავის წიგნებში იკოკლებს 243
ვენდობი მის გულს 246
მშობლიური სიტყვის მეპალე 255
ღია წერილი ძველ მეგობარს 258
ცვლად მრავალად ეოქვას 263
სახელოვანი პოეტი 266
ხმათა პოეზია . 269
პოეტი, მოღვაწე, მოქალაქე 281
პოეტი და მისი რამდენიმე მოტივი 284
ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა . . 308
მხოლოდ კარგი, მხოლოდ ბაღალხარისხოვანი 315
სამახსოვრო სტრიქონები 319
მწერლის სიყვარული . . . 321
ერთი ნაწარმოების სულისკვეთებისა და მისი გენეტიკური სათავის გამო 326
ნიმუში მისი მხატვრული ხერხისა 351
ჭაშნიკი ერთი წიგნისა 357

ყველაზე ჰუმანისტური ლიტერატურა 365
დიადი მიზნით გაცისკროვნებული 369
სავანი შთაგონებისა 372
ვებრძოლოთ ბრაკონიერობას 375
იმ დილით . . 379
ფურცლები ძველი დღიურიდან 385
ღვაწლი პოეტისა 403
ეპოქის სუნთქვა 406
ნაწყვეტი ლიტერატურული დღიურიდან 409
ხელოვნების ზოგიერთი საკითხის შესახებ 434
დიმიტრი გულია . . . 458
პატარა სიტყვა დიდ მწერალზე 463
დიდი მხატვარი ჰუმანისტი 466
დიდი ადამიანთმცოდნე 472

Каландадзе Лавросий Гигилович
О чувствах
Литературные статьи
(На грузинском языке)
Издательство «Мерани», Руставели, 42
Тбилиси, 1976

•
რედაქტორი ც. ქაროსანიძე
მხატვარი ც. კალანდაძე
მხატვ. რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორები: გ. წერეთელი, მ. სანადირაძე, ლ. არაბიძე

გადაეცა წარმოებას 13/II-75 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-76 წ.
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, № 1
ნაბეჭდი თაბახი 31
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 26,12
უე 00328. ტირაჟი 3.000. შეკვ. № 2712
ფასი 1 მან. 64 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის 42
თბილისი. 1976

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა. მეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7